


სოსო სიგნა



ქართული  
ქულებუკის ისტორია

III



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სოსო სიგუა

# ქართული კულტურის ისტორია

II

თბილისი – 2017  
გამომცემლობა „საარი“

**ISBN978-9941-0-8488-1**

**ISBN978-9941-0-9602-0**

„ქართული კულტურის ისტორია“ გამოდის ოთხ წიგნად. მეორე წიგნში განხილულია ქრისტიანულ-ბიზანტიური პერიოდი (V-XI ს.ს.).

**რედაქტორები:** პროფ. რევაზ მიშველაძე  
პროფ. ტიტე მოსია

**რეცენზენტები:** პროფ. ნომადი ბართაია  
პროფ. მურმან თავდიშვილი  
პროფ. საბა მეტრეველი

# **წიგნი მეორე**

**ქრისტიანულ-ბიზანტიური პერიოდი  
(IV-XI სს.)**

# ქართული ანბანი

1	2	3	4	5	1	2	3	4	5
Ⴀ	Ⴁ	Ⴂ	a	1	Ⴃ	Ⴄ	Ⴅ	S	200
Ⴇ	Ⴈ	ბ	b	2	Ⴆ	Ⴇ	ტ	†	300
Ⴉ	Ⴊ	გ	g	3	Ⴈ	Ⴉ	ყ		
Ⴌ	Ⴍ	დ	d	4	Ⴋ	Ⴌ	უ	u	400
Ⴎ	Ⴏ	ე	e	5	Ⴍ	Ⴎ	ფ	p	500
Ⴐ	Ⴑ	ვ	v	6	Ⴏ	Ⴐ	ქ	k	600
Ⴒ	Ⴓ	ზ	z	7	Ⴑ	Ⴒ	ც	č	700
Ⴕ	Ⴖ	ე̇	ë	8	Ⴓ	Ⴔ	ყ	q	800
Ⴘ	Ⴙ	t	t	9	Ⴔ	Ⴕ	შ	š	900
Ⴚ	Ⴛ	i	i	10	Ⴕ	Ⴖ	ჩ	č	1000
Ⴜ	Ⴝ	კ	k	20	Ⴖ	Ⴗ	ც	c	2000
Ⴟ	Ⴀ	ლ	l	30	Ⴗ	Ⴘ	ძ	z	3000
Ⴂ	Ⴃ	მ	m	40	Ⴘ	Ⴙ	ც	č	4000
Ⴄ	Ⴅ	ნ	n	50	Ⴙ	Ⴚ	ჭ	č	5000
Ⴇ	Ⴈ	ი	i	60	Ⴚ	Ⴛ	ხ	x	6000
Ⴊ	Ⴋ	ო	o	70	Ⴛ	Ⴜ	ყ	q	7000
Ⴎ	Ⴏ	პ	p	80	Ⴜ	Ⴝ	ჯ	č	8000
Ⴑ	Ⴒ	ჭ	č	90	Ⴝ	Ⴞ	ხ	h	9000
Ⴔ	Ⴕ	რ	r	100	Ⴞ	Ⴟ	ღ	g	10000

- ქართული ასომთავრული, 2. ნუსხური, 3. თანამედროვე მხედრული, 4. საერთაშორისო ტრანსკრიპცია, 5. რიცხვითი მნიშვნელობა

V-XI საუკუნეთა ქართულ კულტურას სწავლობდნენ სხვადასხვა დარგის თვალსაჩინო სპეციალისტები, სწავლობდნენ ერთმანეთისაგან იზოლირებით.

ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ კომუნისტურ პერიოდში არ უნდა წარმოეჩინათ ეკლესიისა და თეოლოგიის ფაქტორი, რაც განსაზღვრავდა ელიტისა და მასის ცნობიერებას, აყალიბებდა ყოველ მიმართულებას კულტურაში.

ამიტომ უფრო მისაღები აღმოჩნდა ისტორიულ-ფილოლოგიური მეთოდი, რომელიც დაამკვიდრა აკად. ნიკო მარმა.

თავდაპირველად ეს აუცილებელიც იყო, რათა აღეწერათ, ქრონოლოგიურად დაედგინათ ყოველი მატერიალური ნივთი, არქიტექტურულ-საეკლესიო ძეგლი, ხელნაწერი, მათი ავტორი, ავტორის ვინაობა, თარგმანები, ენობრივი ფორმები და კავშირები.

შემდეგ შეიძლებოდა განზოგადება და თეოლოგიურ-ესთეტიკური დასისტემება.

კულტუროლოგიური თვალთახედვის მიზანია ქართული სულიერებისა და რელიგიურ-შემოქმედებით პროცესის, სახელმწიფოებრივი ფორმირების და კულტურული კონტაქტების ინტეგრირებული წარმოდგენა, ქართული ქრისტიანული ცნობიერების ჩვენება.

ისტორიულ-ფილოლოგიურ და ლინგვისტურ ნაშრომებს ახლავს ვრცელი და დეტალური აპარატურა, რადგან ისინი ადგენენ ფაქტებს, ფაქტის ნამდვილობას, წარმომავლობას, კავშირებს.

ფილოსოფოსი, ესთეტიკოსი და კულტუროლოგი ეძებს ამ ფაქტების არსსა და მნიშვნელობას, სტრუქტურულ ერთიანობას.

ამიტომ აპარატურით არ ტვირთავს მსჯელობას.

ეს შეუძლებელიც არის, იმდენად უსაზღვროა მასალა.

აზროვნების პროცესში ფაქტების მოხმობაც შერჩევითია – უთითებ მათ, რაც გჭირდება.

არც პოლემიკას აქვს აზრი, რადგან დებულებები და თვალსაზრისებიც აურაცხელია.

*ამდენად – მთავარია საკუთარი პოზიციის კონცეფციური წარმოდგენა, სისტემის ჩამოყალიბება, ფაქტების სიმრავლიდან მათი გამოტანა, რომლებიც დამაჯერებლობას მისცემენ მსჯელობას.*

*აქაც ვიცავთ კულტურისა და ცივილიზაციის განყოფის იდეას. ამიტომ ნაკლებად ვეხებით მატერიალურ ძეგლებს, ასევე – ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ მასალას, ადათ-წესებს, ტრადიციებს, რომელთა ქრონოლოგიის განსაზღვრა შეუძლებელია.*

# I. მონოთეისტური კულტურა: ბიზანტინიზმი

ქართველური ტომების არქაული ტრადიციები, ხედვა და გამოცდილება ჩაძირა ელიზურმა და ირანულმა ექსპანსიამ.

ქრისტიანობას ლაზიკაში დახვდა ელიზიზმი, იბერიაში – მაზდეანობა, ცხადია, ელიტურ წრეში.

მასა, როგორც ყველგან, აქაც ცხოვრობდა ანიმისტურ-წარმართული წარმოდგენებით.

პოლითეისტური წარმართული ხედვა შეცვალა მონოთეისტურმა ქრისტიანობამ, კერპები და ცეცხლის ალი – ჯვარმა, რაც ნიშნავდა ძირეულ გარდატეხას აზროვნებისა და მორალის, პოლიტიკისა და კულტურის სფეროებში.

ლაზიკა და იბერია სახელმწიფოებრივად და ენობრივად ერთმანეთისაგან გაყოფილი იყო. მხოლოდ გენეტიკური ერთიანობა და ნათესაობის გრძნობა არ ჰყოფნიდა შეკავშირებას. ახლა ასეთი გამაერთიანებელი ფაქტორი აღმოჩნდა ქრისტეს სჯული.

ქრისტეც ისევე უცხო იყო, როგორც აპურამაზადა. მაგრამ ჯვარცმულის მიღმა იდგა რომის უდიდესი იმპერია, რომლის სხივები ანათებდა ლაზიკის ჭაობებსა და იბერიის მთებს.

რელიგიურ ერთიანობას მოჰყვა ინტეგრირების სხვა ფაქტორები – ენა, ლიტურგია, ცხოვრების წესი, პოლიტიკური ორიენტაცია, დამწერლობა.

დღევანდელთან შედარებით გაცილებით ძლიერი იყო რწმენის ძალა, სხვა იყო ადამიანთა ცნობიერებაც. ამიტომ ჰქონდა ეფექტი უფლის სიტყვას, წირვა-ლოცვასა და გალობას, ეკლესიას.

## 1. უცხოური სტიმულები

ირანული ტრადიციები ფესვგადგმული იყო იბერიაში, ბერძნულ-რომაული – ლაზიკაში. ელიტა – სამეფო კარი, დიდმოხელეები, ქუ-



რუმები მათ რწმენასა და კულტურას ქადაგებდნენ, მათი ცხოვრების წესს მიიჩნევდნენ სანიმუშოდ და ამკვიდრებდნენ.

პლემბური ფენები არქაულ-წარმართული რწმენის ერთგული იყვნენ.

არც შეეძლოთ უცხოური კულტურის გაზიარება და შეთვისება. მაგრამ საუკუნეების მანძილზე მასებისათვის მისაბამი მმართველი ზედაფენა, ქურუმთა კასტა, მათი ცხოვრების ბრწყინვალეობა ინსტინქტურად ცვლიდა წარმოდგენებს.

ჯერ ქართველური ტომებისათვის, შემდეგ – ქართველებისათვის სტიმულის მომცემი, განმაახლებელი ფერმენტი იყო უცხოეთიდან, დიდი კულტურული ცენტრებიდან წამოსული შუქი და ენერგია.

ისინი ყოველთვის სცნობდნენ პროგრესულ კულტურულ ძალებს, აღიარებდნენ ელინელთა, ირანელთა თუ რომაელთა როგორც სამხედრო, ისე კულტურულ უპირატესობას. ეს კარგი იყო მაშინ, როცა უნდა შეგეთვისებინა სხვათა გამოცდილება, რათა უკეთესი ყოფილიყავი. მაგრამ ამუხრუჭებდა თავისთავადობისა და ორიგინალობის გამოვლენას.

ამგვარი მორჩილების გრძნობა გადადიოდა პოლიტიკაშიც, სახელმწიფოებრივ სფეროში, რაც ანელებდა ძალთა აზვირთებას, აგრესიულ უნარს. ამიტომ ნიჭი და ენერგია ხმარდებოდა მხოლოდ თავდაცვას, არსებულის შენარჩუნებას (იხ. „ძალაუფლებისა და კულტურის ფაქტორები“).

ეს იყო ქართული ცნობიერების არა ტაქტიკა, არამედ – სტრატეგია, რაც დარჩა უცვლელი დღევანდელობამდე.

ასეთ მიმართებას დროთა მსვლელობაში ხან ჰქონდა გამართლება, ხან – არა, ზოგჯერ კი აუცილებელიც იყო.

ასეთი აუცილებელი იყო ქართველურ ტომთათვის ქრისტიანობის მიღება, ქრისტიანული კულტურის გავრცელება, რათა ჩართულიყვნენ ზოგად ისტორიულ პროცესებში, თავი ეგრძნოთ საერთო სისტემის ნაწილად, დაეძლიათ ბარბაროსული წეს-ჩვეულებანი და ერად

ქვეულიყვნენ, ერთიან სახელმწიფოდ ქვეულიყვნენ მონოთეისტური რწმენის საფუძველზე.

სუსტი სახელმწიფოებრივი ორგანიზების, სახელმწიფოს არქონისა და უმეფობის დროს ეკლესია იყო არა მხოლოდ რწმენის, არამედ ეროვნული თვითმეგნების მედროშეც და თავშესაფარიც.

ხუთი ავტოკეფალიური, დიდი ავტორიტეტის ეკლესიიდან ქართველები უკავშირდებოდნენ ჯერ იერუსალიმისა და ანტიოქიის, შემდეგ – კონსტანტინეპოლის ეკლესიას.

X საუკუნიდან ქართველები სარგებლობენ აია სოფიას ლიტურგია-ტიპიკონითა და კალენდარით.

ბერძნებმა თავიანთ იმპერიად აქციეს რომის აღმოსავლეთი ტერიტორია, შესძლეს ის, რაც ვერ შესძლეს ანტიკურობის დროს – ყოვლისშემძლე ქრისტეს ჯვარით.

რომისა და კონსტანტინეპოლის მეტოქეობის მრავალსაუკუნოვან პერიოდში ქართული ეკლესია, შესაბამისად – არისტოკრატია და კულტურაც სტიმულს, იმპულსს, მაგალითს და შთაგონებას ღებულობდა ბიზანტიისაგან – აღმოსავლეთი რომისაგან.

ქართველისათვის ბერძენი იყო ბრძენი. ამ სიტყვიდან მოდიოდა სიბრძნე, ბრძანება და მობრძანება ანუ გონი და ძალაუფლება.

IV საუკუნიდან დაწყებული XI საუკუნის ჩათვლით ქართული კულტურა ბიზანტიურ ორბიტაშია მოქცეული, მაქსიმალურად ითვისებს მას, მისდევს მის ცვალებადობას და ამასთანავე – ცდილობს მისი ფარგლებიდან გასვლას (იხ. „ქრისტიანულ-ეთნიკური მითოსი“).

## ოთხი საწყისი

ახალ კულტურას – ბიზანტინიზმს აყალიბებდა ოთხი საწყისი: ელინურობა, რომაულობა, აღმოსავლურობა და ქრისტიანობა (სიმონ ყაუხჩიშვილი).

ელინისტური ქალაქები – ალექსანდრია, ანტიოქია, კესარია, სელევკია, რომელთაც ჰყავდათ არაერთი გამოჩენილი წარმართი მოაზ-

როვნე და მოღვაწე, გარდაიქმნა ქრისტიანული კულტურის ცენტრებად, მაშინ როცა ათენმა დაკარგა ყოველგვარი ფუნქცია.

რომის იმპერიაში ვრცელდებოდა აღმოსავლური მისტერიები, ისიდას, კიბელეს, მითრას, ქრისტეს რელიგიები.

ელინიზმის ათვისების შემდეგ ადამიანი ხსნას ეძებდა აზიურ საიდუმლო რიტუალებსა და მისტერიებში, რომელთაც მოჰყვა ჯვარცმული იესო ქრისტე (ბერძნ. მხსნელი, ებრ. მესია).

ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ ქრისტე რეალურად არსებობდა და ჯვარზე გააკრეს დაახლოებით ახ. წ. 30 წელს. შემდეგ კი მოხდა მისი მითოლოგიზება და გაღმერთება.

ეგვიპტე, სირია – პალესტინა, კაბადოკია, ალექსანდრიის, იერუსალიმის, ანტიოქიის ეკლესიები და მონასტრები განსაზღვრავდნენ ქრისტიანულ კულტურას.

აქ იყო ქრისტეს საფლავი.

აქედან იყვნენ მისი მოციქულები.

აქ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი თეოლოგები და მღვდელმთავრები, ნეოპლატონიკოსები, მწერლები და მწვალებლები.

აღმოსავლეთის ხალხებს შეჰქონდათ თავიანთი წარმოდგენები ბერძნულ ენასა და კულტურაში, რომელიც კარგავდა თავის სპეციფიკას, ანტიკურ სტილს, იდეალებს. კვდებოდა ძველი ბერძნული – ჰომეროსის, პლატონისა და ალექსანდრე მაკედონელის ენა, ირღვეოდა კვანტიტეტი, შესაბამისად – ლექსთწყობაც და IV საუკუნიდან ჩამოყალიბდა ბიზანტიური ენა და მწერლობა, ქრისტიანული მწერლობის ასკეტურ-მისტიკური დარგები.

ბიზანტია იყო რომაელთა მახვილით დაპყრობილ ხალხთა კონგლომერატი და კულტურაც მრავალი ეთნიკური ერთეულის მიერ იქმნებოდა (შდრ – სსრკ და სოციალისტური კულტურა).

მათ აერთიანებდა სახელმწიფო, ქრისტიანობა და ბიზანტიური ბერძნული ენა, ზნეობრივი პრინციპები.

VI საუკუნიდან ბიზანტიის ელიტამ თანდათან დათმო ლათინური ენა.

ელისური და ელინისტური ქალაქებით იყო მოფენილი ზღვისპირეთი, იყვნენ ბერძენთა გამგებლობის ქვეშ. ჩვენი წინაპრები გაცილებით კარგად ეგუებოდნენ ბერძენს – ელინელს, ელინისტს თუ ბიზანტიელს, ვიდრე ირანელს – მაზდეანს თუ მაჰმადიანს.

ცხადია, ქართული სახელმწიფო და ქართული კულტურა არცერთს არ უნდოდა.

V-XI საუკუნეთა ქართული კულტურაც გამომდინარეობს ქრისტიანული რელიგიიდან, რელიგიური რიტუალებიდან, მწერლობა ემსახურება ღვთისმსახურებას, ფილოსოფია – თეოლოგიას.

უარყოფილ იქნა ირანულ-მაზდეანური და ელისურ-რომაული ტრადიციები, როგორც წარმართული. ხოლო ქართველურ-ანიმისტური წარმოდგენები ელიტისათვის ადრეც მიუღებელი იყო, როგორც მდაბიური და ვულგარული.

როგორც ადამიანის სხეულისათვის ნივთიერებათა ცვლა, როგორც მუდმივი კონტაქტი გარემოსთან და მისი სიგნალების გაშიფრვა-მოდელირება, ისეა აუცილებელი საზოგადოებისა და ერისათვის, კულტურისა და სუბკულტურებისათვის იდეების გაცვლა-გამოცვლა, ფორმების განახლება, რაღაცის უარყოფა და რაღაცის შემოტანა.

როგორც ვაჭრობა აძლიერებს კონტაქტებსა და ეკონომიკას, ისე კულტურულ გამოცდილებათა გაზიარება, გააზრება და ათვისება ხელს უწყობს ინტელექტუალურ ძალთა მობილიზებას, გააქტივებას.

გარე ცენტრებთან კონტაქტების გარეშე კულტურა და საზოგადოება არ ვითარდება. ელინიზმი, მაზდეანიზმი, ბიზანტინიზმი, ისევე როგორც ომები, ამსხვრევდა კარჩაკეტილ სფეროებს და აყალიბებდა ერთიან ცნობიერებას, განსხვავებით ამერიკული, აფრიკული და ავსტრალიური ტომებისაგან, რომელნიც იზოლირებული არსებობის გამო საუკუნეებით ჩამორჩნენ კაცობრიობის პროგრესს (შდრ – მატერიკი და კუნძული).

ქრისტიანობის მიღებით ქართული სულიერება ჩაერთო ბერძნულ-ლათინური კულტურის სისტემაში, რაც დღევანდელი კულტურისა და ცივილიზაციის საფუძველია. ხოლო ბიზანტინიზმი იყო

მისი ადრეული ქრისტიანული ფორმა. ალექსანდრე მაკედონელის ელინიზმი დამარცხდა პოლიტიკურად. მაგრამ გაიმარჯვა კულტურით.

ბიზანტიურ პერიოდში პირიქით მოხდა:

ახლო აღმოსავლეთში ბერძნული ენა და კულტურა გაბატონდა, რომელმაც აიტაცა იუდეველთა წიაღში წარმოქმნილი განმაახლებელი რწმენა. იგი გამარჯვებულმა ბიზანტიამ საკუთარ იდეოლოგიად გარდასახა, როგორც რუსეთმა – მარქსიზმი.

ბიზანტინიზმი იქცა კულტურისნობის ეტალონად. ქართველები ცდილობდნენ მაქსიმალურ დაახლოებას ქრისტიანობის ციტადელთან, თუმცა ბერძნები ეჭვით უყურებდნენ ქართველთა აქტივობას, უყურებდნენ ქედმაღლურად, ცდილობდნენ დაებრალებინათ ბარბაროსობა და მწვალებლობა, გამოეძევიანათ ეკლესია-მონასტრებიდან, დაუფლებოდნენ ქართველთა ქონებას, არ აღიარებდნენ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას, არც ქართველ მეფე-მთავრებს, არც გაერთიანებული ქვეყნის მეფეებს.

მათ უწოდებდნენ მთავარს, არქონტს, ექსუსიასტს (მფლობელს). არც ქართულიდან თარგმნიდნენ რამეს, როგორც „ბარბაროსთა“ ნაწერს.

ბიზანტიელებისათვის ქართული ეკლესია, ქართული სახელმწიფო, ქართული კულტურა იყო მუდმივი დაქვემდებარების ობიექტი.

სცნობდნენ მხოლოდ ცალკეულ მოღვაწეებს (მაგ., პეტრე იბერი, ილარიონ ქართველი, გიორგი ათონელი). ამიტომ იტაცებდნენ და ითვისებდნენ ქართულ ეკლესია-მონასტრებს.

ქართველები აღიარებდნენ ბიზანტიელთა სიდიადეს და მოთმინებით ეკიდებოდნენ მათ ქედმაღლობას (შდრ – გიორგი ათონელის „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“).

## წამება და კონცეფცია

არქაიკა, წარმართული ყოფა ეყრდნობოდა და ემორჩილებოდა ინსტიტუტებს, ინსტიტუტების კარნახსა და აზვირთებას. ამიტომ გეოგრაფიული და კულტურული იზოლირება, კარჩაკეტილი არსებობა მაინც ანათესავებდა უცხო რასებსა და ტომების პირველად წარმოდგენებს. ხოლო ქრისტეს სჯული მოითხოვდა გონით მოქმედებას, ინტელექტის გააქტივებას, ინტელექტუალურ წესრიგს, თანასწორობას და თანადგომას კაცთა შორის. ეს კი შეუძლებელი იყო ეთნიკური კონტაქტებისა და კავშირების გარეშე.

ერთგან ერთიანობა ხორციელდებოდა ინსტიტუტების, მეორეგან – მისტიკური რაციონალიზმის დონეზე.

ამ წესრიგის განმრიგე იყო შეუცნობელი, დაუსაბამო უზენაესი ძალა, რომელიც ხელისუფალთ ჩააგონებდა გონიერებას და იერარქიის პრინციპის დაცვას. იგი, როგორც დირიჟორი, წარმართავდა ხალხთა ცნობიერებას.

პოლითეისტური რელიგიები ასეთი ერთიანობითა და სიმტკიცით გამორჩეული ვერ იქნებოდა. სინკრეტიზმი, მრავალი ღმერთის მსახურება ამის საშუალებას არ იძლეოდა. მაგრამ იყო დემოკრატიული, შემწყნარებლური და ლოიალური, რადგან ღმერთების სიმრავლე ამავე დროს იყო ტომთა სიმრავლის გამოხატულება: უცხოური და ადგილობრივი ღმერთები ერთად იყრიდნენ თავს.

არქაული დემოკრატიის კოლექტიურმა ფანტაზიამ შეთხზა პოლითეიზმი, როგორც გამომდინარე საგანთა სახელდებიდან.

ცენტრალიზება, ძალაუფლების თავმოყრა ერთი პირის ხელში მოითხოვდა რწმენის ინტეგრირებას, იერარქიის დაცვას, რაც ასევე აისახებოდა კულტურის ფორმებში.

ხელისუფლება, რელიგია, კულტურა ახალ ტრიადას ქმნიდა, რაც ცვლიდა ელიტისა და მასის შეგნებას, ტომობრივ თვალსაზრისს შლიდა და ადამიანები მიჰყავდა გენეტიკურ კავშირთა რაციონალური ორგანიზებისაკენ – ერად და სახელმწიფოდ კონსოლიდირებისაკენ.

საამისოდ საუკეთესო საფუძველი იყო მონოთეისტური რელიგია, რომლის ჩამოყალიბების პირველი ცდა ეკუთვნოდა ეგვიპტის ფარაონ ეხნატონს. მისგან კი გადაიღეს, განამტკიცეს და შეინარჩუნეს მოსემ და მისმა შთამომავლებმა, რამაც საუკუნეების მანძილზე ასიმილირებისაგან იხსნა სახელმწიფო, მიწა და ენადაკარგული ებრაელები.

ქრისტიანობა იუდაიზმიდან გამოვიდა, რომელმაც მებრძოლ ბოროტებას დაუპირისპირა სათნოება და მორჩილება, სიკეთე და ღმობიერება. ეს იყო დამარცხებული ხალხის სულისკვეთება, რათა სიტუაციას შეგუებოდნენ და არსებობა გადაერჩინათ.

მიეცეს კეისარს კეისრისა, – ამბობს ქრისტე. იგი წინააღმდეგობის გაუწევლობას ქადაგებდა, რადგან ახალი დაპირისპირება მთლად მოსპობდა ებრაელ ხალხს.

წარმართს, იუდეველს თუ მაზდეანს სწამდა ღმერთი და სასუფეველი. მაგრამ მათთვის უცნაური იყო ქრისტიანული ასკეტიზმი, მორჩილება და წინააღმდეგობის გაუწევლობა, მოწამეობრივი აღსასრული.

რომის პოლითეისტური, სისხლიანი, გარყვნილი და ნებიერი ელიტისათვისაც უცხო და საძულველი იყო ქრისტიანული ასკეტიზმი, მკაცრი ეთიკა, თანასწორობა და ჩაგრულთა თანადგომა, თუმცა თავიდან მას ვერც ანსხვავებდნენ იუდაიზმისაგან.

კონფლიქტს იწვევდა ის, რომ ქრისტიანები ღმერთად არ აღიარებდნენ იმპერატორს, არ მონაწილეობდნენ წარმართულ რიტუალებში, მსხვერპლშეწირვებში.

პირველ ქრისტიანებს სასტიკად ექცეოდნენ, აწამებდნენ, ხოცავდნენ, აბრალებდნენ კაციჭამიობას (ზიარების საიდუმლის დამახინჯება), გარყვნილებას (კატაკომბებში საიდუმლო შეკრება), ღმერთების განრისხებას (პოლითეიზმის უარყოფა), ებრაელობას (ქრისტეს წარმომავლობის გამო), რომის გადაწვას, რომელიც ნერონმა ჩაიდინა.

განსაკუთრებით მრავალი ქრისტიანი შეეწირა იმპერატორების დეციუსისა (249-251) და დიოკლეთიანეს (284-305) მიერ გაჩაღებულ რეპრესიებს. ეკლესია დღემდე ინახავს მოწამეთა სახელებს.

ადრევე დაიწყეს სასამართლოს ოქმებისა და თვითმხილველთა ჩანაწერების ანუ მოწამეთა აქტების შეგროვება, რათა ეკლესიას ჰქონოდა სწორი ინფორმაცია წამებულებზე, დევნილებზე, მათ ცხოვრებაზე.

დრო რომ გავიდა, რომს დასჭირდა მონოთეისტური, მრავალრიცხოვანი, მრავალჭირგადატანილი რელიგია ერთიანობის შესანარჩუნებლად. შესაბამისად – იგი დასჭირდათ ქვეშევრდომ თუ სატელიტ ქვეყნებს, მათ შორის ლაზიკასა და იბერიას. მაშინ ქრისტიანთა რაოდენობა შეადგენდა მთელი იმპერიის მოსახლეობის 10 პროცენტს (შდრ – იმპერატორი კონსტანტინე მხოლოდ სიკვდილის წინ მოინათლა).

მათი და ეკლესიის ქვაკუთხედი იყო ქრისტეს 12 მოციქული, რომელთაც მოუწოდა მაცხოვარმა:

„არა თქვენ გამოიმრჩიეთ მე, არამედ მე გამოგირჩიენ თქვენ და დაგადგინენ თქვენ, რადთა თქვენ წარხვიდეთ და ნაყოფი გამოიღოთ“ (იოანე, 15,16).

პირველმოციქული იყო პეტრე, რომის ეკლესიის წინამძღვარი.

ჯვარცმული და მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს სახელი მთელს იმპერიას მოჰფინეს თავგანწირულმა, რწმენით ანთებულმა მოციქულებმა.

მათ შესძლეს შეუძლებელი, რომელთა ხელისუფლება გადაეცათ ხელდასხმულ ეპისკოპოსებს.

ქრისტიანთა დევნა-წამება, ამქვეყნიური ტანჯვა ზრდიდა მისტიკისა და საიქიო ცხოვრების მნიშვნელობას.

იქმნებოდა წამების მატიაზე, იქმნებოდა ლოცვითა და სისხლით.

დაღვრილი სისხლი და წამებულთა ხსოვნა სტიმულს აძლევდა თეოლოგიურ და ლიტურგიკულ კონცეფციებს, ასკეზსა და მისტიკას, მისტიკური განსჯისა და ერთიანობის, მიტევებისა და შურისგების აუცილებლობას.

განმკითხველი, გამსჯელი და დამსჯელი თავად ქრისტე იქნებოდა, როცა მეორედ ცეცხლითა და მახვილით მოვიდოდა.



## ორგანიზაციულ-იერარქიული წესრიგი

ქრისტიანებმა შექმნეს მტკიცე ორგანიზაციული, იერარქიული სტრუქტურა და დეტალურად გათვლილი თეოლოგიური სისტემა, ამ სისტემიდან გამომდინარე სააზროვნო ფორმები და დარგები.

პავლე მოციქულის მიერ დაარსებულ პირველქრისტიანთა კრებულს ერქვა ეკლესია (ბერძნ. Ekklesia, რაც მრევლისათვის განკუთვნილ წირვა-ლოცვის, ქადაგების, გალობის შენობად იქცა), გამგებელს – ეპისკოპოსი (ბერძნ. Epi-ზე, skopeo – ვსინჯავ, ვათვალიერებ).

მერმე ეპისკოპოსი ეწოდა რელიგიური ადმინისტრაციული ერთეულის – ეპარქიის უფროსს, არქიეპისკოპოსი – ეპისკოპოსთა მეთაურს (ბერძნ. Arche – საწყისი, ხელმძღვანელი, უფროსი).

წმ. ეგნატე ეპისკოპოსს ქრისტეს ადარებდა, პრესვიტერები (მღვდლები) კი მოციქულებად წარმოედგინა.

მათი თანაშემწე და დამხმარე იყო დიაკონი, რომელსაც ყველაზე ხშირი კონტაქტი აქვს მრევლთან.

მიტროპოლიტი ეპისკოპოსთა უმაღლესი წოდებაა, კათალიკოსი – მართლმადიდებლური ეკლესიის, პატრიარქი – ავტოკეფალიური მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურია.

ჯერ ოჯახობრივი შეზღუდვა არ იყო დაწესებული – ეპისკოპოსები ცოლიანები იყვნენ (681 წლის VI მსოფლიო კრებამდე).

ბერ-მონაზვნები ქმნიდნენ ხალხისაგან განმდგარ ორგანიზაციას – მონასტერს (ბერძნ. Monasterion), რომელსაც ჰქონდა თავისი ტიპიკონი, ეკლესია, მეურნეობა, მიწა, ჰყავდა წინამძღვარი, ყმა-გლეხები, დიდ მონასტერს – არქიმანდრიტი.

გამორჩეული შენობა იყო ტაძარი, უფლის სასახლე (მაგ., სვეტიცხოველი), სადაც უმთავრეს რელიგიურ დღესასწაულებს უძღვებოდა ეკლესიის მეთაური (ძვ. სპარსული tacara – სასახლე). უგუმბათო ტაძარს ერქვა ბაზილიკა (ბერძნ. Basilikos – სამეფო), რომელსაც აგებდნენ ანტიკურ ხანაში.

პავლე მოციქულის სიტყვით, ეპისკოპოსის ხელდასხმა – ეს იგივე ეკლესიაზე ქორწინების პროცესი იყო.

ეპისკოპოსი მაშინვე ასრულებდა ევქარისტიას (ზიარების მიღება).

შემდეგ გაჩნდა სინოდი (sinodos – კრება). ეპისკოპოსებს შეეძლოთ ეპარქიების შეცვლა. სინოდი იყო სენატის ანალოგიური საბჭო, პატრიარქი შეესაბამებოდა იმპერატორს, ოღონდ ძალაუფლება იყო არჩევითი.

ამას მოითხოვდა სახელმწიფოსა და ეკლესიის მოწყობის ბიზანტიური თეორია, მათი სიმფონია, ურთიერთთანადგომა.

მოციქულთა ავტორიტეტს ამ სფეროში IV საუკუნიდან დაერთო წმ. მამების სწავლანი (ათანასე დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი, ბასილ დიდი, გრიგოლ ნოსელი, ნეტარი ავგუსტინე, იოანე ოქროპირი, კირილე ალექსანდრიელი, პაპი ლეონ დიდი...), 7 საეკლესიო მსოფლიო კრებისა და რეგიონული კრებების გადაწყვეტილებანი, ნომოკანონი, პენტარქიის პრინციპი.

ყოველი წესრიგი ემყარება ძლიერ და შეუცნობელ ძალას, რომელსაც ვერ სძლევს კაცთა ეგოიზმი და პრაგმატიზმი.

საეკლესიო იერარქია და სტრუქტურა, თეოლოგიური წარმოდგენები, ღმერთმსახურებისა და შავი და თეთრი სამღვდელოების ცხოვრების წესები ბიბლიის საფუძველზე თანდათან ივსებოდა და ზუსტდებოდა, დოგმებად ყალიბდებოდა.

## სამწერლობო დარგები

ბიბლიოლოგია სწავლობდა ბიბლიას, იცავდა მისი წიგნების კანონიკურობას; ეგზეგეტიკა მათ სიმბოლოებს, სახეებსა და სიტყვებს განმარტავდა როგორც სიმბოლურად, ისე მარტივად; დოგმატიკა ადგენდა ქრისტიანობის მთავარ ფორმულებს, რასაც როგორც განსჯით, ისე პოლემიკით აკეთებდა; ჰაგიოგრაფია ქრისტესათვის თავდადებულ ადამიანთა ცხოვრებას ან წამებას აღწერდა; ჰომილეტიკა თავს უყრიდა მოძღვართა ზეპირ ქადაგებებს, ენკომიებსა და ეპიტაფიებს;

საეკლესიო ცხოვრების მართვა-გამგეობისა და სამართლებრივ კანონთა კოდექსია ნომოკანონი (სჯულისკანონი); ღმერთმსახურება ტიპიკონით იყო განსაზღვრული, რომლისათვის განკუთვნილ გრაფიკსა, საკითხავებსა და საგალობლებს ლიტურგიკა ადგენდა; საეკლესიო გალობისათვის იქმნებოდა ჰიმნოგრაფიული ტექსტები, ასევე – მორწმუნეთა დასამოდღვრად, საეკლესიო კალენდრის მიხედვით.

შეიქმნა საეკლესიო ფოლკლორიც – აპოკრიფები, არაკანონიკური ტექსტები.

ქრისტიანული მწერლობის ამ დარგებს ჰქონდა ასკეტიკურ-მისტიკური შინაარსი. მაგრამ გამოიხატებოდა აფორიზმებითა და სენტენციებითაც, ბერ-მონაზონთა მონასტრული, ამ სოფლისაგან განდგომილთა ცხოვრების წესით.

ასეთი მრავალმხრივი ცოდნით იპყრობდა ეკლესია მორწმუნის ცნობიერებას.

ეს ყოველივე იყო მოქცეული ეკლესია-ტაძრებისა და მონასტრების გარსში, რომლის წიაღში სამღვდელონი და მრევლი ადიდებდნენ უფალს, უფლის მყოფობას, ქრისტეს, ღვთისმშობელს, მოციქულებს, წმინდანებს, მოწამეებს.

რელიგიური დღესასწაულები, წირვა-ლოცვა, ნათლისღების, ჯვრისწერის, გალობის, ქადაგების თუ მიცვალებულთან გამოთხოვების პროცესი რიტუალიზებული სანახაობა იყო, რომელიც ღრმად სწვდებოდა მორწმუნის გულს. სამღვდელოთა ხელში იყო ელიტარულ ყრმათა აღზრდის პროცესიც.

ქრისტიანულ კულტურას აყალიბებდნენ და მიმართულებას აძლევდნენ ბიზანტიელი და რომაელი იმპერატორები და მღვდელმთავრები, ასკეტ-მისტიკოსები, თეოლოგები. საერთო საფუძველი კი იყო ბიბლია.

თეოლოგიური აზროვნების განვითარებაში გამოიყოფა რამდენიმე ეტაპი შესაბამისად – თეორიული ნაკადი:

წინასწარმეტყველური, წინამორბედული, ლოგოსური, აპოსტოლური, აპოლოგეტური, პატრისტიკული, სქოლასტიკური (რევაზ სირამე).

პრაქტიკა იყო ღმერთმსახურება, რისთვისაც ითარგმნებოდა და იწერებოდა წიგნები.

## ღვთისმსახურება და ეკლესია

ღვთისმსახურების წესი საერთო იყო ყველა ქრისტიანული ეკლესიისათვის. შემდეგ ცვლილებები შეიტანეს ცალკეულმა მიმართულებებმა და სექტებმა, რომლებიც არ დაემორჩილნენ მსოფლიო კრებათა გადაწყვეტილებებს.

12 საუფლო დღესასწაული (ქრისტეშობა, ნათლისღება, მირქმა, ფერისცვალება, ლაზარეს აღდგინება, იერუსალიმს შესვლა, საიდუმლო სერობა, ჯვარცმა, ჯოჯოხეთის წარტყვევნა, თომას დარწმუნება, ქრისტეს ამაღლება, სულიწმინდის მოფენა), წმინდანთა, მოწამეთა და ღირსთა ხსენების გრაფიკი, 7 საიდუმლოს დაცვით (ნათლისღება, მირონცხება, ევქარისტია, აღსარება, ზეთისცხება, მღვდლობა, ქორწინება) იყო საწელიწადო კალენდარი, რომლის გარშემო განლაგდა ცისკრისა და მწუხრის წირვა-ლოცვები, საკითხავები და გალობანი, ქადაგება და მიმართვა, როგორც უზენაეს ძალთა დიდება და მრევლის დამოძღვრა.

ეს პროცესი წარმოდგენილი იყო, როგორც მისტიკური სპექტაკლი, წარმართული სისხლიანი რიტუალების სულიერი ვარიაცია.

ლოცვა შეიძლებოდა ყველგან და ყოველთვის. შემდეგ ჩამოყალიბდა ლოცვის გრაფიკი და ადრესატები. ლოცვისას მორწმუნე პირჯვარს იწერდა, მუხლს იდრეკდა, ხელებსა და თვალებს ცისკენ ალაპყრობდა, მიწაზე პირქვე ეცემოდა.

ლიტურგიის (მართლმადიდებლური წირვა, კათოლიკური მესა) სახელმძღვანელოს დაერქვა კონდაკი (ჟამისწირვა), რომლის რამდენიმე რედაქცია არსებობდა (მაგ., მოციქულთა, ეკლესიის მამათა).

კალენდარი ყოველი ნაციონალური ეკლესიისათვის საერთო და სავალდებულო იყო. შეჰქონდათ მხოლოდ ცალკეული, ადგილობრივი სპეციფიკის შემცველი დეტალები (მაგ., საკუთარ წმინდანთა ხსენების აღნიშვნა, ცალკეული კორექტივები).

თავიდან კი, ვიდრე ეკლესიის უნიტარიზება მოხდებოდა, ყველას თავისი კალენდარი ჰქონდა.

ქრისტიანული რწმენა ხალხის გონებაში შთაიბეჭდებოდა საეკლესიო რიტუალებით, ტაძრებითა და მონასტრებით, წიგნებითა და ზნეობით, წმინდანთა და მოწამეთა სახეებით, სიკეთის, სათნოებისა და თანასწორობის ქადაგებით.

იგი საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა სხვადასხვა თაობის და ნაციონალობის მოაზროვნეთა მიერ.

საწყისი იყო ფინიკიური ტანჯვის რელიგია, კვდომადი და აღდგომადი ღმერთები (მაგ., ატისი და აღონისი).

მონოთეისტური იუდაიზმი თუ ერთი ხალხის რელიგია იყო, ქრისტე თავისუფლებას და თანასწორობას ქადაგებდა ყველასათვის, ყველა ჩაგრულისა და უპოვარისათვის, ყველა სოციალური ფენისათვის.

ცათა სასუფეველი, ჯოჯოხეთი და განკითხვის დღე ნერგავდა შიშს და ერთიან წარმოდგენებს მორწმუნის ცნობიერებაში.

ქრისტიანული კულტურა ქართველ ხალხშიც ამკვიდრებდა შესაბამის ხედვას, ცხოვრების წესს, მორალს, ეტიკეტს, ესთეტიკას, აახლოებდა სხვა ხალხებთან, ნერგავდა ბოროტისა და კეთილის გაგებას (იხ. „ცხოვრების ახალი წესი“).

წარმართული კეთილი და ბოროტი სულები ქრისტიანობამ ანგელოსებად და დემონებად აქცია, დემონების თავადია სატანა – დაცემული ანგელოსი.

ანგელოსთაგან პეტრე იბერმა შექმნა ზეციური და მიწიერი იერარქია („მღდელმთავრობა“).

წარმართული ღმერთები აპოლოგეტებმა დემონებად შერაცხეს. ანტიკური ტრადიციით დემონი დგას ღმერთსა და ადამიანს შორის. იგი არის სუსტი ღმერთი და ძლიერი ადამიანი.

ქრისტიანული დემონოლოგიის საწყისებს ხედავენ ბიბლიაში, ასურულ-ბაბილონურ და ირანულ მითებში.

მღვდელმთავარი, საეკლესიო მოღვაწე არა მხოლოდ მისტიკოს-ასკეტიკოსი და მოაზროვნე, არამედ – ორატორიც უნდა ყოფილიყო.

გამოჩენილი ორატორები იყვნენ გრიგოლ ნაზიანზელი, ბასილ კესარიელი, გრიგოლ ნოსელი, ევაგრე პონტოელი, იოანე ოქროპირი, ავრელიუს ავგუსტინე, იოანე დამასკელი...

ჰომილიები მრევლს უფრო სწრაფად და იოლად იზიდავდა, ვიდრე წიგნი და ეტრატი. მოსმენა მაშინაც ერჩიათ კითხვას, თანაც – კითხვა თითქმის არავინ იცოდა.

საეკლესიო ქადაგებანი რამდენიმე სახისა იყო – აქაც მოქმედებდა სიტყვის დიფერენცირების პრინციპი: სამომღვრო, სააღმზრდელო, სახობო, საზეიმო, საგოდებელი.

ორატორული ტალანტი ასევე ვლინდებოდა პოლიტიკური და რელიგიური პაექრობის ჟამს, როცა მეფე და სარდალი მიმართავდნენ ჯარს, ხალხს, დარბაზს. მაგ., გუბაზ მეფის მიმართვა მხედრობისადმი მოხირისის ბრძოლის წინ, რომელიც გადმოცემული აქვს პროკოპი კესარიელს, ან აეტისა და ფარტაზის გამოსვლები ლაზიკის პოლიტიკური ორიენტაციის გამო.

აეტის აზიანურ, მღელვარე სიტყვას უპირისპირდება ფარტაზის ატიცისტური სადა მეტყველება.

მღვდელმთავარი სანიმუშოდ მიაჩნდათ გონით, მეტყველებით, წერის უნარით, სათნოებით, ასკეტიკურ-მისტიკური ცხოვრების წესით.

კაცობრიობის ერთ ნაწილს რელიგია აკავშირებდა, მაგრამ თიშავდა მეორე ნაწილისაგან, რაც იწვევდა პოლარიზებასა და დაპირისპირებას (მაგ., ქრისტე და მაჰმადი), კონფლიქტებსა და ომებს, მუდმივ აგრესიას.

ამგვარი შეჯახებები და სისასტიკე ტრაგედია იყო ინდივიდებისა და ხალხებისათვის. მაგრამ მოჰქონდა პროგრესი კაცობრიობისათვის.

სემიტი იესო ქრისტე, რომელიც არამეულად მეტყველებდა, განადიდეს, ერთადერთ და ჭეშმარიტ მხსნელად იწამეს ინდო-ევროპელმა ბერძნებმა, ლათინებმა, გერმანებმა, სომხებმა, სლავებმა, სემიტმა კობტებმა და სირიელებმა, იბერიელ-კავკასიელმა ალბანებმა და ქართველებმა. მაგრამ არ სცნეს თანამომძე ებრაელებმა.

მაცხოვარი თავად ამბობდა, წინასწარმეტყველს არ ღებულობს საკუთარი სახლი და საკუთარი სამშობლო.

ამისი დასტური იყო ქრისტესა და მისი 12 მოციქულიდან 11-ის მოწამეობრივი აღსასრული.

თორმეტივე მოციქული გალილეელი ებრაელი იყო. ებრაულია ძველი აღთქმა. მაგრამ იესო ქრისტემ ახალი რეალიების შესაბამისად დაარღვია წინაპართა წარმოდგენები და ცხოვრების წესი, რასაც შესწირეს კიდევ რაბინებმა.

ჯვარზე გაკრული მაცხოვარი გახდა მთელს რომის იმპერიაში მილიონობით ჩაგრულთა და უპოვართა, მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა ღმერთი, რომელიც ქადაგებდა თანასწორობას, ურთიერთპატივისცემას, ვნებების დაცხრომას, წესრიგსა და მორჩილებას ანუ ახალ რწმენას, ახალ ეთიკას, ახალ ხედვას.

რწმენის ერთგულთ, მისთვის მაშვრალთა და წამებულთ ელოდათ მარადიული სასუფეველი, მოღალატეებსა და ურწმუნოებს – მარადიული ურვა და ტანჯვა ჯოჯოხეთში.

ნაციონალისტი მოსე შეცვალა ინტერნაციონალისტმა ქრისტემ.

ქრისტიანული მოძღვრებით ადრევე დაინტერესდნენ ცალკეული ინტელექტუალებიც (მაგ., იოსებ ფლაბიუსი, ტერტულიანე, რომელმაც შემოიღო „სამების“ ცნება და ჯერ გაქრისტიანდა, შემდეგ ეკლესიას განუდგა). მას დაესესხა ისლამიც (იხ. „მაჰმადი და ისლამი“).

იკვლებოდნენ ღვთისმეტყველები და მათი კონცეფციები, მხოლოდ ქრისტე და მოციქულები იყვნენ კლდესავით ურყეველნი.

ქრისტიანული კულტურა ყალიბდებოდა მასების წიაღში, პასუხობდა მასების მოთხოვნილებასა და შეგნებას. შემდეგ მოხდა რწმენის მისტიკური ინტელექტუალიზება და იქცა ელიტის კუთვნილებად.

მასობრივი გადავიდა ელიტარულში. გამარჯვების დროიდან კი დაიწყო მასის წარმოდგენების შეცვლა და დამორჩილება, სულიერი აღზრდა.

ღმერთი, სასუფეველი და ჯოჯოხეთი მღვდელმსახურთა ჩაგონებით მოქმედებდა ადამიანთა ცნობიერებაზე, ანელებდა ინსტინქტების ბარბაროსულ ძალას, რათა მათ არჩევანი გაეკეთებინათ.

ქრისტიანობის ასკეტიკურ-მისტიკური იდეალები თრგუნავდა ადამიანთა მანკიერებას, მიწიერ ბიწიერებას, ხელს უწყობდა ცხოვრების ჰუმანიზებას, სიკეთის გაძლიერებას, ცხოვრებისა და პიროვნების გაუკეთესებას, ადამიანთა კონტაქტებს.

ზეცისკენ მზერას მოჰქონდა სიწმინდე, სიმშვიდე, სიკეთე.

## 2. რწმენა და ერესი

### ანტიკურობის დამხობა

ქრისტიანობა დაუსაბამო და შეუცნობელი ღმერთის სახელით უპირისპირდებოდა ხორციელობის კულტს, თავაშვებულ ვნებებს, ემოციების ამბოხს. ამისი შედეგი იყო მორალური პრინციპების დამკვიდრება, გონების პრიმატი, ადამიანთა ურთიერთობის შემდგომი მოწესრიგება, განსაკუთრებით – სექსის სფეროში.

ასევე ებრძოდა და მკაცრად განსჯიდა სიშიშვლეს, გარყვნილებას, ლოთობას, ძალადობას, ღალატს, ნაყროვანებას, ამპარტავნებას.

თავისუფალი ცხოვრების წესი და სხეულის კულტი ბარბაროსულ, პირუტყვეულ ჩვეულებად ანუ უზნეობად იქნა მიჩნეული.

სხეულის კულტს ენაცვლებოდა სულის კულტი, რაც შეზღუდავდა ინსტინქტების ზეობას. აზრსა და გონებას უნდა მოეწესრიგებინა



ინსტინქტების თარეში, სხეული სამოსელს დაეფარა, ვნებათა ღელვა – სიტყვას.

რწმენა და მისტიკა, უფლის სიყვარული და ხილვებიც მათ უნდა დამორჩილებოდა, სისხლი და მახვილი ლოცვითა და ჯვართი ძლეულიყო, სიხარული, სიცილი, ღიმილი ტანჯულ სახეებს შეეცვალა, თეთრი ფერი – შავ ფერს, ფუფუნება – სიღარიბეს, აგრესია – მორჩილებას.

V საუკუნის ათენში ჯერ კიდევ სწამდათ ელინური ღმერთები, მითუმეტეს – პროვინციებში. XI საუკუნეშიც კი, როგორც წერს გიორგი მცირე, გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფი, მათ სიახლოვეს ყოფილა სოფელი ლივიზდია, სადაც უგუნური და პირუტყვის მსგავსი კაცნი, „ქვეწარმავალთა მჭამელნი“, ქალის მარმარილოს ქანდაკებას თაყვანს სცემდნენ.

გიორგიმ კერპი უროთი დაღეწა.

ანტიკური ტრადიციების ლიკვიდირება აუცილებელი გახდა, რათა ისინი შეეცვალა ქრისტიანულ წესებს.

341 წელს კანონით აიკრძალა ყოველგვარი მსხვერპლშეწირვა.

353 წელს დაიგმო ყოველი კერპი, შესაბამისად – ქანდაკებები.

380 წლის ედიქტით იმპერატორმა თეოდოსიმ ქრისტიანობა სავალდებულო სარწმუნოებად გამოაცხადა.

აკრძალეს გლადიატორთა სისხლიანი სპექტაკლები, დახურეს ამფითეატრები, შეწყვიტეს სპორტული შეჯიბრებები, გაანადგურეს სამისნოები, ქანდაკებები დაამსხვრიეს, დაგმეს გართობა-თამაშობანი.

გამარჯვებული ქრისტეს მსახურები შურს იძიებდნენ დევნისა და წამებისათვის.

365 წელს გაუქმდა გალობა ეკლესიებში (გარდა ფსალმუნებისა), 391 წელს – წარმართული ტაძრები, 393 წელს – ოლიმპიური თამაშები, 529 წელს – ათენის უნივერსიტეტი (მას შეენაცვლა კონსტანტინეპოლის ქრისტიანული უმაღლესი სასწავლებელი).

ქრისტიანებს ასევე ეკრძალებოდათ „ფუნდრუკ–ხუნტრუცი“, როკვა და მღერა, კომიკური, ტრაგიკული, საცირკო როკვითი წარმოდგე-

ნების შესრულება და ყურება, საერთოდ – გრძნობათა სიჭარბე და ფანტაზირება. მაგ., იოანე ოქროპირსა და ეფრემ ასურს ოცნება ლატაკი სულის თვისებად მიაჩნდათ.

კონსტანტინეპოლის VI მსოფლიო კრების 50–51 კანონების მიხედვით სასულიერო პირებს სანახაობებისათვის არ უნდა ეყურებინებინათ, ქორწილებსა და წვეულებებზე სანამ მსახიობები შემოვიდოდნენ, მანამდე უნდა წასულიყვნენ, არადა – განკვეთა ელოდათ.

მსახიობობას გმობს დიდი სჯულისკანონიც, როგორც მიუღებელს ქრისტიანული ზნეობისათვის. კარნავალური კულტურა – გართობა, ცეკვა, სიმღერა, ბერიკაობა რჩებოდა მდაბიოთა საკუთრებად.

ქრისტიანობა გამოდიოდა ნიღბებისა და გარდასახვის წინააღმდეგ – ადამიანი გულწრფელი უნდა ყოფილიყო და არა მრავალსახოვანი, რაც ცრუსა და მოღალატეს ნიშნავს (შდრ – ჩინელთა „ყვითელი იმპერატორი“ ხუან-დი, ოთხთვალა და ოთხსახოვანი უმაღლესი ციური ღვთაება).

ნგრევისა და რღვევის მანია გადასწვდა კულტურის ყოველ სფეროს, რასაც მოჰყვა ათასწლოვანი რეგრესი ლიტერატურასა და ხელოვნებაში, აზროვნებაში.

მაგრამ ქრისტიანობას მოჰქონდა ახალი იდეალები, რომელთაც შლიდა საზეიმო-პათეტიკური, თეატრალური ხელოვნების მსგავსი რიტუალებით ცად აჭრილ, ფრესკებით დაფარულ და უფლის დიდებად აჟღერებულ ეკლესიებში.

ზოგი ძველი დღესასწაული ახლით ჩაანაცვლეს. მაგ., 14 თებერვლის ეროტიკული ზეიმი ლუპერკალია, მიძღვნილი იუნონასა და ფავნისადმი, შეცვალეს იმპერატორის მიერ სიკვდილით დასჯილი ვალენტინის სახელით, რომელსაც მრავალი წყვილი დაუქორწინებია.

ქრისტიანობა მკაცრად იცავდა ცოლ-ქმრობის ინსტიტუტს, კრძალავდა გაყრას, მრუშობას, სიძვას, ძალადობას, სექსუალურ გარყვნილებას.

იბერიაში ქრისტეს ჯვარი ებრძოდა მაზდეანობას, ირანული ცხოვრების წესს, ირანულ სახელებს, არამეულს ცვლიდა ბერძნულით.

უფლის დიდებით, საიქიოს სამოთხედ და ჯოჯოხეთად განყოფით, სასწაულებით, დიდი საუფლო დღესასწაულებით, ანგელოსებად სახეცვლილი სულებით, ნათლისღებით, ქორწინებისა და დაკრძალვის ცერემონიალებით, ლოცვითა და დალოცვით, მორალური პრინციპების დაწესებით, სანთლებით, მარხვისა და ხსნილის გრაფიკით, ეპიტიმით, ხატზე გადაცემითა და შეჩვენებით, წმინდანთა და წამებულთა მუდმივი მოხსენებით, მირონით, აიაზმით, საკმევლით, კურთხევით, განკვეთითა და შეწყალებით, ქრისტეს მეორედ მოსვლის მოლოდინით, ამ ცოდნათა ეტრატზე ფიქსირებით, ეკლესია ფლობდა სიცოცხლისა და სიკვდილის საიდუმლოს, რითაც იმორჩილებდა და ანათლებდა როგორც ელიტას, ისე მასებს, როგორც მდიდარს, ისე დატაკს.

მარხვა-ხსნილის გრაფიკით ახლებურად მოწესრიგდა კვებისა და სექსის სფეროები, რაც ასკეტიზმის ნაწილი იყო. იოანე ოქროპირის თქმით, მორწმუნე უნდა განრიდებოდა ბილწსიტყვაობასა და ლანძღვა-გინებას.

პითაგორელები ქორწინდებოდნენ მხოლოდ შვილების გასაჩენად. შემდეგ სექსისაგან თავს იკავებდნენ.

ქრისტიანობას მოსწონდა ასეთი ასკეზი, რაც ბერ-მონაზვნურ ცხოვრებას ჰგავდა. მაგ., პეტრე იბერის პაპამ ბაკურმა და მისმა მეუღლე დუხტიამ ბავშვების გაჩენის შემდეგ შეწყვიტეს ხორციელი კავშირი.

ქრისტიანობა დაემყარა ნეოპლატონურ ფილოსოფიას, პლატონისა და არისტოტელეს სიმფონიას, რათა დაესაბუთებინა ღმერთის უხილავი მყოფობა, ლოგოსის ადგილას ჩასვა ქრისტე, გაიაზრა მიწიერი და ზეციური იერარქია.

დიდი საეკლესიო მამები სწავლობდნენ ანტიკურ კულტურას, ცხრილავდნენ და ფილტრავდნენ, რათა მკვეთრი ზღვარი ყოფილიყო პოლითეიზმისა და თავაშვებული ცხოვრებისაგან. ზოგ ეკლესიაში პლატონისა და არისტოტელეს ფრესკებიც გაჩნდა. ეს ნიშნავდა, რომ

ქრისტიანობა ყველაფერს როდი უარყოფდა, რაც წარმართულ ხანაში არსებობდა.

რაც დრო გადიოდა, ქრისტიანული იდეოლოგია უფრო და უფრო ლმობიერი ხდებოდა ანტიკური კულტურისადმი (შდრ – ბოლშევიკების დამოკიდებულება რელიგიის, ისტორიისა და კულტურის მიმართ). ჩნდებოდა ინტერესი ანტიკური ღმერთებისა, ბერძენი ფილოსოფოსებისა თუ რომის სამართალისადმი.

მაგ., ამ მხრივ საყურადღებოა ევსევის თუ დოროთეოზის ჰაგიოგრაფიული ტექსტი „ევსტრატის წამება“. მისი კიმენური რედაქცია თარგმნილია IX საუკუნეში არაბულიდან, ხოლო მეტაფრასული სვიმეონ ლოლოთეტისა – X საუკუნეში ათონში ექვთიმეს მიერ (კ. კეკელიძე).

ევსტრატი, სასიკვდილოდ განწირული, ეკამათება მსაჯულს, რათა დაუმტკიცოს, რომ ქრისტიანული ცოდნაა ჭეშმარიტი და არა ანტიკური, რომელსაც კარგად იცნობს ანუ კამათის ფორმით გვეძლევა ანტიკური ცოდნა.

გამარჯვებული ეკლესია გახდა სამეფო ხელისუფლების თანამდგომი, ამქვეყნიური სოციალური იერარქიის დამცველი, მშვიდობის, სიკეთისა და სათნოების ქადაგი.

## **დოგმატების ფორმირება**

ქრისტიანობა ასკეტურ-მისტიკური თვისებითაც ინტერნაციონალური მოძღვრება იყო. მაგრამ ეკლესიის მამები დოგმატების დადგენის პროცესში ერთმანეთს არ ინდობდნენ. ინტრიგებისა, დაპირისპირების და შფოთის მსხვერპლი გახდა არაერთი მღვდელმთავარი.

ძალაუფლების ნება, რომელიც კულტურად ჰქონდათ გარდასახული უფლის მსახურებს, როგორც კიბოს მეტასტაზი, მაინც თავს იჩენდა, ერთი ცდილობდა მეორეზე აღმატებასა და დათრგუნვას. მისტიკურ სფეროში ერთმანეთს ებრძოდა რწმენა და ერესი, თუმცა ზუს-

ტად ვერავინ დაადგენდა, რომელი აზრია ჭეშმარიტი ან პრაგმატული.

მაგ., არაერთხელ შერისხეს ათანასე ალექსანდრიელი (IV ს.), მაქსიმე აღმსარებელს ენა მოჰკვეთეს, მარჯვენა მოსჭრეს და ლაზიკაში გადაასახლეს (VII ს.);

კონსტანტინეპოლის პატრიარქობიდან ორჯერ გადააყენეს იოანე ოქროპირი, შემდეგში ეკლესიის ერთ-ერთ მამად შერაცხილი და ბიზანტიის სინდისი, გადასახლებული არმენიასა და ბიჭვინთაში.

ასევე დაამხეს კონსტანტინეპოლის პატრიარქი მესოპოტამიელი არაბი ნესტორი, ასკეტი და ორატორი.

მისი აზრით, ქრისტე იყო მხოლოდ ადამიანი. ხოლო ღმერთი (იგივე სიტყვა, ლოგოსი) მასში ჩასახლდა სულიწმინდის საშუალებით. შესაბამისად დიდ მკრეხელობად მიიჩნევა მარიამის ღვთისმშობლად გამოცხადებას.

ამ შეხედულებას დაუპირისპირდა კირილე ალექსანდრიელი, რომელიც თავმჯდომარეობდა ეფესოს III მსოფლიო კრებას (431 წ.).

ნესტორი დაგმეს და განკვეთეს. მაგრამ აღმოსავლეთის ქვეყნებში ჩამოყალიბდა ახალი მიმართულება – ნესტორიანელობა. მისმა მიმდევრებმა შექმნეს თავიანთი ეკლესია, შეაღწიეს ანტიოქიის საპატრიარქოში, ირანის იმპერიაში, საქართველოში, შუააზიაში, აქედან – ინდოეთსა და ჩინეთშიც კი.

XIII საუკუნეში მონღოლური ტომების ერთი ნაწილი ნესტორიანელთა მიმდევარი იყო (ნაიმანები და კერაიტები).

ნიკეის I მსოფლიო კრებაზე, რომელსაც დაესწრო 318 ეპისკოპოსი, დაგმეს ალექსანდრიელი პოეტი და ხუცესი არიოზი, მისი მოძღვრება, რომ თითქოს ქრისტე არის ნახევარღმერთი, ღმერთიც და ადამიანიც. მაგრამ უფრო ჭარბობს ადამიანის ბუნება (ფორმულა – „იყო როცა არ იყო“).

კ. კეკელიძის აზრით, თავიდან იბერიაში მიუღიათ არიანული ფორმის ქრისტიანობა, რაც მალევე შეუცვლიათ ნიკეის ორთოდოქსი-ით.

ნიკეის კრებამ დაადგინა ერთარსების ცნება ათანასე ალექსანდრიელის მიხედვით.

არიოზი გადაასახლეს.

არიანელები მარცხს არ შეურიგდნენ და შეძლეს ევსტათი ანტიოქიელისა და ათანასე ალექსანდრიელის (295–373) ექსორია.

საკმაო ხნის შემდეგ რომმა აღადგინა ენერგიული ათანასე. მაგრამ იმპერატორი რომ შეიცვალა, კვლავ დაამხეს.

იულიანე განდგომილის დროს მესამედ გახდა პატრიარქი და მესამედაც დაამხეს.

კიდევ ორჯერ განმეორდა ეს ტრაგიკომედია და საბოლოოდ მოხუცი ათანასე აღიარა ეკლესიამ როგორც „მართლმადიდებლობის მამა“.

შემდეგ სცადეს მორიგება-შეთანხმება არიანელებთან. მაგრამ 381 წლის კონსტანტინეპოლის II მსოფლიო კრებამ საბოლოოდ ჩამოიცილა არიანელები. მათი კვალი დიდხანს დარჩა როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში (მაგ., გერმანულ ტომებში).

ასევე დიდი გავლენა ჰქონდა მოწამეობრივად აღსრულებულ ორიგენე ალექსანდრიელს (185–254), თეოლოგსა და ფილოსოფოსს, ქრისტიანული ასკეტიზმისა და ეგზეგეტიკის ერთ-ერთ შემქმნელს. მას თავისი კომენტარებისათვის ექვსჯერ გადაუწერია წმინდა წერილი ებრაული და ბერძნული პარალელური სვეტებით.

იგი საკმაოდ გვიან, კონსტანტინეპოლის V მსოფლიო კრებაზე გამოაცხადეს ერეტიკოსად (543 წ.), რადგან მის მოძღვრებაში ქრისტიანიზმი შთანთქა ელინიზმმა.

ერთ-ერთი მთავარი ბრალდება ეხებოდა რეინკარნაციის (სულთა გადასახლების) კონცეფციას. მას უარყოფდნენ იმპერატორი იუსტინიანე და დედოფალი თეოდორა, რომელმაც თავისი კურტიზანული წარსულის წასაშლელად დახოცა 500 ძველი კოლეგა.

ყველაზე დიდი განხეთქილება მოხდა ქალკედონის IV მსოფლიო კრებაზე 451 წელს. ქრისტიანები გაითიშნენ დიოფიზიტებად და მონოფიზიტებად – იმის მიხედვით, ვინც აღიარებდა ქრისტეს ორ ან ერთ ბუნებოვნებას – ღვთაებრივ-ადამიანურსა და ადამიანურს.

დიოფიზიტები (ქალკედონისტები) უმრავლესობაში აღმოჩნდნენ.

ქალკედონური „მართლმადიდებლობის ძეგლის“ დოგმატის თანახმად „იესო ქრისტე არის ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი კაცი, ჩვენი მსგავსი ცოდვის გარეშე; განხორციელებისას მას აქვს ერთი პირი და ორი ბუნება, შეერთებული მასში ერთ პირად, შეურყვნელად და განუყოფელად“.

ეს იყო რომის პაპის ლეონ დიდის ფორმულა.

მონოფიზიტები გადაასახლეს, განკვეთეს, ზოგი მოკლეს.

მსოფლიო კრებების აქტებსა და დადგენილებებს ამტკიცებდა რომის (ბიზანტიის) იმპერატორი. ამიტომ ჰქონდა მათ ძალა და სავალდებულო მნიშვნელობა ქრისტიანთათვის. მაგ., ნიკეის კრებას თავად იმპერატორი კონსტანტინე ხელმძღვანელობდა, თუმცა წარმართი იყო.

ქრისტიანობას თავიდანვე სდევდა, როგორც ყველა რელიგიასა და იდეოლოგიას, სექტანტობის აჩრდილი.

მაგ., ერთ-ერთი პირველი ცნობილი მწვალებელი იყო სინოპელი მარკიონე, წარმოშობით ლაზი (II ს.), რომელიც ბიბლიურ ღმერთს ბოროტებად მიიჩნევდა, ახალი აღთქმიდან სცნობდა ლუკას სახარებასა და პავლეს მოციქულის ეპისტოლეებს.

მარკიონეს მომდევნო საუკუნეებშიც ჰყავდა მიმდევრები (ალ. შმემანი).

შემდეგ ახალი ერესი წარმოიშვა ფრიგიაში. ახალმოქცეულმა მონტანუსმა ორ ქალთან ერთად წამოიწყო ქადაგება სულიწმინდის მობრძანებაზე (II ს.). იგი მიიჩნევდა, რომ სამყაროს აღსასრული მოახლებულია. ამიტომ საჭიროა ქორწინებაზე უარისთქმა და მარტვილობა, რომ ახალი ღმერთი თავად არის.

მონტანუსსაც გამოუჩნდნენ მიმდევრები (მაგ., ცნობილი აფრიკელი ტერტულიანე).

მწვალებლობასთან და წარმართობასთან ერთად ქრისტიანული ეკლესია ებრძოდა მაზდეანობის შემოტევას, რათა დაეცვა მონოთეიზმის დოგმები.

რომი-ბიზანტიის ირანთან დაპირისპირება ირეკლებოდა ქრისტიანთა, მათ ეკლესიათა და მღვდელმთავართა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ეკლესიაც პოლიტიკური ბრძოლის ნაწილი იყო. იგი აყალიბებდა ახალ კულტურას და სისხლიან პროცესებში ლავირებით მიიკვლევდა გზას, ქადაგებდა სათნოებასა და სიმშვიდეს, თანხმობასა და მორიგებას, თუმცა ვერ აცხრობდა ბარბაროსული ინსტიტუტების აზვირთებას.

ამის მიზეზად კი იგულებდა რწმენის სხვადასხვაობას, მაზდეანობას, წარმართობას, მწვალებლებს, მუსულმანებს.

ირანი მფარველობდა სექტანტებსა და ერეტიკოსებს, ვისაც უარყოფდა და ებრძოდა კონსტანტინეპოლი (ს. ჯანაშია).

ამ ფაქტს, ირანის ასეთ პოზიციას მარჯვედ იყენებდნენ მწვალებლები, იყენებდნენ ქართველები და სომეხებიც. მაგრამ თვით პოლიტიკურ მაზდეანობასაც არყევდა შიდა რელიგიური ბრძოლა: მითრას დაძლევის შემდეგ გამოჩნდა მანი (216-276). მანი ქადაგებდა ასკეტიზმსა და მშვიდობას. იგი თავის მოძღვრებაში აერთიანებდა ქრისტიანობას, ცეცხლთაყვანისმცემლობასა და ბუდიზმს.

მაგრამ არ მიიღეს და ცოცხლად გააძვრეს ტყავი.

შემდეგ, 491 წლიდან მაზდაქი იწყებს ქადაგებას თანასწორობაზე. მან პოზიციაც განიმტკიცა – დიდხანს იყო კავადის მრჩეველი. მაგრამ 529 წელს სიკვდილით დასაჯეს და დახოცეს მისი მიმდევრები.

ამავდროულად ბიზანტიაში იაკობ ჩამოკონკილი ავრცელებს ერეტიკულ რწმენას.

ასე რომ – მიწიერი იდეალებისაგან განმარცხული ბერ-მონაზვნები მისტიკის სფეროში ებრძოდნენ ერთმანეთს, აქ გადაჰქონდათ ფერშეცვლილი საკუთარი ინდივიდუალობა, ტემპერამენტი, აღმატებისა და თვითდამკვიდრების სურვილი, ლიდერობის ნება.

ერესი ჰყვავდა აღმოსავლეთის ეკლესიებში (გრიგორიანელები, მელიქიტები, ნესტორიანელები, იაკობიტები, მონოთელიტები).

მართლმადიდებლებს არ ჰქონდათ მწვალებელთა განსჯისა და დასჯის ისეთი სასტიკი მექანიზმი, როგორც კათოლიკეებს შუასაუ-



კუნებში, რასაც მილიონობით ადამიანი შეეწირა (ინკვიზიცია, იე-  
ზუიტები, აუტოდაფე).

ადრევე დაიწყო დაპირისპირება რომისა და კონსტანტინეპოლის  
ეკლესიებს შორის, რაც 1054 წელს დასრულდა საბოლოო გახლეჩით:

რომის პაპმა ლეო IX-მ ოფიციალური ბულით კონსტანტინეპოლის  
პატრიარქი ეკლესიიდან განკვეთილად გამოაცხადა;

კონსტანტინეპოლის პატრიარქმა მიქაელ კურულარიუსმა  
დახურა ლათინური ეკლესიები.

დასავლეთის ეკლესიას ეწოდა კათოლიკური, აღმოსავლეთისას –  
მართლმადიდებლური.

\* \* \*

იბერიაში როგორც პოლიტიკური, ისე რელიგიურ-კულტურული  
სიტუაცია იცვლებოდა იმის მიხედვით თუ ვინ იმარჯვებდა – ბიზან-  
ტია თუ ირანი.

XII საუკუნის დასაწყისიდან, როცა საქართველო განთავისუფლ-  
და, გაერთიანდა და კულტურულადაც განმტკიცდა, როცა ბიზანტია  
დასუსტდა და შემოერია არაბულ-სელჯუკური ელემენტები – ქართ-  
ველთათათვის ბიზანტინიზმი აღარ იყო სტიმულის მომცემი ძალა,  
ნიმუში და მაგალითი.

კონსტანტინეპოლმა ეკლესიურადაც დაკარგა კონტროლი რო-  
გორც კათოლიკურ დასავლეთზე, ისე მუსულმანურ აღმოსავლეთზე.

## II. ატროშანი და ქრისტეს ჯვარი: ქრისტიანობის დამკვიდრება იბერიასა და ლაზიკაში (IV-VI ს. ს.)

### 1. პოლიტიკურ-კულტურული სიტუაცია

როგორც ვთქვით, ლაზიკაში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა 323 წელს, იბერიაში – 326 წელს. მაგრამ ეს იყო ხელისუფლების ნება, ელიტის პოზიცია. მასების მოქცევა კი არ აღმოჩნდა იოლი. მას დასჭირდა დიდი დრო და ძალისხმევა, თაობების ცვლა (შდრ. „ქართლის ცხოვრება“).

ქრისტიანობის აღიარებით უარყოფილ იქნა ირანული ორენტაცია. ამიერიდან ნაზარეველის სახელი იქნება ევროპასთან, დასავლეთთან დამაკავშირებელი, აღმოსავლეთთან კი – მრავალსაუკუნოვანი კონფლიქტის მიზეზი.

მაშინ ქრისტიანობის ცენტრი სწორედ აღმოსავლეთი იყო – იერუსალიმი, ანტიოქია, ალექსანდრია.

ლაზიკამ და იბერიამ ისარგებლეს 298 წლის ნიზიზინის 40-წლიანი ზავით რომსა და ირანს შორის და ამ დროს გააკეთეს პოლიტიკურ-რელიგიური არჩევანი.

ქრისტიანული თემები ადრევე არსებობდა იბერიაში. მცხეთაში აღმოჩენილია II-III საუკუნეთა ქრისტიანული სამარხები. მაგრამ მასების მოქცევას, მონათვლას, მღვდელმსახურებას ორგანიზებული სახე უნდა მისცემოდა. წარმართული სალოცავები და მაზდეანური ტაძრები ვერ მოისპობოდა. მათი თანაარსებობა გარდაუვალი იყო, რადგან ძალას ჰმატებდათ ირანის იმპერია.

აგათანგელოსის სიტყვით, ვიდრე გაიმართებოდა ნიკეის კრება, იბერიას ჰყოლია მიტროპოლიტი იბრზხუა, ლაზიკას–ეპისკოპოსი სოფრონიუსი, ბასიანის მხარეს – ეპისკოპოსი ევლათიუსი.

ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე ესწრებოდა ნიკეის კრებას, რომელიც ორ თვეზე მეტხანს გაგრძელდა. მონაწილეობდა ტრაპეზუნტის ეპისკოპოსიც.

იბერიასა და ლაზიკაში ქრისტიანობის ნაწილობრივი ლეგალიზება უნდა მომხდარიყო 260 წლიდან, იმპერატორ გალიენის განკარგულების შესაბამისად.

საეკლესიო ორგანიზაციების სტატუსი განამტკიცა და აღიარებამდე მიიყვანა ვალერიუსის 311 წლისა და მილანის 312 წლის ედიქტებმა.

ქრისტიანობა გახდა პოლითეიზმის შემადგენელი ნაწილი რომის იმპერიაში.

ნიკეის კრების შემდეგ, მეფე მირიანის თხოვნით, კონსტანტინე დიდმა გამოავაზნა ეპისკოპოსი იოანე და დიაკონ-მღვდლები. დაუბრუნა მძევლად წაყვანილი შვილიც.

მღვდელმსახურება ბერძნულ ენაზე აღესრულებოდა, რაც მოსახლეობისათვის გაუგებარი იყო. მისი გათავისება მხოლოდ ელიტას თუ შეეძლო. მასას სჭირდებოდა ახსნა, განმარტება, ახალი მრწამსისა და ახალი ღმერთის, მისი მოციქულების, მიმდევრების, დევნილთა და წამებულთა გაცნობა, რათა ეწამათ, რომ მათ წინაპართა სალოცავებს სჯობდა ჯვარცმულის რელიგია ან რას ნიშნავდა ერთარსება სამება (მამაღმერთი, ძე ღმერთი, სულიწმინდა).

ჯერ თავად უზარმაზარი რომის იმპერია ირყეოდა და ტორტმანებდა.

მართვის გასაიოლებლად რომი დიოკლეტიანეს დროიდან ტეტრარქიის საფუძველზე იმართებოდა – ორი იმპერატორისა და ორი კეისრის მიერ. სწორედ დიოკლეტიანემ, მისმა სისასტიკემ შეანელა ქრისტიანთა აღიარების პროცესი.

კონსტანტინე დიდმა იმპერია დაჰყო 4 ოლქად, თითოეული ოლქი – 12 დიოცეზად. ეკლესიებიც შესაბამისად დანაწილდა.

ამიტომ ჰქონდათ ლაზიკასა და იბერიას კონტაქტი ბერძნულ და არა ლათინურ სამყაროსთან.

ზღვისპირა ქალაქებში ფუნქციონირებდა ბერძნული ეკლესიები, რომელთაც გააჩნდათ არა ორგანიზაციული, არამედ – იდეოლოგიური ერთობა.

მცირე აზიასა და წინააზიაში ქრისტიანებს ძალას ჰმატებდა, რომ მათი რწმენა აღიარა რომის იმპერიამ, რომ იმპერიის ცენტრმა რომიდან ბიზანტიონში გადმოინაცვლა, რომელსაც დაერქვა კონსტანტინეპოლი (330 წ.).

იმპერატორმა ააშენა წმინდა მოციქულების ტაძარი, სადაც 12 სიმბოლური სამარხის გვერდით მეცამეტე თავისათვის განიმზადა.

თავიდან ყველა ეკლესია ავტოკეფალიური იყო (ანანია ჯაფარიძე), რადგან არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული ეკლესიური სტრუქტურა და თეოლოგიური პრინციპები.

ფორმალურად, გეოგრაფიული მოსაზრებით ნიკეის კრებამ ეკლესიები 3 კათედრას განაკუთვნა – რომს, ანტიოქიასა და ალექსანდრიას.

კონსტანტინეპოლის ეკლესია მათ გაუთანაბრდა საკმაოდ გვიან – 451 წელს, ქალკედონის კრების შემდეგ.

361 წელს გარდაიცვალა მირიანი. ამის შემდეგ დაიწყო იბერიაში როგორც ხელისუფლების, ისე სარწმუნოების რყევა და აღრევა. „შემშლელნი წესისანი“ აღმოჩნდნენ ეკლესიის მეთაურებიც კი.

მთელი საუკუნე, ვახტანგ გორგასლის გამეფებამდე, იბერიამ ვერ შეძლო ვერც სახელმწიფო მართვისა და ვერც ეკლესიის მოწესრიგება. უფრო მეტიც – მირიანის ანდერძის თანახმად ქვეყანაც ორად გაყოფილა.

მიზეზი იყო რომისა და ირანის დაუსრულებელი ომები და თავად ქრისტიანობის წიაღში მიმდინარე თვითდადგენის პროცესი, რასაც ახლდა სექტანტური განდგომა ან ბრალდება, ბრძოლა წარმართების, მანიქეველებისა და მაზდეანების წინააღმდეგ, ერთმანეთის შეჭვენება.

ეკლესიის ცენტრებიც პირველობისათვის იბრძოდნენ (მაგ., ანტი-ოქია და კონსტანტინეპოლი).

ფარულად აქაც მოქმედებდა ნაციონალიზმი და ძალაუფლების ნება, რაც გახვეული ჰქონდათ ასკეტიზმისა და მისტიციზმის ფორმულებში, თეოლოგიურ ცნებებში.

## 2. პოლიტიკა და აღმსარებლობა

### რელიგიური რყევა

IV საუკუნის ბოლოსათვის, 70-იანი წლებიდან იბერია ირანის მოხარკეა. რომმა ჯარები გაიყვანა აღმოსავლეთიდან ვესტ-გუთების აჯანყების გამო. იბერიას ფაქტიურად მარზპანი და პიტიახშები მართავდნენ. 369 წელს ქართლი ორად გაიყო საურმაგსა და ასპაგურს შორის. ასპაგურს („ქართლის ცხოვრების“ ვარაზ-ბაქარი) შეუწეღდა რწმენა ქრისტესადმი.

მას ჰყოლია ორი ცოლი და ორივე თავისი ახლო ნათესავი. იგი ყოფილა „ჩუკენი“ და მშიშარა, „კაცი ურწმუნო და მოძულე სჯული-სა“, როგორც რომის იმპერატორი იულიანე განდგომილი (361-363).

შეიძლება იმიტომაც, რომ გაამეფა შაბურმა (309–379) და მისი ძე ულტრა მძევლად წაიყვანა. ირანის შაჰი სასტიკად ეპყრობოდა ქრისტიანებს, სიკვდილით სჯიდა ეპისკოპოსებსა და მღვდელ-მონაზვნებს, ანგრევდა ეკლესიებს (დ. კაციტაძე).

იბერიას რომმა ჩამოაცილა კლარჯეთი, ირანმა – რანი და მოვაკანი. ეკლესიის მეთაურად კი ინიშნება იოზ სომეხი (375-390), სომეხთა ეპისკოპოსის ნერსეს დიაკონი.

სომხებმა ირანელთა დაწოლით გაწყვიტეს კავშირი ბერძნებთან. ამის გამო დამპყრობლები კეთილად განეწყვნენ სომხებისადმი. შემდეგ მათი კათალიკოსი ირანის შაჰს თავის სულიერ შვილს უწოდებდა.

ირანელებმა აკრძალეს ყოველივე ბერძნული, ენაც კი. ეს ქმნიდა საშუალებას, რომ სომხებსა და ქართველებს ეზრუნათ თავიანთი კულტურისათვის. მოვსეს ხორენაცის სიტყვით, სპარსელები წვადნენ ბერძნულ წიგნებს.

მდგომარეობა გაართულა რომის მიერ ქრისტიანობის გამოცხადებამ სავალდებულო სახელმწიფო რელიგიად (380 წ.).

მანამდე ირანისათვის ქრისტე იყო პოლითეიზმის ნაწილი, მრავალ ღმერთს მიმატებული კიდევ ერთი ღმერთი.

ახლა კი ქრისტიანობა გახდა მოწინააღმდეგე იმპერიის ერთადერთი სახელმწიფო იდეოლოგია.

ქართულმა ეკლესიამ დათმო ბერძნული ორიენტაცია და ანტიოქიის არეალში მოექცა, რასაც მოჰყვა ბიზანტიელთა უკმაყოფილება.

რადგან აღმოსავლური ეკლესიები მიიმხრო ირანმა, ახალმა შაჰმა იეზდიგერდ I-მა (399-421) შეწყვიტა ქრისტიანების დევნა. მას უკვე შეეძლო ქართველები, სომხები და ალბანელები გამოეყენებინა ბერძნული პოლიტიკის წინააღმდეგ.

ამ მხრივ მასზე გავლენა იქონია ბიზანტიის იმპერატორების მიერ მოვლენილმა არქიეპისკოპოსმა მარუთა შუამდინარელმა.

მან ისარგებლა შაჰის კეთილგანწყობით და მოახდინა ირანის ქრისტიანული ეკლესიის რეფორმა.

ასეთ სიტუაციაში უნდა შექმნილიყო სომხური, ქართული და ალბანური ანბანი, რაც გახდებოდა კულტურულ-რელიგიური დამოუკიდებლობის სიმბოლო და ამიერკავკასიის ხალხებს საბოლოოდ გააწყვეტინებდა კავშირს კონსტანტინეპოლთან (იხ. „ქართული მწერლობის დასაწყისი“).

ბიზანტია კი საწინააღმდეგოდ იქცეოდა – იგი თავის ნაწილ სომხეთში კრძალავდა სომხურ ანბანს, სომხურ წირვა-ლოცვას.

„ბიზანტია სჯიდა პროსპარსულ ქრისტიანობას, ხოლო სპარსეთი სჯიდა პრობერძნულ ქრისტიანობას“ (ა. ჯაფარიძე).

419 წელს სელევკიაში ჩატარდა ირანის ქვეყნების ქრისტიანთა კრება. ესწრებოდნენ ეპისკოპოსებიც „გურზანიდან“.

მათი საერთო კათალიკოსი ყოფილა იაკობალაჰი (მ. თარხნიშვილი). ამ დროიდან იბერიის ეკლესიას განაგებენ სპარსული ქრისტიანობის მიმდევარნი – მოზიდანი, ბინქარანი, გლონოქორი.

ისინი ატარებენ სპარსულ ტენდენციას, დამოკიდებული არიან სპარსეთის ეკლესიებზე და თავადაც სპარსები არიან („ქართლის ცხოვრება“ მათ ცეცხლის მსახურებად აცხადებს).

„წურილი ერიც“ ცეცხლის მიმდევარი გამხდარა, ნაცვლად ჯვარისა.

აღმოსავლეთში ძლიერდებოდა ნესტორიანელთა ზეგავლენა.

484 წლიდან სპარსეთის ქრისტიანები ნესტორიანელები გახდნენ და თავიანთი ცენტრი ედესიდან ნიზიბინში გადაიტანეს.

მათ ჰყავდათ კათალიკოსი და ეპისკოპოსები სხვადასხვა ქალაქში, ატარებდნენ საეკლესიო კრებებს, დადგენილებებს წერდნენ ასურულ (სირიულ) ენაზე.

ალბათ ერთი პერიოდი ლიტურგია იბერიაში სპარსულად სრულდებოდა. უნდა ყოფილიყო ბერძნულენოვანი ეკლესიაც (ა. ჯაფარიძე), ისევე როგორც სომხური.

გრძელდებოდა ხალხთა, ენათა და რწმენის აღრევა და წარყვნა. ამ დროსაც ირანს ქართლი აძლევს მოლაშქრეებს და უხდის ბეგარას.

სომხეთში ირანმა ასურული კულტურა გააბატონა და წირვალოცვის ენაც თავდაპირველად ასურული იყო, ხოლო ალბანეთში – სომხური, ალბანეთის მრავალენიანობის გამო.

ქართველები ცდილობდნენ, რომ ერწმუნათ და დაეცვათ ჭეშმარიტი ქრისტიანობის სახე და არსი. ამიტომ სწრაფად იცილებდნენ მწვალებლურ გადახრას და იბრუნებდნენ ორთოდოქსულ ხაზს. მოგვიანებით კი თარგმნიდნენ არიანეს, ნესტორის, ორიგენეს, ავგუსტინეს, მონოფიზიტთა, მონოთელიტთა, ხატბრძოლთა, კათოლიკეთა წინააღმდეგ მიმართულ ტექსტებს (კ. კეკელიძე).

მათი ავტორები არიან როგორც ანონიმი და უცნობი, ისე გამოჩენილი ღვთისმეტყველები, მაგ., ათანასე ალექსანდრიელი, იოანე ოქროპირი, მაქსიმე აღმსარებელი, თეოდორე აბუკურა, იოანე დამასკელი.

VII საუკუნის დასაწყისიდან აქტუალური გახდა პოლემიკა სომეხ მონოფიზიტებთან (კირიონ კათალიკოსი), რომლის „გვირგვინად“ მიაჩნია კ. კეკელიძეს ანტონ კათალიკოსის „მზამეტყველება“ (XVIII ს.).

## ჰენოტიკონი

რელიგიური ვნებათა ღელვა არყევდა ბიზანტიის იმპერიასაც. ასკეტი მღვდელმთავრები მისტიკას რეალობად აღიქვამდნენ და ყოველი დებულების ზუსტ ფორმულირებას ეძებდნენ.

ამას ერთვოდა ფარული ეთნიკური მრწამსი.

იმპერიის აღმოსავლეთი, აზიური ნაწილი მონოფიზიტობას მოეცვა. ამიტომ მორწმუნენი არ შეურიგდნენ დამარცხებას, დიოფიზიტობის აღიარებას. დაიწყო სახალხო გამოსვლები.

პატრიარქი იუვენალი ქალკედონის კრების შემდეგ იერუსალიმში ჯარის დახმარებით შევიდა.

ალექსანდრიაში პატრიარქის დამცველი ჯარისკაცები წარმართულ ტამარში შეჰყარეს და ცოცხლად დაწვეს. შემდეგ მოკლეს პატრიარქი პროტერი და მის ნაცვლად აირჩიეს ტიმოთე ელური, პეტრე იბერის ახლობელი ანტიქალკედონისტი.

ანტიოქიაშიც მონოფიზიტი გახდა პატრიარქი – პეტრე ფულონი.

იმპერია აღმოსავლეთს ჰკარგავდა. მაგრამ დასავლეთში დიოფიზიტები მძლავრობდნენ და საჭირო იყო შემარიგებელი დოკუმენტის მიღება.

იმპერატორმა ზენონმა 482 წელს კონსტანტინეპოლის პატრიარქის აკაკის რჩევით გამოსცა „ჰენოტიკონი“. იგი არ ეხებოდა ქრისტეს არც ერთ და არც ორბუნებოვნებას, თუმცა აშკარად იხრებოდა მონოფიზიტობისაკენ.



მიუხედავად ამისა, ალექსანდრიაში უამრავი ხალხი გამოვიდა ჰენოტიკონის წინააღმდეგ.

რომის პაპმა მოითხოვა აკაკის დამხობა.

პატრიარქი განკვეთეს.

ასეთივე ბედი ერგოთ მომდევნო დიოფიზიტ პატრიარქებს.

მხოლოდ იმპერატორმა იუსტინიანემ (527-565) შეძლო მონოფიზიტების შეჩერება. მან ააღორძინა დიდი რომის იდეა, შორს გასწია იმპერიის საზღვრები, ბიზანტინიზმის საფუძველზე რელიგია სახელმწიფოს დაუმორჩილა და ასეთი „ცეზაროპაპიზმით“ საბოლოოდ დაამკვიდრა მართლმადიდებლური მრწამსი – 536 წლის ედიქტით მონოფიზიტობა საზეიმოდ დაიგმო.

იუსტინიანე და დედოფალი თეოდორა ღრმად მორწმუნენი იყვნენ – მათ იმპერია და ქრისტეს სჯული განუყოფელ ცნებად მიაჩნდათ.

## კათალიკოსობის დაწესება და ავტოკეფალია

ვახტანგ გორგასლის მეფობის ჟამს ჰენოტიკონის იდეით ისარგებლა იბერიის ეკლესიამ.

ვახტანგის სახელი ქართველმა ხალხმა ლეგენდებით შემოსა, როგორც ეროვნული გმირი, ირანელთა წინააღმდეგ მებრძოლი, თუმცა დედა ირანელი ჰყავდა, თავად სახელი და ზედწოდებაც ირანული ჰქონდა და დიდხანს ხმლით ემსახურა შაჰინშაჰს.

პირველი ცოლიც ირანელი ჰყავდა – შაჰის ასული ბალენდუხტ, ხოლო და მირანდუხტ – შაჰის ცოლი გახდა.

ირანული Warxtang მგლისტანას ნიშნავს. მეორე ვერსიით არის სანსკრიტული Wrtahan – დემონ ვრტრას მკვლელი, რაც ინდრას ეპითეტია. მისგან მოდის ირანული გამარჯვების ღმერთი ვერეთრაგნა – ძვ. სპარსული varvragna; გორგასალი – მგლისთავა.

იბერიასაც მგელთან აკავშირებდნენ ირანელები (vrkan – მგლების ქვეყანა, აქედან – გურჯი).

ბალენდუხტს იბერიაში გამოაყოლეს აღმზრდელი რაჟდენი. იგი გაქრისტიანდა. ამის გამო ირანელებმა შეიპყრეს, აწამეს და ჯვარზე გააკრეს.

ვახტანგმა დატოვა თავისი ირანულ-მაზდეანური წრე, პოლიტიკურად დაუპირისპირდა ძლევამოსილ იმპერიას, დაიბრუნა კლარჯეთი, ლაზიკას ჩამოართვა მარგვეთი და სვანეთი, მოაკვლევინა სპარსოფილი ვარსქენ პიტიახში და განამტკიცა ქართული ეკლესია.

მეფემ შერისხა და კონსტანტინეპოლს გადასცა განსასჯელად მისი შეურაცხმყოფელი მთავარეპისკოპოსი მიქაელი.

ქართლში მთავარეპისკოპოსის სანაცვლოდ შემოიღო კათალიკოსის სტატუსი. შდრ – კიევის რუსეთს თავისი არსებობის მანძილზე ჰყავდა მხოლოდ მიტროპოლიტი.

ვახტანგის თხოვნით ბერძნები ქართლში აგზავნიან პეტრეს კათალიკოსად და 12 ეპისკოპოსს. ისინი აკურთხა ანტიოქიის პატრიარქმა.

12-ვე ეპისკოპოსი გადანაწილდა იბერიაში და არა ლაზიკაში.

კათალიკოსობის დაწესება არ ნიშნავდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას, თუნდაც შეზღუდულს, ვინაიდან კათალიკოსს ამტკიცებდა ანტიოქია.

ეს იყო ნაბიჯი ავტოკეფალიის მოპოვებისაკენ.

შდრ – კიევის რუსეთში მიტროპოლიტს ნიშნავდა კონსტანტინეპოლის ეკლესია, ბერძენს ძირითადად – მხოლოდ ორი იყო სლავი.

ადრე რომის იმპერიაში 100-ზე მეტი ავტოკეფალიური ეკლესია არსებობდა. შემდეგ დაიწყო ცენტრალიზების პროცესი, რაც დასრულდა ხუთი მთავარი ეკლესიის – პენტარქიის აღიარებით.

როგორც თვლიდა ეფრემ მცირე (XI ს.), ქართული ეკლესია ანტიოქიას უკავშირდებოდა.

ანტიოქია იმპერიის მეორე ქალაქად მიიჩნეოდა.

ქართული ტრადიციით (მაგ., არსენ ბერის გადმოცემით) იბერები დანათლა ანტიოქიის პატრიარქმა ევსტათიმ (325-331) და ეპისკოპოსიც დაუნიშნა.

სწორედ ანტიოქიის მონოფიზიტურმა ეკლესიამ სცნო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა (შდრ – მცხეთის VII საუკუნის ერთ-ერთ ტაძარს დაერქვა „ანტიოქი“, 13 ქართული მონასტერი ანტიოქიის მახლობლად), თუმცა კონსტანტინეპოლის საპატრიარქო XX საუკუნის მიწურულამდე არ აღიარებდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიასა და პატრიარქის ტიტულს, ისევე როგორც არ სცნობდა მოსკოვი (შდრ – გეორგიევსკის ტრაქტატის მიხედვით კათალიკოსს მიენიჭა რუსეთის მღვდელმთავართა შორის VIII ხარისხი და დააყენეს ტობოლსკის არქიეპისკოპოსის შემდეგ). ქართველი ეპისკოპოსები არც სხვა დროს ყოფილან მიწვეული მსოფლიო საეკლესიო კრებებზე.

თითქოს 681 წლის მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაადასტურა ავტოკეფალია და ქართლის ეკლესიას მიანიჭა საპატრიარქო ღირსება („ქართლის ცხოვრება“). მაგრამ კრების დადგენილებებში არაფერია ნათქვამი ქართულ ეკლესიაზე.

შდრ – მოსკოვის ეკლესია ავტოკეფალიური გახდა 1448 წელს, პირველი პატრიარქი აირჩა 1489 წელს.

მოსკოვის საპატრიარქომ დაიკავა V ადგილი კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის შემდეგ მართლმადიდებლურ იერარქიაში, რაც დღემდე უცვლელია.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და ძლიერებას, რის გამოც ანტიოქიაც კი ედავებოდა ქართულ ეკლესიას და პირველი პატრიარქი მელიქისედეკი აირჩა მხოლოდ XI საუკუნის დასაწყისში, როცა ქართველებმა შესძლეს კუთხე-სამთავროთა გაერთიანება.

დამოუკიდებლობის გზაზე ქართულ ეკლესიას ურთიერთობა უნდა გაერკვია სომხებთანაც, რაც მოხდა მოგვიანებით (იხ. „ქართული და სომხური ეკლესიების განყოფა“).

იმპერატორ ზენონის ჰენოტიკონმა – ერთობის ფორმულამ, დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის ამ დროებითმა თანხმობამ ხელი შეუწყო ქართული ეკლესიის წარმატებას. სხვა სიტუაციაში

ანტიოქიის მონოფიზიტი პატრიარქი პეტრე ფულონი (მკაწრვალი), რომელიც სამჯერ ჩამოაგდეს ტახტიდან, ქართულ ეკლესიას მხარს არ დაუჭერდა. ალბათ ამ პროცესში მონაწილეობდა მონოფიზიტი პეტრე იბერიც.

ამას ერთვოდა ისიც, რომ კავკასიაში აჯანყების ჩახშობისა და შუაზიაში პეროზის დაღუპვის შემდეგ ირანელები დათმობებზე წავიდნენ.

ეს მოხდა 487-488 წლებში (ანანია ჯაფარიძე).

ი. ჯავახიშვილის აზრით, ვახტანგი მონოფიზიტი იყო და ამიტომ მოიპოვა ანტიოქიის თანადგომა.

სწორედ დამოუკიდებლობის სიმბოლოდ აღაშენა სვეტიცხოველი ვახტანგ გორგასალმა, სადაც დაიმარხა კიდევ 491 წელს (ვ. გოილაძე).

ამ დროს ირანს გაუქმებული აქვს მეფობა სომხეთსა (428 წ.) და ალბანეთში (463 წ.). იბერია კი ინარჩუნებს შეზღუდულ სამეფო ხელისუფლებას, ინარჩუნებს დროებით.

ისტორიამ და ლეგენდამ ვახტანგ გორგასალის სახელს დაუკავშირა, გარდა საეკლესიო რეფორმისა, ქალაქ ტფილისის დაარსებაც, რომელიც შეენაცვლა მცხეთას და მოგვიანებით ქართული კულტურისა და სახელმწიფოს ცენტრი გახდა.

ვახტანგის სიკვდილის შემდეგ ირანმა ლაზიკის შეერთებაც მოინდომა, რათა აღედგინა ის სტატუს-კვო, რაც ჰქონდა სამხრეთ კავკასიაში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამდე.

## მაზდეანური ცეცხლი

იბერიაში ქრისტიანები ებრძოდნენ წარმართებს, ებრძოდნენ ცეცხლთაყვანისმცემლობას, მაგრამ არა არმაზულ ღმერთებს. ალბათ იმიტომ, რომ მათ სათავედ მიიჩნევდნენ ირანულ ზოროასტრიზმს, ცეცხლის კულტს, აიგივებდნენ მასთან.

სასანიდებმა არ მიიღეს არშაკიდების ლიბერალური სინკრეტული რელიგიის კურსი. მათ აღადგინეს აქემენიდური ზოროასტრიზმი, რე-

დაქტირება გაუკეთეს ავესტას – მაზდეანთა ენციკლოპედიას, რომლის ენას ხალხი ვერ იგებდა, ყოველ დასახლებულ პუნქტში ააგეს ცეცხლის ტაძრები.

უმთავრესი იყო მხედართა, ქურუმთა და მიწის მუშაკთა სამლოცველოები. მათი ქურუმები მღვდელმსახურების გარდა განაგებდნენ განათლებისა და სასამართლოს სფეროებს.

ასე იქნებოდა იბერიაშიც, სადაც ირანელთა ზეობის დროს საერო ხელისუფლებასთან ერთად შეინარჩუნებდნენ მოგვთა სტრუქტურას.

ათემგა, ქართული ტრანსკრიფციით ატროშანი (ავესტის ატარშ – ცეცხლი, ოშან – სახლი, ადგილი) – ცეცხლის ტაძრები აგებულა მცხეთაში, ტფილისში, ნიქოზში, ნეკრესში...

მოგვები ცეცხლს სურნელს ამღვდნენ ცხოველური ცხიმისა და ბალახების დამატებით.

იბერიაში მაზდეანობა წარმოედგინათ როგორც ცეცხლთაყვანისმცემლობა და არა როგორც კეთილ (აჰურამაზდა) და ბოროტ (არიმანი, აჰრა-მანიუ) საწყისთა ბრძოლა და მასში ადამიანის მონაწილეობა რიტუალებისა და ცხოვრების წესის დაცვით.

ცეცხლის კულტი, როგორც ვთქვით, უძველესი დროიდან მოდიოდა. ებრაელთა უფალიც ცეცხლის სვეტში გახვეული დგებოდა მთაზე.

უვიცი და ბნელი მასების ახალ სჯულზე მოქცევას დიდი დრო სჭირდებოდა. მითუმეტეს, რომ ისევ მძლავრობდნენ ცეცხლთაყვანისმცემლები.

ირანი, რომელიც განაგებდა იბერიას, არ დასთმობდა თავისი კულტურის ცენტრებს ვასალურ თუ დაპყრობილ ტერიტორიაზე. ვერც ხალხი იწამებდა ახალს.

თბილისში საუკუნეების მანძილზე ფუნქციონირებენ მეჩეთი და სინაგოგა. ასევე უნდა დარჩენილიყო ახალი რელიგიის პარალელურად ძველი, წარმართული სალოცავები და მაზდეანური ტაძრები (შდრ – მაზდეანი მეჯადაგენი და მეხამლენი, რომლებიც ტოზიკს

დღესასწაულობენ – „ეესტათი მცხეთელს მარტვილობა“), აგრეთვე – ებრაული სინაგოგა, სადაც უვლია სპარსელ ეესტათი მცხეთელს, ვიდრე ქრისტეს აირჩევდა.

მცხეთაში არსებულა ასურელთა დასახლებაც.

სპარსელმა მმართველებმა, მათ მიმდევრებმა თავიანთი ტაძრები შეინარჩუნეს. მათ მოსპობას არ დაუშვებდნენ ირანელთა მიერ დანიშნული მარზპანები და პიტიახშები.

სომეხი ისტორიკოსის ელიშეს ცნობით, ირანელებს ეწადათ, რომ ამიერკავკასიის ქვეყნებში, სოფლად და ქალაქად მარად ეგიზგიზა ბაჰრამის (ვრამის) ცეცხლს, ყველგან აეგოთ ცეცხლტაძრები.

მათი გავლენით ქრისტიანობას შერყვნა და გადაგვარება ემუქრებოდა.

თუ პოლითეისტური ირანი შედარებით მაინც ღმობიერად იყო განწყობილი ქრისტეს სჯულისადმი და მას ებრძოდა პოლიტიკური თვალსაზრისით – ბიზანტიასთან მრავალსაუკუნოვანი დაპირისპირების გამო, მონოთეისტური ქრისტიანობა სასტიკი იყო წარმართებისა და ცეცხლთაყვანისმცემელთა მიმართ.

იგი სცნობდა ღმერთს ერთადერთს, სამსახოვანს – მამა-ღმერთი, ძე – ღმერთი, სულიწმინდა.

ასეთი პრობლემა არ იყო ლაზიკაში. მაგრამ გაქრისტიანების პროცესი იქაც ძნელად მიმდინარეობდა. ეს უფრო იოლი იყო ელინისტურ ქალაქებში, მაგრამ მთებსა და ხეობებში, სადაც წარმართული სალოცავები ბატონობდა, სადაც არავინ უწყოდა ვინ იყვნენ ქრისტე და მისი მოციქულები, ან რას ნიშნავდა ქრისტიანული ღვთისმსახურება, – ჭირდა ახალი ღმერთის აღიარება.

ამიტომ შეელია ლაზების მეფე წათე ქრისტეს სჯულს და შემდეგ ისევ დაუბრუნდა.

ლაზიკა ებრძოდა წარმართებს, იბერია – მაზდეანებსა და მწვალებლებს.

მაზდეანებთან ბრძოლა აისახა ქართული მწერლობის პირველსავე ძეგლებში – „შუშანიკის წამებასა“ (V ს.) და „ეესტათი მცხეთელის მარტვილობაში“ (VI ს.).

467 წელს პეროზ შაჰთან ჩასულა ვარსკენ პიტიახში, არშუმას ძე, დედით და მამით ქრისტიანი (ვარსკენს დედა ჰყავდა სომეხი – ანუშვ-რამ არწრუნი) და შეჰპირებია, მივიღებ მაზდეანობას და ცოლ-შვილსაც მოვაქცევ ცეცხლთაყვანისმცემლობაზეო.

გახარებულ შაჰს თავისი ასული მიუცია ცოლად ვარსკენისათვის და დაუნიშნავს რანის ერისთავად (ჰქონდა ბიზანტიური ტიტული ანტიპატოსისა).

ამას მოჰყვა ყველასათვის ცნობილი კონფლიქტი, შუშანიკის – ვარსკენის მეუღლის შვიდწლიანი პატიმრობა და ტანჯვა, შვილების გამაზდეანება. თუმცა ამ დროს ქართლს ჰყავს მთავარეპისკოპოსი სამოელი, ჰყავს ეპისკოპოსები და ხუცესები ანუ ვარსკენის გამაზდეანება არ ნიშნავს ქართველთა მიერ ქრისტეს უარყოფას.

პიტიახში დაახლოებით ისე მოიქცა, როგორც დიდი ხანის შემდეგ – XVII-XVIII საუკუნეებში მოიქცევინ ქართლისა და კახეთის მეფეები – ისინი ღებულობენ მაჰმადიანობას. მაგრამ მოსახლეობას არ აძალე-ბენ ქრისტეს სჯულის უარყოფას.

ახალი რწმენის მტკიცე დამცველია შუშანიკი, ეროვნებით სომეხი. მისი უკომპრომისო პოზიცია, მრავალწლიანი ტანჯვა, სიცოცხლის შეწირვა ქრისტეს რჯულისათვის, ეკლესიის მსახურთა განცვიფრება-საც კი იწვევს.

ასეთი ტანჯვის ფასად მოიპოვა შუშანიკმა სიცოცხლეშივე საყო-ველთაო სიყვარული და პატივისცემა, სიცოცხლეშივე გაუტოლდა წა-მებულ წმინდანთ, რომლისგან კურთხევას ღებულობენ.

„ანტიოქიის პალეკარტი“, რომელიც მოსავს დედოფალს და ფა-რავს მის დაწყლულებულ სხეულს, შეიძლება ანტიოქიასთან ქართუ-ლი ეკლესიის დამოკიდებულების სიმბოლოც იყოს.

მამამისი ვარდან მამიკონიანიც ასევე ჯიუტად იცავდა ქრისტეს სჯულს შაჰის წინაშე. შემდეგ, არშუშა პიტხშის, მისი მომავალი მძახლის რჩევით ფორმალურად გამაზდენდა. მაგრამ რომ მოვიდა ჟამი, ირანელებს აუჯანყდა.

ბრძოლაში დაიღუპნენ ვარდანი და მისი ძმა ჰმაიაკი, უმრავი ნახარარი და სამღვდელონი.

ირანელებმა შეიპყრეს ჰმაიაკის ქვრივი და სამი ვაჟი და სიკვდილით დასასჯელად მიჰგვარეს შაჰს.

არშუშამ ისინი შაჰისგან დაიხსნა და თავისთან შეიფარა (ზ. კილანავა).

სწორედ ჰმაიაკის ვაჟი ვაჰანი იყო სომეხთა მომდევნო აჯანყების ლიდერი, თუმცა ისიც გამაზდენდა.

მართალია, არშუშაც მაზდენია, მაგრამ მას ამ საქმეთა გამო პატივისცემით ახსენებს შუშანიკი და კიდევ იმიტომ, რომ ფორმალურად რწმენაშეცვლილმა კაცმა აღმართა სამარტვილენი და ეკლესიანი აღაშენა.

შუშანიკს ოჯახური ტრადიციით გადმოეცა ქრისტეს სიყვარული და სიძულვილი მაზდენობისადმი.

ვარსქენის რეზიდენცია ცურტავშია (დღევანდელი გაჩიანი) და არა მცხეთაში. მაგრამ მოქმედებს როგორც დამოუკიდებელი სუზერენი.

არ ჩანს მეფე ვახტანგ გორგასალი, რომელმაც შუშანიკის სიკვდილიდან რვა წლის შემდეგ მოაკვლევინა პიტიახში. ალბათ მაშინ იყო იგი ირანში, ჯუანშერის სიტყვით – მთელი რვა წელი.

ასევე არ ჩანს სპარსთა ძალმომრეობა ანუ თავად ქართველი მმართველები იღებენ ინიციატივას, რასაც, ცხადია, მოწონებით ხვდებიან სპარსელები.

მაზდენებს ქრისტიანების პარალელურად ჰქონდათ თავიანთი ცეცხლმსახურება, ჰყავდათ მოგვები (ქურუმები).



იბერიელი ქრისტიანები უმწეონი ჩანან. ისინი მხოლოდ თანაგრძნობას გამოხატავენ ტანჯული დედოფლისადმი, რომელსაც იმედად იმქვეყნიური სამსჯავრო ეგულება.

„შუმანიკის წამების“ ავტორი იაკობი, როგორც ცურტავის ეპისკოპოსი, ესწრებოდა დვინის 506 წლის საეკლესიო კრებას.

შუმანიკის წამებიდან ასი წლის შემდეგ დაიწერა „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“.

ამ ერთი საუკუნის განმავლობაში ქართლის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. სპარსელებს უკვე მეფობაც გაუქმებული აქვთ. ქვეყანას მართავს სპარსი მაზდეანი მარზაპანი, მცხეთას განაგებს სპარსი მაზდეანი ციხისთავი. ციხეები უკავია ირანელთა ჯარს.

მცხეთაში ამ დროს არსებულა ქრისტიანული, მაზდეანური, იუდეური ეკლესიები, ალბათ ქალაქებს გარეთ – წარმართული სალოცავებიც.

სპარსული ხელისუფლების პარალელურად მოქმედებს ქართული, ოღონდ სპარსეთს დაქვემდებარებული მმართველობა – ქართლის მამასახლისია გრიგოლი, პიტიახში – არშუშა, კათალიკოსი – სამოელი.

მაგრამ ისინი ვერ წყვეტენ ქვეყნისა და ადამიანთა ბედს.

ხოსრო ანუშირვანის მეფობის მეათე წელს, ე. ი. 541 წელს მცხეთაში მოსულა სპარსი მოგვის მე გვირობანდაკი, პროფესიით მეხამლე.

იგი ყოფილა არშაკეთის ხევიდან, ქალაქ განძაკიდან, სადაც მაზდეანებზე მეტი ქრისტიანები ცხოვრობდნენ.

ქრისტიანი ქალი შეურთავს გვირობანდაკს, ქრისტეს სჯული მიუღია და სახელიც შეუცვლია – მონათლულისათვის ევსტათი დაურქმევიათ.

ევსტათმა არ მიიღო მონაწილეობა მაზდეანთა ტოზიკში, თუმცა – მამა და ძმები მოგვები ჰყავდა. მცხეთელმა მეჯადაგეებმა და მეხამლეებმა დააბეზღეს იგი ციხისთავთან.

ტოზიკი იყო იგივე ნავროზობა, ახალი წლის დღესასწაული, რომელიც იმართებოდა 22-28 მარტს.

უსტამმა რვა ზარატუსტრას უარმყოფელი ტფილისში გააგზავნა მარზაპანთან, რომელმაც სჯულის მოღალატეებს ჯაჭვი დაადო და საპყრობილეში ჩაყარა.

ექვსი თვის შემდეგ ქართველ ხელისუფალთა თხოვნით მარზაპანმა ისინი გაუშვა. მაგრამ სამი წლის შემდეგ ახალი მარზაპანი (ვეყან ბუზმირი) რომ მოვიდა, ისევ დააბეზღეს მაზდეანებმა.

მარზაპანმა სთხოვა, რომ ევსტათი ისევ მაზდეანად მოქცეულიყო, მაგრამ მტკიცე უარი რომ მიიღო, თავის მოკვეთა განუწყესა პროზელიტს.

ევსტათი ამტკიცებს, რომ ცეცხლი არ შეიძლება ღმერთი იყოს, მას წყალიც კი ერევო (ვრცლად იხ. „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ და აბიბოს ნეკრესელი“).

ასე ამტკიცებდა ქართული ეკლესია ქრისტეს რჯულის უპირატესობას, მას თავად სპარსი მაზდეანებიც კი აღიარებენო.

ქართველი ვარსკენი თუ ქრისტეს უარყოფდა, სპარსელი გვირობანდაკი მას ეწირებოდა.

628 წელს ჰერაკლე კეისარმა შეკრიბა მოგვები და ცეცხლისმსახურები. მათ შესთავაზეს გაქრისტიანება. უარი რომ მიიღეს, ყველანი დახოცეს – „ეკლესიასა შინა მდინარენი სისხლისანი დიოდეს“ („მოქცევაჲ ქართლისაჲ“).

## **წარმართების სისასტიკე – ველურობის გახსენება**

ქრისტიანობის პირველი ისრები მიმართული იყო წარმართების ღმერთებისაკენ, მათ დასამხოზად და მოსასპობად, რაც გადმოცემულია მოგვიანებით შეთხზულ ლეგენდებში წმ. ნინოს ცხოვრებაზე.

ქრისტიანობამ ისინი ალქაჯებად და ავსულებად შერაცხა. მათ კაცთათვის ზიანი და სიკვდილი მოჰქონდათ, როგორც ბოროტ ძალებს.

წარმართებთან და მწვალებლებთან ქორწინება აიკრძალა.

წარმართობას იბერიასა და ლაზიკაში არ ჰქონდა საყრდენი ხელისუფლებაში, არ ჰქონდა კულტურის ცენტრები და, შესაბამისად, გავლენის არეალი. მისი მიმდევრები ჩაიკეტნენ მთებსა და მიუვალ ხეობებში, სადაც შეინარჩუნეს სალოცავები, არქაული ტრადიციები, რომელთა რეციდივები შემორჩათ ქრისტიანებსაც (მაგ., ცხოველთშეწირვა, სისხლის აღება, შელოცვა, მკითხაობა, ვარსკვლავთმისნობა).

წარმართები იზოლირებას ინარჩუნებდნენ, ქრისტიანები ერთიანობას ესწრაფოდნენ.

ჩაკეტილი არსებობა თვითმოსპობას ნიშნავს, როცა არ ხდება სიახლეთა ათვისება და იდეების, გამოცდილების გაცვლა.

ქართველებს ბიზანტიურიდან უთარგმნიათ უამრავი ტექსტი, რომელთა პერსონაჟები არიან წარმართ ხელისუფალთა მიერ სიკვდილით დასჯილი ქრისტიანები, შემდეგ წმინდანებად შერაცხილნი.

მათგან ზოგი დიდი თანამდებობის პირიც ყოფილა (მაგ., ათანასე კულიზმელი). ქართველები იცნობდნენ არისტიდეს „აპოლოგიასაც“ (II ს.).

სისასტიკე ბადებს ახალ სისასტიკეს და ამიტომაც გამარჯვებული ქრისტიანები უარყოფდნენ მშვიდობიან თანაარსებობას წარმართებთან.

ასეთ მოქმედებას მოსდევდა საპასუხო რეაქცია, აგრესია და სისხლისღვრა. თავად წარმართები ინიციატივას იღებდნენ ლოკალურ წრეში – თავიანთ სოფელსა თუ ხეობაში. მაგრამ უფრო არჩევდნენ მშვიდობიან, ავტონომიურ თვითიზოლირებას.

ამ დაპირისპირებას ასახავს უცნობი ავტორის ჰაგიოგრაფიული ტექსტი „ცხრათა ყრმათა კოლაელთა წამება“, რომელსაც კ. კეკელიძე IX საუკუნით ათარილებს, პ. ინგოროყვა – IV-VI საუკუნეებით.

მტკვრის სათავესთან, კოლას ხევის ერთ დიდ სოფელში, ცხოვრობდნენ ქრისტიანები და წარმართები. წარმართები გაცილებით მეტი ყოფილან. მაგრამ ბავშვები ერთად თამაშობდნენ.

წარმართ ყრმებს, განსაკუთრებით 9 მათგანს, რომელთა ასაკი ყოფილა 7-9 წელი, ჰყვარებიათ მწუხრის ჟამს რეკვის ხმა და ეწადათ ეკლესიაში შესვლა ლოცვად (მაშინ ძელსა ჰკრავდნენ. ზარების რეკვა შემოდის XIII საუკუნიდან – ივ. ჯავახიშვილი).

ღვთის მსახურები არ უშვებდნენ, თქვენ მეკერპეთა შვილები ხართ. გულდაწყვეტილი, სირცხვილელეული პატარები კი ასე დაამშვიდეს, მოინათლეთ, მიიღეთ ქრისტეს რწმენა და იარეთ ეკლესიაშიო.

გახარებული ბავშვები მივიდნენ მღვდელთან, რომელმაც მათ ასეთი პირობა დაუყენა – როგორც ამბობს უფალი იესო, უნდა უარყოთ დედ-მამა, და-ძმა და შემდეგ აილოთ ჯვარიო.

ზამთრის ყინვიან ღამეში, მტკვრის ცივ წყალში, მღვდელმა მონათლა ცხრა ყრმა. საეკლესიო კალენდრით მათი სახელებია – გუარამ, ადარნასე, ბაქარ, ვაჩე, ბარძიმ, დაჩი, ჯუანშერ, რამაზ და ფარსმან.

ბავშვები აღარ დაბრუნდნენ მშობლებთან და დარჩნენ ქრისტიანებთან (კომუნური ცხოვრების ადრე – ქრისტიანული წესი).

რამდენიმე დღის შემდეგ მშობლებმა გამოიტაცეს ბავშვები, აგინეს და სცემეს. მაგრამ პატარა ქრისტიანებმა განაცხადეს, ჩვენ მეკერპეთა საჭმელს არ შევჭამთო. ასე იშიშშილეს შვიდი დღე. მშობლები მივიდნენ ხევის მთავართან, რომელიც წარმართი ყოფილა.

მთავარმა უთხრა, როგორც გინდა ისე მოექცით თქვენს შვილებსო.

გაბოროტებულმა მშობლებმა დაარბიეს მღვდლის სახლი, სცემეს მღვდელი, შეკრიბეს მთელი სოფელი და იქ, სადაც ნათელი იღეს, ორმო ამოთხარეს, ბავშვები დახოცეს, ჩაყარეს და ორმო ქვებით ამოვსეს.

ცხრა ყრმა კოლაელი თავის რწმენას შეეწირა.

აღბათ ეს ამბავი უნდა მომხდარიყო IV ან V საუკუნეში, ვიდრე ქრისტიანობა საბოლოოდ განმტკიცდებოდა და ასეთ სისასტიკეს წარმართები ვერ გამოიჩენდნენ.

ამავე ტექსტს ენათესავება ჰაგიოგრაფიული ტექსტი „მარტვილობა დავით და ტირიჭანისა“. აქ ორ ძმას, მცირეწლოვან ყრმებს, ქრისტიანობის გამო ჰკლავს წარმართი ზიდა.

წამების ადგილი აქაც ტაოა.

ორივე ტექსტის საწყისად კ. კეკელიძეს მიაჩნია „მარტვილობა აბდალ მესიასი“. აბდალ მესია (მონა ქრისტესი) არის ებრაელი, 12 წლისა, მდიდარი მშობლების შვილი.

აქაც თანაარსებობენ ქრისტიანები და მაზდეანები.

ებრაელი ასერი კი მარტოა. მასაც მონათლავენ, წყალში ჩაუშვებენ, სახელს შეუცვლიან და თეთრი სამოსელით მორთავენ.

მამა ჰკლავს რჯულის უარმყოფელ აბდალ მესიას – ასერს.

ჰაგიოგრაფები გამოხატავდნენ თავიანთ პოზიციას, მაგრამ ფაქტებს არ იგონებდნენ, თითქოს დოკუმენტურ პროზას თხზავდნენ. ამიტომ მათ მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ თუ როგორი დაპირისპირება იყო რელიგიებს შორის, რა ძნელად იკაფავდა გზას ქრისტეს რწმენა.

ალბათ ამიტომაც IV-VI საუკუნეთა ლაზიკასა და იბერიაში ბატონობს რომაულ-ბერძნულ და ირანულ კულტურათა ნიმუშები.

## ონომასტიკა, როგორც პაროლი

ირანულია ქრისტიანობის პერიოდშიც იბერიის მეფეთა ონომასტიკა – რევი, მირდატი, არჩილი, ბაკური, ვახტანგი (ვარან-ხუასრო-თანგ), დაჩი (დარჩილი), ფარსმანი, სამეფო სახლის წევრ ქალთა სახელები – მირანდუხტი, ბალენდუხტი, საგდუხტი (საჰაკდუხტი), ხუარამზე. სარდლებიც და ერისთავებიც (ტომისთავები) ირანულ სახელს ატარებენ – საურმაგი, ჯუანშერი, არტავაზი, ნასრა, მირდატი, ადარნასე, ნერსე.

გ. წერეთლის აზრით, პეტრე იბერის (სიყმაწვილეში – მურვანოსი) მამა ყოფილა ბურხენ-მიჰრ (ასევე – პაპაც), პაპა დედის ხაზით – ბა-

კური, დედა – ბაკურდუხტი; დუხტია რქმევია ბაკურის ცოლს (ფალა-ური დუხტი – ქალიშვილი).

ბაკური არის საშუალო სპარსულის ბაგ-პუჰრ, ჩინეთის იმპერატორთა ტიტულის – ზეცის შვილის თარგმანი.

ირანულ-მაზდეანური წიაღიდან გამოსვლას დიდი დრო დასჭირდა.

მხოლოდ ვახტანგის შვილიშვილს ჰრქმევია ქართული გუარამი, VI საუკუნის მიწურულის ქართლის პატრიკიოსს კი – ბერძნული სტეფანოზი.

მეფეთა ცოლებს რქმევიათ სალომე, მარიამი (არჩილის მეუღლე), ელენე (ვახტანგის მეორე ცოლი) – ქრისტიანულ-ბიბლიური სახელები. მაგრამ ისინი ბერძენთა ასულები იყვნენ, არა ქართლში დაბადებულნი და აღზრდილნი.

ბერძნულია ზოგი ერისთავის სახელიც – გრიგოლი, დემეტრე, ვახტანგის ძის სახელი ლეონი.

მთავარეპისკოპოსები და კათალიკოსები ბერძნები ან სპარსელები იყვნენ. მათგან ქართველები ბერძნულ სახელს ატარებდნენ.

ბოლნისის სიონისათვის, წარწერის მიხედვით, კარი შეუბამთ ფარნავაზსა და აზარუხტს მათ სულთა სალოცავად (V ს.);

ასევე თავისი ოჯახის სალოცავად დავით გარეჯის ნათლისმცემლის ქვაბ-ეკლესიაში ჯვარი აღუმართავს მარზუნს (VII ს.).

როგორც ვხედავთ, საერო ელიტა ისევ სპარსული ტენდენციების მტარებელია, სასულიერო – ბერძნულისა. ქართული სახელი კი, როგორც წარმართულ-მდაბიური, არსად ჩანს, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა (მაგ., ქალის სახელი გუდა წყისის წარწერაში – 616-619 წ. წ.).

ონომასტიკა პოლიტიკურ-კულტურული ორიენტაციის პაროლია (შდრ – საბჭოთა პერიოდი).

სახელების მიხედვითაც შეიძლება დავინახოთ IV-VI საუკუნეთა იბერიაში კულტურული ნაკადების თანაფარდობა: ირანულის პრიმატობა, ბერძნულის თანდათან იზრდა და ქართულის იგნორირება.

ლაზიკას ვერ სწვდებოდა ირანისა და მაზდეანობის გავლენა. აქ უძველესი დროიდან ბერძნულ ტრადიციებზე იზრდებოდა ელიტა და შედარებით მეტად ინარჩუნებდა წარმართულ ნაკადსაც, რაც ონომასტიკაშიც აირეკლა (მაგ., გუბაზი, წათე, სამნალირი – შიდაეგრისისა და სვანეთის ერისთავი).

იბერიაში არმაზის მსხვერველს შეესაბამებოდა ლაზიკაში კაპუნისა დამხოზა და სამსხვერპლო დიდი ჭყონის მოჭრა.

ქრისტიანულ ტოპონიმთაგან ადრევე გავრცელებულა სიონის სახელი. სიონი არის ბორცვი იერუსალიმში, სადაც მდგარა იაჰვეს ტაძარი და დავითის სასახლე, მოციქულთა მიერ დაწესებული ეკლესია, დედა ყველა ეკლესიისა.

ეს სიტყვა იუდაისტური სიმბოლიკით ნიშნავს ღვთის მოშიშს.

სიონი ჰქვია რამდენიმე სოფელს ქართლში, ჰქვია პირველ ბაზილიკებს – ბაზილიკა სიონის წყალსაცავის ადგილას (V ს.), ბოლნისის სიონი (V ს.), სიონის მიძინების ტაძარი თბილისში (VI ს.).

ასეთივე პაროლი იყო ანტიოქიის ტაძარი მცხეთაში და ანტიოქიიდან ათსამეტი მამის მოსვლა რწმენის განსამტკიცებლად.

გრიგოლ ხანძთელის ქტიტორებს – გაბრიელ დაფანჯულსა და მარიამს ოთხი ძე ჰყოლიათ – პატრიკ, გვარამ, არშუშა და აბულასათი (IX ს-ის დასაწყისი).

აქ ერთმანეთს ხვდება სამი ეთნიკური ტრადიცია – ბერძნული, ქართული და არაბული, რაც გვიჩვენებს ქართლში არსებულ მდგომარეობას.

### 3. ცხოვრების ახალი წესი

როგორც გვახსოვს, იბერიას ფარნავაზამდე ჰყავდა მამასახლისი. ეს ტერმინი წარმოშობილია სახლის ანუ გვარის მამისაგან, რომელიც შემდეგ იქცა ტომის უფროსად ანუ ბელადად.

თავიდან იგი ძალაუფლების ნიშნით კი არ ჩანს აღჭურვილი, არამედ – ბიოლოგიური ფუნქციის ხაზგასმავა, რომ მამაა და უფროსობს შვილთა კრებულს.

შემდეგ რომელიმე მამასახლისის გავლენა განივრცო სხვა გვარებზე და გახდა „მეუფე მამასახლისი“. აქედან დარჩა მეუფე/მეფე (ი. ჯავახიშვილი), რომელიც განასახიერებს უფალსა და უფლებას ანუ ძალასა და სამართალს ხილულ სამყაროში.

ელიტის სათავეში იდგა მეფე, რომელსაც ძალაუფლება მემკვიდრეობით გადაეცემოდა, ან – უცხოთაგან დანიშნული მმართველი (მაგ., პიტიახში, მარზპანი, პატრიკოსი, ამირა).

მაზდეანობის გავლენით X საუკუნეშიც კი არსებულა ნათესავთა შორის ქორწინება (შდრ – „ვისრამიანი“).

განსხვავებით წარმართული პერიოდისაგან, იბერიის ქრისტიანი მეფეები ტახტს იკავებენ ასაკობრივი უფროსობის მიხედვით სამეფო ოჯახიდან (სახლიდან).

ხელისუფლება პირდაპირი წესით – მამიდან უფროს შვილზე არ გადადის. ხანდაზმულობის გამო ხშირია მეფეთა მონაცვლეობა. ლაზიკაშიც ასე ყოფილა მიღებული, ოღონდ ერთვის მამა-შვილის თანამოსაყდრეობის წესი, უფრო სწორად – მმართველი არის სამეფო სახლი.

მეფესა და დიდაზნაურებს ჰყოლიათ მონები, მსახურები, შემდეგში – ყმები.

რეგიონს (კუთხეს) ერქვა ხევი, მმართველს – ხევისთავი, შემდეგ ერისთავი, ერისმთავარი.

თავიდან მოდის საუფროსო ტერმინები – მეთაური, ერისთავი, მოთავე, მთავარი, მთავრობა, მმართველი (მარ-თავ-ელ-ი), თავადი, ე.ი. ის, ვინც მართავს, განაგებს.

მასის ძირითადი ნაწილია გლეხობა, რომლის საწყისია ძველინდური „გრჰაჯა“ (მონა). იგი გადადის სომხურში როგორც „გრეჰიკ“. აქედან – ქართული გლეხი (ნ. მარი), რომლის შემდგომი დაქვეითება



არის „გლახა“ და „გლახაკი“ (ღვთის მსახური თავმდაბლურად თავისთავს „გლახაკს“ უწოდებდა).

იბერიაში საზოგადოება დიფერენცირებულია სოციალურად, ეთნიკურად, რელიგიურად, ენობრივად, რაც აისახა ელიტისა და მასის კულტურაში, მორალსა და ეტიკეტში.

VI საუკუნიდან ერისთავთა სახელო ირანელთა და ბიზანტიელთა სიგელების თანახმად მემკვიდრეობითი გახდა. სენიორი სცნობდა სუზერენს და ეს ურთიერთობა იყო ვასალური, რაც ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებას ნიშნავდა.

საეკლესიო-სამონასტრო მიწებიც ასევე მტკიცდებოდა.

დიდებულებს ჰქონიათ სასახლე (ტაძარი), ეზო, სასახლეში – გალიაკები და სენაკები. დიდებულს (ფეოდალს) უნდა ჰქონოდა მიწები, ციხე-დარბაზი, მონასტერი საგვარეულო აკლდამით, მონა-ყმები ჰყოლოდა და შესძლებოდა ჯარის გამოყვანა, რათა სამხედრო ვალდებულება მოეხადა, მონაწილეობა მიეღო ქვეყნის დაცვაში.

მათი წრიდან ნიშნავდა მეფე თანამდებობის პირებს.

ქონება მემკვიდრეობით გადადიოდა, თანამდებობები იცვლებოდა.

მხოლოდ სამეფო დინასტია იყო უცვლელი. ქვეყნის სათავეში იდგა ერთი საგვარეულო სახლი – ბაგრატიონთა, რომლის ერისთავები – ცალკეულ კუთხეთა მმართველები ავტონომიური იყვნენ შიდა საქმეებში.

ეკლესიას განაგებდა კათალიკოსი, შემდეგ კათალიკოს-პატრიარქი (XI საუკუნიდან).

ეპარქიის ხელმძღვანელი ეპისკოპოსები ფეოდალთა სახლებიდან იყვნენ გამოსული. მათი ხელდასმის მინიმალური ასაკი განსაზღვრული იყო: ეპისკოპოსი 35, მღვდელი – 30 წლისა.

სოფლად ცხოვრობდნენ გლეხები, ქალაქში – ვაჭრები, ხელოსნები.

როგორც მეფეს, ისე კათალიკოსს ჰქონდა თავისი აპარატი, თავისი რეზიდენცია – სასახლე და ტაძარი.

ქვეყნისა და სამეფო-სამთავროების სტაბილურობას უფლის შიში და მახვილზე დამყარებული საერო იერარქია განსაზღვრავდა.

საერო საზოგადოების საწყისი უჯრედი იყო ოჯახი – სახლი.

მაშინ სამართლის ქართული წიგნი არ არსებობდა. მაგრამ მოქმედებდა უცხო მმართველთაგან გადმოცემული ტრადიცია, საეკლესიო კრების გადაწყვეტილებანი, წეს-ჩვეულებანი, რაც ვრცელდებოდა ოჯახზეც.

მაგ., VI მსოფლიო კრების მიხედვით, ქორწინებისას ვაჟი 15-16 წლისა მაინც უნდა ყოფილიყო, ქალი – 13-ისა. იკრძალებოდა ნათესავთა და ახლობელთა შორის ჯვრისწერა.

თავიდან ეკლესია წოდებრივ იერარქიას ყურადღებას არ აქცევდა.

„შუშანიკის წამებასა“ და „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ სახლეული შედგება ცოლ-ქმრისა და შვილებისაგან.

ჯვრისწერა არ ხდება სიყვარულის მიხედვით.

ცოლი მთლიანად დამოკიდებულია ქმარზე და მისი დასტურის გარეშე სახლიდან ვერ გავა. შვილების ბედსაც მამა განაგებს.

მდაბიორთაგან განსხვავებით, ელიტარული ქალი თმადაწნული და თავდაბურული უნდა ყოფილიყო – ქუდით ან კუბასტით (ლეჩაქი), ფეხზე ხამლი სცმოდა (VI საუკუნის მცხეთაში მრავლად ყოფილან მეხამლენი), ტანზე – კაზა.

ჰქონიათ საწოლი, სასთუმალი და ქვეშაგები.

პურისჭამა სამჯერ სცოდნიათ – დილით, შუადღით, საღამოთი.

მიერთმევდნენ ნაირგვარ „ჭამადს“, ღვინოს სვამდნენ „ჭიქით“ (V საუკუნეში მეგრული „ჭიქე ქადან“ უკვე მიღებული ყოფილა ჭიქა).

წვეულების დროს ქალები და კაცები ერთ სუფრასთან არ დასხდებოდნენ, რასაც უგულუბელყოფს ვარსქენი.

ასეთი განცალკევება ქალის ჩაგვრას კი არ ნიშნავდა, არამედ – პატივისცემას, რათა იგი დაცული ყოფილიყო ბარბაროსული ჩვეულებებისაგან, რასაც აღვიძებდა ალკოჰოლი, თავაშვებული ღრეობა:

მოვსეს ხორენაცი გადმოგვცემს, რომ სომხეთის მეფის შაპუჰისთან ლხინის ჟამს ერთი მთვრალი დიდებული გახელებული მიჯნურივით დაეწაფა ქნარზე დამკვრელ ქალს.

მეფე განრისხდა, მაგრამ თავხედ მამაკაცს ხელი ვერ ახლეს (V ს.).

ასევე მოიქცა თრდატ ბაგრატიუნი, რომელიც სივნიელთა მთავარ ბაკურთან ვახშამზე დათვრა, ყველას თვალწინ ქალს დაეკონა, რომელიც მასპინძლის ხარჭა აღმოჩნდა.

შემდეგ ყველა გაყარა სუფრიდან და ქალი გაიტაცა (II ს.).

ერთამი მაშინაც ჭრიდა: შუმანიკთან რომ შეეშვა, მცველს იაკობი „ჭურჭლის“ მიცემას დაპირდა.

სასანიდი მოხელებების სამშვენიისი იყო ოქრო-მარგალიტით შემკული თავსაკრავი (ი. ჯავახიშვილი). იბერიის პიტიახშები და ერისთავებიც მსგავსი პატივით იქნებოდნენ გამორჩეული.

მამაკაცს ქუდი უნდა ჰხურებოდა. იგი ატარებდა ხალენს (ტყავის ქურთუკი), ბიზანტიურ სკარამანგს, ყელსაბამს, საყურეს, გრძელ თმას. წვერი დაკულულებული უნდა ჰქონოდა, სამოსელი – ყელთან შეკრული, ფერხთ-ხამლი საბელით.

მცხეთის ჯვარის რელიეფის მიხედვით (VII ს.) სტეფანოზ პირველს, სტეფანოს მეორეს, დემეტრესა და ადარნერსეს აცვიათ გრძელი კაბა, სასანური სტილით შემკული არშიებითა და ძვირფასი ქვებით.

ასევე ირანულია სარტყელი და ფეხსაცმელიც.

ადარნერსეს აქვს წვრილი კულულები.

ასეთივეა ქრისტეს წვერი, რაც არაქრისტიანულად მიაჩნიათ.

ქალები და კაცები იცმევდნენ სელის, მატყლის, აბრეშუმის ფერად სამოსელს, ტყავის ფეხსაცმელს, როგორც ადგილობრივს, ისე შემოტანილს.

ქალები ატარებდნენ ბეჭდებს, საყურეებს, მედალიონებს, ოქროს საკინძებსა და ბალთებს, ბრინჯაოსა და რკინის მშვილდსაკინძებს, უსახელო კვართს (პალეკარტი), მდაბიონი – ძამას, ასევე – მგლოვიარენი (ძამა – თხის მატყლის უხეში ქსოვილი).

ტანს, სხეულს ერქვა გვამი და, შესაბამისად, იყო სამოსელი ზედა-გვამი და ქვედაგვამი.

მიმოქცევაში ყოფილა ბიზანტიური და სასანური, შემდეგ – არაბული მონეტები. ადგილობრივად ფულს – ვერცხლის დრამებს ჭრიდნენ სტეფანოზ II (VII ს), ტფილისის არაბი ამირა, დავით III კურაპალატი, ბაგრატ III.

ჰქონიათ ფერადი, გამომწვარი თიხის ნაირგვარი ჭურჭლეული, ასევე – ოქროსი და ვერცხლისა, მინისა და კერამიკისა – ფიალები, ჭიქები, სამარილეები, ჯამები, ლანგრები, ჭრაქები, სანელსაცხებლები. ელიტა იცავდა ჰიგიენას, უფრთხოდნენ ინფექციის გავრცელებას. განსაკუთრებით აუცილებელი ყოფილა ფეხის დაბანა, შეიძლება ქრისტეს ანალოგიით.

ქრისტიანობის დროიდან ფიქსირდება ფეხსალაგი/ფეხსადგილი (მაგ., დავით-გარეჯში, ძალისაში, მესხეთ-ჯავახეთში). სადაც არ იყო აბანო, იქ ტანის დასაბანად იყენებდნენ გობსა და ვარცლს, მდინარის ან წყაროს წყალს.

თავდასაცავად უშენებიათ ციხე-გალავნები. გალავანს ჰქონდა გოდოლები, სარკმელ-საჭვრეტები, სასროლები, რამდენიმე ჭიშკარი, ეზოში იდგა ეკლესია, მცირე შიდა – ციხე.

ასეთი ციხე-სიმაგრე იყო იგივე მინი-ქალაქი, რომელსაც საკმაოდ ადგილი ეკავა, მაგ., ურბნისის თავდაცვით სისტემას – 23 ჰექტარი.

ციხე-ტაძრების მშენებლობას, ჭურჭლეულისა და სამკაულის, იარაღების, სამოსელისა და პირადი ნივთების დამზადებას სჭირდებოდა პროფესიონალი ხურო და კირითხურო, მჭედელი და იუველიერი, მეთუნე და მეხამლე, შესაბამისი სახელოსნო და მასალა.

ეს ტრადიცია თაობიდან თაობას გადაეცემებოდა. ზოგი რამ დავიწყებას ეძლეოდა, მას ცვლიდა სიახლე, რაც მოჰქონდა როგორც რელიგიას, ისე უცხოელებთან კონტაქტებს.

ციხე-სიმაგრე, იარაღი და საომარი მზადყოფნა ისევე იყო აუცილებელი, როგორც ხვნა-თესვა და წირვა-ლოცვა.

ელიტარული წესის მიხედვით იბერიელები ბაძავდნენ ირანელებს, ლაზები – ბერძენ-რომაელებს, თუმცა თანდათან ორივეგან ვრცელდება ბიზანტიური სტილი.

სასულიერო პირები მკაცრად იცავდნენ დადგენილ, საყოველთაოდ მიღებულ, ტიტულატურით განსაზღვრულ ჩაცმის წესს, რაც იძლეოდა იერარქიულ განსხვავებას, საზეიმოს, რიტუალურს თუ ყოველდღიურს.

ეს იყო შავი ანაფორა, ფილონი, კუნკული, ომფორი, მიტრა (მღვდელმთავართა თავსარქმელი), მკერდზე ოლარით ჯვარი, თავჯვარედი ყავარჯენი.

საზეიმოდ მეფეებსა და მღვდელმთავრებს ეცვათ სისხლისფერი პორფირი და ბისონი, „რათა დასთხიონ სისხლი მათი, ვითა ქრისტემ ერისათვის“ (სულხან-საბა). იყო ბისონი მომწვანოც (ბაგრატ IV-ისა) და ცისფერიც (გიორგი III-ისა).

ნათლავდნენ თავდაპირველად ღამით, ზამთარში, მდინარის წყალში სამჯერ ჩაყვინთვით, ქრისტეს ნათლისღების ანალოგიით.

საეკლესიო იერარქიაც ყალიბდებოდა ელიტური წრიდან.

ეკლესიამ სამეფო ხელისუფლება გამოიყენა თავისი ძალისა და ქონების გასავრცობად და დასაცავად, თუმცა მიიჩნევდა, რომ მეფე მხოლოდ ხილული სამყაროს გამგებელია, მღვდელმთავარი – სააქოსა და საიქიოსი.

ამიტომ მთლიანად მას არც ემორჩილებოდა. მეფენი და დიდებულნიც კრძალვითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ ღვთის მსახურებს (შდრ – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“).

ჩვენს წინაპრებიც სახელმწიფოს მართვის ბიზანტიური მოდელის მიმდევრები იყვნენ.

საეკლესიო სამართლის წიგნი იყო „დიდი სჯულის კანონი“, რომელიც XII საუკუნის დასაწყისში თარგმნა არსენ იყალთოელმა.

იგი ემყარება მსოფლიოს 7 საეკლესიო კრების ძეგლისწერას, მოციქულთა კანონებს, 6 რეგიონული კრების გადაწყვეტილებებს, 8 გამოჩენილი მღვდელმთავრის ეპისტოლეებს.

არსებობდა მცირე სჯულის კანონიც, რომელიც ექვთიმე ათონელს გადამოუკეთებია.

ქართული საეკლესიო სამართალი გადმოცემულია რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში (1104 წ.).

მონასტრებს ჰქონდათ ტიპიკონი – წეს-განგება. მაგ., გრიგოლ ხანძთელმა საბაწმინდური ტიპიკონი განუწესა კლარჯეთის ეკლესია-მონასტრებს.

ისევ გრძელდებოდა ალიზითა და ქვით ციხეებისა და ზღუდე-გოდოლების აგება. სახურავად იყენებდნენ კრამიტს, ალბათ უკეთეს შემთხვევაში.

მასობრივად კი იქნებოდა მიწურები, ფაცხები და ჯარგვალები, ისლით დახურული, ქოხები – ფოთოლთა და ჩალათა სახლაკები (სულხან-საბა).

თავდაპირველად ეკლესიებიც ძელისაგან შენდებოდა, რაც შემდეგ ქვითკირმა შეცვალა, ისევე როგორც ქალაქები.

მოჰყავდათ მარცვლეული – ხორბალი, ქერი, ფეტვი, ნადირობდნენ და თევზაობდნენ, უვლიდნენ მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონელს, ვაზსა და ვენახს, ჰქონდათ მარნები.

სოფელი ქვეყანას ნიშნავდა IX საუკუნემდე (მაგ. „შუმანიკის წამებასა“ და „ევსტათი მცხეთელის წამებაში“), შემდეგ – დაბას.

აქედან – მდაბიური ანუ სოფლური, პროვინციალური.

IX საუკუნიდან არსებულა მზითვი, კაცისგან საცოლისათვის ქონების მიტანა, ასევე საკუთარი ქონების ანდერძით გადაცემა. მაგრამ ქონებისათვის დაუნდობელი ბრძოლაც ყოფილა. მაგ., გიორგი ჩორჩანელის დისშვილებმა მოკლეს თავიანთი სიძე, დის ქმარი („სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“).

ქონებას ჰქონდა საკუთრების ფორმა, რომელსაც განაგებდა და განკარგავდა მფლობელი.

მეფე-მთავრებს საყვარლებიც ჰყოლიათ. მაგ., აშოტ კურაპალატის და სიძვის დედაკაცის ცნობილი ისტორია, აშოტის ძის ადარნასეს მიერ მეძავის შესმენით ცოლის ბევრელის გაშვება, მისი მონაზვნად აღკვეცა.

მკურნალობის უცნაური მეთოდებიც ჰქონიათ. მაგ., ეპიფანე ხანძთელმა თავისი ხელთნაზანი მისცა ყრუ-მუნჯი გოგონას განსაკურნავად მოსულ კაცს, ასვი და სცხეო („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“). ეს რწმენის საკითხი იყო, თუმცა კონკრეტული ცოდნაც გააჩნდათ.

მაგ., იცოდნენ, რომ ადამიანის ბუნებაც 4 სტიქიონისაგან შედგებოდა – „სიტვოა“, „ყინელი“, „ნოტიოა“, „სიხმელი“ (შდრ – ემპედოკლეს 4 ელემენტი და 4 სტიქია), რომ მას მართავს თავი(ტვინი), გული და ღვიძლი (გრიგოლ ნოსელი, კაცის შესაქმისათვის, „შატბერდის კრებული“, X ს.).

ქრისტიანობამ შეცვალა დროის გაგებაც, უფრო სწორად – დააკონკრეტა ბიბლიის საფუძველზე:

დროის ათვლა დაიწყო კაცობრიობის გაჩენიდან – ადამ და ევას ჟამიდან, რაც არის მხოლოდ 7.619 წელი. საეკლესიო წელთაღრიცხვის 15-წლიან ერთეულს ინდიქტიონი ერქვა.

ქართული ქორონიკონის მოქცევა შეიცავდა 532 წელს (XIII მოქცევა დაწყებულია 781 წელს, XV – 1845 წელს). ოდნავ განსხვავებული იყო ბიზანტიური წელთაღრიცხვა.

VIII საუკუნიდან მკვიდრდება რომაული თვეთაღრიცხვა (იანვარი, თებერვალი, მარტი...), რომელმაც შეცვალა წარმართული სახელები (მაგ., სურწყუნისი, აპნისი, იგრიკა, მიჰრაკანი – მითრას თვე...).

„შუშანიკის წამებაში“ შერეული სისტემაა (მაგ., აპნისი და ოკდონბერი). ახალი წლის დადგომაც იცვლებოდა (მაგ., სექტემბერი – ახალწლისა).

ასტრონომიულ-ასტროლოგიური ზოდიაქოს ნიშნები შემოდის IX საუკუნიდან, რომლის რკალზე არის განლაგებული თვეები (პ. ინ-გოროყვა).

შაბათების სისტემამ ადრევე განდევნა. როგორც წარმართულ-ქართველური, ისე ასურულ – ბაბილონური და ელინური სახელები, მწერლობაში და არა მეტყველებაში (მაგ., მეგრულში დღემდე რჩება – თუთაშხა, თახაშხა, ჯუმაშხა...).

მასა ტრადიციულად შრომობდა და ომობდა, ელიტა მართავდა ქვეყანას, განაგებდა ქონებას და ცდილობდა უცხოთა ძალმომრეობისგან დაეცვა თავისი მოსახლეობა და ტერიტორია.

ქრისტიანულ-ბიზანტიური მრწამსის შესაბამისად იცვლებოდა როგორც კაცთა ცნობიერება, ისე – ყოფიერება, ზნეობა და ცხოვრების წესი, ყალიბდებოდა ახალი კულტურა, ღმერთის, სიცოცხლისა და სიკვდილის განსხვავებული წარმოდგენა.

ეკლესია-ტამრებსა და მონასტრებს უკავშირდება დაკრძალვის რიტუალი, რომელიც მიჰყავდა სამღვდლო პირს.

IV საუკუნიდან გავრცელებულა ფილაქვისა და თიხის საოჯახო და საგვარეულო სამარხები.

დასავლეთ საქართველოში კი მათ ენაცვლება ორმოსამარხები, რომლებშიც მიცვალებულს ხის კუბოთი ათავსებდნენ.

ზოგან მიცვალებული გვერდზე წევს, ზოგან – გულადმა, ხელები ჩამოშვებული აქვს, მკერდზე ან საზარდულზე დაკრეფილი, რაც წარმართული და ქრისტიანული წესების აღრევაა.

გრძელდება კრემაცია, მაგრამ უფრო ინჰუმაციას მიმართავენ, იშვიათად – მეორედ დამარხვასაც. შემოდის სიტყვა ნეკროპოლი (ბერძ. „მკვდარი ქალაქი“).

კოლექტიური სამარხები იმას ნიშნავდა, რომ ქრისტიანული ძმობა-თანასწორობა იმქვეყნადაც გაგრძელდებოდა.

ჯერ კიდევ არსებულა საფლავში ნივთების ჩატანება, თუმცა არა ძველებური სიმრავლით. არქეოლოგები პოულობენ ყელსაბამებს,



გერბებს, ბალთებს, ბრინჯაოსა და ვერცხლის საყურეებს, ქვისა და მინის ბეჭდებს, მინის, ქარვის, ძვლის, სარდიონის მძივებს, ბიზანტიურ ვერცხლისა და სპილენძის, სასაზღვრო ვერცხლის მონეტებს, თმის სარქებსა და საკინძეებს, ზოგან – საომარ იარაღებს, მაგრამ დიდი ხანი იშვიათად ჩანს ქრისტიანული სიმბოლოცა.

გამონაკლისთაგანია საგვარჯილეს სამი გემმა, რომლებზეც ჯვარია ამოკვეთილი. VI-VIII საუკუნეთა სამარხებშიც იშვიათია სამკერდული ჯვარი. ეს მაშინ, როცა ერთი მიცვალებულისათვის ჩაუტანებიათ 39 ნელსაცხების მინის ჭურჭელი.

ესეც ნიშანია, რომ მასებში ძნელად ვრცელდებოდა ქრისტიანობა. მაგ., მეფემ ამიტომ ხარკი დაუმიძმა მთიულებს. ხოლო წმ. ნინო მოითხოვდა წარმართების მახვილით მოქცევას.

წარმართული დროის მსგავსად საფლავებზე დგამდნენ სტელებს. მაგრამ აძლევდნენ ჯვარის ფორმას. შემდეგ ვრცელდება ქვაჯვრები, ბაზილიკისა და შენობის ტიპის ძეგლები, ფრინველის, ვაზის, თევზის, ცხვრის გამოსახულებანი, მზის სიმბოლოები (ე. ნადირაძე).

ქრისტიანობისადმი გულგრილობა და წარმართული რწმენა არის მიზეზი, რომ იბერიელთა სამარხებში სასანიდური ინვენტარია, ლაზთა სამარხებში – ბერძნულ-რომაული.

ქრისტიანული წესის დაცვით კრძალავენ შუმანიკს:

დედოფალის მატლებისაგან დაჭმულ ცხედარს განზანენ, შემოსავენ, საკმევებს უკმევენ, სუდარაში გაახვევენ და ასე მარხავენ, ალბათ თიხის სარკოფაგში, როგორც კრძალავდნენ პირველქრისტიანებს (მაგ., ანტიოქიაში).

ქრისტიანობის პერიოდიდან ვრცელდება და მკვიდრდება ორმო სამარხში ხის გვადრუცით დასაფლავება (კუბო XVIII საუკუნეშიც კი ნიშნავს ტახტრევანს, არა სამარხ ჭურჭელს).

წმინდანის ნაწილებს ინახავდნენ სხვადასხვა მასალისაგან დამზადებულ ლარნაკში. ხოლო ნეშტი განისვენებდა ლუსკუმაში, რაც იყო

ქვის სამარხი, იგივე სარკოფაგი და აკლდამა (ე. ნადირაძე, თ. ნადირაძე).

შემორჩენილია ასკეტური სამარხებიც, ალბათ სასულიერო პირთა. ისინი იმარხებოდნენ როგორც საყდრის ეზოში, ისე საყდრის იატაკ-ქვეშ, იერარქიის მიხედვით.

IX-X საუკუნეთა სამარხები საერთოდ არ ჩანს.

არც იბერიაში, არც ლაზიკაში ხალხთა ახალი ნაკადები არ შემოჭრილა, როგორც ეს მოჰყვა ევროპაში გუთებისა და ჰუნების შემოსევებს, რომის იმპერიის დამხობას. ერთი მხრივ, უცხო ძალთა დიქტატი აძნელებდა რეალობის, ეთიკის, ცხოვრების ქრისტიანულ კონსტრუირებას, ართულებდა მასის საარსებო პირობებს, კულტურის ფასეულობათა როგორც აღქმას, ისე შექმნას, მეორე მხრივ – მტრის ხატი ხელს უწყობდა ნაციონალიზებას, საარსებო ფიზიკურ და სულიერ ძალთა მობილიზებას, კულტურის განვითარებას (იხ. „მტრისა და მხსნელის ხატებიდან“).

ეკლესიის მიერ ბიზანტიიდან მოტანილი და ხალხში გავრცელებული მორალი, ეტიკეტი, კვების წესი, ჰიგიენა, იერარქიის პრინციპი იყო შემდგომი რეგულირება პიროვნების კულტურისა, ადამიანთა ურთიერთობისა, სულიერი ცხოვრებისა.

#### **4. ასურელი მამები და ქვაბ-მონასტრები**

არმაზული ღმერთები ხალხმა იოლად დაივიწყა. მაგრამ ვერ ელეოდა ადგილობრივ, მამა-პაპულ სალოცავებს, უძველეს წარმოდგენებს, რაც თაობიდან თაობას ზეპირი სიტყვით გადაეცემოდა და ნაწილობრივ შევიდა კიდევ ქრისტიანთა ყოფა-ცხოვრებაში, ლექსიკასა და შემოქმედებაში.

ზოროასტრული ცეცხლის კულტი უცხოური იყო და ისიც დრომ მოსპო. წარმოქმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში, განსაკუთრებით არა-

ბობის პერიოდიდან, როცა ისლამი დაუპირისპირეს ჯვარცმულის სახელს, ხალხი ქრისტიანობაში ხედავდა მხსნელ ძალას.

უძველესი ჯვარი ახალი დიდებით შეიმოსა.

ღვთისმსახურთა ოცნებას, ეკლესიებითა და მონასტრებით მოეფინათ ქვეყანა, რაც გადაანაწილებდა უფლის ძალას მთელს ტერიტორიაზე და დაიფარავდა მორწმუნეთ, იზიარებდა როგორც ხელისუფალი, ისე მასის სხვადასხვა ფენა.

ეკლესია-მონასტრებს ჰქონდათ ხელისუფალთაგან თუ ადგილობრივ ფეოდალთაგან ბოძებული მიწები, როგორც საარსებო ბაზისი. მაგ., მიწა, რომელზეც ასურელმა შიომ მღვიმე გამოიყვანა, ჯერ კიდევ ფარსმან მეფეს (V ს-ის დასაწყისი) გადაუცია ეკლესიისათვის.

ქართლის ერისმთავარი სტეფანოზი კათალიკოს ბართლომესთან ერთად მივიდა შიოს სანახავად, მაგრამ ბერები გაცილებით მეტი პატივისცემით შეხვდნენ კათალიკოსს.

სტეფანოზი გაბრაზდა და გადაწყვიტა, საერთოდ წაერთმია მამულები შიომღვიმისათვის, თუმცა შემდეგ შეშინდა და გადაიფიქრა.

როგორც საკუთარი შრომით, ისე ფეოდალთა დახმარებით, მრევლის თანადგომით შენდებოდა ეკლესია-მონასტრები შესაბამისი სიგელით დაკანონებულ მიწაზე.

ეკლესიები VI საუკუნიდან ფლობდნენ საგრძნობ ქონებას, მიწებსა და შენობებს. ხოლო გრიგოლ ხანძთელის დროიდან კიდევ უფრო გაძლიერდნენ.

იბერიელები ამდენ ეკლესია-ტამარს ვერ ააგებდნენ, რომელთა შენება მრავალი წელი გრძელდებოდა, რომ არ ყოფილიყო ირანელ ხელისუფალთა დასტური. მაგრამ ეს იმასაც ნიშნავს, რომ ისევ დარჩა ზოროასტრული ცეცხლტამრები და ქართული წარმართული სალოცავებიც, რაც ქმნიდა პოლითეისტურ მოზაიკას:

ირანი იმიტომ კი არ იპყრობდა ქართლს, რომ აქ მხოლოდ ქრისტეს ეზიმა და ჩამქრალიყო მაზდეანური ცეცხლი.

საეკლესიო ცხოვრება ახალი ძალით გაჩაღდა ასურელი მამების მოსვლის შემდეგ, V საუკუნის შუა წლებიდან. მათ მოიტანეს ქვაბთ-მშენებლობის, კლდეში კვეთის, სვეტზე დგომის, მღვიმის ათვისების ტრადიცია (შდრ – შიოს ზედწოდება მღვიმელი, დავითისა – გარესჯელი, ანტონისა – მარტყოფელი). ასეთი უკიდურესი ასკეტიზმის გამო მათ გამოჩენას კ. კეკელიძე უკავშირებდა მონოფიზიტების დევნას ახლო აღმოსავლეთში, ბიზანტია-ირანის ომს, მონოფიზიტურ ბერ-მონაზვნობას.

ამ დროს, ქართლში მეფობა გაუქმებულია. ქართლი სპარსეთის ერთ-ერთი პროვინციაა. შესაბამისად – გამლიერებულია მაზდეანობა. მაგრამ ქრისტიანები ინარჩუნებენ პოზიციას და ჰყავთ ქართველი კათალიკოსი.

ქართველის არჩევის ნება დართო ბიზანტიამ, რათა ქართლი საბოლოოდ არ დაეკარგა. მაგრამ ეს უნდოდათ ირანელებსა და სომხებსაც.

ასე უფრო იოლად გაიყვანდნენ თავიანთ კანდიდატურას.

კათალიკოსად აღსაყდრების უფლება მოუპოვებია მცხეთის ორ „სახლს“, ორ საგვარეულოს, რაც კირიონამდე გაგრძელებულა.

მაგრამ VI საუკუნის იბერიაში უფრო მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ ბერ-მონაზონთა ინსტიტუტის შემომტანი და ქვაბ-მონასტრების მამულებელი მამები.

ისინი რამდენიმე ნაკადად მოსულან, მოსულან სხვადასხვა დროს. მაგ., ჯერ დავით გარეჯელი (20-იანი წლები), შემდეგ – იოანე ზედაზნელის გუნდი (543 წ.). კ. კეკელიძის აზრით, ყოფილა ოთხი ჯგუფი.

ყოფილან არა ცამეტნი, არამედ – ჩვიდმეტნი მაინც.

თავიანთ მასწავლებლად მიიჩნევდნენ სვიმეონ მესვეტეს (521–592), რომლის ცხოვრების ტექსტი ქართველებს უთარგმნიათ, ისევე როგორც დედამისის – მართას ცხოვრება.

სვიმეონთან ყოფილა „ერი მრავალი ქართველთაჲ“, როგორც ამბობს მისი ბიოგრაფი ბერძენი მთავარეპისკოპოსი მაკარი (VII ს.).

მისი გავლენით ჩვენშიც საკმაოდ გავრცელებულა მესვეტეობა, რაც ასკეტური განდგომის მკაცრი ფორმა იყო (მაგ., კაცხის სვეტი).

სვიმეონ მესვეტე ცხოვრობდა ანტიოქიის მახლობლად შავ მთაზე აღმართულ სვეტზე. ეწეოდა ლიტურატურულ მუშაობას.

ყოფილა უადრესად პოპულარული და ქრისტიანთათვის მისაბამი ასკეტი მოღვაწე. მას გამოუგზავნია ასურელი მამები იბერიაში. მასვე უკურთხებია სელევკიის ეპისკოპოსად ანტონ ქართველი (იხ. „ასკეტიზმის ტრიუმფი“).

ასურელ მამებს (მაგ., აბიბოს ნეკრესელს) მთელი სიცოცხლის მანძილზე ჰქონიათ მიწერ-მოწერა სვიმეონ ანტიოქიელთან.

ბერ-მონაზვნებს ასკეტური ცხოვრება აძლევდათ საშუალებას სამწერლობო მუშაობისათვის, იმ სულიერი მემკვიდრეობის გასაქართულეზად, რაც შეითვისეს საბაწმინდის ლავრასა თუ ანტიოქიის მახლობელ მონასტრებში.

ისინი გაიფანტნენ მთელს ქართლის ტერიტორიაზე და უვალ ადგილებში გამოკვეთეს რწმენის ტაძრები, რაც ასევე კულტურის ცენტრებად იქცა.

ამ მეუდაბნოე მისიონერებმა ახალი სული შთაბერეს ქრისტეს რწმენას და მართლაც დათესეს ნამდვილი ქრისტიანობა ქართველთა შორის.

ეკლესიებს დაემატა ქვაბ-მონასტრები, სადაც ამქვეყნიდან განდგომილი შავი სამღვდელონი ადიდებდნენ უფალს, სადაც წერდნენ და თარგმნიდნენ წიგნებს, იძლეოდნენ ასკეტური ცხოვრების მაგალითებს.

ასურელების მეთაური ყოფილა იოანე ზედაზნელი. ისინი ცამეტად იწოდებოდნენ ქრისტესა და 12 მოციქულის ანალოგიით.

ტრადიციის თანახმად ერთად მოსულან, თუმცა ეს არ დასტურდება. მაგრამ აქაც მოქმედებდა ანალოგია და სიმბოლიკა.

ქართლი ახალ სინათლეს უცხოეთიდან მოელოდა.

ასე მოვიდა წმ. ნინო კაზადოკიიდან, ევსტათი – ანტიოქიიდან.

ასე მოვიდნენ ასურელი ბერ-მონაზვნებიც.

ზოგი ფიქრობს, რომ ისინი ქართველები არ ყოფილან (ივ. ჯავახიშვილი). ზოგი, პირიქით – მათ ქართველობას ამტკიცებს (კ. კეკელიძე), რასაც დამატებით ურთავენ მათ მცირე აზიურ, კაბადოკიურ წარმომავლობას (გ. გოზალიშვილი).

კაბადოკიასთან, უმველეს საცხოვრისთან ასოცირების სიგნალებია ასევე – აზონი, წმ. გიორგი, ქართლი, კესარია, ტრაპეზუნტი, დიდი საეკლესიო მამები – გრიგოლ ნაზიანზელი, ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი.

კაბადოკია იქცა დაკარგული ისტორიის სიმბოლოდ (შდრ – ჰეროდოტე: „ფრიგიელების მეზობლად არიან კაბადოკიელები, რომელთაც ჩვენ სირიელებს ვუწოდებთ“).

შეიძლება ასურიც სიმბოლო იყო, რადგან ქართულ ეკლესიას ამ დროს ისევ ანტიოქიასთან ჰქონდა კავშირი. ბიზანტიას ეომებოდა ირანი, ქართლი დაპყრობილი ჰქონდა და ამდენად კონტაქტი კონსტანტინეპოლთან გაწყვეტილი იყო.

ანტიოქიის ეკლესიას ისევ მფარველობდა ირანი და ამდენად ასურელ მამებს შეეძლოთ თავისუფალი გადაადგილება და ქრისტეს დიდება.

მთავარი იყო, რომ ქართლის ეკლესია არ იქნებოდა ბიზანტიის მიმდევარი. X საუკუნემდე იგი ისედაც პალესტინის ლიტურგიკულ პრაქტიკას უკავშირდებოდა და ქრისტეს საფლავის – პალესტინის ტიპიკონს (ღვთისმსახურების წესდება) იყენებდა (კ. კეკელიძე).

როგორც ჩანს, ასურელი მამები განერიდნენ კონფენსიურ დავას, რადგან იზიარებდნენ და პრაქტიკულად ატარებდნენ ჰენოტიკონის იდეას. ასეთი, ჰენოტიკონის მსგავსი შემარიგებლური რწმენიდან ამოიზარდა კირიონ კათალიკოსის მონოთელიტიზმი, რაც დღევანდელ უნიტარიზმს შეესაბამება.

იოანე ზედაზნელი ყოფილა შუამდინარეთიდან, ანტიოქიის ახლოს მდებარე რომელიღაც დაბიდან (სოფლიდან).

იოანეს მოწაფეებს ასახელებს „ქართლის ცხოვრება“ – დავით გარესჯელი, სტეფანე ხირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონი მარტყოფელი, ისე წილკნელი, თათე სტეფანმინდელი, შიო მღვიმელი, ისიდორე სამთავნელი, აბიბოს ნეკრესელი, მიქელ ულუმბოელი, პიროს ბრეთელი და ელია დიაკონი.

ქართლში ამ დროს გაბატონებული ყოფილა მონოფიზიტობა.

ზოგი თვლის, რომ მათ მიერ „სჯულის განწმენდა“ დიოფიზიტობის გამარჯვებას ნიშნავდა (ა. ჯაფარიძე).

ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის ბზარი ჩნდება ასურელი მამების ჩამოსვლის შემდეგ, რომელთაც მონასტრებით მოფინეს ქართლი და განამტკიცეს ქალკედონური რწმენა.

კავკასიაში ირანელთა თანადგომით გაძლიერებულ სომხურ ეკლესიას 551 წელს ჩამოსცილდა ქართლი, სადაც 574 წლიდან საბოლოოდ იმარჯვებს დიოფიზიტობა.

ასურელი მამები რომ მონიფიზიტები ყოფილიყვნენ, ქართლის ეკლესია არც სომხებს დასცილდებოდა, არც ქალკედონობას აღიარებდა.

სხვა ძლიერი ძალა ეკლესიას არ ჰყავდა.

დიოფიზიტები იყვნენ სომხეთში, ისევე როგორც მონოფიზიტები ქართლში. რყევა გაგრძელდა პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად. მაგ., სტეფანოზი განდგომია ბერძნებს და სპარსელებს მიმხრობია. ამის გამო კონფლიქტი ჰქონდა შიო-მღვიმის ბერებთან. ხოლო ჰერაკლე კეისარმა სულაც გადააყენა.

დიოფიზიტური ქართული ეკლესია ყოველთვის რელიგიის განამტკიცებლად და სამონასტრო ცხოვრების დამწყებად მიიჩნევდა იოანე ზედაზნელის გუნდს, წერდა მის წევრებზე ჰაგიოგრაფიულ ტექსტებს, კიმენურ, მეტაფრასტულ და სვინქსარულ რედაქციებს, ლოცვებში მოიხსენიებდა მათ სახელებს.

მონოფიზიტების მიმართ ასეთი პატივდება წარმოდგენელი იყო.

ზოგი მათგანი თავის რწმენას შეეწირა (მაგ., აბიბოს ნეკრესელი).

ასურელი მონოფიზიტი ასე არ დაუპირისპირდებოდა ცეცხლ-თაყვანისმცემლობას.

მაზდეანები კარგად ეგუებოდნენ მონოფიზიტებსა და ნესტორიანელებს.

ასურელ მამებს პოლემიკა არ გაუმართავთ მონოფიზიტებთან – პრაქტიკული მოღვაწეობით განამტკიცეს ასკეტური სული და ქალკედონური რწმენა, რათა მრევლი მათ გაყოლოდა.

ასურელი მამების ტრადიცია გააგრძელა კირიონ კათალიკოსმა და შესძლო დაპირისპირებოდა მონოფიზიტურ სომხურ ეკლესიას.

## 5. იბერია-ლაზიკის პოლიტიკური კრაზი (VI ს.)

იბერიისა და ლაზიკის მეფეები ბევრს ეცადნენ, რათა შეენარჩუნებინათ დამოუკიდებლობა. მაგრამ ვერც ბიზანტიასთან ერთმორწმუნეობამ, ვერც ირანელთადმი მხარდაჭერამ, რელიგიურმა დათმობამ შედეგი ვერ გამოიღო:

ორივე მათგანი მხოლოდ დროს ელოდა, რომ ჩვენი ტერიტორიები მიეთვისებინა. არც პრო-ირანული, არც პრო-ბიზანტიური კურსი სწორი არ გამოდგა.

დიდი იმპერიების გეოპოლიტიკას ეწირებოდა პატარა და სუსტი ქვეყნების ინტერესები.

შაჰმა კავად I-მა (488-531) 510 წელს საბოლოოდ გააუქმა ალბანეთის სამეფო. შემდეგ იბერიელებს მოსთხოვა, მიცვალებულს მიწაში ნუ მარხავთ, ფრინველებსა და ძაღლებს მიუგდეთო.

ეს ნიშნავდა მაზდეანური რწმენის აღდგენას.

523 წელს ქართლიც ისევე აჯანყდა, როგორც ალბანეთი და სომხეთი. მაგრამ გურგენს (გუარამს) იუსტინე კეისარმა საკმარისი ჯარი ვერ მიაშველა.

მეფემ ლაზიკას (ეგრისს) შეაფარა თავი, რომელიც გორგასალის შემდეგ ისევ გაძლიერდა.



მეფობა ქართლშიც გაუქმდა – „დაესრულა მეფობა ქართლისა“, დაწერს მემბტიანე. იგი კავკასიის კუსტაკის ერთ–ერთი შაჰრი (ოლქი) გახდა, რომელსაც სპარსი მარზპანი მართავდა.

ასეთი რამ იბერიის ისტორიაში არ მომხდარა, დაწყებული ძვ. წ. III საუკუნიდან.

ირანის იმპერია გაყოფილი იყო ოთხ კუსტაკად. ქართლი სომხეთთან, ალბანეთთან და ატროპატაკანთან ერთად შეიყვანეს მეორე, კავკასიის კუსტაკში (სულ – 13 ერთეული).

კუსტაკის უფროსი იყო სპასპეტი (სპაჰბედი).

თუ ასე გაგრძელდებოდა, იბერები რელიგიასაც დაკარგავდნენ და ნაციონალობასაც.

## 6. სპარსული ლექსიკა ქართულში

სამოხელეო ტერმინები, ცხადია, სპარსულია. პიტიახშთა რეზიდენციასაც სპარსული სახელი ჰქვია – ტამარი. ხოლო ქართული ფულის ჯვარი გამოსახულია მაზდეანურ საკურთხეველზე.

მრავალსაკუნოვანი ირანული დიქტატი ენაზეც ახდენდა ზეგავლენას, განსაკუთრებით – ლექსიკის სფეროში.

ავესტურ–მაზდეანური ტერმინოლოგია თმობდა პოზიციებს. მაგრამ სახელისუფლო ლექსიკა, საკუთარი სახელები, სკვითებთან, მიდიელებთან, ალანებთან, პართებთან კონტაქტები, მათგან შემოსული საგნები რჩებოდა ქართველთა მეხსიერებაში (მ. ანდრონიკაშვილი).

კულტურას მოჰქონდა შესაბამისი ენობრივი სამოსელი. იგი მკვიდრდებოდა თავისუფალ ნიადაგზე და ავსებდა სიცარიელეს.

შეიძლება ბევრი მათგანი ქრისტიანული ღმერთის მსახურებმა არ შემოუშვეს მწერლობაში ან შესატყვისი მოძებნეს. მაგრამ ბევრი დარჩა და დღევანდელობამდე მოაღწია (მაგ., ასპინძა, ამინდი, აბრაგი, ეშმაკი, დროშაკი, ჯოჯოხეთი, ბევრი, ლუდი, მეხი, მონა, ქუდი, შავი, ხავსი, ფასი, დილეგი, დოლი, აზჯარი, ავაზაკი, ატროშანი, ბაგინი, ბანაკი, ვეშაპი, ბეჭედი, ჟამი, მარაგი, უნასი, პატიმარი, ჰასაკი, ანდერძი, ბერი,

ბორცვი, გუშაგი, ბოსტანი, ბუნება, განძი, ბარძიმი, იადგარი, ხაშმი, ვაჭარი, კოშკი, კერპი, ნავარდი, ნაძვი, იატაკი, ნიადაგი, ნიშანი, პასუხი, პერანგი, როჭიკი, სასტიკი, სენაკი, სპეტაკი, სპასალარი, ტანი, ტანჯვა, ტაბლა, ქურციკი, შარავანდი, ჭალაკი, ჭემმარტი, ჭაბუკი, ჭარმაგი, ხუარბალი, ხუასტაგი, დევი, აუგი...).

მხოლოდ ასურელი მამების ან სტეფანოზ პირველი პატრიკოსის მონდომება ვერ შეცვლიდა ატმოსფეროს.

იბერიის სამეფო არც გამარჯვებულმა ბიზანტიამ არ აღადგინა.

აჯანყებებით, პოლიტიკური ლავირებით, ხელისუფალთა ცვალებით, ეკლესია – მონასტრების მშენებლობით მოსახლეობას მაინც შერჩა ეთნიკურ–რელიგიური სახე, შესაბამისად – კულტურა და ენა.

ასეთივე პროცესი მიმდინარეობდა ლაზიკაში.

ანანია შირაკაცის „გეოგრაფიის“ მიხედვით (VII ს.) ლაზიკა ოთხ ნაწილად იყოფოდა – მანრილი (მარგვეთი), ევგრევიკი (ეგრისი), ჭანევი (ჭანეთი) და ლაზივი (ლაზეთი) – რიონიდან ჭოროხამდე.

დანარჩენი ზღვისპირა ტერიტორია, რომელიც მდინარე თერმოდონტამდე და ქალაქ ლიმანამდე ჭან-ლაზებით იყო დასახლებული, ეპყრა ბიზანტიას.

მასში შედიოდა გონიო, აფსარი, ხუფათი, არქაზი, ბიწე, ათენი, კორდვილი, რიზე, ოფი, პლატანა, კერასუნი, ფარნაკია, კოტიორა, ჰენეთი, პოლემონი, ოინე, ლიმანი, ხალდია, მაჭუკა, ზიგანა, რკინისკარი, კორადეთი, ჰამამაშენი (პ. ინგოროყვა).

მთავარი ქალაქი იყო ტრაპეზუნტი.

სანაპირო ზოლში, ქალაქებში ტრადიციულად ცხოვრობდნენ ბერძნები. ასე რომ – ლაზიკა ისევ ორად ყოფილა გაყოფილი.

V საუკუნეში გუბაზ პირველის დამარცხების შემდეგ ლაზიკა საგრძნობლად დასუსტდა, დაკარგა ტერიტორიების ნაწილი, შენეულა მისი აქტივობა.

ციხეებში ბიზანტიელთა ჯარი იდგა და გაჰყავდათ მონები.

მთავარი სიმაგრეები ისევ იყო არქეოპოლისი, შორაპანი, სკანდა, დაემატა პეტრა (ციხისძირი), რომელიც ბიზანტიელებმა ააშენეს.

განსაკუთრებით ძლიერი აკროპოლი ჰქონია არქეოპოლისს (ნოქა-ლაქევი), ლაზიკის დედაქალაქს.

ლაზებს ისევ ემორჩილებოდნენ აბშილები, აბაზგები, სანიგები, სკვიმნიელები (ლექხუმელები), სვანები (V საუკუნის ბოლომდე).

ლაზებს არ გააჩნდათ ხორბალი, ღვინო, მარილი, თუმცა ელიტა ტრადიციულად კარგად ცხოვრობდა. მაგ., სოფ. შუხუთში აღმოაჩინეს მდიდარი მოსახლის კომპლექსი, რომელსაც აბანოც კი ჰქონია (IV-V ს. ს.).

ჯერ კიდევ ჰიპოკრატე (ძვ. წ. 450-377) წერდა რიონის ხეობისა და ჭაობიანი ზღვისპირეთის მავნე ბუნებაზე, სადაც ბურუსი ჰფარავდა მიდამოს, სადაც სვამდნენ თბილ და დამპალ წყალს და ნესტის სიჭარბის გამო ხილი კარგად არც მწიფდებოდა, სადაც ციებით ფერშეცვლილი ადამიანები ჭაობში მდგარ ხის ან ლერწმის სახლებში ცხოვრობდნენ.

პროკოფი კესარიელის სიტყვით, ნაყოფიერი ადგილი ყოფილა მხოლოდ მოხირისი, ტერიტორია რიონისა და ცხენისწყლის გარშემო.

მიუხედავად ამისა, ლაზიკა ორი დიდი იმპერიის ბრძოლის არენა გახდა და არცერთ მათგანს არ ეთმობოდა.

ბიზანტიელთა დამარცხება ირანელებთან, გუთებისა და ჰუნების შემოტევები ხელს უწყობდა ლაზიკის ახალ გაძლიერებას (ნ. ლომოური).

ბიზანტიელები იძულებული ხდებოდნენ, რომ დაეტოვებინათ ლაზიკა, თუმცა ეგრისელები რჩებოდნენ ვასალებად.

ლაზიკის მეფეები, ისევე როგორც გუბაზ პირველი, მანიპულირებდნენ ქრისტიანობასთან მიმართებით, ვერ ელეოდნენ წარმართულ ტრადიციებს, რათა ასეთი ქცევით პოლიტიკური დივიდენდი მიეღოთ ბიზანტიელებისაგან:

მაგ., 523 წელს წათე ისევ გაქრისტიანდა. კეისარმა შერთო ბიზანტიელი დიდებულის ასული, დაადგა სამეფო გვირგვინი, ძვირფასად მოკაზმა და ლაზიკაში დააბრუნა.

ამის გამო ირანელები დასავლეთში გადავიდნენ, მაგრამ დამარცხდნენ და უკუიქნენ.

532 წელს ბიზანტია – ირანს შორის დაიდო „საუკუნო ზავი“. დამარცხებული გურგენი (გუარამი) ბიზანტიაში წავიდა.

მისი შვილები პერანი და ბაკური, შვილიშვილი ფაზა ბიზანტიის სარდლები გახდნენ (ა. ბოგვერამე).

„საუკუნო ზავი“ მალე დაირღვა და ირანელები ისევ შეესივნენ ლაზიკას, რომელიც ხან ბიზანტიელთა მოკავშირე იყო, ხანაც ირანელებს იწვევდნენ და ებრძოდნენ თავხედ ბიზანტიელებს.

როგორც ჩანს, რელიგიას არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ამ ბრძოლების ცენტრში იდგა გუბაზ მეორე.

იბერიისა და ლაზიკის ელიტაში, როგორც ვნახეთ, დამკვიდრებული იყო ირანული და ბერძნული ონომასტიკა.

ამისგან განსხვავებით გუბაზი მეგრულ-ქანური ძირის სიტყვაა და ნიშნავს ხეთქებას, ლაღად ქცევას (ო. ქაჯაია), ხოლო წათე (წათი) – შუბის მაგვარ იარაღს (სულხან-საბა).

თითქოს თავის სახელს ამართლებდა ლაზების მეფე, როცა ცდილობდა რომ ერთი უცხო ძალა მეორე უცხო ძალით მოეცილებინა და ასე მიეღწია თავისუფლებისათვის.

გუბაზი და წათე ლაზიკის მეფეთა დინასტიური სახელებია, როგორც წარმართულ ხანაში ქუჯი, როგორც იბერიაში ფარსმანი და მირდატი.

ირანელებმა გუბაზ მეფის მოკვლა გადაწყვიტეს. ეს რომ გამჟღავნდა, იგი ისევ ბიზანტიას მიემხრო (შდრ – გიორგი სააკაძე).

ლაზიკაში მწვავედ დადგა პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი.

ქვეყანა ორი იმპერიის მრავალწლიანი ომის ასპარეზად იქცა.

ახლა ბიზანტიელებმა მოიძულეს გუბაზი და ხობისწყალთან ვერაგულად მოკლეს კიდეც (554 წ.). ასეთ ქაოსურ სიტუაციაში მოიწვიეს სახალხო კრება თუ ვისი მხარე დაეჭირათ (აეტისა და ფარტაზის გამოსვლები).

555 წელს ირანელები საბოლოოდ დამარცხდნენ. დამარცხებული სარდალი შაჰმა ხოსრომ ცოცხლად გაატყავებინა.

კონსტანტინეპოლში ბიზანტიელი სარდლები კი – ძმები რუსტიკე და იოანე – გუბაზის მკვლელობის ბრალდებით სიკვდილით დასაჯეს. ხოლო მთავარსარდალი გადააყენეს.

ხანგრძლივი ბრძოლისა და რყევის შემდეგ ლაზიკაც ქრისტესა და ბიზანტიის ერთგული დარჩა.

ლაზიკის მეფედ იუსტინიანემ წათე დაამტკიცა, გუბაზის უმცროსი ძმა.

VI საუკუნის ბოლოსათვის ბიზანტიის ხელისუფლებამ მაინც გააუქმა მეფის ინსტიტუტი და იგი აქაც პატრიკიოსით შეცვალა (ბიზანტიის რანგთა ტაბულით 19 ტიტულს შორის იდგა მერვე ადგილზე).

იბერია და ლაზიკა ადმინისტრაციულ ერთეულებად იქცნენ, ერთი – ირანისა, მეორე – ბიზანტიისა.

ბიზანტიამ არ იკმარა ლაზიკა და VII საუკუნის 20-იან წლებში ჰერაკლე კეისარმა იბერიაც დაიპყრო, თითქოს მაზდეანი ირანელებისაგან დაიცვა ქრისტიანული ქართლი.

კულტურისა და ერთიანობის შემნარჩუნებელი ფაქტორი იყო მხოლოდ დიოფიზიტური ეკლესია.

ამჯერადაც ახალ აგრესიულ ძალას უნდა ეხსნა ჩვენი წინაპრები.

### III. კრიტიკა და დამწერლობა: უფლის ნების ფიქსირება

ორი დაფა, ორი თავისი თითებით ნაწერი ფიქალი მისცა მოსეს სინაის მთაზე უფალმა, რომელიც ცეცხლივით მოგიზგიზე ღრუბლით იყო შებურვილი.

აქ 40 დღე და 40 ღამე ისმენდა უფლის სიტყვას. მაგრამ ძირს რომ ჩამოვიდა, იხილა ოქროს ხბოს წინაშე მროკავი ბრბო, გარყვნილი და თვითრჯული.

განრისხებულმა მოსემ დალეწა კერპი, ღვთის ფიქალები და ღვთის ნაწერიც იქვე მიამსხვრია.

შემდეგ უბრძანა ლევიანებს, რომ ძმას ძმა მოეკლა, მეგობარს – მეგობარი, ნათესავს – ნათესავი.

ასე დასაჯა უფლის მოღალატე 3.000 თანამომძე.

უფალმა უხმო მოსეს და ისიც ისევ ავიდა სინაის მთაზე, თან აიტანა ახლად გამოთლილი ორი ფიქალი.

იქ დარჩა მშვიერ-მწყურვალი 40 დღე და 40 ღამე და ჩაიწერა უფლის აღთქმის ათი სიტყვა (მცნება).

ძირს ჩამოსულს პირისკანი უელავდა და სახეზე რიდეს იფარებდა.

მოსეს უკვე შეეძლო ჩაეწერა უფლის ნათქვამი ყოველი სიტყვა, რომელთა შესრულებას აიძულებდა ისრაელიანებს:

ხალხის წარმოდგენაში დაწერილ სიტყვას ღვთაებრივი წარმომავლობა, აზრი და ძალა ჰქონდა.

მეფე-სარდლის მიმართვა, ეპისკოპოსის ქადაგება, რიტორის სიტყვა მსმენელის გულის სიღრმეში იჭრებოდა, მაგრამ აზრსა და ემოციას მეხსიერებაზე უკეთ და გაცილებით დიდხანს შეინახავდა ბგერის სიმბოლოდ ეტრატზე დახატული თუ ქვაზე ამოკვეთილი ანბანი.

# 1. ქართული მწერლობის დასაწყისი

## მოთხოვნილება და სიტუაცია

საქართველოს ტერიტორიაზე თუ მის ფარგლებს გარეთ ნაპოვნია უძველესი, ქვებზე ამოკაწრული პიქტოგრაფიული ნიშნები, შემდეგი დროის ნახატის მსგავსი გამოსახულებანი, გეომეტრიული ფიგურები (ა. აფაქიძე). არსებობს ბერძენ ავტორთა (მაგ., აპოლონიოს როდოსელის) ცნობები კოლხური კვირბების შესახებ, ლეონტი მროველის სახელდება ფარნავაზ მეფისა ქართული დამწერლობის შემქნელად.

არსებობს ცალკეული მკვლევარების ჰიპოთეზები და თეორიები (მაგ., ივ. ჯავახიშვილის, პ. ინგოროყვასი, რ. პატარიძის, ლ. ჭილაშვილის). შეიძლება ქურუმთა წრეში არსებობდა ქართული ანბანის შექმნის ცდებიც. მაგრამ V საუკუნემდელი მოღწეულია მხოლოდ ბერძნული და არამეულ-არმაზული წარწერები.

ამ ენებით სარგებლობდა არისტოკრატთა და ქურუმთა კასტა. უცხო ღმერთების მაღიარებელთა და მშობლიურ მიწაზე დამამკვიდრებელთა წინაშე არ დამდგარა აგრესორთაგან მკვეთრი გამიჯვნის, მითუმეტეს – დაპირისპირების შესაძლებლობა, რომ შემოედოთ თავიანთი ანბანი და დამწერლობა. რომც შეექმნათ – არ გავრცელდებოდა (შდრ. მაგ., ესპერანტოს ბედი).

ასეთი აუცილებლობა, შესაბამისი პოლიტიკურ-კულტურული სიტუაცია წარმოიშვა მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანობის მიღებისა და გავრცელების შემდეგ, როგორც დამოუკიდებლად ყოფნის სიმბოლო და საშუალება, როგორც ეროვნული თვითშეგნების არსებითი ნიშანი.

სიკვდილის წინ მირიან მეფეს „წიგნი“ დაუწერია მთავარეპისკოპოს იაკობის ხელით, სადაც მსჯელობს თავის დამსახურებაზე ქრისტეს წინაშე და ძველი კერპების „ცეცხლით“ მოსპობაზე („მოქცევაჲ ქართლისაჲ“).

ბერძენი მღვდელმთავარი მეფის სიტყვას იმ ენაზე ჩაიწერდა, რომლითაც მიჰყავდა ღვთისმსახურება ანუ ბერძნულად.

ქართული დამწერლობა რომ არსებულებოდა, მირიანი თავად დაწერდა ან რომელიმე ქართველ ეპისკოპოსს უკარნახებდა.

ქრისტიანობა წიგნზე დაფუძნებული რელიგიაა და სადაც შედიოდა, ყველგან შეჰქონდა წმინდა საკითხავები და იცავდა ბერძნული (დასავლეთში – ლათინური) ენის პრიორიტეტს.

როცა ეპისკოპოსმა ვულფილამ (318–388) შექმნა გოთური ანბანი – თარგმნა ბიბლია; როცა ბიზანტიელმა ბერებმა, მძებმა კირილემ და მეთოდემ შეადგინეს სლავური კირილიცა და გლაგოლიცა (IX ს.), ასევე ხელი მოკიდეს ბიბლიას, რადგან ბიბლია არის ქრისტიანისათვის უპირველესი, წმინდა წიგნი.

იბერიაშიც ასე მოიქცეოდნენ – ანბანს უნდა მოჰყოლოდა ბიბლიის გადმოტანა და ეგზეგეტიკურ-თეოლოგიური კომენტირება, გაცნობა მრევლისათვის.

აღბათ ბიბლიის, კერძოდ – სახარებისა და ფსალმუნების გადმოღების აუცილებლობას გრძნობდნენ ღვთისმსახურები.

ანბანშემოქმედისათვის, რომელიც უეჭველად ღმერთმსახური იქნებოდა, შეიძლება – ეპისკოპოსი, ეს ნიშნავდა ყველაზე დიდი ოცნების აღსრულებას.

მოთხოვნილება და სიტუაცია განსაზღვრავს ფაქტის რეალიზებას. ასეთი კონკრეტული ვითარება შეიქმნა შაჰ იუზდიგერდ პირველის (399-421) მმართველობის დროს (იხ. „რელიგიური რყევა“):

ირანს, რომელსაც დაუსრულებელი ომები ჰქონდა რომის იმპერიასთან, უნდოდა, რომ არა მხოლოდ იარაღის, არამედ – რწმენის ძალითაც ჩამოეცილებინა კავკასია და წინა აზია დასავლური სამყაროსაგან.

ქრისტიანობა ძალიან გავრცელდა და ხალხებში პოპულარული იყო, – სპარსელთა შორისაც. მკვეთრ დაპირისპირებას, როგორც ვთქვით, ირანმა არჩია სექტანტ-მწვალებელთა მხარდაჭერა, ენობრივად, ლიტურგიულად და დამწერლობით კავშირის გაწყვეტა ბერძ-



ნებთან და ბერძნულ ეკლესიასთან. მოტივი – ღმერთი ყველას თავის ენაზე უნდა ედიდებინა.

ქრისტესმიერი ძმობა და თანასწორობა ენათა და ხალხთა თანასწორობასაც ნიშნავდა.

ამისათვის საუკეთესო ხერხი იყო, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებს ჰქონოდათ თავიანთი ანბანი და დამწერლობა, თავიანთ ენაზე გადაეთარგმნათ ბიბლიური და საღვთისმეტყველო წიგნები (შდრ – სოხუმის ხელისუფლების ცდა, რომ გაღვლეები დაეწერონ მეგრულად და შექმნან მეგრული დამწერლობა, რუსეთის „მფარველობა“ მცირე ერებისადმი – თითქოსდა სამართლიანობის სახელით).

ეს უეჭველად გამოიწვევდა რომაელთა უკმაყოფილებას, ხელს შეუწყობდა დისტანცირებას ბერძენთაგან და შეიძლება დაპირისპირებადაც ქცეულიყო.

ასე აუმხედრა იეზიდგერდმა ქრისტიანები, აღმოსავლეთის ეკლესიები ბიზანტიას, პირველ რიგში – ასურული და სომხური.

## **ბერძნული ანბანი – ასომთავრულის პროტოტიპი**

ევროპაში ანბანი ჰქონდათ ბერძნებსა და ლათინებს.

მათ ეს კულტურული ტრადიცია აღმოსავლეთისაგან შეითვისეს.

ასოთდამწერლობის უძველესი ნიმუშია ჩრდილო სემიტური წერითი სისტემა, კონსონანტური დამწერლობა (თამაზ გამყრელიძე).

იგი შეიქმნა ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში.

განასხვავებენ სამ ქვეტიპს. ესენია – ფინიკიური, ქანაანური და არამეული. გრაფიკულად სამივე ერთნაირია, ლურსმულის მსგავსი.

მანამდე არსებობდა იეროგლიფური და ლურსმული დამწერლობები.




ფინიკიელებიც ბერძნების მსგავსად აარსებდნენ ზღვისპირა კოლონიებს და ანბანის კულტურა შეჰქონდათ სხვადასხვა ხალხებში.

ფართოდ გავრცელდა არამეული დამწერლობა, მათ შორის – იბერიაშიც.

არამეულიდან გამოდის – ებრაული კვადრატული დამწერლობა, პალმირული, სირიული, ნაბატეურ-არაბული, ირანული (ფარსული, ფალაური), არმაზული.

გრაფიკულ ნიშანთა მოწესრიგებას, მათ დალაგებას საფუძვლად დაედო ფონეტიკური პრინციპი.

ამ სისტემის პროტოტიპი იყო ეგვიპტური ჰიეროგლიფიკა.

ბგერის გრაფიკული გამოსახულება არის ასო. ხოლო იეროგლიფი საგნის ნახატი იყო. მაგ., ეგვიპტურად თვალი – , პირი – , სახლი –  (თ. გამყრელიძე).

ასოს კი რიცხვითი მნიშვნელობა გააჩნია (გემატრია) და ასოცირდება ზოდიაქოსთან, ასტრალურ სამყაროსთან, სხეულის ნაწილებთან.

იზოსეფსიურად სიტყვა არის რიცხვი (მაგ., აპოკალიფსში ქრისტეს შეესატყვისება ალფა და ომეგა, რაც ნიშნავს პირველსა და უკანასკნელს ბერძნული ანბანთრიგით).

ბერძნულ ანბანს წინ უსწრებს კრეტა-მიკენური (B ხაზოვანი) დამწერლობა, შესრულებული ძვ. წ. II ათასწლეულის შუა წლებში.

ძველი ბერძნული ანბანი ყალიბდება VIII-VII ს. ს.

ანტიკური ტრადიციით იგი მოდის ფინიკიურისაგან, ფინიკიელი კადმოსისაგან, რომლის სახელზეც დელფოსში სამისნო ააგეს.

თავიდან ბერძნულშიც მარჯვნიდან მარცხნივ იწერებოდა.

ხმოვანს ნიშანი არ ჰქონდა და იგი ბერძნებმა შემოიღეს.

ასონიშანს ზუსტად უნდა გამოეხატა კონკრეტული ენის ფონეტიკური ნიუანსები. ამიტომ ყოველ ენას შეჰქონდა თავისი სპეციფიკა ანბანის სისტემაში, რომელსაც სათავისოდ აქცევდნენ.

მთავარი იყო მოხაზულობა, გრაფიკა. სიმბოლოები კორექტირების დროს უნდა შეეტანათ ქურუმებს, რათა ანბანის ღვთაებრივი წარმომავლობა აეხსნათ.

ბერძნული ანბანიდან განვითარდა იტალიკური, შემდეგ – არქაული და კლასიკური ლათინური.

გოთი ეპისკოპოსი ვულფილა უარყოფს წარმართულ რუნულ დამწერლობას და ბერძნულის მიხედვით ქმნის გოთურ ანბანს.

გოთურში ყოველ ასოს მიეცა სიტყვიერი შესატყვისი. მაგ., F – ქონება, S – მზე, M – კაცი, D – დღე.

აღმოსავლეთში ბერძნულის მიხედვით შექმნილი ქართული ანბანური სისტემა სამი ტიპისგან შედგება და გამოხატავს ევოლუციის სტადიებს:

1. ასომთავრული (მრგვლოვანი),
2. ნუსხური (კუთხოვანი),
3. მხედრული.

ასომთავრულით არის შესრულებული ბოლნისის, უკანგორის, მცხეთის ჯვრის, ნეკრესის, ზნაკვის, პალესტინის წმ. თეოდორეს მონასტრის, წყისეს, ატენის სიონის წარწერები.

მათგან უძველესია ბოლნისის სიონის წარწერა (493-494 წწ.), რომელიც გვაუწყებს ტამრის აშენების დროს.

ერთხანს, გიორგი წერეთლის გავლენით, უპირატესობას ანიჭებდნენ პალესტინურ, იორდანის უდაბნოს ქართული მონასტრის წარწერებს, მარუანის (პეტრე იბერი) და ბაკურის სახელებს.

ამჟამად მათ უფრო VI საუკუნის დასაწყისს განაკუთვნიებენ, როგორც მაშინვე დაათარილა მ. თარხნიშვილმა.

ასომთავრულის გრაფიკას ქმნის კვადრატში ჩასმული გეომეტრიული ფიგურები – სწორი ხაზი, წრეხაზი, ნახევარწრეხაზი, რომელთა ზუსტი მოხაზულობა ანბანს ანიჭებს მონუმენტურ, პათეტიკურ, საზეიმო და განსაკუთრებულ სტილს. იგი თითქოს გამოკვეთილია და არა დაწერილი.

ასონიშანთა გეომეტრიულ სტრუქტურას ჰქონდა სიმბოლურ-მისტიკური მნიშვნელობა (რ. პატარიძე, თ. ჩხენკელი). იგი ენათესავება უძველეს ორნამენტებს, რაც ასტრალური სამყაროს გრაფიკული სიმბოლო იყო (შდრ – „ქართველური არქაიკის არტეფაქტები“).

საიდუმლო დამწერლობის – კრიპტოგრაფიის (იზოსეფსია და გემატრია) შორეული სათავე იყო, ისევე როგორც მხატვრული აზროვნებისა, ტაბუირების არქაული სისტემა.

ქართული ანბანის დასაწყისზე და წარმომავლობაზე მსჯელობენ ასომთავრულის მიხედვით. მისგან VIII საუკუნიდან ვითარდება კუთხოვანი, რომელიც სომხურ ანბანს ჩამოჰგავს.

864 წლის სინური მრავალთავი მთლიანად მრგვლოვანით არის გადაწერილი, ხოლო ანდერძი – კუთხოვანით. კუთხოვანი ისე გავრცელდა, რომ XII საუკუნეში გამოცდილ კალიგრაფებსაც კი უჭირდათ ასომთავრულით ნაწერის კითხვა.

XI საუკუნეში კუთხოვანიდან იშვა მხედრული, თანამედროვე ქართული ანბანი. მოგვიანებით, XVII-XVIII საუკუნეებში კუთხოვანის კითხვაც გასძნელებიათ და სახარებასაც მხედრულით გადაწერდნენ ხოლმე.

ასომთავრულში დაცულია ბერძნულში მიღებული ასოთა რიცხვითი მნიშვნელობა, რიცხვიშანთა ოცობითი და ათობითი სისტემები, სემიტურის საპირისპირო მარცხნიდან მარჯვნივ წერის წესი.

რიცხვითი ნიშნები გამოხატავენ ერთეულებს, ათეულებსა და ასეულებს, როგორც ბერძნულში. ხოლო სემიტურთან მსგავსება შეინიშნება იმდენად, რამდენადაც თავად ბერძნული მოდის სემიტურიდან, ე. ი. სემიტური ქართული ანბანის პაპაა.

ბერძნულის მსგავსად ქართული ანბანი შეიცავს ხმოვნებს. ანბანთრიგიც ბერძნულს მისდევს. ცალკეული ასონიშნები ქრისტიანული დროისაა:

†(ქ) არის ქრისტეს აკროფონიული ნიშანი (ზ. სარჯველაძე). მასვე ჰგავს X (ჯ – ჯვარი), რაც არის ქრისტეს მონოგრამა (ელ. მაჭავარიანი).

ბერძნულია დამწერლობასთან დაკავშირებული ლექსიკა – კალამი, მელანი, ქარტა, ეტრატი (დ. ბაქრაძე, კ. კვეციანი, მ. სურგულაძე). ლათინურ-ბერძნულია წიგნი – signum, რაც ნიშნავდა ნაწერს, მაგ., ეპისტოლეს (შდრ – „წიგნი ტარიელისა“).

ასევე ბერძნულია პაპირუსი (ჭილი), პერგამენტი (მცირე აზიის ქალაქ პერგამონიდან), ეპისტოლე, სტიქონი/სტრიქონი, ტომარი (წიგნის ნაკვეთი), არაბულია ქადადი/ქაღალდი, ნუსხა.

ქართულია წერა, რაც წვეტიანი იარაღით მიწის დამუშავებას ნიშნავდა (შდრ – წერაქვი).

საწერელი იარაღი ძირითადად ლერწმის ჩხირი იყო ჩვენთანაც.

ი. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ქართული ანბანი შექმნილია წარმართულ ხანაში, ძვ. წ. VII საუკუნეში და მომდინარეობს არამეულისაგან.

იგი ანბანის შექმნას უკავშირებდა ქართველური ტომების მიგრაციას მცირე აზიიდან კავკასიაში.

რ. პატარიძე ავითარებს და აზუსტებს ივ. ჯავახიშვილის კონცეფციას და მას უკავშირებს ქურუმების მისტიკურ და სიმბოლურ აზროვნებას.

გ. წერეთელმა როგორც ასომთავრულის, ისე არმაზულის წყაროდ ჩათვალა არამეული.

ჰ. ინგოროყვას ქართული ანბანის შემოქმედად მიაჩნდა მითა მესხი – მოსხების უკანასკნელი მეფე ფრიგიაში (ძვ. წ. VII ს.).

მასვე ასახელებდა ქურუმთა იმ კომისიის წევრად, რომელმაც მოახდინა ფინიკიური ანბანის ბერძნული მოდელირება.

ქართულის პროტოტიპად თვლიან ძველ ბერძნულს ვ. გარდტჰაუზენი, ა. შანიძე, კ. კეკელიძე, თ. გამყრელიძე, თ. ჩხენკელი, რაც სწორად მიგვაჩნია.

მათი აზრით, ქართული ანბანი შეიქმნა ქრისტიანობის მიღების შემდეგ. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ანბანის კონსტრუირება არის შემოქმედება, რაც არ სცნობს პალეოგრაფიული ნიუანსების სიზუსტეს.

## ანბანი და კომისია

ძველი სომხური ანბანი (ერკათაგირი) ბგერითი სისტემის ანალიზის საფუძველზე შექმნა მესროპ მაშტოცმა 405-406 წლებში, მისი

მოწაფის კორიუნის და მოვსეს ხორენაცის ცნობით, ქართული და ალბანურიც. მან ლოცვის დროს კლდეზე იხილა ანბანის ხაზების კვალი. შემდეგ კი რუფინუსის დახმარებით შესძინა ასოებს ბგერითი სიზუსტე.

მანვე მოწაფეებთან ერთად ასურულიდან დაიწყო ბიბლიის თარგმნა.

ზოგი მეცნიერი, მაგ., ტეგოლა ხაგასი თვლის, რომ სომხური ანბანი არის ძველი ეთიოპიურის ვარიაცია.

თ. გამყრელიძე ფონემური სისტემის ანალიზით ამტკიცებს, რომ ქართული ანბანი სომხურისაგან სავსებით დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა.

ქართული ანბანის შემოქმედსაც ღრმად ჰქონია გააზრებული ენის სპეციფიკა, ფონეტიკური ნიუანსები, რასაც ვერ შეძლებდა ქართულის არმცოდნე მაშტოცი (ა. პერიხანიანი) ან იბერიის ბერძენი მთავარეპისკოპოსი.

ქართული ანბანი ქართველს უნდა შეექმნა.

ანბანშემოქმედს უნდა ჰქონოდა ზუსტი სმენა, შესძლებოდა მეტყველების ბგერითი დანაწევრება და ნიუანსების გრაფიკაში გადატანა.

კ. კეკელიძის აზრით, მესროპ მაშტოცი შეიძლება ყოფილიყო ინსტრუქტორი, რომელმაც იბერებს გაუზიარა თავისი გამოცდილება.

თუ გავითვალისწინებთ ირანის პოზიციას, ქართული ეკლესიის დამოკიდებულებას სომხურზე, მაშინ ეს შეხედულება მართებულად უნდა ვცნოთ.

ასეთივე ინსტრუქტორი უნდა ყოფილიყო ბერძენი მთავარეპისკოპოსი სვიმეონ V, როგორც იბერიის ეკლესიის მეთაური, ბერძნული დამწერლობისა და ენის მცოდნე.

მაგრამ მთავარი ფიგურა იქნებოდა რომელიმე ქართველი „სჯულის მეცნიერი“.

გამოდის, რომ ასომთავრული შეუქმნია რამდენიმე კაცისაგან შემდგარ კომისიას, როგორც თავდაპირველად თვლიდა კ. კეკელიძე.

ალბათ ამიტომაც არ იხსენიება ქართულ მატრიანეებში ანბანშემოქმედის სახელი.

გრაფიკა არსებულთაგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო, მარტივი და იოლი აღსაქმელი. მაგრამ ვერანაირი ანბანი ვერ დამკვიდრდებოდა სახელმწიფოებრივ – საეკლესიო აღიარების ანუ მეფის გარეშე.

მაშინ იბერიაში მეფობდა მირდატ ვარაზ-ბაკურის (ბაქარის) ძე, რომელიც ბერძნებს მტრობდა კლარჯეთის მიტაცების გამო, ხოლო ირანელებს ხარკი შეუწყვიტა ანუ ეძებდა დამოუკიდებელ გზას.

იგი ირანელებთან ომში დამარცხდა, ტყვედ ჩავარდა და 422 წელს აღესრულა უცხოობაში, ბაჰრამ-გურის მმართველობის დროს.

ამრიგად, ქართული ანბანი წარმოიშვა V საუკუნის 10-იან წლებში, ბერძნულისაგან, ირანის პოლიტიკური პოზიციის პრაგმატული გამოყენებით.

ამჟამად მსოფლიოში ძირითადია 14 ანბანი – ჩინური, ბერძნული, ლათინური, ებრაული, სომხური, ქართული, ასურული, არაბული, ეთიოპიური, იაპონური, სლავურ-კირილური, ინდური, მონღოლური, კორეული.

დანარჩენი მათი ვარიაციებია ან – ისტორიას ეკუთვნის.

## **საგდუხტ დედოფალი და სახარება**

ქართული მწერლობაც ბიბლიის წიგნების გადმოღებით უნდა დაწყებულიყო. ეს ფუნქცია დაეკისრებოდა ახალ შექმნილ ანბანს.

მაგრამ სიტუაცია უეცრად შეიცვალა:

421 წელს მოკლეს იეზდიგერდ I.

ახალმა შაჰმა ბაჰრამ-გური V-მ განაახლა ქრისტიანების დევნა. ბევრი მათგანი გააქცევს ან დახოცეს. მიზეზი ის იყო, რომ ქრისტიანთა აღზევებას მოჰყვა მაზდეანობის შესუსტება.

ირანის ქრისტიანთა კრებამ გამოაცხადა ბიზანტიელთაგან გამიჯვნა. მაშინ უნდა დაელაშქრათ იბერია და ტყვედ ჩაეგდოთ მეფე მირდატი.

დამფრთხალი ქრისტიანები ჯვარს მალავდნენ.

გაძლიერდა სპარსოფილური ტენდენცია ეკლესიაშიც.

ასეთ დროს არავინ ითავებდა წმინდა წიგნების თარგმნას. ქართული ანბანი იქნებოდა მხოლოდ მიწერ-მოწერის საშუალება. მაგრამ ბიზანტიამ დაამარცხა ირანი და იბერიაშიც შეიძლებოდა ეფიქრათ წმინდა წიგნების გადმოღებაზე.

როგორც წერს ჯუანშერი (XI ს.), ვახტანგ გორგასლის ცხოვრებისა და მოქალაქეობის ავტორი, მეფე არჩილის (422-432) ძემ მირდატმა შეირთო რანის ერისთავის, სპარსი ბარზაბოდის „ქმნულკეთილი“ ასული საგდუხტი (საჰაკდუხტი).

დედოფალი დაინტერესდა ქრისტეს სჯულით, მოინათლა და უარყო მამაპაპეული ცეცხლის რწმენა.

მისივე თხოვნით „უთარგმანეს სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი“ მეუღლის – მომავალი მეფის მირდატის მიერ მოგვრილმა „სჯულის მეცნიერებმა“.

შეიძლება აქ თარგმნა განმარტებას ნიშნავდეს – ირანელ ასულს ქართული და ბერძნული არ ეცოდინებოდა. მაგრამ ახალმოქცეული დედოფალი გამოკითხვასა და ახსნა-განმარტებას არ იკმარებდა. სამშვილდის სიონის მაშენებელი, რომელსაც დედამთილი ბერძენი ჰყავდა, ხოლო მამამთილი – ეკლესიათა მომკაზმველი და სპარსთა მოძულე, ქართულსაც ისწავლიდა.

მანვე დაამზადებინა წმ. გრიგოლ ნაზიანზელის მოოქროვილი ვერცხლის მცირე ხატი (შ. ამირანაშვილი).

იგი იყო დედა ვახტანგ გორგასლისა, რომელიც იბერიის წარმართ და ქრისტიან მეფეთაგან ყველაზე აქტიურად ებრძოდა ირანის ექსპანსიას.



ალბათ საგდუხტის მითითებით თარგმნეს სახარების ტექსტი ქართულ ენაზე, რათა იგი მუდმივად თან ჰქონოდა. ეს იქნებოდა ხანმეტური სახარება.

ამ სახარების რედაქტირებული ტექსტი უნდა იყოს შემონახული ადიშის ოთხთავის ხელნაწერში (პ. ინგოროყვა), რომელიც 897 წელს გადაუწერია შატბერდელ ბერს მიქაელს.

იგი ბერძნულიდან არის გადმოღებული, რასაც ამჟღავნებს კალკირებული ენობრივი კონსტრუქციები (ს. ყაუხჩიშვილი, ზ. სარჯველაძე), თუმცა შეიცავს არმენიზმებსაც.

ამ ფაქტს ხსნიან შემდეგი დროის რედაქტირებით.

მაგრამ როცა ითარგმნა სახარება, მაშინ იბერიის მთავარეპისკოპოსი იყო სპარსი მოზიდან.

ამიტომ მთარგმნელები ისარგებლებდნენ სომხური სახარებითაც, პარალელური თარგმანით, როგორც ეს მიღებულია პრაქტიკაში.

სომხური კი ასურულიდან იყო გადმოღებული. ტექსტი გაცილებით არქაული ჩანს, ვიდრე „შუმანიკის წამება“, ბერძნიზმებით გართლებული. ინახავს როგორც ხანმეტობის, ისე ჰაემეტობის ნიშნებს.

საგდუხტი ნაადრევად დაქვრივდა – დარჩა 11 წლის ხუარამზე, 7 წლის ვახტანგი და 2 წლის მირანდუხტი. ქართველთა და ქრისტესადმი თავდადების გამო შეშინებული დედოფალი ბარდავში ეახლა მამას, ბოდიში მოუხადა რჯულის დატევებისათვის და შეევედრა, რომ „ღმერთი ჭეშმარიტი“ არ წაერთმია, შური არ ეძია.

ბარზაბოდმა ბრძანა, ძალით რწმენას არავის დავაგდებინებთო, შეიწყალა ასული და მცხეთას გააყოლა სპარსი ეპისკოპოსი ბინქარანი და ცეცხლის მსახურნი, უფრო სწორად – მაზდეანებთან ერთად სპარსული ქრისტიანობის მიმდევარნი.

ცეცხლთაყვანისმცემელთა აღზევებასა და ქრისტიანობის შერყვნას მწვავედ განიცდიდა დედოფალი. იგი რვა წელი ქართლის მეფეც ყოფილა და ალბათ მაშინ ჩამოაყვანინა ბიზანტიიდან „ზემო ეკლესი-

ის“ ეპისკოპოსად „მღდელი ჭემმარიტი“ მიქაელი, რომელმაც წლების შემდეგ მის ვაჟს კბილები ჩაუმტვრია.

სახარება უნდა ყოფილიყო პირველი ტექსტი, რომელიც „სჯულის მეცნიერებმა“ ქართულ ენაზე გადმოიღეს. მას უნდა მოჰყოლოდა დავითნი (ფსალმუნნი), შემდეგ – ეპისტოლენი და მოწამეთა წიგნები, რომელთაც ასახელებს იაკობ ხუცესი.

ოთხი სახარება იყო ის ოთხი სვეტი, რომელსაც ეყრდნობოდა ეკლესია (წმ. ირინეოსი, II ს.).

### **პირველი ავტორები და თარგმანები**

სასახლიდან წასულ შუშანიკს თან ჰქონია ევანგელე და მოწამეთა წიგნები. ექვსი წელი იგი მარხულობდა და იტანჯებოდა.

სულის ურვას და ფიზიკურ ტკივილს უმსუბუქებდა უფლის რწმენა, მოწამეთა ცხოვრების მაგალითები, კითხვა და გალობა, მცირე დროში შესწავლილი ასერგასი ფსალმუნნი, პავლეს ეპისტოლენი.

ავტორი არ იუწყება, თუ რომელ ენაზე იყო დაწერილი ეს წიგნები.

შუშანიკმა იცოდა სომხური და ქართული. მაგრამ რადგან იაკობი არ აზუსტებს, იგულისხმება, რომ ქართულია. ხოლო მათგან ევანგელე იქნებოდა საგდუხტ დედოფლისეული.

V საუკუნის ერთ-ერთ ასურულ თხზულებაში – „წიგნი ერთა და ქუეყანათათვის“ იმ ხალხთა შორის, რომელთაც ჰქონიათ დამწერლობა, სახელდებიან ტაონი და ქართველები (კ. კეკელიძე).

ცნობილია კონკრეტული ავტორებიც:

V საუკუნის ქართლში უცხოვრია ჯალის თუ ჯალას, რომელიც თარგმნიდა სომხურიდან და ბერძნულიდან: კ. კეკელიძე მას მიიჩნევდა ქართული ანბანის ერთ-ერთ შემქნელად.

არჩილ მეფეს დაუსვამს მთავარეპისკოპოსად მოზიდან, რომელსაც უწერია მაცთური, სპარსული ქრისტიანობის გამომხატველი წიგნები. ისინი დაუწვავს მიქაელს. მაგრამ „ნათესავად სპარსი“ ქართულენოვანი მწერალი არ იქნებოდა (სპარს. მობედან – ქურუმი, მოგვი);

თითქოს მთარგმნელიც ყოფილა ანტინესტორიანელი იერემია იბერიელი (გრ. ფერადე), რასაც უარყოფს კ. კეკელიძე.

3. ინგოროყვა ასახელებს აბიათარსაც, როგორც „სახელმოხვეჭილ მწერალს“. მისივე აზრით, ქართულად ადრევე არსებულა „წიგნი ნებროთისი“, ზოროასტრული თხზულება;

IV საუკუნით ათარიღებს ა. ჯაფარიძე „ნინოს ცხოვრებას“; ავტორად მიიჩნევს სალომე უჟარმელს;

ცალკეულ ეპიზოდებს გამოყოფდა რ. ბარამიძე ლ. მროველის „ქართველ მეფეთა ცხოვრებიდან“. მაგ., „ცხოვრება ფარნავაზისა“ დაათარიღა ძვ. წ. II საუკუნით.

ჰიპოთეზა ბევრია, დიდია სურვილი, რომ ქართული მწერლობის დასაწყისი გადაიწიოს შორს – წარმართულ ხანაში. მაგრამ უნდა შევუფრთხივდეთ იმ აზრს, რომ იგი წარმოიშვა ახალშექმნილი ანბანის საფუძველზე, V საუკუნის 30-იან წლებში.

საგდუხტ დედოფლის ინიციატივით თარგმნილი სახარება არის მისი პირველი ძეგლი, ხოლო ორიგინალურ ტექსტთაგან – იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, დაწერილი 476-482 წლებში (კ. კეკელიძე).

მწერლობის შემოდებით ეკლესიას შეეძლო უფრო ეფექტურად ებრძოლა მწვალებელთა, წარმართთა და მაზდეანთა წინააღმდეგ, განემტკიცებინა ახალი რჯული და დაეწყო ღვთისმსახურება მშობლიურ ენაზე, გაემკვეთებინა ნაციონალობის პათოსი, შეეცვალა ადამიანთა ცნობიერება.

ანბანსა და დამწერლობას კულტურისა და სახელმწიფოსათვის ამდენად ჰქონდა დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა.

## ენა და დამწერლობა

კონიე ენას თითქმის ყველგან – სახელმწიფოს, საეკლესიოს, სალიტერატუროს – საფუძვლად დაედო დედაქალაქის მეტყველება, სადაც თავს იყრიდნენ ინტელექტუალური ძალები – სამეფო და რელიგიური ელიტა.

ღვთისმსახურები ამ წრიდან იყვნენ გამოსული. ისინი კულტურის ცენტრებში – სასახლეებსა და ეკლესია-მონასტრებში, როგორც საკომუნიკაციოდ, ისე წირვა-ქადაგებებში, თარგმანებსა და ორიგინალურ ნაწერებში, მიწერ-მოწერაში ამ ენით სარგებლობდნენ, რაც დაცილებული იყო მდაბიური, ვულგარული მეტყველებისაგან.

ამ ენას, როგორც უფლისაგან გადმოცემულსა და კურთხეულს, როგორც კუთხე-ტომთა გამაერთიანებელს, ამკვიდრებდა სამეფო ხელისუფლება, რომლითაც იმართებოდა როგორც ცენტრალური აპარატი, ისე პერიფერიული (საერისთავოთა) ცენტრები.

ქართული მწიგნობრობისათვის ასეთი ენის საფუძველი გახდა მცხეთა-ტფილისის მეტყველება, ხოლო არაბთა შემოსევის შემდეგ, როცა კულტურის ცენტრმა გადაინაცვლა სამხრეთით, გრიგოლ ხანძთელის დროიდან მას დაერთო კლარჯეთში მოღვაწე ღვთისმსახურთა სტილიზებული ენა.

შესაბამისად გავრცელდა ჰაგიოგრაფიაში მეტაფრასული სტილი, ბერძნული ლექსიკა და კალკები, სპეციფიკური სააზროვნო ენა, რომლის აპოგეაა იოანე პეტრიწის (XI-XII სს.) სინტაქსი და ზმნური ფორმები.

ტაო-კლარჯეთიდან არაბების მიერ დარბეული და ხოლერის ეპიდემიით დამფრთხალი ქართლურ-მესხური მოსახლეობის ერთი ნაკადი წავიდა დასავლეთით – დაიკავა დღევანდელი აჭარის ტერიტორია. მეორე ნაკადმა მიგრაცია, სწრაფი თუ თანდათანობითი, განაგრძო ჩრდილოეთით, სადაც ჩამოყალიბდა დღევანდელი გურიისა და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა შესაბამისი დიალექტებით (იხ. „მეოთხე მიგრაცია“).

ისინი შეერივნენ ადგილობრივ მეგრულ-ჭანებს და მოახდინეს მათი ქართიზება, საბოლოოდ გათიშეს გეოგრაფიულად და ენობრივად მეგრელებად და ჭანებად (ლაზებად). მაგრამ დარჩა გვარები და ტოპონიმები, რომლებიც გვეუბნებიან, რომ აქ ოდესღაც კოლხების შთამომავლებს უცხოვრიათ, დარჩა ისტორიული ცნობები.

ეკლესიამ და მწერლობამ აღადგინა ქართველურ ტომთა პირველადი ერთიანობა, ვიდრე დასრულდებოდა სახელმწიფოებრივი ინტეგრირება.

## მეტყველების საღვთო პათეტიკა

ენობრივი ნორმების კანონიზება ხდებოდა ბერ-მონაზონთა წრეში და პირველ რიგში აისახებოდა ბიბლიის წიგნების თარგმანებში.

მას ერთვოდა ან ზემოქმედებდა, ერთი მხრივ – ცოცხალი, ყოველდღიური და დიალექტური მეტყველება, მეორე მხრივ – ბერძნული ტექსტები.

დროთა მანძილზე ეს იწვევდა სტატიკური საეკლესიო-სამწერლო ენის დაცილებას დინამიკური ყოფითი მეტყველებისაგან, რაც ბარბარიზმებითა და ვულგარული ფორმებით იტვირთებოდა.

მთარგმნელსა და გადამწერსაც შემოჰქონდათ იდიოლექტური და დიალექტური ფორმები, განსხვავებული ლექსიკა და სინტაქსი, კალკირებული კონსტრუქციები.

ეკლესიური მეტყველების პათეტიკა, მისტიკა და რიტმიკა ხელს უწყობდა სუგესტიას, ჰალუცინაციურ ხილვებს, რათა მორწმუნე სადმართო ნისლში გახვეულიყო და ხილვებით უფალს მიახლოებოდა.

ლათინური იყო სამხედრო არისტოკრატის ენა, რომელსაც აწესრიგებდა ელიტა, რათა იგი ყოფილიყო ზუსტი, ლაპიდარული და ჰეროიკული.

საეკლესიო ენას, მათ შორის ქართულს, სჭირდებოდა ბუნდოვანების შარავანდედი, რათა ლოცვითა და მისტიკური ექსტაზით წარმოედგინათ და განეცადათ უზენაესი.

თუ როგორი იყო იბერიული (ქართული) მეტყველება, შეიძლება წარმოვიდგინოთ „შუშანიკის წამებისა“ და „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“, ხანმეტი (გიორგი მთაწმინდელი) და ჰაემეტი (აკაკი შანიძე) ტექსტების, სახარების თარგმანების მიხედვით (ხანმეტური და საბაწმინდური).

თ. გამყრელიძის აზრით, VII საუკუნეში უნდა დამკვიდრებულიყო ჰ ბგერა. პ. ინგოროყვა კი მიიჩნევს, რომ ხანმეტობა და ჰამეტობა პარალელურად არსებული ფორმებია.

აკ. შანიძის სიტყვით, ეს ახასიათებდა ორ სხვადასხვა დიალექტს, რომელთაგან ერთმა შეცვალა მეორე.

ძველქართულში არსებული ძლიერი მახვილის (არნ. ჩიქობავა) მოქმედების შედეგია ფუძეთა კუმშვა და კვეცა, მეტყველების რიტმული, ლექსთან მიახლოებული მდინარება, გალობის მსგავსი.

ალბათ ძლიერმა მახვილმა წარმოშვა წრფელობითი ბრუნვაც – სახელის ფუძის წარმოდგენა ბრუნვის ნიშნის გარეშე (მაგ., „აბრაჰამ იყო მდიდარ ფრიად საცხოვართა“).

საეკლესიო ტერმინოლოგია, ლიტურგიის წესი, ბიბლიის ტექსტები ძირითადად ბიზანტიურიდან მოდიოდა. ამიტომ ქართულ სამწერლო ენაში ბუნებრივია, რომ დამკვირდა ბერძნული კალკები, ლექსიკა, სიტყვათაწარმოება და სინტაქსური კონსტრუქციები (ზ. სარჯველაძე).

ეს იყო ცეცხლთაყვანისმცემელი ქურუმებისა და ირანული კულტურის მტარებელ ხელისუფალთა საპირისპირო ტენდენცია.

სპარსულს ცვლიდა, ძირადა ან აძვეებდა ბერძნული, რომლის ადექვატურ შესატყვისთა შექმნა ძნელდებოდა. ეს კი სამწერლო ენას თანდათან აცილებდა ხალხური მეტყველებისაგან და აძლევდა მწიგნობრულ სახეს, ხელოვნურ და გართულებულ ფორმებს, რაც ანელებდა მის ზემოქმედებას.

ელიტას მეტყველებაც განსხვავებული ჰქონდა მასისაგან – ლექსიკა, ინტონაცია, ტემბრი, სინტაქსი.

საეკლესიო-სალიტერატურო ენას ძლიერი მახვილი, ემფატიკური ა, ინვერსია, ერთგვაროვანი ბრუნვის ნიშნების სიმრავლე წყობილ სიტყვას ამგვანებდა, ფსალმუნთა საგალობლების ინტონაციასთან აახლოებდა.

მწიგნობართა ენა სიზუსტითა და წესრიგით განსხვავდებოდა მდაბიოთა ვულგარული მეტყველებისაგან. იგი საღვთო იყო, გულსხმობდა წირვა-ლოცვის პროცესს, ღმერთმსახურების რიტუალს, მჭევრმეტყველებას.

ამიტომ პათეტიკა და ემოცია, ტაძრის აკუსტიკა, მქადაგებლის ხმა, ბინდ-ბუნდი და საკმევლის სურნელი სუგესტიურად იმორჩილებდა მორწმუნის გულს, არა მხოლოდ გონს (იხ. „ძველ-ქართული ენის რიტმი“).

ჯვარცმულის სახე, მისი ბედი, წამებული წმინდანების ისტორია, მეორედ მოსვლის მოლოდინი თუ მოციქულთა თავგანწირვა, გადმოცემული როგორც სპექტაკლი, როგორც აქტიორის ტრაგიკული მონოლოგი, იწვევდა კათარზისს, მიწიერ ვნებათაგან განწმენდას და საღვთო, მისტიკურ ექსტაზს.

მდაბიოთა მეტყველება ისევე იყო მოდელირებული, როგორც სამოსელი, საჭურველი, საცხოვრისი და სალოცავი.

მას ჰქონდა შიშისმომგვრელი და ზეადმტაცი ღვთაებრივი ძალა.

ასე რომ, ქართული ელიტარული ენის ბუნებას თავიდანვე განსაზღვრავდა ფუნქციონირების სპეციფიკა.

ასეთი პათეტიკა ჰქონდა როგორც ბერძნულ, ისე ლათინურ სამწერლო, რიტორიკულ თუ სამხედრო მეტყველებას.

ავესტისა და ცეცხლმსახურთა ენის პათეტიკაც ღმერთებისაგან მოდიოდა. მას ხვეწდნენ ქურუმები, მეფეები, სარდლები.

ეს აღმოსავლურ-დასავლური ტრადიცია შეერთდა ძველქართულ ელიტარულ ენასა და ასომთავრულის გრაფიკულ კვეთაში.

## 2. ქართველები ბიზანტიურ კულტურაში

რომის (ბიზანტიის) ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველური ტომები თანდათან ასიმილირდებოდნენ ბერძნებთან, განსაკუთრებით

ისინი, რომლებიც შეძლებულთა წრიდან იყვნენ და შეეძლოთ ზიარებოდნენ ელინისტურ სწავლა-განათლებას, შემდეგ – ქრისტიანულს.

მათთვის მთავარი იყო ქრისტე, ქრისტიანული მრწამსი. ხოლო სამშობლოსა და მშობლიური ენის გრძნობა არ ჰქონდათ გამოკვეთილი.

გარდა ბერძნული კულტურის ძალმოსილებისა, რომის იმპერიის ზეობისა, მიზეზი იყო ისიც, რომ არ არსებობდა ქართული მწიგნობრობა.

ქართლში ბატონობდა არამეული ენა, ირანული კულტურა, მაზდეანური აღმსარებლობა, ლაზიკაში – ბერძნული, რომლის გამოვლენაა ფაზისის აკადემია, რაც არ იძლეოდა ეროვნული დამწერლობის დაფუძნების საშუალებას.

ამიტომაც ახალგაზრდობა უერთდებოდა ბიზანტიურ კულტურას, რომელსაც ჰქონდა დიდი ასპარეზი. აქ ავლენდნენ თავიანთ ტალანტს, თუმცა კარგავდნენ ნაციონალობას.

მათგან ზოგი განადიდა მსოფლიო ეკლესიამ, ზოგიც შეაჩვენა, როგორც ერეტიკოსი.

მაგ., მნიშვნელოვანი ასკეტიკოს-მისტიკოსია ევაგრე პონტოელი (346-399), რომლის წარმომავლობას გვაცნობენ კოპტური და ბერძნული წყაროები (მ. თამარაშვილი, კ. კეკელიძე).

იგი ყოფილა ბიზანტიური ჰომილეტიკის (მოდღვრება – ქადაგებათა) ერთ-ერთი ფუძემდებელი, გრიგოლ ნაზიანზელის მოწაფე, გამორჩეული ორატორი.

415 წელს ევაგრეს ნაშრომები ლათინურად თარგმნეს. V მსოფლიო კრებაზე კი ორიგენესთან ერთად შეაჩვენეს.

ევაგრე უთარგმნია ექვთიმე ათონელს.

II საუკუნეში ცხოვრობდა ცნობილი ერეტიკოსი მარკიონე სინოპელი, წარმოშობით ლაზი, ფაზისის ეპისკოპოსი. ტერტულიანე ლანძღავდა მას და პონტო-კოლხეთს ველურთა მხარედ ახასიათებდა (მ. თამარაშვილი).



ასევე განკვეთა ეკლესიამ სიკვდილის შემდეგ ცნობილი მონოთელიტი კიროს ალექსანდრიელი, რომელიც ჯერ იყო ქართლის კათალიკოსი, შემდეგ – ფაზისის მიტროპოლიტი (იხ. „კირიონ კათალიკოსი – კიროს ალექსანდრიელი“).

ქართველი ყოფილა IX საუკუნის ცნობილი ბიზანტიელი ჰიმნოგრაფი გიორგი ნიკომიდიელი, ჰიმნების ციკლის ავტორი (გ. ათონელი, პ. ინგოროყვა).

## კაბადოკიელი მამები

ქართული წარმომავლობის არიან კაბადოკიელი მამებიც, რომელთაც შექმნეს ქრისტიანული ღვთისმსახურება (კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, ე. ხინთიბიძე, გ. გოზალიშვილი). მათი სახელები საყოველთაოდ ცნობილია, თუმცა ძველ საქართველოში წარმომავლობას ყურადღება არ ექცეოდა.

გრიგოლ ნაზიანზელი (329-390) დაიბადა ბერძნული კულტურის ოჯახში (მამა – გრიგოლი, დედა – ნონა). ჯერ სწავლობდა კესარიამში, შემდეგ მოვლო პალესტინა, ეგვიპტე და საბერძნეთი. ამ სახელოვანმა ღვთისმეტყველმა უბრალო მღვდლის სახელი არჩია ეპისკოპოსობასა და პატრიარქობას.

იყო კარგი ორატორი, აზიური სტილისა – მისი პათეტიკური, მღელვარე მეტყველება ხიბლავდა მსმენელს.

გრიგოლის ქადაგებანი არის როგორც პოლემიკური, ისე ლიტურგიული და თეოლოგიური.

კარგად იცნობდა ანტიკურ მწერლობას და ამიტომ თავის თეოლოგიურ და ისტორიულ ლექსებში იყენებდა ძველბერძნული პოეზიის ფორმებს.

გრიგოლ ნაზიანზელი უთარგმნიათ ქართულ ენაზე გრიგოლ ოშკელს, იოანე მტბევარს, სტეფანე სანანოდსძეს, დავით ტბელს, ექვთიმე მთაწმინდელს (24 თხზულება), ეფრემ მცირეს (50-ზე მეტი ნაწერი), არსენ იყალთოელს, პეტრე გელათელს (XIII ს.).

გრიგოლის მეგობარი იყო ბასილი კესარიელი (331-379), კაბადოკიის მიტროპოლიტი, წარმოშობით პონტოდან, ალბათ – მეგრულ-ქანი. მათ ერთად შეუდგენიათ ორიგენეს ნაწერების კრებული.

ბასილიც გამოჩენილი, ფილოსოფიურად განსწავლული და მგზნებარე ორატორი ყოფილა. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ეგზეგეტიკური და ჰომილეტიკური თხზულება, მათ შორის – „ექუსთა დღეთა“, რომელიც განმეორებით უთარგმნია გიორგი მთაწმინდელს (ათონელს).

ექვთიმე მთაწმინდელს (ათონელს) ასევე უთარგმნია 53 სტატიისაგან შემდგარი „ითიკა“ და „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ“, პროკოპი მღვდელს, ეფრემ მცირეს – „ასკეტიკონი“, გაიოზ რექტორს – „ეპისტოლენი“, უცნობ ავტორს – დოგმატიკური ტრაქტატები.

„ითიკისაგან“ გამოკრებით შეუდგენია კრებული „სუფევა“ (ბასილი სუფევას ნიშნავს) მრავალმთის მოწესე გაბრიელ მცირეს (XVIII ს.), რომელიც ლეკებს მოუკლავთ.

ბასილის ქადაგებანი შეუტანიათ ქართველ ბერებს სხვადასხვა მრავალთავსა და კრებულში.

კონსტანტინეპოლში დამკვიდრებული ყოფილა ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ლიტურგია (ჟამისწირვა), რომელიც ჩვენში შემოსულა VIII საუკუნიდან (კ. კეკელიძე).

ბასილის უმცროსმა ძმამ – გრიგოლ ნოსელმა (+395) გააგრძელა „ექუსთა დღეთა“ და დაწერა „კაცისა შესაქმისათვის“ (უთარგმნია გიორგი მთაწმინდელს).

გრიგოლ ნოსელის მთარგმნელები ყოფილან – ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, სტეფანე სანანოძსძე, არსენი ნინოწმინდელი, ეფრემ მცირე.

მისი ნაწერებიც ასევე უხვად შეუტანიათ სხვადასხვა კრებულში.

ეს სამი კაბადოკიელი ითვლება იოანე ოქროპირთან ერთად ქრისტიანული ლიტურგიის კანონიზატორად (ათანასე ალექსანდრიელთან ერთად – ნიკეის დოგმატების დამცველად).

ანტიოქიელი ნეოპლატონიკოსის ლიბანიოსის მოწაფენია გრიგოლ ნაზიანზელი და ბასილი კესარიელი, ისევე როგორც იოანე ოქროპირი და შემდეგში იმპერატორი იულიანე განდგომილი.

ლიბანიოსთან მიწერ-მოწერა ჰქონია ანტიკური სიბრძნის მოყვარულ ბაკურს, მირიანის შვილიშვილს, რომელიც ერთხანს იბერიის მეფე ყოფილა (ვ. კეკელიძე), როცა იბერია ორად იყო გაყოფილი.

იგი 394 წელს დაიღუპა იტალიის ომში.

ქართულად თარგმნილია გრიგოლ ნაზიანზელის, ბასილი კესარიელის, დიონისე არეოპაგელის ცხოვრებათა ჰაგიოგრაფიული ტექსტებიც, მათზე დაწერილია ჰიმნები.

ისინი დიდად პოპულარული იყვნენ ლიტურგიკასა და მწერლობაში. მათ იმოწმებდნენ და განადიდებდნენ, მათ ნააზრევსა და მოღვაწეობას სანიმუშოდ მიიჩნევდნენ. მაგრამ არავის აღუნიშნავს, რომ ქართული წარმომავლობისა იყვნენ (შდრ – რუსი მწერალია ბ. ოკუჯავა, ამერიკელი – უ. საროიანი, ფრანგი – ტ. ცჰარა, ს. ბეკეტი, ე. იონესკო, სპარსელი – ნიზამი განჯელი).

## პეტრე იბერი – ფსევდო – დიონისე

საყოველთაოდ არის ცნობილი პეტრე იბერი (410-491), ნუცუბიძე – ჰონიგმანის თეორიით – ფსევდო-დიონისე არეოპაგელი.

იგი იყო იბერიის მეფის ვარაზ-ბაქარის (ბუზმარის) ძე, შემდეგში, 451 წლიდან მაიუმის ეპისკოპოსი, დედითაც და მამითაც იბერიის მეფეთა ოჯახიდან.

12 წლის მურვანი (სირიული სახელი ნაბარნუგი) მძევლად გაუზღავნიათ ბიზანტიაში, თავის ნათლიასა და მასწავლებელთან, საჭურის იოანე ლაზთან ერთად, რომელიც ფაზისის რიტორიკულ აკადემიაში ყოფილა განსწავლული (შ. ნუცუბიძე).

მურვანი სამეფო ოჯახიდან იყო და ალბათ საგრძნობ დახმარებას ღებულობდა, კონსტანტინეპოლშიც კარგად ექცეოდნენ. ყურადღებას

არ აკლებდნენ იმპერატორი თეოდოსი II, მისი და პულხერია და დედოფალი ევდოკია.

მურვანის აღმზრდელი გახდა 21 წლის დედოფალი, ყოფილი ათენელი წარმართი, ულამაზესი ათენაიდა-ევდოკია.

წლების შემდეგ იმპერატორს გაცილებულმა დედოფალმა იერუსალიმში მოძებნა აწ უკვე ბერი პეტრე და ესაუბრა (აკ. გაწერელია).

მურვანყოფილი ბერის ანაფორაშიც უფლისწულად დარჩა (ედ. შვარტცი).

პეტრე სამშობლოში არ დაბრუნებულა, დარჩა სირიაში, გახდა ეპისკოპოსი და მონოფიზიტების ერთ-ერთი ლიდერი. ამის გამო მისი მოკვლაც კი განუზრახავთ.

457 წელს პეტრეს დახმარებით გახდა მონოფიზიტი ტიმოთე ელური ალექსანდრიის პატრიარქი (457-460, 475-477).

შეიძლება ეს იყოს ის ტიმოთე, ვისაც მიემართება ოთხივე არეოპაგიტული ტრაქტატი (და არა პავლე მოციქულის მოწაფე და ეფესელთა პირველი ეპისკოპოსი).

ქართულად არსებობს პეტრეს ცხოვრების ტექსტის თარგმანი. ავტორია მისი მოწაფე იოანე რუფუსი, დაწერილია VI საუკუნეში. შემორჩენილია სირიული თარგმანი.

ბერძნული ორიგინალი დაკარგულია (აკ. გაწერელია).

პეტრეს მრავალი მოწაფე ჰყავდა (მაგ., ანტიოქიის პატრიარქი სევეროსი), დიდ პატივს სცემდნენ, მაგრამ არ იცოდნენ, რომ იყო თეოლოგიც, პროკლეს ნეოპლატონისტური მოდელის ქრისტიანიზებით წართეპითი და უკუთეპითი ღვთისმეტყველების შემქნელი, ღმერთთან მისაახლებლად საეკლესიო და ზეციური იერარქიის სისტემატიკოსი.

ალბათ პეტრემ წიგნები დაწერა სიცოცხლის მიწურულს, იმპერატორ ზენონის ჰენოტიკონის საპასუხოდ და გავრცელება ვერ მოასწრო ან არ ისურვა.

მოწაფეებმა კი თავიანთი პოზიციის დასაცავად მოახდინეს მისტიფიცირება მოციქულებრივი ავტორიტეტის გამოყენებით და სარწმუნოებრივ დისკუსიაში ჩართეს I საუკუნის ათენელი ეპისკოპოსის დიონისე არეოპაგელის სახელით (531-532 წლებში კონსტანტინეპოლის კრებაზე).

ალბათ ეს გააკეთა ზაქარია რიტორმა (შ. ნუცუბიძე).

ე.წ. არეოპაგიტული კორპუსი ცნობილი გახდა პეტრეს გარდაცვალებიდან 30-40 წლის შემდეგ, ხოლო მისტიფიკაცია გაირკვა და ავტორს ეწოდა ფსევდო-დიონისე რენესანსის დროიდან.

გაირკვა ისიც, რომ ტექსტები დაწერილია 462 წლის შემდეგ, რადგან ავტორი იცნობს პროკლე დიადოხოსის კომენტარებს პლატონის „ალკიბიადეზე“, რომ დაწერილია სირიაში, ღაზის მახლობლად, ეპისკოპოსის, შეიძლება – არაბერძენის მიერ.

ამ მონაცემების საფუძველზე შ. ნუცუბიძემ შენიშნა ანგელოსების დასთა ერთნაირი განლაგება პეტრეს ხილვასა და ფსევდო-დიონისეს ზეციურ იერარქიაში.

შ. ნუცუბიძის ნაშრომი დაიბეჭდა 1942 წელს – „Тайна Певдо – Дионисия Ареопагита“. ხოლო ე. ჰონიგმანმა 10 წლის შემდეგ მიაგნო პრობლემის გადაჭრის მეორე გზას – სირიულ კალენდარ „რაბანა სლიბაში“ 4 ოქტომბერს იყო იოანე ღაზისა და იეროთეოსის ხსენების დღე – ერთმანეთს ემთხვეოდა რეალური პირი და მისი ფსევდონიმი. ხოლო პეტრეს ხსენება 1 დეკემბრიდან 3 ოქტომბერს იყო გადმოტანილი და ემთხვეოდა დიონისე არეოპაგელს.

იეროთეოსი კი დიონისესათვის არის ღვთაებრივი წინამძღოლი ზეციური და ქვეყნიური იერარქიისათვის მსჯელობის გამლაშე.

ქართული საეკლესიო კალენდრით, 3 ოქტომბერს არის მღვდელმოწამე დიონისე არეოპაგელის ხსენების დღე, 4 ოქტომბერს – მღვდელმოწამე იეროთეოზისა.

ე.წ. არეოპაგიტული წიგნები შედგება 4 ტრაქტატისა და 10 ეპისტოლესაგან:

1. „საეკლესიო მდღეღმთავრობისათვის“,
2. „საიდუმლოდ ღმრთისმეტყველებისათვის“,
3. „სახელთათვის ღმრთისათა“,
4. „ზეცათა მღღეღმთავრობისათვის“,
5. „ეპისტოლენი ათნი“.

ავტორი ემყარება პროკლე დიადოხოსს (410-485), ნეოპლატონიზმის დიდ სისტემატიკოსს, რომლის „კავშირნი ღმრთისმეტყუელე-ბითნი“ საკმაოდ გვიან, XII საუკუნეში ითარგმნა იოანე პეტრიწის მიერ.

მართლმადიდებელთა ისტორიაში ფსევდო-დიონისე ისევე დიდი სახელია, როგორც ნეტარი აგუსტინე (354-430) კათოლიკურ ეკლესიაში.

ქართველი მოღვაწეებისათვის, ცხადია, უცნობი იყო პეტრე იბერისა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის იგივეობის ფაქტი – ორივეს პატივს მიაგებდნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად (ი. ლოლაშვილი).

შ. ნუცუბიძეს ქართული კულტურის ნაწილად ჰქონდა გააზრებული არეოპაგეტიკა, რადგან წარმოშობით ქართველი იყო ეს „მთელ მსოფლიოში საკვირველად განთქმული კაცი“ (ზაქარია რიტორი). რეალურად ფსევდო-დიონისეს (პეტრე იბერის) მოძღვრება ეკუთვნის ბიზანტიურ კულტურას, იგი იყო ბიზანტიელი მოღვაწე, წერდა ბერძნულად და ემყარებოდა ბიზანტიურ თეოლოგიას, ბერძნულ ნეოპლატონიზმს, ხელმძღვანელობდა სირიულ ეპარქიას (შდრ., იოანე დამასკელი წარმოშობით არაბი იყო, მაგრამ არის ერთ-ერთი დიდი ფიგურა ბიზანტიური კულტურისა).

ქართლთან მას მხოლოდ წარმომავლობა აკავშირებდა, ხოლო ფაზისის ბერძნულ აკადემიასთან – მასწავლებელი იოანე ლაზი, რომლის გვერდითაც დაიკრძალა 491 წელს.

ფსევდო-დიონისე უთარგმნია ეფრემ მცირეს (XI ს.), ესეც დიდი დაგვიანებით (1961 წელს გამოსცა ს. ენუქაშვილმა). ტექსტს უძღვის

მთარგმნელის წინაბჭე და ერთვის მაქსიმე აღმსარებლისა და გერმანე პატრიარქის გამოკრებილი კომენტარები.

„ესე დიონისი პლატონური ფილოსოფოსი იყო“, – აწერია ეფრემის თარგმანის ერთ-ერთ ნუსხას, XII საუკუნისას.

ეს მინაწერი საინტერესოა.

ავტორი თვლის, რომ არეოპაგელი ნეოპლატონიკოსი იყო. ნეოპლატონიზმი კი წარმოიშვა III საუკუნეში. მას პლატონურ ფილოსოფიას უწოდებდნენ.

მინაწერის ავტორს სწორად აღუქვამს ტექსტი. მაგრამ ეს ფაქტი არ გაუცნობიერებიათ, თორემ მიხვდებოდნენ, რომ I საუკუნის ეპისკოპოსი ნეოპლატონიკოსი ვერ იქნებოდა.

1720 წელს პეტრე იბერი, როგორც მონოფიზიტი, ქართულმა ეკლესიამ წმინდანთა სიიდან ამოიღო. ხოლო როგორც დიონისე არეოპაგელი, პავლე მოციქულის მოწაფე და თეოლოგიის დოქტორი – ყველა ქრისტიანული ეკლესიის მიერ აღიარებულია, ასევე – რუსთაველისა და დანტეს მიერ.

დასავლეთმა არეოპაგეტიკა გაიცნო IX საუკუნეში იოანე სკოტერიუგენას ლათინური თარგმანით. სირიულად ადრევე, VI საუკუნეში გადაიღო სერგი რეშაინელმა, პეტრეს ერთ-ერთმა მოწაფემ (გარდ. 536 წელს).

ავტორი და წიგნი ერთმანეთს დასცილდა.

„ისტორიაში დევნილი ადამიანები ყოველთვის გამოჩენილი და უნიჭიერესი ადამიანები იყვნენ“ (შ. ნუცუბიძე).

## „ლიმონარი“ და „ბალავარიანი“

ბიზანტიურ მწერლობაში ცნობილია იოანე მოსხოსი (550-634), ავტორი ნოველების კრებულისა „ლიმონარი“, რომელიც ქართულად „სამოთხის“ სახელწოდებით უთარგმნიათ, ლათინურად კი ჰქვია „სულიერი მდელო“, რუსულად – „Луг духовный“ (გამოსცეს 2002 წელს).

ნოველები ასახავს ბერ-მონაზონთა ცხოვრებას, ადამიანის ცთუნებას ეშმაკის მიერ, ინსტინქტთა და ვნებათა დათრგუნვას, შეცოდების მონანიებას.

„ლიმონარის“ ნოველებს ენათესავება იტალიური ბოკაჩოს პროზა, როგორც თემატიკურად, ისე სიუჟეტურად (ს. ყაუხჩიშვილი).

ქართული თარგმანი მოღწეულია X საუკუნის სინური ხელნაწერით. ჯერ კიდევ ძველი დროის ავტორებს მიაჩნიათ, რომ იგი ეთნიკურად მესხი უნდა ყოფილიყო. თუმცა ზოგი შენიშნავს, რომ მოსხოსი ასევე ნიშნავს ყლორტს, ხბოს.

შ. ნუცუბიძე და ს. ყაუხჩიშვილი მიიჩნევენ, რომ იოანე მოსხოსი იყო ორენოვანი მწერალი, რომელიც წერდა როგორც ბერძნულად, ისე ქართულად. მათვე დაუკავშირეს ეს ავტორი „ბალავარიანს“ (სადღეისოდ ეს თვალსაზრისი უარყოფილია):

იოანეს ნოველებში ხშირად იხსენიება სოფრომი, მისი მოწაფე, შემდეგში – პალესტინის პატრიარქი.

„ბალავარიანის“ ამბავს ჰყვება ისაკი, ძე სოფრომ პალესტინელისა, როგორც ბუდისტურ-ქრისტიანულ ლეგენდას.

ერთდროს ჰგონებიათ, რომ „სამოთხე“ დაწერა სოფრომ პალესტინელმა, რომ ბალავარიანისა და იოდასაფის ამბავი მოიტანა საბაწმინდის ბერმა იოანემ.

„სიბრძნე ბალაჰვარისი“, ისევე როგორც „აბუკურა“, ბიზანტიურად თარგმნა ექვთიმე მთაწმინდელმა (გიორგი მთაწმინდელი, ბერძნულ ხელნაწერთა ნაწილის ლემები, როზენი, მარი, პეტერსი), საიდანაც მთელს ევროპაში გავრცელდა.

ევროპელი ბიზანტინისტები უარყოფენ ექვთიმეს ღვაწლს. მაგ., ფრ. დოელგერის მტკიცებით, ავტორია იოანე დამასკელი, რასაც მხარს უჭერს დასავლეთის მეცნიერება.

ბერძნული „ბალავარიანის“ პრობლემას დიდი დისკუსიაც მოჰყვა, რა დროსაც უფრო გამოიკვეთა ექვთიმეს პრიორიტეტი (შ. ნუცუბიძე,



ს. ყაუხჩიშვილი, მ. თარხნიშვილი, დ. ლანგი, ე. ხინთიბიძე, ა. გრეგუარი...).

რომანი მოგვითხრობს ინდოეთის მეფე აბენესის შვილის იოსაფატის გაქრისტიანების ამბავს, მის მსოფლმხედველობრივ გარდაქმნას მოხუც ქრისტიან ბალავართან „სულის მარგებელი“ საუბრებით, სიცოცხლის საზრისის ძიებას.

გულგატეხილმა მამამ შვილს მისცა სამეფოს ნახევარი, რომელშიც იოსაფატმა სიკეთე და სათნოება დაამყარა. შემდეგ ქრისტიანდება აბენესიც.

ბოლოს იოსაფატი განდევილის ცხოვრებით ცხოვრობს უდაბნოში.

ქართულ ენაზე არსებობს „ბალავარიანის“ მოკლე და ვრცელი ვარიანტები.

ექვთიმე მამამისთან, იოანესთან ერთად ათონის ბერი იყო, იმდენად ღრმად მცოდნე ბერძნული ენისა და მწერლობისა, უამრავი ტექსტის ქართულად გადმომთარგმნელი, რომ შესძლო ბიზანტიურ კულტურაშიც შეეტანა წვლილი.

აქვე გვინდა ვახსენოთ ის ქართველი სარდლებიც, რომლებიც სიცოცხლეს სწირავდნენ ბიზანტიის იმპერიის ძლიერებისათვის – ბაკური (IV ს.), გურგენ მეფის ძენი – პერანი და ბაკური, შვილიშვილი ფაზა (VI ს.), გრიგოლ იბერიძე (X ს.), სუმბატ, გრიგოლ და აბაზ ბაკურიანის ძენი (XI ს.), თორნიკე ერისთავი (X ს.).

ბიზანტიაში დედოფლობდა მარიამ ბაგრატიონი, დავით აღმაშენებლის მამიდა (XI ს.), რომლის პირველი მეუღლე იყო იმპერატორი მიხეილ VII, მეორე მეუღლე – იმპერატორი ნიკიფორე III ბოტანაიტესი; მფარველობდა ქართველ ბერ-მონაზვნებსა და ქართულ მონასტრებს, კულტურის მოღვაწეებს.

მოგვიანებით კონსტანტინეპოლის პატრიარქი იყო ლაზი გერმანე III (კ. კეკელიძე).

ბიზანტია იყო არა მხოლოდ ქრისტიანობის, არამედ – მსოფლიო კულტურის ცენტრი და ქართველებსაც დიდად ესახელებოდათ აქ განსწავლა, მოღვაწეობა, მის კულტურულ პროცესებში მონაწილეობა, მის ტერიტორიაზე ეკლესია-მონასტრების მშენებლობა, მიღწევების გაცნობა, ათვისება და გადმოტანა.

### 3. ეთნიკურ-კულტურული თვითდადგენის პროცესი

როგორც ითქვა, იბერიის ელიტა, რომელიც ელინოფილებისა და სპარსოფილებისაგან შედგებოდა, ისტორიულმა სიტუაციამ – ქრისტიანობის შემოჭრამ და რომი-ირანის ომებმა აიძულა, რომ ეფიქრა საკუთარ საწყისზე, საკუთარ თავისთავადობაზე.

როგორც არაერთხელ ვთქვით, ლაზიკა ისტორიულად ბერძნული სამყაროს ხან ნაწილი, ხანაც – სატელიტი იყო, ისევე როგორც კოლხეთი და ეგრისი, თუმცა ერთიანი არასოდეს ყოფილა.

ქრისტეს რჯულმა იბერია გამოყო მაზდეანობისა და ირანისაგან. მაგრამ ასევე მოსწყვიტა საკუთარ წარმართულ ძირებს, უძველეს წარმოდგენებს, რომელთაც ინახავდა მასის ბნელი წიაღი.

ელიტა უცხოურ კულტურას ემორჩილებოდა, მას ავრცელებდა და იცავდა. მასა იზოლირებული იყო უცხოური ცენტრებისა და გავლენებისაგან. მაგრამ ჩაკეტილი წრე არ აძლევდა განვითარების საშუალებას.

ასეთ დროს გარე სიგნალები – აგრესიული თუ ჰუმანური, ელიტას აიძულებდა, რომ გადარჩენის პერსპექტივა დაენახა.

ანბანის შექმნითა და დამწერლობის შემოღებით იბერია ემიჯნებოდა ბიზანტიას, ბერძნულ კულტურას, უფრო სწორად – ბიზანტინიზმის გლობალურად აღქმულ სისტემაში თავის ავტონომიას ამკვიდრებდა.

ერთ სიტუაციაში აღმოჩნდნენ სომხები, იბერები, ლაზები, ალბანები. მაგრამ სომხების უკან ირანი იდგა. დვინელმა ქრისტიანებმა მოახერხეს საერთო ენის გამონახვა ირანელებთან, რაც ამასთანავე ნიშნავდა ბიზანტიისაგან დისტანცირებას, თუმცა ვერ შეძლეს სამეფო ხელისუფლების შენარჩუნება.

ირანის მიერ სომხური ეკლესიისადმი მინიჭებულ პრივილეგიურ მდგომარეობას სომეხი მონოფიზიტები იყენებდნენ ქართველთა და ალბანელთა ასიმილირებისათვის, რაც აშკარა გახდა ტაოში, ქვემო ქართლში, ჰერეთში.

პირველი ეტაპი იყო მონოფიზიტად მოქცევა და სომხურ ენაზე წირვა-ლოცვა.

იბერიას არანაკლები საფრთხე დაემუქრა სომხებისაგან, ვიდრე ბერძნებისა ან ირანელებისაგან. ერთმორწმუნეობას ხალხები დამსგავსებისა და გათქვევებისაკენ მიჰყავდა.

როცა სუსტი იყო სამეფო ხელისუფლება, ანდა – სულაც არ არსებობდა, მაშინ ეკლესიას უნდა შესძლებოდა ეთნიკურ-კულტურული ინტეგრირება, ნაციონალიზმის გამკვეთება.

კოსმოპოლიტური ეკლესია იბერიაშიც ნაციონალურ ელფერს იძენდა.

ქართველები რელიგიურადაც უნდა გამოყოფილიყვნენ სომხებისაგან, განდგომოდნენ მონოფიზიტურ სომხურ ეკლესიას. ლაზებიც დაუპირისპირდნენ ბიზანტიელებს. მაგრამ დამარცხდნენ, რადგან ბიზანტია იმპერია და ქრისტიანობის ცენტრი იყო. ამიტომ ლაზების ელიტაში დამკვიდრდა ქართული ენა, დამწერლობა, ერთიანი სახელმწიფოებრიობის გრძნობა, როგორც ბერძენთა მოძალეებისაგან გადარჩენის პერსპექტივა.

## ქართული ღვთისმსახურება

ანბანის შექმნისა და დამწერლობის შემოღების შემდეგ, როცა ეკლესია-ტაძრებიც ორიგინალური არქიტექტურული ნიშნებით იგება,

დადგა წირვა-ლოცვის, საეკლესიო მსახურების ნაციონალიზების საკითხიც.

მღვდელმსახურების ენა IV-V საუკუნეების იბერიაში ბერძნული იყო, რადგან მთავარეპისკოპოსები, შემდეგ – კათალიკოსები და ეპისკოპოსებიც ბერძნები იყვნენ ან ბერძნულ ენაზე მეტყველებდნენ.

გიორგი მერჩულე X საუკუნეში აღნიშნავს, რომ ქართლი არის ის ქვეყანა, სადაც ჟამის წირვა ქართულად ტარდება, ხოლო კირიელე-სონი („უფალო, შეგვიწყალენ“, „Господи, помилуй“) ბერძნულად ითქმისო.

ასე რომ – 600 წლის შემდეგაც მღვდელმსახურება მთლიანად ქართული არ ყოფილა. ქართული ანბანისა და დამწერლობის შექმნამდე ეს ხომ გამორიცხული იქნებოდა.

ალბათ, V საუკუნის დასაწყისიდან სირიული, სპარსული და სომხური ეკლესიების გავლენით, ირანის მკვეთრი ანტიბიზანტიური პოზიციის გამო, ქართულ ენაზეც უნდა დაწყებულიყო წირვა-ლოცვა, პარალელურად ბერძნულსა. მაგრამ ცალკეულ უბნებში იყენებდნენ სომხურ ენას (მაგ., გუგარქში, ტაოში).

ყოველ შემთხვევაში – ბერძნულის დიქტატი აღკვეთილი იქნებოდა. ეს კი ხელს შეუწყობდა ქართული ენის გააქტივებას, ბიბლიური და საეკლესიო წიგნების გადმოღებას რწმენის განსამტკიცებლად, მღვდელმსახურებისათვის.

ირანს უნდოდა, რომ იბერიასა და ალბანეთში საეკლესიო ენა ყოფილიყო სომხური, ხოლო სომხეთში – ასურული, როგორც ვთქვიტ.

ასეთი აღრევის პროცესში უფრო წარმატებით გაიკვლევდა გზას სპარსული ენა და ირანიზეებული ანუ ერეტიკული, ანტიბიზანტიური ქრისტიანობა.

ირანელები ისევ წვავდნენ ბერძნულ წიგნებს, კრძალავდნენ ბერძნულ ენას, ბერძნულ ღვთისმსახურებას. ეს კი ხელს უწყობდა ქართული ფაქტორის გაძლიერებას, როგორც ეს მოხდა ასი წლის წინათ, როცა შეიქმნა ანბანი და შემოიღეს დამწერლობა.

ირანელებმა უბიძგეს ქართველებს, რომ ხელი აეღოთ ბერძნულ ღვთისმსახურებაზე, ბერძენ კათალიკოსზე ეთქვათ უარი. სანაცვლოდ სთავაზობდნენ სომხურ წირვა-ლოცვას, რაც არ მიიღეს ქართლში.

აღბათ ესეც იყო შემდგომი განხეთქილების მიზეზი.

წირვა-ლოცვა, გალობა და საკითხავების მოსმენა, მღვდლისა და ეპისკოპოსის ქადაგება მშობლიურ ენაზე, რელიგიური რიტუალების აღსრულება ნელ-ნელა იმორჩილებდა წარმართული მასის ცნობიერებას.

ისინი, რომლებიც არ ცხოვრობდნენ კულტურის ცენტრებში, ძველი რწმენის ერთგული რჩებოდნენ, როგორც ეს იყო ქართლის მთიანეთში. ხოლო ელიტას აკმაყოფილებდა ბერძნული და ქართული ენების ფუნქციონირება, ამ ენებზე არსებული საეკლესიო ლიტერატურა.

ლაზებს არავინ ართმევდა არც ბერძნულ და არც ქართულ ენას, განსხვავდებით იბერიისაგან, სადაც მძლავრობდა ირანის ხელისუფლება და სომხური ეკლესია. ხოლო ანბანის შექმნა, დამწერლობის ჩამოყალიბება, მღვდელმსახურება ლაზურ ენაზე საჭიროებდა დიდ შრომას და ინტელექტუალურ ძალებს.

ქართულსა და ლაზურს შორის მაშინ არ იქნებოდა ისეთი მკვეთრი განსხვავება, როგორც დღეს არის. აღბათ ერთმანეთის მეტყველება ესმოდათ კიდევ, როგორც, ვთქვათ, რუსსა და უკრაინელს, ან – სერბსა და რუსს.

ქრისტიანობა კოსმოპოლიტური რელიგია იყო და მხოლოდ შექმნილი სიტუაცია აიძულებდათ მღვდელმსახურებს გამიჯნოდნენ ბიზანტიელებს, ან მიჰყოლოდნენ ხელისუფლების ნებას, რომელიც მას ხელს უწყობდა და იცავდა.

ასე რომ – ლაზიკაში საეკლესიო-სამწერლო ქართულის კულტურული პრიორიტეტი საეჭვო არ იქნებოდა. ამიტომ იგი შეენაცვლა ბერძნულ – ელიტის ენას.

როცა იბერიის მთავარეპისკოპოსები იყვნენ გლონოქორი, ბინქარანი და მობიდანნი – ეროვნებით სპარსები, ისინი შეეცდებოდნენ, რომ მღვდელმსახურება სპარსულ ენაზე გადაეტანათ.

VII საუკუნის 20-იან წლებში, როცა ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ საბოლოოდ დაამარცხა ირანელები, ლაზიკის ეკლესიები ისევ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაუქვემდებარა (სამი ოლქი – ფაზისის სამიტროპოლიტო, ცხუმის საარქიეპისკოპოსო და ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსო).

ბუნებრივია, რომ დვთისმსახურების ენა აქ ბერძნული იქნებოდა.

ირანის მიერ დაპყრობილ იბერიაში, რომელსაც მეფე აღარ ჰყავდა, მხოლოდ საეკლესიო კულტურას შეემლო ქართველთა შეკავშირება. მაგრამ ნაციონალიზების გასაძლიერებლად აუცილებელი გახდა სომხური იდეოლოგიის უკუგდება, სომეხთაგან ეკლესიური გამიჯვნა.

მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობისა, ქართულში ადრევე მცირე იყო წმინდა სომხური ლექსიკა (მაგ., მგელი, მიამიტი, მდელო, წალკოტი, ტანუტერი). ბევრი კი, რაც საერთოა სომხურსა და ქართულს შორის, სხვა ენების საკუთრებაა. მაგ., როცა პოეტი ამბობს – „ოჯახი, დროშა, ჭეშმარიტება – ეს სამი სიტყვა ერთი გვქონია“, მათი ძირი არის თურქული და ირანული, არა სომხური ან ქართული.

## **ქართული და სომხური ეკლესიების განყოფა**

ბერძენი პეტრეს შემდეგ იბერიის კათალიკოსები არიან სამოელი, თავფეჩაგი და ჩერმაგი – ასევე არაქართველები.

მხოლოდ VI საუკუნის დასაწყისიდან, იუსტინიანეს დროიდან (527-565), იბერიაში ირანელთა გაბატონების გამო, მიეცათ ქართველი კათალიკოსის დასმის ნება.

პირველი ქართველი კათალიკოსი იყო საბა.

ვახტანგის დაღუპვის შემდეგ, 506 წელს დვინში შედგა ქართველ-სომეხ-ალბანელთა საეკლესიო კრება.

ინიციატორი იყო ირანი. მონაწილეობდნენ სპარსი ქრისტიანებიც. იბერიელთა დელეგაციაში ყოფილა 24 ეპისკოპოსი. მეთაურობდა გაბრიელ კათალიკოსი.

კრებამ მიიღო ჰენოტიკონი და დაგმო ნესტორიანელობა (ივ. ჯავახიშვილის აზრით კი – აღიარეს მონოფიზიტობა). მაგრამ ბიზანტია-ირანის მორიგი ომის გამო ამ შეთანხმებას პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია.

ჰენოტიკონი უფრო მონოფიზიტურ თვალსაზრისს გამოხატავდა. ამიტომ მიაჩნიათ, რომ ამ შემარიგებელ დოკუმენტის მიმდევარი გახდა იბერია 551 წლამდე, როცა საბოლოოდ დადგნენ დიოფიზიტურ პოზიციაზე, განსხვავებით სომეხთაგან.

მანამდე ქართულად თარგმნილი ბიბლიური წიგნები სომხური თვალთახედვით შეუსწორებიათ, ბერძნულის სანაცვლოდ სომხურიდან უთარგმნიათ, როგორც შენიშნავს გიორგი მცირე (XI ს.).

სომხური ეკლესიის ხანგრძლივ დიქტატს, რომელიც სულ უფრო ძლიერდებოდა, ბოლო მოეღო VII საუკუნის დამდეგს, კირიონ კათალიკოსის პრინციპულობით. მაშინ ქართლს უკვე 35 ეპისკოპოსი ჰყოლია.

განყოფის ისტორია, ირანელთა ძალმომრეობა სომხებზე, მათი მწვალებლობა, ლიტურგიის წესის დარღვევა, ბერძენთა უარყოფა გადმოცემულია „ეპისტოლეთა წიგნში“. ამასვე გვაცნობენ არსენ კათალიკოსი (850-877, „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“) და უხტანეს ედესელი – X ს. სომეხი მემატიანე და ეპისკოპოსი.

551 წელს სომხებმა, დვინის პირველ კრებაზე, უარყვეს ქალკედონისტობა, ხოლო 553-554 წელს შეაჩვენეს ქალკედონის გადაწყვეტილებანი და საბოლოოდ აღიარეს მონოფიზიტობა, რაც უფრო განამტკიცეს მანასკერტის კრებით.

მაშინაც კავკასიაში სომხური ეკლესია იყო გაბატონებული. ქართლი არ გაჰყვა დვინელთა ანტიბერძნულ კურსს, თუმცა მცხეთას ოფიციალურად არ დაუგმია მონოფიზიტობა.

პოლემიკა გამწვავდა კირონ ქართლის კათალიკოსის დროს – 607-609 წლებში:

ცურტავის ეპისკოპოსმა მოსემ კირონი დააბეზდა სომხეთის ეკლესიის წინაშე, ქართულ-სომხური ეკლესიების ერთობის „აღთქმას“ არღვევსო, ქალკედონის კრების ურიულ გადაწყვეტილებას განადიდებსო. მაშინაც ქართლში იყვნენ მონოფიზიტები, ისე როგორც სომხეთში – დიოფიზიტები, როგორც მრევლში, ისე იერარქიაში (მაგ., მონოფიზიტი ეპისკოპოსები ქართლში მოსე და პეტრე).

ცურტავში მოქმედებდა სომხურენოვანი ღმერთმსახურება. იგი დაუწერავს შუმანიკ დედოფალს, ვარსკენის მეუღლეს, რომლის შორეული წინაპრები ლაზები ყოფილან.

მოსეს მიწერ-მოწერა რომ გამჟღავნდა, კირონმა აგინა და დაწყევლა სომხები. შემდეგ სომეხთა კათალიკოსი აბრაამი ჩაერია პოლემიკაში. კირონი ცდილობდა დიპლომატიური პასუხებით შეენიღბა თავისი განდგომა სომხური ეკლესიისაგან.

მოსე მაინც ვერ ისვენებდა და ახლა ჰირკანის მარზპანს სმბატ ბაგრატიუნს მოუწოდა, რომ მახვილით შერკინებოდა ქართლს.

აბრაამი ისევ ახსენებდა კირონს, „სომხური მსახურება და წესი იყო თქვენში“, ეს წმ. გრიგოლისა და მამტოცის ტრადიციაა და უნდა დავიცვათო.

აბრაამს უნდოდა, რომ ალბანურის მსგავსად ქართლის ეკლესიაც სომხების მორჩილი დარჩენილიყო, საბოლოოდ კი თავის ნაწილად ექცია, მითუმეტეს, რომ ირანელები ისევ ზეობდნენ.

კირონმა მახეზლარი მოსე განდევნა ცურტავიდან და აბრაამს განუცხადა, რომ იგი აღიარებდა ოთხივე მსოფლიო საეკლესიო კრებას.

გაბოროტებულმა სომეხთა კათალიკოსმა ბრძანა ქართველებზე: „სრულიად არ ეზიაროთ მათ არც ლოცვაში, არც ჭამასა და სმაში, არც მეგობრობაში, არც დედამძუძეობაში, არც სალოცავად წასვლით ჯვარში, რომლითაც განთქმულია მცხეთის მიდამოები, არც მანგლისის ჯვარში, ნურც ჩვენს ეკლესიაში მიიღებთ მათ, არამედ მათთან



ქორწინებითაც სრულიად განემორეთ, მხოლოდ იყიდეთ და მიჰყიდეთ, ვითარცა ურიებს“ (ზაზა ალექსიძე, ეპისტოლეტა წიგნი, გვ. 122).

მალე ირანმა დაამარცხა ბიზანტია და აიღო იერუსალიმი. გამარჯვებულმა შაჰმა ხოსრო მეორემ ქრისტიანთა საეკლესიო კრებას დაადგენინა, ყველა ქრისტიანმა სომხური რჯული უნდა მიიღოსო.

ურჩი კირიონ კათალიკოსი და პატრიკოსი ადარნასე დაამხეს. ქართლში მცირე ხნით იმარჯვებს სომხური მიმართულება, ვიდრე ჰერაკლე კეისრის ლაშქრობამდე, რომლის შედეგად სომხურმა ეკლესიამ დიოფიზიტობაც კი მიიღო, თუმცა დროებით.

ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის კავშირი საბოლოოდ გაწყდა VIII საუკუნეში, 726 წელს, მანასკერტის კრებიდან (კ. კეკელიძე, ა. ჯავარიძე). სომხებისათვის მიუღებელი იყო 7 კრების მადლი და 5 პატრიარქის კათოლიკე ეკლესიის ჯვარი.

## **კირიონ კათალიკოსი – კიროს ალექსანდრიელი**

კირიონი ყოფილა ჯავახეთიდან, 15 წელი უცხოვრია ბიზანტიის სომხეთში, სადაც მიუღია ბერძნული განათლება და შეუთვისებია დიოფიზიტური მრწამსი. შემდეგ გადასულა დვინში, დაახლოებია სომეხთა მონოფიზიტ პატრიარქს მოსეს. თვითონაც მონოფიზიტი გამხდარა. როგორც სომხური ენის კარგ მცოდნეს, გზა გაუკვალავს სომხურ რელიგიურ იერარქიაში.

იგი იყო აირარატის გავარის ქორეპისკოპოსი და დვინის კათოლიკე მონასტრის წინამძღვარი (ზ. ალექსიძე).

მაგრამ კირიონს იბერიაში დაბრუნება ეწადა.

მართლაც, სომეხთა დახმარებით, ქართლის მონოფიზიტ და სპარსოვილ ხელისუფალთა და რელიგიურ პირთა მხარდაჭერით კირიონი მცხეთაში აკურთხეს ქართლის კათალიკოსად (599-614/16) და „მეგრელთა არქიეპისკოპოსად“.

ამ ფაქტიდანაც ჩანს, რომ სომხური ეკლესია აქტიურად ერეოდა ქართველთა რელიგიურ ცხოვრებაში.

კირიონმა არ გაამართლა სომხების მოლოდინი. მან სწრაფად მოიპოვა მცხეთაში კეთილგანწყობა, ხელისუფალთა თანადგომა და ამის შემდეგ დაიკავა დიოფიზიტური პოზიცია, შეცვალა ირანული კურსი ბიზანტიურით.

იგი ითვალისწინებდა შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას, ურთიერთობას ირანსა და ბიზანტიას შორის:

დევნილმა შაჰინშაჰმა ხოსრო მეორემ (590-628) ტახტი დაიბრუნა ბიზანტიის ჯარების დახმარებით.

ახალი საზავო პირობების თანახმად, ირანში ქრისტიანებს თავისუფალი მოქმედების ნება დართეს, ქრისტიანები დაუშვეს შაჰის კარზე, ქრისტიანთა პატრიარქს უნდა ეკურთხებინა შაჰის ტრაპეზი.

ბიზანტიის პოზიცია გაძლიერდა იბერიასა და სომხეთში.

კირიონმა ისარგებლა ახალი რეალობით: ჯერ დაუპირისპირდა თავის მხარდამჭერ მონოფიზიტურ სომხურ ეკლესიას, როგორც ანტი-ბიზანტიურს. შემდეგ დაიწყო ტაოსა და გუგარქში ღმერთმსახურების ქართულ ენაზე აღსრულება. ეს კი ნიშნავდა დენაციონალიზებული ქართველობის რწმენისა, ენისა და ეროვნების აღდგენას.

კირიონს მიმოწერა ჰქონია რომის პაპთან, იერუსალიმისა და სომხეთის პატრიარქებთან, ირანელ დიდმოხელეებთან.

მოღწეულია რომის პაპის გრიგოლ დიდის პასუხი ლათინურ ენაზე.

კათალიკოსის ნაციონალიზების პოლიტიკას, როცა ქართლს აღარ ჰყავდა სამეფო ხელისუფლება, საპასუხო რეაქცია მოჰყვა.

ეს იყო ჯერ აზრამის მუქარა, შემდეგ – სომეხთა ჩაგონებით ირანელ ხელისუფალთა განრისხება. ისინი ერთხანს იტანდნენ კირიონის მოქმედებას, მაგრამ როცა შეიცვალა პოლიტიკური ვითარება და ირანელებმა ბიზანტიელებს წართვეს კაბადოკია, პალესტინა, ეგვიპტე, აიძულეს, რომ კათალიკოსის ტახტი დაეტოვებინა.

იგი, როგორც მეგრელთა არქიეპისკოპოსი, ლაზიკაში გადავიდა, რომელიც ბიზანტიელებს ეკავათ. დევნილი კათალიკოსი ფაზისის მიტროპოლიტი გახდა კიროსის სახელით. აქაც აქტიურად მონაწილეობდა არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ – პოლიტიკის სფეროშიც, ირან-ბიზანტიის ომში (ზ. ალექსიძე).

არქეოპოლისის სანაცვლოდ ფაზისი გახდა ლაზიკის ცენტრი. აქ განლაგდა კეისრის ბანაკიც. თავად მიტროპოლიტი უკავშირდებოდა სხვადასხვა მეომართა მხარეს.

აქ კირიონს ისევ შეუცვლია რელიგიური მრწამსი. ამჯერად იგი ცდილობს შექმნას გამაერთიანებელი დოქტრინა მონოთელიზმი, რათა ქრისტიანებს შორის დაპირისპირება მოესპო.

ეს კონცეფცია კიროს ფაზისელს შეუმუშავებია ჰერაკლე კეისართან, სერგი კონსტანტინეპოლელთან და თეოდორე ფარანელთან ერთად.

ჰერაკლე კეისარმა დაუფასა კიროსს თანადგომა, ნიჭი და უნარი და გადაიყვანა ალექსანდრიის პატრიარქად.

631 წლიდან იგი ასევე არის ეგვიპტის გამგებელი (ალ-მუკავკასის სახელით). აქ იგი შეეცადა აღმოსავლეთის ეკლესიების გაერთიანებას. საამისოდ გამოსცა ცხრა თავისაგან შემდგარი მონოთელიტური ტრაქტატი.

კიროს ალექსანდრიელის მიზანი იყო ბიზანტიის პროტექტორატით დაეკავშირებინა ნესტორიანული, ქალკედონისტური და ანტი-ქალკედონისტური ეკლესიები, რათა ირანელებისათვის იდეოლოგიური საყრდენი გამოეცალა.

ეს პრინციპი შეესაბამება დღევანდელ უნიტარიზმს.

ზოგმა მიიღო ეს დოქტრინა. მაგრამ დიოფიზიტების ნაწილმა სასტიკი უარი განაცხადა. ქრისტიანულ სამყაროში ახალი შფოთი ატყდა.

ამ დაპირისპირების დროს არაბებმა აიღეს ალექსანდრია. ჰერაკლემ ღალატი დასწამა დაუცხრომელ პატრიარქს, გადააყენა და გადა-

სახლება მიუსაჯა. მაგრამ ამ დროს გარდაიცვალა კეისარი და კიროსი აღადგინეს ალექსანდრიის პატრიარქად.

642 წელს კიროსი გარდაიცვალა. როგორც მონოთელიტი, VI მსოფლიო კრებამ (681 წ.) იგი მწვალებლად გამოაცხადა, ისევე როგორც კონსტანტინეპოლის პატრიარქი სერგი და რომის პაპი ჰონორიუსი.

კიროსის ნაწერები მოსპეს.

ასე დაასრულა სიცოცხლე ბოზოქარი სულის მღვდელმთავარმა, რომელმაც გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქართველთა ეთნიკურ-კულტურული თვითდამკვიდრებისა და აგრეთვე – ქრისტიანული სამყაროს ერთიანობის მისაღწევად.

რელიგიურ-კულტურული თვითდადგენის პროცესი, რომელიც მიმდინარეობდა ქრისტიანული ბიზანტიის, წარმართული ხაზარეთისა და მაზდეანური ირანის ომების ფონზე, უეცრად შეწყვიტა მეოთხე უცხო ძალამ – არაბულმა ისლამმა, შეწყვიტა მთელი საუკუნენახევრით.

## IV. მტრისა და მხსნელის ხატებიდან:

### ეროვნული იდეოლოგია

#### 1. ჯვარი და ნახევარმთვარე

##### მეოთხე აგრესორი

622 წელს ატყდა უკანასკნელი ომი ირანსა და ბიზანტიას შორის. ქართლი დალაშქრეს როგორც თურქმა ხაზარებმა, ისე ბიზანტიელებმა ირანელთა განსადევნად.

628 წელს სპარსელ-სომეხთა მიერ დაპყრობილი ტფილისი აიღო ხაზართა შათიმ და მთელი ქალაქი ამოწყვიტა. ბრძოლაში დაეცა ერისმთავარი სტეფანოზიც.

შეიპყრეს შაჰის ნაცვალი და ირანელთა მიერ ერისთავად დანიშნული ვარსამუსე. ორივე სასტიკად აწამეს და ტყავი გააძრეს. ტყავი თივით გატენეს და ქალაქის კედელზე გადაკიდეს.

შემდეგ ჰერაკლე კეისარმა გაჟლიტა ცეცხლის მსახურნი და მონოფიზიტები.

ანტიქალკედონისტები დაამხეს სომხეთშიც.

ქართლი გაწმინდეს უცხო რელიგიისა და მწვალებელთაგან. თითქოს ისევ უნდა დაწყებულიყო ინტეგრირების პროცესი, რასაც მოჰყვებოდა სამეფო ხელისუფლების აღდგენა. მაგრამ ქართველებს, ბერძნებსა და ირანელებს ახალი გრიგალი დაეტაკა – არაბეთის ნახევარკუნძულზე შობილი ისლამი, რომელიც უძლიერესი ძალა აღმოჩნდა.

ირანი და ბიზანტია საუკუნეების მანძილზე ებრძოდნენ ერთმანეთს, ებრძოდნენ გარდამავალი უპირატესობით.

ერთმანეთის განადგურება ვერ შეძლეს. მაგრამ ისე გამოიფიტნენ, რომ ახალი დიდი ომის წამოწყების თავი არც ჰქონდათ.

ჰერაკლე კეისარმა ირანი კავკასიიდან გააძევა. ზოროასტრული ირანი შიდა ქაოსმა მოიცვა.

ამ სამხედრო და რელიგიური დაპირისპირების ფონზე მათ ვერ შენიშნეს, რომ არაბეთის ნახევარკუნძულზე წარმოიშვა მრისხანე ძალა, რომელიც არ სცნობდა არც ქრისტიანულ, არც მაზდეანურ რელიგიას.

ეს იყო ისლამი და არაბული ხალიფატი.

ქართველ ხალხსა და ქართულ კულტურასაც საშინელი საფრთხე დაემუქრა სემიტური სამყაროდან.

ირანი დამარცხდა და დაკარგა უძველესი სარწმუნოებაც.

მონოფიზიტები სიხარულით შეხვდნენ არაბების გამოჩენას.

დაიწყო მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა მაჰმადის აგრესიის წინააღმდეგ ტრადიციების, რჯულისა და ქვეყნის გადასარჩენად – მუსულმანები უფრო სასტიკი აღმოჩნდნენ, ვიდრე ირანელი მაზდეანები. მაგრამ სწორედ უცხო ძალის აგრესიამ გაამძაფრა ეროვნული თვითშეგნება და სახელმწიფოებრივი ინტეგრირებისაკენ სწრაფვა, ქრისტესადმი რწმენა, ჩამოაცილა მუდმივი მტრები – საერთოდ გააქრო პოლიტიკური არენიდან მაზდეანური ირანი და ხაზარები, ფრთები შეუკვეცა და დაამცრო ქრისტიანული ბიზანტია.

ამიერიდან ერთმანეთის პირისპირ დადგნენ მუსულმანური ნახევარმთვარე და ქრისტიანული ჯვარი.

## მაჰმადი და ისლამი

მუსულმანური რელიგიის შემქმნელია მაჰმადი (570-632), რეალურად არსებული პიროვნება, ტომით არაბი, ჰაშიმიანთა გვარიდან.

მაჰმადი ალაჰის მოციქულია და წინასწარმეტყველი. ძველ არაბულ ტომებში Allah იყო ზეცისა და წვიმის ღმერთი.

ალაჰი ერთადერთი და ყოველშემძლე უფალია.

მან მაჰმადი აირჩია, რათა ხალხამდე მიეტანა ჭეშმარიტება, როგორც ეს გააკეთა ცაბაოთმა მოსეს სახით.

მაჰმადი ისევე გაიქცა მექადან მედინაში, როგორც მოსე – ეგვიპტიდან.

ლეგენდის თანახმად, ყმაწვილ მაჰმადისათვის ქრისტიანული წიგნები გაუცვნია ბერ ბაჰირას, რწმენით ნესტორიანელს.

იგი ადრე დაობლებულა და აქლემებით ემსახურებოდა მდიდარ დედაკაცს, რომელიც დაქვრივების შემდეგ ცოლად შეირთო.

მაშინ მაჰმადი იყო 25 წლისა, ხატიჯე – 40-ისა.

როგორც გადმოგვცემს ბაგრატ ბატონიშვილი (XVI ს.), იგი შავ-ნაღვლიანობით ყოფილა შეპყრობილი, მიწაზე ეცემოდა ხოლმე, რადგან ვერ უძლებდა ჯიბრაელის ხილვას.

მეცნიერები ამ დაავადებას მუსკულურ ისტერიას უწოდებენ, რაც იწვევს თვითშთაგონებას, გრძნობათა მოზღვავებას, არა გონების დაკარგვას, არამედ – უეცარ გახევებას.

თავდაპირველი სახელი ყოფილა მუსტაფა. მაჰმადი (მუჰამედი) კი ღვთის რჩეულს ნიშნავს.

მაჰმადმა პირველად ხატიჯე დააჯერა, რომ იგი ლაპარაკობდა მთავარანგელოს ჯიბრაელის კარნახით. მანვე პირველმა მიიღო ახალი რჯული.

მაჰმადმა შექმნა თეოკრატიული სახელმწიფო, რელიგიის ნიშნით გააერთიანა მოქიშპე არაბული ტომები და დარაზმა ისინი ქვეყნიერების გასაძარცვად და დასაპყრობად, რწმენის გასავრცელებლად.

როგორც მოსე ვერ შევიდა აღთქმულ ქვეყანაში, ისე მაჰმადი ვერ მოესწრო არაბების ძლევამოსილ დაშქრობებსა და ყურანის გავრცელებას.

არაბული წელთაღრიცხვა – ჰიჯრა იწყება 622 წელს მაჰმადის მექადან მედინაში გაქცევით, სადაც ააშენა პირველი მეჩეთი („მასჯიდ“).

ასე გააძევეს თავისი წრიდან ზარატუსტრა და შემდეგ მოკლეს, ჯვარზე აცვეს ქრისტე, ტყავი გააძვრეს მანს.

მაგრამ მაჰმადმა ქადაგება დაუკავშირა ძალასა და იარაღს.

მედინაში მან გაწყვიტა კავშირი ჯერ იუდეველებთან, შემდეგ – ქრისტიანებთან.

ახალმა წინასწარმეტყველმა მოქმედება დაიწყო მექარავნეთა მარცვით.

630 წელს 10.000 მოლაშქრით მექას მიადგა, ქალაქი უომრად დაიკავა და ყველას ისლამი მიაღებინა.

მისი უახლესი თანამებრძოლები იყვნენ – ომარი და აბუ ბექრი, რომელთა ქალიშვილები ცოლად შეირთო, სიმეები – ალი (მისი ბიძაშვილი და ფატიმას ქმარი) და ოსმანი, მომავალი ოთხი წმინდა ხალიფა.

მაჰმადი დასაფლავებულია მედინაში.

ახალ რელიგიას მაჰმადმა ისლამი უწოდა, რაც ნიშნავს მინდობას ღმერთისადმი, მუსულმანი (მუსლიმი) კი – მინდობილს.

თავის მოძღვრებას იგი მიიჩნევდა ზეშთაგონებად.

მაჰმადის თანამებრძოლთა მცირე ჯგუფმა – ასაბებმა შექმნეს ახალი არისტოკრატია, მმართველი ზედაფენა (შდრ – „გვარ-ტომი და ფუძე-ენა“).

ისევე როგორც ქრისტიანობას, მაჰმადის რჯულსაც ჰქონდა თავისი დოგმები, როგორც რწმენის ქვაკუთხედი:

1. არ არის ღმერთი, გარდა ალაჰისა, და მაჰმადია მისი წინასწარმეტყველი;
2. ყოველდღიური ხუთგზის ლოცვა (ნამაზი);
3. მარხვა რამაზანის თვეში;
4. ზაქათი – გადასახადის 1/40 ღარიბთა სასარგებლოდ;
5. პილიგრიმობა მექაში (ჰაჯი).

ასევე ერთ-ერთი უმთავრესი დოგმა იყო საღვთო ომი (ლაზავათი, ჯიჰადი) გიაურთა – ურწმუნოთა წინააღმდეგ.

ამ ნიშნით მაჰმადი ქრისტეს დაუპირისპირდა.

ქრისტიანობის სიმბოლო ჯვარი იყო, მუსულმანობისა – ნახევარმთვარე. როგორც ნათლობა ქრისტიანისათვის, ისე იყო აუცილებელი მუსულმანი ვაჟის წინადაცვეთა.



წმინდა წიგნი არის ყურანი, რომელიც შედგება მაჰმადის ქადაგებებისაგან. ისინი ითქვა მაჰმადის ბაგით, მაგრამ ალაჰი კარნახობდა.

ყურანში ერთმანეთს ერწყმის არაბული ტომების ტრადიციები, იუდაისტური და ქრისტიანული მოტივები, მაზდეანობის ელემენტები.

ამ წიგნის ფორმირება მოხდა მაჰმადის სიკვდილის შემდეგ – VII საუკუნის შუა ხანებში.

იგი შედგება 114 სურისაგან (თავისგან), ზემთაგონების ფრაგმენტებისგან. აქედან 90 იქადაგა მექაში, 24 – მედინაში. თავად მაჰმადმა წერა-კითხვა არ იცოდა.

მუსულმანთათვის ასევე წმინდა თქმულებაა სუნნა, რომლის საფუძველია ჰადისები – მაჰმადის ცხოვრების ეპიზოდები.

ისლამი ემყარება ძველ არაბულ მითებსა და ლეგენდებს, ალაჰის ერთადერთობის ცნებას. აღიარებს იესო ქრისტეს (ისა), როგორც წინასწარმეტყველს, მაგრამ უარყოფს, რომ იგი იყო ძე ღვთისა.

ისლამის მიხედვით სამყარო განიყოფა ზეციურ და მიწიერ ნაწილებად. ალაჰმა შექმნა შვიდი ცა.

მეშვიდე ცაზეა ალაჰის ტახტი.

ზეცაში არის როგორც სამოთხე (ჯანნა), ისე ჯოჯოხეთი (ჯახანამ), სამოთხე მეშვიდე ცაშია, ჯოჯოხეთი – პირველი ცის დაბლა.

ცაში ცხოვრობენ სინათლისგან ქმნილი ანგელოსები. მათგან ოთხია მთავარი – ჯიბრელი, მიქალი, იზრაილი და ისრაფილი.

ბიბლიური სატანა აქ არის შაითანი.

პირველი ადამიანები არიან ადამი და ჰავა. მათ შაითანის ცდუნებით იგემეს აკრძალული ხის ნაყოფი და ალაჰმა ისინი განდევნა სამოთხიდან. შაითანს დაეხმარნენ გველი და ფარშევანგი.

სარკინოზებმა („სარას ძაღლები“) გაიზიარეს თავიანთი ნათესავი ებრაელების ბიბლიური მითი.

ჰავამ შობა 70 ტყუპი და დასაზამი მისცა კაცობრიობას.

ისლამს ჰყოლია 124.000 წინასწარმეტყველი, მათგან – 313 მოციქულია, 8 მთავარ მოციქულს შორის არის ისა (ქრისტე).

ბევრი მათგანი შეესაბამება ბიბლიის პერსონაჟებს. მაგ., ადამი, ნუქი (ნოე), მუსა (მოსე), ისა (იესო), ლუთი (ლოთი), მარიამი.

ყურანის მიხედვით, მაჰმადის მოვლენა იწინასწარმეტყველა ისამ, რომლის ჯვარცმა უარყოფილია.

ისლამური დემონოლოგიით, შაითანები იგივე ჯინებია, რომლებიც ცეცხლისგან იშვნენ.

შიიტები აღიარებენ ძალაუფლების მემკვიდრეობითობას, ფატიმასა და ალის შვილთა ხელისუფლებას, როგორც მაჰმადის სინათლის ემანაციას. შემდეგ ეს საღვთო ძალა გადაეცათ იმამებს.

სუნიტები სცნობენ ხალხის მიერ არჩეულ იმამს, როგორც საერო და სასულიერო ლიდერს.

შიიტებს სწამთ 12 იმამი, მაჰმადის მისიის მემკვიდრენი, ფატიმასა და ალის შთამომავლები.

მათგან 11 დაიღუპა მოწამეობრივი სიკვდილით. მეთორმეტე უკვალოდ გაქრა და უხილავად მართავს, როგორც დროის მბრძანებელი, შიიტების თემებს.

იგი დაბრუნდება და ქვეყნად აღადგენს სამართლიანობას, რაც ჰგავს ქრისტეს მეორედ მოსვლის ესქატოლოგიას.

მეზობელ ხალხთა რელიგიების ზერელე ცოდნა ხელს უწყობდა მაჰმადს, რათა თავისუფლად ეაზროვნა, თავისი დაკვირვებისა და წარმოსახვისათვის დაემორჩილებინა სახელები და ფაქტები.

ყურანი იძლეოდა ნებას, რომ მუსულმან მეომარს ყველა ურჯულო მოეკლა (გარდა ბერ-მონაზონისა), ხელთ ეგდო ნადავლი, რომლის მეხუთედი ეკუთვნოდა იმამს, ოთხი მეხუთედი – მეომრებს.

მაჰმადის მონაცვლედ ითვლებოდა ხალიფა, პოლიტიკურ-რელიგიურ ლიდერებს ერქვათ იმამი და ამირა.

არაბებმა თავიანთ დაპყრობით ომებს, მიმართულს ოთხივე კუთხით, საფუძვლად დაუდეს ისლამის იდეოლოგია, წინ წარიმძღვარეს მახვილი.

აქლემებსა და ცხენებზე ამხედრებული მამაცი ბედუინები ყველა ხალხსა და ყველა რელიგიას დაუპირისპირდნენ. სიკვდილი არ აშინებდათ – ომში დაღუპულ მუსულმანს ზეციური სამოთხე ელოდა.

არაბებმა დაპყრობითი ომების საფუძველზე, მუსულმანური რელიგიისა და სამხედრო წარმატებათა შთაგონებით შექმნეს დიდი კულტურა, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების თუ მატერიალური ყოფის სფეროებში, გაავრცელეს თავიანთი დამწერლობა მუსულმანობასთან ერთად.

ყველა დროისა და ყველა ქვეყნის კულტურას, აღზევებასა და დაცემას, განსაზღვრავს ისტორიულ-პოლიტიკური პროცესები, ერების აქტივობა და ინდივიდების ფაქტორი.

ასე მოხდა არაბთა იმპერიაშიც.

არაბები სემიტები არიან, ეგვიპტელთა, აქადელთა, ებრაელთა, ასურელთა, ფინიკიელთა მონათესავენი. მაგრამ ბედუინებს, მომთაბარე ტომებს, ამ დიდი პოლიტიკური და კულტურული ტრადიციების ხალხებთან მხოლოდ გენეტიკური წარმომავლობა აკავშირებდათ.

## არაბები კავკასიაში

არაბთა დაპყრობითი ომები იწყება მაჰმადის სიკვდილის შემდეგ – 633 წლიდან და გრძელდება 751 წლამდე.

იესოს მოციქულებმა ქრისტეს ცად ამალეების შემდეგ ჯვართა და ლოცვით დაიწყეს ახალი რწმენის გავრცელება;

მაჰმადის მემკვიდრე ხალიფებმაც წინასწარმეტყველის სიკვდილის შემდეგ გააჩაღეს ომები ალაჰის სახელით ტერიტორიებისა და ნადავლის მოსაპოვებლად: მათ მიწის მუშაკობა, ვაჭრობა ან ხელოსნობა არ ემარჯვებოდათ.

ქრისტიანებმა აღიარებას სამი საუკუნის შემდეგ მიაღწიეს, მუსულმანებმა მახვილითა და სისხლით ეს რამდენიმე წელიწადში შეძლეს, რადგან ყველა არაბი მამაკაცი მეომარი იყო.

ისინი ერთდროულად ეომებოდნენ ბიზანტიასა და ირანს და თითქმის ყველა შეტაკებაში გაიმარჯვეს.

ბიზანტიას წაართვეს პალესტინა, სირია, ეგვიპტე. ხოლო ირანი გაანადგურეს, ისპაჰანი გამარცხვეს, თუმცა არც იცოდნენ კულტურის ნიმუშთა ფასი. ერთ ქალაქში 40.000 მამაკაცი გაწყვიტეს, ისეთ სისასტიკეს იჩენდნენ.

ისინი ფიცხელი მოისარნი იყვნენ, „ჭამდეს ძაღლთა, თაგუსა, კაცსა და ყოველსა არაწმინდას“ (სტეფანე მტბევარი, X ს.).

იბრძოდნენ ფილეკავნებით (ლოდსასროლი ციხეთა გასანგრევად), უამრავი აქლემი დატვირთული ჰყავდათ ისრებითა და ჰოროლებით.

არაბი ცხენოსნები ვერ შეაჩერეს ჯაჭვით გადაბმულმა ირანელებმა.

დევნილი შაჰი იეზდიგერდ III ვიღაც მეწისქვილემ მოკლა.

651 წელს დასრულდა ირანის დაპყრობა და არაბები შუააზიაში შეიჭრნენ. ეს იყო მეორე კატასტროფა, რომელიც 900 წლის შემდეგ მოხდა.

მაზდეანები შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ გაიქცნენ.

დაპყრობილი ტერიტორიები არაბებმა გამარცხვეს და დახარკეს. ხარკის ფორმა იყო ხარაჯა და ჯიზია.

ასე მოადგნენ კავკასიას.

640 წელს აიღეს სომხების დედაქალაქი დვინი.

642 წელს არაბთა სარდალი ჰაბიბ იბნ-მასლამა ტფილისში შემოვიდა. ქართლის პატრიკიოსმა იკისრა ჯიზიასა და ბეგარის გადახდა. სამაგიეროდ მიიღო „დაცვის სიგელი“.

შემდეგ სახალიფოში ატყდა შიდაკონფლიქტი.

ქართველებს, სომხებსა და ალბანელებს ჰგონებიათ, რომ არაბებს ომის თავი აღარ ჰქონდათ და ხარკის ძლევა შეუწყვიტეს.

ქართლის მთავარს ნერსეს დაუმარცხებია სომხეთში მდგარი არაბთა ჯარის სარდალი ბარაბა.

ისევ მოიცეს ძალი ბიზანტიელებმა და ხაზარებმა. მაგრამ ხალიფატში მდგომარეობა გამოსწორდა და არაბები კვლავ მოადგნენ კავკასიას.

697 წელს ლაზიკის პატრიკიოსმა სერგი ბარნუკის ძემ ქვეყანა არაბებს ჩააბარა. ქართლიც იძულებული გახდა განეახლებინა ხარკის ძლევა.

არაბები ჩრდილო კავკასიაში გადავიდნენ, დაამარცხეს ხაზარები და ვოლგასთან შეჩერდნენ.

განსაკუთრებული სისასტიკითა და მასშტაბით გამოირჩეოდა ხალიფას ბიძაშვილის, მომავალი ხალიფას, სარდალ მერვან იბნ-მუჰამედის („მურვან ყრუ“) ლაშქრობანი კავკასიაში (735-737).

მაშინ უწყამებიათ არგვეთის მთავრები დავით და კონსტანტინე.

მერვანმა დაანგრია ციხე-ქალაქები, მიწასთან გაასწორა სამზღლუდიანი არქეოპოლისი, დაიპყრო დარიალი და დარუბანდი, გადავიდა ხაზართა მიწაზე.

სოფლებად აქცია მცხეთა და ურბნისი.

ქართლის მმართველი გახდა არაბი, რომლის თანამდებობას ეწოდა ამირა, როგორც ერქვა მარზპანი ირანელთა, ან – პატრიკიოსი ბიზანტიელთა მპყრობელობის ჟამს.

ამირას სამყოფელი იყო ტფილისი. ქალაქი განდიდდა, შემოიზღუდა თიხის ორმაგი გალავნით, რომელსაც ხუთი კარი ჰქონდა.

გაჩნდა ქალაქში მუსულმანი მოსახლეობა, აშენდა მეჩეთები.

ტფილისში სახლები ყოფილა ნეკერჩხლის ხისაგან აგებული. ამიტომ ბულა თურქმა, რომელიც განმდგარ ამირა საჰაკს ებრძოდა, იოლად და სწრაფად დაწვა ქალაქი.

დაიღუპა 50.000 კაცი, ძირითადად – მუსულმანები.

ერთი არაბი ავტორის ცნობით, ქართველები – „ძლიერ საეჭვო, მოღალატე ხალხი“ – ცხოვრობდნენ ტფილისის შემოგარენში.

ტფილისი 400 წელზე მეტხანს არაბებს ეკავათ. მანამდე ურთიერთშენაცვლებით მბრძანებლობდნენ ბიზანტიელები, ირანელები, ხაზარები.

ამიტომ ისტორიულად აქ ყოველთვის მცირე იყო ქართველი მოსახლენი, რაც გაგრძელდა XX საუკუნის 60-იან წლებამდე.

არაბთა ბატონობას საქართველოს ტერიტორიაზე ჰყოფენ სამ პერიოდად:

1. VII საუკუნის 40-იანი წლებიდან მურვან-ყრუს ლაშქრობამდე (VIII საუკუნის 30-იანი წლები);
2. მურვან-ყრუს ლაშქრობა და ტფილისის საამიროს დაარსება (VIII საუკუნის 30-იანი წლებიდან IX საუკუნის 80-იან წლებამდე);
3. ტფილისის საამიროს ჩამოშორება ხალიფატისაგან თურქ-სელჯუკების გამოჩენამდე (IX საუკუნის 80-იანი წლებიდან XI საუკუნის 50-იან წლებამდე).

ხაზართა თარეშიც არ ცხრებოდა. „ვართ მორწმუნენი მძლავრებასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი“, – გოდებდა იოანე საბანისძე (VIII ს.).

დაპყრობილ და დახარკულ მოსახლეობას, დაქსაქსულ სამთავროებს საზრდელსა და საცხოვრისზე უნდა ეზრუნა. კულტურაზე შეეძლო ეფიქრა მხოლოდ ეკლესია-მონასტრებს შეფარებულ სამღვდლოებასა და ბერ-მონაზვნებს ან უცხოეთში ემეზნათ ქართული სავანეები.

ბიზანტიელთა და ირანელთა ბატონობას თუ სატელიტობას, მათომებსა და ბრძოლებს კავკასიისათვის, შეეხვია ქართველი ხალხი და თითქოს იქცა ბუნებრივ მდგომარეობად.

მაგრამ არაბობა და მუსულმანური რელიგია უცხო და დამპყრობელი იყო, რომელმაც არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი, არამედ რელიგიურ-კულტურული თვალსაზრისითაც დათრგუნა ელიტა.

ელიტა არ თმობდა ქრისტიანობას, მაგრამ არც არაბობასთან დაპირისპირება შეეძლო.

საუკუნენახევარი დასჭირდა გამოფხიზლებას, რაც დაემთხვა არაბთა ძალმოსილების შესუსტებას და ბიზანტიის ისევ გაძლიერებას.

შეიძლება თავად ხალიფატს ნაკლებად აინტერესებდა კავკასია – მისი ყურადღება გადატანილი იყო შორეულ აღმოსავლეთზე, სადაც არაბებმა მიაღწიეს ტანის იმპერიის საზღვრებს, და შორეულ დასავლეთზე, საითკენაც დაიპყრეს ჩრდილო აფრიკა, ხმელთაშუაზღვის კუნძულები, პირენეის ნახევარკუნძული. მხოლოდ გერმანელმა ფრანკებმა შეძლეს მათი შეჩერება გალიის ტერიტორიაზე (720, ჰუატიეს ბრძოლა).

არაბთა იმპერია გაიშალა გიბრალტარიდან ჩინეთამდე.

იმედის სხივი იყო ის, რომ 717-718 წელს კონსტანტინეპოლთან ახალმა იმპერატორმა სომეხმა ლეონ III-მ უკუაქცია არაბების 1.800 ხომალდი. ხოლო ოცი წლის შემდეგ აკროინონთან გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხა ხალიფატის ლაშქარი.

ამის შემდეგ დამყარდა წონასწორობა ბიზანტიასა და ხალიფატს შორის. ხოლო 969 წელს ბერძნებმა დაიბრუნეს ანტიოქია.

## არაბული ლექსიკა ქართულში

არაბული მუსულმანთა ენა იყო. ამიტომ საუკუნეების განმავლობაში სომხური და სპარსული გზით, ადრე – უშუალოდ არაბთაგან შემოდიოდა ბაღდადელთა ლექსიკა, განსაკუთრებით – სამედიცინო და ასტროლოგიური ცნებები.

ბევრი მათგანი დამკვიდრდა ჩვენს ენაში. მაგ., ალამი, ადათი, ნისია, ხარჯი, ქირა, ვალი, ვეკილი, ვეზირი, ამირი, ექიმი, ბუასილი,

შაკივი, ატლასი, შანდალი, ქურა, მუხამბაზი, ღადარი, ხალიფა, თასი, ყავა, არაყი, ჰავა, საბაბი, ფიქრი, ხასიათი, ხოტბა, მაიმუნი, შარბათი, ეშხი, ყავლი, თამამი, ხალასი, ვარამი, ღალატი, სურათი, ბადრი, მუშტარი, ყამარი, მარეხი, მიზგითი, ფარდა, შაქარი, ჯალაბი, შიმშერი, მანდილი, აქლემი, ყაჭი, უნაბი, ნალი, ნარდი, თარჯიმანი, ზარადი, ათაბაგი, შაირი, ზმა, მუტრიბი, ნაღარა...

თითქმის მთლიანად არაბული იყო ძველი ტფილისის ტოპონიმები, რომელთა ნაწილი დღემდე შემორჩა. მაგ., ავლაბარი, სოლოლაკი, ისანი, ნავთლუდი, სოღანლუდი, ჩულურეთი, სეიდაბადი (ა. ბალიშვილი).

ზოგმა სიტყვამ ახალ დროში ვერ გაუძლო ევროპულ ენებთან კონკურენციას და დავიწყებას მიეცა (მაგ., დუნია, ბაყალი, ჯავარი, დუქანი, პრკე, აშპაშხანა, შეითანბაზარი, ზარაფხანა).

განსაკუთრებით მცირეა არაბიზმები იმ პერიოდში, როცა ისინი მძლავრობდნენ ჩვენს ტერიტორიაზე.

ქრისტიანობა იყო შემაკავებელი ფაქტორი.

ღვთის მსახურები მაქსიმალურად ცდილობდნენ მათ იგნორირებას. მაგრამ კონტაქტი არაბ ქრისტიანებთან, არაბ მმართველებთან, არაბული მწერლობის გაცნობა და თარგმნა სტიქიურად იწვევდა ამ უცხო სიტყვების გაქართულებას. არაბულ კულტურას ქართველები ეცნობოდნენ საბაწმინდასა და სინას მთაზე.

## არაბობა და მეოთხე მიგრაცია (VIII ს.)

ტაო-კლარჯეთის მხარის მრავალი ტოპონიმი მეორდება დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე.

ერთი ნაწილი ეს არის მაშინდელი, როცა მუშქების (მოსხების) ლიდერობით ქართველური და სხვა იბერიულ-კავკასიური ტომები, კიმერიელებისა და სკვითების შეჭრის შემდეგ, სტოვებენ მცირე აზიას (იხ. „სკვითურ-კიმერიული ციკლონი და მესამე მიგრაცია“), ისევე როგორც ფრიგიელი არმენები;



მეორე – როცა VIII საუკუნეში მურვან-ყრუს მიერ დალაშქრული და ხოლერის ეპიდემიით დამფრთხალი შავშელები, კლარჯელები, ტაოელნი, ერუშელნი, ჯავახები სტოვებენ თავიანთ საცხოვრისს და მიდიან ჩრდილოეთით – დღევანდელი დასავლეთ საქართველოსაკენ, რომელიც ეკავათ მეგრულ – ჭანებს, მცირე ნაწილი – შიდა ქართლისაკენ.

სტეფანე მტბევარის სიტყვით, დამშეული ხალხი ბალახსა და ხის ფურცლებს ჭამდა.

აშოტის დროსაც კი, როგორც წერს სუმბატ დავითის ძე, ხალხი აქა-იქ ცხოვრობდა.

აქარული, გურული და იმერული დიალექტების სათავედ სპეციალისტებს მიაჩნიათ შავშეთურ-კლარჯული მეტყველება, დღევანდელი იმერხევეური.

ერთ-ერთი ნაკადის მიგრაციას გვაუწყებს სომეხი ისტორიკოსი ლეონტი მოძღვარი:

12.000 ტაოელი მხედარი ცოლ-შვილთან ერთად აყრილა, კოლთან დაუმარცხებიათ მდევარი არაბები და ჭოროხზე გადასულან.

მათ სდომებიათ საბერძნეთს, ე.ი. ბიზანტიის მხარეს შეფარებოდნენ.

ასეთი მიგრაციის შედეგად წამოიღეს და ახალ საცხოვრისში დაამკვიდრეს ლტოლვილებმა მშობლიური ტოპონიმები და გვარ-სახელები ან გადააკეთეს დამხდურთა ტოპონიმები.

დავასახელოთ ზოგი მათგანი:

- კლისურა – დასავლეთ ევფრატის ხეობაში, კელასური – აფხაზეთში, კლასური – აჭარაში;
- კოლი, კოლა და კლარჯეთი – კოლის მთები და კოლხორი (ქლუხორი) აფხაზეთში;
- ლამიანი არტაანის ოლქში – ლამისყანა ქართლში;
- მოქვთა შავშეთში – მოქვი აფხაზეთში, გვარი მოქია;

- კვიტაური ჭოროხის ხეობაში – სოფ. კვიტოული აფხაზეთში, გვარი კვიტაიშვილი;
- აბაშიეთი და გვარი აბაშიძე შავშეთში – მდ. აბაშა, გვარი აბაშიძე;
- კვესაური და გვარ-სახელი კვესა – კვესელავა სამეგრელოში, კვესეთი ქართლში, გვარი კვესელაძე, კვესიტაძე;
- ფასისი (არაქსი) და ფასიანი/ზასიანი – ფასისი/ფაზისი კოლხეთში;
- ხოსტა კარჩხალის წყალზე – ხოსტა სოჭთან, ხომტი სამეგრელოში, ხომტიბი იმერეთში, გვარი – ხომტარია;
- ქორთა ტაოში, ქორდა – ქართლში;
- სოფ. მურღული – გვარი მურღულია;
- სოფ. ბორჩხა – გვარი ფორჩხიძე;
- ქალაქი ფუთი მცირე აზიაში – ფუთი ზესტაფონში, ქალაქი ფუთი (ფოთი);
- არტაანი – არტანი თიანეთის რ-ში, ართანა თელავის რ-ში (სომხ. არტ – ყანა), გვარი ართანაშვილი;
- არცავა დას. კილიკიაში – მდ. არცეულა (ცხინვალთან), სოფ. არცევი (ქარელის რაიონი);
- უზნი – მესხურ-ჯავახურში წვრილტანიანი ხე – გვარი უზნაძე (სვან. მოუვლელი);
- ქალაქი მაკალთუნი ჩილდირის ტბასთან – გვარი მაკალათია;
- მერე შავშეთ-კლარჯეთში – მერეთი, მერისი, მერევი დას. და აღმ. საქართველოში;
- სოფ. ფხიკიური შავშეთში – გვარი ფხიკლეშვილი (ვაჟა-ფშაველას დედის გვარი);
- სოფ. ბახთა არქაბის რაიონში – ბახტურიძე/ბახ-თურის ძე, გვარი ბახია, ბახი – უღელტეხილი მესტიის რაიონში, ბახიოთი – საჩხერის რაიონში;
- ახოთის ეკლესია შავშეთში – სოფ. ახუთი სამეგრელოში;

- ხოფა – სოფ. ხოფი გუდაუთაში, ხოფა ქართლში, გვარი ხოფერია;
- სოფ. ხევცრული – ხევსური, გვარი ხევსურიანი (ხევცრულიანი) სამეგრელოში;
- დაბა-სოფელი კლარჯეთში ნიგოზეთი – ნიგოზეთი ჭიათურაში, ნიგოთი ლანჩხუთის რაიონში, იგოეთი კასპის რაიონში;
- სხალთა – სხალთა სოფელი აჭარაში;
- არსის ხეობა იმიერ-ტაოში – არსიანის მთები, გვარი არზიანი;
- მარდალი არაქსის სათავესთან – გვარი მარდალეიშვილი;
- ხახული – ხახალეიშვილი;
- გარყელობი – გარაყანიძე;
- თუხარისი – თუხარელი;
- ბიწე – ბიწაძე;
- ბარეთელთა – ბარათელი;
- ჯავახეთი – ჯავახაძე, ჯავახია, ჯაველიძე, ჯავახიშვილი;
- მესხეთი – მესხი, მესხიშვილი, მესხია, მესხორაძე;
- შავშეთი – შავშვილი/შავიშვილი;
- დოლისყანა – დოლიძე, დოლაბერიძე;
- შატბერდი – შატბერაშვილი;
- იშხანი – იშხნელი;
- ჩორჩანი – ჩოჩია, ჩოჩეთი ქართლში;
- წურწყუმი – წურწყუმია;
- დადეში – დადიანი და დადეშქელიანი, დადიანეთი ქართლში;
- ჰუჯაბი – გუჯაბიძე;
- ჯანდირი – ჯანდიერი;
- კობერის მონასტერი ლორის ციხესთან – კობერიძე; ამ სიტყვის ფუძეა ქართული სიტყვა „ქვაბ“, რომელიც იქცა სომხურ „ქობ-აირად“ (ბ. არველაძე);
- მაღარდის მონასტერი – მაღრაძე;
- სოფ. პარხალის უბანი ფერსეთი – სოფ. ფერსათი იმერეთში;

➤ ოკამი კოლასთან – ოკამი ქართლში;

აჭარის, გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე მეგრულ-ჭანური მოსახლეობა თანდათან შეცვალეს სამხრეთელმა მიგრანტებმა, შეცვალა ქართულმა მეტყველებამ.

მაგრამ დარჩა ზანური ტოპონიმები, მაგ., წყალტუბო – მეგრ. წყარტიბუ – წყალთბილი, ოკრიბა – საბატკნე, დიხაშხო, ოყურეში, ჩუნეში, ჭონაგორა, ჯიხეთი, ჯუმათი, ჭყვიში (ჭყეში – მწყემსი), ისევე როგორც სვანური (მაგ., ბერეჟოული, სხვიტორი, ცაგერი).

დარჩა ქართიზებული გვარებიც. მაგ.,

- დიასამიძე – დიდასკვამის ძე (დედალამაზის ძე);
- სკამკოჩაიშვილი – სკვამკოჩაიშვილი (ლამაზ კაცის ძე);
- ჭანტურია – ჭანთურის ძე (ჭანების ტომელი);
- ზამთარაძე (ზანთარაძე) – ზანების თურის ძე;
- ჩიღვინაძე – ჩე ღვინი – თეთრი ღვინო, იჩიღვინანს – კარგად გამოიყურება;
- ჩიჯავაძე – ჩე ჯა/თეთრი ხე ანუ ალვის ხე;
- ჩიქვილაძე – ჩე ქუა – თეთრი ქვა;
- ჩაკვეტაძე – ჩე კვატა – თეთრი იხვი; გვარი ჩიკვატია;
- ჩაბრაძე – ჩაბლა – ლაზ. ფეხსაცმელი, იგივე ჯღანი (შდრ – ჯღარკვა);
- გიგინეიშვილი/მიგინეიშვილი – მე-გინე – ხბორების მომვლელი;
- ერქომაიშვილი – ერჯ ქომოლი, ერკემალ-კაცი;
- ჭანკოტაძე/ჭანკვეტაძე – ჭანკვატა;
- ჯამბაკური – ჭანბაკური;
- ჭყოიძე – ჭყონია (ჭყონი – მუხა);
- ყვა სუფიქსიანი გვარები – ინგოროყვა, დელეყვა, ართალაყვა, როყვა, თალაყვაძე – ყვა /ცუა – შუბლი, კიდე;
- უჯმაჯურიძე – უჯმა – უძმო, ჯური – ტომი, მოდგმა (სომხ. ჯური – წყალი), ე. ი. უთვისტომოს ძე;

- დიხამიძე – მიწიანის ძე;
- კვაჭანტირაძე – კვაჯამ /ცავაჯამ თურიმ ძე;
- მტკვრის ლაზური სახელი ადრევე დამკვიდრდა ქართულ მეტყველებაში. შდრ – ლაზურად „მტკური ქოთუმე“ – ტყის ქათამი, „მტკური სხული“ – ტყის მსხალი.

თვით ტყის აღმნიშვნელი სიტყვა კი დაკარგულა.

აქედან – მტკვრის ადრეული, ლაზური ფორმა იქნებოდა „მტკური წყარი“ – ტყის წყალი (მტკურის ფორმით ახსენებს ამ მდინარეს ვახუშტი ბატონიშვილი).

ეს იყო ჩვენი წინაპრების მეოთხე მიგრაცია, ამჯერად – სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, რაც სასიკეთო აღმოჩნდა ქართველურ ტომთა და კილოკავთა ინტეგრირებისა და კულტურის ცენტრალიზებისათვის, სახელმწიფოებრივი აქტივობისათვის.

\* \* \*

ყოველ რეგრესს პროგრესი მოჰყვება ხოლმე, რაც არის იგივე სწეულებით სტიმულირებული ძალთა მოკრება, შოკური თერაპია.

ასე მოხდა საქართველოშიც.

ხალხის ცნობიერებაში ჩაჭედებული მტრისა და მხსნელის ხატებიდან, მათი დაპირისპირებიდან ამოიზარდა ქრისტიანულ-ეთნიკური მითოსი, რაც იქცა ქართველთა ნაციონალურ იდეოლოგიად.

## 2. ქრისტიანულ-ეთნიკური მითოსი

მუსულმან არაბთა ბატონობას მასები ვერ ეგუებოდნენ. ეთნიკურად და რელიგიურად ისინი უცხონი იყვნენ, თანაც – მოძალადენი და დამანგრეველნი.

ირანელები ათას წელზე მეტხანს მბრძანებლობდნენ კავკასიაში. ხალხი მათ კარგად იცნობდა, აღიარებდა მაზდეანობასაც. მხოლოდ

ქრისტიანები იყვნენ შეურიგებელნი, თუმცა იბერიაში გვერდიგვერდ იდგნენ ქრისტესა და ცეცხლის ტაძრები.

არაბთაგან მტრის ხატი გამოკვეთა მათმა დაუსრულებელმა აგრესიამ, სისხლისღვრამ, ისლამმა, რბევამ და თარეშმა, როგორც ოდესღაც კიმერიელებისა და სკვითების შემოსევამ.

არაბები სძულდათ როგორც ქრისტეს მსახურებს, ისე ფეოდალურ ელიტასა და უტყვ, მორჩილ მასებს.

მუსულმანური აგრესია აღვიძებდა წინააღმდეგობის პათოსს, მებრძოლ და განმახლებელ სულიერ და ფიზიკურ ძალებს.

მტრის ხატი იძლეოდა ენერგიას.

მაგრამ მტრის ხატის გვერდით ჩამოყალიბდა მხსნელის ხატიც. ეს იყო ქრისტიანული ბიზანტია, არაბთაგან შევიწროვებული და დამცრობილი.

ის, რომ ბიზანტიელებიც დამპყრობლები იყვნენ, რომ ლაზიკასა და იბერიაში მეფობა მოსპეს, დავიწყებას მიეცა.

არაბმა მუსულმანებმა გაანადგურეს ირანი და მისი ეროვნული რელიგია – მაზდეანობა, ქართული ელიტაც რომ აღიარებდა, დაამარცხეს ხაზარები.

ერთადერთი იმედი იყო ქრისტიანული ბიზანტია.

ღვთის მსახურები ისედაც განადიდებდნენ ბერძნულ კულტურას, ესწრაფვოდნენ მის ეკლესია-მონასტრებს.

მხსნელის ხატიც იძლეოდა ენერგიას, გადარჩენის რწმენას.

სიძულვილად და სიყვარულად პოლარიზებული ძალები ააქტივებდნენ ეროვნულ და რელიგიურ პათოსს, რასაც მოჰყვა დიდი კულტურული და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის დაწყება.

რომ არა მუსულმანი არაბები, ქართველები ისე დამორჩილდნენ უცხო მმართველობას, სახელმწიფოებრიობის გაუქმებას ლაზიკასა და იბერიაში, შეიძლება მეზობელი ალბანელების მსგავსად კულტურული და დემოგრაფიული ასიმილირების გზით წასულიყვნენ.

გამადიზიანებელი ფაქტორი არ იძლევა თვლემის საშუალებას და ინდიფერენტიზმი იცვლება აგრესიით.

## კირიონ კათალიკოსის შემდეგ

ეროვნულ-რელიგიური თვითშეგნება კირიონ კათალიკოსის შემდეგ, რომელიც საუკუნენახევრით გადაავიწყა ქართველობას მასლამას სიგელმა და მურვან-ყრუს ლაშქრობამ, ახალი ძალით VIII საუკუნიდან გამოვლინდა, გამოვლინდა სხვადასხვა სფეროში – ეს იყო ეკონომიკა, ეკლესიათმშენებლობა, სამთავროების ფორმირება და სწრაფვა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ინტეგრირებისაკენ, საკუთარი მოწამეების წარმოჩენა, დაუცხრომელი მთარგმნელობითი მუშაობა.

ქრისტეს რწმენა, ბაგრატიონების, წმ. ნინოს, წმ. გიორგის, წმ. მარიამის, ქართული ენის მადიდებელი მითები იყო ბიზანტიელებთან და სარკინოზებთან ომებში შობილი სიამაყის სააზროვნო ხატები, ინტელექტუალთა წრის განწყობილება.

ბრძოლებითა და ლეგენდებით, მახვილითა და გონით ყალიბდებოდა ნაციონალური იდეოლოგია.

ამ იდეოლოგიას საფუძვლად ედო ქრისტიანულ-ეთნიკური მითოსი. მაგრამ იქმნებოდა არაბულ აგრესიასთან და მუსულმანობასთან დაპირისპირებით, უცხო ძალთა მოსაგერიებლად.

ქრისტეს სახელს განადიდებდა უამრავი ეკლესია-მონასტერი, როგორც აქ, ისე უცხოეთში აგებული ქართველთა თავდადებით, მატერიალური რესურსებით, შრომითა და გარჯით.

ასურელი მამების შემდეგ ქართლის ტერიტორიაზე, კერძოდ – ტაო-კლარჯეთში ბაგრატიონების თანადგომით ახალი და დიდი სამონასტრო მშენებლობა წარმოიწყო გრიგოლ ხანძთელმა, ნერსე ერისმთავრის ცოლის ძმისწულმა, რაც იქცა ქართული მწერლობის მკვიდრ საფუძვლად.

შეიძლება ეროვნულ-რელიგიური თვითშეგნების გაძლიერების სათავეც ბიზანტიაში იყოს, სადაც სომეხ ისავრიელთა დინასტიამ

ააღორძინა გმირული სული და ქვეყნის ინტერესებს დაუმორჩილა როგორც ეკლესია, ისე ბერ-მონაზონთა ინსტიტუტი, რომელიც მორიგ საფრთხედ ექცა ქვეყანას:

ბიზანტიაში დაიწყო ახალი კულტურული აღმავლობა, რაც სინქრონულად აისახა ქართულ აზროვნებაშიც.

VIII საუკუნის დასაწყისისათვის არაბთა მიერ ბიზანტიის ფრთა-შეკვეცილ იმპერიას ჰყოლია 100.000 ბერ-მონაზონი (შდრ – მთელი მრავალსაუკუნოვანი ბიზანტიური კულტურის შემქნელი ყოფილა, რ. ბარამიდის სიტყვით, მხოლოდ 435 პირი, რაც მეტისმეტად მცირე რიცხვია ბერების ლეგიონებთან შეფარდებით).

ამ დროიდან ვრცელდება წმ. გიორგის სახელი.

არაბულ-მუსულმანური საფრთხე აიძულებდა ქრისტიანებს, რომ მოეძებნათ მეომარი გმირები და შეექმნათ საბრძოლო იდეოლოგია.

ლეონ I აფხაზთა მთავრისა და ქართლის მთავრის, მეფედწოდებულის არჩილის ბრძოლა არაბთა წინააღმდეგ, მისი მოწამეობრივი სიკვდილი აფხიზლებდა მასებსა და ელიტას.

მათ მხარს უჭერდა ბიზანტია.

IX საუკუნიდან კონსტანტინეპოლის საეპისკოპოსო კათედრებს შორის აღარ იხსენიება ფაზისის სამიტროპოლიტო, ცხუმისა და ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსოები.

ისინი დაექვემდებარა მცხეთის კათალიკოსს, ქართულ ღვთისმსახურებას.

## იძულებითი სტაბილობა

კულტურისა და პოლიტიკის სამოქმედო ბაზისი ყველა დროში ეკონომიკაა, რომლის მექანიზმი თითქოს ცნობილია. მაგრამ ხელისუფალთა ან ცალკეულ პირთა აქტივობას შედეგი ნაკლებად მოაქვს.

რადაც მცირე მოტივი წარმოქმნის ხოლმე უეცარ სიახლეს, თუმცა ეს რა არის – კარგად არც იცის ვინმემ.



751 წლიდან შეწყდა არაბთა დაპყრობითი ომები. მათ შექმნეს რომის იმპერიის მსგავსი დიდი და ძლიერი სახელმწიფო. ამის შემდეგ დამყარდა დროებითი მშვიდობა. არ იყო ახალი ძლიერი ძალა, რომელიც დაუპირისპირდებოდა არაბებს, რომელთაც დაპყრობილ ქვეყნებში გაავრცელეს ისლამი.

ძალამ უზრუნველყო სტაბილურობა.

მხოლოდ ლოკალური კონფლიქტები თუ არღვევდნენ წონასწორობას. ასეთი გარემოება, ერთიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური სივრცე იძლეოდა საშუალებას ვაჭრობისა და გამოცდილებათა გაზიარებისათვის, ცალკეული დარგების გაჩენისა და აღმავლობისათვის.

შემდეგ კი სტიმულს იძლეოდა ამ ერთიანობის რღვევა და ცალკეულ ეთნიკურ ერთეულთა სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ.

ეკონომიკური აღმავლობის ტალღა შეეხო ქართულ მოსახლეობასა და ტერიტორიებსაც. აშენდა ზღუდიანი და უზღუდო ქალაქები.

კავკასიაში დარუბანდის შემდეგი ტფილისი და ბარდავი ყოფილა დიდი ქალაქები.

IX საუკუნიდან ქართლში შემოდის რკინის დიდი გუთანის, ნაცვლად ხის სახნისის – ერქვანისა. დიდ გუთანს უბამდნენ რვა უღელ ხარს. იგი ღრმად ჩადიოდა ნიადაგში და მიწას კარგად ამუშავებდა, თუნდაც ქვიანი და ხე-კორძიანი ყოფილიყო.

ასეთი გუთანის მეშვეობით დაიწყო ახალი ან გამოუყენებელი სავარგულების ათვისება, რაც ზრდიდა პროდუქტიულობას, ავითარებდა სოფლის მეურნეობას, მესაქონლეობას, მებადეობას, მევენახეობას (მ. ლორთქიფანიძე).

სიტყვა გუთანი ქართულიდან შესულა კავკასიის ხალხთა ენებში (ჰრ. აჭარიანი). სულხან-საბას განმარტებით კი სომხური სიტყვაა.

ამ დროს ვრცელდება ბრინჯი და მუხუდო.

VIII საუკუნიდან ტფილისის ამირები თავიან ფულს ჭრიდნენ. შემდეგ დავით კურაპალატმა განაახლა ქართული მონეტა.

საგარეო ვაჭრობის ცენტრი გახდა არტანუჯი. შემოდის სხვა ქვეყნების პროდუქცია – ბაღდადიდან, სომხეთიდან, ბიზანტიიდან.

ეკონომიკური გააქტივება აჩქარებდა საზოგადოების სოციალურ დიფერენცირებასაც გლეხებად და აზნაურებად.

არაბები ნელ-ნელა სტოვებდნენ ქვეყანას. რჩებოდა მხოლოდ ტფილისის ემირატი, რომელიც განუდგა ხალიფას და მის დასასჯელად მოეწყო რამდენიმე დიდი ლაშქრობა ქართლში: ბულა თურქისა (853 წ.) და აბულ კასიმისა (914 წ.), რასაც მოჰყვა სომხეთისა და ქართლ-კახეთის აოხრება.

### ანტიმუსულმანური პათოსი

არაბებმა ქართლში დატოვეს კათალიკოსი, ერისმთავარი და ერისთავები. ადგილობრივთაგან შედგენილი ხელისუფლება ემორჩილებოდა ამირას, რომელიც იყო მმართველი, სარდალი და მსაჯული.

ერისმთავარს არ შეეძლო ერისთავების შეცვლა, მემკვიდრეობითობის ხელყოფა.

ჩამოყალიბდა ერთგვარი ფედერაცია, რომელიც ემორჩილებოდა უცხო ძალას და ეს უცხო ძალა იცავდა წონასწორობასაც, რათა ერთი კუთხე მეორეს ან ერისმთავარი ერისთავებს არ წაკიდებოდა (შდრ – სსრკ-ის „თავისუფალ ერთა მძლე კავშირის“ მოდელი).

ეს განსაზღვრული იყო მასლამას „დაცვის სიგელით“.

თუ გადაიხდიდნენ სამხედრო ბეგარასა და ჯიზიას (კომლზე ერთი დინარი), თუ მუსულმანებს საერთო უფლებები ექნებოდათ, მაშინ არაბები კისრულობდნენ ქვეყნის მტერთაგან დაცვას.

მაგრამ ისინი მუდმივად ომში იყვნენ გახვეული და სამხედრო ბეგარის ტვირთი მიძიმდებოდა.

უცხო ძალთა აგრესია აღვიძებდა თავისუფლებისკენ სწრაფვის იმპულსებს.

რამდენიმე ფაქტმა შესძრა ელიტა: ერთი იყო დავითისა და კონსტანტინეს წამება, მეორე – არჩილის სიკვდილით დასჯა, მესამე – არჩილის ასულის, ჯუანშერისა და იოანეს დის შუშანის ისტორია.

ხაზარები დროდადრო იჭრებოდნენ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე და ტფილისი კიდევ ერთხელ დაუკავებიათ.

ხაზართა ხაკანს უნდოდა ცოლად შეერთო შუშანი. უარი რომ მიიღო, თავის სარდალ ბლუჩანს მოატაცებინა ასული. მაგრამ გზაში შუშანმა თავი მოიწამლა, არ ინდომა წარმართების ქვეყანაში დედოფლობა („არიან ხაზარნი კაც ველურ, საშინელ პირითა, მხეცის ბუნება, სისხლის მჭამელ“, – გვეუბნება იოვანე საბანისძე).

ბლუჩანს თავი წააწყვიტეს (შდრ – ვ. ბარნოვის „ხაზართა სასძლო“).

ასეთმა ფაქტებმა გაამძაფრა ინტერესი სარკინოზი ჰაბოს მოქცევისა და წამებისადმი.

ასეთი მაგალითებით იწყება დაცემული ეროვნული თვითშეგნების აღზევება.

მურვან-ყრუს მიერ წელგატეხილ ქართველობას სიმტკიცე უნდა გამოეჩინა.

ქართლის კათალიკოსმა სამოელმა წერილობით სთხოვა იოვანე საბანისძეს, საღმრთო წიგნების მცოდნეს, რომ აღეწერა არაბი ჭაბუკის მოწამეობრივი სიკვდილის ამბავი, რათა ეკლესიაში მუდმივად ყოფილიყო მისი ხსენება.

ალბათ იოვანე საბანისძის ნაციონალური მრწამსი პასუხობდა კათალიკოსისა და საერო-სასულიერო წრეების ინტერესებს, თორემ შემოიფარგლებოდა მუსულმანის გაქრისტიანება-წამების ისტორიით.

17-18 წლის სარკინოზი, მუსულმანი ჰაბო ბაღდადიდან იყო, მწიგნობარი და ნელსაცხებელთა დამამზადებელი.

უმსახურია ნერსე ერისთავთან, ტფილისში მიუღია ქრისტეს სჯული. შემდეგ დევნილ ნერსეს ხლებია ხაზარეთსა და აფხაზეთში.

ქართლში რომ ჩამოვიდა, ამირასთან დააბეზღეს, რადგან გამოძვევად იქცეოდა. ერთხელ გამოუშვეს, მაგრამ ახალ ამირასთან კვლავ

რომ შეასმინეს და მტკიცედ დადგა ახალ რწმენაზე – სიკვდილით დასაჯეს.

გვამს ნავთი გადაასხეს, დაწვეს და ფერფლი მტკვარში ჩაყარეს. ეს მოხდა 786 წლის 6 იანვარს – ქრისტეს ნათლისღების დღეს.

იოვანეს ჰაბოს წამების ტექსტი დაუწერია 786-790 წლებში ანუ სამოელის კათალიკოსობის დროს (780-790 წწ.).

იოვანე ავლენს ღრმა ქრისტიანულ განსწავლას, იშველიებს ციტატებს ბიბლიდან, აღწერს როგორც რეალურ სურათებს, ისე მორწმუნის თვალთ დანახულ სასწაულებს.

იგი განიცდის ქვეყნის მძიმე მდგომარეობას და ამ ვითარების გამომხატველი ცალკეული ფრაზები აფორიზმებად იქცა და დამკვიდრდა მწიგნობართა მეხსიერებაში:

„აღვერიენით ერსა უცხოსა, სარწმუნოებისა ჩვენისა მაგინებელსა“, „შიშითა განილევინ და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“, „იგი მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკვდარსა, ეგრე ხედვიდა თვისსა მას გვამსა“, „შერყეულნი განმტკიცდებოდნენ, განმტკიცებულნი გამხიარულდებოდნენ“.

ტექსტი დაწერილია მწიგნობრული სტილით, საეკლესიო ტრადიციისა და ტერმინოლოგიის დაცვით, წმინდა წიგნების (მაგ., ვსალმუნთა) მოხმობით, ქრისტიანულ სიმბოლოთა ახსნით (მაგ., კარ, გზა, ტარიგ, მარგალიტ), სასწაულების ჩვენებით, რათა დაგვარწმუნოს, რომ ქრისტე უპირატესია მაჰმადზე, რომ თუ სარკინოზი ჰაბო უყოყმანოდ სწირავს სიცოცხლეს ჩვენი უფლისათვის, ჩვენ უფრო გვმართებს დავიცვათ იესოს რწმენა.

მუსულმან არაბთა წინააღმდეგ ასეთივე პატრიოტიკაა გამოხატული „კოსტანტი კარის მარტვილობასა“ (IX ს.) და სტეფანე მტბევარის „გობრონის მარტვილობაში“ (X ს.). ითარგმნება ანტიმუსულმანური სტატიებიც, რომლებიც შესულია „დოგმატიკონში“.

მოგვიანებით, XII საუკუნეში, გაიხსენეს მურვან-ყრუს მიერ წამებული არგვეთის მთავრებიც – დავით და კონსტანტინე, თუმცა შეი-

ძლება მოღწეული ტექსტი იყოს მეტაფრასტი და კიმენი ადრევე დაეწეროთ.

ამრიგად, VIII საუკუნის მიწურულიდან ჩნდება წინააღმდეგობის გრძნობა მუსულმან არაბთა მიმართ. იგი გამოიხატა ეკლესიისა და ბერ-მონაზონთა ანუ ინტელექტუალთა წრეში და დასურათებულ იქნა მოწამეობრივი სიკვდილის მაგალითებით, ქრისტეს რჯულის ჭეშმარიტებითა და უპირატესობით.

ასეთი პათოსი გადადიოდა ხელისუფალთა მოქმედებაშიც, რომლის მედროშენი გახდნენ ბაგრატიონები.

### **ბაგრატიონთა ღვთაებრივი დინასტია**

ბაგრატიონთა დინასტია, რომელიც ათასი წლის მანძილზე განაგებდა გაერთიანებულ საქართველოს სამეფოს, ქართლის, კახეთის, იმერეთის, ტაო-კლარჯეთის სამეფო-სამთავროებს, სათავეს იღებს აშოტ კურაპალატისაგან.

იგი ქართლის ერისმთავარი ყოფილა 800-809 წლებში, სტეფანოზ IV-ის ბიძა, რომელმაც შეცვალა ნერსე II – არაბთაგან დევნილი ჯერ ხაზარეთსა და შემდეგ აფხაზეთში.

პ. ინგოროყვას აზრით, ქართლის ერისმთავრები იყვნენ ბაგრატიონები („გიორგი მერჩულე“), ბაგრატიონები კი – ფარნავაზიანები.

VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო მღელვარება ქართლ-კახეთში. ხალიფა არ-რაშიდმა (786-809) ქართლიდან გაიწვია პატრიკოსები და სეფეწულები და ყველა დახოცა.

რაშიდის სიკვდილის შემდეგ ხალიფატი ანარქიამ მოიცვა. ამ სიტუაციით ისარგებლა აშოტმა, ქართლი გააერთიანა და ბარდავიც კი შემოიერთა. მაგრამ 813 წელს ხალიფა გახდა მამუნი. სარკინოზები გაძლიერდნენ და ნერსეს მსგავსად აშოტიც გაიქცა ქართლიდან.

აშოტი გადავიდა შავშეთ-კლარჯეთში, „კლდოვან“ მხარეში, მცირე მხედრობით. ეს ადგილი მთებით იყო შემოზღუდული, მურმან-ყრუს

ლაშქრობის შემდეგ – გაუკაცრიელებული და გაუდაბურებული, როგორც ვთქვით.

მიტოვებული ტაძრები და გზები ტყესა და ეკალ-ბარდს დაეფარა.

სამი საეპისკოპოსოდან დარჩენილა მხოლოდ ერთი – ანჩი.

გრიგოლ ხანძთელი აქ მოსულა აშოტის გამოჩენამდე 30 წლით ადრე, 80-იან წლებში, ალბათ ნერსეს დამარცხების შემდეგ.

მაშინ გრიგოლი 21 წლისა იყო.

აშოტმა ზოგი მიწა შეისყიდა, ზოგი – განაახლა. განაახლა ტყით დაფარული არტანუჯიც.

ამ დროს ხალიფას განუდგა კავკასიის მმართველი ხატიმ იბნ ხარსამი. ახალ ქაოსურ ვითარებაში აშოტმა დაიწყო თავისი მცირე ტერიტორიის გავრცობა. მიიღო როგორც მეფის, ისე ბიზანტიური კურაპალატის ტიტული. იგი იქცა ძლიერ მმართველად, მისი მოკავშირე ყოფილა აფხაზეთის მეფე თეოდოსი I (799-825).

კურაპალატის ტიტული ვასალობას არ ნიშნავდა. იგი მეგობრობის ნიშნად ენიჭებოდა დასავლეთ ევროპის მეფეებსაც.

გიორგი მერჩულე ქართველ მეფეთა ათვლას იწყებს აშოტისგან – „მეფე ნებითა ღმრთისაჲთა“. მეორე ვერსიით ეს ტიტული აღდგა 888 წელს (ივ. ჯავახიშვილი).

ისტორიულად მეფე უფლის ნების აღმსრულებელი იყო, მისი სახელი უზენაეს ძალას უკავშირდებოდა, რათა გავლენა და ავტორიტეტი ჰქონოდა ხალხში. ქრიტიანული ღმერთი კი იყო დაუსაბამო, განუსაზღვრელი, უფალი უფლებათა, მიზეზი მიზეზთა, პირველი და ბოლო, აბსოლუტური სინათლე და სიკეთე, მარადიული სასუფევლის განმრიგე, უხილავი და ყოვლის შემოქმედი, სატანისა და ბოროტების საპირისპირო ძალა.

ამიტომ ჰქონდა ადამიანს ღმერთის შიში, იმედი, სიყვარული. იგი აკონტროლებდა და წარმართავდა მოკვდავის ქცევას, ფიქრებს, მოქმედებას, იცავდა სატანისგან თავის მინდობილს.

ხილულ ქვეყანაზე ღმერთსა და ადამიანს შორის იდგა მეფე.

სასულიერო და საერო იერარქია განამტკიცებდა ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ წესრიგს, კავშირს რეალურსა და მისტიკურს შორის, რაც საყოველთაო ჰარმონიას ნიშნავდა.

ყველა სამეფო დინასტიას სჭირდებოდა ღმერთთან სიახლოვის დასაბუთება. მეფის ღვთაებრივ წარმომავლობას მხარს უჭერდა ეკლესია.

მაგ., ბიზანტიის იმპერიაში IX საუკუნიდან შემოდის მირონცხების წესი, მეფის კურთხევა ეკლესიაში პატრიარქის მიერ, რომელიც გვირგვინს ადგამდა იმპერატორს „სახელითა მამისაჲთა და მისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა“.

პატრიარქის სიტყვას მრევლი ასე პასუხობდა – „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს. დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მწვიდობა და კაცთა შორის სათნობა“.

ბაგრატიონები ამიტომაც უკავშირდნენ თავიანთ გვარს ებრაელთა მეფე დავით წინასწარმეტყველს, რომელიც იესო ქრისტეს ხორციელ წინაპრად მიიჩნეოდა.

დავით მეფემ ცოლი ბერსავია (ბარშეხაყია) წაართვა ჰური ხეთელს. მათი შვილების ნათესავებად თვლიდნენ თავს ბაგრატიონები.

დავითთან და უფალთან აკავშირებს აშოტ კურაპალატს გრიგოლ ხანძთელი.

ეს ლეგენდა, როგორც იბერიელთა ნათქვამი, ასე გადმოსცა იმპერატორმა კონსტანტინე პორფიროგენეტმა (952 წ.):

ორი ძმა – დავითი და სპანდიატი – სიზმარში უფლის ჩვენების მიხედვით წამოვიდნენ და დასახლდნენ ძნელად მისადგომ ადგილს. აქ შეებრძოლნენ სპარსელებს.

დავითის ძე ყოფილა ბაგრატი, რომელიც საწყისს აძლევს ბაგრატიონთა დინასტიას. ამ სახელს ზოგი აკავშირებს სპარსულ ბაგადატთან (ნ. ადონცი), მოვსეს ხორენაცი – ებრაელ შამბატ ბაგარატთან.

სპანდიატს შვილი არ ჰყოლია (სპანდიატი – ირანული ეპოსის გმირი ისპანდიატი). ლეონტი მროველის მიხედვით მისი ძე ყოფილა ბარამი.

მოვსეს ხორენაცი წერს ბაგრატიონთა არა სომხურ ან ქართულ, არამედ – ჰურთასტანულ წარმომავლობაზე, რაც უნდა იყოს არიან – ქართლიდან გადმოსახლების ვარიაცია (პ. ინგოროყვა).

ლეგენდას სჭირდებოდა მეფის ღვთაებრიობის ასევე ლეგენდური ჩვენება.

დავით მეფე კი ღმერთისაგან იყო მეფედ მირონცხებული და ბიბლიის მიხედვით მისგან იწყებდნენ ქრისტეს გენეალოგიას.

ჩამოყალიბდა იესიან-დავითიან-სოლომონიან ბაგრატიონთა ლეგენდა. ოპიზის აშოტ-ქრისტე-დავითის ბარელიეფი გამოხატავს ამ იდეას (818 წ.): ცენტრში გამოსახულია ქრისტე, მარცხნივ – აშოტი, მარჯვნივ დავით წინასწარმეტყველი.

სუმბატ დავითის ძე ბაგრატიონთა გენეალოგიას უკავშირებს ებრაელთა მეფე სოლომონს, რომლის შვიდი ძე წამოსულა კავკასიისაკენ, სამი სომხეთში დარჩენილა, ოთხი კი ქართლსა და კახეთში დამკვიდრებულა.

XI-XII საუკუნეებში ითხზვება ახალი ლეგენდა, რომ ბაგრატიონები იყვნენ ფარნავაზიანთა სახლიდანაც: აქედან გამომდინარე პ. ინგოროყვა მიიჩნევს, რომ ქართლის ბაგრატიონები იყვნენ პიტიახშები, იგივე ფარნავაზიანები.

რეალურად კი ბაგრატიონთა ძირი ყოფილა კლარჯეთში, რაც ქრისტემდე კოლხების პროვინცია იყო (კოლ-არ-ჯ-ი), უფრო კონკრეტულად – სპერიდან.

ამიტომ ნ. მარი ბაგრატიონებს ლაზებად მიიჩნევდა. ასევე თვლიდა ე. თაყაიშვილი. კ. გამსახურდია გიორგი I-ს ათქმევინებს, რომ იგი ლაზია („დიდოსტატის მარჯვენა“).

სპერი ყოფილა სამ ნაწილად გაყოფილი – ჭანთა, იბერიელთა და სომეხთა.



ბაგრატიონებიდან წამოვიდა ორი შტო – ქართველთა და სომეხთა. სომეხი ბაგრატიონები ჩანან ძვ. წ. II საუკუნიდან.

მაგ., სარდალი სმბატი (ახ. წ. I ს.), სომხეთის მარზპანი საჰაკ ბაგრატიონი (V ს.), ჰირკანიის მარზპანი სმბატ ბაგრატიონი (VII ს-ის დასაწყისი).

VIII საუკუნიდან ისევ ძლიერდებიან სომხები: ისინი იკავებენ ბიზანტიის ტახტს (ისავრიელთა გვარი).

IX საუკუნიდან სომხეთში მკვიდრდება ბაგრატიონების სამეფო დინასტია (პირველი ბაგრატიონი მეფე აშოტი).

ქართველი ბაგრატიონების ერთი შტო VIII საუკუნეში, არჩილის მმართველობის დროს, გადასულა კახეთ-ჰერეთში.

მეორე შტო დარჩენილა ჭოროხის ხეობაში.

აშოტის მიერ დაფუძნებულ „ქართველთა სამეფოს“ ანუ ტაო-კლარჯეთის ცენტრი იყო ჯერ არტანუჯი, შემდეგ – ბანა.

გიორგი მერჩულის სიტყვით, „განემტკიცა მეფობა აშოტისა ნებოთა ბერძენთა მეფისაჲთა“ ანუ ბიზანტიის იმპერატორის დახმარებით არაბთა საპირისპიროდ.

გავერანებული მიწების ათვისება, ეკონომიკური აღმავლობა, ეროვნული შეგნების ამაღლება დაიწყო მაშინ, როცა „მოუძღურდნენ“ როგორც სარკინოზები, ისე ბიზანტიელები.

ამ პროცესს მოჰყვა სამეფო-სამთავრობის გაძლიერება.

პ. ინგოროყვას მტკიცებით, აშოტის ქართველთა სამეფოში შედიოდა – შავშეთ-კლარჯეთი, ნიგალი, აჭარა, ტაო, სპერი, სამცხე-ჯავახეთი, არტანი, ქართლი ქსნის ხეობამდე და ტფილისამდე, ტაშირი, თრიალეთი, აშოცი, გარდაბანი.

აღმოსავლეთით საზღვარი აღწევდა ბარდავამდე (ალბანური პარტავი).

აშოტ კურაპალატი დალატით მოკლეს მისივე აგებულ ტაძარში 826 წელს (კ. კეკელიძის აზრით, 836 წელს).

დარჩა სამი მცირეწლოვანი ვაჟი – ადარნერსე, ბაგრატი, გვარამი.

გიორგი მერჩულეც იმეორებს ბაგრატიონთა დავით წინასწარ-მეტყველთან ნათესაობის ლეგენდას და აშოტს უწოდებს ძლიერსა და დიდებულს, ღმერთის მსახურსა და ეკლესიის სიმტკიცეს.

აშოტის სიკვდილის შემდეგ დაიკარგა შემოერთებული მიწები, გარდა არტანუჯის მხარისა. ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყოთ.

გარეგნობა, გარეგნული ბრწყინვალება (მაგ., ბიზანტიელ იმპერატორთა ხავერდის ძოწისფერი გრძელი მოსასხამი – პორფირი, სკიპტრა და გვირგვინი), აღზრდა და ეტიკეტი, სასახლე და ლაშქარი, ძალაუფლება და ქონება მეფეს გამოარჩევდა დიდებულთაგან, დიდებულებს – მასისაგან.

პატივისცემას, კრძალვასა და შიშს განამტკიცებდა ზებუნებრივი ჩამომავლობა, იერარქიული მორჩილება, რაინდული ეთიკა.

მიუხედავად ამისა, მრავალი მეფე დაუმხიათ და მოუკლავთ ქვეშევრდომებს (მაგ., რომის იმპერიაში).

საქართველოში ასეთი რამ იშვიათად მომხდარა. ცალკეულ პირთა ღალატი და აგრესია არ ვრცელდებოდა დინასტიის ბედზე.

ბაგრატიონების დინასტია ხელუხლებელი რჩებოდა. მას აღიარებდნენ და სცნობდნენ ოსმალებიცა და სპარსელებიც, გარდა რუსებისა.

სეპარატისტი კუთხეები სამეფოებად ცხადდებოდა მხოლოდ მაშინ თუ სათავეში ედგა ბაგრატიონი (იმერეთი, კახეთი). მაგ., სამცხის ათაბაგი მეფედ არ იწოდებოდა, ისევე როგორც ბაღვაშები, გურიელები ან დადიანები.

უკანასკნელი მეფე-ბაგრატიონი სოლომონ მეორე, ერეკლეს შვილიშვილი, აღესრულა ლტოლვილობაში, ტრაპიზონში 1815 წელს, აშოტის დალუპვიდან ათასი წლის შემდეგ.

ბიზანტიური სახელმწიფოს მართვის მოდელი მიიღო და ბოლომდე შეინარჩუნა ბაგრატიონთა დინასტიამ.

იგი მათ გადმოეცათ წინამორბედი მმართველებისაგან, როგორც იერარქიული სისტემა და სოციალური სტრუქტურა.

## კაბადოკიელი წმ. გიორგი

ქართული ეკლესია იცნობდა მრავალ ბიზანტიელ წმინდანს, მოწამესა და მოღვაწეს, მათ ცხოვრებაზე დაწერილ ტექსტებს. მაგრამ არავინ ყოფილა უფრო პოპულარული, ვიდრე წმინდა გიორგი, არა მხოლოდ სასულიერო იერარქიაში, არამედ – საერო პირთა შორისაც.

წმ. გიორგი ფოლკლორის პერსონაჟადაც იქცა, ღვთაებრიობის ნიშნით შეიმოსა და ხალხის წარმოდგენაში ქრისტეს გვერდით დადგა.

წმ. გიორგი ასევე პოპულარულია სხვა ქვეყნებშიც. მაგ., იგი ითვლებოდა მოსკოვის მფარველად.

მას აღიარებდა ქრისტიანობის ყველა მიმართულება. ამიტომ ყველა ქვეყანაში სახელი გიორგი ენობრივი ნიუანსების შესაბამისად შეიცვალა (მაგ., სლავურში – ეგორი და იური, გერმანულში – გეორგი, ფრანგულში – ჟორჟი, ესპანეთში – ხორხე, ინგლისურში – ჯორჯი, სვანურში – ჯგრაგ, მეგრულში – ჯეგე).

წმ. გიორგის ხსენების დღე იყო 23 აპრილს, რომელსაც აღნიშნავს ყველა ქრისტიანული ეკლესია.

23 აპრილი იყო მისი წამებისა და მოკვდინების დღე.

ხალხის რწმენით, საქართველოში აუშენებიათ 365 ტაძარი წმ. გიორგის სახელზე (შდრ – აკაკი წერეთელი: „რისხოს წმინდა გიორგიმ სამას სამოცდახუთმა“).

წმ. გიორგის დღესასწაული ხალხშიც გადავიდა, უფრო სწორად – წარმართული მოინათლა ამ მოწამის სახელით, მისი სახელი დაერქვა. მაგ., ლაშარის ჯვარი, ლომისის ჯვარი, თეთრი გიორგი, გიორგობა, გუდანის ჯვარი, ხახმატის ჯვარი, გერისთობა, არბოობა (ე. გაბიძაშვილი).

იგი წინ მიუძღოდა ქართველთა ლაშქარს და გამარჯვების რწმენით აღავსებდა მეომრებს.

შეჯავშნული, ფარ-ხმლიანი, ცხენოსანი წმ. გიორგი შუბით გმირავს ქრისტიანთა მოძულე იმპერატორ დიოკლეტIANეს. მაგ., ნიკორწ-

მინდის რელიეფზე წმ. გიორგი კლავს დიოკლეტიანეს, ხოლო გველემშაპს – წმ. თევდორე.

ასლან გვაზავაისძის ვერცხლის ჭედურ ხატზეც წმ. გიორგი შუბით კლავს ძირს გართხმულ დიოკლეტიანეს (XI ს., სვანეთი, ნაკიფარის ეკლესია).

მოგვიანებით დიოკლეტიანეს ადგილი დაიკავა დრაკონმა (გველემშაპმა).

წმ. გიორგის სახელი ჩნდება V-VI საუკუნეებიდან. მაგრამ ქართულ ეკლესიაში მისი ხსენება ძლიერდება და მკვიდრდება IX საუკუნიდან. ითარგმნა მისი ცხოვრების ტექსტები, კიმენური, მეტაფრასული და სვინაქსარული რედაქციები, ჰომილიები, დაიწერა ორიგინალური საგალობლები (მაგ., იოანე მინჩხისა) და სასწაულები (მაგ., აბუსერისძე ტბელისა).

სპეციალისტები ავლებენ პარალელს მითრასა და წმ. გიორგის შორის:

მითრა, როგორც ვთქვით, რომის იმპერიაში ისევე იყო პოპულარული, როგორც ქრისტე, მათ შორის – იმპერატორ კონსტანტინეს ოჯახში.

ასკეტი და მეომარი მითრას პატივსაცემად შენდებოდა ტაძრები – მითრეუმები, აღუვლენდნენ ლოცვებს, სწირავდნენ ხარს.

მითრაისტული და ქრისტიანული მისტერიები ერთმანეთს ჰგავდა. მაგ., ორივენი ქალწულმა შვა გამოქვაბულში, ისევე როგორც ოსირისი, აპოლონი, თამუზი, ატისი. ისინიც 25 დეკემბერს დაიბადნენ, როცა დღე იწყებს მატებას ანუ უკავშირდებიან მზის მოქცევას (ვ. კეკელიძე).

ღორი მითრას წმინდა ცხოველი იყო – შობა დღეს ქრისტიანები ღორის დაკვლით აღნიშნავდნენ.

მითრეუმებში ტარდებოდა ლოცვები და გალობები.

როგორც ეკლესიაში ჯვარი და გარდამოხსნა, ისე ედგათ მითრას ქანდაკება.

როგორც ქრისტიანობას 7 საიდუმლო, ისე ჰქონდათ მითრასტებს 7 ცხების საფეხური. მითრაც მწყემსად იწოდება.

ცად ამაღლებული მითრაც მეორედ უნდა მოსულიყო.

მითრას მსგავსად თეთრცხენოსანია წმ. გიორგი.

ხარისმკვლეელი მითრა, რომლის ატრიბუტებია მთვარე და ვარსკვლავი, ჯერ გახდა „თრაკიელი მხედარი“, შემდეგ – მთავარმოწამე გიორგი, ხარი – ჯერ დიოკლეთიანე, შემდეგ – გველეშაპი (დრაკონი) ანუ მოხდა მთელს რომის იმპერიაში გავრცელებული აზიური ღმერთის ქრისტიანიზება.

დრაკონის მოკვლის ხატი ანათებს ეკლესიის კედლებიდან, გადადის იკონოგრაფიაში, ონომასტიკაში, ზეპირსიტყვიერებაში.

გიორგი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელია საქართველოში. ერთიანი საქართველოს 12 მეფეს ჰქვია გიორგი. ამ მხრივ მას ვერც დავითი შეედრება, ვერც ვახტანგი.

ქრისტიანობამ ძალადობა შეცვალა მორჩილებით, სისხლი – ლოცვით, სისხლიანი მსხვერპლშეწირვა – უსისხლო ევქარისტიით.

ქრისტიანი წმინდანები ეწირებოდნენ თავიანთ რწმენას, ეწამებოდნენ უდრტვინველად. მაგრამ არ ცდილობდნენ, რომ ემოქმედათ ძველი აღთქმის პრინციპით – სისხლი სისხლისა წილ, კბილი კბილისა წილ, რომ კაცის ცემით მკვლეელი თავადაც უნდა მოკვდეს (გამოსვლა, თ. 21, მ.12).

ბოროტებას კი სჭირდებოდა დათრგუნვა და მოსპობა, არა სიტყვით ან ლოცვით შეჩერება.

ქრისტიანები აურაცხელმა მსხვერპლმა, ძალადობამ, ძალმომრეობამ, შინა და გარე მტრების აგრესიამ და სისასტიკემ დაარწმუნა, რომ საჭირო იყო ბოროტების წინააღმდეგ მახვილით მეზრძოლი გმირი, ვინც მეომარს აღანთებდა, ქვეყანას დაიცავდა, ჯარს გამარჯვებას მოაპოვებინებდა და ზეციურ იერარქიას უკავშირდებოდა.

ასეთ სახელად იქცა წმ. გიორგი, რეალურად არსებული მხედართ-  
უფროსი, ვინც ქრისტიანობის გამო ურმის თვალზე აწამა იმპერატორ-  
მა დიოკლეტეანემ.

წმ. გიორგის სახელს შეერწყა მრავალი სასწაული. მაგრამ მას პო-  
პულარობა მოუტანა დრაკონის განგმირვამ, როცა იხსნა განწირული  
ასული.

აღსანიშნავია, რომ ეს სასწაული ძველ სასწაულებს მიემატა მხო-  
ლოდ XII-XIII საუკუნეებში. ფიქრობენ, რომ იგი VIII საუკუნიდან  
აპოკრიფულად თუ ფოლკლორულად უნდა არსებულიყო.

დრაკონის დამხობა ყველაზე ნაკლები სიხშირითაა წარმოდგენი-  
ლი წმ. გიორგის ნარატიულ ტექსტებში, თითქოს არც იყო არსებითი.

შეიძლება ეკლესია ერიდებოდა სისხლისა და ბრძოლის პროპაგან-  
დას. მაგრამ ხალხს ვერ წარმოედგინა მხოლოდ მისტიკური, უსისხლო  
მეომარი, მფარველი და ბოროტების ლოცვით მძლეველი.

ეკლესია ყურადღებას ამახვილებდა სასწაულებზე, ქრისტესადმი  
თავდადებასა და წამების ფაქტებზე, მაგრამ შემდეგ ბრძოლის იკონო-  
გრამებმა დაჩრდილა სტატიკური წმინდანები.

X საუკუნიდან საქართველოში ძლიერდება ინტერესი წმ. მხედარ-  
თა მარტვილობისადმი, რაც შეესაბამებოდა კუთხე-სამთავროთა სა-  
ომარ სულისკვეთებას (შდრ – წმ. გიორგი კ. გამსახურდიას პროზაში).

იგი მხსნელად წარმოედგინათ. მაგ., გიორგი ათონელი ადიდე-  
ბულმა მდინარემ გაიტაცა და სიკვდილს გადაარჩინა ვიღაც თეთრ-  
ცხენოსანმა ჭაბუკმა. ეს მთავარმოწამე გიორგი იყო, ამბობდა შემდეგ  
იგი.

ქრისტიანი გმირი, მხედარი და მეომარი, გაუტეხელი და მტერთა  
მძლეველი სჭირდებოდა მასასა და ელიტას, რიგით მეომარს თუ  
მეფე-სარდალს, რათა საბრძოლო ცეცხლი და სიშმაგე მოექციათ რე-  
ლიგიურ რკალში, არ ყოფილიყო ომი მხოლოდ ბარბაროსული ენერ-  
გიის აფეთქება.

## კაბადოკიელი წმ. ნინო

ქართველთა (იბერიელთა) გაქრისტიანების შესახებ არსებობდა ორი ლეგენდა – ერთის თანახმად, როგორც ვწერდით, გელასი კესარიელი და რუფინუსი ქართლის მოქცევას უკავშირებდნენ ვილაც ტყვე ქალსა და საბერძნეთიდან მოწვეულ სამღვდელო პირებს; მეორე გრიგოლ განმანათლებელს სცნობდა, როგორც აღნიშნავდა აგათანგელოსი.

ეს ორი ლეგენდა გააერთიანა მოვსეს ხორენაცმა (V თუ VIII ს.).

მაგრამ ნუნე დავიწყებას მიეცა და გაბატონდა გრიგოლ განმათლებლის სახელი (239-326). შემდეგაც, როცა განიყო ქართული და სომხური ეკლესიები, ერთხანს ეს ტრადიცია მაინც ბატონობდა.

კათალიკოსი არსენ საფარელიც კი, როცა წერდა ნაშრომს „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“, ისევე გრიგოლს ახსენებდა.

ეკლესიური დაპირისპირება როცა კიდევ უფრო გამძაფრდა, როცა დიოფიზიტები და მონოფიზიტები ერთმანეთს დაუნდობლად შეებრძოლნენ, უხერხული იყო, რომ ქართველებს დაეცვათ ძველი ტრადიცია და მონოფიზიტ სომეხთა განმანათლებლის სახელი ედიდებინათ. ეს ვერსია სომეხებმაც უარყვეს.

კ. კეკელიძის აზრით, ამ თვალსაზრისით დაიწერა ანონიმი ავტორის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელიც შეტანილია შატბერდის კრებულში (973-976). იგი უპირისპირდება აგათანგელოსის „სომეხთა მოქცევის ისტორიას“.

მეორე მხრივ – ამ დროს ბიზანტიამ წამოსწია ანდრია პირველწოდებულის სახელი, რომელსაც უქადაგნია „სოფელსა მეგრელთასა“ და „ქვეყანასა ქართლისასა“, რათა აღედგინათ არაბთაგან წართმეული უფლებები ქართველთა მხარეში.

ბერძნები ამტკიცებდნენ, რომ ბიზანტიის საეპისკოპოსო კათედრა დააარსა ანდრია პირველწოდებულმა (ექვთიმე მთაწმინდელს უთარგმნია ნიკიტა პაფლაგონელის „მიმოსვლა ანდრია მოციქულისა“). ამიტომ მისი ნეშტი იმპერატორმა კონსტანტიმ დედაქალაქში გადაასვენა.

გრიგოლ პართელსა და ანდრია მოციქულს ქართველებმა დაუპირისპირეს მისიონერი ნინო, ბიზანტიური და სომხური ვერსიები შეცვალეს ქართულით.

„მოქცევამ ქართლისად“ შედგება ორი ნაწილისაგან – პირველია იბერიის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, მეორე – „ცხოვრებად წმიდისა ნინოდსი“, რომლის მეორე ვარიანტია ჭელიშური ხელნაწერი.

ნაციონალიზების პროცესში ქართველებს დასჭირდათ ძველი ცნობების რესტავრირება და ახალი ლეგენდის ფორმირება. ამიტომ ნინოს სახელი გადაიტანეს პატრიოტიკაშიც.

ხაზგასმულია, რომ ნინო მოდის იერუსალიმიდან და არა კონსტანტინეპოლიდან, რომ იგი კაბადოკიელია და არა ბერძენი, რომ ქართლში მოუტანია წმინდა რელიქვიები – „მელი ცხორებისა“, „ფერხთა ფიცარნი ქრისტესნი“ და „სამსჭუალნი“ მისნი, რაც არ გააჩნდათ ბიზანტიელებს.

კაბადოკია კი „არიან ქართლთან“ ასოცირდება.

უცნობი ჰიმნოგრაფი წერს ნინოს საგალობელში:

„ადიდე შენ, ქრისტე, ქართლი

სამითა დიდებითა:

კუართითა მით შენითა,

ხელთა შენთა სამსჭულითა,

ფერხთა შენთა ფიცრითა“.

ასევე ლეგენდურია ნინოს თავგადასავლის ჩაწერა სალომე უყარმელის და პეროჟავრ სივნიელის მიერ სასიკვდილო სარეცელზე მწოლისაგან.

იგივე ითქმის სიდონიაზე, რომელიც ჰყვება იესო ქრისტეს გასამართლების და კვართის ჩამოტანის ამბავს (კ. კეკელიძე).

მრავალი ფაქტი, ისტორიული, ლიტერატურული, აპოკრიფული ავტორს მოციქულთა სწორის ნინოს სახელის გარშემო გაუერთიანებია, რათა საფუძველი დასდებოდა ახალ კულტს ქართულ მღვდელ-



მსახურებაში და საბოლოოდ ჩამოეცილებინათ სომეხი გრიგოლ პართელი, დაევიწყებინათ ანდრია პირველწოდებული.

სულ მალე ნინო გახდა ქრისტეს სძალი, ქართლის ქადაგი, საღმრთო ნათლის ვარკვლავი, კერპების დამამხობელი (მიქაელ მოდრეკილი).

მას ჩვენებაში უფლის ანგელოსმა ჭაბუკის სახით გადასცა მოსეს ათი მცნების მსგავსი „ათი სიტყუა“ – „ქართული დეკალოგი“ (რ. სირაძე).

ნინოს კულტის დაწყებას წინ უსწრებს წმ.გიორგის სახელის დამკვიდრება.

ამ ორი კაზადოკიელის სახელი მტკიცედ მოექცა ქართველთა ცნობიერებაში, რადგან, როგორც ვამბობთ ხოლმე, ლეგენდა უფრო ძლიერია და გამძლე, ვიდრე ისტორია, ვიდრე რეალური ფაქტი.

შემდეგ ნინოს ცხოვრების მეტაფრასული ვარიანტი დაწერა არსენ ბერმა (XII ს.). უფრო ადრე ნინოს ცხოვრება ჩართო ლეონტი მროველმა თავის ქართველ მეფეთა ისტორიაში (XI ს.).

## ღვთისმშობლის კულტი

IX საუკუნიდანვე გავრცელდა ლეგენდა, რომ საქართველო იყო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა:

როცა მოციქულებმა წილი ჰყარეს თუ ვინ რომელ ქვეყანაში წავიდოდა ქრისტეს რწმენის საქადაგებლად, მარიამს ერგო იბერია. მაგრამ ღვთისმშობელმა მალე მიიძინა და აქ გამოემგზავრა მოციქული ანდრია პირველწოდებული.

წმ. მარიამის მისიის გაგრძელება იყო წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ანუ მაინც ქალმა გააქრისტიანა წარმართული იბერია.

ქალის კულტის უძველესი ტრადიცია საქართველოში გრძელდებოდა წმ. მარიამისა და წმ. ნინოს სახელებით.

წმ. მარიამი ღვთისმშობლად გამოცხადდა 431 წლის ეფესოს მესამე მსოფლიო კრებაზე. ამის შემდეგ მის სახელზე აშენდა უამრავი

ეკლესია და მოირთო მისი ხატებითა და პორტრეტებით, დაიწერა უამრავი ტექსტი და აღივსო სიმბოლოებით (შდრ. გალაკტიონ ტაბიძე – „დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ“).

არამეული მარიამი მოდის ებრაული მარიამიდან, რაც ერქვა მოსესა და აარონის დას. ეტიმოლოგიურად ნიშნავს ძლიერსა და მშვენიერს (ს. ავერინცევი).

## მესიანისტური ოცნება და „ქება“

ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური აღმავლობა X საუკუნეში მესიანიზმამდე მისულა. ასეთი ნაციონალიზმი სჭირდებოდა ინტეგრირების ძნელ გზაზე შემდგარ ქართველ ხალხს, რათა ერწმუნა საკუთარი განუმეორებლობა, თავი დაეცვა ქრისტიანულ-ბიზანტიური და არაბულ-ისლამური აგრესიისაგან. ერთიანობის იდეას გამოხატავდა მერჩულის ცნობილი ფორმულა და მთელი თხზულება – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.

პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და ერთიანობას ყოველთვის ამზადებს იდეოლოგია, სიტყვაში კონდენსირებული ენერგია, რომელსაც გამოუჩნდება აღმსრულებელი ლიდერის სახით.

ასეთი ლიდერი იყო მეფე, ზაგრატიონთა სახლი.

სწორედ თვითდადგენისათვის იყო აუცილებელი სომეხთა სარწმუნოებისაგან გამოყოფა, რაც მოასწავებდა პოლიტიკურ გათიშვასაც, თავის დაღწევას სომეხთა ზეგავლენისაგან, ასევე – არაბთაგან დამცრობილი ბიზანტიისადმი მეტოქეობა. ხოლო წმ. გიორგის კულტი იყო საბრძოლო სულის შთაბერვა, რათა ქართველს ერწმუნა, რომ მასაც შეეძლო დრაკონის დამხობა.

მაგრამ საომარ შემართებას, ნაციონალიზმის აზვირთებას საზღვარი არა აქვს. მებრძოლი ობიექტური ვერ იქნება. ობიექტურია მაყურებელი, შორით მზირალი. ამიტომ საკუთარ ძალთა აღმატების პათოსი გამოვლინდა ქართული ენის სადიდებელ ჰიმნში.

ეს არის „ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ“, რომლის ავტორად ბევრს მიაჩნია იოანე ზოსიმე საბაწმინდელ-სინელი, X საუკუნის მოღვაწე, მცირედ მხედველი და ეტრატთა მჩხრეკელი.

ამ ტექსტის მრავალგვარი თეოლოგიური და სიმბოლურ-ალეგორიული ინტერპრეტაცია არსებობს (მაგ., ზვიად გამსახურდიასი).

მაგრამ მთავარი ისაა, რომ დღეს „დამარხული“ ანუ შენახული, გადანახული ქართული ენა აღდგება და ღმერთი ყველას სწორედ ამ ენით განიკითხავს, იმდენად გაბრწყინდება იგი.

ასეთი რწმენა მხოლოდ ერთ ბერს არ ექნებოდა. ჩანს, რომ იგი იყო ელიტარული წრის განწყობილება, რითაც აზრი ეძლეოდა ბრძოლასა და თავგანწირვას. მითუმეტეს, რომ „ყოველი საიდუმლო“ ამ ენაში არის მოქცეული, რომ წმ. ნინო და ბერძენთა დედოფალი ჰელენე (იმპერატორ კონსტანტინეს მეუღლე) დანი, ე.ი. ისევე თანასწორნი არიან, როგორც მარიამ და მართა.

ასეთ ტენდენციას ადრევე უნდა ჰქონოდა საფუძველი. მაგ., როცა ქართველები არ გაჰყვნენ ბიზანტიური ხატთმებრძოლობის კურსს.

„ქებაჲს“ პათოსი მიმართულია დეკადანსის დაძლევიტ მესიანისტური რწმენისაკენ, ალბათ იმიტომაც, რომ ბიზანტიელები არც ახლა სცნობდნენ მცხეთის ეკლესიას, როგორც მცირე სამწყსოს.

## ანტისომხური ტენდენცია

ქართველი ჰაგიოგრაფები სიამაყით აღნიშნავენ, რომ ჩვენი ნეტარნი მამანიც ისევე გამოჩინებული არიან, როგორც პირველმოწამენი.

პარალელურად გაძლიერდა ანტისომხური ტენდენცია:

ქართულად ნათარგმნი ტექსტების უზუსტობა სომხებს ბრალდებოდა, თითქოს მონოფიზიტი სომხები შეგნებულად რყვნიდნენ და ამახინჯებდნენ უზადო და წმინდა ქართულ წიგნებს (ვ. კეკელიძე).

სტეფანე მტბევეარი წერს, სომეხთა მიწა ყოვლითა უკეთურებითა სავსე არისო, მკვიდრნი – ანგარებიანი, მზუაბრი, ცოდვისმოყვარე, ამპარტავანი და უწყალო.

ქრისტე ცუდად მოკვდა მათთვისო (X ს.).

გიორგი ხუცესმონაზონი, გიორგი ათონელის ბიოგრაფი მიიჩნევს, რომ ჩვენ გვქონდა წერილი და სარწმუნოება ჭეშმარიტი. მაგრამ „ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი“ გვაცთუნებდნენო, ჩვენს ქვეყანაში ღვარძლის მსგავსად დათესილნი, რადგან ჩვენი ნათესავი „წრფელ იყო და უმანკო“ და ფრიად გვაზიანებდნენო (XI ს.).

ქართველებს ღვთისმსახურებაშიც შეუტანიათ კორექტივი:

დაწესდა ქართველ წმინდანთა ხსენების დღეები. ცვლილებები შეუტანიათ კალენდრებსა (იოანე ზოსიმე) და ლექციონარ-კანონებშიც (იერუსალიმის განჩინება).

ზოგი ცნობილი დღესასწაული (მაგ., ჯვარისა) გაუქართველებიათ.

10 ნოემბერს დაუწესეს წმ. გიორგის დღესასწაული, შეუცვლიათ სახარების საკითხავები, ფსალმუნთა განყოფის კანონი, დაუმუშავებიათ ქართული წელთაღრიცხვის სისტემა (იოანე ზოსიმე) – ქორონიკონი; პარაკლიტონი (ოკტოიხოსი), თთუენი (იადგარი), მარხვანი და ზატიკი შეუვსიათ ქართული მასალით: ნათარგმნთან ერთად შეუტანიათ ქართველი ავტორების ჰიმნები (ვ. კეკელიძე).

ამავდროულად ტაო-კლარჯელი ქალკედონიტი სომხები თარგმნიან ქართულიდან სომხურად და სომხურიდან ქართულად, რაც კულტურული ასიმილირების პროცესი იყო (ილია აბულაძე).

ქართველთა დაპირისპირება ეხებოდა ანტიქალკედონისტ სომხებს, მონოფიზიტურ ეკლესიას. სომხებიც ასევე შეურიგებელი იყვნენ. მაგ., კათალიკოსი ვაჰანი (965-970) გადააყენეს და გააძევეს იმის გამო, რომ ეკლესიებს ამკობდა დიოფიზიტური ქართლიდან შეტანილი ხატებითა და კანკელებით.

პრაქტიკულადაც დაიწყო მკვეთრი ნაციონალიზების პროცესი, სომხური ელემენტებისაგან გაწმენდა, გასომხებულ ქართველთა მოქცევა მშობლიურ წიაღში, ტაო-კლარჯეთის ათვისება და ქართული კულტურის ცენტრად ქცევა აშოტ კურაპალატის და გრიგოლ ხანძთელის მიერ.

მკვიდრდება ტერმინები – ქართული სახარება, ქართული დავით-ნი, ქართული კანონი (კ. კეკელიძე), მზადდება ახალი თარგმანები, გადამწერები ცდილობენ ძველი ტექსტების ხელახალ რედაქტირებას, რათა მოესპოთ სომხური, ე. ი. მონოფიზიტური კვალი.

შეიქმნა უზარმაზარი, მთელი წლის საღვთისმსახურო წიგნების ორიგინალური კრებულები გულანი და ჟამნგულანი. გულანი ჰქონდათ გამორჩეულ მონასტრებს, სიმძიმის გამო ედოთ ანალოეზე და ისე კითხულობდნენ (მაგ., მცხეთაში, დავით-გარეჯში, გელათში, მარტვილში, ბედიამში).

მიუხედავად სარწმუნოებრივ-ნაციონალური შუღლისა, სომხები, რომელთაც დაკარგეს სახელმწიფო, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქართველთა ისტორიაში.

მაგ., გიორგი I-ის მეუღლე იყო სენაქერიმ II არწრუნის ასული მარიამი, ზაგრატ IV-ის დედა. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკასა და კულტურაში, დიდად ეხმარებოდა ათონის ივერთა და იერუსალიმის ჯვარის მონასტრებს. ხოლო გიორგი I-ისა და მარიამის ასული გურანდუხტი ცოლად ჰყავდა ყარსის ზაგრატუნ მეფე გაგის (მეორე ვერსიით – ტაშირ-მორაკერტის მეფე სმბატს). ეს ქალიც აქტიურად ერეოდა ქართველთა ცხოვრებაში (ა. აბდალაძე).

## კავკასიის ერთიანობის იდეა

ლეონტი მროველმა მესიანისტურ ოცნებას მოუძებნა კონკრეტული არეალი – კავკასიური სივრცე, გაცოცხლა კავკასიელ ტომთა ნათესაობის ტრადიცია, გამოიყვანა საერთო ეთნარქი თარგამოსი, რომლის შვილები არიან – ქართლოსი, ჰაოსი, ზარდოსი, მოვაკან, ლეკოსი, ჰეროსი, კავკასოსი და ეგროსი. კუთხეებსაც მოუძებნა პირველწინაპარი (მაგ., მცხეთოსი, გაჩიოსი).

არსებითად მან მონიშნა სამოქმედო გეოგრაფია, რომ უნდა აღმდგარიყო უძველესი გენეტიკური ერთიანობა, რაც დაირღვა გარეშე

ძალთა აგრესიით, აღმდგარიყო ქრისტეს ჯვართ, ბაგრატიონთა მახვილით.

სომეხთა სამეფოს დამხობის შემდეგ შენელდა ანტისომხური ტენდენციაც.

საკუთარი წარსულისადმი ინტერესი მოწმობს ეროვნული ცნობიერების გამძაფრებას. გენეტიკური სივრცე არის ის არეალი, რაც შენს წინაპრებს ეკუთვნოდა და ახლა უნდა დაიბრუნო.

ამიტომ მროველის ისტორიაში მთავარი იყო კონცეფცია, არა ცალკეული დეტალების მართებულობა.

მემატინე ეპისკოპოსის აზრი წინ უსწრებდა ბაგრატიონთა ექსპანსიას, რასაც ვერ შეაჩერებდა თურქ-სელჯუკთა შემოსევები.

ლეონტი მროველის სახელი ფიქსირებულია 1066 წლის ქვაჯვარის წარწერაში ანუ იგი წერდა მეფეთა ცხოვრებას XI საუკუნის 60-იან წლებში, ბაგრატ IV-ის მეფობის ჟამს.

დავითის ისტორიკოსი აღმაშენებელს ალექსანდრე მაკედონელს ადარებს. მას ანტიკური გმირები და ბერძნული ეკლესიის მნათობები ქართველებზე დიდად არ მიაჩნია ანუ აშკარაა ბიზანტიელებზე აღმატების რწმენა.

ასე ჩამოყალიბდა ქრისტიანულ-ეთნიკური მითოსი, რომელიც ნაციონალურ იდეოლოგიად აქცია თავისუფლებისათვის მებრძოლმა ქართველობამ.

ბრძოლის, მოქმედებისა და კულტურული აღმშენებლობის დიდი სტიმული იყო ქრისტიანულ-ეთნიკური მითოსი, რაც X საუკუნის მიწურულიდან დაჩრდილა ელინოფილურმა კრიტიციზმმა (იხ. „მითოსიდან კრიტიციზმისაკენ“), სამაგიეროდ მითი ოცნებიდან გადავიდა რეალობაში.

## V. კულტურის ცენტრები: მონასტერი და მწიგნობრობა

როცა სამხედრო დემოკრატია არსებობდა, არავის არაფერი ჰქონდა – ყველა თანასწორი იყო უფლებრივად და ქონებრივად. მაგრამ ძალაუფლების ფაქტორმა, ომებმა და ტომთა ინტეგრირებამ დაარღვია წონასწორობა (შდრ – „თრიალეთური ყორღანები“).

როგორც ვთქვით, თავიდან ბელადს თავის კუთვნილ ქონებას საფლავში ატანდნენ, რათა მემკვიდრეებს უპირატესობა არ ჰქონოდათ. შემდეგ ჩამოყალიბდა ელიტური ფენა, საიდანაც გამოდიოდნენ ქურუმები, ქურუმ-ბელადები, სარდლები.

ელიტური ფენა წარმოშვა ქონებისა და უფლების მოპოვებამ და მემკვიდრეობით გადაცემამ, რასაც მარქსისტები უწოდებდნენ კლასების გაჩენას, არქაული დემოკრატიული საზოგადოების დიფერენცირებას. ამას მოჰყვა მონობა და ელიტის მიერ მასების ჩაგვრა, ახალი ომები მიწისა და ნადავლისათვის.

მაგრამ რომ არა მჩაგვრელთა და ჩაგრულთა დიფერენცირება, ვერც ტექნიკა განვითარდებოდა, ვერც კულტურა.

კულტურის არტეფაქტები, სახელმწიფო და სოციალური იერარქია, ღმერთების სამსახურის მოწესრიგება, ეთიკური ნორმები და ეტიკეტი სჭირდებოდა ელიტას თავისი მდგომარეობის შესანარჩუნებლად და შთამომავლობისათვის გადასაცემად.

საერო ელიტა კულტურის მომხმარებელი და დამცველი იყო. მაგრამ არა შემოქმედი. იგი იძლეოდა დაკვეთას, შესაბამის დაფინანსებას, რათა ხუროთმოძღვარს აეგო ტაძარი და ციხე-სიმაგრე, იუველირს დაემზადებინა ოქრო-ვერცხლის ნაკეთობანი, ქურუმებს აღევლინათ უფლის დიდება და მოეწყოთ რიტუალები, მჭედელს გამოეჭედა ეფექტური და ლამაზი შრომისა და ბრძოლის იარაღები, ვაჭარს შემოეტანა უცხო ქვეყნების საქონელი, მეთუნეს ფერადი და სხვადასხვა ფორმის მოხატული ჭურჭლეული გაეკეთებინა...

შემოქმედი გამოდიოდა მასის ფენიდან, რომელსაც ხელს უწყ-  
დიდა ელიტა, რათა მისი ნიჭით, მისი ნაწარმით ესარგებლა, გაელამა-  
ზებინა ცხოვრება, შეექმნა კომფორტი და თავი დაეცვა, მოეპოვებინა  
კულტურულთან ერთად ცივილიზაციური უპირატესობა.

ასე იყო ქრისტიანობის პერიოდშიც.

ქრისტეს მსახურები, განსაკუთრებით მისი ზედაფენა – მღვდელ-  
მთავრებიც ელიტიდან იყვნენ გამოსული. მაგრამ აყალიბებდნენ არი-  
სტოკრატისაგან განსხვავებულ კულტურას, ქმნიდნენ შესაბამის ცენ-  
ტრებს, რათა უფლისა და მარადიული სასუფეველის სახელით მორ-  
ჩილებაში ჰყოლოდათ ის წიაღი, საიდანაც გამოვიდნენ.

ისინიც იყენებდნენ უჩინარ შემოქმედთა ნიჭსა და ენერგიას და  
თავადაც ქმნიდნენ სულიერ კულტურას, ოღონდ არქმევდნენ უფლის  
ნებას.

## 1. ასკეტიზმის ტრიუმფი

სასულიერო პირები იყვნენ არა მხოლოდ ღვთის მსახურები, არა-  
მედ – მწიგნობრები, მთარგმნელები, კალიგრაფები, ეკლესია-მონასტ-  
რების აგებისა და მოხატვის დამკვეთები, ჰაგიოგრაფები და ჰიმნო-  
გრაფები, ქადაგები და მგალობლები, მოძღვრები და მოძღვართ-მოძღ-  
ვრები.

შესაბამისად – კულტურის ცენტრი, შემქნელი და გამავრცელე-  
ბული იყო ეკლესია-მონასტერი, შემოქმედი – ბერების კონტიგენტი ან  
მათი ნების შემსრულებელი საერო პირები (მაგ., ხუროთმოძღვრები  
და მხატვრები).

მაგრამ მორწმუნე რომ ღვთის მსახური გამხდარიყო, უფლისწუ-  
ლი – ქვეყნის მმართველი, ბერი – მთარგმნელი, რომ შესძლებოდათ  
ეკლესიებისა და ციხე-სიმაგრეების აგება, საჭირო იყო ახალგაზრდო-  
ბის აღზრდა და ცოდნის გადაცემა, მემკვიდრეობითობის შენარჩუ-  
ნება.



## ცოდნა და აღზრდა

საერო პირთა საქმე იყო შრომა და ქვეყნის დაცვა, ოფლითა და სისხლით ქვეყნის ლიბოს გამაგრება, შვილთა გაჩენა და გაზრდა, არა წერა-კითხვის ცოდნა.

აღზრდას განაგებდნენ ქრისტეს მსახურები.

ვაჭარი, ხელოსანი, მჭედელი, მიწის მუშა წიგნის საწერად ან საკითხავად ვერ მოიცლიდა, არც სურვილი ექნებოდა.

განათლებული უნდა ყოფილიყო სამეფო ოჯახის წევრები – ფიზიკურ ვარჯიშთან, იარაღის ფლობასთან, ცხენოსნობასთან, ეტიკეტის ცოდნასთან, სათანადო ჩაცმასთან ერთად მათ უნდა შესძლებოდათ უცხო ენაზე საუბარი, მიწერ-მოწერა, დაწერილი სიტყვის, უსტარისა და წიგნის წაკითხვა, რათა გამოემუშავებინათ მართვის უნარი.

მათ სპეციალური, მოწვეული მასწავლებლები ამეცადინებდნენ და წვრთნიდნენ. პირველ რიგში ისინი მეომრებად იზრდებოდნენ, მაგრამ უნდა ჰქონოდათ შეთვისებული არისტოკრატიული ცხოვრების წესი, დიპლომატია და ღვთისმეტყველება.

ასევე ეცდებოდნენ მსგავსი ცოდნა-განათლების მიღებას შვილებისათვის სხვა ელიტარული ფენებიც. ეპისკოპოსები, სარდლები, ერისთავები ზრდიდნენ თავიანთი საქმისა და ქონების მემკვიდრეებს.

ასეთი ოჯახები ბევრი ვერ იქნებოდა. შესაბამისად – ახალგაზრდების რიცხვიც მცირე იყო. ამიტომ ანტიკური გიმნაზიის მსგავსი სასწავლებლები ვერ იარსებებდა.

როგორც ყოველთვის, მაშინაც მცირე იქნებოდა კულტუროსანთა რიცხვი და კიდევ უფრო ნაკლები – კულტურის შემოქმედნი.

კ. კეკელიძის სიტყვით, გავრცელებული უნდა ყოფილიყო ნიზიბინის სკოლის ტრადიცია, რასაც ჰქონდა პრაგმატული მიზანი – „ქრისტიანული დამოძღვრა და ეკლესიის მსახურთა მომზადება“.

მასწავლებლები იყვნენ დიდგვაროვანთა ნათესავები.

ისინი ზრდიდნენ მიბარებულ ბავშვებს და თან ასწავლიდნენ (მამამძუძე და ძუძუმტე).

ეკლესია ადრე ყურადღებას არ აქცევდა წოდებრივ იერარქიას – თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე. მაგრამ ქონება და თავისუფლება მაინც მოქმედებდა და ყმა-გლეხები, მათი შვილები ვერ შეედრებოდნენ დიდებულთა წრიდან გამოსულებს. ასე რომ – „მთელი ქართული ეკლესია არისტოკრატიული გახდა“ (ივ. ჯავახიშვილი).

ელიტარულ ოჯახთა მცირე კონტიგენტს ამზადებდნენ სასახლებსა და ეკლესიებში. აქ გადასცემდნენ რელიგიურ ცოდნას და საერო ცხოვრებისათვის აუცილებელ. გამოცდილებას, მაგრამ განყოფილება იქნებოდა – ეკლესია იძლეოდა რელიგიურ ცოდნას, აქ ასწავლიდნენ წერა-კითხვას, გალობას, გადაწერას, ღვთისმსახურებას, ხოლო სასახლეებში მათ ერთვოდა მხედრული წეს-ჩვეულებანი, ელიტარული საზოგადოების ეტიკეტი, მანერები, მეტყველება, ქცევა.

მასწავლებლისა და სწავლების სინონიმებია მოძღვარი და მოძღვრება, რაც რელიგიური ტერმინებია ანუ ცოდნა მოდიოდა ქრისტეს მცნებიდან.

ქადაგებაც იყო დამოძღვრა და დარიგება, ოღონდ ორატორული ფორმით გადმოცემული (მაგ., იოანე ბოლნელის ქადაგებანი).

აღზრდის ძირითადი ობიექტი იყვნენ ვაჟები. ქალები ღებულობდნენ მინიმალურ განათლებას, რაც იფარგლებოდა ყოფითი კულტურითა და წერა-კითხვის ცოდნით, რელიგიური გრძნობის განვითარებით.

გრიგოლ ხანძთელს, რომელიც დიდებულთა ოჯახიდან ყოფილა, ნერსე ერისმთავრის კარზე მიუღია განათლება, როგორც ნერსეს ცოლის ძმისწულსა და მათ შვილობილს;

დაობლებულ ყმაწვილებს – სერაპიონსა და იოანეს უსწავლიათ პარეხის სავანეში, მიქაელთან, რომელსაც სხვა მრავალი მოწაფეც ჰყოლია.

მათ იქ სხვა მასწავლებლებიც ასწავლიდნენ („სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“).

როგორც განათლების, ისე კულტურის ცენტრი იმიტომ იყო ეკლესია-მონასტრები, რომ ემყარებოდნენ წიგნს, რადგან ჰქონდათ ეკონომიკური საშუალება და ინტელექტუალური მუშაობის ორგანიზების პირობები.

ეკლესია-მონასტრების მოღვაწენი თავად ცდილობდნენ, რომ ცოდნა გადაეცათ მრევლისათვის, რათა ქრისტეს რწმენით აღზარდათ მომავალი თაობები (შდრ – მუსულმანური მეჩეთი და მედრესე).

მაგ., გრიგოლ ხანძთელმა აღზარდა ორი მცირეწლოვანი – ეფრემი (შემდეგში მაწყვერელი) და არსენი (შემდეგში ქართლის კათალიკოსი). ისინი ნაადრევად შემოსეს მოწესის ტანსაცმლით.

მონასტერში მათ მოყვანას ბერები კეთილად არ შეხვედრიან, ეს წესის დარღვევააო.

არსენი 27 წელი იყო კათალიკოსი, ეფრემი – 40 წელი ეპისკოპოსი. ეფრემის ბრძანებითა და იერუსალიმის პატრიარქის თანხმობით განუწყობდათ მირონის კურთხევა ქართლში.

მიზეზი იყო ისიც, რომ გართულდა მირონის მომზადება – წმინდა ზეთში ურევდნენ 50–ზე მეტი სურნელოვანი მცენარის ფისს.

ღრმა ცოდნის შესაძენად ქართველები ბიზანტიაში მიდიოდნენ (მაგ., კირიონ კათალიკოსი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი).

პეტრიწონში იოანე პეტრიწს მოწყობილი ჰქონია სემინარია, ასევე – ოთხთა ეკლესიას (X ს.). რაც შეეხება ფაზისის რიტორიკულ სკოლას, იგი ბერძნული იყო, თუმცა ქართველებსაც უსწავლიათ, როგორც ვთქვით.

XII საუკუნიდან უმაღლეს განათლებას ღებულობდნენ გელათისა და იყალთოს აკადემიებში, სადაც ყალიბდება მოძღვართ-მოძღვრის ინსტიტუტი.

ცოდნის შეძენა, პიროვნების ინტელექტუალური სრულყოფა შემდეგაც გრძელდებოდა. ეს მაშინ, როცა მოღვაწეობდა სულიერების სფეროში. ამიტომ უნდა ჰქონოდა მრავალმხრივი განათლება.

გიორგი მერჩულის სიტყვით, განათლებულ პირს ერთი მხრივ უნდა სცოდნოდა „სამომღუროდ ქართულსა ენასა შინა ყოველი“.

ეს იქნებოდა ქრისტიანულ-რელიგიური ლიტერატურა, როგორც თარგმნილი, ისე ორიგინალური.

მეორე მხრივ – შეთვისებული უნდა ჰქონოდა „მწიგნობრობაც მრავალთა ენათაჲ“, ალბათ – გრამატიკა, რიტორიკა, არითმეტიკა, ასტრონომია, სამართალი.

ამის შემდგომ იგი იქნებოდა „მრავალთა ენათა წურთილ და მრავალ – მოსწავლე“. ასე რომ – მხოლოდ ბერძნული ენა, ბერძნული მწერლობა საკმარისი არ ყოფილა.

ცოდნის ექსპერტი იყო სჯულის მეცნიერი, რომელიც უკვე V საუკუნეში არსებულა, როგორც შევნიშნეთ. მას დაერქმევა მერჯულე/მერჩულე და შემდეგ იქცევა გვარად. მაგ., მერჭულეები სამეგრელოში (ს. მაკალათია), კავკასიური „ველური დივიზიის“ მეთაური გიორგი მერჭულე (მერჩულე), დაბადებული ილორში (XX ს.).

მერჩულე იყო ის, ვინც იცოდა რჯულის კანონი, ე. ი. რელიგიური სამართალი. შდრ – ბერძნული ნომოკანონი ქართულად ითარგმნა როგორც რჯულისკანონი.

რელიგიური სამართლის საფუძველი კი თეოლოგიაა, როგორც შარიათი ისლამში.

მესჯულეთა და ეპისკოპოსთა თავი და უზუცესი იყო კათალიკოსი.

გამოცდილებისა და ცოდნის სრულყოფისათვის, როგორც ერისკაცი, ისე სასულიერო პირი, უნდა წასულიყო კულტურის ცენტრებში, იერუსალიმში თუ კონსტანტინეპოლში, იქაურ ეკლესია-მონასტრებში, რათა „კეთილი წესი“ ეპოვა და ჩვენს ქვეყანაში გადმოეტანა, სცოდნოდა „ერსა უსწავლელსა“.

როგორც დღეს ასპირანტსა და დოქტორანტს, ისე ინდივიდუალურად აძლევდნენ განათლებას ღმერთშემოსილი მამები ნიჭიერ და გონიერ ყრმას.

ისინი ხელმძღვანელობდნენ აღზრდას და ამასთანავე – იცვლებოდნენ.

მაგ., 10 წლის გიორგი ათონელი ტაძრისის დედათა მონასტრიდან გადაიყვანეს ხახულში მამის ძმებთან.

ბიძებმა ძმისშვილი ჩააბარეს მამა მაკარს.

მაკარმა მიჰგვარა ბასილ ბაგრატის ძესა (ვ. კეკელიძის აზრით, ბაგრატ III-ის ვაჟი) და მნათე ანტონს.

მათ გადააბარეს საწვრთნელად დიდ ილარიონ თვალოელს. მან შეასწავლა ყრმა გიორგის საგალობელნი საწელიწადონი, ძველი და ახალი აღთქმის წიგნები.

ბერძნული ასწავლეს ბასილის დამ, ბაგრატ მეფის ასულმა და მისმა მეუღლემ – ფერის ჯოჯიკის ძემ.

შემდეგ ბასილი იმპერატორმა დაიკავა ტაო. ფერისს განდგომის გამო თავი მოკვეთეს, ბაგრატ მეფის ასული და მისი „ერი“, მათ შორის გიორგიც, ბიზანტიაში წაიყვანეს.

აქ 12 წელი მონაზონ ფილოსოფოსებთან და რიტორებთან იწვრთნებოდა.

ბაგრატის ასული რომ დააბრუნეს ტვარწატაფში, გიორგიც გაჰყვა და ისევ ხახულის მონასტერს მიაკითხა.

25 წლისა აქ მონაზონად ეკურთხა.

აქედან ფარულად გაიპარა იერუსალიმში.

განსწავლის პერიოდს მრავალი წელი და დიდი გარჯა სჭირდებოდა. მაგრამ, გიორგი მერჩულის სიტყვით – „რომელი არა შურებოდეს, ნუცაღა ჭამნ“ ანუ როგორც გვეუბნებოდა კომუნისტური მორალი – „ვინც არ მუშაობს, არც ჭამს“.

მწიგნობრობას, თარგმანს, გადაწერას, ხელნაწერთა გამრავლებას, როგორც ვნახავთ, დიდი ყურადღება ექცეოდა. ამისი გამოხატულებაა მწიგნობართუხუცესის სახელო, რომელსაც თავიდან უფროსობდა ერისკაცი, რაც ნიშნავდა სასულიერო იერარქიისაგან გამოყოფას.

შემდეგ, დავით აღმაშენებლის დროიდან, სასულიერო პირი ხდება მწიგნობართუხუცესი, კერძოდ – გიორგი ჭყონდიდელი, მეფის პირველი ვაზირი.

სწავლა–განათლებას, ცოდნასა და მწიგნობრობას ისევ აკონტროლებდა ეკლესია. მაგრამ უკვე გაერთიანებულ სახელმწიფოს მცოდნე კადრები სჭირდებოდა არა მხოლოდ რელიგიურ საქმეთა აღსასრულებლად, არამედ – ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის.

წიგნის ტირაჟირებამ, ბეჭდვის გაიოლებამ, მასმედიის ეროვნულ-მა და ინტერნეტქსელმა სადღეისოდ გააუფასურა სიტყვა, ღმერთი და კულტურის ყოველი მონაპოვარი.

ძველ დროში როგორც ზეპირ, ისე დაწერილ სიტყვას ჰქონდა ფასი და მნიშვნელობა. იგი რომც დარჩენილიყო ელიტის თუნდაც რომელიმე კასტურ წრეში, მაინც ეძლეოდა ძალა და ღირსება.

## წიგნი და ხელნაწერი

ცოდნისა და განათლების საფუძველი იყო წიგნი, რომელიც ხელით იწერებოდა. იგი იქმნებოდა, როგორც ხელოვნების ნიმუში.

ქართული ანბანის ასომთავრული და ნუსხა-ხუცური ქვაზე ამოკვეთილის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ხელნაწერს კალიგრაფი თითქოს ბეჭდავდა. მაგრამ სილამაზისა და გამძლეობისათვის მასალასაც ჰქონდა მნიშვნელობა.

წერდნენ პაპირუსზე (ქართულად – ჭილი) ან ეტრატზე (პერგამენტზე). ჩინური ქაღალდი IX საუკუნიდან გაავრცელეს არაბებმა (შდრ – „ბერძნული ანბანი – ასომთავრულის პროტოტიპი“).

სიტყვა ქაღალდ და ალბათ მასალაც ჩვენში შემოდის XI საუკუნიდან. მანამდე ძირითადად იყენებდნენ ეტრატს, რაც ბერძნულად ოთხეულს ნიშნავს (ოთხად დაკეცვის გამო).

ეტრატის დასამზადებლად იყენებდნენ ბატკნის, თიკნის, ხბოს, ირმის, ცხვრის, თხის ტყავს, რომელსაც კირიან წყალში ალბობდნენ, ბალანს გააცლიდნენ, კვერცხის გულით და ცარციით გაპოხავდნენ,

გაასწორებდნენ, გააშრობდნენ და ერთ ზომაზე დაჭრიდნენ (ზ. ჭუმბურიძე).

ეტრატი გაცილებით გამძლე იყო, ვიდრე პაპირუსი ან ქაღალდი, სამაგიეროდ – დამზადება ძვირი ჯდებოდა.

ამის გამო იყენებდნენ ძველ ეტრატებს, ძველ ნაწერს გადაფხეკდნენ და გადაშლიდნენ, ახალს დააწერდნენ.

ასეთ ეტრატს პალიმფსესტი ერქვა.

მას რომ სინათლეზე გახედავდნენ, ძველი ნაწერიც იკითხებოდა ახალთან ერთად.

გარდა ამისა, იყენებდნენ ქარაგმებს – სიტყვის პირობით შემოკლებას, რომელსაც ურთავდნენ დიაკრიტიკულ ნიშანს.

ქართულში წერა უკავშირდება კვეთას (შდრ – წერაქვი და წერტილი).

საწერი იარაღი იყო კალამი – ლერწმის წაწვეტებული და ბოლოში ორად გაყოფილი ღერო.

მელანი, რაც ბერძნულად შავს ნიშნავს, მზადდებოდა ჟანგისა და მქვარტლისაგან, ამატებდნენ წებოს.

იყენებდნენ წითელ ფერსაც – სინგურს.

ზოგი ძვირფასი ხელნაწერისათვის ურევდნენ ოქროსაც.

ამიტომ საუკუნეთა ნესტმა და სინათლის სხივმა ვერ წარხოცა ასკეტის მიერ ეტრატზე გამოკვეთილი ასომთავრული და ნუსხური ასოები.

ტექსტის გადამწერი კარგი კალიგრაფი უნდა ყოფილიყო, შესძლებოდა სწრაფი წერაც.

შემდეგ მხატვარი ტექსტის შესაბამისად აფორმებდა, შემოსველი აკინძავდა, გაუკეთებდნენ ტყავგადაკრული ხის ან ოქრო-ვერცხლის მოჭედილ ყდას.

ასეთ მდიდრულად მორთულ წიგნს ჰყავდა შემკვეთი („მომგებელი“) და მყიდველი ან ინახავდნენ ეკლესიაში, მონასტრის წიგნსაცავში, რომელსაც ჰქონდა კატალოგი.

## სამონასტრო კომუნა

ასურელმა მამებმა იბერიაში მოიტანეს იერუსალიმში, სირიასა და პალესტინაში დამკვიდრებული ბერ-მონაზვნური ცხოვრების ტრადიცია, როგორც სიახლე.

IV საუკუნიდან იქ უცხოვრიათ კაბადოკიელ, ლაზ თუ იბერიელ ბერ-მონაზვნებს. ეგვიპტეში მოღვაწეობდა ევაგრე პონტოელი (ლ. მენაბდე). V საუკუნეში იქ ქართული ბაზილიკაც აუშენებიათ.

ანტიოქიასთან ერთად ქართული ეკლესია თავისთავს აკავშირებდა იერუსალიმთანაც. ეს სავსებით ბუნებრივი იყო, რადგან აქ ეგულებოდათ ქრისტეს საფლავი, აქ დასრულდა მისი ცხოვრება, აქ ამაღლდა იგი.

არა მხოლოდ ქართველები, არამედ – ყოველი ქრისტიანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იერუსალიმს. მოგვიანებით ევროპელი რაინდები საუკუნეების მანძილზე იბრძოდნენ ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად მუსულმანთა ბატონობისაგან.

ქართველებს, ქართველ მეფე – მთავრებს ბოლომდე შერჩათ ინტერესი წმინდა მიწისადმი, რომლის ტოპონიმები ქართლშიც გადმოჰქონდათ (მაგ., ბეთანია, გეთსიმანია, თაბორი, სიონი, საბაწმინდა, ბეთლემი).

ლიტურგიკულ პრაქტიკაში იყენებდნენ იერუსალიმურ ტიპიკონს, IX საუკუნის შუაწლებამდე მირონი იერუსალიმიდან შემოჰქონდათ.

ბიბლიური ადგილები, იქ მოღვაწეობა ღვთისმსახურისათვის ისევე საოცნებო იყო, როგორც მუსულმანისათვის მექას მოხილვა.

გარდა ამისა, სირია-პალესტინის კლიმატი და უდაბნოები კარგ პირობებს ქმნიდა განდგომილთათვის.

ამას ერთვოდა ისიც, რომ ირანი სცნობდა ასურულ, ანტიოქიის ეკლესიას, რომელიც ეურჩებოდა რომსა და კონსტანტინეპოლს.

ასკეტიზმი წარმართული რელიგიების თვისებაც იყო. ქრისტიანობამ იგი მისტიკასთან გააერთიანა და სასუფევლისკენ მიმავალ ჭეშმარიტ ფორმად დასახა. ნეტარად მიიჩნეოდა იგი, ვინც თავად



გამოისაჭურისა თავი. ასკეტიზმი ტრაგედიაა მაშინ, როცა რწმენა იბზარება (შდრ – ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“, გუსტავ ფლობერის „წმინდა ანტუანის ცდუნება“, ემილ ზოლას „აბე მურეს შეცოდება“).

ბერად აღკვეცას თავისი წესი მიეცა, ისევე როგორც სამონასტრო ცხოვრებას.

ტრულის (კონსტანტინეპოლის) კრების თანახმად (691 წ.) ბერ-მონაზონთა გზა მორჩილება და სინანული იყო, არა სამხედრო საქმისაგან განდგომა ან უზრუნველყოფილი სიბერე.

ბერი მონასტრიდან არ უნდა გასულიყო, ღამე ქალთან არ გაეთია, ბერად აღკვეცა ზეიმად არ ექცია, განრიდებოდა სანახაობას.

ბერი მკაცრად ასრულებდა მონასტრის შინაგანაწესს, რომლის დაცვა და მოწესეთა ორგანიზება ევალებოდა წინამძღვარს.

მთავარი იყო სექსუალური ვნებების, მხედრული სულისა და საკუთრების გრძნობის დათრგუნვა და მოსპობა.

ბერ-მონაზვნობა იყოფოდა ორ მიმართულებად – ერთი იყო ანაქორეტული (განდეგილობა), მეორე – კინოვიალური (კომუნური). პირველის იდეოლოგია იყო ანტონ დიდი, მეორისა – პახომი და ბასილი კესარიელი.

ბერ-მონაზონი ისედაც მოწყვეტილი იყო ოჯახურ ცხოვრებას, საკუთრებას, ნათესავთა და ახლობელთა წრეს, ხშირად – მშობლიურ მიწასაც.

მაგრამ უფრო მკაცრი იყო განდეგილობა, მარტოობაში უფლის დიდება, როცა მისი სამყოფელი უჩინარი იყო, და კიდევ უფრო თვითსასჯელი – მესვეტეობა, იზოლირების ეს უკიდურესი ფორმა, როცა მხოლოდ ჯაჭვის ჩამოშვებით შეიძლებოდა დაყუდებულის სამყოფელამდე ასვლა.

აქ სრულდებოდა იესოს ლოცვა, რაც უკავშირდება ისიხაზმს და ნიშნავს სრულ სიმშვიდეს.

იესოს ლოცვის პრაქტიკა იყო 6 და 12 საათიანი.

კოპტმა პახომ დიდმა (IV ს.) წერა-კითხვისა და თვლის არმცოდნე ბერებისათვის შემოიღო სკვნილი – ბერი ლოცვას თოკზე ნასკვებით ითვლიდა, რაც ბოლოვდებოდა ჯვარით.

სხეულის თვითტანჯვით, გვემითა და უფლის დიდებით განდგომილი უახლოვდებოდა უზენაესს, რაც იყო ნათლის გამოსხივება. დუმილი, მარტობა და ლოცვის ექსტაზი მორწმუნეს სცლიდა გონებისაგან და სულიწმინდის ძალით საღმრთო ნისლში შედიოდა. ეს შეეძლო მხოლოდ უძლიერესი რწმენით მოსილს.

დაყუდებულებს დუმილის აღთქმა ჰქონდათ დადებული.

მათ ადგილს სოხასტერი ერქვა, ხოლო მონასტრის ბერების კრებულს – „მმობა“, წინამძღვარს – „მამა“.

წინამძღვარს ირჩევდნენ წილისგდებით, დემოკრატიული წესით.

მონასტრებს ჰქონდათ მეტოხი – ახალშენი, სადაც მუშაობდნენ:

ბერები სარჩოს ფიზიკური შრომით მოიპოვებოდნენ, თუმცა ჰყავდათ ყმა-გლეხები, ჰქონდათ სოფლები, რაც აძლევდათ შემოსავალს, იღებდნენ შემოწირულობას.

ათონის მონასტერში ყველაფერი საერთო იყო, ტანსაცმელიც კი, რაც ზოგს არ მოსწონდა. მაგ., ურჩ მთავარდიაკონს, რომელმაც თუმცა მონასტერს საკმაო საფასე მისცა, ექვთიმემ კვართი დაუწვა.

ასე ებრძოდა იგი საკუთრებისადმი მიდრეკილებას, რაც ყველა მონასტერში მძლავრობდა.

ბერებს არ შეეძლოთ ყიდვა-გაყიდვა, ვაჭრობა, ქონების შექმნა.

საერთო სამუშაოს ასრულებდა წინამძღვარიც კი. მხოლოდ ძალიან დაქანცულებს ათავისუფლებდა ექვთიმე ცისკრის ლოცვისაგან.

შემდეგ, როცა მონასტრებს გაუჩნდა ქონება, ფიზიკური შრომის წესი შეიცვალა. ერთი პერიოდი ისე წახდა საქმე, რომ „თვით სახლით უფლისათ და მღდელთაგან გამოვიდოდა ყოველი ურჯულოება და ცოდვა“ („ქართლის ცხოვრება“). ამიტომ გახდა საჭირო რუის-ურბნისის კრების მოწვევა.

მონასტერი იყო სამეურნეო კომპლექსიც, ავტონომიური ერთეული, კომუნის წევრთა ასკეტური დასახლება.

მას ჰქონდა, გარდა ეკლესია-სენაკებისა, შრომის იარაღები, წიგნ-საცავი, მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების სათავსები, წყლის აუზები (ლაკვები), საოსტიგნე, სატრაპეზო, საჭურჭლე, საძვალე.

წინამძღვარს (მწყემსს) ჰქონდა სამოხელეო აპარატი. იგი განაგებდა სამონასტრო ორგანიზაციას, ფიზიკური და ინტელექტუალური შრომის განაწილებას, მღვდელმსახურებას.

სამონასტრო ცხოვრება რეგულირდებოდა ტიპიკონით. ტიპიკონი ერქვა წირვა-ლოცვის წესსაც.

ლავრა ბერთა სიმრავლის გამო იყოფოდა. მაგ., დავით გარეჯელი-სგან მიდის დოდო და აარსებს დოდოსრქას, ლუკიანე – ნათლისმცემლის მონასტერს. შემდეგ ილარიონ ქართველმა კლდეში გამოკვეთა ფერიცვალების ეკლესია.

ცალკე გამოიყო კომპლექსი ბერთუბანი.

ქართველი ბერ-მონაზვნები მიდიოდნენ პალესტინისაკენ, სადაც დაიწყო მონასტრების მშენებლობა. იქ ეწეოდნენ ასკეტურ და მკაცრ პირობებში უფლის როგორც ლოცვით, ისე საქმით დიდებას.

მნიშვნელოვანი ფიგურა ყოფილა ეგვიპტელი ანტონ დიდი (250-356), რომელსაც დამოწაფვბია ილარიონი, შემდეგ ისიც „დიდად“ წოდებული (291–371). მათ შექმნეს ანაქორეტული მიმართულება (მაგ., წმ. ანტონის „წესდება განდეგილი ცხოვრებისა“).

პალესტინაში დაწყებულ ქრისტიან ბერ-მონაზონთა ისტორია, პირველ რიგში, უკავშირდება ხარიტონის სახელს (+350).

ბერ-მონაზვნობა საბოლოო ფორმას ღებულობს წმ. პახომის მოღვაწეობის დროს, რომელსაც უფლის ანგელოსმა გადასცა ტიპიკონი – სამონასტრო ცხოვრების წესდება. მას დაუარსებია ბერ-მონაზონთა მთელი ქალაქი, სადაც 7.000 კაცი იყრიდა თავს (მდრ – ათონის ივერთა მონასტერში ცხოვრობდა 300 ბერი, პეტრიწონში – 51).

ეს იყო თავისებური კომუნა.

შიომღვიმის მონასტერში თითქოს ყოფილა 2.000 ბერი. მაგრამ ეს რიცხვი ისეთივე ფანტასტიკა უნდა იყოს, როგორც მეომართა რაოდენობა ჯუანშერის ტექსტში.

შემდეგ მონასტრები ქალაქებშიც გავრცელდა. მაგ., კონსტანტინეპოლში VI საუკუნისათვის 76 მონასტერი არსებულა.

ბერ-მონაზონთა ფორმულა მოცემულია ლუკას სახარებაში:

„თუ ვინმე მოდის ჩემთან და არ მოიძულებს თავის დედ-მამას, თავის ცოლ-შვილს, თავის და-ძმას და თავის თავსაც, ვერ იქნება ჩემი მოწაფე“ (14, 26).

ამ იდეის განვითარებაა ორიგენეს ასკეტიზმის მოძღვრება.

ქალწულობის იდეალი, ამქვეყნიურ სიკეთეთა უარყოფა, ტანჯვა და მოწამეობრივი დასასრული ქრისტიანული ცხოვრების ზებუნებრივი არსი გახდა, რისთვისაც უდაბნოდ გასვლა საუკეთესო გზა იყო.

საყოველთაოდ ცნობილი ლავრები დააარსეს ექვთიმემ (376-473) და თეოდოსიმ (423-529). განსაკუთრებით მრავლად ყოფილან ქართველები თეოდოსის ლავრაში, სადაც მათთვის ერთი ეკლესიაც განუკუთვნებიათ.

ერთად ლოცულობდნენ და შრომობდნენ ბერძნები, სირიელები, არაბები, პალესტინელები, სომხები, იბერიელები, ლაზები, კოპტები...

ასეთი ინტერნაციონალური სამონასტრო კომუნის ბერებს აერთიანებდათ ქრისტეს სახელი, ბერძნული ენა, ბიბლია, საიქიოს რწმენა.

განდევილები ბალახეულით და რკოთი, მდელოთი და ძირხვენიებით, უცუნითა და დანაკისკულით იკვებებოდნენ, რასაც ერქვა „მმოვრება“.

აღმოსავლური, მონოფიზიტური ასკეტიზმი ყველაზე მკაცრი და სასტიკი იყო. ზოგი კრძალავდა არა მხოლოდ ნაყროვანებას ან სიშიშვლეს, საკუთარი სხეულის დანახვასაც კი, ბანაობას, ხორცისა და ღვინის მიღებას; წმ. სტეფანემ თავისი სენაკისათვის იმდენად დაბალი ჭერი გააკეთებინა, რომ მხოლოდ დაჩოქილს ან წელმოხრილს ევლო (VIII ს.).

თავდაპირველად ჩვენი წინაპრები წმინდა მიწისაკენ ისწრაფვოდნენ.

იერუსალიმში ქართველებს სასტუმრო აუგიათ, ხოლო იორდანეს პირას უდაბნოში – მონასტერი.

იერუსალიმში მონასტერს ერქვა იბერთა, ხოლო იორდანეს უდაბნოს მონასტერს – ლაზთა სახელი.

ლაზთა მონასტერი ყოფილა ხარიტონის ლავრაშიც.

ქართველებს ბეთლემშიც ჰქონიათ სამწირველო (ლ. მენაბდე).

იტალიელმა არქეოლოგმა ვ. კორბომ აღმოაჩინა უდაბნოში ქართული მონასტერი, უძველესი ქართული ასომთავრული წარწერები (1954). იგი მიაჩნდათ პეტრე იბერის აშენებულად, რაც არ არის სწორი.

ქართველებისათვის ასევე მნიშვნელოვანი იყო საბა განწმენდილის (439-532) მიერ დაარსებული დიდი ლავრა საბაწმინდა.

ბერთა კონტიგენტი იზრდებოდა. ამიტომ აუცილებელი ხდებოდა ახალი სავანეების დაარსება.

„საღვთო შურით“ აღვსილნიც ეძებდნენ ახალ ადგილებს. ეს იყო ბასილი დიდის მიერ შექმნილი კომუნური სამონასტრო მოდელის გავრცობა.

VI საუკუნიდან ქართველები (ლაზები) ჩანან სინას მთაზეც.

სირია, პალესტინა, იერუსალიმი, სინას მთა, შავი მთა ეკლესიამონასტრებითა და ბერ-მონაზვნებით იყო სავსე საუკუნეების მანძილზე. მათში ცოცხლობდა მონოფიზიტური ტრადიცია.

IV-VI საუკუნეებში ლაზებსა და იბერებს თავიანთ ტერიტორიაზე ჰქონდათ ეკლესიები. მაგრამ არა მონასტრები, სადაც ბერები შესძლებდნენ განდგომილ ცხოვრებას, მღვდელმსახურებას, მთარგმნელობით მუშაობას.

VI საუკუნეში „ასურელმა მამებმა“ ასეთი აღმოსავლური ტრადიცია იბერიაში გადმოიტანეს, აქ დააფუძნეს.

დროთა მანძილზე როგორც სუსტდებოდა ქართული სახელმწიფო და სამეფო-სამთავროები, ისე მცირდებოდა უცხოეთში მოღვაწე ბერების რიცხვი, ისე იკარგებოდა ქართული ეკლესია-მონასტრები.

ერთმორწმუნე ბერძნები ყველაფერს იტაცებდნენ. მხოლოდ წიგნ-საცავები ინახავდნენ ქართულ ხელნაწერებს. ცალკეული წარწერები და ლეგენდური ტრადიციები გადმოგვცემენ ჩვენი წინაპრების იქ ყოფნა-მოღვაწეობის კვალს.

უამრავ ეკლესია-მონასტერს შორის იყო რამდენიმე ისეთი სავანე, რომელთაც შეიძლება ცენტრი ეწოდოს (ვრცლად და დეტალურად იხ. ლ. მენაბდის „ძველი ქართული მწერლობის კერები“).

## სამონასტრო ადგილები

უდაბურ ადგილს, უკაცურსა და ხრიოკს, კიდევ იმიტომ ეტანებოდნენ ბერ-მონაზვნები, რომ ასეთი მიწის მოპოვება უფრო ადვილი იყო.

ასკეტური იდეალის გარდა მოქმედებდა პრაგმატიზმი, ქონებრივი გადანაწილების პრინციპი და ავტონომიის რეალურობა.

უდაბური ადგილი თუ ტყიანი იყო, მხოლოდ სანადიროდ ან შესისთვის გამოდგებოდა. უდაბური, ე.ი. ადგილი, სადაც არ იყო დაბა ანუ სოფელი, დასახლება, აქედან – მეუდაბნოე, და არა დღევანდელი გაგების უდაბნო – пустыня (შდრ – пустынь – სავანე და пустырь – უშენი ადგილი). ვარგისი მიწა მოსახლეთ სჭირდებოდათ. მდაბიონი ბერებს არ ეპუებოდნენ. მაგ., სერაპიონ ზარზმელსა და მის ბერებს გლეხებმა გზა გადაუკეტეს. ამიტომ მიმართეს უგზო და უვალ ადგილებს (ბასილ ზარზმელი, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, X ს.).

უსიერ ტყესა და კლდოვან ალაგებში სიარულით ბერებს ტანსაცმელი შემოეფლითათ და ფეხები გადაიტყავეს.

დიდმთავარმა გიორგი ჩორჩანელმა მათ მისცა მიწა, რომლის შემოვლას შესძლებდნენ დილიდან საღამომდე. შემდეგ კი ამ უშვილძირო ფეოდალმა თავისი ქონების ნაწილიც მონასტერს დაუტოვა.

ეკლესია-მონასტრებთან იყვნენ დაკავშირებული როგორც წვრილი აზნაურები, ისე მდაბიოთა ნაწილი. ისინი საყდრისა და ხატის შვილებად იწოდებოდნენ, შველოდნენ ბერ-მონაზვნებს როგორც მეურნეობის მოწესრიგებაში, ისე სამართლებრივი საკითხების მოგვარებაში.

მათ ჰქონდათ საყდრის ეზოში დასაფლავების უფლება (მაგ., ბაღვაშების საძვალე იყო კაცხის მონასტერი).

გრიგოლ ხანძთელმა დიდი სამონასტრო მშენებლობა კლარჯეთში წამოიწყო ფეოდალ გაბრიელ დაფანჩულის დახმარებით. მაგრამ ანჩის ერი მიწის გამო ხანძთის ეკლესიას აუმხედრდა და დანგრევა მოუწოდოდა;

სერაპიონი და მისი ძმანი „მხეცებრივ“ ბოროტმა და „უწირავმა“ გლეხებმა გამოყარეს ძინძეს ტყიდან; როცა გიორგი ჩორჩანელმა ადგილი და მიწა მისცა, მაშინაც გზას უღობავდნენ – ერთგან კაცნი „ყოვლად მხეცებრივნი“, მეორეგან – „კაცნი უკეთურნი“;

ასევე ხდებოდა სომხეთში:

სოფ. ცურის გლეხები მონასტერს დაესხნენ, ზოგი ბერი მოკლეს, საყდარი კი გაძარცვეს (X ს.);

კონფლიქტი მოხდა მიწის გამო – სივნიეთის ეპისკოპოსმა მოინდომა გლეხების აყრა და მათი მიწების მონასტრისთვის მიერთება.

მონასტერი იყო მთელი კომპლექსი, რომელიც ფლობდა მიწებს, ნაგებობებს, ყმებს.

ბერები მხოლოდ წინამძღვარს ემორჩილებოდნენ.

მონასტრის ინფრასტრუქტურა რადგან საფრთხეს უქმნიდა სოფელს, მეუღაბნოები ითვისებდნენ უშენ ადგილებს, მიწას ავაკებდნენ, ადგილს აკურთხებდნენ. ალბათ აქ „პარვაც“ არ იქნებოდა.

მონასტერი, როგორც ვთქვით, უნდა აგებულიყო უდაბურ, კლდოვან, ტყიან, მიუვალ ადგილას, კაცთა სამყოფელისაგან მოცილებით, სადაც ნადირთ სიმრავლეა და ჰაერი კამკამაა.

მაგ., სუმელას (სამების) კლდეში ნაკვეთი მონასტერი ლაზეთში, რომელიც შორიდან მერცხლის ბუდესავით მოჩანს. მასთან მიდის საცალფეხო ბილიკი, ისეთი, ზამთარში კაცი რომ ვერ გაივლის (IV ს.);

კაცხის სვეტი იმერეთში, რომელიც მონოფიზიტ განდევილთა სამყოფელი ყოფილა, აუგიათ ასურელთა ტრადიციისამებრ V-VI საუკუნეებში (სიმაღლე 40 მ.);

ოლდოს კლდეში ნაკვეთი მონასტერი (X ს.).

ციცაბო და „ფიცხელ“ კლდეს ყოფილა მიშენებული ხანძთის ძველი ეკლესია. ახლის ადგილმდებარეობა, რომელიც აგებულია აშოტ კუხისა და გურგენ დიდის შემწეობით, სადავო იყო და მხოლოდ ბოლოჯამს მიაკვლიეს (ექსპედიციის ხელმძღვანელი თემურ ჯაგოდნიშვილი).

ვერ მოხერხდა შატბერდის ლოკალიზება:

ნ. მარს შატბერდად მიაჩნდა ფორთის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი (X ს.), პ. ინგოროყვას კი – ხანძთად.

ზოგი თურქულ ტოპონიმთან აიგივებს.

ბერები ცდილობდნენ დამოუკიდებელი ყოფილიყვნენ (მაგ., გრიგოლ ხანძთელს თანამოაზრენი გაექცნენ და მათ სამიებლად ლამის მთელი საქართველო შემოიარა). ზოგს ერჩივნა ვიწრო წრის წინამძღვრობა. მაგ., მიქელ პარეხელმა სერაპიონს აუხსნა, რომ მას სხვაგან უნდა აეშენებინა მონასტერი, კერძოდ – სამცხეში.

ასე უბრძანებია უფალს.

სოფლისაგან დისტანცირებით მორწმუნე მარტოობაში, ასკეტური თავგანწირვით ეძლეოდა უფლის დიდებას, რაც კრძალვით და შიშით განაწყობდა როგორც ელიტას, ისე მასას.

ეკლესია-მონასტრების ქსელი ცვლიდა ლაზთა და იბერიელთა ცნობიერებას. ეს პროცესი საკმაოდ მწელი და ხანგრძლივი ყოფილა. არათუ მთიანეთი დარჩენილა წარმართული, არამედ – ქვემო ქართლიც.



ასურელ მამათა მოღვაწეობის ჟამსაც აქ მრავლად ყოფილან „ურწ-მუნონი“. მხოლოდ VII საუკუნის დასაწყისში გაუქრისტიანებია ანტიპატრიკოს ვარაზ-ბაკურს გარდაბნელები („ქართლის ცხოვრება“), რომლებიც წარმოშობით ალბათ ალბანელები იყვნენ, კერძოდ – გარდმანელები.

ეკლესია-მონასტრებისათვის შერჩეული ადგილი უნდა ეკურთხებინათ, ნაცვლად წარმართული მსხვერპლშეწირვისა, რათა ტაძარი შეურყეველად მდგარიყო.

ზოგიც მნიშვნელოვან ფაქტს უკავშირდებოდა. მაგ., მცხეთაში, სადაც სიდონია დაიკრძალა ქრისტეს კვართით, მოჭრეს კვიპაროსი და მისგან გააკეთეს ტაძრის სვეტი, რომელსაც მირონი სდიოდა.

ამიტომ ტაძარს ეწოდა სვეტიცხოველი (IV ს.).

## კულტურშემოქმედი – ასკეტის ტიპი

V-XI საუკუნეთა კულტურშემოქმედი იყო ასკეტი ან ასკეტურ-მისტიკური იდეალების გამომხატველი მამაკაცი.

ბერძნული askesis ნიშნავს მეთოდურ წვრთნას, ასკეტი – გაწვრთნილს, როცა მოწესე ვნებათა დამორჩილებითა და დათრგუნვით აღწევს ღვთაებრივ უხრწნელობამდე.

ვნება თავისთავად ტანჯვაა და ზიანის მომტანი, როგორც განსაზღვრავს ქართული ენა.

სულიწმინდის მეშვეობით ასკეტი გაივლის ღწვათა საფეხურებს, ვიდრე მიაღწევს თეოზისამდე.

შესაბამისად – წინამძღვარი მხოლოდ ორგანიზაციული ხელმძღვანელი კი არ იყო ან – ძმათა კრებულის განმრიგე, არამედ – ასკეტური სულიერების მწვრთნელი, რომლის ერთი ნაწილი იყო მწიგნობრობა.

მოაზროვნე ადამიანი შეელია ხორციელ არსებობას. იგი დარწმუნდა, რომ უკვდავების გარანტი არ არის პირამიდა და მუმიად ქცე-

ვა, არც კატაკომბების ლაბირინთებში შენახული ცხედარი, არც ყორღანები.

დარჩა მხოლოდ საიქიო ცხოვრების მითი, სადაც ხორცისაგან გამარცხული სულები ნეტარებენ, ვინც დაიმსახურა ამქვეყნიური ცხოვრებით სასუფეველი, და იტანჯებიან ისინი, ვინც არ იცავდნენ ქრისტიანობის მიერ დაწესებულ ეთიკას.

მათ „კუპრში მიელით ქშენანი“.

ასკეტი – ეს იყო სულიერი ადამიანის ახალი ტიპი, რომელსაც ეკლესია მარადისობისათვის ამზადებდა, ერთგვარი საშუალო სქესი.

ბერ-მონაზვნობა, მისი ასკეტიკურ-მისტიკური იდეალები მოედო აღმოსავლეთსა და დასავლეთს, როგორც სოციალიზმის მოძღვრება XIX-XX საუკუნეთა ევროპას. მათი დაჯერება რწმენის საკითხი იყო, ურწმუნოს კი ფანტასტიკად ეჩვენებოდა. მაგრამ ადამიანს არქაიკიდან გამოჰყვა რელიგიური ბუნება, რომლის ახლებური მოდელირება და რთულ სააზროვნო სისტემად დალაგება შესძლო ქრისტიანობამ.

შიში და იმედი დაუჯერებელს დამაჯერებლად აქცევდა.

ასკეტისათვის აუცილებელი იყო „ხორცთა განლევა“, თვითგვემა, მაზოხისტური სისასტიკე. მაგ., სვიმეონ მესვეტეს (უფროსი) დიდმარხვის პერიოდში არაფერი უჭამია. სხეული დასწყლულებია, ხორცი დაღობია და მატლები გასჩენია.

იგი მატლებს არ იცილებდა, რათა ფიზიკურად კიდევ მეტად დატანჯულიყო.

ასკეტიზმის საწყისი იყო ანტიკური სტოიციზმი, როცა ნებასა და გონებას უნდა დაედლია ვნებები.

ხორცის დაძინება სულს აფხიზლებდა.

ბნელ ქვაბში განმარტოება კი გონების თვალთა მზერას ამკვეთრებდა (შდრ – შიო იჯდა „მღვიმესა მას ბნელსა შინა ქუე სიღრმეთა მიწისათა“).

მარხვა იყო ღვთისადმი მეომრული გუშაგობა და ასკეზი – სამხედრო დისციპლინა (გრ. ფარულავა), კეთილდღეობა და მატერია-

ლური ქონება კი – სულის ბორკილი, კვამლი და აჩრდილი, რომელიც სწრაფად ქრება.

არაბი ჭაბუკი ჰაზოც კი ხვდება, რომ ოქრო და ვერცხლი მხოლოდ წარსწყმედს ადამიანს.

მონაზვნები ოჯახისაგან მოწყვეტილი უნდა ყოფილიყვნენ, მონასტრებში მარტო ეცხოვრათ. მათი დიდი ნაწილი ასაკსა და ჯანმრთელობის უჩიოდა. ცხოვრებიდან გასულნი სინანულსა და მორჩილებაში ატარებდნენ დარჩენილ დღეებს, ჰგავდნენ დღევანდელ მოხუცთა თავშესაფრის ბინადართ.

ისინი უკვე ზედმეტნი იყვნენ ოჯახისათვის.

ახალ თაობას ახალი ინტერესები მოჰქონდა, რაც ხანდაზმულთათვის გაუგებარი იყო ან მხარდაჭერა ფიზიკურად არ შეეძლოთ.

არქაულ დროში მოხუცებს, თუ მიაღწევდნენ ასეთ მდგომარეობამდე, თავიდან იცილებდნენ. მაგ., გერმანელები კლდიდან ყრიდნენ, ესკიმოსები აისბერგზე სვამდნენ.

„საპენსიო ასაკი“ გაცილებით ადრე დგებოდა, ვიდრე დღეს არის: რომში 40 წლის მამაკაცი საომრად აღარ მიჰყავდათ.

ომი, ეპიდემია, შიმშილი, სტიქიური უბედურება, სნეულება ნაადრევად სპობდა კაცთა სიცოცხლეს. მხოლოდ მრავალშვილიანობას შეეძლო ადამის მოდგმის გადარჩენა.

განდგომა, დაყუდება, შეყენება, წიგნთა ჩხრეკა, სვეტზე დგომა რჩეულთა უფლება იყო, ისევე როგორც მოწამეობრივი სიკვდილი.

ეს – როცა მოქმედებდა ასაკობრივი ლიმიტი და სექსის პრობლემა ბიოლოგიურად მოხსნილი იყო.

ამიტომ უჩივის მრავალი ბერი მხედველობას, ფიზიკურ ძალას, სხვადასხვა სნეულებას, თავს თვლის გლახაკად და უღირსად, ხაშშიანად.

მეორე ნაკადი ახალგაზრდული იყო, ვინც რწმენის ან სულიერი ტრავმის გამო განდგა ცხოვრების ბრუნვისაგან, ახლობელთა და ნათესავთაგან.

როგორც ითქვა, მათ ქალთან კონტაქტი არ უნდა ჰქონოდათ, სექსი ჩაეკლათ და თავი გამოესაჭურისებინათ. ეს შეეძლო მხოლოდ ძლიერი ასკეტური იდეალის, ღმერთის უსაზღვრო რწმენის მქონეს.

მოწესე ქალსაც და კაცსაც ერქვა მონაზონი, რაც ბერძნული სიტყვაა.

შემდეგ გავრცელდა ბერი და იგი ნიშნავს ხანმრავალ კაცს.

მაგრამ არსებობდა სიტყვა ბერა, რომელსაც სულხან-საბა განმარტავს როგორც „შუა გასავლელს“ ანუ იგი მიემართა ცხოვრებისაგან განმდგარ კაცს, ვისაც უკავია შუალედური პოზიცია სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის, ქალსა და კაცს შორის, ბავშვსა და მოხუცს შორის.

შესაბამისად სარგებლობდნენ არა ცხენით, არამედ – ჯორით (ექვთიმე ათონელი ფიცხმა ჯორმა გადმოაგდო და გარდაიცვალა).

მონასტრებში უამრავი ბერი ირეოდა, ზოგი ფიზიკური, ზოგი ფსიქიკური ტრავმის, სიყვარულში ხელისმოცარვის, ახლობელის დაკარგვის ელდით გაოგნებული. შეიძლება ზოგი თავს არიდებდა მხედრობას, რაც მამაკაცის მოვალეობა იყო. მაგრამ ეს მოასწავებდა სიყვარულზე ხელის აღებასაც, ქალის უარყოფას, აქტიური ცხოვრების ველიდან გასვლას.

ცხადია, ზოგი ვერ ელეოდა განცხრომით ცხოვრებას, ეთაკილებოდა ფიზიკური მუშაობა, იყო გადაცდომა, შეცოდება, გარყვნილება, რომელსაც გმობდა სჯულისკანონი (შდრ – რუის – ურბნისის ძეგლისწერის XV მუხლი სოდომის ცოდვის წინააღმდეგ), იყო ღვარძლი და შური. მაგ., ერთ ბერს, შურით შეპყრობილს, ექვთიმე ათონელის მოკვლაც კი განუზრახავს, რომელმაც აიღო მახვილი და სენაკში შეჭრა დააპირა. გზად ორი ბერი გადაეღობა. გაცოფებულმა ორივე „უწყალოდ დაჩხევა“ ანუ დაჭრა.

შემდეგ მონასტრის მებოსტნეს შეუჩნდა ეშმაკი. მაგრამ უფალმა ხელი გაუშეშა.

ანჩის „მძლავრებით“ დამპყრობელმა ცქირმა მკვლელი მიუგზავნა გრიგოლ ხანძთელს 3 გრივი ფეტვისა და 5 თხის საფასურად. ამის გა-

მო ეკლესიიდან განკვეთეს. მან კი ხალხი გააგზავნა ხანძთის მონასტრის დასანგრევად და კვლავ დაიპყრო ანჩის საყდარი.

გრიგოლმა გააგებულ გლეხებს სთხოვა, შუადღემდე მაცალეთო. ღმერთმა ისმინა გრიგოლის ვედრება და მუამბოხე ცქირი „რისხვავან მოკლის“.

უფლის ანგელოსმა აუწყა გრიგოლს, რომ მალე მოვა ქადაგი და მისი სიკვდილის ამბავს მოიტანსო.

გრიგოლი გამოვიდა ეკლესიიდან და ეს ხალხს განუცხადა.

გლეხები დაიშალნენ, წმ. გიორგის ტაძარი გადარჩა.

რეალურად კი ასე მოხდა:

ცქირი, რომელიც ტექსტის მიხედვით ტფილისის სეპარატისტი არაბი ამირა საჰაკის აგენტი ყოფილა, როგორც კი გლეხებს მიუსევს ხანძთას, თავად ქორთას მიდის (ზოგი მკვლევარი საჰაკს სომეხად მიიჩნევს. სიკვდილით დასაჯა ბულა თურქმა).

გზაში ანჩელ მღვდელთან ერთად პური ჭამა, რომელსაც უფალმა „გამოუცხადა ბოროტად სიკვდილი ცქირისა“.

მღვდელმა მოწაფე აფრინა ხანძთაში და შეატყობინა ცქირის სიკვდილი, თუმცა ჯერაც ცოცხალი იყო.

მართლაც – როგორც კი ცქირი მივიდა ქორთაში, მაშინვე მოკვდა ანუ მღვდელს პურის ჭამის დროს მოუწამლავს იგი.

ბერების ძირითადი ფენა გულმართალი მსახური იყო, რომელიც ასრულებდა თვითგვემის ახალ ფორმებს.

ახალგაზრდული ენერგია, რომელსაც იტაცებდა სისხლი და სექსი, ცხენი და მახვილი, უნდა გარდაესახათ სხვა სფეროში, კერძოდ – ინტელექტუალურ მუშაობაში, წირვა-ლოცვებსა და უფლის დიდებაში, ფიზიკური ძალა და ვნებები – სულიერებაში, ყოველდღიურ შრომაში (შდრ – ეთიოპელი წმინდანის მოსე შავის ცხოვრება, რომელიც ადრე ყაჩაღი და მკვლელი იყო).

ყველა ვერ იქნებოდა წიგნის კაცი, მთარგმნელი და შემოქმედი. დიდ ნაწილს უფრო შეეძლო ყოფილიყო კალიგრაფი, ტექსტების

გადამწერი, მუშა, წიგნების შემმოსველი ან პილიგრიმი. მაგრამ ლოცვა ყველას შეეძლო. ყველას უნდა დაეცვა მარხვა-ხსნილის გრაფიკი, მონაწილეობა მიეღო დღესასწაულებში, საიდუმლო მისტერიებში.

განსაკუთრებული აზრი ჰქონდა კვების გრაფიკს, მარხვა-ხსნილსა და რაციონს-ხორცისა და ალკოჰოლის მაქსიმალურ შეზღუდვას.

ეკლესია გმობდა სიმთვრალესა და ლოთობას (მაგ., იოანე ზედაზნელი, იოანე ბოლნელი). მაგრამ საერო პირთათვის სავალდებულოდ მიიჩნეოდა ღვინის სმას, მცირე დოზით – ბერებისთვისაც.

ასეთი წესი ანელებდა ვნებათა მოძალეობასა და აგრესიას, ზეგავლენას ახდენდა ფიზიკურ აგებულებასა და ცნობიერებაზე, ხელს უწყობდა მორჩილი სულის განვითარებას.

საზოგადოებისა და ოჯახისაგან განმდგარი მოწესე ჩამოცილებული იყო მიწიერ ღელვას, ქალთა წრეს, თამაშობა-სანახაობებს, მხედრულ ქცევას.

იგი მონასტერში ცხოვრობდა, როგორც სულის ჯარისკაცი, და შინაგანაწესი უნდა დაეცვა.

ვნებათა ამბოხი ასე ჩაქრებოდა, ასე დაცხრებოდა სისხლის ღელვა.

ასკეტური გარემო, მისტიკური იდეალები, მწირი საკვები ამშვიდებდა ხორცის ჟრჟოლას.

ქართველებს უთარგმნიათ იოანე ოქროპირის, ეფრემ ასურის, ბასილი დიდის ასკეტიკონები.

შიო მღვიმელს დაუწერია 160 თავისაგან შემდგარი ასკეტიკურ-მისტიკური ნაშრომი, როგორც გვამცნობს „იოანე ზედაზნელის ცხოვრება“.

ასკეტიკა და მისტიკა ბერ-მონაზვნური ცხოვრების არსი იყო. მათი კონკრეტული ფორმები მოწესეს უნდა დაეცვა.

ბერ-მონაზონის ცხოვრება ასკეტური იდეალებისათვის მსხვერპლშეწირვით შთააგონებდა ადამიანებს, რომ დამორჩილებოდნენ არა ინსტინქტებისა და ვნებების ამბოხს, არამედ – გონიერებასა და სათ-

ნობას, ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ წესრიგს, რასაც ამკვიდრებდნენ უფლისგან მომდინარე სიტყვის წერილობითი ფიქსირებით.

მონაზვნობა უნდა იყოს ეკლესიის ფუძე და საყრდენი, – აცხადებდა წმ. თეოდორე სტუდიელი (IX ს.), „როგორც მარილი მიწისა და ნათელი ქვეყნისა“.

მონასტერში გამწესება უფლისადმი შეწირვად მიიჩნეოდა. მაგ., გიორგი ათონელი მშობლებმა – იაკობმა და მარიამმა – დაბადებამდე შესწირეს ღმერთს. ხოლო შვიდი წლისა ჩააბარეს ტაძრისის მონასტერს, სადაც ადრევე გაამწესეს მისი და თეკლა.

გიორგი მერჩულე გვეუბნება, რომ გრიგოლს ხანძთაში ფრიად „ფიცხელი“, ე.ი. მკაცრი კანონი დაუწესებია, ამ „ზეცის კაცსა“ და „ქვეყნის ანგელოსს“:

სენაკში იდგა მცირე სარეცელი, „შეურაცხი საგებელი“ და თითო სარწყული წყლისათვის.

ტრაპეზი საერთო იყო, საზრდელი – საგლახაკო: პური, მხალი, ცერცვი, წყალი, კორკოტი, ოსპი, ყველი, თევზი.

ღვინოს იშვიათად სვამდნენ.

თავად გრიგოლს პირი არასდროს დაუკარებია ღვინისა და ხორცისათვის. დღეში ერთხელ ჭამდა, საზრდობდა მცირე პურითა და წყლით (შდრ – პეტრე იბერი 3-4 დღეში ერთხელ იკვებებოდა).

სენაკებს საკვამური არ ჰქონდათ, რადგან ცეცხლს არ ალაგზნებდნენ. სანთელს ღამითაც არ ანთებდნენ.

დღისით კითხულობდნენ წიგნს, ღამით გალობდნენ.

ასეთი კვება და მკაცრი ცხოვრების წესი ცვლიდა ბერების სხეულის აგებულებას, აცლიდა აგრესიულ და სექსუალურ ვნებებს (მაგ., პეტრე იბერის ძლიერი და ლამაზი სხეული ასკეტურმა ცხოვრებამ მოღუნა და მოხარა – იოანე რუფუსი).

იყვნენ სულიერად კარგად, ხორციელად – „დიდსა იწროებასა“.

თავად გრიგოლი ყოფილა მაღალი და გამხდარი.

მან საბაწმინდის განგების მიხედვით განუწესა ტიპიკონი თავის ეკლესია – მონასტრებს.

ეკლესიაში ლოცვის დროს ბერები ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ. ჰქონდათ მოთმენა და სიმშვიდე, ჰქონდათ შიში, თითქოს იდგნენ უფლის წინაშე.

მუხლმოყრილნი იყვნენ ალილუიას განსრულებამდე.

საგალობლებს ამზობდნენ ნელა და დაბალი ხმით.

კედელს არავინ ეყრდნობოდა. ჯდომა და ძილი დაუშვებელი იყო.

დღისა და ღამის გრაფიკი ლოცვებით ჰქონდათ დატვირთული.

მიცვალებულს პანაშვიდს უხდიდნენ სამი, შვიდი და ორმოცი დღისა და წელიწადის შემდეგ.

მკაცრად იყო განსაზღვრული ლოცვების ცირკულარი. მაგ., მეტანია – ლოცვის ჟამს მუხლის მოდრეკა, წელში მოხრა, ლიტანია – საყოველთაო ლოცვით ეკლესიის გარშემოვლა დიდ დღესასწაულებსა და განსაცდელის დროს.

თუ საჭიროდ მიაჩნდა, ტიპიკონს თავად გრიგოლი არღვევდა. მაგ., როცა მონასტერში მოიყვანა ჩვილი ბავშვები ეფრემი და არსენი, როცა არსენის კათალიკოსობას მამის გამო გადაჭრით და მტკიცედ დაუჭირა მხარი, თუმცა წესით არ ერგებოდა;

ერთხელ, ცისკრის ჟამს, მნათემ შენიშნა, რომ გრიგოლის სენაკი ცეცხლით იყო განათებული. დეკანოზმა ეს უფლის სულის გარდამოსვლით ახსნა, რადგან ადრეც „მრავალგზის ეხილვა“!

ტიპიკონის ზუსტი დაცვა ნიშნავდა სულიერების ზეიმს, სულის წრთობას სხეულის გვემით.

მაგრამ დარღვევა და შეცოდება სტანჯავდა მოწესის სულს.

არსებობდა სასჯელის სხვადასხვა ფორმა, მაგ., ექსორია, განკვეთა, ეპიტიმია, რაც შეიძლებოდა დაეწესებინათ მაღალი ფენის წევრებისთვისაც. მცირე სასჯელი იყო ასი მუხლის მოდრეკა, ხმელა პურის განწესება, უპურობა და უღვინობა...



აღსარება იყო ფსიქოთერაპია, ნევროზად ქცეული რომელიმე ფაქტის თუ ქცევის გამხელა და მონანიება, სიმშვიდის მოპოვება.

სიმშვიდე, გონიერება და უშფოთველობა ნიშნავდა ვნებათა დაცხრომას, დათრგუნვას, ჰარმონიის მიღწევას. ასეთი სანიმუშო ყოფილა ყრმა გიორგი ათონელი – „ყრმად მოხუცებულებითა შემკული და ჭაბუკი სიბერიტა განშვენებული“ (გიორგი მცირე). შდრ – ნ. ბართაშვილი: „სასაცილოა ბერიკაცი რომ ყმაწვილობდეს და საბრალთა, ყმაწვილი რომ ბერიკაცობდეს“.

ბერ-მონაზონი არ იყო დღევანდელი გაგების შემოქმედის ტიპი. საამისოდ მას აკლდა სწორედ ვნება და სისხლი ანუ გონი ახშობდა გრძნობებს. იგი ფაქტებით მსჯელობდა. ფანტაზირება მხოლოდ ხილვებსა და ლოცვით მოგვრილ ჰალუცინაციურ სასწაულებს ემყარებოდა.

ოცნება, წარმოსახვა, ცხოვრებისეული განსჯა ზედმეტად, უსარგებლოდ და მკრეხელობად მიიჩნეოდა. გამონაგონი სულთმაცნეებელი სიცრუე იყო.

ბერ-მონაზონის მზერა საიქიოსკენ იყო მიმართული და აკეთებდა ყველაფერს უფლის ნათელში მოქცეული, აკეთებდა ისე, როგორც მოეწონებოდა ზენაარსს.

ბერ-მონაზონთა წრიდან ყალიბდებოდა საეკლესიო იერარქია. მონაზონს ქცევის, ფიქრისა და მოქმედების შესაბამისად უნდა ეცხოვრა, როგორც ღარიბ-ღატაკს, ეზრუნა მხოლოდ სულისათვის. სამოსელიც თალხი და უხეში სცმოდა, მოკლებული სილამაზესა და ფერთა სიმრავლეს (მაგ., ექვთიმე ათონელი ძამას ატარებდა. ხოლო „ძამისა მის ზედა ჯაჭვი მძიმედ“).

განდევილი ტანს საერთოდ არ იბანდა.

მოგვიანებით შემოვიდა სადღესასწაულო ბრწყინვალება – პორფირი და ბისონი. გალობა, ქადაგება, მსვლელობა, აიაზმა, კურთხევა, საცეცხლურ-საკმეველი, სანთელთა ციმციმი, მრევლის სიმრავლე, რაც

ახლდა საუფლო დღესასწაულებს, ქორწინებას, ნათლობას, დაკრძალვას – გარდაქმნიდა და ავსებდა ცარიელ დღეთა მდინარებას.

ასკეტი ქმნიდა ასკეტურ კულტურას, რომელსაც შეჰქონდა წესრიგი თავაშვებულ ვნებათა ქარიშხალში, რათა ჯვარის სახელით ძლეულიყო ეშმაკეული, კაცთა სულის წარმწყმედი და საუკუნო ცოდვაში გადამგდები. სისხლის დაქცევა შეიძლებოდა მხოლოდ ქრისტიანული რჯულის დასაცავად.

ამიტომ არის ჰაგიოგრაფიული ტექსტები სისხლით შეღებილი.

შემდეგ მას დაემატა სამშობლო, რაც კოსმოპოლიტ ქრისტიანთა შეგნებაში გაამძაფრა მუსულმანთა აგრესიამ.

ის უამრავი ტექსტი, რაც ქართულად ითარგმნა, ღმერთმსახურების ნაწილი იყო და თითქმის მთლიანად მოკლებულია მხატვრულ ღირებულებას, მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით იწვევს ინტერესს(შდრ – ს. ყაუხჩიშვილი ბიზანტიური ლიტერატურის კურსში თითქმის არ ეხება ჰაგიოგრაფიას).

იგივე ითქმის ქართულ ტექსტებზე. მხოლოდ ზოგ მათგანში ვლინდება მწერლური ნიჭი (მაგ., შუშანიკის წამება, ჰაბოს წამება, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება). ეს არის ეპოქის დოკუმენტირებული ისტორია, რადგან რეალობა არ უნდა დარღვეულიყო. ფანტაზირების ნაყოფი იყო სასწაულები, ჰალუცინაციური ხილვები.

მშობლიური გრძნობებიც მაქსიმალურად იზღუდებოდა. მაგ., გრიგოლ ხანძთელს მრავალი წელი არ ენახა დედა, რომელმაც როცა შეიტყო შვილის ამბავი, მერეს მიაკითხა, დარჩა იქ, სადაც ინახულა გრიგოლმა.

ალბათ აღმზრდელი მამიდა ტფილისიდან წასვლის შემდეგ არც უნახავს.

ბასილი ზარზმელს არ სცოდნია სერაპიონის დედის ანუ თავისი ბებიის სახელი!

პეტრე იბერს ყოველგვარი კონტაქტი გაწყვეტილი ჰქონდა თავის ნათესავებთან, დედასთანაც კი არ ისურვა შეხვედრა (იოანე რუფუსი)!

მიწა იყო ყველა ბიწიერების სათავე, რომლიდანაც მალღებობდა სულის გმირი ზეცისაკენ, უსხეულო სამყაროსაკენ, სამოთხედ წოდებულ სულთა სასუფეველისაკენ, მარადიული ცხოვრებისაკენ.

დაცემა ჯოჯოხეთში ჩაშვებას და მუდმივ ტანჯვა-ვაებას ნიშნავდა.

აქაური ცხოვრების წესი იყო სულთა მომავალი სამყოფელის განმსაზღვრელი. ამიტომ ცოცხლობდნენ მიწიერ ვნებათაგან დაცლილი ასკეტები ესოდენ დიდხანს. მაგ., გრიგოლ ხანძთელი „გარდარეულად“ დაბერდა და მოკვდა 102 წლისა, ანტონ ეგვიპტელი – 106-ისა, ილარიონ დიდი – 80-ისა, ექვთიმე – 97-ისა, თეოდოსი – 106-ისა, პეტრე იბერი – 80-ისა, საბა განწმენდილი – 93-ისა, სვიმეონ მესვეტე – უფროსი – 103 წლისა.

ასეთ ხანგრძლივ სიცოცხლეს ასკეტს ანიჭებდა ძლიერი რწმენა, რაც იცავდა ფსიქო-ნერვულ სისტემას, სულიერ წონასწორობას, ცხოვრების წესი და მორალი, ყოვლისმოცველი მიზანი, რომელიც მისთვის რეალობა იყო.

გარდა ამისა, როგორც შენიშნავენ, შიმშილის დროს ორგანიზმი იწმინდება მავნე ტოქსინებისაგან, რაც ანელებს დაბერების პროცესს. აუტოფაგია რომ სასარგებლოა, ეს ექსპერიმენტულად დაასაბუთა ნობელის პრემიის ლაურეატმა იაპონელმა ესინორ ოსუმმა.

ამ მიზნისაკენ მისასვლელი გზა და ბილიკი, ყოველი ნიუანსი და დეტალი ეკლესიას დიფერენცირებული და დაზუსტებული ჰქონდა, რაც საერთო კონცეფციის რეალიზებაა.

მაგ., ავიღოთ 7 საიდუმლოდან ერთი – ზეთისცხება:

ზეთისცხება ტარდება წელიწადში ერთხელ მისთვის, ვინც მარხულობს, დიდი მარხვის პერიოდში, ვისაც ერთხელ მაინც მიუცია აღსარება.

იკითხება 7-გზის სახარება და 7-გზის სამოციქულო, წარმოითქმის ლოცვები სნეულთათვის.

შემდეგ წითელ ღვინოში არეულ ზეთს მღვდელი წასცხებს მორწმუნეს შუბლზე, სახეზე, ნიკაპზე, ყურებზე, ხელეზე, ყელზე, მტკივნეულ ადგილებზე.

ზეთისცხება უკავშირდება სინანულის საიდუმლოსაც, ისევე როგორც რწმენის ძალით, შთაგონებით განკურნებას, ფსიქო-ნერვული ენერჯის გადაცემას.

ლოცვა იყო საჭურველი, მარხვა – ზღუდე, ცრემლი – საბანელი, მორჩილება – წამება, რაც იცავდა მორწმუნეს სისხლის დათხევისაგან.

მისტიკოს-ასკეტი კულტურშემოქმედის, ფანატიკოსი უფლის მსახურის ცხოვრებასა და ცნობიერებას განსაზღვრავდა იესოს ტანჯვის არქეტიპი.

## საიქიო ცხოვრების მითი

ყველა რელიგიას ჰყავს ერთმანეთის მსგავსი ღმერთი, აქვს საიქიოს რწმენა, სულთა მარადიული არსებობის მითი, რაც სძლევედა რეალურ და ხანმოკლე ტანჯვას.

მოაზროვნე არსებას ვერ წარმოედგინა, რომ ყველაფერი არის ამაო, ნაცარი და მტვერი. ეკლეზიასტეს გოდება და პესიმიზმი, არარაობის განცდა არ იყო საყოველთაო განწყობილება. მაგრამ არც იობის ტანჯვა უნდა რგებოდა მორწმუნეს.

საიქიოს ცხოვრების მითი სიკვდილთან შერიგებაც იყო, როგორც სიცოცხლის გარდაუვალი ფინალის გალამაზება, ტრაგედიის შემსუბუქება.

ამას მორწმუნე აღწევდა ლოცვითა და რწმენით, მეომარი – ჰეროიკული აღტკინებით, მოაზროვნე – სიცოცხლის არსის ძიებით.

მორწმუნე თვლიდა, რომ სამყაროში არაფერი იკარგება, გრძელდება მარადიული არსებობა ზეცაში, ზესთასოფელში ამაღლებული

სულელების სახით. ხოლო ამქვეყნიური, ღირსეული ანუ ქრისტიანული ცხოვრება არის სამზადისი მუდმივი სასუფევლის მოსაპოვებლად.

ილუზია სძლევდა რეალობას, რათა სიცოცხლეს აზრი ჰქონოდა.

იოანე დამასკელის სიტყვით, წმინდანის სიკვდილი იყო დღესასწაული, რომელსაც არ უნდა გამოეწვია ტირილი და გლოვა.

ქართველი ჰაგიოგრაფები არ ასრულებდნენ ამ ასკეტურ მოთხოვნას. არც ოჯახიდან დაცილებას ახლდა მშობელთა, შვილთა და ნათესავთა მოძულებობის მოტივი, როგორც მოითხოვდა ლუკას სახარება, რასაც უბოროტო სიძულვილად მიიჩნევდა ბასილ დიდი.

მონასტრებს ჰქონდათ საძვალე, სადაც ინახებოდა ღვაწლმოსილთა და ღმერთშემოსილთა თავის ქალები, წმინდა ნაწილები.

თავის ქალა, რაც უფრო ყვითელი ფერი ჰქონდა, მით უფრო იყო მიახლოებული სიწმინდეს.

საფლავის ქვებზე გამოსახავდნენ ადამიანს, ცხენს, ცხვარს, ჩიტებს, თევზს, მტრედს, ჯვარს, სამოთხის ხეს (ს. მაკალათია), ასევე – გუთანს, ხმალს, ფარს, მშვილდს. როგორც წმინდა ნაწილებს, იყენებდნენ ბერების ძვლებსაც. მაგ., XVII საუკუნის პორტუგალიაში 5.000 ადგილობრივი ბერის ძვლებისაგან სამლოცველო ააგეს და მის კედელზე ორი ჩონჩხი დაკიდეს; ჩეხეთში სედლეცის გოთური სამლოცველო მთლიანად მოპირკეთებულია თავის ქალებითა და ძვლებით. გამოიყენეს 40.000 თავის ქალა.

საფლავის ქვაც არქიტექტურული ძეგლი იყო, რომელზეც ეპიტაფიას კვეთდნენ.

აკლდამას სახლის ფორმა ჰქონდა, სადაც გადაჰქონდათ რელიეფური ქანდაკებები.

ამქვეყნად რჩებოდა მორწმუნის მიერ გაკეთებული საქმე, ცხოვრების მაგალითი უფლისადმი მსახურებისა და თავგანწირვისა.

საიქიოს რწმენას აძლიერებდა ქრისტეს მეორედ მოსვლის მითი, განკითხვის ჟამი, როცა მიცვალებულები აღდგებოდნენ და დაიწყებოდა მტყუან-მართლის, ცოდვა-მადლის განსჯა.

აპოკალიპსი იყო კაცთა მოდგმის ესქატოლოგიური დასასრული, როცა ყველაფერს პასუხი გაეცემოდა, როცა ქრისტე მოვიდოდა არა ლოცვით, არამედ მახვილით.

ეს უნდა მომხდარიყო პირველი ათასწლეულის ბოლოს და ხალხი ძრწოლით მოელოდა განკითხვის ჟამს.

საიქიოს ცხოვრების მითი, მარადიული და დაუსაბამო უფალი აწესრიგებდა ადამიანთა ცხოვრებას, ინსტინქტებს უმორჩილებდა ქრისტიანობის ცნებებს, გონის კარნახსა და მოქმედებას, ადამიანს აძლევდა სტიმულსა და იმედს, უნერგავდა სიცოცხლის საზრისს, სიკეთის რწმენას.

ღმერთი კაცობრიობის მუდმივი წინამძღოლი იყო, მუდმივი მხლებელი, რათა წუთისოფლის მგზავრს ყველაფერი დაღუპულად არ მიეჩნია.

უფლის მსახურები იყვნენ ანგელოსები, მათგან მთავარი – მიქელი და გაბრიელი.

ანგელოსების ზეციური იერარქია ცხრა დასად იყოფოდა – მთავარანგელოსები, ქერუბიმები, სერაფიმები (პეტრე იბერი)...

ანგელოსები არქაულ-წარმართული სულების მოდიფიცირებაა.

სიკვდილი უნდა ყოფილიყო მშვიდი გადასვლა წუთისოფლიდან ზესთასოფელში, დარჩენილთათვის ახლობლის დაკარგვის უბედურების შენელება.

ხორცის საპყრობილისაგან გასვლას მოწესე წუხილით არ უნდა შეხვედროდა, რადგან, როგორც ამბობს გრიგოლ ხანძთელი, თავისუფლდებოდა უძღურებისაგან ღმერთის ნებით, რომელმაც ჯვარით დათრგუნა სიკვდილი.

ქრისტიანობის ბეჭედი აქვს ყოველ მორწმუნეს „საფარველად სამარადისოდ და საცხოვრებლად“, სადაც სული შეერთვის ანგელოსთა კრებულს.

ისინი „იწრო და საჭირველი“ გზით აღიყვანებოდნენ „ზეცის ქალაქად“, რომლის ხუროთმოძღვარი და შემოქმედი არის ღმერთი (ბასილ ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება).

უფლის სახელითა და ჯვარით დაიდლეოდა სიკვდილის შიში.

ქართული სიტყვა სიკუდილი/სიკვდილი სულისა და ხორცის გაყრად აქვს ახსნილი სულხან-საბას (რუს. Смерть, გერმ. der Tod).

მაგრამ მას აქვს თავისი არქაული ეტიმოლოგია.

ამ სიტყვის ძირია კუდ/კვდ.

მეგრულსა და სვანურში არ აქვს შესატყვისი – მეგრ. ღურა, სვან. დაგრა.

მაგრამ ამ ორ სიტყვას აქვს მონათესავე სემანტიკა ქართულში: ღურას – დაღურა/დაღვრა, რაც სულის დაქცევას ნიშნავს, დაგრას – დანგრევა ანუ მოსპობა.

არის სხვა პარალელიც – მეგრ. ღუფუა (ხარზად სმა) და ქართ. დაღუპვა, რაც ნიშნავს სულის დაღევას; სვან. ლულუმპავე – დაღუპული, მეგრ. ღურელი.

ამჯერად საერთო ძირია ღუპ/ღურ/ღუმპ.

სიტყვა სიკუდილი მაშინ შემოსულა, როცა სვანური და კოლხური გამოყოფილია ქართველურისაგან.

კუდ/კუტ ძირს უნდა ჰქონოდა უძრაობის, გაშეშების მნიშვნელობა (შდრ – კუტი, ვინც ვერ დადის) და გამოდის ჩვენს მიერ I წიგნში განხილული ინდოევროპული და სემიტური ფუძიდან – Kutt (გვ. 98).

Kutt ნიშნავდა კედელს, სახლს, დასახლებას, რაც ცხოველისაგან განსხვავებით უძრავი იყო.

სიცოცხლე და სიკვდილი ერთმანეთისაგან განირჩეოდა მოძრაობა-უძრაობით.

კუდ/კუტ-ის ვარიაცია უნდა იყოს მეგრ. ქუდე (სახლი) და ქუდრო (ქუდე რე – სახლი არის), ქართული – მყუდრო.

სახლი ნიშნავდა სიმშვიდეს, დაცვას ქარ-წვიმისა, ნადირისა თუ მტრისაგან ანუ სიმყუდროვეს, სიმყუდროვე – უძრაობას.

შემდეგ, ქრისტიანობის დასაწყისში, ცუდემ დაყუდების აზრიც შეიძინა, რომლისგანაც ჩამოყალიბდა მცუდელი/მღუდელი (მეგრ. პაპა და სვან. პაპ ბერძნულ-ლათინურიდან არის შემოსული) და საყუდარი/საყდარი (ძვ. ქართულში ტახტი და ზეციურ ძალთა იერარქია, შდრ – აღსაყდრება – ტახტზე ასვლა).

სულისა და საიქიოს შესახებ ვიმსჯელებთ I წიგნში, ასევე – „კულტურის გენეზისში“ („კულტუროლოგიის საფუძვლები“, I) და აქ აღარ გავიმეორებთ.

ქრისტიანობამ ახლებურად გაიაზრა სული, სიკვდილი და საიქიო, მარადიული სიცოცხლის რწმენა. ქართველებმაც გაჰყვეს სამყარო „საწუთროდ“ (ე. ი. წუთიერ ყოფნად), „ზესთასოფლად“ ანუ საუკუნო ცხოვრებად და ჯოჯოხეთად.

## სახელების მოზაიკა და გვარი

V-X საუკუნეებში ძირითადად არსებობს „სახლი“ (მასაში – ნათესაური საკრებულო – „თ“-ი) და მისგან გამომდინარე ცალკეული გვარები, მაგ., ბაგრატოვანთა. ჩვენ არ ვიცით თუ რომელ სახლეულს ეკუთვნოდნენ ვარსკენ პიტიახში, გუბაზ I და გუბაზ II, ხოლო წარმართი მეფეები სრულიად პირობითად იწოდებოდნენ ფარნავაზიანებად. მხოლოდ სახელი იყო პირთა განმასხვავებელი.

ძირითადი ნაწილი, როგორც ელიტა, ისე მასა ატარებდა დროებით, ცვალებად გვარებს, გამოსულს თანამდებობიდან (მაგ., ერისთავი, მთავარაღსმე), წარმომავლობიდან, ზედწოდებიდან, პროფესიიდან, მამის სახელიდან.

ასეთი ტრადიცია მოდიოდა ბიზანტიიდან. მაგ., გრიგოლ ღვთისმეტყველი, ბასილ დიდი, იოანე ოქროპირი, სვიმეონ მესვეტე, საბა განწმენდილი, იოანე მოსხი, ეპიფანე კვიპრელი, რომანოზ მელიდოსი, იოანე დამასკელი, მაქსიმე აღმსარებელი, თეოფილაქტე სიმოკატა, სიმეონ ლოლოთეტი, გიორგი სინგელოზი, მენანდრე პროტიქტორი, აგათია სქოლასტიკოსი, იოანე მმარხველი...



ამას ორიგინალურად ითვისებდნენ ქართველი ბერ-მონაზვნები – ხელნაწერებზე მინაწერიდან, რომლებიც გვაცნობენ ავტორს, გადამწერს, მთარგმნელს თუ წიგნის შემმოსველს, ჩანს თუ რა სახით ხდებოდა გვარების ჩამოყალიბება.

ზოგი მათგანი უკავშირდება გეოგრაფიულ თუ ეთნიკურ წარმომავლობას (მაგ., მაკარი ლეთეთელი, გაბრიელ ტფილელი, იოანე მინჩხი, პეტრე იბერი, იოანე ლაზი, სტეფანე დვალი, თეოდორე წყუდელელი, გიორგი ოლთისარი, იოანე ჩორდვანელი), იმ მონასტერს, სადაც უცხოვრია (მაგ., იოანე პეტრიწი, გრიგოლ ხარიტონწმინდელი, ეფრემ ოშკელი, ექვთიმე ათონელი, საბა იშხნელი, გრიგოლ ხანძთელი, გიორგი ჭყონდიდელი, პეტრე გეთსიმანიელი), კონკრეტულ საქმეს (მაგ., ბასილ მხხრეკელი, სვიმეონ მგალობელი, გიორგი მერჩულე, კვირიკე მოძღვარი, იოანე მმოსველი, ხუცესმონაზონი იოაკიმი), ბერ-მონაზვნობის ფორმას (დავით გარესჯელი, ეზრა დაყუდებული, გიორგი შეყენებული, პავლე განთვისული, შიო მღვიმელი, მიქაელ მწირი, კვირიკე სოხასტრელი), ასაკობრივ განსხვავებას (მაგ., ეფრემ დიდი, ეფრემ მცირე, გაბრიელ მცირე, გიორგი მცირე), გარეგნულ ნიშნებს (მაგ., იოსებ შავი, იოანე უხამური, შავშემოსილი გიორგი, სვიმეონ თავშიშველი, შავ-ზაქარია, საბა კუტი, იოანე ჩირა, იოანე მელი, იოანე ყია, მიქაელ ტყემლობილი, არსენ გოგოფა), ყოფილ სტატუსს (მაგ., ანტონ ლიპარიტყოფილი, იოვანე პატრიკყოფილი, სტეფანე მნათეყოფილი, ბასილ თორელყოფილი), სულიერ თუ ფიზიკურ მდგომარეობას (იოანე გაცვეთილი, მიქაელ მოდრეკილი, სალომე წამებულის, ბასილ აღდგომელი, გრიგოლ ბერი, მართა მონაზონი, მაკარი უძლური).

ზოგი მათგანს მამის სახელი ქცევია გვარად (მაგ., ეკატერინე შტროის ასული, ნიკოლოზ კატარაწის ძე, ვაჩე მხუელისის ასული თებრონია, მარკოზ ცონცორაკაძის ასული წული, ანასტასია აქიმის ძე, ამონა ვახტანგ მოძარღულისძე, მაკარი გიორგი გრძელისძე, ილუმენია ხარიტონი ასული ანჩაფიშვილისა, ჯავახის ასული ბობა, იოანე ბუქა-

ისძე, იოანე საბანისძე, იოანე თაფლაისძე, იოანე ჯიბის ძე, საბა სულაძისძე).

ამ სახელთა მასაში დღევანდელი გაგების გვარი არცერთს არა აქვს. აქ ჩანს მხოლოდ ტენდენცია, განმასხვავებელი ნიშნები, რაც მომავალში იქცევა ნათესაობის აღმნიშვნელად და შთამომავლობას გადაეცემა მამის ხაზით.

გვართა ჩამოყალიბების პროცესი ხანგრძლივი იყო და იგი ძირითადად სრულდება XI საუკუნეში.

საერთოდ XI საუკუნე ძალიან მნიშვნელოვანია ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობისათვის.

ადამიანთა სიმრავლეში, კონტაქტების სიხშირესა და განფენაში გვარს, სახელსა და მამის სახელს შეაქვს წესრიგი, ამასთანავე – ნაწილობრივ გვიჩვენებს გენეტიკურ და ეთნიკურ კავშირებს, რელიგიურ მრწამსს. ეს პროცესი განსაკუთრებით აშკარაა XI საუკუნიდან (ევროპაში გვარები ჩნდება X საუკუნიდან).

როგორც ვხედავთ, ბერ-მონაზონთა სახელები მთლიანად ებრაული და ბერძნულია. უარყოფილია როგორც ირანული, ისე ქართველურ-წარმართული ონომასტიკა.

როგორც წესი, ბერად აღკვეცილს ერისკაცობის სახელი ეცვლებოდა ბიზანტიაში მიღებული ბერძნულ-ებრაული (ბიბლიური) სახელებით (მაგ., იოანე ათონელს ერქვა აბულჰერიტი). შეიძლება ამიტომ მიიღო მასობრივი სახე ქრისტიანულმა ონომასტიკამ, ეს მაშინ, როცა საერო პირებს რქმევიათ ქართული სახელები, მათ შორის – ელიტაშიც:

მაგ., „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებასა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“: კაცისა – ია, ლაკლაკი, გარბანელი, სულა, ცქირი, გვარამი, ქურდია, კუპრა, წერტა, ქალისა – ბევრელი, თეკლა, კრავი, ლატავრი, ან – წარწერები საყდრების კედლებსა და წიგნებზე – ქალის სახელები – გუდა (წყისე, 616-619), დედოფალი გუარამავრი (837 წ.), ცხოვრება (XI ს.), თაგუნა (936, შატბერდ – ჯრუჭის სახარების გადამ-

წერის გაბრიელ მღვდლის დედა), კაცის სახელები – თარხუჯ და კახა (853, ატენის სიონი), ზვიას ერისთავი (X ს-ის II ნახევარი, კუმურდო), კაცა (X-XI ს. ს., ნინოწმინდა), ჭიტა (1074, სინას მთა), მორჩა (XI ს. იშხანი), კალატოზი სიხარულა (XI ს. პარხალი), ხუროთმოძღვარი საკოცარი (X ს., კუმურდო), მცხუედი ხანძთელი (X ს.), ვაჩნა და შურტა (ზედაზნის კანკელზე გამოსახული მხედრები – X ს.), ხსართან მღვდელი („ჰაბოს წამებაში“).

შდრ – ზოგი მეფისა და ბაგრატიონის ზედწოდება – დავით მოკლული, აშოტ კეკელა, ბაგრატ რეგვენი, ადარნასე ბრმა, თეოდოსი მწუხარე (აფხაზთა უსინათლო მეფე), ასევე – სევასტოსისა და კურაპალატის ხარისხებით მოხსენიება.

თუ არ გვაქვს ასეთი განმყოფი ეპითეტი თუ ზედწოდება, მაშინ წარმოიშობა დილემა – ორი ექვთიმე, ორი დავითი, ორი მიქაელი, როცა ისინი თანამედროვენი არიან.

ონომასტიკა და ზედწოდება გვიჩვენებს, როგორც სასულიერო და საერო პირთა განყოფას, ისე კულტურაში მასობრივი და ელიტარული ნაკადების პარალელურ არსებობას, კულტურის ორიენტაციას, ინდივიდების კონკრეტიზებას, გვარების ჩამოყალიბებას.

## 2. წმინდა მიწის მადლი

უფლისციხე, მცხეთა, უჯარმა, ტფილისი იყო იბერიის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრები სხვადასხვა დროს. მცხეთაში იჯდა იბერიის კათალიკოსი. მაგრამ დროის ქარბორბალამ უფლისციხე, მცხეთა და უჯარმა გაანადგურა, სოფლებად აქცია. ტფილისი არაბებმა ჩაიგდეს ხელთ და აქ მათი ამირები ისხდნენ, რომლებიც აღარც ბაღდადს ემორჩილებოდნენ.

ბერ-მონაზვნებს, კულტურის მუშაკებს, ეკლესია-მონასტრების მამნებელთ უნდა ეძებნათ მყუდრო სამყოფელი, როგორც ეს გააკეთეს VI საუკუნეში ასურელმა მამებმა.

ამიტომ დიდი იყო ლტოლვა უცხოეთის რელიგიურ-კულტურული ცენტრებისაკენ, ამიტომ მიაშურა გაუკაცრიელებულ შავშეთ-კლარჯეთს გრიგოლ ხანძთელმა.

ბერ-მონაზვნები განუდგნენ კაცთა სამყოფელს, რათა მათთვის თავიანთი გარჯითა და უფლის დიდებით სიკეთე მოეტანათ. განსაკუთრებით დიდი იყო სწრაფვა წმინდა მიწისაკენ, უფლის საფლავის სიახლოვეს დავანების სურვილი.

ასე – ცხოვრებისაგან განრიდებით უფლის მსახურები იცავდნენ ქვეყნის ინტერესებსაც და კარგად არჩევდნენ მომავლის პერსპექტივას.

მშობლიურ გარემოსთან და ახლობელთაგან განშორება თუ ერთი მხრივ მაინც სამნელო იქნებოდა, მეორე მხრივ – წმინდა მიწის სიახლოვე მორწმუნის გულს ნეტარებით ავსებდა.

მათ ქართულ მიწაზე მობრუნება არ ეწერათ.

## საბაწმინდა

საბას ლავრა, მისი ეკლესიები „ნათლით შემოსილ“ იერუსალიმთან ახლოს მდებარეობს და იუსტინიანეს დროს გალავნით შემოუზღუდავთ (ლ. მენაბდე).

დამაარსებელი იყო საბა განწმენდილი, რომლის ცხოვრება ითარგმნა VIII საუკუნეში.

ლავრას ჰქონდა ეკლესიებისა და ბერთა სენაკების გარდა სასტუმრო, ქსენონი (სასნეულო), ჯერაკუმია (თავშესაფარი), წიგნსაცავი, საძვალე.

აქ ცხოვრობდა ასეულობით ბერი, მათ შორის – ქართველებიც.

საბაწმინდაში მოღვაწეობდნენ იოანე დამასკელი და კოზმა იერუსალიმელი – დიდი ბიზანტიელი ჰიმნოგრაფები.

იოანე დამასკელს შეუქმნია ლიტურგიკული გალობანის სტრუქტურა.

ქართველები აქაც ებრძოდნენ მწვალებლებს. მაგ., კირილე სკვი-  
თოპოლელის ცნობით, ლაზები თავს დასხმიან მომძლავრებულ ორი-  
გენეს მიმდევრებს, შევარდნილან დიდი ლავრის ქსენადუქში (სას-  
ტუმროში), ქვებით დაულეწავთ სარკმლები.

ამ შეტაკებისას ერთი ლაზი ბერი დაღუპულა.

ქართველები ისე მომრავლდნენ, რომ თავიანთი ეკლესიაც ააშე-  
ნეს, ქართულ ენაზე კითხულობდნენ წიგნებს, სახარებასა და სამოცი-  
ქულოს, აღავლენდნენ ლოცვებს.

ბერძნებს ეს არ მოსწონდათ და ამიტომ წერს საბა განწმენდილი  
თავის ანდერძში, რომ იბერიელებსა და ასურებს ჟამისწირვა თავიანთ  
ენაზე არ უნდა შეესრულებინათ (VI ს.).

ისტორიის მწელებდობა, ირანელთა, სარკინოზთა და თურქ-სელ-  
ჯუკთა მიერ მონასტრების დარბევა ართულებდა ბერ-მონაზონთა  
ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ქართველები მაინც არ წყვეტდნენ კავშირს ამ დიდ სავანესთან.  
ზოგნი ხანგრძლივი დროითაც სტუმრობდნენ, ეცნობოდნენ კულტურ-  
ულ სიახლეს, ახალ ხელნაწერებს, მოილოცავდნენ წმინდა ადგი-  
ლებს. მაგ., ილარიონ ქართველს (IX ს.) აქ მთელი შვიდი წელი უდ-  
ვაწია. წმინდა ადგილების მომლოცველ, მოხეტიალე ბერს პილიგრი-  
მი ერქვა.

1966 წელს ქართველთაგან დიდი ხნის წინათ დაცარიელებულ  
ლავრაში კლდეში ჩაშენებული ქართული მონასტერი უნახავთ მწე-  
რალ ილია რურუას, რეჟისორ გურამ პატარიას და ოპერატორ გ. მელ-  
ქამეს.

საბაწმინდის ლავრაში ძირითადად ბერძნულ ტექსტებს წერდნენ  
და გადაწერდნენ. მაგრამ იყვნენ ქართველები, სომხები, ასურელები,  
ქრისტიანი არაბები.

აქ შემუშავდა ქართული სახარების მეორე, საბაწმინდური ანტი-  
ხანმეტური რედაქცია (კ. კეკელიძე, ა. შანიძე) და ტიპიკონი, რომელ-  
მაც შეცვალა „იერუსალიმის განჩინება“.

საბაწმინდური ტიპიკონი („განგება“) 826 წელს ჩამოიტანეს გრიგოლ ხანძთელის დავალებით.

ლ. მენაბდე გვაცნობს იმ ქართველ მწიგნობრებს, რომელთაც უღვაწიათ საბაწმინდაში – მარტვირი საბაწმინდელი, სეითი, მაკარი ლეთეთელი, პიმენ კახი, ამონა, ბასილ საბაწმინდელი, გიორგი ტფილელი, არსენი, იოანე ზოსიმე, სვიმეონ მაგლობელი, მიქაელ ჩიხუარელი, იოანე მოსხი (თუმცა მას ქართველად არ მიიჩნევენ), ამბაკომ თორმანეულელი.

მათგან მარტვირი საბაწმინდელი ცხოვრობდა VII საუკუნეში. მას სირიულიდან უთარგმნია მარტვირი საჰდონას ასკეტიკურ-მისტიკური ნაშრომი „სინანულისა და სიმდაბლისათვის“ (ჟ. გარიტი), უთარგმნია ფრიად შემცირებული სახით (კ. კეკელიძე).

იგი ყოფილა ჯერ საბაწმინდის წინამძღვარი, შემდეგ – ეპისკოპოსი.

საბაწმინდაში შეადგინეს და გადაწერეს 864 წელს მრავალთავი, პირველი თარიღიანი ხელნაწერი. იგი 18 ავტორის 50 თხზულებისაგან შემდგარი კრებულია (პირველი სრული გამოცემა ეკუთვნის აკ. შანიძეს).

კრებულის ერთ-ერთი გადამწერს, მაკარი ლეთეთელს, იგი მაშინვე შეუწირავს სინას მთის მონასტრისათვის, სადაც დღესაც ინახება.

სეითს უთარგმნია 25 ჰაგიოგრაფიული ტექსტი (კ. კეკელიძე). საბაწმინდაში შეუდგენია იოანე ზოსიმეს (X ს.) კალენდარულ-ჰიმნოგრაფიული კრებულები – „მცირე იადგარი“, „იადგარი საწელიწდო“, „კრებაჲ თთუეთაჲ წელიწდისათაჲ“.

აქ დაუწერია „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, რომელიც დაურთო სხვადასხვა კრებულებს (პ. ინგოროყვას აზრით, იოანე ზოსიმე არის მხოლოდ გადამწერი, ხოლო თავად ტექსტი უნდა შექმნილიყო კლარჯეთში).

პასქალისტურ კრებულს ერთვის აკროსტიქული ლექსი „გუნდნი იგი ზეცისანი“, რომელიც მაღალი შაირის ერთ-ერთი პროტოტიპია (პ. ბერაძე).

ლექსი ურითმოა და არც მეტრია დაცული, გარდა ოთხმარცვლედნი მუხლისა.

იოანე ზოსიმეს თავის კალენდარში „კრებაჲ თთუეთაჲ წელიწდისათაჲ“ შეუყვანია ქართველი წმინდანებიც – ჰაბო ტფილელი, არჩილ მეფე, შუშანიკი...

ამ ავადმყოფ კაცს საკმაოდ ბევრი უშრომია და დიდხანსაც უცოცხლია.

საბას ლავრაში მრავალი წიგნი ითარგმნა, ითარგმნა ძირითადად ბერძნულიდან, ზოგი – არაბულიდანაც.

XI საუკუნეში ქართველ ბერებს წიგნები სინას მთაზე გადაუტანიათ და თავადაც იქ გადასულან.

## პალავრა

სინას მთისკენ დამრულან პალავრელი (ხარიტონის) ბერებიც და მათაც იქ გადაუტანიათ წიგნსაცავი, ალბათ მუსულმანთა მოძალეული აგრესიის ან თურქ-სელჯუკთა შემოსევების გამო.

ქართველ ბერებს აქ უცხოვრიათ X-XI საუკუნეებში.

პალავრაც იერუსალიმთან არის. იგი IV საუკუნეში დააარსა ხარიტონმა, მკაცრ და მიუდგომელ ადგილზე.

აქ მოღვაწე ქართველები, როგორც ჩანს, ტაო-კლარჯეთიდან ყოფილან. მაგ., იოანე საფარელი, მიქაელ ფანასკერტელი; ზოგიც, მაგ., დავით ხახულელი (ტფილელი) ოცნებობდა ხარიტონწმინდაზე, იქ წასვლაზე.

იოანე საფარელს გადაუწერია გიორგი ალექსანდრიელის „იოანე ოქროპირის ცხოვრება“, სვიმეონ მაგლობელს – „იადგარანი“, შედგენილი თეოდორე პალავრელის დავალებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგიოგრაფიული კრებული (X ს.), რომელშიც შეუტანიათ მრავალი ბიზანტიელი მოწამის ცხოვრებათა და წამებათა ტექსტები.

ეს წიგნი ინახება სინას მთაზე.

ასეთივე კრებული, რომელიც შეიცავდა იოანე ოქროპირისა და ეფრემ ასურის ცხოვრებათა ტექსტებს, გადამწერს ბერ გრიგოლს შეუწირავს დერტავის დედათა მონასტრისათვის.

ამ მონასტერში ცხოვრობდნენ ქართველი მონაზვნები.

IX საუკუნის მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც კონსტანტინე-პოლმა საბოლოოდ დაგმო ხატთმებრძოლობა (ბერ-მონაზონთა უმრავლესობა ადრევე ხატებს ემხრობოდა), დაძლეულ იქნა სულიერი ცხოვრების კრიზისი და განდგომილთა რიგები ახალი ნაკადებით შეივსო.

## სინას მთა

სინას მთა იყო ის ადგილი, სადაც ღმერთი გამოეცხადა მოსეს ცეცხლის ალითა და ჭექა-ქუხილით, სადაც გადასცა ებრაელთა წინამძღოლს კაცთა სამწყემსად ათი მცნება.

სინას მთა მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულზე წითელ ზღვასთან, სადაც კლიმატი მკაცრია, ადგილი – მაღალმთიანი.

ეკატერინეს მთა ყოფილა 2.637 მ, ეკატერინეს მონასტერი კი გაუშენებიათ 1528 მეტრის სიმაღლეზე (ლ. მენაბდე).

აქ ბერები დასახლებულან III საუკუნიდან. შემდეგ არაერთხელ დაურბევიათ და ამოუწყვეტიათ მთელი პერსონალი.

მიუხედავად ამისა, სინას მთას ეტანებოდა ბერების ახალ-ახალი ნაკადი. იმპერატორებიც ყურადღებას აქცევდნენ. მაგ., იუსტინიანეს აუგია დიდი და შემოზღუდული ტაძარი.

VI საუკუნიდან გამოჩნდნენ ლაზები. შემდეგ მიემატნენ იბერები. მათ აქ საკუთარი ეკლესიებიც ჰქონიათ – იოანე ღვთისმეტყველისა და წმ. გიორგისა. ზოგი მათ რიცხვს ზრდის ოთხამდე (პ. უსპენსკი).



აქ დავით აღმაშენებელს აუშენებია მონასტერი, გაუგზავნია წიგნები და „მრავალი განძი“. შემდეგი დროის მეფეებიც არ აკლებდნენ დახმარებას, ასევე – დედოფლები, მთავრები, კათალიკოსები, დიდებულები, საეკლესიო პირები.

სინას მონასტერს მამულები ჰქონია ქართლში.

ქართველები XV საუკუნიდან აღარ არიან სინაზე. მხოლოდ ცალკეული პილიგრიმები თუ ეწვეოდნენ ამ ინტერნაციონალურ სადგურს.

ზამთრის ქარბუქსა და ყინვაში, ზაფხულის თაკარა სიცხეში ბერები შრომობდნენ, წერდნენ და გადაწერდნენ, თარგმნიდნენ, ადგენდნენ კრებულებს.

X საუკუნეში ქართველ ბერებს ჰქონიათ წიგნსაცავი, წიგნების ნუსხა და კატალოგი.

სხვებიც წირავდნენ წიგნებსა და ხელნაწერებს.

სინას მთაზე დაცულ ხელნაწერებს სწავლობდნენ პ. უსპენსკი, ა. ცაგარელი, ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, რ. ბლეიკი, ჟ. გარიტი.

მათ აღწერეს ხელნაწერები და ნაწილი გამოსცეს. ისინი დარჩა სინას მთაზე. ცალკეული ფურცლები გაფანტულია მრავალ ქალაქში (ლ. მენაბდე).

სინას მთას უკავშირდებიან მიქაელ ფანასკერტელი, იოანე კუმურდოელი, თეოდორე წყუდელოელი, გრიგოლ მომგებელი, იოანე მინჩხი, იოანე ზოსიმე, კვირიკე დეკანოზი, გაბრიელ მოძღვარი, გიორგი მღვდელი, მიქაელ დეკანოზი, მიქაელ ღრდულელი, კვირიკე მიძნაძორელი, კვირიკე სოხასტრელი, ეზრა ქობულეანისძე, გრიგოლ მღვდელი, ბასილ ხუცესმონაზონი, იოანე სინელი, მიქაელ მხრეკალი, თეოდორე სამოთხელი, იოანე გოდორაელი, ჯოჯიკეული, ელისე ჩიდანძე, დავით მოძღვარი, გიორგი მანაველი, მათე, თეოდორე მწერალი...

სინას მთის ხელნაწერებს შემოუნახავს იოანე მინჩხის საგალობლები.

აქაც ბევრი უღვაწია იოანე ზოსიმეს – „ბოროტად მოხუცებულს“, „ხაშმიანსა და ბრმას“, „დიად უღონოს“.

იგი მთარგმნელი არ ყოფილა, თუმცა სცოდნია ბერძნული.

## ჯვარის მონასტერი

იერუსალიმის ჯვარის მონასტერი აუშენებიათ თუ განუახლებიათ XI საუკუნეში, ბაგრატ IV-ის „საფასით“, საბაწმინდის ბერის გიორგი – პროხორე შავშელის ხელმძღვანელობით (შემდეგში – ჯვარელი).

ე. მამისთვალიშვილის მტკიცებით, გიორგი და პროხორე სხვა-დასხვა პირია.

შეურჩევიათ ის ადგილი, სადაც მდგარა ლიბანიდან მოტანილი ნაძვის ხე. ამ ხისგან გაკეთებულ ჯვარზე აცვეს იესო ქრისტე.

ლეგენდის თანახმად, ადგილი იშოვა მირიან მეფემ (IV ს.) და მანვე ააგო მცირე ეკლესია (მაშინ იერუსალიმში მიწა ყველას შეეძლო აეღო, რათა დანგრეულ ქალაქში ვინმეს რაიმე აეშენებინა). ე. მამისთვალიშვილი ამშენებლად მიიჩნევს პეტრე იბერს, რომელიც იქვე დაუკრძალავთ. შემდეგ იგი განაახლა პროხორემ, „გლახაკმა და ფრიად ცოდვილმა“.

მთავარი ტაძრის კედელზე ამ გადმოცემის განსამტკიცებლად გამოუსახავთ სამი მეფე – მირიანი, ვახტანგ გორგასალი და ბაგრატ IV.

მშენებლობა ოც წელზე მეტხანს გაგრძელებულა.

საბოლოოდ აიგო სამ და ოთხსართულიანი, გალავნით შემოზღუდული ციხე-ქალაქი, 270 სათავსით, ოთხი სვეტითა და გუმბათით.

ტაძრის სიგრძე-სიგანე – 27,5X15,2 მ.

მაშინვე დაუწყიათ კრებულების შედგენა, ხელნაწერთა გადაწერა, რათა მონასტერს ჰქონოდა წიგნსაცავი. მაგ., მამათა და დედათა „ცხოვრება-წამების“ ტექსტები. გადაუწერიათ პარაკლიტონი, ოთხთავი, ჟამნი, თთუენი (შავი იოანე, იოანე დვალი, მიქაელ დვალი, გიორგი დოდი, მიქაელ გურგენისძე...).

იქვე დაუწერიათ „პროხორეს ცხოვრებაც“.

ძირითადად კი ჯვარის მონასტერი კალიგრაფთა კერა ყოფილა (ლ. მენაბდე).

1071 წელს თურქ-სელჯუკებმა დაიკავეს იერუსალიმი.

1099 წელს ჯვაროსნებმა გაათავისუფლეს წმინდა ქალაქი და დახოცეს უამრავი მუსულმანი.

მონასტერი ორივეჯერ გადაურჩა ძარცვა-რბევას.

არსებობს ვარაუდი, რომ ერთხანს აქ მოღვაწეობდა არსენ იყალთოელი (XII ს.), შემდეგ – ნიკოლოზ გულაბერისძე, საქართველოს ყოფილი კათალიკოსი.

1187 წელს სალადინმა ჯვაროსნებს წაართვა იერუსალიმი.

თამარ მეფემ საგრძნობი თანხა გადაუხადა მუსულმანებს, როგორც ხარკი. მონასტერსაც უხვი შეწირულობა მისცა.

ამის შედეგად მონასტრის ბინადართ და პილიგრიმ ქართველებს თავისუფლება მიენიჭათ. მათ თავად არაბი მოხელე იცავდა.

ქართველებს ჰქონდათ უფლება იერუსალიმში გაშლილი დროშებით შესვლისა.

ჯვარის მონასტერი განაახლა და მოახატინა შოთა რუსთველმა, მეჭურჭლეთუხუცესმა. ამის გამო დაწესდა „აღაპი შოთაძსა მეჭურჭლეთუხუცესისაჲ“, არაუგვიანეს XIII საუკუნის პირველი ნახევრისა (ე. მეტრეველი).

თვითონაც გამოხატულია სვეტზე მაქსიმე აღმსარებელსა და იოანეს დამასკელს შორის, ფერხთით, მუხლმოდრეკილი, ხელაპყრობილი, მოხუცებული – ბიზანტიური სტილის ვაზირის სკარამანგის სამოსელში:

„ამისა დამხატავსა შოთას შეუნდვნეს ღმერთმან. ამინ. რუსთველი“. გადაღებული ფრესკა აღადგინეს და სურათი საქართველოში ჩამოიტანეს ირ. აბაშიძემ, აკ. შანიძემ და გ. წერეთელმა 1961 წელს.

გამოსახულება 1643 წლით თარიღდება (კ. კეკელიძე, თ. ვირსა ლაძე). არაერთი მეცნიერი კი XIII საუკუნეს განაკუთვნებს.

აქ იყო დაცული ხანძთაში დაწერილი გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, რაც პირველად დააფიქსირა ი. გედევანიშვილმა (XVIII ს-ის 80-იანი წლები).

ტექსტი 1902 წელს გადაიწერა და 1911 წელს სანიმუშო ფილოლოგიური აპარატურით გამოსცა ნიკო მარმა. მანამდე ერთი ნაწყვეტი ნ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა ჯვარის მონასტრის სიძველთა აღწერილობაში 1889 წელს გაზეთ „ივერიაში“.

როცა ქართველ ხალხს მძიმე ჟამი დაუდგა, ჯვარის მონასტერსაც მოაკლდა მზრუნველი ხელი. ერთხანს მუსულმანებმა იგი მეჩეთადაც კი გადაკეთეს. ქართველებსაც დაუწესეს ცხენ-სახედარზე ქალურად, გვერდულად დაჯდომა.

30 წლის შემდეგ ქართველებმა დაიბრუნეს მონასტერი, მოლაპარაკებისა და ალბათ ხარკის გადახდის ფასად. აღიდგინეს პრივილეგიებიც.

მეფე-მთავრები შემდეგაც უხვად ეხმარებოდნენ ჯვარის სავანეს. აქ კვლავაც მოღვაწეობდნენ ქართველი ბერები, ეწვეოდნენ პილიგრიმები, სწირავდნენ წიგნებს. იყვნენ არაქართველებიც (მაგ., სომხები).

XIV საუკუნეში ქართველებმა გიორგი ბრწყინვალის მონღოლებითა და ეგვიპტის სულთანის მხარდაჭერით მოიპოვეს ქრისტეს საფლავის ეკლესია და კლიტე.

გოლგოთის ნაწილს ქართველი ბერები ფლობდნენ XI საუკუნიდან.

1400 წლის ერთი მინაწერი გვამცნობს:

„ესე უწყოდით ყოველთა ქართველთა: ღმრთისაგან, მეფეთაგან, სურტანთაგან მოცემული და ნაბოძვარი (არის) აღდგომის სალოცავი ეკლესია და სახლი, სადაცა არს ადამის თხემი გოლგოთა“.

გოლგოთა ებრაულად თავის ქალას ნიშნავს.

XV საუკუნის შუაწლებში ქართველებმა დაკარგეს ქრისტეს საფლავის ეკლესია და გასაღები. თუმცა მანამდე შეძლეს სომეხთა ეპისკოპოსის მარტიროსისაგან თავის დაცვა.

1516 წელს ოსმალებმა დაიპყრეს პალესტინა.

მათ დიდი გადასახადი დაუწესეს ქრისტიანებს. ქართველები მანც ინარჩუნებდნენ ჯვარის მონასტერს. არ წყდებოდა მომლოცველთა ნაკადი, როგორც ქართველთა, ისე უცხოელთა.

ქართველ მეფე-მთავრებს უფრო და უფრო უჭირდათ ეკლესია-მონასტრების შენახვა – ვალების დაფარვა, კონტიგენტის რჩენა, იერუსალიმის საპატრიარქოსა და მუსულმან მმართველთათვის საფასურის გადახდა.

იკარგებოდა ეკლესია-მონასტრების ყმა-მამულებიც, ის დიდი ქონება, რომელსაც ფლობდნენ როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში.

რბევასა და ხანძარს გადარჩენილ კედლებსა და მათ ბინადართ უსახსრობა უღებდათ ბოლოს.

XVIII საუკუნიდან დაიწყო სრული კრიზისი – ქართულ ტაძრებს ბერძნები ეუფლებოდნენ და ცდილობდნენ ქართული კვალის წაშლას.

XIX საუკუნის დამდეგს ჯვარის მონასტერში არცერთი ქართველი ბერი აღარ ცხოვრობდა. მხოლოდ ქართველი და უცხოელი მეცნიერები ეწვეოდნენ ხოლმე, სწავლობდნენ და აღწერდნენ ხელნაწერებს (მაგ., ნ. ჩუბინაშვილი, ა. ცაგარელი, ნ. მარი, რ. ბლევკი...).

იერუსალიმში ქართველებს ეკუთვნოდათ კიდევ არაერთი მონასტერი – გოლგოთა, უფლის საფლავი, აღდგომა, შეჰანი, გეთსიმანია, ბასილის, თეოდორეს, ნიკოლოზის, სამოელის საყდრები, დედათა სამი სავანე-კაპპათა, დერტავი, დერთუფა (ლ. მენაბდე).

მათ კედლებშიც ხშიანობდა ქართული სიტყვა და წირვა-ლოცვა.

დღეს ყველა მათგანი დაკარგულია.

იერუსალიმის შემოგარენში მიაგნეს კიდევ ერთი ქართული მონასტრის ნაშთებს (ჯ. სელიგმანი).

მას ფურტავი რქმევია.

იგი ყოფილა დედათა მონასტერი. მის აკლდამაში აღმოჩნდა 30 ქალის ნეშტი.

გამოვლინდა ასომთავრული წარწერაც სამარხი ქვის ფილაზე, რომელიც გვაცნობს ეპისკოპოსს იოჰანე ფურტაველ ქართველს.

აქ პირველად იხსენიება ეთნონიმი ქართველი.

VII საუკუნეში მონასტერი არაბებს დაუნგრევიათ (ბ. ხურცილავა). აქ ქართული (მეგრულ-ლაზური) დასახლებაც ყოფილა – მალხა, რომლის შემოსავალით სარგებლობის უფლება 1347 წელს სულთანს მიუცია ქართველი ბერებისათვის. მალხელი ქართველები XVI საუკუნეში გამუსულმანდნენ და დაკარგეს ნაციონალობა. მაგრამ შემორჩა საგვარეულო კლანი ჯავარიში (მეგრ. ჯვარისა).

## შავი მთა და ეფრემ მცირე

შავი (საკვირველი) მთა მდებარეობს სირიაში, ანტიოქიის მახლობლად. აქ ბერები გამოჩენილან ჯერ კიდევ IV საუკუნეში. მაგრამ განსაკუთრებული პოპულარობა მოუტანა სვიმეონ მესვეტე – უფროს-მა (356-459).

მან ოცდაათი წელი გაატარა სვეტზე მარტოობაში.

მას იცნობდნენ ქართველებიც.

ასევე იცნობდნენ და, უფრო მეტიც – მოწაფეებად თვლიდნენ თავს ქართველი ბერები სვიმეონ მესვეტე-უმცროსისა (521–592).

ეს ფაქტი ფიქსირებულია სვიმეონის ცხოვრებისა და დედამისის ნეტარი მართას ცხოვრებათა ტექსტებში.

მართას ცხოვრება ბერძნულიდან უთარგმნია დავით ტბელს და აქ პირველად იხსენიება ტერმინი „საქართველო“ (ლ. მენაბდე).

ქართულად თარგმნილია ორივე სვიმეონ მესვეტის ცხოვრებაც. მათი მიბაძვით კი საქართველოს კუთხეებში გაჩნდა ე. წ. სვეტები.

როგორც ვთქვით, ქართული ტრადიცია სვიმეონ მესვეტეს უკავშირებს ასურელ მამებსაც.

ქართველთა სიმრავლე შავ მთაზე შენიშნულია IX საუკუნიდან. აქ არსებულ 12-ვე მონასტერში მოღვაწეობდნენ ქართველი ბერები.

ესენია – სვიმეონწმიდა, რომანაწმიდა, პროკოპიწმიდა, წყაროს მონასტერი, ბარლაამწმიდა, ლერწმისხევი, ეზრას მონასტერი, კალიპოსი, კასტანა, თუალთა, ალექსანდრიის, თომას მონასტრები.

სვიმეონწმიდაში ყოფილა გიორგი შეყენებული. მას უცხოვრია „ნაპრალსა შინა კლდისასა“ (XI ს.).

გიორგი შეყენებულს გამოურჩევია გიორგი ათონელის ნიჭი და გაუგზავნია იერუსალიმსა და ათონის მთაზე.

აქაც იყვნენ მთარგმნელები, გადამწერები, წიგნის შემმოსველები. ჰქონიათ წიგნსაცავი. ჰქონიათ კონტაქტი ათონელ ბერებთან.

აქაურმა ბერებმა, განსაკუთრებით გიორგი ათონელმა, კიდევ ერთხელ დაიცვეს ანტიოქიის ეკლესიის წინაშე ქართული ეკლესიის ავტოკეფალია.

კამათს დასწრებია თეოფილე ქართველი – ტარსუს მიტროპოლიტი.

რომანწმინდაში მუშაობდა სამი წელი გიორგი ათონელი, შემდეგ – კალიპოსში. აქ იგი ფარულად მოვიდა ხახულიდან, თავ და ფეხშიშველი, ვიღაც გლახაკის დაბეჭვილი ძაძვით, მშიერ-მწყურვალი.

ლერწმისხევში გადაუწერიათ ოთხთავი (XI ს.), რომელსაც შემდეგ რუსის ოთხთავი დაერქვა.

თუალთა მონასტერში მოღვაწეობდა ილარიონ დიდი, ერთხანს გიორგი ათონელის მასწავლებელი.

ბარლაამწმინდაში უცხოვრია საქართველოდან ბაგრატ IV-ის მიერ გაძევებულ ლიპარიტყოფილ ანტონს.

ეს სავანე მას აუშენებია და უთარგმნინებია საღმრთო წიგნები.

XI საუკუნეში შავი მთის ბინადარნი არიან – ეფრემ მცირე, საბა თუხარელი, იოანე ფარაკნელი, ეფრემ ოშკელი, იოანე მთავარძსძე, ანტონ ტბელი, სტეფანე ჭულეველი, არსენ იყალთოელი, იოანე, კვირიკე, გაბრიელი, გიორგი შეყენებული, გიორგი ათონელი, ანტონ ლიპარიტყოფილი, შავ-ზაქარია, ილარიონ თუალელი, ნიკოლას ხუცესი,

იოანე დეკანოზი, არსენ კალიპოსელი, ბასილ კალიპოსელი, გიორგი იბერი, გიორგი მცირე...

შავი მთის მოღვაწე ქართველ მამათგან საყოველთაოდ ცნობილია ეფრემ მცირის სახელი (XI ს.).

იგი ყოფილა სამცხიდან, გვარად კარიჭისძე. უცხოვრია სვიმეონ-წმინდაში, კასტანაში, სხვა სავანეებში. ბოლოს იყო კასტანას წინამძღვარი.

ეფრემ მცირემ თარგმნა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერის) თხზულებები (იხ. „პეტრე იბერი – ფსევდო-დიონისე“).

დიდი თეოლოგიური ცოდნისა და ბერძნული ენის ღრმა ცოდნის გარეშე ეს შეუძლებელი იყო.

ეფრემის მოსვლამდე შავ მთაზე 60 ქართველი ბერი ცხოვრობდა. მათგან მხოლოდ გიორგი ათონელი ყოფილა ბერძნული ენის კარგი მცოდნე.

ეფრემმა შემოიღო პუნქტუაცია იოანე ფარნაკელის რჩევით, თუმცა თითქოს იგი ადრეც არსებულა.

ფსევდო-დიონისეს გარდა თარგმნა იოანე დამასკელის გარდამოცემა – „წყარო ცოდნისა“, გრიგოლ ნაზიანზელის შესხმანი და იაბიკოები, ეპიფანე კვიპრელის „პანარიონი“, ბასილ დიდის „ასკეტიკონი“, ეფრემ ასურის „ასკეტიკონი“, კასიანე ჰრომაელის, პალადი ჰელენოპოლის, თეოდორიტე კვირელის თხზულებები, 11 ჰაგიოგრაფიული ტექსტი, იოანე ოქროპირის ეპისტოლენი, თეოდოსი დიდის, იოანე ოქროპირის, იოანე დამასკელის ცხოვრებათა მეტაფრასირებული ტექსტები, სულ 50-მდე ავტორის 130-მდე თხზულება (დ. თვალთვადე).

რედაქტირებას უკეთებდა უკვე ცნობილ თარგმანებს, აზუსტებდა და ხვეწდა. სათარგმნო მასალის ინიციატორები ყოფილან საბა სულაძსძე თუხარელი და ანტონ ტბელი.

ორიგინალურ ნაშრომთაგან მოღწეულია „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“. ეს არის გიორგი ათონელის პოლემიკის გაგრძელება ანტიოქელებთან ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობაზე.



ეგრემ მცირემ ახალი ბერძნული მასალებით შეავსო დამოუკიდებლობის იდეა, რომ ქართველები მოიქცნენ ნინოს მიერ კონსტანტინეს დროს, რომ აქ იქადაგეს მოციქულებმა – ანდრია პირველწოდებულმა და ბართლომემ, რომ კათალიკოსის დასმის უფლება მიანიჭა ჩვენს წინაპრებს VIII საუკუნეში ანტიოქიის პატრიარქმა, მირონის დამზადება კი – ქალკედონის კრებამ.

ამ მოღვაწის შემდეგ ქრება ქართველთა კვალი შავ მთაზე.

წმინდა მიწის მაღლი ვერ იფარავდა ბერ-მონაზვნებსა და ეკლესია-მონასტრებს მომძლავრებული უსჯულოებისაგან.

გარდა ამისა, დაიწყო ჯვაროსნული ომები და ისინი საომარ ზონაში მოექცნენ.

ბერთა ინტერესი წარიმართა საქართველოსაკენ, რომელიც უკვე დაცული იყო მუსულმანთა რბევა-თარეშისაგან.

### 3. აია სოფიას ნათელი

ბიზანტიის მიმართ ქართველობას გაორებული დამოკიდებულება ჰქონდა – ერთი მხრივ, იგი იყო ქრისტიანობის ციტადელი და იდეალი, მეორე მხრივ იტაცებდა ქართულ მიწებს და მონასტრებს, არც ჩვენი სამეფოები სწამდა, არც ჩვენი დამოუკიდებელი არსებობა, არც ეკლესიის ავტოკეფალია და პატრიარქი.

ეს ჰგავს დღევანდელი რუსეთის პოლიტიკას.

დრამატული ურთიერთობის შენელებას ცდილობდნენ საეკლესიო მოღვაწენი, რათა ქართველობას მთლად ეუღლად, მიტოვებულად და განწირულად არ ეგრძნო თავი. თანაც – ბერძნულ-ბიზანტიური კულტურის სიდიადე არავის ეეჭვებოდა. დიდხანს იერუსალიმიც და ანტიოქიაც ბიზანტიის იმპერიის ნაწილი იყო. მაგრამ ისინი ბერძენთა საკუთრებად მაინც არ აღიქმებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მუსულმანმა არაბებმა დაიპყრეს ეს ქალაქები და ქვეყნები.

IX საუკუნიდან ქართველი ბერ-მონაზვნები ისწრაფვოდნენ იმპერიის ცენტრისაკენ, კონსტანტინეპოლისაკენ, სადაც იდგა იუსტინიანეს მიერ აგებული უპირველესი ქრისტიანული ტაძარი – აია სოფია (აკურთხეს 537 წელს).

ბიზანტიის სამეფო კარი, ეკლესია, მღვდელმსახურება, მწერლობა, თეოლოგია ქართველ მეფე-მთავრებისა და ქრისტიან მოღვაწეთათვის სანიმუშო იყო. ამიტომ მიაჩნდათ საშურ საქმედ თარგმნა, სიახლეთა გადმონერგვა, გადმოტანა და გათავისება.

როგორც ვნახეთ, არაერთი ქართველი მოღვაწე ქმნიდა მრავალეროვნული ბიზანტიური კულტურის მოზაიკას, როგორც არაბულ და სპარსულ კულტურას – სხვადასხვა ერის მუსულმანები.

„ნაკლულევანებად ენისად ჩუენისად“ ასეთი კონტაქტებით აღივსებოდა.

მედიდური და ამპარტავანი ბერძნების მსგავსად უთქვამს ანტიოქიის პატრიარქს გიორგი ათონელისთვის – „დადაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, სხვითა კულა ყოვლითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარ“ (გიორგი მცირე).

ბიზანტიისადმი გაორებული დამოკიდებულების შედეგი, ერთი მხრივ – იყო ნაციონალობის მკვეთრი ზრდა და ქრისტიანობის წიაღში თავჩენილი მეტოქეობის პათოსი, რაც შემდეგ სახელმწიფოებრივ პრაქტიკადაც იქცა (მაგ., გიორგი I, თამარ მეფე), მეორე მხრივ – ელინოფილური კრიტიციზმი.

## ათონის სავანე

ათონი მდებარეობს საბერძნეთში, აღმოსავლეთის მხარეს, ქალკედონის ნახევარკუნძულზე.

აქ კონსტანტინე დიდის დროიდან იწყება სამონასტრო ცხოვრება. აქ თავს იყრიდნენ სხვადასხვა ქვეყნის მოსახლენი, აშენებდნენ თავიანთ მონასტრებს.

ამიტომ ეწოდა ათონს მთა წმინდა.

ქართველებიც ჩაერთვნენ აქაურ ცხოვრებაში, მოღვაწეობდნენ სხვადასხვა მონასტერში. მაგრამ მკვიდრი საფუძველი შეექმნათ მას შემდეგ, რაც ააშენეს თავიანთი მონასტერი.

ეს მოხდა ბარდა სკლიაროსის დამარცხების შედეგად.

ეს მეთაურობდა სარდალი იმპერიის ცენტრს დაემუქრა, დაიმორჩილა მთელი ანატოლია.

საიმპერატორო კარმა დახმარებისათვის მიმართა ტაო-კლარჯეთის მეფეს დავით მესამეს, რომელმაც მიაშველა 12-ათასიანი ლაშქარი.

სარდალად გამოიყვანეს უკვე ბერად აღკვეცილი თორნიკე ერისთავი. იგი ათონზე იმყოფებოდა თავის ძმასთან, იოანესთან ერთად.

თორნიკე და იოანე იყვნენ ვარაზ-ვაჩეს ძენი, ტაო-კლარჯეთიდან, ჩორდვანელები (იგივე ჩორჩანელები).

ქართველ-ბიზანტიელთა მხედრობამ დაამარცხა ბარდა სკლიაროსი. გამარჯვებულ ქართველებს დროებით დაუთმეს სადავო „ზემო ქვეყანათა“ ტერიტორიები, მათ შორის – სამხრეთ ბასიანი. ასევე შეხვდათ ნადავლის საგრძნობი ნაწილი – „ოქროდ და ვეცხლი და სტავრად და სხუად ესევითარი“.

ცხადია, ყველაფერი თორნიკეს არ ერგებოდა. მაგრამ რაც მიიღო, ისიც საკმარისი იყო ახალი და დიდი მშენებლობისათვის (თორმეტ კენდინარზე მეტი, ერთი კენდინარი – 100 ლიტრი ოქრო ან ვერცხლი).

მთაწმინდის ცენტრში გამოძებნეს ადგილი, სადაც ააშენეს ორი ეკლესია – მარიამ ღვთისმშობლისა და იოვანე ნათლისმცემელისა.

ქართველებმა ათონის საბჭოს ორჯერ მისცეს განძი – მშენებლობის დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ (ლ. მენაბდე).

ბიზანტიის მცირეწლოვანმა იმპერატორებმა – ბასილმა და კონსტანტინემ ქართველებს დაუმტკიცეს როგორც ადგილი, ისე სოფლები.

პირველი წინამძღვარი იყო იოანე, ათონის ლავრის წინამძღვრის ათანასეს მეგობარი, თორნიკეს ძმა, ექვთიმე ათონელის მამა.

იგი ათონზე დამკვიდრებულა 965 წელს. ჯერ მზარეული ყოფილა. შემდეგ, ალბათ თორნიკეს დახმარებით, აუშენებია იოანე მახარებლის ეკლესია.

მანამდე ულუმბოზე „ჯორთა მსახურებისა ღუაწლი ახოვნად თავს იდვა“. თავდაპირველად კი ყოფილა ოთხთა ეკლესიაში, ნაადრევად ბერად აღკვეცილი.

იოანემ ათონზე გაატარა 40 წელი (965-1005).

იგი ორგანიზაციულ, პრაქტიკულ და სამეურნეო საქმეებს ხელმძღვანელობდა, ხოლო მისი ვაჟი ექვთიმე – მთარგმნელობით, შემოქმედებით მუშაობას (955-1028).

მეორე ვაჟი იყო მიქაელ მოდრეკილი – ცნობილი ჰიმნოგრაფი. ბერად აღკვეცილან და კალიგრაფები ყოფილან მათი ახლო ნათესავებიც (ზოგი მკვლევარი, მაგ., ნ. სულავა, უარყოფს, რომ ექვთიმე და მიქაელი ძმები იყვნენ).

იოანეც სწუხს, რომ ქართულ ენას მრავალი წიგნი აკლდა და ამიტომ ჩემს შვილს ვასწავლე ბერძნული, რომ ქართულად გადმოეღო ეს წიგნებიო. იგულისხმება ბერძნული განათლება, თორემ მძევლად წაყვანილს ქართული თითქმის დავიწყნია. ექვთიმეც არაერთგზის აღნიშნავს, რომ „ბრძანებითა წმიდისა მამისა ჩუენისა იოანესითა ვთარგმნე ესე“.

კ. კეკელიძის სიტყვით, ათონის მთაზე შეიქმნა სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა ანუ ერთმანეთს შეუსაბამეს მთარგმნელობითი მუშაობა და ხელნაწერთა გამრავლება, ღვთისმსახურება და სამეურნეო საქმიანობა.

იოანე თორნიკეყოფილის დაკვეთით 978 წელს გადაუწერიათ ათონის ანუ ოშკის ბიბლია, იოანე ათონელისა და იოანე თორნიკეყოფილის თაოსნობით – „მამათა სწავლანი“, „იოანე ოქროპირის ცხოვრება“ და სხვა ტექსტები.

იოანე სინელის „კლემასი“ გადაწერა მამა-შვილის იოანესა და ექვთიმეს ბრძანებით იოვანე სვინკელმა.

მამის ავადმყოფობის პერიოდიდან ქართველთა სავანის წინამძღვრის ფუნქციასაც ასრულებდა ექვთიმე (იოანეს ნეკრესის ქარი სჭირდა).

ამ დროს აქ ყოფილა სამასი ბერი.

ექვთიმემ კიდევ უფრო განამტკიცა სავანის მატერიალური მდგომარეობა. პრაქტიკული საქმეებით გადატვირთული შენიშნავს, „უფროდსი ღამით მიწერიაო“, სანთლის შუქზე.

ღმერთშემოსილ ექვთიმეს უწოდებდნენ ახალ ოქროპირს, ენისა და ქვეყნის თარგმანებით ამყავებელს, XIII მოციქულს, მსგავსი ჩვენს ენაზე „არღარა გამოჩინებულ არს“ და იქნებ არც გამოჩნდესო.

როგორც ვთქვით, ექვთიმემ თარგმნა ქართულიდან ბერძნულად „ბალაჰვარი“ და „აბუკურად“. მას სჩვეოდა ტექსტებში ცვლილებების შეტანა, კლება და მატება. ამას ხსნიდნენ ქართული მწერლობის არასაკმარისი განვითარებით – „მაშინ ჩვენი ნათესავი ლიტონ იყო და ჩჩვილ“, „სიჩჩოებისა ჩუენის ნათესავისა სძითა ზრდიდა და მხალითა“ (ეფრემ მცირე).

გიორგი ათონელის ცნობით, ექვთიმეს უამრავი ტექსტი უთარგმნია და ასახელებს კიდევ მათ, თუმცა ესეც არ ყოფილა სრული მონაცემი.

დავასახელოთ ზოგი მათგანი:

დავითნი, სახარება – ოთხთავი, აპოკალიპსი (რაც მანამდე არ თარგმნილა), მოციქულთა აპოკრიფული აქტები, მარიამ ღვთისმშობლის ცხოვრება, იოანე ოქროპირის „იოანეს სახარების თარგმანება“, ასევე – „მათეს სახარების თარგმანება“ ანუ კომენტირება, ბასილი დიდის „ფსალმუნის თარგმანება“, გრიგოლ ნოსელის და მაქსიმე აღმსარებლის ეგზეგეტიკური თხზულებანი, ეპისტოლეთა განმარტება, სხვადასხვა სახის თხზულებანი, რომელთა ავტორებია გრიგოლ ნაზიანზელი, იოანე დამასკელი („წინამძღუარი“, იგივე „გარდამოცემა“ – „წყარო ცოდნისა“), მიქელ სვინკელოსი, გრიგოლ რომთა პაპი, წმინდა ზოსიმე, ამბა დოროთე, იოანე სინელი, ეფრემ ასური, მაკარი მეგ-

ვიპტელი, ანდრია კრეტელი, იოანე ოქროპირი, თეოფანე, კასიანე ჰრომაელი, გრიგოლ ნოსელი, მარკოზ განშორებული, სვიმეონ მესოპოტამიელი, გიორგი ნიკომიდიელი.

უთარგმნია ასევე მრავალი ჰაგიოგრაფიული ტექსტი, მცირე სვინაქსარი – აია სოფიის ტიპიკონის უძველესი რედაქცია, ჟამნი – შედეგთა და განგებათა წიგნი, კურთხევანი, დასდებელნი მარხვათანი, საეკლესიო კანონები (მაგ., მეექვსე კრებისა).

ექვთიმეს ეწადა, რომ ქართველებისათვის მაქსიმალურად გაეცნოს ის უხვი რელიგიური ლიტერატურა, რაც ბიზანტიელებს ჰქონდათ.

იგი თითქოს ჩქარობდა, ცდილობდა ყველაფერი მოესწრო და ქართულად გადმოეტანა. აქ მარტო ის კი არ იყო მიზეზი, რომ ცვლიდა დედანს ქართული მწერლობის „სიჩჩოებით“, არამედ – ამომწურავი ინფორმირება.

ხელს უწყობდა ბერძნული ენის ღრმა ცოდნა, რამაც შეაძლებინა, რომ ქართულიდან ბერძნულადაც ეთარგმნა.

თავისუფალი თარგმანის ტრადიციას შემდეგ შეცვლიან გიორგი ათონელი და ეფრემ მცირე. ისინი ჩათვლიან, რომ უკვე იმდენად გაძდიდრდა ქართული ენა, რომ შეიძლებოდა ზუსტი და თეოლოგიურ-ფილოსოფიური ტექსტების თარგმნაც (მაგ., ფსევდო-დიონისესი).

გიორგი ათონელი ჯერ შავ მთაზე მოღვაწეობდა. შემდეგ თავისი მოძღვრის გიორგი შეყენებულის წინადადებით გადავიდა ათონში, სადაც წინამძღვარი ყოფილა 1044-1056 წლებში.

გიორგიც დიდი მასშტაბის მოღვაწე, შემოქმედი და ორგანიზატორი იყო, დაუცხრომელი პილიგრიმი და მაძიებელი (1009-1065).

1065 წელს ბაგრატ IV-ის ნებართვით 80 უპატრონო ბავშვი წაიყვანა ათონზე აღსაზრდელად და ქართული კოლონიის გასაძლიერებლად.

მეფეს იგი სდომებია ჭყონდიდის მონასტრის წინამძღვრად, რომელიც თავის განსასვენებლად განიშზადა.

ამ დროს უკვე ბერძნები ეძალებოდნენ ქართულ ეკლესია-მონასტრებს და მითვისებას ცდილობდნენ.

გიორგის უნდოდა როგორც წინამორბედთა ღვაწლის წარმოჩენა, ისე ათონზე ქართველთა უფლებების დასაბუთება.

მისი ბიოგრაფის, გიორგი მცირის სიტყვით, გიორგი ათონელსაც ღამით უწერია. გარდა ექვთიმესი, არც ასეთი ვინმე გამოჩენილა „ენასა ჩუენსა და, ვჰგონებ თუ, არცა გამოჩინებად არს“.

გიორგი მცირეც იმავე სიტყვებით ამკობს გიორგი ათონელს, როგორც იგი აქებდა ექვთიმე ათონელს ანუ ხაზგასმულია, რომ მან ექვთიმეს დიდი ტრადიციები ღირსეულად გააგრძელა, სრულყო და შეავსო.

მან თარგმნა ახალი, ქართულად არარსებული ტექსტები, ასევე „განასრულნა და განავრცელნა“ ექვთიმეს მიერ „ვერ სრულქმნულნი“ ნაწარმოებები.

იგი ერთმანეთს უდარებდა ბერძნულ და ქართულ ტექსტებს, რათა ყოველი ნაკლი აღმოეფხვრა, ქართველსაც ბერძნის შესაბამისი სწორი და ზუსტი ცოდნა ჰქონოდა.

ასევე იქცეოდნენ ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი.

XII საუკუნეს ქართველობა ხვდებოდა არა მხოლოდ დავით აღმაშენებლის მიერ გათავისუფლებული და გაერთიანებული სახელმწიფოთი, არამედ ეკლესია-მონასტრებში გაფანტული ბერების თავგანწირული გარჯით შექმნილი დიდი კულტურითაც.

როგორც ვთქვით, ადრე დაბრძენებულმა გიორგიმ მოიარა მრავალი ადგილი და მონასტერი, მიიღო კარგი განათლება და ბერძნულსაც ჩინებულად დაეუფლა.

გიორგის თარგმანებს სწრაფად გადაწერდნენ ხოლმე ქართულ ეკლესია-მონასტრებში.

მისი თარგმანებიდან ცნობილია – დავითნი, სახარება – ოთხთავი, სრული სამოციქულო, მრავალი აპოკრიფული და ეგზეგეტიკური

ტექსტი, გრიგოლ საკვირველმოქმედის, ათანასე ალექსანდრიელის, პატრიარქი ფოტის, ეგნატე ღმერთშემოსილის, იოანე დამასკელის, ბასილი დიდის დოგმატიკური ნაწერები, ნიკეა-კონსტანტინეპოლის კრების სიმბოლო, დიდი სვინაქსარი – „საფუძველი ეკლესიათა“, აპრაკოსის ტიპის სახარება და სამოციქულო, „თთუენი ათორმეტნივე“ – წმინდანთა საგალობლების კრებული, დიდი პარაკლიტონი – „სამკაული ეკლესიათა“, ანდრია კრეტელის „დიდნი გალობანი“, დიდნი მარხვანი, დიდი კურთხევანი, ჰაგიოგრაფიული ტექსტები (მათ შორის უწერია ორიგინალური – „ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთვიმესი“).

გიორგის ცხოვრება აღწერა გიორგი მცირემ (XI ს-ის 80-იანი წლები), მისმა მოწაფემ. თაოსანი ყოფილა გიორგი ათონელის მასწავლებელი შავმთელი გიორგი შეყენებული.

დაკრძალეს იგი გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ – გიორგი მამენებლის მარმარილოს ლუსკუმაში.

წმინდა მთაზე სხვა მრავალი ქართველი ბერიც იყო, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს თარგმანსა და ხელნაწერთა გამრავლებაში. მაგ., საბა მჩხრეკელი, სტეფანოზ დეკანოზი, იოანე ჩირა, მიქაელ ვარაზ ვაჩეს ძე, გიორგი გელასის ძე, არსენ ნინოწმინდელი, იოანე გრძელისძე, ოქროპირი, იოანე ხახულელი, ბერი გრიგოლი, ზაქარია მირდატის ძე, სვიმეონი, თეოფანე ხუცესი, ბასილი ბაგრატი III-ის ძე, გიორგი წინამძღვარი – გადასახლებული კუნძულ მონოვატზე, სტეფანე ხარტულარი, ეზრა ჰიმნოგრაფი, თეოდორე, გიორგი ოლთისარი, ზოსიმე მონაზონი, კვირიკე დიაკონი, სვიმეონ თავშიშველი, არსენ ფარსმანყოფილი, იოანე ბუქაის ძე, ევგენი, იოანე თავლაის ძე, მიქაელი, პავლე წინამძღვარი...

დამე კანდელის ანთება მხოლოდ მათ შეეძლოთ.

ათონის მთაზე მრავალი ხელნაწერი დამზადდა, მაგ., დასახელებული ოშკის ბიბლია, ათონის კრებული, XI საუკუნის კრებული (ოშკის ანუ ათონის ბიბლიას აკლია ცალკეული წიგნები).



წიგნსაცავში ჰქონიათ 230 ხელნაწერი წიგნი.

ივერთა მონასტერს ეხმარებოდნენ ქართველი მეფეები და დიდებულები (მაგ., დავით აღმაშენებელი, თამარი, სუმბატ, გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძეები, ლიპარიტ ბაღვაში, იოანე კოჯიხისძე, ქაიხოსრო და ყვარყვარე ათაბაგები, ლევან კახთა მეფე, ბასილი ქუთათელი, თეიმურაზ I, როსტომ ხანი, მისი მეუღლე მარიამ დედოფალი...), ბიზანტიის იმპერატორები, ჰქონდა მამულები, როგორც ბიზანტიაში, ისე საქართველოში, ჰყავდა ყმა – გლეხები.

მაგრამ ბერძენ ბერებთან გართულდა ურთიერთობა, როგორც გადმოგვცემს გიორგი ათონელი. ამიტომ დასწყევლა და შეაჩვენა ის ქართველი, ვინც არ დაიცავდა ივერთა მონასტერს, ვინც უორგულებდა ამ წმინდა ადგილს, ვინც ბერძნებს მიეყიდებოდა.

პოლიტიკური პროცესებიც მოქმედებდა ქართველთა საზიანოდ: მონასტერი არაერთხელ დაარბიეს ჯერ ჯვაროსნებმა, შემდეგ თურქებმა. ერთხანს სულთანის დედის საკუთრებადაც გამოცხადდა იგი (ლ. მენაბდე). შემდეგ სცადეს წინამძღვარი ბერძენი ყოფილიყო.

ქართველ მეფეთა შესაწირავს ბერძნები იტაცებდნენ.

მაგ., თამარის მიერ წარგზავნილი განძი დაუსაკუთრებია იმპერატორ ალექსი III ანგელოსს. მეფე განრისხდა, ასეთი ფაქტები გამოიყენა საბაბად და ქართულმა ჯარმა დაიკავა ისტორიული ჭანეთის ტერიტორია – ტრაპიზონი, ლიმონი, სამსუნი, სინოპი, კოტიორა, ჰერაკლეა, როცა ჯვაროსნებმა აიღეს კონსტანტინეპოლი.

ჩამოყალიბდა ტრაპიზონის იმპერია, რომლის იმპერატორი გახდა თამარის ნათესავი ალექსი კომნენოსი – ქართულად აღზრდილი (დავით აღმაშენებლის ასულის კატაის შთამომავალი)

1278 წელს პაპისტებმა ივერთა მონასტერიც დაარბიეს, მოხუცი ბერები ზღვაში ჩაახრჩვეს, ახალგაზრდები მონებად გაყიდეს..

XVIII საუკუნეშიც კი, მწერალ-მოგზაურის ი. გედევანიშვილის ცნობით, გალავნით შემოზღუდულ და ზარბაზნებით გაწყობილ

ივერთა ციხე-მონასტერში ყოფილა 400 მოწესე, შენარჩუნებული ჰქონიათ სიმდიდრე და წიგნსაცავი.

მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთი შეიერთა რუსეთმა და გაუქმდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა, ბერძენმა ბერებმა საბოლოოდ მიიტაცეს ჩვენი ეკლესია-მონასტრები, უფრო მეტიც – ქართველები სავანიდან გამოაძევეს.

შეუდგნენ ჩვენი წინაპრების კვალის წაშლას, წარწერების წარხოცვას, ფრესკებზე ქართველთა სახელების ბერძენთა სახელებით შენაცვლებას.

1903 წელს ივერთა სავანეში დარჩენილა 48 ბერი.

შემდეგ ეს რიცხვი უფრო შემცირდა.

ახლა ისევ მომრავლდნენ ქართველები წმინდა მთაზე. მაგრამ წინაპართა ფულითა და გარჯით აშენებული და დაცული სავანე კარგა ხანია დაკარგულია – იგი ბერძენთა საკუთრებაა.

ათონის ამ კულტურულ ცენტრს XVIII საუკუნიდან სწავლობდა არაერთი გამოჩენილი მეცნიერი, რომელთა წყალობით ცნობილი გახდა თუ რაოდენ დიდ და მნიშვნელოვან საეკლესიო-მწიგნობრულ მუშაობას ეწეოდნენ ქართველი ბერები.

ათონის სამწერლო სკოლა საბოლოოდ ცვლის ქართული კულტურის აღმოსავლურ-ქრისტიანულ ორიენტაციას და იგი მთლიანად ბიზანტინისტური ხდება. აღმოსავლეთიც ბიზანტიისა და ბერძნული კულტურის ნაწილი იყო. მაგრამ ის ჯერ არ სცნობდა კონსტანტინეპოლს, შემდეგ, წმინდა მიწის მადლით შთაგონებული, არ ემორჩილებოდა იმპერიის ცენტრს და დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა.

## ულუმბო და ჰრომანა

ქართველები მოღვაწეობდნენ ოლიმპზეც (ულუმბო), რომელიც მდებარეობდა ანატოლიაში, ბითონიაში. აქ მცირე სენაკში დასახლებულა ილარიონ ქართველი, კახეთის მკვიდრი, ორ მმასთან ერთად (IX ს.).

მოგვიანებით მოსულან ათანასე და იოანე ათონელები, მიქაელ ხუცესი, გრიგოლ მოძღვარი, საბა კუტი...

აქაც თარგმნიდნენ და ამზადებდნენ ხელნაწერებს.

ილარიონ ქართველი ულუმბოდან გადასულა თესალონიკეში. აქ მისთვის აღუშენებიათ ეკლესია და აქვე გარდაცვლილა.

იმპერატორმა ბასილმა (867-886) რომ შეიტყო ილარიონის სიკვდილის ამბავი, მოიწვია მისი სამი მოხუცებული მოწაფე და შესთავაზა, აირჩიეთ რომელი მონასტერიც გენებოთ და თქვენ გქონდეთო.

ქართველებმა იუარეს, ჩვენ სხვისი არაფერი გვინდაო.

ბასილის წინადადებით მათ შეარჩიეს ადგილი და იმპერატორის დახმარებით 876 წელს კონსტანტინეპოლის ახლოს აშენდა ჰრომანას ქართველთა მონასტერი.

ეს მონასტერი ქართველებს ადრევე დაუკარგავთ – 980 წელს.

იმპერატორმა ილარიონის ქართველ მოწაფეებს მიაბარა აღსაზრდელად თავისი შვილები ალექსანდრე და ლეონი – „ასწავეთ ამათ ენაჲ და წიგნი თქუენი“.

აქაური კალიგრაფები ყოფილან სვიმეონ დვალი, გელასი ჰრომანელი, იოანე უღირსი, ბერი ზაქარია, სტეფანე შატბერდელი.

ქართველ ბერებს უცხოვრიათ კონსტანტინეპოლის მონასტრებში (ხორას მონასტერი, ტრიანდაფლივი, აგიაპანტი), კვიპროსის კუნძულზეც, სადაც ასევე მრავლად ყოფილან და საკუთარი მონასტრებიც ჰქონიათ (მაგ., ღალიას მონასტერი). ხორას მონასტერი მეგრელ-ჭანებისა უნდა ყოფილიყო. შდრ. ხორა – მეგრ. სახლი, ოხორე – სამოსახლო, ძველქართულად – ქორა/ქორი, აქედან – ქორ(ხორ) – ეპისკოპოსი.

კონსტანტინეპოლი იმპერიისა და საქრისტიანოს ცენტრი იყო, რომლის ნათელი ეფინებოდა ყოველ მორწმუნეს.

როგორც აია სოფია იყო უპირველესი ტაძარი, ისე უპირველესი უმაღლესი სასწავლებელი და ახალი კულტურის ცენტრი იყო მანგანის აკადემია.

## მანგანის აკადემია და პეტრიწონი

ქართველი ბერები არ სჯერდებოდნენ მონასტრებში ცხოვრება-მოდვაწეობას, ბერძნული ენის შესწავლასა და თეოლოგიური ლიტერატურის თარგმნას.

ისინი ცდილობდნენ ანტიკური ფილოსოფიის პრობლემებშიც გარკვევას, რადგან მაშინ მიაჩნდათ, რომ უმაღლესი ცოდნა არის თეოლოგია, ხოლო ფილოსოფია – მისი მსახური, რომელიც გამოსაყენებელია დოგმების დასაბუთებისათვის.

კონსტანტინეპოლში ძლიერდებოდა ინტერესი ბერძნული ფილოსოფიისადმი, პლატონისა და არისტოტელესადმი (შ. ნუცუბიძე, ს. ყაუხჩიშვილი).

ეს ინტერესი არც არასოდეს გამქრალა, რადგან ნეოპლატონიკოსებს კარგად იცნობდნენ ეკლესიის მსახურები. მაგრამ X-XI საუკუნეებში მან ფილოსოფიური რენესანსის სახე მიიღო.

ანტიკური ცოდნის გავრცელებას ხელს უწყობდა კონსტანტინეპოლში იმპერატორი კონსტანტინე მონონახის მიერ დაარსებული მონასტერი და აკადემია:

ტახტზე ასვლამდე კონსტანტინეს ჰყოლია საყვარელი, სახელად სკლირენე. ეს ქალი ახლოს რომ ჰყოლოდა, დაუწყია ვიღაცის მიწაზე სასახლის შენება.

შემდეგ სასახლეს მიუმატა წმ. გიორგის მონასტერი და ტაძარი, 1044-1047 წლებში კი – უმაღლესი სკოლა, რომელსაც ანტიკური ტრადიციის შესაბამისად დაარქვა აკადემია.

პროფესორებად მოიწვიეს ცნობილი მოაზროვნეები – მიქაელ პსელოსი, იოანე იტალოსი, იოანე ნომოფილაქსი, იოანე ქსიფილინოსი.

მაშინაც სავალდებულო საგნები იყო – რიტორიკა, ფილოსოფია, სამართალი, მათემატიკა, ასტრონომია, ლოგიკა, ფილოლოგია.

მიქაელ პსელოსი (1018-1077) იყო სახელმწიფო მოღვაწეც, კეისართან დაახლოებული პირი, თუმცა სძულდა იგი. მლიქვნელობით, ინტრიგებით, ნიჭიერებით, ცოდნისა და განათლების ეფექტური

გამოყენებით საგრძნობი ქონებაც შეიძინა და არაერთი ნაშრომიც დაწერა, როგორც ფილოსოფიური (მაგ., „მოდღვრება სულის შესახებ“), ისე ისტორიული ხასიათისა (მაგ., „ქრონოგრაფია“).

პსელოსი უთარგმნიათ ქართველებსაც.

მისი მოწაფე იყო იოანე იტალოსი. ისიც უარყოფდა მისტიკასა და ინტუიციას და ცდილობდა ლოგიკური მსჯელობით ჭეშმარიტების წვდომას.

თავისი პრინციპული პოზიციის გამო 1083 წელს იტალოსი გაასამართლეს და შეაჩვენეს. ეკლესია ყოველთვის ეჭვით და მტრულად ეკიდებოდა მეცნიერულ ცოდნას, ჭეშმარიტების ძიებას, კრძალავდა თავისუფალ აზროვნებას. საკმარისად მიაჩნდათ ღმერთის რწმენიდან გამომდინარე თეოლოგიური დებულებები.

„მწამს, რადგან აბსურდია“, – ამბობდა ტერტულიანე.

იურიდიული სკოლის რექტორი იყო იოანე ქსიფილინოსი, რომელმაც სვიმეონ ლოლოთეტის გზა გააგრძელა – კიმენური ტექსტების გადაკაზმვა – მეტაფრასტირება, გართულება და შევსება, მაღალფარდოვანი სტილის დამკვიდრება.

მანგანის აკადემიაში უსწავლიათ არსენ იყალთოელსა და იოანე პეტრიწს, გამოჩენილ ქართველ მოაზროვნეებს.

არსენმა მიიღო ფილოსოფიური და იურიდიული განათლება. შემდეგ გადავიდა ეფრემ მცირესთან, შავ მთაზე და იქ დაიწყო მთარგმნელობითი მუშაობა.

ეფრემი რომ გარდაიცვალა, დაბრუნდა მანგანაში. აქედან გადავიდა ჯერ გელათში, შემდეგ იყალთოში და ბოლოს – შიომღვიმის მონასტერში.

არსენი წერს ბიზანტიაში დამკვიდრებული რთული და მაღალფარდოვანი სტილის ანალოგიით – ეს თითქოს სჭირდებოდა ფილოსოფიურ და დოგმატიკურ თხზულებებს, რათა საღმრთო ცოდნა საღმრთო სტილით გადმოეცა.

არსენი შავმთაზე თარგმნიდა ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკურ ნაწარმოებებს. მანგანაში გადმოიღო გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფი“. ნაშრომი მოგვითხრობს ისტორიას ადამიდან თეოდოსი დიდამდე (ვ. კეკელიძე).

აქ დაიწყო „დოგმატიკონის“ თარგმნა-შედგენა. ეს კრებული მრავალი ავტორის დოგმატიკურ-ფილოსოფიური და პოლემისტური ტექსტისაგან შედგება. წიგნზე მუშაობა დაასრულა შიო მღვიმეში.

„დოგმატიკონის“ ავტორებია – ანასტასი სინელი, იოანე დამასკელი, კირილე ალექსანდრიელი, თეოდორე აბუკურა, ნიკიტა მონაზონი, ლეონ პაპი. ბევრი ავტორი კი უცნობია.

არსენის ასევე მნიშვნელოვანი თარგმანია საეკლესიო სამართლის წიგნი – პატრიარქ ფოტის (IX ს.) თოთხმეტტიტლოვანი „დიდი სჯულის კანონი“.

იოანე პატრიქის სახელი უკავშირდება პეტრიწონის მონასტერს, დღევანდელ ბაჩკოვოს, რომელიც ბულგარეთში მდებარეობს.

იგი ააშენა სევასტოსმა გრიგოლ ბაკურიანისძემ (ბაგრატიონმა), ტაოელმა დიდებულმა, ბიზანტიის ჯარების მთავარსარდალმა ხან – აღმოსავლეთში ხან – დასავლეთში, რომელსაც სხვა მრავალი სახელმწიფო პოსტიც ეზარა.

ბიზანტიურ იერარქიაში სევასტოსს მეორე ადგილი ეკავა, კურაპალატს – მეოთხე.

სევასტოსი იყვნენ ბაგრატ IV და დავით IV აღმაშენებელი, ხოლო გიორგი II – კესაროსი.

გრიგოლი აქტიურად ერეოდა ბიზანტიის პოლიტიკაში (მაგ., იყო 1081 წლის სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი ორგანიზატორი), ხოლო თავისი მამულები – კარი, ოლთისი და კარნუ გიორგი მეორეს გადასცა.

ნ. მარმა გრიგოლი, ანა კომნინას ცნობაზე დამყარებით, სომეხ ქალკედონიტად მიიჩნია, რასაც იზიარებენ სომეხი და რუსი მეც-

ნიერები. თუმცა მათე ურჰაელი შენიშნავს, გრიგოლი ქართველი იყო (XII ს.).

გრიგოლ ბაკურიანის ძეს პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი შეუდგენია ბერძნულ და ქართულ ენებზე. მაგრამ იგი ქართველთათვის დაუარსებია. სომხურზე მითითება გვიანდელ ჩანართად მიაჩნიათ.

აკაკი შანიძემ სპეციალურად შეისწავლა პეტრიწონის ტიპიკონი და საბოლოოდ გარკვია გრიგოლის ქართული წარმოშობა, რაც ამჟამად მრავალი მკვლევარის მიერაა აღიარებული, გარდა სომხებისა.

პეტრიწონის მონასტერი დაარსდა 1083 წელს.

აშენდა სამი ეკლესია – ღვთისმშობლის მიძინების, იოანე ნათლისმცემლისა და წმ. გიორგისა, სენაკები, სატრაპეზო, სამძალე. ჰქონდათ სემინარია, წიგნსაცავი.

სამძალე შენობამ დღემდე მოაღწია. შემორჩა ფრესკებიც – გრიგოლ და აბაზ ბაკურიანის ძეთა, აგრეთვე – გამოჩენილ ქრისტიან მოღვაწეთა გვერდით ილარიონ ქართველის, ექვთიმე და გიორგი ათონელების სახეები (ლ. მენაბდე).

გრიგოლმა მონასტერს დიდძალი ქონება დაუმტკიცა – ჯვარ-ხატები, მიწები, სოფლები, ტყეები, წიგნები, სახლები, ციხეები, ოქრობეჭდები, ბროლ-მინის ჭურჭლეული, სტავრა-სკარამანგები, გაანთავისუფლა გადასახადისგან.

საკმარისია დავასახელოთ მხოლოდ პირუტყვი – 4 ფურკამეჩი, 72 ხარ-ძროხა, 47 მუშა საქონელი, 110 ცხენი, 15 სახედარი, 238 მეწველი ცხვარი, 54 ვერძი, 52 თხა (ქართულ ვარიანტში ეს ადგილი დაკარგულია).

წინამძღვრად დაუდგინა გრიგოლ ვანელი.

ბაკურიანის ძე მალე დაიღუპა – პაჭანიკებთან ბრძოლაში მუხას დაეჯახა (ანა კომნინა).

შემდეგ ეს სავანე იყო ბიზანტიის ყოფილი დედოფლის მარიამის, დავით აღმაშენებლის მამიდის საკუთრება.

იგი ეხმარებოდა ათონის ივერთა მონასტერსაც, ისევე როგორც დავითი და თამარი.

პეტრიწონის სავანისა და სემინარიის მუშაობას თითქმის ოცი წელი ხელმძღვანელობდა იოანე პეტრიწი, რომელიც იოანე იტალოსის ექსორიის შემდეგ იძულებული იყო დაეტოვებინა მანგანა.

ზოგს მიაჩნდა, რომ იოანე არც უკავშირდება ამ მონასტერს. ხოლო პეტრიწი ბერძნულად ნიშნავს ქვის მფხეკელს, რომ მას მუშაობის სტილის გამო ჰქონდა ეს ზედწოდება – მაგრამ უფრო სწორი იქნება თუ ასე ავხსნით თვით ტოპონიმის ეტიმოლოგიას.

მოღწეულია იოანე იტალოსის წერილი აფხაზი გრამატიკოსი-სადმი. მიაჩნიათ, რომ ეს „აფხაზი“ უნდა ყოფილიყო იოანე პეტრიწი. იტალოსი მას „უმტკიცეს მეგობარს“ უწოდებს (ს. ყაუხჩიშვილი).

წერილი დაწერილია იტალოსის განდევნის შემდეგ. მასში მსჯელობაა გრამატიკის საკითხებზე (მაგ., ბრუნება, ზმნა, სახელი, უღლება).

ანტონ I პეტრიწს გრამატიკოსად თვლიდა, ასევე მიიჩნევდა ზოგი მეცნიერიც. მაგრამ აქ გრამატიკოსი ნიშნავს ღვთაებრივი სიტყვის მკვლევარს ანუ თეოლოგს (შდრ – იოანეს სახარება: „პირველითგანვე იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღვთისა თანა და ღმერთი იყო სიტყვა იგი“).

სვიმეოწმინდამი გიორგი ათონელს „გრამატიკოსს“ უწოდებდნენ.

„აფხაზი“ დასავლეთ საქართველოს მკვიდრს ნიშნავდა.

შეიძლება იოანე წარმოშობით მეგრელი ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს მისი რთული, ტერმინოლოგიური, ხელოვნური ენა და სტილი, რაც სჩვევიათ იმ მწიგნობრებს, რომელთაც ენა გვიან აითვისეს, „აფხაზობა“ და სიტყვა „ჟირი“ (ქართ. ორი).

მსგავსი ხელოვნური სტილით წერდა ფსევდო-დიონისე – პეტრე იბერი, თუმცა ღრმა თეოლოგიურ-ფილოსოფიური მსჯელობა ყოველთვის აღძრავს მძიმე და ხელოვნურ როგორც ლექსიკას, ისე სინტაქსურ კონსტრუქციებს, ცნებებსა და ტერმინებს.



იოანე პეტრიწი წერდა და მსჯელობდა ბერძნული ენის გავლენით.

„ელლინთა ენამზეობის“ კალკირების გამო სულხან-საბამ პეტრიწის ენას „ღვლარჭნილი“ უწოდა. საერთოდ ასეთი იყო „ღრმა წიგნური სიტყვა“ (ქ. ბეზარაშვილი).

საკმარისია თუნდაც ერთი ფრაზა მოვიხმოთ, როგორც სტილის მაგალითი: „თვისდა ხატად წარმოიქმს ყოველი წარმომქმნელი ყოველსა თვისგნით წარმოქმნილსა“.

XII საუკუნის დასაწყისიდან იოანე გელათში გადასულა.

პეტრიწონშიც მრავალი ტექსტი უთარგმნიათ. ბევრი დაკარგულა და მოღწეულია მხოლოდ ერთი მათგანი – „დღესასწაულთა საკითხავნი“.

1189 წელს პეტრიწონში ჯვაროსნები შესულან. ქართველი წინამძღვარი მიუყვანიათ ფრიდრიხ ბარბაროსასთან, რომელიც თურმე მას მეგობრულად ესაუბრა.

1204 წელს მონასტერი ააოხრეს.

მოგვიანებითაც სავანე არაერთგზის დაარბიეს და გაძარცვეს, ამჯერად – ოსმალებმა.

მიუხედავად ამისა, მრავალი საუკუნე ქართველებს ეკუთვნოდათ. 1878 წელს იგი დარბევისაგან გადაურჩენია, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, ქართველ კაპიტანს გ. ჯორჯაძეს.

მალე მონასტერი ხელთ იგდეს ჯერ ბერძნებმა, შემდეგ – ბულგარელებმა, თუმცა გრიგოლმა მხოლოდ ერთი ბერძენი დაუშვა მონასტერში, ისიც როგორც თარჯიმანი.

პეტრიწონიც ისე დაკარგეს ქართველებმა, როგორც სხვა მრავალი სავანე.

იოანე პეტრიწის უთარგმნია იოანე სინელის „კლემაქსი, ოცდაათნი კიბენი“, გადმოუღია იამბიკოს ფორმით. ასევე – წმინდანთა ცხოვრებანი, მცირე გულანი, ასტრონომიულ-ასტროლოგიური თხზულებანი, ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“. მაგრამ უმთავრესია

პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“, მასზე დართული კომენტარები.

ეს ნაშრომი სომეხმა დიოფიზიტმა სიმეონ პლინდაპანეცმა 1248 წელს თარგმნა თავის ენაზე.

იოანე პეტრიწი აგრძელებს დოგმატიკურ-თეოლოგიურ ხაზს, ნეოპლატონიზმის, რომელიც იყო პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებათა სიმფონია – შეთანხმება, ქრისტიანულ განმარტებას.

პროკლე იყო პლოტინთან და იამბლიხოსთან ერთად წარმართული ნეოპლატონიზმის ყველაზე დიდი სისტემატიკოსი. მას ემყარებოდა ფსევდო-დიონისე, შემდეგ – მაქსიმე აღმსარებელი და იოანე დამასკელი.

იოანე დიდი ერუდიციტ, ტერმინოლოგიური სტილით, ღრმა ფილოსოფიური განსჯით ასაბუთებს ერთი ღმერთისა და სამების დოგმებს, ღმერთის ყოვლის საწყისობასა და ბოროტი საწყისის არარსებობას, ერთისა და სიმრავლის დიალექტიკას.

იგი ყველგან მსჯელობს შეწევნით „უფლისა ქრისტესითა“.

რთულია პეტრიწის სინტაქსური კონსტრუქციები, ძნელი გასაგებია მის მიერ შექმნილი ტერმინები. მაგრამ მას უნდოდა ჩამოეყალიბებინა ფილოსოფიის სააზროვნო ენა, როგორც ჰქონდათ ბერძნებს. ამიტომ მისი სიტყვათწარმოება და მსჯელობა ბერძნულის გავლენას ვერ ასცდებოდა.

იოანე პეტრიწმა დაამკვიდრა ქართული ფილოსოფიური აზროვნების სტილი, რაც გაზიარებულ იქნა, ხოლო მოგვიანებით განვითარდა ანტონ I კათალიკოსის მიერ როგორც კლასიციკლური სამი სტილის თეორია.

როგორც ვხედავთ, ქართველებს მრავალ ქვეყანაში ჰქონიათ ეკლესია-მონასტრები, მრავალი საუკუნე უბრძოლიათ მათ შესანარჩუნებლად, ქრისტიანული რწმენისათვის შეუწირავთ სიცოცხლე, ბევრი უღვაწიათ, რათა ქართული კულტურა ბიზანტიურის ტოლფარდად წარმოეჩინათ.

ბერ-მონაზონთა ინტელექტუალურ გარჯას მიმართულება მისცა და საფუძველი შეუქმნა ტაო-კლარჯეთის სამწერლო სკოლამ, რომლის სათავესთან დგას გრიგოლ ხანძთელი (759-861, პ. ინგოროყვას გამოთვლით – 758-860).

#### 4. გრიგოლ ხანძთელის კლარჯეთი

ქართული მწერლობის საწყისია სამხრეთი საქართველო, სადაც ოთხი კულტურა ხვდებოდა ერთმანეთს – ქართული, სომხური, ბიზანტიური და ირანული.

შემდეგში ეს მხარე განივრცო ტაო-კლარჯეთის სახელით.

მას ერთვოდა მცხეთა და ტფილისი, სადაც ისხდნენ კათალიკოსები, მეფეები, ერისმთავრები.

ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ მეგრელ-ჭანები, მესხები, სომხები, სომხეთიდან დევნილი ქალკედონელები. დროდადრო მას იმორჩილებდნენ სომხები, ხან ბიზანტიელები.

ისტორიული მესხეთის შემადგენელი ოლქებია – აჭარა, სამცხე, ჯავახეთი, ტაო, კლარჯეთი, სპერი, შავშეთი, ნიგალი, არტაანი (პ. ინგოროყვა).

738-738 წლებში მურვან-ყრუს ლაშქარმა მესხეთიც აიკლო. შემდეგ გავრცელდა ხოლერა, რომელიც ჩვენთან ბიზანტიიდან, კონსტანტინეპოლიდან შემოსულა.

გადარჩენილი მოსახლეობის დიდი ნაწილი აიყარა და წავიდა დღევანდელი აჭარისა, გურიისა და იმერეთისაკენ, სადაც ცხოვრობდნენ მეგრელ-ჭანები.

აქ დამკვიდრდნენ დღევანდელი მესხების წინაპრები, ძველი მუშქების შთამომავალნი, რომელთაც გააბატონეს ქართული ენა დასავლეთ საქართველოში (იხ. „არაბობა და მეოთხე მიგრაცია“).

როცა გრიგოლი, საბა, ქრისტეფორე და თეოდორე ჩავიდნენ კლარჯეთში, იქ დახვდათ ოპიზის ნათლისმცემლის მცირე ეკლესია.

ხალხი აქა-იქ ცხოვრობდა ტყეში, ისევე როგორც ტაოსა და შავ-შეთში. ამიტომ აშოტს ძლივს მიუგნია „ტყეთა შინა“ ერთი კლდისათვის, რომელიც გავერანებული არტანუჯი ყოფილა და იგი აღუდგენია.

კლდოვანი, ტყიანი, კაცთაგან მიტოვებული კლარჯეთი საუკეთესო ადგილი აღმოჩნდა მეუდაბნოეთათვის.

გრიგოლი აქ წამოსულა მაშინ, როცა ნერსე ერისმთავრის ოჯახი არაბებს გაექცა ხაზარეთში. კლარჯეთი მაშინ ბიზანტიას ეპყრა, შესაბამისად – აღარ იგრძნობოდა არაბთა ხელისუფლება.

ასურელი მამების ქვაბი, მღვიმე, ნაპრალი, სვეტი გრიგოლ ხანძთელმა და მისმა თანამოაზრეებმა ეკლესია-მონასტრებით შეცვალეს. ერთი მხრივ – შეინარჩუნეს უდაბნოს ტრადიცია (შდრ – მიქელ პარეხელი, პარეხი – გამოქვაბული კლდეში), მეორე მხრივ – დაუკავშირდნენ ხელისუფალთ, რათა შესძლებოდათ ეკლესია-მონასტრების, როგორც ტაძართა მშენებლობა.

ცალკეული ანაქორეტები დარჩნენ. მაგრამ გრიგოლ ხანძთელის დროიდან ბერ-მონაზვნები ერთიანდებოდნენ კინოვიალური (კომუნური) ფორმით, სამმოს სახით.

გრიგოლ ხანძთელმა და აშოტ კურაპალატმა დაიწყეს ქართული სულიერების განახლება და გაძლიერება. მაგრამ რომ არა ბიზანტიელთა თანადგომა, ვერც ქართლიდან დევნილი აშოტი დამაგრდებოდა კლარჯეთში, ვერც გრიგოლი და მისი მოწაფენი გაშლიდნენ ფრთებს.

გრიგოლმა კარგა ხანს ვერაფრის გაკეთება შეძლო. მოგვიანებით ძელის მცირე ეკლესია ააშენეს ხანძთაში და მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაეცნო ფეოდალს – გაბრიელ დაფანჩულსა და მის მეუღლეს მარიამს, დაიწყო ქვიტკირის მონასტრის შენება.

გაბრიელმა შეახვედრა აშოტ კურაპალატს, რომელიც ქართლიდან გამოექცა არაბებს და ამ მხარეში გამაგრდა.

ეს მოხდა 813 წლის შემდეგ.

მაშინ გრიგოლი 50 წელს გადაცილებული იყო.

აქედან იწყება მისი ფართო მასშტაბის მშენებლობაც.

გრიგოლი – „ვარსკულავი უდაბნოთაჲ“ გახდა კლარჯეთის არქიმანდრიტი. მისთვის დიდად სასარგებლო აღმოჩნდა გაბრიელთან ურთიერთობა, რომლის დახმარებით აშენდა ხანძთის მამათა და მერეს დედათა მონასტრები.

ხანძთა იყო გაბრიელის ოჯახის სალოცავი.

გრიგოლმა ააშენა სამი მამათა და ორი დედათა მონასტერი, საბამ – იშხანი, თეოდორემ – ნემვი (მეგრ. – ნიგოზი), ქრისტეფორემ – კვირიკეთი.

ოპიზის, ხანძთის, შატბერდისა და მერეს გარდა ასევე ცნობილია ოშკის, ტბეთის, წყაროსთავის, პარეხის, ბერთის, პარხალის, ხახულის, ბარეთელთა, ბანას, ჯერკვის, ზარზმის, ზანავის, ფორთის, მიძნაძორის, ოთხთა, დოლისყანის ეკლესია-მონასტრები.

დღეს თითქმის ყველა მათგანი თურქეთის ტერიტორიაზეა. ზოგი დანგრეულია, ზოგის ნაშთიც აღარ დარჩენილა (ვარაუდობენ, რომ ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე არსებულა 200-ზე მეტი ძეგლი).

მეუდაბნოებს ზოგან დახვდათ სომეხთაგან ადრე აშენებული და აწ დანგრეული მონასტრები. მაგ., იშხანის ეკლესია VII საუკუნის 30-იან წლებში აუგია ქალკედონისტ ეპისკოპოსს ნერსეს, რომელიც შემდეგში სომხეთის კათალიკოსი გახდა (შ. ამირანაშვილი).

ა. ჯაფარიძის აზრით, იგი იყო ქართველი მონოფიზიტი.

იშხანი განაახლა და მეორედ აღაშენა საბამ, გრიგოლ ხანძთელის დეიდაშვილმა. სომხურია ცალკეული ტოპონიმები. იმიტომ, რომ ამ ადგილებზე საკმაოდ დიდხანს იბერებთან ერთად სომხებსაც უცხოვროიათ: შდრ – სომხ. ნხანმ – შური, სომხეთის ოლქი ხანძითი, შატბერდი (შატ-ბევრი, ბერდ-ციხე), მიძნაძორი – შუა ხევი, იშხანი – ორაგული. სომხეთში უმაღლესი თანამდებობის პირს ერქვა იშხანც იშხანი, რაც იერარქიულად შეესაბამება ქართველთა ერისთავთ ერისთავს.

ზოგი ლაზური წარმომავლობის გვარი სომხეთში აღზევდა. მაგ., მამიკონიანები და დიმასქიანები (ლაზ. დინოსკუადან).

ომმა, ეპიდემიამ და შიმშილმა სომხებიც გაანადგურა. ეკლესია–მონასტრები მათაც მიატოვეს.

აშოტისა და გრიგოლის დროიდან ისევ მრავლდება ქართული მოსახლეობა, რადგან არაბებსაც ეს კლდოვანი და მთიანი მხარე მიტოვებული ჰქონდათ. არ იყო სახნავ-სათიბელი, სამაგიეროდ – მხალთა და წყალთა სიმრავლე. ადგილები – უგზო და უღალი, კლდე – ფიცხელი, მღნარი – ურიცხვი როგორც სამონასტრო მშენებლობისა, ისე სამწერლო მუშაობისა და უფლის განსადიდებლად განდგომილთა გულს იზიდავდა.

თავად გრიგოლი სალიტერატურო მუშაობასაც ეწეოდა – დაუწერია „საწელიწდომ იადგარი“, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ალბათ მისგან ცალკეული ჰიმნები შევიდა სხვა კრებულებში. მაგრამ თუ რომლის ავტორია გრიგოლი, ამის გარკვევა შეუძლებელია.

პ. ინგოროყვამ ყველა ანონიმური ტექსტი გრიგოლს მიაკუთვნა, რაც არ გაიზიარეს სპეციალისტებმა (მაგ., კ. კეკელიძემ).

იგი საწელიწდო იადგარის (მაგ., მიქაელ მოდრევილის კრებულის) ძირითად ფენად თვლიდა გრ. ხანძთელის ტექსტებს, გრიგოლის იადგარს, რომელსაც დაურთეს სხვა ავტორების ჰიმნები.

გრიგოლს სიცოცხლეში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა როგორც ბერ-მონაზონთა, ისე სახელისუფლებო წრეებში. ამან შეაძლებინა, რომ გავერანებული მხარე ისევ აელორძინებინა და კულტურის ცენტრად ექცია.

ცხადია, რომ არა ბაგრატიონების თანადგომა, ამას ვერ გააკეთებდა, ვერანაირი სასწაული ხელს ვერ შეუწყობდა.

IX საუკუნიდან ქართული კულტურის ცენტრი გახდა კლარჯეთი, მისი მონასტრები, სადაც დაარსდა 12 სავანე – ქართველთა „სინამ“.

აქ მოღვაწეობდნენ, გარდა გრიგოლის, საბას, თეოდორესა და ქრისტეფორესი, მიქელ პარეხელი, გიორგი მაწყვერელი, მიქაელ მოდ-

რეკილი, ეფრემ დიდი, არსენ საფარელი (ქართლის კათალიკოსი), ილარიონ პარეხელი, სოფრონ შატბერდელი, სტეფანე მტბევალი, ილარიონ იშხნელი, ანტონ ტბელი, პავლე ტბელი, იოანე ხახულელი, მიქელ მიძნაძორელი, იოანე ბერაძე, ილარიონი (ქართლის კათალიკოსი), იოანე ქონქოზის ძე, ეზრა ანჩელი (დაფანჩული), დავით ტბელი (მიქელ მოდრეკილის ბიძა), იოანე მტბევალი, გრიგოლ ოშკელი, სერაპიონ ზარზმელი, ბასილ ზარზმელი, გიორგი მერჩულე, სტეფანე შატბერდელი, დავით და იოანე ჯიბისძენი...

მათ ვინაობას ვიგებთ გადაწერილი ტექსტების მინაწერებით და დართული ანდერძებით (მაგ., პარხლის მრავალთავის შემდგენი და გადამწერი გაბრიელ პატარაძე ვრცლად გადმოგვცემს თუ როგორ მუშაობდა და ვინ ეხმარებოდა).

კლარჯეთში გადაწერეს ტბეთის სახარება (995), ოპიზა-ათონის სახარება (913), შატბერდის კრებული (973-976), შატბერდ-ჰადიშის სახარება (897), შატბერდ-პარხლის სახარება (973), უდაბნოს მონასტრის მრავალთავი (X ს.), მიქელ მოდრეკილის იადგარი (978-988), ოშკი-ათონის ბიბლია (978), იოანე მოსხის, იოანე ოქროპირისა და ეფრემ ასურის ქადაგებათა კრებული (977), იოანე ოქროპირის ცხოვრება (977), კირილე ალექსანდრიელის მოძღვრებანი და თთუენი თებერვლისა (XI ს.), ბერთის სახარება (988), შატბერდ-ჯრუჭის სახარება (936), პარხლის მრავალთავი (X ს.).

აქ დაიწერა მრავალი ჰიმნოგრაფიული ტექსტი, სტეფანე მტბევარის „გობრონის წამება“ (914-918), გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (951), ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ (X ს.).

ცხადია, ზოგი დაიკარგა, მაგ., „მიქელ პარეხელის ცხოვრება“, რომელსაც იცნობდა ბასილ ზარზმელი, გრიგოლ ხანძთელის „საწელიწდომ იადგარი“, რომელიც ავტორის გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგაც არსებობდა და ინახებოდა ხანძთაში (გიორგი მერჩულე).

ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლა, რომელმაც შეიმუშავა თავისი ენა და სტილი (ვ. კეკელიძე).

საქართველოში ეპისკოპოსთაგან უპირველესნი იყვნენ იშხნელი და ქუთათელი, ბანას მონასტერში მონღოლების შემდეგ ისევ იმართებოდნენ მეფეები (მაგ., ვახტანგ IV – 1446 წ.)

ტაო-კლარჯეთი, მისი მონასტრები მუდმივ კონტაქტში იყვნენ საზღვარგარეთში, უცხო მხარეში გაფანტულ ქართულ ეკლესია-მონასტრებთან. პილიგრიმი ბერები დაღოღავდნენ სირია-პალესტინის, სინასა და შავი მთის, ათონისა და კონსტანტინეპოლის შორეულ სავანეებში;

უმრავლესობა იქ წასული ბერებისა, იყვნენ ტაო-კლარჯეთიდან. ისინი იქ ცხოვრობდნენ, იქ მოღვაწეობდნენ და იქვე აღესრულნენ. მაგრამ მათ შთაგონებას, რწმენასა და თავდადებას, კულტურულ მოღვაწეობას საფუძველი დაუდეს გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით აშენებულმა ხანძთისა და შატბერდის მონასტრებმა, რაც გააგრძელა სერაპიონ ზარზმელმა.

გრიგოლისგან განსხვავებით, სერაპიონი „ლიტონად ცხორებულა“ (ე.ი. ღარიბად) და „ქუეყანის მოქმედებით იზარდებოდა“ (ე. ი. გლეხი ყოფილა, მიწის მუშაკი).

IX საუკუნიდან ქართული კულტურაც ისევე აღმავლობით ვითარდება, როგორც ძლიერდება სამთავრო-სამეფოები, სახელისუფლებო ცენტრები. პროცესი სრულდება საქართველოს ჩამოყალიბებით XI საუკუნის დასაწყისში.

ამ ერთიანობის ფორმულა გამოითქვა ბერი გიორგი მერჩულეს მიერ 951 წელს – „ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების“...

ეს სიტყვა ჩაიკარგა ჯვარის მონასტრის წიგნსაცავში, დაფარა მტვერმა და დავიწყებამ. მაგრამ ჩანს, რომ იგი საყოველთაო განწყობილებას გამოხატავდა და არ იყო ერთი ჰაგიოგრაფის აზრი.

გრიგოლ ხანძთელზე 90 წლის შემდეგ დაიწერა ჰაგიოგრაფიული ტექსტი, როცა ყველა მოწაფე გარდაცვლილი იყო.



არსად იხსენიება მისი სახელი, არც „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“.

დაიკარგა ხანძთა და შატბერდი, ისევე როგორც გრიგოლის საწელიწდო იადგარი.

ასე რომ – დიდად დაფასებული არ ყოფილა სიკვდილის შემდეგ სასულიერო მოღვაწეთა მიერ, როგორც ვთქვამთ – ექვთიმე ათონელი, თუმცა მან გამოზარდა არსენ დიდი – ქართლის კათალიკოსი.

მხოლოდ გიორგი მერჩულემ განადიდა იგი, მაგრამ ეს წიგნიც ათასი წელი უჩინარი იყო ქართველთათვის.

\* \* \*

საქართველოს ტერიტორიაზე ასურელი მამების მიერ დაწყებული კულტურული ტრადიციები მეტ-ნაკლები ინტერვალებითა და ინტენსივობით გრძელდებოდა.

გრიგოლ ხანძთელის კლარჯეთის შემდეგ პოპულარული გახდა ახალი ცენტრები – ბედია, ჭყონდიდი, გელათი, იყალთო...

კულტურული აღმშენებლობის პათოსი სწორედ კლარჯეთიდან გადავიდა იერუსალიმსა და ანტიოქიაში, კონსტანტინეპოლსა, მთაწმინდასა და პეტრიწონში.

ასე რომ – მოხდა ცენტრებისა და ბერ-მონაზონთა ნაკადის სამი მიმართულებით გადაადგილება – ეს არის ახლო აღმოსავლეთი, კონსტანტინეპოლი და ქართული სამეფო-სამთავროები.

## 5. თარგმანი, როგორც ორიგინალი

ქართული კულტურის ნაციონალიზების პარალელურად შენელდა ასეთი ინტელექტუალურ-ემიგრაციული პროცესი, რომლის აპოგეა არის XI საუკუნე.

ქართველები ესწრაფოდნენ უკვე არა უცხო კულტურის ნაწილად ქცევას, არამედ მის გადმოტანას, „ჩჩვილი“ (ეფრემ მცირე) და „ნაკ-

ლუღევანი“ მწერლობის (იოანე ათონელი) ბიზანტიურის მსგავსად მომაგრებასა და გაძლიერებას.

საქართველოსა თუ ბიზანტიის ტერიტორიაზე გაფანტულ უამრავ მონასტერში მკაცრი შინაგანაწესის დაცვით, დღისით თუ ღამით, დღის სინათლეზე თუ სანთლის შუქზე, ხორცდაშრეტილნი და სნეულებით დაუძღურებულნი, მომბალი ცერცვითა და მხალით დაპურებულნი, სიცივესა და სიცხეში დაუცხრომლად თარგმნიდნენ ბერძნულ, სირიულ, სომხურ, კოპტურ, არაბულ ტექსტებს, სწავლობდნენ, ადგენდნენ განმარტებებს, ამრავლებდნენ ხელნაწერებს, ჰქონდათ კავშირი ერთმანეთთან, ცდილობდნენ ყოფილიყვნენ სიახლის კურსში.

თარგმანი წარმოედგინათ როგორც ორიგინალი, რომელიც ავრცობდა მშობლიური კულტურის თვალსაწიერს, რათა ქართული ყოფილიყო ბიზანტიურის თანასწორი. ამიტომ უწოდებდნენ ბიბლიის წიგნებს ქართულს. ის უამრავი თარგმნილი ძეგლი ძველი ქართული ენის ძეგლებია, რომლებიც ინახავენ მეტყველების ევოლუციის სურათებს.

თარგმნის პროცესში ენა ივსებოდა და იხვეწებოდა. შემოდიოდა კალკები და ბარბარიზმებიც. მაგრამ ახალ საგნებს მოჰქონდა ახალი ლექსიკა, სინტაქსური კონსტრუქციები, განსხვავებული სტილი და ხედვა. ბერების რელიგიური ფანატიზმი ერწყმოდა პატრიოტულ პათოსს.

ეს ცხოვრებისაგან განდგარი ხალხი სხვათა სიკეთისათვის იღწვოდა. მათი სიხარული მხოლოდ უფლის და ქვეყნის მსახურება იყო.

ბერ-მონაზონთა მასაში უვიციც ბევრი იყო და ზარმაციც, იყვნენ უზნეონიც, ავის მკეთებელნი და ხელისშემშლელნიც (იხ. „კონფლიქტები“).

მაგ., ვიღაც ოზანს გაურყვნია ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი სახარების ტექსტი. ხოლო გრიგოლ ნაზიანზელის ორი ქადაგება ერთმანეთზე გადაუბამს.

მთარგმნელები, კალიგრაფები, ნუსხის დამამზადებლები, შემკვეთები თუ წიგნის მხატვრები და შემმოსველები თავიანთ თავს უწოდებდნენ „ცოდვილს“, „მწარედ ცოდვილს“, „გლახაკს სულითა და ხორცით“, „უღირსს“, „ხაშმიანს“, „უღირს ცოდვილს“, „მიწასა და მტვერს“ და წიგნების ფურცლებიდან შენდობას ივედრებოდნენ.

მათი სახელი მხოლოდ მინაწერებში გაკრთება.

ზოგის არც სახელი ვიცით, არც გვარი და წარმომავლობა.

ასეთი გატაცება, ბიზანტიურის გაქართულება დროებით ანელებდა მშობლიურის შექმნის იმპულსებს, მაგრამ ზრდიდა ეროვნულ თვითშეგნებას, მეტოქეობის პათოსს, რაც გახდა ბაზისი და სტიმული როგორც მომდევნო საუკუნეთა ქართული კულტურისა, ისე ერთიანი სახელმწიფოსი.

ქართველების მიერ თარგმნილი ზოგი ტექსტი ბერძნულად აღარ არსებობს. მაგ., იპოლიტე რომაელის (III ს.) „თარგმანებაჲ ქებათა-ქებათაჲსი“ (ნ. მარი), VII საუკუნის ღვთისმსახურების ტიპიკონი „იერუსალიმის განჩინება“ (კ. კეკელიძე).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ბიბლიის თარგმნას, რაც დაიწყო V საუკუნეში და დაასრულა ექვთიმე ათონელმა X საუკუნეში, დაიწყო სახარებით და დამთავრდა აპოკალიპსით.

ტექსტში შეჭქონდათ ცვლილებები ან ხელახლა თარგმნიდნენ, რათა მიეღწიათ მეტი სიზუსტისათვის, გაეწმინდათ იგი სომხური ან ასურული ზეგავლენისაგან.

ასევე მნიშვნელოვანი იყო ხელნაწერთა გამრავლება, წიგნის მორთვა და შემოსვა (მაგ., ბიბლია ოშკი-ათონისა, გელათური, მცხეთური).

კ. კეკელიძემ გამოყო ქართული ბიბლიის ხუთი რედაქცია, რომელთაც დაარქვა – 1. ოშკურ-ათონური, 2. ბაქარისეული, 3. მცხეთური (საბასეული), 4. ჯანაშვილისეული, 5. იერუსალიმური.

მიუხედავად მრავალი ცდისა, ტექსტის სრულყოფის მიებისა, ქართულ ეკლესიას არ ჰქონია ერთი კანონიზებული თარგმანი.

იგი სარგებლობდა სხვადასხვა რედაქციებით.

ასევე განმეორებით ითარგმნებოდა სხვა ტექსტებიც. მაგ., ანდრია კრეტელის „დიდი კანონი“.

მონასტრები ადგენდნენ განსხვავებული შედგენილობის მრავალ-თავებს. მაგ., სინას მთისა, ათონისა, პარხლისა, პროხორესი, უდაბნოს მონასტრისა, სვანური ნუსხა.

ცალკეული ტექსტის პოპულარობას აჩვენებს ხელნაწერთა სიმრავლე. მაგ., ბასილი დიდის „ასკეტიკონი“, თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ, მიღწეულია 150-ზე მეტი ხელნაწერის სახით (ე. ხინთიბიძე).

კულტურული კონტაქტები, განსაკუთრებით მწერლობისა და აღმსარებლობის სფეროებში, ქართულ ენაზეც ახდენდა ზეგავლენას.

ეს ნაკლებად ითქმის სასაუბრო, ყოფით მეტყველებაზე. მაგრამ მთარგმნელები, ორიგინალური ტექსტების ავტორები, რომლებიც ბერები იყვნენ, აღიზარდნენ ბიზანტიურ მწერლობაზე, თეოლოგიასა და მღვდელმსახურებაზე, მითუმეტეს თუ ცხოვრობდნენ უცხოეთის ცენტრებში, თავს ვერ დააღწევდნენ ბერძნულის გავლენას, კალკირებულ კონსტრუქციებს.

ეს ბიზანტინიზმის შემადგენელი ნაწილი იყო.

ქართველები არც ცდილობდნენ პურიზმის დაცვას. ბიზანტიურთან დაახლოება, მიმსგავსება, ტექსტუალური ერთსულოვნება კარგ ტონადაც ითვლებოდა, როგორც ეს არის დღეს ინგლისურ ენასთან მიმართებით.

განსაკუთრებით გამლიერდა ბერძნულის გავლენა XI საუკუნეში, როცა ელინოფილები (ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი,) ცდილობდნენ ბიზანტიურის ქართული ექვივალენტის, ტოლფარდი თარგმანების შექმნას, სააზროვნო ენის მოდელირებას.

ბიზანტია, როგორც იმპერია და როგორც ქრისტიანობის ბურჯი, ყველა სფეროს იმორჩილებდა, თავის თარგზე ცდილობდა მოექცია სატელიტი ქვეყნები, თუმცა დაკარგა დასავლეთი ევროპა.

თეოლოგიური და ღვთისმსახურების, სახელისუფლებო, წიგნიერებასთან დაკავშირებული ლექსიკა, ონომასტიკა ბიზანტიიდან შემოდიოდა.

მათი ქართული შესატყვისების შექმნა ჭირდა. თარგმნა და გაზიარება ისედაც აუცილებელი იყო, რათა ხალხები, მორწმუნეები, ღმერთის მსახურები ერთმანეთისათვის უცხონი არ დარჩენილიყვნენ.

ეს პროცესი ზეგავლენას ახდენდა მორფოლოგიასა და სინტაქსზეც, განსაკუთრებით – კომპოზიტებზე (ზ. სარჯველაძე).

ქართულ ენას მოეძალა კალკირებული კომპოზიტები (თვითმავალი, თვითმპყრობელი, დედათმოყუარე, სიბრძნისმოყუარე, კეთილადქცევა, ასისმთავარი, ერისმთავარი, ბოროტმოქმედი, ქველმოქმედი, ბაგისყოფა, ბოროტისყოფა, ცრუფიცი, ცრუმოწამე, ცრუქრისტე, ცუდადმეტყველი, არა არსი, არაწრფელი, არაწმინდა...), ებრაულიდან წამოსულა „და“ კავშირი, უზმნო კონსტრუქციები, უშემასმენლო წინადადეგები, ზნისწინები, მიმღებები.

როგორც ვთქვით, ეს ადრევე იყო საგრძნობი. მაგრამ X საუკუნიდან, როცა დაიწყო კიმენური ტექსტების მეტაფრასირება და ფილოსოფიურ-სამართლებრივი ძეგლების თარგმნა, ხელოვნური და გართულებული სახე მიიღო.

XI საუკუნის ტექსტები უფრო ძნელად აღიქმება, ვიდრე „შუმანიკის წამება“.

საეკლესიო მწერლობა ამკვიდრებდა სპეციფიკურ ტერმინოლოგიურ, ბერძნულ მოდელზე აგებულ სტილს, რომელიც, ერთი მხრივ – კიდევ უფრო დასცილდა ცოცხალ მეტყველებას, მეორე მხრივ – ღმერთმსახურების საშუალებით ყოფით ენაზეც მოახდინა გავლენა.

წირვა-ლოცვის ენას უნდა ჰქონოდა საღვთო და ზეციური აზრი და პათეტიკა.

## 6. მითოსიდან კრიტიციზმისაკენ

### რწმენა და ფანატიზმი

ყველა დროში ადამიანის გონი მიდის ფიქრით და ოცნებით რა-ღაც ახალ, აკვიატებულ იდეამდე. ეს ცვლის ცხოვრებას, აზრს ანიჭებს წარმავალ ამქვეყნიურ არსებობას, ჰკვებავს და სტიმულს აძლევს მოქმედებას, თუნდაც ფანატიზმის წყარო და მიზანი იყოს ილუზიის საბურველში გახვეული.

ყველაზე დაუჯერებელი, როგორც ღვთაებრივი, იყო სწორედ სარწმუნო. ასე მოხდა XIX-XX საუკუნეებში, როცა კაცთა გონება შეიპყრო სოციალიზმის იდეალებმა, საიდანაც წამოვიდა როგორც კომუნისტური, ისე ნაციონალურ-სოციალისტური იდეოლოგია.

ასე დაიმორჩილა ქრისტიანთა მასები ასკეტურ-მისტიკურმა იდეალებმა, მისტიკურმა სულიერმა სწრაფვამ ადრეულ საუკუნეებში, ზეციური სასუფეველისკენ მზერამ, რასაც მოჰყვა ჯერ პირველ ქრისტიანთა თავგანწირვა, შემდეგ ამქვეყნიდან განდგომა და მასობრივი ეკლესიათმშენებლობა.

სიტყვა ფანატიზმი მოდის ძველბერძნული სიკვდილის ღმერთის თანატოსისგან, რაც ახლავს ყველა რწმენას.

მიუხედავად ამისა, ქრისტიანობა თვითმკვლევლობას კრძალავდა, რადგან ყოველ ადამიანს მარადიული სასუფეველი ამქვეყნიური ტანჯვისა და შრომის ფასად უნდა მოეპოვებინა, ასე გამოეყენებინა ხორციელი, მიწიერი არსებობა სულის უკვდავებისათვის.

ეს კი იძლეოდა კულტურის განვითარების სტიმულს.

მხოლოდ ფანატიკური, საღვთო რწმენით ანთებულ ადამიანებს შეეძლოთ ოჯახისა და სახლ-კარის მიტოვება, ამქვეყნიურ სიამეთაგან განდგომა, მკაცრ პირობებში ნებაყოფლობითი ცხოვრება, მუდმივი შრომა, მარხვა, ტანჯვა, წერა, გადაწერა, შენება და ლოცვა.

ეს იყო არქაულ-წარმართული მსხვერპლშეწირვის ვარიაცია.

ისინი ჰგავდნენ ფუტკრებს, რომლებიც თავად უჩინრად ქრებიან, მაგრამ კაცთათვის სტოვებენ თავლსა და სანთელს.

რომ არა ქრისტე, ეკლესია-მონასტრები და რწმენას შეწირული ბერ-მონაზვნები, შუასაუკუნეებში აღარც კულტურა იარსებებდა, ბარ-ბაროსი გერმანული ტომების მიერ რომის იმპერიის დანგრევა სულიერების დასასრულიც გახდებოდა.

სახელმწიფოებრიობა ყოველთვის იყო ქართველთათვის სუსტი მხარე, როგორც ვწერდით. მაგრამ ტადართმშენებლობა და მთარგმნელობითი მუშაობა განსაცვიფრებელია, იმდენად ყოვლისმომცველია და მასშტაბური.

რელიგიური ფანატიზმი აქაც გამოვლინდა, რაც არ გადავიდა სახელმწიფოებრივ ძალმოსილებაზე. სახელმწიფოს არქონამ, ერთი მხრივ გააძლიერა კულტურის ავტონომია, მეორე მხრივ – ხელი შეუშალა კულტურას, რათა მეტი თავისთავადობით შემოსილიყო და სხვათათვის ნიმუშად ქცეულიყო.

## ელინოფილური კრიტიციზმი

X საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართულ აზროვნებაში ქრისტიანულ-ეთნიკურ მითოსს შეენაცვლა კრიტიციზმი, რაც გამოიწვია ბიზანტიური კულტურის ღრმად გაცნობამ, ბიზანტიური კულტურის წარმატებამ სხვადასხვა სფეროში.

ეს ტენდენცია ჩაისახა ათონის ივერთა მონასტერში.

ელინოფილი ქართველები ცდილობენ მაქსიმალურად აითვისონ ის, რაც ბერძნებს გაუკეთებიათ, ამოწურონ არა მხოლოდ ქრისტიანული საგანძური, არამედ გადაწვდნენ ანტიკასაც, რადგან, როგორც შენიშნავს იოანე პეტრიწი სოკრატეს დამოწმებით – უმეცრებაზე უფრო საშინელი სენი არ არსებობს.

როგორც ვთქვით, ქრისტიანულ-ეთნიკური მითოსი (ბაგრატოვანთა დინასტიის ღვთაებრივი წარმომავლობა, ლეონტი მროველის ეთნარქების ლეგენდა, მარიამ ღვთისმშობლის, წმ. ნინოს, წმ. გიორგის

კულტი, ქართული ენის მესიანისტური წარმოდგენა) განამტკიცებდა ნაციონალურ სიამაყეს, ხელს უწყობდა კულტურულ შეკავშირებას. მაგრამ შემდგომი თაობის მწიგნობრები, როცა კარგად გაეცნენ ბიზანტიელ მოაზროვნეებს, რომლებიც მოღვაწეობდნენ ათონის მთაზე, შავ მთაზე, პეტრიწონში ან სწავლობდნენ მანგანის აკადემიაში – დარწმუნებდნენ, რომ ქართველებს ბევრი რამ აკლდათ.

საჭირო იყო ამ დანაკლისის შევსება, დაუცხრომელი მთარგმნელობითი მუშაობა, ინტელექტუალური თვალსაწიერის გავრცობა.

ამჯერადაც უცხოეთის ძალა და გამოცდილება გახდა სტიმულის მომცემი.

იოანე ათონელი ეუბნება თავის ვაჟს, ექვთიმეს:

„ქართლისა ქვეყანაჲ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან“.

ექვთიმე ცდილობდა, რომ ყველაფერი მოესწრო. ეს სიჩქარე, ეს სისწრაფე მოითხოვდა ტექსტების შემოკლება-შემატებას, თავისუფალ მოპყრობას, რაც უკვე აღარ მოსწონდათ გიორგი ათონელს, ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელს.

ისინი არჩევდნენ მაქსიმალურ სიზუსტეს, მთავარი სააზროვნო მომენტების გათვალისწინებას. ამიტომ თარგმნიდა ეფრემ მცირე ფსევდო-დიონისე არეოპაგელს, იოანე დამასკელს, არსენ იყალთოელი – „დიდ სჯულისკანონს“, იოანე პეტრიწი – პროკლე დიადოხოსს, ნემესიოს ემესელს, გიორგი ათონელი სრულყოფდა ბიბლიურ და საგალობელთა ტექსტებს, თითქოს ყველაფერს თავიდან იწყებდნენ.

კრიტიციზმის გამოხატულება იყო ის, რომ ეფრემ მცირე ქართულ ენას „ლიტონსა“ და „ჩვილს“ უწოდებდა, იოანე პეტრიწი „მდაბრიონთა ენას“ წვრთნიდა ნეოლოგიზმებითა და რთული სინტაქსით, ბერძნული კალკირებული კონსტრუქციებით (შდრ – XX საუკუნეში ახალგაზრდა მოდერნისტების მიერ ევროპის აპოლოგია და ქართული კლასიკის კრიტიკა).



ასე ცდილობდა დაეძლია ქართული ენის „დუხჭირობა“. ეფრემ მცირე წერდა – „ხოლო მე ამისათვის დავშუერ, ენადმცა ქართული ბერძულისადა მიმეყვანა“. ამ ტენდენციას აძლიერებდა ჰაგიოგრაფიული ტექსტების მეტაფრასირების რთული სტილი და ჰიმნების ასევე რთული მეტრულ-რიტმული კონფიგურაცია.

კონსტანტინეპოლში განსწავლული ბასილ ვაჩეს ძე, ეფრემ მცირის უმცროსი ძმა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1090-1100 წლებში, შენიშნავდა – „ნათესავი ქართველთა არს მარტივ და ამასთან ლიტონიცა“ (ვ. კეკელიძე); ხოლო დავითის მემატიაზე იტყვის – „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თვისთა უფალთა“, ე.ი. ქართველობას აკლდა განათლება და ერთგულების გრძნობაც.

ასეთსავე კრიტიციზმს ამჟღავნებდა კიდევ ერთი კათალიკოს-პატრიარქი, გიორგი III-ის პერიოდის მოღვაწე ნიკოლოზ გულაბერის ძე – „უმძვინვარესნი და უველურესნი“ იყვნენ ჩვენი ნათესავები და ამიტომ მოავლინა უფალმა სუსტი ქალი, რათა ჩვენი ქედფიცხელობა დაეცხრო.

ბერძნებს ღმერთმა ენამჭევრობისა და ფილოსოფოსობის ნიჭი მისცა, ქართველებს – მარტივი გონება, სიწრფელე და უმანკოებაო.

საჭიროა ამ მონაცემთა გააზრებაც, როცა ამტკიცებენ, რომ ქართული ანბანი და მწერლობა წარმოიშვა ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე.

გიორგი მცირის სიტყვით, „ნაკლულევანებად ენისა ჩუენისა“ შეუვსია ექვთიმე ათონელს, რადგან „ბარბაროზ წოდებულ ვიყვენით ელენთა მიერ უსწავლელობისათვის და უმეცრებისათვის ჩუენისა“.

ეს არ იყო ნიჰილიზმი, ეროვნულ ღირსებათა უარყოფა და უცხოურით გატაცება, მორჩილება ბიზანტიური კულტურისადმი, არამედ – რეალური ამადლების სურვილი.

ექვი და ძიება, გაცნობა და დაძლევა მიდიოდა ჭეშმარიტების პრობლემამდე. ამიტომ მოაზროვნენი იხედებოდნენ ქრისტიანული

თეოლოგიის მიღმა – ნეოპლატონიზმისა და ანტიკური კულტურისაკენ (შ. ნუცუბიძე).

ცოდნის უარყოფა და ბრმა რწმენა კრიტიციზმით შეპყრობილს, ცხადია, მიუღებლად მიაჩნდა.

მანგანის აკადემიის მესვეურებს, იქ განათლებამიღებულ ახალგაზრდებს დევიზად ექნებოდათ იოანე დამასკელის სიტყვა:

„არაა საჭირო ანტიკური ფილოსოფიური მოძღვრების უგულვებელყოფა. იქნება მათთანაც ვიპოვოთ რაიმე გამოსადეგი და შევიძინოთ რაიმე სულის სარგებელი“.

ამგვარ მითითებათა მიხედვით ქართველმა ელინოფილებმა შეძლეს ქართული კულტურის, ენისა და სტილის, ცოდნისა და აზროვნების უნივერსალიზება.

## სკეპტიციზმი

კრიტიკას ყოველთვის ახლავს სკეპსისი, ეჭვი და უნდობლობა.

ქრისტიანობის წიაღში, ისევ ბიზანტიელთა შთაგონებით, აღმოცენდა სკეპტიციზმი, რაც მრავალ სფეროს გადაწვდა და იქცა განახლების ფერმენტად.

კრიტიკული სიფხიზლე რელიგიურ ურთიერთობასაც შეეხო:

გიორგი ათონელი ეჭვს გამოთქვამს თუ როგორ უნდა ესაუბრათ ერთმანეთს შორის გაბრიელ ქართველსა და რომაელ ლეონს, როცა ერთმა ლათინური არ იცოდა, მეორემ – ქართული.

ფილოლოგიური სიზუსტე, წყაროთა დამოწმება და შემოწმება, მათი კრიტიკული ათვისება ასევე აჩენდა ეჭვებს, რომელთაც სჭირდებოდა დოკუმენტური გაქარწყლება.

სანდო იყო მხოლოდ თვალით ხილული და ყურით მოსმენილი ფაქტი თუ ამბავი. მაგ., როცა გიორგი ათონელი წერდა იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებას, თვითმხილველი სულიერი ძმების მონათხრობს

ენდობოდა მხოლოდ ფიცის შემდეგ ან წერილობითი სახით, ანუ იქცეოდა როგორც ურწმუნო თომა.

ასეთი ტენდენცია აღმოცენდა ქრისტიანული მისტიციზმის, ხილვებისა და სასწაულების, საიქიოს მითის პარალელურად.

სკეპსისი გზას კავავდა ჭემმარიტებისაკენ და შემდეგ იგი თავად დაამკვიდრებდა ახალ სულიერ ღირებულებას.

მისი საფუძველი იქნებოდა არა ქრისტიანულ-ეთნიკური მითოსი, არამედ რეალური ცოდნა, სიმართლე. საამისო ბაზისი კი იყო ქართული ენის გამდიდრება, კულტურის ძეგლების გადმოტანა, კომენტირება და გააზრება, ტაძართმშენებლობის გაგრძელება.

ეფრემ მცირესაც კი ექვი შეჰპარვია ღმერთის ცად მყოფობაში – ეს სიმბოლურად უნდა გავიგოთ, რადგან არავინ იცის სად არის ღმერთიო. ზეცა ყველაზე მაღალია და იმიტომ ვამბობთ ასეო.

ექვი და უნდობლობა გასჩენიათ მეფეებსაც. მათაც ბრმა რწმენას არჩიეს განსჯა, ნახვა და შესწავლა:

ბაგრატ IV: „ვიდრე თვალითა არა ვიხილო, არა მრწამს“ (გიორგი მცირე, გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება):

დავით IV: „რად უწყი თუ რა არის კოქსა ამას შინა ანუ რადსა თაყვანისვცემთ“ (ნიკოლოზ გულაბერისძე).

კრიტიციზმი შეეხო არა მხოლოდ კულტურასა და აზროვნებას, არამედ – საზოგადოებასაც, ქართველთა ცხოვრების წესს.

გიორგი მცირეს შენიშნული აქვს ერისკაცთა გარყვნილება, საეკლესიო პირთა სიხარბე, ფულით თანამდებობების მოხვეჭა, ხალხის მძიმე ცხოვრება (ჯ. აფციაური).

ყოველი ურჯულოება და ცოდვა მღვდელთაგან მოდისო, – დაწერს მემატთანე XII საუკუნეში.

ქართველთა მდგომარეობა რომ კარგი ყოფილიყო, გიორგი ათონელი 80 ქართველ ბავშვს არ წაიყვანდა ბიზანტიაში. მანამდე, როცა ხუთი წელი იმყოფებოდა საქართველოში, ეკლესიის რეფორმაც უცდია, რაც აღსრულდა 1104 წელს, რუის-ურბნისის კრებაზე.

ერთი მხრივ – რეალობა, მეორე მხრივ – ანტიკური კულტურის გაცნობა წარმოქმნიდა და აძლიერებდა სკეპტიციზმსა და კრიტიკულ ხედვას.

\* \* \*

ეთნიკური მითოსით დაიწყო აღმოსავლური ქრისტიანობის დამლევაც, რადგან თავად კონსტანტინეპოლი პირველობას ესწრაფვოდა, იგი აღარ იცავდა პენტარქიის პრინციპს, რასაც მოჰყვა ქრისტიანობის გათიშვა მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებად.

ფანატიზმი წარმოშობდა მითოსსა და ლეგენდას, იძლეოდა მოქმედების სტიმულსა და ენერგიას, კრიტიციზმი და სკეპტიციზმი არღვევდა ბრმა რწმენას და ამკვიდრებდა რაციონალიზმს.

ორივე მათგანი ერთდებოდა ერის ცნობიერებაში, რასაც მოჰქონდა პროგრესი, ბიზანტინიზმის დამლევა ბიზანტიური კულტურის დანვე მიღებული სტიმულებითა და ქართული სახელმწიფოს აღშენებლობის პათოსით.

ასე იქმნებოდა ქართული ნაციონალური კულტურისათვის ინტელექტუალური და პოლიტიკური ბაზისი.

## 7. ღმერთი – შემოქმედი

ის წიგნები და ხელნაწერები, რაც ვახსენეთ, საყდრებისა და ღვთისმსახურებისათვის მზადდებოდა.

ღვთისმეტყველთა წარმოდგენით, „ხელოვანთმთავარი“ არის ღმერთი, რომელმაც გაანაწილა „სიტყუათხელოვნება“, უფლის მადლით აშენების თუ ხატვის უნარი.

ხელოვნება ნიშნავს ოსტატობას და არა შემოქმედებას (რ. სირამე), რადგან შემოქმედი არის ღმერთი, რომელმან შექმნა სამყარო, მზე, მთვარე და ვარსკვლავები, მიწა, წყალი და ჰაერი, ცოცხალი არსებები, სააქაო და საიქიო, ადამიანს ჩაუდგა სული ხატად თვისა. ადამიანი

მხოლოდ მატერიალურ ფორმას აძლევს ღვთიურ არსს, ღმერთის იდეას, როგორც პირველსახეს.

შესაბამისად – კულტურა არის ღვთაებრივი ნათელისა და სიკეთის ემანაცია.

ყოველი არტეფაქტი, ტაძარი, ხატი თუ ფრესკა, ჰაგიოგრაფიული თუ ჰიმნოგრაფიული ტექსტი იქმნებოდა სულიწმინდის შთაგონებითა და მონაწილეობით, მისი კარნახითა და გარდამოსვლით.

ადამიანის გონი და ხელი ასრულებდა სულიწმინდის ნებას.

აქ სულიწმინდა, შემოქმედების პროცესში, ანტიკური მუზის ვარიაციაა, დღევანდელი შთაგონება, დაფარულის ხილვა და გაცხადება, ქვაში, ფერში, ჰანგში, ლითონში, სიტყვაში ამეტყველება.

ასე იწერდა უფლის სიტყვას, ისმენდა უფლის ნათქვამს მოსე და ხალხს გადასცემდა.

ფილონ ალექსანდრიელის განმარტებით, სიტყვა არის ლოგოსი, შუამავალი ღმერთსა და კაცს შორის, ძე ღვთისა.

ხორცშესხმული სიტყვა არის საქმე, უფლის ნების გადმოცემა და არა თვითგამოხატვა. ამდენად ქრისტიანულ კულტურაში ესთეტიკას განსაზღვრავს თეოლოგია, ღმერთის მკობა, ჭვრეტა და შეგრძნება.

წიგნი და ეტრათი უფლის ანბანითა და სიტყვით იყო დაწერილი. მასა, რომელმაც არც წერა იცოდა და არც კითხვა და აზრის გაგება უჭირდა, მათ კრძალვით ეპყრობოდა.

რადგან კულტურშემოქმედი იყო ბერ-მონაზონი და ღვთისმსახური, რომელიც იმეორებდა ქრისტეს ტანჯვის მისტერიას, ხალხის წარმოდგენაში კულტურშემოქმედი შთაიბეჭდა, როგორც წამებული (შდრ – არსაკიძისათვის მკლავის მოკვეთის ლეგენდა).

დაწერილი სიტყვა ინახავდა სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოს.

მაგრამ გაცილებით მეტი ეფექტი ჰქონდა ხილულ ტაძარს, ღვთისმსახურების პროცესს, ზეპირ ნათქვამს, დეკლამაციასა და გალობას.

წიგნი ტაძარს ავსებდა, ამშვენებდა და აძლიერებდა, როგორც სამოქმედო სცენარი.

## VI. სივრცული კონსტრუქცია: არტეფაქტები და სიმბოლიკა

ადამიანის გამოყოფა ცხოველური სამყაროდან ენისა და რწმენის ფორმირებასთან ერთად დაიწყო სივრცის შემოზღუდვით, საცხოვრისის აგებით – ხისგან, ქვისგან, ლოდისგან.

არქიტექტურა ცივილიზაციისა და კულტურის სინთეზია.

შემოზღუდული და გადახურული სივრცე იყო სახლი, რომელიც ადამიანს იცავდა ქარ-ყინვისა, წვიმისა და თოვლისა, ნადირისა და მტრისაგან. ამიტომ მისი გავრცობა და გამაგრება იქცა ციხე-გოდოლად, ხოლო რწმენის სადგური – სამლოცველოდ და საყდარად.

სახლს უნდა ჰქონოდა სიმაგრე და სიმტკიცე, სითბო და სიმყუდროვე. მისი აგება ყველას არ შეეძლო ანუ საჭირო გახდა ამ საქმის ოსტატი, ძველი ტერმინით – ხუროთმოძღვარი.

ხურო მთელს ნიშნავს – ხისა და ქვისა.

დასავლეთ საქართველოში, ჭაობიან ზღვისპირეთში, გაუთავებელი წვიმებისა და ნესტის გამო აგებდნენ ხის საცხოვრისებს – ჯარგვალებს (ჯა-ხე, რგვალი – მრგვალი), მორებისაგან შეკრულ სახლს და ფაცხებს ან ქოხებს, რაც არის ფოთოლთა და ჩალათა სახლაკი (სულხან-საბა).

ფაცხა არის მიწაში ჩარჭობილი სარების გარშემო შემოღობილი, რომელსაც ლესავდნენ წებოვანი მიწითა და ფუნით. მას აქვს დაზვინული, ტკეპნილი მიწის იატაკი.

ხის საცხოვრისი დიდხანს ვერ სძლებდა, ნადგურდებოდა და უკვალოდ ქრებოდა. მხოლოდ ციხე-სიმაგრეებს აგებდნენ ქვისაგან (მაგ., ნოქალაქევი, სკანდა, ვარციხე, შორაპანი, ტფილისი, გონიო, ციხისძირი, ანაკოფია, პიტიუნტი, უჯარმა).

აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მთიან ტერიტორიაზე მშრალი კლიმატის გამო გავრცელებული იყო მიწური სახლები, ლო-

დების, ქვებისა და ალიზის აგურებისაგან აგებული შენობები, რომლებიც უძლებდნენ დროსა და მტრის სისასტიკეს.

ამიტომ უკეთ მოაღწია ნაქალაქარების კვალმა (მაგ., ურბნისი, არმაზი, ხორნაბუჯი, უჯარმა, დმანისი, უფლისციხე) და ტაძრებმა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საფორტიფიკაციო სისტემის მშენებლობას, ციხე-სიმაგრეებს, კოშკებს.

ქალაქი თავისთავად ნიშნავდა კედლით შემოზღუდულ, მტრისაგან დაცულ სივრცეს, რომლის შიგნით ტკეპნილი მიწისა თუ ქვაფენილის ვიწრო გზების გარშემო მცირე მოცულობის ხისა და ქვის სახლები იყო განლაგებული.

მათგან გამორჩეული იყო ტაძრები და მეფის თუ ერისმთავრის სასახლე, ასევე – ცალკეული ფეოდალებისა.

მათ აგებას დიდძალი მუშა-ხელი, მასალა და სახსრები სჭირდებოდა, სჭირდებოდა გამორჩეული ოსტატი.

რკინისა და ფოლადის იარაღები, საზიდარები, გამწევი ძალა (ცხენი, ხარი, სახედარი, ჯორი), თავდაცვის აუცილებლობა და რწმენის ფაქტორი, ადამიანთა დაუცხრომელი შრომის უნარი, მშენებელთა ოსტატობა ქმნიდა არქიტექტურული ხელოვნების გამძლე და მყარ ნიმუშებს.

## 1. ტაძარი – უფლის ტახტი

ქრისტიანული რწმენის კრისტალიზება ხდებოდა ტაძარში, რომელიც უფლის სახლად და ტახტად მიიჩნეოდა.

ტაძარი შენდებოდა ხომალდის, ჯვრის ან ვარსკვლავის სახედ, რომელსაც დაედგმოდა გუმბათი, გუმბათს – ჯვარი.

იგი სამ ნაწილად განიყოფოდა – კარიბჭე, შუა ნაწილი და საკურთხეველი.

საკურთხეველი შუა ნაწილიდან გამოცალკეებული იყო კანკელით.

ქრისტიანული კულტურა ქმნიდა არტეფაქტების მთელ სისტემას, რომელთაც ენიჭებოდათ რიტუალურ-სიმბოლური მნიშვნელობა.

მათი სათავე იყო ბიზანტია, როგორც არსის, ისე ფორმისა და სტილის თვალსაზრისით.

ეკლესია იყო სარძლო, ქრისტე-ზეციური სიძე, სხვა სიმბოლიკით – თავად ეკლესია არის ქრისტეს სხეული.

ტაძარი აერთიანებდა, როგორც ჭეშმარიტების ნათლის სვეტი, ყოველ თეორიულ ცოდნას და პრაქტიკული მოქმედებით – მღვდელმსახურებით, წირვა-ლოცვით, ქადაგებით, გალობით, ფრესკებით, ინტერიერიტა და ექსტერიერიტა, ჯვარ-გუმბათით, კანდელ-სანთელთა ციმციმით, სურნელთა კმევით გადასცემდა მრევლს, მრევლს აქცევდა საღვთო სიბრძნის ზიარად.

ტაძრის ბრწყინვალეობა, ადგილი, გარემო და უბადრუკი, ლატაკი ყოფა, მკვეთრი კონტრასტი უფლის სახლსა და საერო ყოფას შორის აძლიერებდა, ამკვიდრებდა შიშსა და კრძალვას, თაყვანსა და სიყვარულს, როგორც ზეციურისა და მიწიერის დიქოტომია.

ტაძარი არამხოლოდ გარეგნულად, არამხოლოდ საღვთო ჭეშმარიტებათა გადმოცემით, არამედ – სუგესტიურადაც მოქმედებდა მორწმუნეზე, არაცნობიერად იმორჩილებდა მის გულისყურს. რწმენასა და აზრთან ერთად მნიშვნელობა ეძლეოდა ესთეტიკურ განცდას, ოღონდ სულიერების, გონის, ნათლის ასპექტში, რაც მუდმივად ანედლებდა წმინდა სულს.

ეკლესია, მონასტერი, ტაძარი, როგორც ვთქვით, უცხო და გაქართულებული სიტყვებია. ქართულში მათ საერთო სახელად იქცა საყდარი, რაც ძველ ქართულში ნიშნავდა ტახტსა და ზეციურ ძალებს.

საყდარი ეტიმოლოგიურად არის სა-ყუდ-ებელი, მისაყრდნობი, დაყუდებული-განდგომილი, განდეგილი.

ამ სიტყვის ძირია ყუდ, რაც არის იგივე კოლხური ჟუდ – სახლი (შდრ – სოფელი უდე), ისევე როგორც – არ სუფიქსი – ქართული – ელ (იხ. „საიქიო ცხოვრების მითი“).



მაგრამ ქართულია პრეფიქსი სა – (მეგრულად – ო).  
ტამარი იყო სულიერების ცივილიზაციური გაფორმება.

## ქტიტორი და კირითხურო

ღვთისმსახურისათვის საყდრის აგება უმთავრესი საზრუნავი იყო. მხოლოდ მისი საშუალებით შეიძლებოდა ფუნქციონირება.

ეკლესია, წირვა-ლოცვა და წიგნი ერთმანეთისაგან განუყრელი იყო. ასკეტი ღვთისმსახური უფლის დიდებით ცოდნას ნერგავდა და ავრცელებდა.

პირველი ეკლესია – ბაზილიკები, ძირითადად – ძელისა, საქართველოს თანამედროვე და ისტორიულ ტერიტორიებზე ჩნდება IV საუკუნიდან.

მშენებლობა ინტენსიური გახდა VI საუკუნიდან, როცა ძელი საბოლოოდ შეცვალა ქვამ. შემდეგ არაბობის პერიოდმა ეს პროცესი შეაფერხა. მაგრამ ახალი ძალით გაჩაღდა გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით, IX საუკუნიდან. ხოლო X-XI საუკუნეებში ყოველი კუთხე მოიცვა.

მართლაც საოცარია, როგორ აშენდა ამდენი ეკლესია-ტამარი.

ძალმოცემული ქართველობა ჯვართა და მახვილით, გუთნითა და კალმით იბრძოდა და შრომობდა.

ეკლესია-ტაძრები ერის ეკონომიკურ და ინტელექტუალურ პოტენციალს ავლენდა, არა მხოლოდ რწმენას უფლისადმი.

ისინი კულტურის დიდი თუ მცირე საყრდენები იყვნენ. მაგრამ თავადაც წარმოადგენდნენ ხელოვნების ნიმუშებს, რომელთა აგებასა და მოხატვას სჭირდებოდა ნიჭი, ცოდნა, გემოვნება, ოსტატობა.

სივრცეს ავსებდა წმინდა ლანდები, ჰანგები და ხმები, საცეცხლურთა ნათება და სანთელ-საკმევლის სურნელი.

ყველგან – ქალაქად, სოფლად თუ უდაბნოში კულტურის ცენტრი, როგორც ითქვა, იყო ეკლესია, მონასტერი, ზოგი – დიდი, ზოგი მცირე, შუამდგომი სიცოცხლესა და სიკვდილს, მიწასა და ზეცას, ყოველ-

დღიურობასა და უკვდავებას შორის, რომელთა ზართა რეკვა ერთი წერტილისაკენ უხმობდა ადამიანებს.

მაგრამ ეკლესია-მონასტრებს ჰქონდათ თავისთავადი არქიტექტურული ღირებულება, როგორც ხელოვნების ნიმუშებს.

IV-XI საუკუნეებში აგებულ უამრავ ეკლესია-მონასტერთაგან ზოგი გამოირჩევა ხუროთმოძღვრული ხელოვნებითა და კულტურული მნიშვნელობით.

სპეციალისტებს დეტალურად აქვთ შესწავლილი არქიტექტურის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ტაძრები, მათი კონსტრუქცია, ჯვარის ტიპისა და ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობები, გარეგნული ფორმა და შიდა ინტერიერი, ნაგების სისტემა, ფასადების, კონქებისა და აფსიდების სიმეტრია, თაღები, გუმბათის ყელი და გუმბათი, სარკმლები და კარიბჭე, სვეტები (პილონები), საკურთხეველი, ამბიონი, გალერეა, სადიაკვნო და სამკვეთლო, ფრესკები და წარწერები, რელიეფები და ჩუქურთმები, მხატვრობა და ხატწერა, მათი ესთეტიკური წესრიგი და ის სიახლე, რაც უჩინარ ოსტატებს შეუტანიათ მხატვრული აზრის განვითარებასა და კულტურის ფორმირებაში, კანონიზებულ სივრცეში (გ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი, ვ. ბერიძე).

დავასახელოთ ზოგი მათგანი:

არმაზის წმ. გიორგის ეკლესია ქსანში (864 წ.), ატენის სიონი (VII ს.), ბანა (X ს.), ბედია (X-XI ს. ს.), ბიჭვინთის სამნავიანი ბაზილიკა (IV ს.), ბოლნისის სიონი (V ს.), იშხანი (VII, IX, XI ს. ს.), კაცხის ტაძარი (1010-1014 წ. წ.), კუმურდო (X ს.), ლიხნი აფხაზეთში (X-XI ს. ს.), მარტვილის ეკლესია (VII, X ს.), მოქვის საკათედრო ტაძარი (X ს.), ნიკორწმინდა (1010-1014 წ. წ.), ოთხთა ეკლესია ჭოროხის ხეობაში (IX ს.), ოპიზა (აღდგენილი IX ს-ში), ოშკის ტაძარი (X ს.), პარხალის ბაზილიკა (X ს.), სამთავისი (1030 წ.), მცხეთის სამთავროს ტაძარი (XI ს.), საფარის მონასტერი (X ს.), წირქოლი (VIII ს.), წრომი (624-634 წ. წ.), ზაგრატის ტაძარი (1003 წ.), ალავერდი (XI ს.), სვეტიცხოველი (1010-1029 წ. წ.), ათონის ივერთა მონასტერი (X ს.), პეტრიწონი (XI ს.),

იერუსალიმის ჯვარის მონასტერი (XI ს.), მცხეთის ჯვარი (585-605 წ. წ.), ნინოწმინდის კათედრალი (VI ს.), ტბეთის ტაძარი (X ს.), ჰუჯაბის ტაძარი (VIII-IX ს. ს.), გელათი (1106-1125)...

ყველა ტაძარს ჰყავდა დამკვეთი, რომელიც ხდებოდა წინამძღვარი ან იყო ეპარქიის თავი – ეპისკოპოსი. ზოგი ამისათვის თავად მოიპოვებდა მიწას (მაგ., გრიგოლ ხანძთელი, საბა იშხნელი, სერაპიონ ზარზმელი) ან ასრულებდა ეკლესიის გადაწყვეტილებას (მაგ., მელიქისედეკ კათალიკოსი – სვეტიცხოვლის აგება).

ხშირად დამკვეთის სახელი ჩრდილავდა როგორც ქტიტორს, ისე არქიტექტორს (მაგ., ხანძთის აღმშენებლად იწოდება გრიგოლი, ხანძთის სამრეკლოსი – მარკოზი).

ეკლესიის ზარის (ძელის) ხმა აფხიზლებდა მოსახლეობას. იგი ანტიმუსულმანური სიგნალი იყო. ამიტომ კრძალავდნენ არაბები. ტფილისში მხოლოდ ერთ ბაზილიკას ჰქონდა ზარის რეკვის ნება. მას „ზარის ტაძარს“ ეძახდნენ (დღევანდელი ანჩისხატი).

ზარისგან (სარეკელისაგან) მოდის შიში (შდრ – სა-ზარ-ელ-ი).

ბერ-მონაზვნები ქტიტორის (დღევანდელი სპონსორი) გარეშე სერაპიონის მსგავსად მხოლოდ ტალავერს თუ გამართავდნენ (მაგ., ბედიის მონასტრის კტიტორია ბაგრატ III, ათონის ივერთა სავანისა – იოანე თორნიკ-ყოფილი, ხანძთისა – გაბრიელ დაფანჩული, ზარზმისა – გიორგი ჩორჩანელი, მოქვის ტაძრისა – აფხაზთა მეფე ლეონ III, ლორე-ტაშირში ეკლესიისა – ოთხი ძმა ძნელაისძე).

ეკლესიის წინაშე განსაკუთრებით ღვაწლმოსილი პირები ტაძრის შიგნით იმარხებოდნენ (მაგ., ვახტანგ გორგასალი სვეტიცხოველში, ბაგრატ III – ბედიამი, აშოტ კუხი – ხანძთამი); იხსენიებდნენ და მათ სახელზე აღევლინებოდა ლოცვა.

შემდეგ გელათი გახდა მეფეთა სამკალე.

ასევე გამოსახავდნენ მათ პორტრეტს (მაგ., აშოტ კურაპალატი ოპიზამი ტაძრის მოდელით ხელში, ისევე როგორც ბაგრატ III ბედიამი და დავით აღმაშენებელი – გელათში; ბაგრატ III-ის დედა

გურანდუხტი დაუხატავთ კუმურდოში). ტაძარს ამკობდნენ შესაბამისი საინფორმაციო წარწერებით.

ტაძრის და მონასტრის კონსტრუქციას, გეგმას, სიდიდეს – სიმაღლეს, სიგრძე-სიგანეს, სენაკთა და სარკმელთა განლაგებას, გუმბათის სიმაღლეს, ლიტურგიის ადგილს და საგნებს დამკვეთთან შეთანხმებით ადგენდა ხუროთმოძღვარი (არქიტექტორი), რომლის სახელი თითქმის ყოველთვის უჩინარი იყო და მხოლოდ ზოგან გაკრთება.

უნდა ჰყოლოდათ გამოცდილი მშენებლები, ჰქონოდათ გამძლე მასალა, ჭეშმარიტი რწმენა, ეკონომიკური რესურსი.

აგებდნენ თლილი, ნატეხი თუ რიყის ქვით, აგურით, ტუფით, შირიმით (ცარცის მსგავსი ქვა), ადულაბებდნენ კირხსნარით.

გამწევი ძალა იყო ხარ-კამეჩი და ცხენი. ქვას ალბათ ახლო კარიერიდან მოიპოვებდნენ, მაგრამ უგზოობის გამო ხელით, ზურგით და მარხილებით თუ მიიტანდნენ ნაკურთხ ადგილზე (მაგ., ასე მიაქვს „ქვაჲ დიდი და მძიმე ფრიად“ ტბელ აზუსერისძის ბოლოკ-ბასილს).

აშოტ კუხის (X ს.) დახმარებით აშენდა ხანძთის ახალი ეკლესია. ქვა და კირი შორი გზიდან ზურგით ამოჰქონდათ მუშებს. შემდეგ წონიდნენ და ასე უხდიდნენ საფასურს (გიორგი მერჩულე).

მუშახელი ადგილობრივი მოსახლენი იქნებოდნენ.

ზოგ დამკვეთს ხუროობაც სცოდნია და შველოდა მშენებლებს (მაგ., სერაპიონ ზარზმელი).

სახურავად იყენებდნენ კრამიტს (მაგ., ალავერდი გადახურული ყოფილა ცისფრად მოჭიქული კრამიტით).

ომკის ტაძრის „ზედამდგომი“ გრიგოლი წარწერაში ზუსტად ასახელებს თუ მშენებლობაში რამდენი დრამა დაიხარჯა, ღვინო რამდენი ლიტრი იყო ან რკინა, ხორბალი – რამდენი გრივი.

ასევე ჩამოთვლილია კალატოზთა და მჭედელთა, მუშათა რიცხვი, ხართა და ჯორთა რაოდენობა.

მკაცრად ყოფილა განსაზღვრული შრომის ანაზღაურება, მოწესრიგებული ჰქონიათ მშენებლობის პროცესი.

სირთულეთა გამო მშენებლობა მრავალი წელი გრძელდებოდა (მაგ., ბოლნისის სიონის სამნავიანი ბაზილიკა აიგო 462-477 წლებში, მცხეთის ჯვრის საყდარი – 585-605 წლებში, ბანას ახალი ტაძარი – 888-923 წლებში).

მშენებლობას ასევე აფერხებდა მუდმივად ომის რეჟიმში ყოფნა.

მოჰყავდათ ის ოსტატები, რომლებიც კვეთდნენ რელიეფებს, წარწერებს, ჩუქურთმებს, გამოჰყავდათ სარკმელები, გუმბათი და გუმბათის ყელი, შეეძლოთ სტანდარტული, კანონიკური დეტალების ახლებური კომბინაცია.

ხუროთმოძღვარი იყო მშენებლობის კონსტრუქტორი, არა მხოლოდ გეგმის შემდგენი. მას უყურებდნენ როგორც დამკვეთის ნების ტექნიკურ შემსრულებელს.

მშენებლები იშველიებდნენ წარმართული დროის ორნამენტულ, სკულპტურულ და რელიეფურ ტრადიციებსაც (მაგ., ბოლნისის სიონის ხარისთავი, ცხოველები და ფრინველები). მაგრამ მთავარი იყო ჯვართა სიუხვე. ჯვარის ძალით მიემართებოდა ტაძარი ზეცისაკენ.

ხუროთმოძღვრები აგებდნენ მეფის, დიდებულთა, ერისთავთა, კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა სასახლეებს, ციხე-სიმაგრეებს, მათ კედლებსა და გოდოლებს.

მაგ., სვეტიცხოველის ეზოში იდგა კათალიკოსის სასახლე.

აშენებდნენ როგორც ძელის, ისე ქვიტკირის შენობებს.

მათი ნაკვალები თითქმის არ შემორჩენილა.

გაქრა არქიტექტორთა და მხატვართა სახელებიც. დარჩა მხოლოდ ტრადიცია, რაც გადაეცა ახალ თაობებს.

## პირველი ეკლესია-ბაზილიკები

თავდაპირველი ეკლესიები მცირე მოცულობისა იყო და მრევლი სივიწროვისა თუ შიშის გამო ღვთისმსახურების დროს გარეთ იდგა.

IV საუკუნით ათარიღებს გ. ჩუბინაშვილი ნეკრესის უძველეს და ჭერემის მცირე ეკლესიებს. ამავე დროს აუგიათ წილკანის ბაზილიკა,

რომელიც V საუკუნეში სამნავიანად უქცევიათ, VII-ში კი გუმბათიც დაუდგამთ.

წმ. ნინოს რჩევით მირიანმა იმ ადგილზე, სადაც სიღონია დაიმარხა, ეკლესია ააშენა. შემდეგ იქ ბაზილიკა აღმართა ვახტანგ გორგასალმა.

მაშინდელია ბოდბის ეკლესიაც. ესენი უფრო განკუთვნილი ყოფილა არა ღვთისმსახურებისათვის, არამედ – წმინდანთა და სასულიერო პირთა სამარხად – მარტირიუმად (მაგ., ლეგენდის თანახმად ბოდბეში დაიკრძალა წმ. ნინო).

ასეთი ბაზილიკები (უგუმბათო ტაძრები) შენდებოდა V საუკუნეშიც.

ისინი აგრძელებდნენ წარმართულ ტრადიციებს. მაგრამ თანდათან შემოდიოდა ქრისტიანულ-ბიზანტიური არქიტექტურის ატრიბუტები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბოლნისის სიონი. იგი თლილი ქვით არის აშენებული, აქვს ნალისებრი საკურთხეველი, სატრაპეზო ადგილი, განიყოფა სამ ნავად. შენობა ეყრდნობა სწორკუთხოვან სვეტებს, ორმწკრივად განლაგებულ ხუთ-ხუთ პილონს.

ყურადღებას იპყრობს რელიეფური კომპოზიციები – ხეები, ჯიხვი, ფრთოსანი ლომები, შველი და დათვი, ჯვარი ორ ფარშევანგს შორის, ხარის თავი, ვაზის ფოთლები და მტევნები.

მათ პარალელებს პოულობენ ირანულ მაზდეანურ ხელოვნებაში (შ. ამირანაშვილი). ერთ-ერთ წარწერაში იხსენიება დავით ეპისკოპოსი, რომელიც 506 წელს დვინის კრებას დასწრებია.

უფრო დიდი ბაზილიკებია ურბნისის სიონი და წყაროსთავის ეკლესია, რომელიც შემდეგ გუმბათიან ტაძრად გადაკეთდა, ტფილისის ანჩისხატიც რამდენიმეჯერ არის რეკონსტრუირებული.

სამშვილდის ბაზილიკა ააგო საგდუხტ დედოფალმა, ვახტანგ გორგასალის დედამ, ანჩისხატი – დაჩი უჯარმელმა, ვახტანგის ვაჟმა.

ასევე უძველესია ბიჭვინთის ბაზილიკა (IV ს.), რომელსაც ჰქონია მარმარილოს მრგვალი სვეტები და გეომეტრიული კომპოზიციის მოზაიკური იატაკი. იგი ძლიერ დაზიანებულია VI საუკუნეში და აღუდგენიათ VIII საუკუნეში;

V საუკუნეს განეკუთვნება შუამთის ბაზილიკა.

VI საუკუნიდან ყალიბდება სამეკლესიანი ბაზილიკის ქართული ტიპი (გ. ჩუბინაშვილი). შემდეგ მას მოჰყვება ოთხკამარიანი (ტეტრაკონქი) ჯვარის ტიპის გუმბათოვანი ტაძრები.

ჯვარ-გუმბათოვანია (მცხეთის ჯვარი – 585-605 წ. წ., ძველ-გავაზის საყდარი – VI ს., ქაშუეთის პირველადი ტაძარი, აგებული დავით გარეჯელის მიერ – VI ს., მანგლისის ტაძარი – VII ს., ნინოწმინდის კათედრალი – VI ს., შუამთის მცირე ტაძარი, ატენის სიონი – VII ს.

ახლახანს მდ. დურუჯთან აღმოაჩინეს V საუკუნის ნატაძრალი. იგი სამნავიანი ბაზილიკა ყოფილა – სიგრძე 44 მ, სიგანე – 29 მ, სიმაღლე – 15 მ.

აუგიათ ვახტანგ გორგასლის დროს.

იქვე აღმოჩნდა ნაკურთხი წყლით სავსე ერთტონიანი ქვეერი, რომელსაც V-VIII საუკუნეებს განაკუთვნებენ (არქეოლოგი ნოდარ ბახტაძე).

ასე დაინგრა მრავალი ეკლესია-ტაძარი. ზოგის ნანგრევებიც აღარ ჩანს, ალბათ დრომ მთლიანად დაშალა ან სხვა მშენებლობას მოხმარდა ქვები. ამიტომ შემოგვრჩა მხოლოდ სახელები – ნაქალაქარი, ნაციხვარი, ნატაძრალი, ნასოფლარი, ნასაყდრალი (მეგრ. ნოდოხორუ, ნოჯიხუ, ნოქაძაქი, ნაოხვამუ).

გუმბათი იდგმებოდა შუა ნავის ცენტრში – კვადრატს ცვლიდა წრე, როგორც იყო მიღებული ბიზანტიურ არქიტექტურაში (შ. ამირანაშვილი).

შემდეგ ცენტრალურ ნაწილზე დადგმულ გუმბათს გაუჩნდა საყრდენი სვეტები (წრომის ტაძარი – 626-635 წ. წ. ქტიტორი სტეფანოზ მეორე).

სპეციალისტები პარალელს ავლებენ სომხურ და ბიზანტიურ ქრისტიანულ არქიტექტურასთან. მსგავსება გამოწვეული არის ერთიანი რელიგიური კონცეფციით, განსხვავება – ეროვნული და ინდივიდუალური ხედვით.

ქართული არქიტექტურის განვითარების სხვადასხვა ეტაპებს ამლევენ სათავეს მცხეთის ჯვრის, წრომისა და იშხანის ტაძრები (შ. ამირანაშვილი).

## ჯვარ-გუმბათიანი ტაძრები

თავდაპირველი ძეგლის ეკლესიები სწრაფად გაქრა. მათი ადგილი დაიჭირა ქვიტკირის შენობებმა. მათ კედლებს მოსავდნენ თლილი ქვით. ხურო (დურგალი) საეკლესიო მშენებლობაში შეცვალა კირით ხურომ (კალატოზმა/გალატოზმა). მშენებელ ხუროთმოძღვარს შეემლო თავისი ფანტაზიით განევრცო ტაძარი და დაეგეგმარებინა, თუ კი ეკონომიკური პოტენციალი საშუალებას მისცემდა, ოღონდ – დამკვეთთან შეთანხმებით.

ბაზილიკების შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილება იყო ჯვარ-გუმბათიანი ტაძრები, რაც ბიზანტიაში ვრცელდება VI საუკუნიდან. გუმბათი კომპოზიციურად კრავდა ტაძრის კონსტრუქციას. იგი იყო როგორც კულმინაცია, როგორც ემოციური დამაბულობის მწვერვალი ლიტურატურაში.

გუმბათს წრიული, კონუსური სახურავით ხურავდნენ, ხოლო გვერდითა ნაგებებს სწორფერდა სახურავი ჰქონდა (ძველქართულში გუმბათს გვირგვინი ერქვა).

გუმბათის ყელი, როგორც გედის ყელი, ისე იტაცებდა მრევლის მზერას. იგი ეყრდნობოდა სვეტებს, ჩვეულებრივ – ოთხ სვეტს შენობის ცენტრალურ ნაწილში, რაც ზრდიდა შიდა სივრცეს და აკუსტიკას.

ოთხი სვეტი ოთხი სახარების სიმბოლიკაა.



იყო ორსვეტიანი და უყელოც (მაგ., არმაზი ქსანში, 864 წ., ბედია – X-XI ს. ს.), როცა გუმბათი ეყრდნობა საკურთხევლის კედლებს.

გუმბათის ყელს ჰქონდა სარკმლები. მათი რიცხვი იცვლებოდა (მაგ., სვეტიცხოველს აქვს 16 სარკმელი, ასევე – ალავერდს).

მაგრამ მეტწილად 12 სარკმლიანია, რაც არის 12 მოციქულის სიმბოლიკა და სინათლის წყარო.

გუმბათის ყელის სიმაღლეც იცვლებოდა (მაგ., ალავერდი – 50 მ., ბანა – 30 მ.), ისევე როგორც ტაძრის სიმაღლე, სიგრძე-სიგანე, შიდა სივრცის კონსტრუირება, აფსიდების განაწილება, ფასადების ფორმა, სამშენებლო მასალა, გუმბათის დიამეტრი (მაგ., სვეტიცხოველისა – 10 მ., შდრ – აია სოფიასი – 32,5 მ.).

გუმბათზე იდგა ჯვარი, ცისკენ მზირალი, როგორც ჯვარცმული ქრისტე, ქვეყნიერების 4 კუთხე და 4 მიმართულება.

ხუროთმოძღვრის აზროვნება სპეციფიკური დეტალების ქვის ხაზებად ამეტყველებაში ვლინდებოდა, რათა პათეტიკური სული შთაეებრა მორწმუნისათვის, რათა მორწმუნეს ეგრძნო ღვთაების ტაძრად ყოფნა, ზეციური სამეფოს მიწად ჩამოსვლა.

ზოგ მათგანს შემოჰქონდა სიახლე, რასაც იზიარებდნენ შემდგომი დროის ოსტატები (მაგ., სამთავისში საკურთხევლის თავზე დიდი ჩუქურთმიანი ჯვარი, ოპიზაში კედლების მოპერანგება თლილი ქვის კვადრებით, წრომის ტაძარში ფასადების ფრონტონებით დასრულება, ოთხკამარიანი ჯვარის ტიპის გუმბათოვანი ტაძრები).

ხუროთმოძღვართა სახელები დროში იკარგებოდა. მხოლოდ ტაძრის წარწერები ინახავდა მათ ხსოვნას.

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ სვეტიცხოველი აუგია არსუკისძეს. ამას გვაუწყებს ტაძრის წარწერა და მკლავის რელიეფი.

იმხანს საბოლოო სახე მისცა ივანე მორჩაღსძემ (1032 წ.). ატენის სიონი აუგია სომეხ თუ ბერძენ თოდოსაკს, ოშკი – გრიგოლს, რომელიც გამოუსახავთ ერთ-ერთ სვეტზე, კუმურდო – საკოცარს, ხანძთის

ახალი ეკლესია – ამონას (X ს.), დოლისყანა – გაბრიელს (X ს.). მაგრამ სახელით იწყება და მთავრდება მათი ბიოგრაფია.

ზოგ ტაძარს გალავანი ჰქონდა შემოვლებული, როგორც ციხე-სიმაგრეს (მაგ., სვეტიცხოველს, თუმცა იგი გვიანდელია).

როგორც ხელნაწერ წიგნებს, ისე ტაძრებს ამკობდნენ ქტიტორთა, თაოსანთა და ამშენებელთა წარწერებით:

მაგ., ატენის სიონი ახსენებს არჩილ მეფეს, ბულა თურქის მიერ ტფილისის დაწვასა და ამირა საჰაკის მოკვლას, კახაფსა და მისი ძის თარხუჯის შეპყრობას, სტეფანოზ მამფალისა და დედოფალ გუამავრის გარდაცვალებას, მამფალ სუმბატ აშოტის ძეს, მირიანის ძე გურგანელს, ციხისთავს, რომელსაც ატენში აუგია სახლნი და ქულბაგი, ზაგრატ სევასტოსსა და მის ძეს გიორგი კურაპალატს (გ. აბრამიშვილი).

სარკმლები და კარიბჭეები, სვეტები იყო მოჩუქურთმებული, როგორც ზაზისი, ისე სვეტისთავი (მაგ., ზაგრატის ტაძარი, ბანა, იშხანი, კაცხის ტაძარი, ნიკორწმინდა, ოშკი).

თაღები დეკორატიულია (მაგ., ოპიზა, ზაგრატის ტაძარი, ალავერდი). ზოგს აქვს მოზაიკა (მაგ., ბიჭვინთის ბაზილიკა, იშხანი, ზაგრატის ტაძარი).

მიუხედავად იმისა, რომ ტაძრები მტკიცე ნიადაგზე შენდებოდა, შენდებოდა გულმოდგინედ და პროფესიულად, დრო, მიწისძვრა, დამპყრობელი, ხანძარი მაინც არღვევდა მათ მონოლითურ სხეულს და აუცილებელი ხდებოდა რესტავრაცია.

ღმერთის სახელი და დიდება ვერ აჩერებდა დროის მსახვრალ მოქმედებას.

ტაძრის ინტერიერი, ქტიტორთა დახმარება, თავად მოღვაწეთა ინტერესი იძლეოდა საშუალებას, რომ განვითარებულიყო კედლის მხატვრობა, რელიეფური ქანდაკება, ხატწერა, ლითონის პლასტიკა, ხოლო წიგნი და ხელნაწერი მინიატურის ხელოვნებას წამოსწევდა.

ამდენად – ქრისტიანულ ხელოვნებას, როგორც თეოლოგიური სისტემის ილუსტრირებას, ჰქონდა პრაქტიკულ-ღვთისმსახურებითი ფუნქცია (შდრ – სოციალისტური რეალიზმი ბოლშევიკურ სსრკ-ში).

## 2. საეკლესიო მხატვრობის ფიგურები

### ხატომებრძოლობა

თავდაპირველად ეკლესიის კედლები ასკეტური და უსახური უნდა ყოფილიყო, განსხვავებით წარმართული ტაძრებისაგან.

შემდეგ გაჩნდა ფრესკები და ხატები, რასაც დიდი კონფლიქტი მოჰყვა. ეს შფოთი ხატომებრძოლობის სახელითაა ცნობილი და მთელი საუკუნენახევარი გაგრძელდა ბიზანტიის იმპერიაში. ამავე დროს ეს იყო ხელოვნების ჩახშობაც.

მონოფიზიტები (მაგ., სომხები) საერთოდ უარყოფდნენ კედლის მოხატვას, მოზაიკას, ფრესკებს.

ქრისტიანული ხელოვნება კატაკომბური ფერწერით იწყება, სადაც უმთავრესი იყო ნათლობა და ევქარისტია, „მწყემსი კეთილის“ სიმბოლო, კაცთა ცოდვათაგან ხსნის მითი.

ქრისტეს ხატი ეკლესიაში თავისთავად ორბუნებოვანებას ნიშნავდა, რადგან ხილული (ადამიანი) ფარავს უხილავს (ღვთაებრივს).

პურით და ღვინით მორწმუნე ქრისტეს სისხლსა და ხორცს ეზიარებოდა. ეს იყო წარმართული კაცთშეწირვის – სისხლიანი რიტუალების შეცვლა უსისხლო მსხვერპლით (შდრ – „წამებული ღმერთი – კაცთა მხსნელი“).

შემდეგ ხატის საღებავის ნაფხეკს ურევდნენ ევქარისტიულ ღვინოში და თანდათან ხატის თაყვანი წარმართულ კერპთაყვანისმცემლობას დაემგვანა.

730 წელს ბიზანტიის იმპერატორმა ლეონ III სომეხმა (ისავრიელმა) ხატების წინააღმდეგ განკარგულება გამოაქვეყნა. პატრიარქი გერმანე არ დაემორჩილა და იგი გადააყენეს.

754 წელს „მსოფლიო“ კრებამ სპეციალური ოროსით ხატთაყვანის-მცემელთა ოფიციალურ დევნას სანქცია მისცა.

ბერებიც ისევე ნადგურდებოდნენ, როგორც ხატები (ა. შემანი). ასევე უარყოფდნენ ფრესკებს, კედლის მხატვრობას. ეს იყო მონოფიზიტური ტენდენციის შემოჭრა (მაგ., სომხური ეკლესიის მოუხატავთ მხოლოდ XVIII საუკუნეში, ისიც ქართველ ფერმწერებს).

ამის გამო სომხებმა განავითარეს ხაჩქარის (ჯვარ-ქვის) ორნამენტული ხელოვნება.

787 წელს დედოფალ ირინეს ინიციატივით გაიმართა VII მსოფლიო კრება, რომელმაც აღადგინა ხატის თაყვანის დოგმატი. მას ადრეც ბევრი ცნობილი მოღვაწე ემხრობოდა (მაგ., იოანე დამასკელი). მაგრამ აღიარება მაინც ჭირდა.

შემდეგ ხატები ისეთ სიმაღლეზე დაკიდეს, რომ ამბორი შეუძლებელი ყოფილიყო. ესეც არ იკმარეს და მრავალი ბერი და ეპისკოპოსი დახოცეს.

მხოლოდ 843 წელს დაიგმო საბოლოოდ ხატთმებრძოლთა ერესი, შეწყდა რეპრესიები და აღადგინეს ეკლესიებში ხატები.

საქართველოს ტერიტორიაზე ხატთმებრძოლობას მწვავე ხასიათი არ ჰქონია. მაგრამ იგი უეჭველად იმოქმედებდა ხატწერასა და კედლის მხატვრობაზე, ტაძრის ინტერიერის გაფორმებაზე. თუმცა ცდილობდნენ ამჯერად არ მიჰყოლოდნენ ბიზანტიურ კურსს: მაგ., მცხეთაში აკურთხეს ეპისკოპოსად ყირიმელი გუთელი იოანე (VIII ს.), რომელსაც უარი უთხრეს ბერძნებმა.

IX საუკუნიდან როგორც ბიზანტიაში, ისე საქართველოში დაიწყო კულტურული აღმავლობა.

## კედლის მხატვრობა

ეკლესია-ტაძრებს მოხატვა ჰმატებდა სიდიადეს. ფერები, ფიგურები, სიუჟეტები ერწყმოდნენ წირვა-ლოცვას, გალობასა და ქადაგებას.

მხატვრობას ჰქონდა თვალსაჩინოების ეფექტი – წაკითხულისა და გაგონილის სახეობრივი წარმოდგენით.

ქოხმახებს, მიწურებს, ტყიან და ტალახიან გზებსა და ბილიკებს შორის იდგა ცისკენ ყელაღერილი ტაძარი. იგი სანთლებით ციმციმებდა, ფრესკებითა და სურათებით ელავდა, გალობისა და ქადაგების ხმებით ზრიალებდა, საკმევლის სურნელით აღივსებოდა, ჯვართ ებრძოდა უკეთურსა და უკუნეთს.

ტაძარში ლოცვად მისულს ავიწყდებოდა ყოველდღიური წვრილმანები, უბადრუკი რეალობა, შური, შიმშილი და ღვარძლი.

უფლის სახელის ნათება ტანჯულ სულს ესალბუნებოდა.

ბინდბუნდს კვეთდნენ კედელზე მდგარი ნათელი ფიგურები. ისინი ბიბლიიდან და სახარებიდან იყვნენ გადმოსული, ან იყვნენ წამებულები, როგორც წმინდა გიორგი, ტაძრის მაშენებლები და მღვდელმთავრები, რომელთაც უფლის სიტყვას აზიარეს, უფლისაკენ მოაქციეს ურწმუნონი და უჯერონი.

მათ ოქროსფერ შარავანდედს ასხივებდა კანდელ–სანთლების შუქი, რაც ზეციური სინათლის არეკლვაა. ხოლო ვიწრო და მაღალი სარკმლებიდან შემოსული მკრთალი სინათლე ის ბინდ–ბუნდია, რაც ახლავს საღვთო საიდუმლოს.

მხატვარი ჭარბ ემოციას არ ავლენდა. ეს იქნებოდა ხორციელობის ზეიმი, როგორც იყო რენესანსის ეპოქაში. ახლა კი იგი სიმბოლოსა და სულიერების გარსში იყო მოქცეული.

სხეულს ფარავდა სამოსელი, გრძნობას – აზრი, ზეცას – გუმბათი.

გონებას უნდა განეჭვრიტა სიმბოლოდ წარმოდგენილი ფიგურა, რომელიც როგორც ღვთაებრივი ან ღვთაებას მიახლებული, ბუნებრივისაგან განირჩეოდა დარღვეული პროპორციებით, მკრთალი ფერებით.

ტაძრის მხატვრობისათვის იყენებდნენ ფრესკის ტექნიკას – სველ, ახალ შელესილ კედელზე სრულდებოდა სურათები.

ჩამქრალი კირის ბათქაშს ურევდნენ ქვიშას, აგურისა და მარმარილოს ფხენილს, ცხიმეულს, ლედვის წვენს.

საღებავებად გამოყენებული იყო ჟანგმიწა, სინგური, კობალტი, უმბრა, უმატებდნენ წებოს.

ფერებს ხსნიდნენ კირიან წყალში.

გაშრობისას ნახატი მყარდებოდა, მაგრამ ერეოდა ბაცი ფერი.

ტაძარს აგებდა ხუროთმოძღვარი, ხოლო მხატვრის ხელი აფორმებდა ინტერიერს. ფერები და ფიგურები სიმსუბუქეს აძლევდა კედლებსა და ცისკენ აჭრილ გუმბათს.

ტაძრები მოხატული იყო ცხრა ცის ალევორით – კარიბჭიდან საკურთხევლამდე, სვეტებიდან გუმბათამდე, საიდანაც დაგვყურებს ქრისტე (რ. სირამე).

კედლის მხატვრობას ავსებდა ჭედური და ფერწერული ხატები, რომელთათვის ადგილის შეცვლა ან რომელთა გადატანა შეუძლებოდა.

რელიეფური სკულპტურები წარმოდგენილია კანკელებზე, სვეტებზე, კედლებზე. ისინი გამოსახავდნენ ქტიტორებს, შემდეგ – რთულ და მრავალფეროვან სიუჟეტებს (მაგ., უსანეთის სტელა, ზედაზნის კანკელი).

ტაძრების უმრავლესობა იგებოდა ჯერ მარიამ ღვთისმშობლის, შემდეგ – წმ. გიორგის სახელზე. მაგრამ, ცხადია, მღვდელმთავრები და მხატვრები მთავარ ადგილს უთმობდნენ იესო ქრისტეს, მასთან დაკავშირებულ სიუჟეტებს, რაც გამომდინარეობდა სახარებიდან.

გამოსახულებებში ყოველ დეტალს ჰქონდა სიმბოლური მნიშვნელობა: მაღალი შუბლი – სიბრძნე, თხელი ტუჩები – ასკეტიზმი, გრძელი თითები – უბიწოება, დიდი თვალები – ღვთაებრივი იდუმალეობა, მოდრეკა – მორჩილება, თავდახრა – ყურადღება (ს. მეტრეველი).

მიუხედავად ასეთი დეტალიზებისა და გულმოდგინებისა, მლოცველს მხატვრის ხელოვნება ან ფერთა შეხამება როდი აინტერესებდა.

იგი ფრესკის მიღმა ხედავდა პირველსახეს – ქრისტეს თუ ღვთის-მშობელს და მას სცემდა თაყვანს.

მშვენიერება იყო ღმერთი და არა კაცის ხელით შექმნილი საგანი. მაგრამ უჩინრად მაინც მოქმედებდა კარგად თუ ცუდად შესრულებული ფრესკა.

ღრომ, წვიმამ, ხანძარმა, მიწისძვრამ, მტერმა ტაძრები ხომ დაა-ზიანა, მათი აღდგენა შეიძლებოდა. მაგრამ უფრო შემუსრა კედლის მხატვრობა, ზოგს ფერი დაუკარგა, ზოგი – სრულიად მოსპო ან შემორჩა მხოლოდ ნაკვალევი და ცალკეული დეტალები, რომლის ცნობა ჭირს.

ასევე დაემართა მოზაიკებს, მოზაიკურ მხატვრობას, ჯვარსა და ჯვარცმას, წიგნის მინიატურებს.

მაგ., წრომის ტაძარში შემორჩენილია კონტური წვერულვაშიანი ქრისტეს ცადაპყრობილი მარჯვენისა, მარცხენაში უჭირავს გრაგნილი, რომელზეც რამდენიმე ასომთავრულით ნაწერი სიტყვა იკითხება.

ქრისტეს მარცხნივ და მარჯვნივ შეიძლება გარჩევა პეტრე და პავლე მოციქულებისა.

ისინი ხელს უწვდიან მაცხოვარს.

ქრისტეს ზემოთ, ცაში ოქროსა და ვერცხლის კენჭებით გაწყობილია „საყდარი განმზადებული“.

მასთანავე დაუკავშირებია მხატვარს ხელთუქმნელი ხატის სიუჟეტი. მაცხოვარს აქ გვერდით უდგანან საერო პირები. ერთი მათგანი წარწერის მიხედვით არის სტეფანოს მეორე, ვინც ალაშენა ეს ტაძარი.

ბოლნის-ქაფანაქის საეკლესიო ბაზილიკის რელიეფზე (VI ს.) გამოსახულია მაცხოვრის ამალღება, რომელსაც აკავშირებენ სირიულ და სომხურ ხელოვნებასთან (შ. ამირანაშვილი).

ჯვრის ამალღების კომპოზიციას გვაცნობს ჯვარის ტაძრის რელიეფი, რომელსაც ახლავს ანგელოსების ფიგურები. ქრისტეს ქტიტორთა

ზევით გაწვდილი აქვს მარჯვენა, მარცხენათი კი წიგნი მიუკრავს მკერდზე.

ომკის ტამარზე გამოსახულია „ვედრების“ სიუჟეტი – მაცხოვარი, ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი მრგვალი შარავანდედით, აგრეთვე – ქტიტორი ბაგრატიონების. მათგან ზოგს აქვს კვადრატული შარავანდედი, რაც ელინისტური ეგვიპტის ხელოვნების თვისებაა.

ცალკე ხატავდნენ ჯვარცმის სცენას.

დავით-გარეჯის წმ. დოდოს კლდეში ნაკვეთ მცირე ეკლესიაში შემორჩენილია ტახტზე („საყდარზე“) მჯდომი მწითური ქრისტე, გაწვდილი მარჯვენით და მარცხენა ხელზე გაშლილი წიგნით.

ქვემოთ გამოსახულია, მარჯვნივ და მარცხნივ, მთავარანგელოსები მიქელი და გაბრიელი, ქერუბიმი ფერადი სამოსელით.

საყდარზე მჯდომი ქრისტე გამოუსახავთ ოთხთა ეკლესიაშიც ორივე მთავარანგელოსით – მიქელითა და გაბრიელით.

ასევე საკურთხევლის კონქში დახატული ყოფილა მაცხოვარი ანგელოსებთან ერთად საყდარზე იშხნის ტამარში.

ანალოგიურ სამფიგურიან კომპოზიციას ვეცნობით სვეტიცხოველში, დასავლეთის ფასადზე.

საყდარზე მჯდომი მაცხოვარი გამოუსახავთ ხახულის ტამარშიც ანგელოსებთან და მოციქულებთან ერთად, ასევე – საკურთხევლის კონქში.

ცალკე კომპოზიციას „მაცხოვრის შესვლა იერუსალიმში“.

ტბეთის ტამარში საკურთხევლის კონქი მთლიანად მაცხოვარს უკავია. „დიდება უფლისა“ წარმოდგენილია ტრადიციული და მრავალფეროვანი კომპოზიციით.

მხატვრები ასევე ხშირად მიმართავდნენ წმ. მარიამის თემას, რომლიდანაც აღორძინების ხანაში განსაკუთრებით პოპულარული იყო ღვთისმშობელი ყრმით, პატარა იესოთი (შდრ. მეგრულად სკუამი – შვილიანი ლამაზს ნიშნავს).



ატენის სიონში საკურთხევლის აფსინდის კონქში წარმოდგენილია სწორედ ყრმა იესო დედასთან ერთად. გვერდით უდგანან მთავარანგელოსები – მიქელი და გაბრიელი, ქვემოთ – 12 მოციქული.

ტაძრის ერთ-ერთი მკლავი მთლიანად ეთმობა ღვთისმშობლის აპოკრიფული ცხოვრების მიხედვით შესრულებულ 14 სიუჟეტს. ისინი იწყება უშვილო იოაკიმესა და ანას მისვლით იერუსალიმის ტაძრის მღვდელმთავართან და მთავრდება ღვთისმშობლის მიძინებით, რაც დიდად არის დაზიანებული.

დაზიანებულია სხვა სიუჟეტებიც.

ავტორი ავლენს პლასტიკური ხატვის გამორჩეულ უნარს. მაგ., „ღვთისმშობლის წყლით მხილება“. ეს სიუჟეტი ბევრგან გვხვდება (მაგ., ზარზმაში) და ეხება მოსეს კანონით ქალის მრუშობის დადგენას. იგი ჰგავს შუასაუკუნეთა ორდალიებს. მაგრამ ასე სასტიკი არ არის.

მღვდელმთავარი კარვის იატაკიდან იღებდა მიწას, ჩაყრიდა წყალში და დაურთავდა ეტრატზე თუ გრაგნილზე დაწერილი წყევლის სიტყვების ნაბანს.

ლოცვის შემდეგ წყალს სვამდა ბრალდებული – თუ გადარჩებოდა, ეჭვიმტანილი გამართლდებოდა. ამ სიუჟეტში მარიამი წყალს სვამს არა ტრადიციული თასიდან, არამედ – ვიწროყელიანი სასმისიდან.

მღვდელმთავრის მზერაში კარგად არის შეზავებული ეჭვი და სიმკაცრე.

ოთხთა ეკლესიაშიც გამოუსახავთ ღვთისმშობლის აპოკრიფული ცხოვრების სიუჟეტი. მას უკავია საკურთხევლის ქვედა რიგი.

ხახულის უფლის დიდების სიუჟეტში ღვთისმშობელი ორად ჰყოფს მოციქულთა დასს, ხოლო ოშკში იგი ხელაპყრობილია ანგელოსთა გარეშე.

ქრისტესთან ერთად ყოველთვის იხსენიება მისი მოწაფეები – მოციქულები. მათი ფიგურებიც ასევეა წარმოდგენილი ფრესკებზე.

მაგ., იმხანში უფლის დიდების სიუჟეტში, საკურთხეველის კონქში, ქრისტესა და ანგელოზების დაბლა დახატულია მოციქული, მათ ქვემოთ – მღვდელმთავრები. ასევეა ხახულის ტაძარში, ოშკში, სხვა ტაძრებში ანუ მხატვარი დებულობს კანონიზებულ დაკვეთას, რომლის სიუჟეტი, ფიგურები, ფიგურების თანმიმდევრობა ეკლესიურად მკაცრად არის განსაზღვრული, ისევე როგორც კომპოზიციის ადგილი და ზომა.

მხატვარს შეუძლია შეცვალოს მხოლოდ შუქ-ჩრდილის თამაში, სახის გამომეტყველება, ხელების მოძრაობა, მოძრაობის დინამიკა.

ამის მიხედვით ქართულ კედლის მხატვრობაში გამოყოფენ რამდენიმე განსხვავებულ სტილს (მაგ., ტაო-კლარჯეთის, დავით-გარეჯის).

თუმცა ორიგინალობა არ არის მკვეთრი და თვალში საცემი. მხოლოდ სპეციალისტი თუ გაარჩევს ნიუანსობრივ სახესხვაობას.

ძირითადი თემატიკა, ფიგურები, კომპოზიციები, ფერები თითქმის უცვლელად მეორდებოდა, გადადიოდა ტაძრიდან ტაძარში, კუთხიდან – კუთხეში, ქვეყნიდან – ქვეყანაში.

მაგ., ანგელოსების დასი მხატვრობის მუდმივი თანმხლები იყო, განსაკუთრებით – მთავარანგელოსები მიქელი და გაბრიელი, რომელთა სამოსელი დროის კვალობაზე იცვლებოდა. ასევე მათ გამოსახავდნენ ჯვრის მკლავებს შორის.

ანგელოსები ახვევია ქრისტეს.

ბიბლიური სიუჟეტები მხატვრობისათვის უხვ მასალას იძლეოდა, მაგ., წინასწარმეტყველები ან ცალკეული სიმბოლურ-ალეგორიული სურათები, სამოთხის ოთხი მდინარე.

ისინი დაუხატავთ ატენის გუმბათის ქვეშ ტრომპზე.

ეს მდინარეებია – ნილოსი, იორდანე, ტიგროსი და ევფრატი, რომლებიც გამოედინებოდნენ სამოთხიდან და რწყავდნენ ქვეყნის ოთხივე მხარეს.

შემდეგ მათი ადგილი დაიკავა ოთხმა მახარებელმა.

ეს იყო, ამავე დროს, ოთხის რიცხვითი სიმბოლიკის ნაწილი. მაგ., ოთხი მფრინავი ანგელოსი, ოთხი ეტლი და მათში შებმული ოთხი ფრთოსანი ცხენი (იშხანის ტაძრის გუმბათზე, ვარსკვლავებით მოჭედული ლურჯი ცის ფონზე), აპოკალიპსის ოთხი ცხენი.

ასევე პოპულარული მოტივი იყო ჯვარის ამალღება. მაგ., მცხეთის ჯვარის რელიეფურ სურათში ჯვარს ამალღებს ორი მფრინავი ანგელოსი. ხახულის ტაძრის გუმბათის ცენტრში ორის ნაცვლად ოთხი ანგელოსი განადიდებს ჯვარს.

აპოკალიპსი გვიან, მხოლოდ X საუკუნეში ითარგმნა ქართულად. მაგრამ ატენის მხატვრობაში ადრევე ჩაურთავთ იგი, როგორც განკითხვის დღე, რომელიც ფრაგმენტულად შემორჩენილა. ამ დროიდან საერთოდ ხდება პოპულარული „მეორედ მოსვლისა“ და „განკითხვის დღის“ თემები.

იშხანის გუმბათის თაღზე, ერთ-ერთი ეტლის ქვემოთ დაუხატავთ მხეცზე მჯდომარე ბაბილონის მეძავი.

შედარებით ნაკლები ადგილი ეთმობა ახლად გამოჩენილ წმ. ნინოს. მაგ., ოშკის ტაძრის სვეტზე გამოუსახავთ მისი რელიეფური ქანდაკება.

წმ. გიორგიც ახალი სახელი იყო.

უძველეს გამოსახულებად ითვლება წებელდისა და მარტვილის წმ. გიორგი, რომელიც შუბით კლავს იმპერატორ დიოკლეტიანეს.

ზოგჯერ 12 საუფლო დღესასწაულის სიუჟეტები, როგორც მკაცრად თანმიმდევრული ციკლი, ერთიანად იხატებოდა. მაგ., ატენის სიონში, რაც ძლიერ დაზიანებულია.

წმინდანებსა და მღვდელმთავრებს დიდი ადგილი ეკავათ ტაძრის კედლებზე. მაგ., საყოველთაოდ ცნობილი მაქსიმე აღმსარებელი და იოანე დამასკელი იერუსალიმის ჯვარის მონასტერში, მათ დაბლა კი, ფერხით – შოთა რუსთველი, ლოცვად ხელაპყრობილი.

კედლის მხატვრობაში ადგილობრივი წმინდანები და მღვდელ-მთავრებიც ჩნდებიან. მაგ., დავით გარეჯელის ცხოვრების კომპოზიციათა ციკლი უდაბნოს გამოქვაბულში (X ს.).

მათ საერთო კომპოზიციაში ეკავათ მესამე რიგი ქრისტე-ანგელო-სებისა და მოციქულების შემდეგ. იყვნენ ცალკეც გამოსახულნი როგორც კედელზე, ისე სვეტზე ან გუმბათის თალსა და ყელზე.

ექტიტორები, რომელთა სახსრებით, თანადგომით, დახმარებით იგებოდა ტაძარი, სათანადო ადგილს ჰპოვებდნენ კედელზე, როგორც რელიეფის, ისე ფერწერული სურათის სახით.

მხოლოდ ზოგან გაიელვებს ხუროთმოძღვრის სახე და სახელი. მაგ., მცხეთის ჯვარის გუმბათის ყელზე მუხლმოდრეკილი ფიგურის რელიეფი.

ჯვარის ამშენებელთა რელიეფებზე ჩანან ქრისტეს წინაშე მუხლ-მოდრეკილი სტეფანოზ I პატრიკოსი, ადარნესე ვიპატოსი და მისი ძე სტეფანოზ II, ვიპატოსი დემეტრე.

მათ თავზე დაფრინავენ ანგელოსები. ცალკეა წარმოდგენილი მუხლმოდრეკილი ქობული სტრატიგი.

რელიეფების კომპოზიციაში, სამოსელსა და სახის წარმოდგენაში ხედავენ სასანიდური ხელოვნების გავლენას.

ატენის სიონში ტაძრის მოდელით ხელში გამოყვანილია სტეფანოზ II, მისი მაშენებელი.

იგივე პირი ვედრების ფორმით წარმოუჩენიათ საკუთრთხევლის აბსიდის მხატვრობაში, რაც ადრე ყოფილა მიღებული რომის მოზაიკებში (შ. ამირანაშვილი).

ექტიტორთა რელიეფური ქანდაკებები ამშვენებს ოშკის ტაძარს – დავით მაგისტროსი, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი, ადარნასე III კურაპალატის ძენი. როგორც ვთქვით, დავითსა და ბაგრატს ჰმოსავთ კვადრატული შარავანდედი, კვადრატული ზეციური იერუსალიმის სიმბოლური ანალოგიით.

იმხანის ტაძარზე გამოუსახავთ მირიანის მეუღლე დედოფალი ნანა და სომხეთის მეფე თრდატის მეუღლე დედოფალი აშხავარი.

დასავლეთის ნავში გამოხატული ყოფილან ადარნასე კურაპალატი, ბაგრატ მაგისტროსი, ბაგრატ ერისთავი.

ოპიზის რელიეფზე ტახტზე მჯდარი ქრისტე მარჯვენით ქტიტორს – აშოტ კურაპალატს ლოცავს, მარცხენაში წიგნი უჭირავს. აშოტს ხელში უკავია გუმბათოვანი ტაძრის მოდელი. იქვეა დავით წინასწარმეტყველი, ებრაელთა მეფე, რომელსაც თავიანთ წინაპრად მიიჩნევდნენ ბაგრატიონები. კუმურდოს შემოუნახავს აშოტ კუხის, ლეონ III-ისა და გურანდუხტის გამოსახულებანი.

XI საუკუნიდან რელიეფებს ცვლის ფრესკული პორტრეტები.

მეფეები, წმინდანები, ეპისკოპოსები გამოუსახავთ სტელებსა და კანკელებზე. განსაკუთრებით რთულია ზედახნის კანკელის რელიეფური კომპოზიცია (X ს.), რომლის ავტორი ყოფილა ზაქარია.

უფრო ადრეულია ფოთოლეთის კანკელი (VIII ს.) და უსანეთის სტელა (VIII ს.).

კედლების გაფორმებაში კარიბჭესთან, კამარებთან, სვეტისთავებსა და კვარცხლბეკზე, სარკმელებთან გამოიყენებოდა ჩუქურთმები. ორნამენტი ავსებდა წარმოქმნილ სივარდილს, ადგილებს, რომელთაც ვერ დაიკავებდნენ კომპოზიციები და პორტრეტები.

ქვაზე ამოკვეთილი ორნამენტები იყო გეომეტრიული, მცენარეული, ზოომორფული. მათი უძველესი ფორმები (მაგ., ვაზის თემა) გადმოტანილი იქნა ტაძრების დეკორში.

როგორც ორნამენტში, ისე რელიეფებსა და კედლის ფერწერაში კომპოზიციის შემადგენელ ნაწილად იყენებდნენ მცენარეულ და ცხოველურ მოტივებს, მაგრამ მუნწად. მათი სიუხვით გამოირჩევა ნიკორწმინდა.

იმვითად ჩნდებოდა მზე და მთვარე, უფრო სიმბოლური სახით, როგორც ქალი და ჭაბუკი (მაგ., წმ. დოდოს ეკლესიაში).

ალბათ ისინი იწვევდნენ წარმართულ ასოციაციებს.

ბოლნისის სიონის კომპოზიციაში ჩასმულია ფრთოსანი ლომის, ხარის თავის, ჯიხვის, შველის, დათვის, ხეების ფიგურები; ხარის თავების რელიეფური ქანდაკებებია სვეტიცხოველის აღმოსავლეთის ფასადზე, ატენის სიონზე – ირმები და ნადირობის სცენა, მარტვილის ეკლესიაში – სამსონი და ლომი, დანიელი ლომთა ბუნაგში.

ასეა ოშკის ტაძარშიც (ხარები, ფრინველები, ირმები, ადამიანები), პარხალის ეკლესიაშიც (ლომები).

ასეთ დეკორს აკავშირებენ ისევ სასანურ ხელოვნებასთან, მაზდეანობასთან.

შ. ამირანაშვილის აზრით, სვეტიცხოველის ხარისთავები უნდა ყოფილიყო იმ ბაზილიკის ნაშთი, რომელიც V საუკუნეში ააგო ვახტანგ გორგასალმა.

სულიწმინდას გამოსახვდნენ მტრედის სახით (მაგ., „შიოსა და ევარეს ცხოვრებაში“ დაყუდებულ შიოსთან საზრდელი მტრედს მიაქვს).

დავით გარეჯის გამოქვაბულის კომპოზიციებში ირმებს წველის დავითის მოწაფე ლუკიანე. მეორეგან გველეშაპისაგან დამფრთხალი ირმები გარბიან, მესამეგან ცეცხლში გახვეულა გველეშაპი; კუმურდოს ჩუქურთმებში შერეულია მცენარეული, ცხოველური (მაგ., ლომი, არწივი, ხარი), გეომეტრიული და ანგელოსური ფიგურები.

იშვიათად და ისიც აპოკალიპსური მისტიკის პლანში ან ზაქარიას გამოცხადებაში ჩნდებიან ფრთოსანი, სხვადასხვა ფერის ცხენები (მაგ. იშხანსა და ხახულში) – შავნი, სპეტაკნი, ხსიდნი (წითელი), ფესანგნი (ჭრელი).

ბაგრატის ტაძრის სვეტისთავები შეუმკიათ ირმებზე მონადირე ვეფხვებით, გარეული ვირებით, ადამიანის თავიანი სფინქსებით, რომელთაც გველებისათვის ჩაუვლიათ ბრჭყალები.

საეკლესიო მხატვრობაც ღვთისმსახურების ნაწილი იყო.

## ლითონის პლასტიკა

ლითონის პლასტიკას უძველესი ტრადიციები აქვს. იგი აითვისა ქრისტიანობამაც, ოღონდ თავისი თემატიკის შესაბამისად.

ოქრომქანდაკებლები მუშაობდნენ ოქროსა და ვერცხლზე. განსაკუთრებით ხელმისაწვდომი იყო ვერცხლის ფირფიტები, რომელთაც ამუშავებდნენ შებრუნებით, ზურგის მხრიდან.

ასე ამოჰყავდათ რელიეფი. შემდეგ მას ნიუანსობრივად ასწორებდნენ, აზუსტებდნენ, ხვეწდნენ (ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები დეტალურად აქვს შესწავლილი გიორგი ჩუბინაშვილს)..

მოღწეულია V საუკუნის წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის (ნაზიან-ხელის) ვერცხლის მოოქროვილი ხატი.

იგი შეუსრულებიათ „მხევალი საჰაკდუხტის“ – ვახტანგ გორგასლის დედის შეკვეთით. ხატის ბუდეზე გამოსახულია ვარსკვლავები.

886 წელს დაუმზადებიათ შემოქმედის ფერისცვალების ხატი. ქრისტე ფეხზე დგას, წინასწარმეტყველები კი ვედრების პოზას გამოხატავენ.

X საუკუნეს ეკუთვნის მარტვილის ფეხზე მდგომი ღვთისმშობლის ხატი. ასევე X საუკუნისაა იშხანის ჯვარი, დავით კურაპალატის ვერცხლის ჯვარი ჯვარცმის გამოსახულებით, ბრეთის საწინამძღვრო ჯვარი ჯვარცმითა და რელიეფური ხატებით ოთხივე მხარეს.

სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი, თვალ და ხელებ-აპყრობილი, აქაც ინარჩუნებს სიმშვიდეს.

მარტვილის ოქროს სანაწილე ჯვარზე ჯვარცმულთან ერთად ამოკვეთილია ღვთისმშობლისა და იოანე მახარებლის სახეები, ზემოთ და ქვემოთ – მთავარანგელოსები მიქელი და გაბრიელი.

ტექნიკურად უფრო სადაა, მაგრამ სახეთა სიმრავლით გამოირჩევა ივანე დიაკონის ჯვარი წინგასაძლოლი (მარტვილი, XI ს.)

999-1001 წლებით თარიღდება ბედიის ოქროს ბარძიმი ქრისტესა და მოციქულთა რელიეფური გამოსახულებებით, რომელიც ამ ტა-

ძარს შესწირეს ბაგრატ III-მ და დედამისმა გურანდუხტმა, აფხაზთა მეფის ასულმა.

განსაკუთრებით საინტერესოა ლომზე მჯდარი წმ. მამამს ვერცხლის დისკო (XI ს.). ხვად ლომს ფაფარი დახვეული აქვს. ბრჭყალები გრიფონის თუ არწივის ჭანგებს მიუგავს. პირიდაღრენილსა და კუდაპრეხილს, ტანი უპრიალებს. ცხვირკაუჭა, ფეხშიშველი მამამ მშვიდად ზის ლომზე. მარჯვენაში ჯვარი უჭირავს, მარცხენა ხელი – გამლილი და შემართული.

თეთრი კვართი აცვია მუხლამდე, ყელთან შეკრული, მკლავებზე დახვეული, თავზე ადგას მრგვალი შარავანდედი (ნიმბი).

თვალებში ეხატვის განცვიფრება.

ცალკეული დეტალები მოოქროვილია.

წმ. მამამ ყოფილა კესარიელი წმინდანი. აწამეს 272 წელს. იგი ველურ ცხოველებთან გაზრდილა, გამოუკვებავთ ირმებს.

დასაგლეჯად რომ მხეცებს მიუგდეს, ლომმაც კი პირი არ დააკარა. ამიტომ მახვილით განგმირეს.

ლომზე მჯდარი მამამს განსხვავებული კომპოზიცია შემოუნახავს ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ გრიგოლ ნაზიანზელის ერთ–ერთი ნაშრომის ხელნაწერის მინიატურას.

ხატმწერები ამზადებდნენ სხვადასხვა სტრუქტურის ხატებს – ერთ, ორ, სამკარედიანს, ციკლურს ანუ მრავალფიგურიანს.

ასევე განვითარებული ყოფილა ტიხრული მინანქარის ხელოვნება (მაგ., მარტვილის ტაძრის სანაწილე ჯვარი, IX ს. ხახულის ღვთისმშობლის ხატი, X ს.), რაც ასევე ბიზანტიიდან შემოვიდა. მას ძირითადად ოქროს ფონი აქვს (ლ. ხუსკივაძე).

კარედის ფრთებს ამკობდნენ მედალიონებით (მაგ., ხახულის კარედი).

X საუკუნიდან ქართულ ხელოვნებაში ვრცელდება წმ. მარიამის კულტი, ღვთისმშობელი ყრმა იესოთი ხელში (მაგ., ლაკლაკიძეთა ხატი, თევდორეს მხატვრობა იფარის ეკლესიაში).



ქედური და მინანქრული ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშია ხახულის კარედი, ღვთისმშობლის ხატის ტრიპტიქი (იგი დავით IV-ს გადმოუსვენებია ხახულიდან გელათში და ხელახლა შეუჭედავთ), რომელიც 100-ზე მეტი ფირფიტისაგან შედგება.

რელიგიურთან ერთად ვითარდებოდა, ოღონდ ნაკლები ინტენსივობით, ყოფითი, გამოყენებითი ხელოვნება.

საბრძოლო იარაღებსაც ძვირფას ნივთებს ამგვანებდნენ.

ამზადებდნენ კერამიკას, მოჭიქულ ჭურჭლეულს, ვერცხლის ფიალებსა და სამაჯურებს, ოქროსა და ვერცხლის საკიდებს.

მათი ავტორები უცნობია (გამონაკლისთაგანი – სვიმეონ მესვეტის ხატი დაუმზადებია ფილიპე ოქრომჭედელს ეპისკოპოს ანტონ ცაგარელის დაკვეთით – XI ს.).

როგორც ოდესღაც, ისე ახლაც ელიტას იზიდავდა კომფორტი და კარგი ცხოვრება, რაც ხელს უწყობდა კულტურის ფორმებისა და სახეების განვითარებას.

## ეტრატის მინიატურა

მხატვრები მონაწილეობდნენ წიგნების გაფორმებაშიც.

წიგნის ფურცლებს უკეთებდნენ კამარებსა (თალებს) და სვეტებს, რომელთაც გასდევდა ჩუქურთმების ხვეული ანუ ხელნაწერის გვერდი იყო ტაძრის კედელზე ამოტვიფრული ტექსტის იმიტაცია, ასოები – ვაზის მტევნებისა და კლერტოების მსგავსად აკინძული.

კალიგრაფები ადგილს ტოვებდნენ მხატვრებისათვის ან შეიძლება ზოგი კალიგრაფი მხატვრიც ყოფილიყო. ისინი ხელნაწერებს ამკობდნენ მინიატურებით, რაც ერწყმოდა ტექსტის შინაარსს. მაგ., სახარების ტექსტები გვაცნობენ მახარებლებსა და ქრისტეს. მათი სახეები იცვლებოდა დროის კვალობაზე.

ჰადიშის სახარებაში (897) გამოუსახავთ სამი მახარებელი – ლუკა, იოანე, მარკოზი. მათგან იოანე უწვევრულია, ლუკა – მოხუცი და ჭაღა-

რათმიანი, ჭადრა და გრძელი წვერით; მარკოზს მუხლებზე აქვს გამ-  
ლილი ეტრატი და წერს. უკან ჩანს ჯვარი.

მათეს მინიატურა არ შემონახულა.

ასევე საინტერესოა ალავერდისა და ჯრუჭის ოთხთავების კომ-  
პოზიციები.

ზოგ ხელნაწერში ქრისტეს ფიგურა წარმოდგენილია უწვერულ  
ჭაბუკად, რაც ადრეული ტრადიციაა. შემდეგ ბატონდება წვეროსანი  
ქრისტეს სახე.

მხატვრები იყენებენ ცისფერს, წითელს, ხორცისფერს, ნაცრის-  
ფერს.

ჯრუჭის სახარება, გადაწერილი შატბერდში 936 წელს, დაუსუ-  
რათებია თევდორეს 940 წელს.

აქ მახარებლები ფეხზე დგანან.

ერთ-ერთი ხელნაწერის მინიატურაზე ვხედავთ ყრმა იესოს უტახ-  
ტოდ მჯდომარეს (XI ს.).

მინიატურა მოკლედ გადმოგვცემს იმავე გავრცობილ ფიგურებს,  
რომლებიც ეკლესიების კედლებიდან იმზირებიან. მაგ., თევდორე „კა-  
მარათა მწერალი“, ე. ი. სახარების მუხლების მომხატველიც ყოფილა.

\* \* \*

როგორც ვხედავთ, ჩვენს წინაპრებს აგრესორ მაზდეანებთან და  
მუსულმანებთან ჭიდილში, ბიზანტიასთან კონფლიქტში, შრომასა და  
სისხლისღვრაში უთარგმნიათ უამრავი ტექსტი, გადაუწერიათ უთვა-  
ლავი ხელნაწერი, უშენებიათ ეკლესია-ტაძრები, მოურთავთ ინტერი-  
ერი და ექსტერიერი, წარმოუჩენიათ თავიანთი წამებულები და  
მოღვაწენი და ვნებათაგან განწმენდილი სული უქცევიათ ზეციურ  
ძალთა დიდებად.

## VII. სიტყვა და გალობა: იდეალები და პერსონაჟები

### 1. ჰაგიოგრაფიული პროზა და ისტორია

როგორც ვთქვით, ქართული ორიგინალური მწერლობის პირველ ნიმუშად ზოგი თვლის ფარნავაზის ცხოვრებას, ზოგი ნინოს ცხოვრებას ან ნებროთის ამბავს.

ეს ჰიპოთეზების სფეროა.

ჯერჯერობით ამ პრიორიტეტს ინარჩუნებს იაკობ ხუცესის „შუშანიკის მარტვილობა“, რაც არის რეალობა.

ჰაგიოგრაფიული ტექსტი არ იყო ჩაფიქრებული როგორც მხატვრული ნაწარმოები. იგი სჭირდებოდა ეკლესიას, რათა თავდადებული პირის საქმე და სახელი უკვდავეყო, დაეწესებინა ხსოვნის დღე, მრევლს ჰქონოდა საკითხავი წმინდანსა და მოწამეზე (hagios – წმინდა, grapho – ვწერ).

წამებულის ან მოღვაწის სახელი გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ეს ტრადიცია დღესაც შენარჩუნებულია. ამიტომ ჰაგიოგრაფიული ტექსტი პასუხობდა მღვდელ-მსახურების, წირვა-ლოცვის მოთხოვნებს.

ეს იყო მისი ძირითადი ფუნქცია.

ქართველებიც ცდილობდნენ ეჩვენებინათ თავიანთი წვლილი ქრისტიანობის დაცვაში, წარმოეჩინათ ცალკეული წამებული და ღვაწლმოსილი პირები. ისინი თავიდან დღევანდელი გაგების წმინდანებად არ იყვნენ შერაცხილი. ეს პროცესი იწყება IX საუკუნიდან, პატრიარქ ფოტის ინიციატივით. მაგრამ ცალკეულ მოწამეთა სახელები ეკლესიას აღიარებული ჰქონდა. კანონიზაციის შემდეგ კი წმინდანებზე იწერება ტექსტები, ჰიმნები, ხატები და ფრესკები, წესდება მოსახსენიებელი დღე, რომელიც შედის საეკლესიო კალენდარში, ინახავენ წმინდანთა ნაწილებს.

წმინდანი ახალ რეალებთან მიმართებით იმეორებს ქრისტეს ცხოვრების გზას. განსაკუთრებით ეს ეხება მარტვილებს.

ქართული ჰაგიოგრაფიის ძირითადი ნიმუშები დაწერილია V-XI საუკუნეებში. ისინი ბევრი არაა, მაგრამ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და საინტერესოა როგორც საისტორიო წყარო და ლიტერატურული ფაქტი, როგორც მღვდელმსახურების ნაწილი.

მათგან ზოგის ავტორი უცნობია (მაგ., „ნინოს ცხოვრებისა“, „კოლაელ ყრმათა წამებისა“). ზოგის დაწერის დროც სადავოდ არის მიჩნეულია.

მაგ., პ. ინგოროყვას აზრით, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ VII საუკუნეშია დაწერილი. კ. კეკელიძე კი X საუკუნით ათარიღებს.

ცთომილება მთელი სამი საუკუნეა.

იგივე ითქმის ასურელი მამების ჰაგიოგრაფიულ ტექსტებზე, რომელთა დაწერის დრო ორი საუკუნის განსხვავებით აქვთ განსაზღვრული ივ. ჯავახიშვილს, კ. კეკელიძესა და ი. აბულაძეს.

ქრონოლოგიური აღრევა ართულებს ისტორიული და ლიტერატურული პროცესების აღქმას, კულტურის განვითარების სწორ წარმოდგენას. მაგრამ V-XI საუკუნეთა ქართული ჰაგიოგრაფია ერთი ტიპოლოგიური მთლიანობაა, რომელიც ემორჩილება ეკლესიის მიერ კანონიზებულ სქემას. მას აქვს ერთნაირი იდეალები და ჰყავს ერთმანეთის მსგავსი პერსონაჟები – მოწამენი და მოღვაწენი, სიცოცხლითა და ცხოვრებით უფალს შეწირულნი.

## რედაქციები

ჰაგიოგრაფიული ტექსტი საეკლესიო მოთხოვნილებით იწერებოდა და იცვლებოდა. როცა ეკლესია საჭიროდ ჩათვლიდა, რომ ამა თუ იმ წამებულის ან მოღვაწის ხსენების დღე დაწესებულიყო, მას უნდა ხლებოდა შესაბამისი საკითხავიც.

მაგრამ ავტორი არ სჯერდებოდა მოკლე ცნობების აღწუსხვას და თხრობას განავრცობდა, ავსებდა ფაქტებით, დეტალებით, პარალელე-

ბით, ჰმატებდა დამაჯერებლობას. აქ ვლინდებოდა ავტორის ნიჭი და ორიგინალობა.

3. კეკელიძე განასხვავებს სამ რედაქციას – კიმენურს, მეტაფრასტულსა და სვინაქსარულს.

კიმენი იყო პირველადი ტექსტები, რომელთაც უფრო ლიტერატურულ-საისტორიო სახე ჰქონდათ. მათში გადმოცემული იყო მთავარი ფაქტები ანუ „ნახშირითა ხატი გამოხატული“ – ავტორი ჰყვებოდა სათქმელს ზუსტად და ლაკონიურად.

ასეთ ტექსტებს კიმენი დაარქვა ეფრემ მცირემ.

სადად და უბრალოდ, „ლიტონად“ ნათქვამის გადაკეთება დაუწყია სვიმეონ ლოლოთეტს, რასაც ეწოდა მეტაფრასტი (X-XI ს. ს.).

მეტაფრასტული ტექსტი ენობრივად არის გართულებული, მაღალფარდოვანი მსჯელობით გადატვირთული, სიტყვაუხვი.

ქართულ მეტაფრასტიკას ხელს ჰკიდებს ექვთიმე ათონელი.

ამის შემდეგ გადაუკეთებიათ ქართული ტექსტებიც. ამ დროს ბერძნული ჰაგიოგრაფია, კიმენური ნაწილი, მთლიანად ყოფილა გადმოდებული და ჩვენებს დაუწყიათ მეტაფრასტების თარგმანი, ამ ახალი სტილის ათვისება, რაც შეესაბამებოდა ელიტის გემოვნებას, საერო და სასულიერო არისტოკრატის მასისაგან განსხვავებულ ინტერესებს (იხ. „მეტაფრასტიკა“).

მღვდელმსახურებისათვის ეკლესიას სჭირდებოდა მოკლე საკითხავები. ამიტომ საჭირო გახდა მესამე რედაქციის შედგენაც, რასაც ეწოდა სვინაქსარი.

ზოგი ტექსტი შემოგვრჩა სამივე რედაქციით, ზოგი – რომელიმეთი (მაგ., პროხორეს ცხოვრების სვინაქსარი).

„შუმანიკის წამება“ უთარგმნიათ სომხებს. მისგან გადაუკეთებიათ მცირე რედაქცია, რომელიც ახლა ქართველებს უთარგმნიათ (3. კეკელიძე). ილ. აბულაძის თანახმად, სვინაქსარული რედაქცია წინ უსწრებს ვრცელს.

როგორც რედაქციები ცვლიდა ტექსტების მოცულობასა და ცალკეულ დეტალებს, ისე გადამწერებიც ახდენდნენ კორექტირებას (მაგ.,

„შუმანიკის წამების“ ხელნაწერში, რომელიც განეკუთვნება XI საუკუნეს, აღარ ჩანს ხანმეტობის კვალი).

## ქანრობრივი დაყოფა

ჰაგიოგრაფიული თხზულებანი განიყოფა წამებათა და ცხოვრებათა ტექსტებად. წამებანი ადრეულია, როცა ქრისტიანობას უწევდა თავის დაცვა და თავდადების მაგალითების ჩვენება, სიცოცხლის გაწირვა.

ასე იყო ბიზანტიაში, ასე იყო საქართველოშიც (მაგ., შუმანიკის, ევსტათი მცხეთელის, ჰაბო ტფილელის წამებათა ტექსტები).

შემდეგ, როცა განმტკიცდა ქრისტიანობა, როცა მიექცა სახელმწიფოებრივი ყურადღება, დაიწყო მრავალმხრივი მუშაობა და მოღვაწეობა, გაიზარდა თანამოაზრეთა და მიმდევართა რიცხვიც.

უკვე საკმარისი აღარ იყო მსხვერპლშეწირვის სცენები და მაგალითები. სასულიერო პირი იქცა მაშენებლად, მწერლად.

ამიტომ საჭირო გახდა მათი ცხოვრების აღწერა, როგორც ნიმუში და მაგალითი (მაგ., გრიგოლ ხანძთელის, სერაპიონ ზარზმელის, იოანე ზედაზნელის ცხოვრებანი).

„წამება“ სიცოცხლის დასასრული იყო. ხოლო „ცხოვრება“ – რა გააკეთა ღვთისმსახურმა ამქვეყნად, რითი მოიპოვა სასუფეველი, წიგნები თარგმნა თუ ეკლესია აღაშენა.

ტექსტები იყოფოდა მატერიკად და პატერიკად. ქართულში არა, მაგრამ ბიზანტიურ მწერლობაში საჭირო გახდა ამგვარი დიფერენცირება. მაგ., ცალ-ცალკეა დაწერილი დედა-შვილის მართასა და სვიმეონ მესვეტის ცხოვრებანი.

მატერიკი იყო ქალზე, პატერიკი – კაცზე დაწერილი ჰაგიოგრაფიული ტექსტები. ამის მიხედვით დგებოდა კრებულებიც, ზოგჯერ ორივე ერთად იყო წარმოდგენილი მრავალთავებში.

ცალკე გამოიყოფოდა ჰომილიები (დამოძღვრა და ქადაგებანი) და ენკომიები (ხოტბა-შესხმანი), რომლებსაც წარმოთქვამდნენ წმინდან-

თა და მოწამეთა ხსოვნის დღეს, მაგრამ ზოგჯერ ჰაგიოგრაფიული ტექსტი იწერებოდა, როგორც საეკლესიო ქადაგება.

ჟანრობრივი დაყოფის საფუძველი იყო არა ლიტერატურის სპეციფიკა, არამედ – ეკლესიისა და მღვდელმსახურების ინტერესები.

ჰაგიოგრაფის მიზანი არ იყო მხატვრული ტექსტის შექმნა, მსგავსი ცნება მის წარმოდგენაში არც არსებობდა. მაგრამ სტიქიურად ავლენდა მხატვრულობის გრძნობას, როცა განიცდიდა პერსონაჟის მოწამეობრივ სიკვდილს ან მოსწონდა წმინდანთა სანიმუშო საქმენი.

ამიტომ ჰქონდა ტექსტს მკითხველსა და მსმენელზე ზეგავლენა.

ჰაგიოგრაფია საეკლესიო მწერლობის დარგია, რომელიც აერთიანებს ისტორიას, ბიოგრაფიას, მხატვრულ თხზვას. მაგრამ მთავარია სულის ხსნის ჩვენება, ხილვა და სასწაული, უფლისადმი სამსახური, სასუფევლის მოპოვება, ახალი ტიპის ადამიანის – წმინდანის ჩვენება, ასკეტისა და მოწამისა.

ჰაგიოგრაფიის საწყისი ანტიკური ენკომიებია. ხოლო პირველ ჰაგიოგრაფიულ ტექსტად მიიჩნევენ ათანასე ალექსანდრიელის „წმ. ანტონ დიდის ცხოვრებას“ (ს. მეტრეველი).

## საისტორიო წყარო

ჰაგიოგრაფი ფაქტებს არ იგონებდა. იგი ემყარებოდა რეალურ ისტორიას, რათა ზუსტად გადმოეცა წამებულის თუ მოღვაწის ბიოგრაფია.

თავად ღვთისმეტყველები კრძალავდნენ ფანტაზირებას, სინამდვილის შეცვლას, რაც სიცრუედ ანუ ბოროტებად აღიქმებოდა.

დოკუმენტური სიზუსტე ჰაგიოგრაფიულ ტექსტებს აძლევს საისტორიო წყაროს მნიშვნელობას. ვთქვათ, ეგსტათი მცხეთელი არ არის ისტორიული პიროვნება, განსხვავებით შუშანიკისა ან გიორგი ათონელისაგან. მაგრამ ასახული პოლიტიკური და რელიგიური სიტუაცია სინამდვილის სურათებია, ასევე – ცალკეული დეტალები.

ხოლო როცა პერსონაჟი ისტორიული პირია, ეს კიდევ უფრო ზრდის ტექსტის, როგორც საისტორიო დოკუმენტის მნიშვნელობას.

ესეც რომ არა, როცა ავტორი არც მიმართავს ფანტაზირებას და გადმოგვცემს უშუალო სინამდვილეს, ფაქტებს, სახელებს, ტოპონიმებს, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას – ესეც წყაროა ისტორიის პანორამის აღსადგენად.

ამიტომ თვლიდა ივ. ჯავახიშვილი ჰაგიოგრაფიას საისტორიო მწერლობად. ავტორები ხომ პროფესიონალი მწერლები არ იყვნენ – წერდნენ რეალურად არსებულ ადამიანებზე.

მაგრამ მათი ამოსავალი წერტილი არ იყო ისტორია. როგორც ვთქვით, ისინი სასულიერო პირები იყვნენ და წერდნენ ეკლესიის ინტერესებისათვის, მოწესისა და მორწმუნის თვალთახედვით, ლიტურგიულ-ეორტალოგიური პრინციპით.

როგორც ვთქვით, ტექსტის ფუნქცია დაწერამდე იყო განსაზღვრული – უნდა აღენუსხათ წამებულთა და მოღვაწეთა წვლილი, როცა გარკვეული იქნებოდა მათი მნიშვნელობა.

ლეონტი მროველის „ქართველ მეფეთა ცხოვრებაშიც“ ცალკე გამოყოფენ ხოლმე ფარნავაზის ამბავს. ასეთივეა ჯუანშერის ვახტანგ გორგასლის ცხოვრება.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მეორე ნაწილი არის „ნინოს ცხოვრება“.

ლეონტი მროველის „არჩილ მეფის წამება“ შეტანილია „ქართლის ცხოვრებაში“.

ასე რომ, არ არსებობდა მკვეთრი ჟანრობრივი ზღვარი საისტორიო თხრობასა და ჰაგიოგრაფიულ ტექსტს შორის.

ორივე იყო ისტორიული ფაქტებით, კონკრეტული რეალიებით, დოკუმენტური მასალით განსაზღვრული. მაგრამ ჰაგიოგრაფს ისტორია არ აინტერესებდა, არც პეროზ მეფე, არც მურვან-ყრუ, არც ირანელები და მაზდეანები, არამედ – თავისი გმირი, რომელიც ბოროტმა ძალამ გასწირა, ან რომელიც ეკლესია-მონასტრების მაშენებელია, საწუთროს ბრუნვისაგან განმდგარი.



## დამკვეთი და ავტორი

ჰაგიოგრაფიული ტექსტის ავტორი, განსხვავებით ანტიკურ დროის მწერლებისაგან, არ წერდა თავისუფალი არჩევანით. როგორც ვთქვით, იგი ემორჩილებოდა ეკლესიის ნებას, რომელიც შეაფასებდა მოწამისა და მოღვაწის მნიშვნელობას და ამის შემდეგ აძლევდა დაკვეთას რომელიმე მოწესე მწიგნობარს.

იაკობ ხუცესი თავად იყო დამსწრე შუშანიკის ტრაგედიისა, რომელიც შვიდი წელი გაგრძელდა. დედოფლის სახელი, სიმტკიცე და ურყევი რწმენა საყოველთაოდ იყო ცნობილი. მაგრამ როცა ავტორი გვეუბნება, რომ აწ დამტკიცებულად მოგიტხროთ შუშანიკის აღსასრულიო, ეს ნიშნავს, რომ მცისვე როდი დაუწყია წერა.

სამოელ ქართლის კათალიკოსი მიმართავს იოვანე საბანისძეს, რომ მნებავს, როგორც ქრისტეს პირველმოწამეებზე, ისე აღიწეროს ჰაბოს წამება, დაიდოს იგი ეკლესიაში, რათა ჩვენს შემდგომაც მოიხსენიონო.

კათალიკოსმა წიგნი (წერილი) და ლოცვა გაატანა იოვანესთან ხსართან მღვდელს.

სტეფანე მტბევარის „გობრონის წამება“ დაიწერა აშოტ ერისთავთ-ერისთავის ბრძანებით, „იოანე ზედაზნელის ცხოვრება“ – ძმა მიქაელის ვედრებითა და წადიერებით.

გიორგი მერჩულემ მხოლოდ 90 წლის შემდეგ აღწერა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, მეგონა, რომ სხვები ადრე დაწერდნენო.

ასევე მოგვიანებით აღწერა ბასილი ზარზუმელმა ბიძამისის სერაპიონის ცხოვრება და სამონასტრო მშენებლობა.

ექვთიმე და გიორგი ათონელები სიცოცხლეშივე იყვნენ აღიარებული დიდ მაშენებლებად და მოღვაწეებად. ამიტომ დროის ფაქტორის მოშველიება არ იყო საჭირო.

მაგრამ, აი, ასურელი მამების ცხოვრება გვიან აღუწერიათ, გვიან გაიხსენეს იოანე ზედაზნელი, შიო მღვიმელი, დავით გარეჯელი, აბიბოს ნეკრესელი, გაიხსენეს მაშინ, როცა გრიგოლ ხანძთელმა და აშოტ

კურაპალატმა ააღორძინეს კლარჯეთი, როცა დაიწყო ასურელი მამების ტრადიციების აღდგენა და განვითარება – სამონასტრო მშენებლობა, წმინდანებად სახელდება.

როგორც ვთქვით, ასევე მოხდა წმ. ნინოს სახელის წამოწევა და კოლაელ ყრმათა გახსენება. კოსტანტი კახის, გობრონის, არჩილის, დავით და კონსტანტინეს წამება კი თანადროული ისტორიები იყო. ისინი ეწამნენ მუსულმან არაბთაგან და ქრისტიანულ ეკლესიას უნდოდა შეენახა მათი ხსოვნა, ვინც ხალხს მისცა რწმენისათვის თავდადების ახალი მაგალითები.

შეიძლება ზოგჯერ ინიციატივა მოდიოდა ავტორისაგან, მაგრამ იგი თავის იდეას უეჭველად შეუთანხმებდა წინამძღვარს ან ეპისკოპოსს, რომელმაც იცოდა ეკლესიისა და კათალიკოსის პოზიცია.

## ფაქტის ლიტერატურიზება

დოკუმენტური ფაქტები იყო ძველ ისტორიკოსთა თხრობის საფუძველი (მაგ., თუკიდიდე და ჰეროდოტე). ისინი გადმოგვცემდნენ ასევე ლეგენდას, გამონაგონს და გამონილს.

ცდილობდნენ დაეცვათ ობიექტურობა. მაგრამ მაშინ არ არსებობდა ცნებითი სტილი, განსჯის მეთოდი, კრიტიციზმი, რომ სიმართლე დაედგინათ.

საისტორიო პროზას და ლიტერატურას ერთმანეთისაგან განასხვავებდა პოეზიის წყობილი სიტყვა-მეტრული მეტყველება.

ისტორიკოსიც წერდა როგორც ბელეტრისტი.

ეს ტრადიცია გადმოვიდა ჰაგიოგრაფიაშიც.

ჰაგიოგრაფები წერდნენ არა თეოლოგიური ან ფილოსოფიური სტილით, არამედ – სასაუბრო მეტყველებით, ბიბლიის ანალოგიით, სადაც ავტორი სიბრძნესა და სიმართლეს გვაჩვენებს და არ გვიმტკიცებს, არ გვისაბუთებს (რ. ბარამიძე, გრ. ფარულავა, რ. სირამე).

ჰაგიოგრაფი დოკუმენტური მასალითა და სასაუბრო ენით ხატავს დრამატულ თუ ყოფით სიტუაციებს, რომელთაც უმორჩილებდა საეკლესიო მიზანს.

მაგრამ ბიბლიისა და საისტორიო პროზის სტილი როცა მოერგო პერსონაჟის ბიოგრაფიას, ავტორი უნებლიეთ მივიდა ლიტერატურამდე, გაეღვიძა ასპექტივით ჩამქრალი შემოქმედებითი კერები.

სპეციალისტებს მოაქვთ არაერთი მშვენიერი ნიმუში თუ როგორ პოეტურად და ხატოვნად მეტყველებს ჰაგიოგრაფი, როგორი დაუვიწყარია ცალკეული სიტყვები და პასაჟები.

ისინი სდევნენ ჩვენს ცნობიერებას და თავს ხშირად შეგვახსენებენ:

„მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთვლნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყვავილი ჩემი დააჰნო, შვენიერებად სიკეთისა ჩემისა და დაბნელა და დიდებად ჩემი დაამდაბლა“ (შუმანიკის წამება“);

„შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“, „იგი მოვიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკუდარსა, ეგრე ჰხედვიდა თვისსა მას გუამსა“ („ჰაბოს წამება“);

„აჰა ესერა ცად ქუხდა, ქუეყანად იძვროდა, მთანი ჰკრთებოდეს, ბორცუნი იმღერდეს, ზღვაჲ დგა, წყალნი აღმართ დიოდეს“ („ნინოს ცხოვრება“).

ფაქტის ლიტერატურული განსახიზვნება ავტორისათვის არც იყო გააზრებული პროცესი. იგი თხზავდა პრაგმატული მიზნით და სულაც არ ცდილობდა, რომ ნაწერს ჰქონოდა ესთეტიკური ეფექტი. რაც ჰქონდა გაცნობიერებული, იგი ლიტერატურულად ნაკლებად ფასეულია და განეკუთვნება საეკლესიო სფეროს.

ავტორის ცნობიერებას წარმართავდა ეკლესია (ღმერთი), ფაქტი (ისტორია) და ენა (მღვდელმსახურება).

## ერთი გმირი – წმინდანი და მოწამე

ჰაგიოგრაფიულ ტექსტს ჰყავს ერთი გმირი – ეს არის მთავარი პერსონაჟი. დანარჩენები ეპიზოდურად უკავშირდებიან მას. „შუმანი-

კის წამება“ კი ერთი გმირის გარშემო ტრიალებს. ვარსკენი არის ბოროტების სიმბოლო, ისევე როგორც სხვა ტექსტებში, სადაც ქრისტიანულ სიკეთეს ებრძვის წარმართული, მაზდეანური, მუსულმანური ბოროტი ძალა. ამ ერთი გმირის სახელი გამოტანილია სათაურში.

მთავარი პერსონაჟი სულის გმირია, რომელიც თავის განცდებს მონოლოგის ფორმით გადმოგვცემს. იგი ყველაზე მძაფრია სიკვდილის წინ:

„შენ განანათლე სანთელი ჩემი, უფალო, და განაბრწყინვე ბნელი სულისა ჩემისაჲ, ღმერთო, რამეთუ ბნელი ესე ხილული შენგან არ დაბნელდეს, ნათელო თუალთ შეუდგამო, ხოლო ღამე, ვითარცა დღე, განათლდეს“ (შოი მღვიმელი);

„უფალო ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, რომელსაც ყოველი კაცთაჲ გნებავს ცხორებაჲ, რომელნი ესვენ სარწმუნოებით სახელსა წმიდასა შენსა, რომელმან ისმინე ლოცვაჲ პირველთა მათ მოწამეთა, რომელნი პირითა მახვილისაჲთა მოსწყდეს, რომელნიმე ტბასა შინა ყინელით, რომელნიმე ზღუასა შინა შთაყრითა მოსწყდეს, რომელნიმე ცეცხლით და რომელნიმე მხეცთა მიერ შეიჭამნეს სახელისა შენისათვის“ (ევსტათი მცხეთელი).

გმირის ფუნქცია განსაზღვრულია საეკლესიო მოთხოვნით და გამოხატულია სათაურით. ამიტომ სხვა პერსონაჟები ეპიზოდურად ჩნდებიან და ქრებიან. მათი სიმრავლე უფრო ნათლად წარმოგვიჩენს წმინდანის ღვაწლსა და ბუნებას (მაგ., თუნდაც მრავალპლანიან და მრავალპერსონაჟიან „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“).

ერთი სნეული სპარსი მოგვი დედაკაცი მივიდა შუშანიკთან. შუშანიკმა იგი ქრისტიანად მოაქცია და ასწავლა თუ როგორ განკურნებულიყო.

იგი გამორჩეულია, როგორც ლიდერი, რომლის სიტყვას ემორჩილებიან, რომლის გადაწყვეტილება უყოყმანოდ სრულდება.

ჰაგიოგრაფიული ტექსტის გმირი იბრძვის არა მახვილით, არამედ – რწმენით და ზნეობრივად არის გამარჯვებული ფიზიკური დამარ-

ცხების შემდეგ. ნინოს მიერ სიტყვით მოვლენილი უფლის სასწაული ამარცხებს მრისხანე არმაზსაც კი.

სულის გმირს ლავირება და დიპლომატიაც სჭირდება, განსაკუთრებით ამა ქვეყნის ხელისუფალთა მიმართ, რათა საწადელს ეწიოს და უფლის ნება ადასრულოს (მაგ., გრიგოლ ხანძთელი, სერაპიონ ზარზმელი, ილარიონ ქართველი, ექვთიმე ათონელი, გიორგი ათონელი). იგი საღვთო საქმეს აკეთებს საერო პირთა ხელითა და დახმარებით.

როგორც ამბობს გიორგი მერჩულე, მარტვილი მხოლოდ ერთხელ ეწამებოდა, ხოლო მოღვაწე – მთელი ცხოვრება.

ჰაგიოგრაფიულ ტექსტში განსაკუთრებით შთამბეჭდავია ცალკეული პასაჟები, მონოლოგები, აღწერები და მიმართვები. მაგრამ მთლიანი მხატვრული კონსტრუქცია ემორჩილება არა ავტორის აზროვნებას, არამედ – წმინდანის წამება-ცხოვრების საეკლესიო თვალსაზრისით დოკუმენტურ გადმოცემას.

ჰაგიოგრაფის ფანტაზია შეზღუდულია ტექსტის სპეციფიკით და, როგორც ვთქვით, სრულად მხოლოდ „შუმანიკის წამებაში“ ვლინდება.

## **ბიოგრაფია, როგორც სიუჟეტი**

ჰაგიოგრაფიისათვის მზა სიუჟეტი იყო წამებულის (წმინდანის) ბიოგრაფია. ადამიანთა ცხოვრების გზა ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ამიტომ ავტორი მისდაუნებლიეთ იძლეოდა ორიგინალურ სიუჟეტს.

იგი გვიჩვენებდა პერსონაჟის ცხოვრების პერიპეტიებს, ადამიანებთან ურთიერთობას, კონფლიქტებს, ძიებას, იმ გარემოს, რომელშიც იშლებოდა მოქმედება.

წყალი, მიწა, ზეცა, ჰაერი და სურნელი, ბუნების მოვლენები (ქარი, ელვა, ქუხილი, წვიმა, თოვლი) ის სივრცეა, რომლის ცენტრში დგას ტაძარი და წმინდანი, მარადი სასუფევლისკენ მზირალი. წმინდანს

ცხოველები არ გაურბიან და ხეთა ტოტები ესალბუნებიან. მაგრამ კაცნი ემტერებიან.

ამ ბუნებრივ ჩარჩოშია მოქცეული წმინდანის ცხოვრება, რომლის პერიპეტიები, გზა დაბადებიდან გარდასვლამდე არის ტექსტის სიუჟეტი და კომპოზიცია.

პერსონაჟთა სახელებიც რეალობიდან შემოდიოდა ტექსტში. მაგრამ ავტორი კმაყოფილდებოდა მოკლე ცნობებით. მაგ., როცა შუშანიკი ერთმანეთს უპირისპირებს მამა-შვილს – არშუმასა და ვარქსენს, მამას, როგორც ქრისტიანობის დამცველს, შვილს – მოღალატეს, არ გვეუბნება თუ ვინ იყო არშუმა, ვინ იყვნენ ეპისკოპოსები, მაზლი ჯოჯიკი ან – სპარსთა მეფე.

ავტორი გადმოსცემს ძირითადს, არსებითზე ალაპარაკებს პერსონაჟს: ეს არის კონფლიქტი ცოლ-ქმარს შორის და ტანჯული შუშანიკის მდგომარეობა.

განსხვავებულია სიუჟეტი წამებათა და ცხოვრებათა ტექსტებისა. წამების ტექსტში წამოწეულია ძირითადი და საბედისწერო ეპიზოდი, რომელსაც მოჰყვება პერსონაჟის დაღუპვა.

ცხოვრების ტექსტში თხრობა იწყება პერსონაჟის ბავშვობიდან და მთავრდება გარდაცვალებით.

პირველი ნოველა-მოთხრობის არქექტიპია, მეორე – რომანისა.

პირველი დრამატული ტექსტია, მეორე – ეპიკური, რომლის მშვიდი თხრობა იერთებს სხვადასხვა სიუჟეტურ ნაკადებს.

ამ მხრივ ზოგი უფრო მრავალფეროვანია (მაგ., გრიგოლ ხანძთელისა და სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებანი), ზოგი – უფრო მსჯელობით წარმოდგენილი (მაგ., იოანე და ექვთიმე მთაწმინდელების ცხოვრება).

წამებათა ტექსტში პერსონაჟი ნებაყოფილობით, შეგნებულად ამწვავებს სიტუაციას, რათა უსამართლო ძალის წინაშე წარმოაჩინოს თავისი სიმართლე (მაგ., ჰაბო, შუშანიკი, ევსტათი, აბიბოსი).

იგი სიკვდილს სიხარულით ეგებება.

კოსტანტი კახი, მიქელ-გობრონი, დავით და კონსტანტინე არაბთა ძალმომრეობის მსხვერპლი არიან, ცხრა ყრმა კოლაელი – წარმართი მშობლების სისასტიკისა.

ცხოვრებათა ტექსტში ავტორი პერსონაჟის ღვაწლის მაჩვენებელია. იგი ტადრის მაშენებელია, მწიგნობარია, შემოქმედია (მაგ., იოანე ზედაზნელი, გრიგოლ ხანძთელი, სერაპიონ ზარზმელი, ექვთიმე ათონელი, გიორგი ათონელი, ილარიონ ქართველი).

პერსონაჟები სულის გმირები არიან, რომელთა წამება–ცხოვრების ისტორია, ქრისტიანული იდეალებისადმი თავგანწირვა და სამსახური ჰაგიოგრაფს უადვილებს თხრობას, სიუჟეტურ მოდელირებას. მაგრამ მაინც აქვთ შიში და კრთომა, რათა სარწმუნო და უწყებული ამბავი ისე მწყობრად და ლამაზად გადმოიცეს, როგორც „ჯაჭვი ოქროისად ერთობით შეთხზული“.

გიორგი მცირე წერს:

„შემრწუნებულ ვარ და შეშინებულ, რამეთუ აქამომდე გზად სიტყვისად ჩუენისა წრფელ იყო და ადვილ სავალად, ხოლო აწ იწრო საჭირო და უღონო ჩუენგან სვლისა, რამეთუ ნავთსადგურს დუმილისასა მეგულების შესვლა, რამეთუ ხელი ჩემი ძრწის და სული შეიწირების, ხოლო გონებად განცვიფრდების, რაჟამს გულის ხმაჲ ყო ჟამი სიობლისა ჩუენისა, გარნა შიშითა ურჩებისათა, მორჩილებად ბრძანებისა თქუენისა მისრულმან კუალად აღვძრა უძლური ენაჲ ჩემი და სარბიელისა სიტყვისა ჩემისასა კუალად ვიწყო სვლაჲ“.

წმინდანის ცხოვრების გზა თავისთავად მშვენიერია და სანიმუშო. ხოლო მისი „მცირე გამოხატვაჲ“ – ჭემმარტი, მართალი და სწორი.

ამ თვალსაზრისით კ. კეკელიძემ გამოყო ოთხი სტანდარტული ნიშანი, რაც მეორდება ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში:

1. წმინდანი ბავშვობიდანვე ავლენს უჩვეულო ბუნებას;
2. წმინდანი სულის გმირია, ხორციელ ინსტინქტთა მძლეველი, მძლეველი ეშმაკეულ ცთუნებათა;
3. იგი ასკეტურად იბრძვის და შრომობს უფლისათვის მთელი ცხოვრება;

4. წმინდანი მოწამეობრივად ეწირება თავის მიზანს ან ასკეტური მოთმენის შემდეგ ჰპოვებს მშვიდ სიკვდილსა და სასუფეველს.

წმინდანის ცხოვრება არის ზნეობრივი იდეალი, რომელიც გადაეცემა მრევლსა და შთამომავლობას. ამიტომ ახლავს მის ბიოგრაფიას ჰიპერბოლიზება, მისტიკური განდიდების მოტივები და სასწაულები.

წმინდანის სახე იქმნებოდა საეკლესიო სტერეოტიპების დაცვით – ის, რაც დღეს ნაკლად მიგვაჩნია, მაშინ ღირსებად ითვლებოდა. მაგრამ ცალკეული ტექსტები, მაგ., „შუშანიკის წამება“, მაინც უძლებენ დროის მოთხოვნათა და გემოვნების ცვალებადობას.

ამბობენ, რომ ჰაგიოგრაფები ვერ თავსდებიან ტრაფარეტში და მას არღვევენ.

ეს ჩვეულებრივი მოვლენაა კულტურაში.

არც კლასიციზტი, არც რომანტიკოსი, არც რეალისტი, არც სიმბოლისტი არ თავსდება თეორეტიკოსების მიერ დასაზღვრულ სივრცეში. არამარქსისტული ფრაზები შეიძლება ვუპოვოთ მარქსსაც კი, რადგან სტიქია ყოველთვის არღვევს სქემას და კვეთს ახალ კალაპოტს: მხოლოდ უძალო და დაღლილი მდინარე მიჰყვება ძველ სადინარს.

## უფლის ზვარაკი

ავტორი აფიქსირებს პერსონაჟის მშობლებს, წარმომავლობას, რელიგიურ მრწამსს, ეროვნებას. მაგრამ ეროვნებაზე წინ აყენებს რელიგიურ კუთვნილებას.

მაგ., ვარსქენ პიტიახში არის არშუშას ძე, ქრისტიანი მშობლების მიერ ნაშობი, შუშანიკი – სომეხთა სპასპეტის ვარდანის ასული, ღმერთის მოშიში; ჰაბო – არაბი, სარკინოზი, არა ხარჭისგან ნაშობი, მშობლები – ბაღდადელები, 18 წლისა, კოსტანტი კახი – ქართლელი, წარჩინებული ქრისტიანი, ეკლესიისა და მონაზონთა პატივმცემელი.

პერსონაჟები ორ ნაწილად იყოფა – ერთნი დადებითი და ყოველმხრივ მისაბამნი არიან, ვისზეც იწერება ტექსტი, მეორენი – ბოროტნი



და უკეთურნი, ვინც სჯიან მთავარ პერსონაჟს, ან ხელს უშლიან და ემტერებიან.

მთავარი პერსონაჟის ქცევა, აზრი, მოქმედება უხინჯოა, საქმე – სამაგალითო, უფლისადმი შეწირული. ერთნი (მაგ., შუშანიკი და ევსტათი) ეწირებიან რწმენას, მეორენი – მისიონერები არიან (ასურელი მამები), მესამენი – ეკლესიის მაშენებელნი (მაგ., გრიგოლ ხანძთელი, სერაპიონ ზარზმელი, ექვთიმე ათონელი), მეოთხენი – დაუცხრომელი შემოქმედნი (მაგ., გიორგი ათონელი).

მათი სახელი და ცხოვრების გზა ეკლესიისა და შესაბამისად – ჰაგიოგრაფის ყურადღებას იქცევს ამ კონკრეტულ ნიშან-თვისების გამო, რითაც ისინი გამოირჩევიან როგორც საერო, ისე სასულიერო ელიტისაგან.

მაგ., წმ. ნინოს დამსახურებაა ქართველთა (იბერიელთა) მოქცევა ქრისტეს სჯულზე, გრიგოლ ხანძთელისა – სამონასტრო მშენებლობა კლარჯეთში, გიორგი ათონელისა – ბიბლიის კანონიკური ტექსტის თარგმნა.

ისინი ოჯახზე, ნათესავეებზე, ახლობლებზე, ეროვნებაზე მაღლა აყენებენ რწმენას, ქრისტეს მცნებას, როგორც შუშანიკი, ევსტათი, ჰაბო, რასაც იცავენ სიცოცხლის ფასად ან მთელი ცხოვრება ემსახურებიან.

შესაბამისად ბავშვობიდანვე გამოირჩევიან განსაკუთრებული თვისებებით, ბავშვობიდანვე ღმერთს ეწირებიან, ზოგი – სულაც „საშოდსგან დედისადათა“ (მაგ., გრიგოლ ხანძთელი, გიორგი ათონელი).

ძირითადი სიუჟეტური ხაზი ივსება კონკრეტული დეტალებით, ცხოვრებისეული სცენებით. ისინი დასახსომებელს ხდიან თხრობას. მაგ., სერაპიონი და მისი სამმო ეძიებს ადგილს თუ სად აშენდეს ეკლესია.

სერაპიონმა ბორცვი შეარჩია. მაგრამ ძმები ეუბნებიან, ეს ადგილი მაღალი და ცივია, ჩვენ კი – შიშველი და გლახაკიო.

დავის გადასაწყვეტად სერაპიონმა და მისმა ხორციელმა ძმამ იოვანემ, რომელიც იყო ყოვლად უსრული და ენაბრგვილი, აღანთეს

თავიანთი კანდელები – ერთმა ღელის პირას, მეორემ – ბორცვზე და დადგნენ ლოცვად. დილით ნახეს, რომ სერაპიონის კანდელი ჩამქრალიყო, იოვანესი კი შუა სამხრამდე ბრწყინავდა.

სერაპიონმა თქვა, ღმერთმა იხილა ჩემი ძმის ნაკლოვანება და ამიტომ დაუთმო ეს ადგილიო.

იუმორი ჰაგიოგრაფისათვის უცხო გრძნობაა. ეს ერთი იშვიათი გამონაკლისია.

ჰაგიოგრაფი მეტყველებდა დრამატულ-ტრაგიკული ინტონაციით ან ეპიკური სიმშვიდით გადმოსცემდა მორწმუნისა და მოღვაწის ცხოვრებას.

ელინელებიც ასე იქცეოდნენ. მათთვის მთავარი იყო ტრაგედია და არა კომედია, როგორც მდაბიო მასის თვისება.

პერსონაჟის ცხოვრების გზაზე ერთმანეთს ეჯახებოდა ასკეტური იდეალები და ხორციელი ვნებანი.

ჰაგიოგრაფი აჩვენებდა სულიერების გამარჯვებას, გამარჯვებას ვნებათა ღელვასა და ხორციელ ტკივილებზე.

მეორედ მოსვლისა და განკითხვის დღის შიში პერსონაჟებში იწვევს ძრწოლას, მიუხედავად იმისა, რომ უფალს შესწირეს სიცოცხლე.

ისინი შიშველი და თავდადრეკილი წარდგებიან სამსჯავროს წინაშე, გაიხსნება მათი საქმეთა წიგნი, გაირკვევა თითოეულის ვალი და აღთქმა.

საშინელი ხმა მოუწოდებს მართალთ სასუფეველისაკენ, ცოდვილთ – უშრეტი ცეცხლი და ჯოჯოხეთის გენა ელით (გენა ერქვა იმ ადგილს, სადაც მდგარა მოლოქის სამსხვერპლო კერპი).

შიო მღვიმელი, ვინც თავისი თავი ცოცხლად დაიმარხა მღვიმის ბნელში, „სიღრმეთა მიწისათა“, ამბობს:

„ძმანო, ვითარ ვძრწი დღისა მისგან, უკუეთუ ვიპოვო მარცხენით და მესმეს ხმაჲ წარმგზავნელი ჩემი სატანჯველად საუკუნოდ. რაჲდა მე ვყო უბადრუკმან მაშინ, რამეთუ არღარა არს დასასრული სასჯელისაჲ მის, არღარა არს ლხინებაჲ, არღასა გარემოიქცეს საუკუნოდ იგი, არღა კუალად განხორციელდეს ქრისტე“.

უსაზღვროა მათი შიში და სიყვარული უფლისადმი (შდრ. რუსთაველი – „შიში შეიქმს სიყვარულსა“).

ეს ორი უძლიერესი გრძნობა ერთმანეთში გადადის და მორწმუნესა და მოწამეს ფანატიზმი ნევროტიკად აქცევს, ვინც შეპყრობილია ერთი იდეით.

ჰაგიოგრაფიული ტექსტის ასკეტიზმი და მისტიციზმი განსაზღვრავს მის ესთეტიკოს, რომლის ამოსავალია დოკუმენტური მასალა, ისტორიული ფონი.

წამებათა ტექსტების ერთპლანიან, დრამატულ თხრობას ცხოვრებათა ტექსტებში ენაცვლება მრავალპლანიანი, ეპიკური თხრობა, როცა ძირითად ამბავს, პერსონაჟის ცხოვრებას ერთვის სხვათა ცხოვრების დეტალები.

## პარალელები და ციტატები

ჰაგიოგრაფის წინაშე არ იდგა ორიგინალობის საკითხი – მას წამებისა და ცხოვრების მატთანე უნდა დაენათესავებინა ბიბლიის ეპიზოდებთან, წმინდანებთან, თეოლოგიურ კონცეფციებთან, ჩაერთო მღვდელმსახურების სისტემაში.

მათგან უფრო ხშირად მიმართავენ ფსალმუნებს, სახარებას, აპოკალიპსს, თუმცა სხვა წყაროებითაც სარგებლობენ.

ტექსტი იყო მისტიკური თაიგული, რომელიც ავტორმა შეკრა სხვადასხვა სულის ყვავილისაგან.

მაგ., „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ გამოყენებულია „დიდაქე“ (12 მოციქულის მოძღვრება), ტატთანე ასურელის „დიატესარონი“ (სახარებებიდან გამოკრებილი ტექსტი), მარკიანე არისტიდეს „აპოლოგია“ (არაქრისტიანული რელიგიების კრიტიკა), „თარგუმები“ (ბიბლიის პერიფრაზი), ემპედოკლეს ოთხი ელემენტის მოძღვრება.

„ჰაბოს წამებაში“ ჩართულია ეპიფანე კვიპრელის „თვალთაიდან“ სიმბოლოთა მოკლე განმარტება – კარ, გზა, ტარიგ, მწყემს, ლოდ, მარგალიტ, მარილ, ყვავილ, ანგელოზ, კაც, ღმერთ, ნათელ, ქვეყანა, მარც-

ვალ, მატლ, მზე სიმართლის (ი. აბულაძე). მათვე განიხილავს კლიმენტი ალექსანდრიელი (რ. ბარამიძე).

ასევე გამოყენებულია პავლე მოციქულის სიტყვები; ციტატები ბიბლიის წიგნებიდან, ფსალმუნიდან, სახარებიდან. წარმოდგენილია ხატება „ძე მამის უკვდავისა და ერთ ღმერთ გარდაუქცეველ და განუქარვებელ და უცვალებელ“.

ქრისტეს დიდებას ავტორი მიჰყავს აბრაამთან, ისაკთან, იაკობთან.

ტექსტში უხვად არის გაბნეული მაცხოვრის მიერ თქმული სენტენციები და აფორიზმები. არაბი ჰაბო, მუსულმანყოფილი, განდიდებულია მამა ღმერთის, ძე ღმერთის, სულიწმინდის მადლითა და ძალით.

ტექსტის ოთხი თავიდან პირველი და მეოთხე მსგავსი ალუზიებით, ციტატებითა და პარალელებითაა აღვსილი.

შენიშნულია, რომ „გობრონის წამებაში“ თითქმის ციტირებულია იოანე ოქროპირის ჰომილია „სინანულისათვის“ (ი. გრიგალაშვილი).

როცა გიორგი მცირე წერს გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებას, მისი მიზანია ამ მოღვაწის სახელი შემატოს წმინდანთა კოჰორტას. ამიტომ თხრობას იწყებს სოლომონის ხსენებით, ქრისტეს დიდებით, მოციქულთა, მღვდელმომღვართა, მოწამეთა სიტყვებით. შემდეგ გადადის ექვთიმე ათონელზე, რომლის გარდასვლის შემდეგ უფალმა კვლავ გამოაჩინა დიდი საღვთო მუშაკი გიორგი ათონელი.

ჰაგიოგრაფები საეკლესიო სისტემის ნაწილად აქცევდნენ თავიანთი პერსონაჟის სახელს. ამიტომ ამკობდნენ ქრისტეს ნათელით, წინასწარმეტყველთა და მოციქულთა სიტყვებით.

ბიბლია ყველას საკუთრება იყო და ამდენად მნიშვნელობა იმას ჰქონდა, რა კონტექსტში იქმნებოდა ციტატები მოხმობილი (რ. ბარამიძე).

მათი სიუხვე ავლენდა ავტორთა განსწავლას, პერსონაჟის ღირსებას და არ აღიქმებოდა სქოლასტიკად, რაც შემდეგ სტანდარტად იქცა და ბოლოს მთლიანად შთანთქმა ჰაგიოგრაფია.

ასეთი შაბლონი ჯერ არ ჰქონდა შემუშავებული ეკლესიას, როცა იწერებოდა „შუმანიკის წამება“ (ნ. ჯანაშია). ამდენად არის იგი თავისუფალი თხრობის შედეგი, სადაც ავტორის პოზიცია და პერსონაჟის ხედვა არ იტვირთება სავალდებულო ციტატებით.

შუმანიკის ქრისტესადმი თავდადება და მოწამეობრივი აღსასრული არც საჭიროებდა დამატებით არგუმენტირებას.

მაგრამ ზოგჯერ აქაც ჩნდება რემინისცენციები. მაგ., ხორცთა განლევისა და მატლთა დახვევის ჩვენებას ამსგავსებენ შესაბამის პასაჟს „სვიმეონ მესვეტის ცხოვრებიდან“ (ვ. კეკელიძე).

ჰაგიოგრაფები ორიგინალობას ავლენდნენ მასალის გადმოცემისას, პერსონაჟის ცხოვრების აღწერისას, როცა სტიქია სძლევდა სტანდარტს.

## სასწაულები და ხილვა

ჰაგიოგრაფისათვის ასევე მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო სასწაულების მოხმობა, რათა ჩვეულებრივი ფაქტისათვის მიეცათ უჩვეულო განათება, ასევე – ლოცვისას ხილვით ზეცად აღვლენა.

როცა ჰაბოს ძვალთა ნაშთები მტკვარში, ხიდქვეშ ჩაყარეს, წყალი წმინდა ძვლებს სამოსელივით შემოეხვია და წყლის სიღრმე საფლავად იქცა, რომელსაც ვერავინ შეეხებოდა.

მთელი ქალაქი აქეთკენ გამორბოდა და მიჰქონდათ წმინდა საფლავის სურნელება. დაწვის ადგილიდან იღებდნენ მიწას და სნეულებს არჩენდნენ.

იმავე ღამეს ვარსკვლავი, როგორც ცეცხლის ლამპარი, დაადგა ჰაბოს დაწვის ადგილს. მის საშინელ ელვას მთელი ქალაქი ხედავდა და ყველა საღმრთო შიშს შეეპყრო.

მეორე დღეს წყალმა გამოსცა საოცარი ნათელი. სვეტი ნათელი, როგორც ელვა, ანათებდა მიდამოს.

ასე უხრწნელად აღდგა ჰაბოს სული და შეერთო ანგელოსების კრებულს;

ყრმა დიაკონი სტეფანე მღვდლად აკურთხა გიორგი მთაწმინდელმა, მართალია, ასაკით ყრმაა, მაგრამ გონებით მხცოვანო.

ჟამისწირვის დროს, როცა სტეფანე ფსალმუნს გალობდა, უეცრად მიწაზე დავარდა კბილთა ღრჭენით.

ძმები გიორგისთან გაიქცნენ, რომელმაც ხელი მოჰკიდა გონდაკარგულს და ნელა უთხრა – სტეფანე!

მღვდელი გამოფხიზლდა და კურთხევა ითხოვა. გიორგის შთაგონებით ასევე სწრაფად გამოკეთდა და ჟამისწირვა გააგრძელა;

ურემზე დადგეს ძელი ულპოლველისაგან დამზადებული გვადრუცი, რომელშიც ესვენა გიორგი მთაწმინდელის ცხედარი.

მიდიოდნენ ღმერთის დიდებითა და ფსალმუნთა გალობით.

ერთ ფეხშიშველა ყრმა ძმათგანს ეკალი შეერჭო და გამოსაღებად რომ დაიხარა, ზურგზე ურემმა გადაუარა.

ყველას ეგონა, რომ პანტელეიმონი ჭიასავით გაისრისა. მაგრამ ყრმას გაუკვირდა ძმათა სიმწრით გოდება, რა გინდათ, მაცალეთ ეკალი გამოვიღო!

ეგ იმიტომ, რომ წმინდა გვამის მადლმა „აღუსუბუქა მძიმე იგი ურმის თვალი“ და პანტელეიმონს ტკივილი ააცილა;

ოთხი თვის გვალვა ლოცვით დაძლია ექვთიმემ და საშინელი წვიმა მოიყვანა;

სერაპიონ ზარზმელის ცხედართან მივიდა სწეული კაცი, რომელსაც სარცხვინელიდან სისხლი სდიოდა და საშინელი ტკივილი სტანჯავდა.

მოეხვია ცხედარს თუ არა, მყისვე განიკურნა.

სასწაულები ახლავს ყოველ ჰაგიოგრაფიულ ტექსტს, ყოველი მთავარი პერსონაჟის ქცევასა და მოქმედებას, რათა დავრწმუნდეთ, რომ მასში გადმოსულია ზებუნებრივი ნათელი და არ არის ჩვეულებრივი ადამიანი, რომ შეუძლია მიცვალებულის აღდგენა და მო-

მაკვდავის განკურნება, როგორც ქრისტეს – ლაზარესი (მაგ., ილარიონ ქართველისა და დავით გარეჯელის ცხოვრებათა სასწაულები).

ხილვის ანუ ჩვენების მიღწევა მორწმუნეს შეეძლო ლოცვის ექსტაზითა და დუმილით (იხ. „სამონასტრო კომუნა“).

ხილვაა დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედია“.

ხილვა – ეს იგივე შინაგანი მზერა იყო, როცა ზმანებას მორწმუნე სასურველ სფეროში გადაჰყავდა და წარმოსახული, ჰალუცინაციური ლანდები რეალობად ეჩვენებოდა. ღმერთი ერთადერთი და უმაღლესი სილამაზე იყო. ტრანსში გადასული მორწმუნე მას გონების სარკეში ჰქვრეტდა.

სულიწმინდით აღვსილს საღვთო ხილვათა მადლი ეძლეოდა, როცა მარხული მორწმუნე ლოცვის ექსტაზით შეუცნობელ ნათელში გადადიოდა:

მიქაელი ღამე ფეხზე მდგარი ლოცულობდა, როცა უცნობმა ძალამ ზეცად აღიტაცა და ახილვინა მღვდელმშვენიერად შემოსილი ვინმე, ალბათ – ქრისტე („სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“).

ჰაგიოგრაფისათვის ხილვა და სასწაული ჭეშმარიტებაა, ჭეშმარიტება კი მშვენიერებაა, როგორც ღვთაებრივი ემანაცია, სინათლის გამოსხივება.

აქ ხილვა და სასწაული იქცევა მხატვრულ აზროვნებად, პოეტურ აღქმად და სიტყვათნაკადად, რომელთა ჟანრობრივ-სიუჟეტურ მოდელირებას ზღუდავს ზეციური სფერო.

წმ. ნინოს ხილვაში ჩნდება აპოკალიპსური სურათები, როცა ირყევა ცა და ქვეყანა, წყალი აღმა ადის, მთები კრთებიან, ზღვაში იძვრის ვეშაპი დიდი, ყველას ეცემა ძრწოლის ზარი, რაც გვაუწყებს ქრისტეს მეორედ მოსვლას.

ასეთივე ხილვაა შეძრწუნებული გრიგოლ ხანძთელის მონოლოგი ქრისტეს წინაშე უმეცრებისა და ბრალეულობის გამო;

ანატოლე დაყუდებულს ეჩვენება სვეტი ნათლისა, რომელიც ზეცად ეზიდება, ხედავს ანგელოსთა კრებულს, კაცს ბრწყინვალედ შემკობილს ანუ ქრისტეს.

ხილვა და სასწაული მოქმედებს მორწმუნეზე, რომელიც ფლობს შესაბამის ცოდნას და შეუძლია მათი განცდა-გააზრება, საღმრთო ნისლში შესვლის წარმოდგენა.

ცნობიერ სფეროში მისი შესაბამისია პოეტური სიტყვათნაკადი, წყობილი მეტყველება, სტიქიური მეტაფორიზება და სწრაფვა სალექსო მეტრისაკენ, მეორე მხრივ – სიუჟეტების თხზვა, სასწაულებრივი გამონაგონით შევსება, რაც მორწმუნისათვის რეალობა.

ფსიქიკური და ფიზიკური ანომალიები, ანომალიები ცხოველთა სამყაროში, ბუნების სისასტიკე და ცვალებადობა, წარსულის სახეცვლილი სურათები ლეგენდებად და სასწაულებად წვებოდა კაცთა მეხსიერებაში, შლიდა ზღვარს ცნობიერსა და ზმანებას შორის, იკრიბებოდა ღმერთის გარშემო. უძლიერესი რწმენის მქონისათვის ეს იქცეოდა ფსიქოთერაპიად.

## კონფლიქტები

ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა სიამოვნებისაკენ სწრაფვა – თამაში, გართობა, კომფორტი, სხვებზე აღმატება. ქრისტიანობამ ამ დროებით სიხარულსა და ბედნიერებას არჩია მარადიულ სასუფეველში ყოფნა, რომლის მოსაპოვებლად აუცილებელია ხორცის გვემა და ტანჯვით ცხოვრება.

ამას გარდაუვლად იწვევენ სხვადასხვა ძალები, კონფლიქტური სიტუაციები. მათგან მოგვრილი ტანჯვა-წამება სიკვდილს მიაახლებენ პერსონაჟს. მათი შემოქმედი ეშმაკეული ბოროტი ძალაა, რომლის თანაზიარია უცხო ღმერთები – ზევსი, ზარატუსტრა, მუჰამედი.

უცხო ღმერთები ძალმომრეობენ. მაგრამ შიგნითაც წარმოიშობა წინააღმდეგობანი – მტრობა, ცთუნება, წარწყმედის შიში.

უცხო რელიგიის მსხვერპლი არიან შუშანიკი, კოსტანტი კახი, მიქელ-გობრონი, ერისმთავარი არჩილი, აბიბოს ნეკრესელი, ევსტათი მცხეთელი, კოლაელი ყრმები, დავით და კონსტანტინე, ჰაბო ტფილელი.



ცალკეული კონფლიქტების დაძლევა უხდებოდა უკეთურ კაცთაგან გრიგოლ ხანძთელს, სერაპიონ ზარზმელს, ექვთიმეს, გიორგი ათონელს, ილარიონ ქართველს.

მაგ., იერუსალიმში მიმავალ ილარიონსა და თანმხლებ ბერს გზად ავაზაკები დაესხნენ და მახვილებით აკაფვა მოუხდომეს. მაგრამ უმალ ხელები გაუხმათ.

ილარიონმა მათ ჯვარი დასწერა და განკურნა ანუ ბოროტს სძლია სიკეთით და არა შურისძიებით;

ავაზაკ ბუბაქრს, კაცს „ბარბაროს“, ეწადა დავით გარეჯელის მოკვლა. მაგრამ ხელი გაუხმა და ბერს ფეხებში ჩაუვარდა.

დავითი სახიერსა და მოწყალე უფალს ევედრება, რომ აღუდგინოს ბარბაროსს გამხმარი ხელი ანუ ბოროტებას პასუხობს სიკეთით;

ცქირმა მოინდომა გრიგოლ ხანძთელის, ბელიარმა – ექვთიმე ათონელის მოკვლა. შემდეგ მონასტრის მეზობტნეს შეუჩნდა ეშმაკი, ახლა მან აღმართა ხელი ექვთიმეზე. მაგრამ უფალმა მასაც მკლავი გაუშემა.

დანაშაული როცა აღიარა, ექვთიმესაგან ლოცვით მიიღო კურნება.

ათონის ლავრაში ბერები ამბობს აწყობდნენ და ზედიზედ ცვლიდნენ წინამძღვრებს, ვიდრე ექვთიმემ კოსტანტი მეფეს არ აუწყა შფოთის ამბავი.

ასევე წინააღმდეგობათა გადალახვით, უკეთურ კაცთაგან კონფლიქტის ძლევით ან აცილებით მოიპოვებენ სამონასტრო მიწას და აშენებენ საყდრებს.

ასეთი სიტუაციები ანეიტრალეებენ სასწაულთა სიმრავლეს, ბიბლიურ პარალელთა და სიტყვათა მოძალეებას, თუმცა ავტორები მოწესეთა წარმატებას ისევ უფლის სასწაულითა და თანადგომით ხსნიან.

რელიგიური, ეთნიკური, ყოფითი კონფლიქტები ქმნიან სიუჟეტურ დრამას. იგი ქრისტიანის ტანჯვის განუყოფელი ნაწილია, რომლის დაძლევით ეზიარება მორწმუნე სიწმინდეს. ლიტერატურის თვალსაზრისით კი მიღწეული დრამატიზმი საეკლესიო სქემებს ავსებს სიცოცხლითა და ადამიანური გრძნობებით.

## ტანჯვა და ცრემლი

წმინდანი და წამებული ყოველ ტანჯვას სიხარულით ხვდება. მაგრამ მათ ქცევასა და სიტყვას ხშირად ახლავს ცრემლიც, რაც შინაგანი ღელვისაგან ათავისუფლებს პიროვნებას და ამდენად აქვს ფსიქოთერაპიის ეფექტი.

როგორც რუსთაველის გმირები, ისინიც ხშირად ტირიან, ეს მაშინ, როცა ვაჟკაცსა და რაინდს, ხალხური ტრადიციით, ცრემლისათვის სადინარი არ უნდა მიეცა, ისე უნდა დაეოკებინა მწუხარება.

ასეთი სიკერპე ზრდიდა ტანჯვის დამთრგუნველ ძალას.

სიკვდილის წინ მღვიმის ქვესკნელში შიო მღვიმელის ცრემლი მიწას ალტობდა, წყაროსავით რომ გადმოსდიოდა თვალთაგან;

იაკობმა იხილა ტირილით „დამშრმალი და დაბუმებული“ შუშანიკი. დედოფლის ტანჯვას იაკობიც დასტიროდა, ჯოჯიკი და მისი ცოლიც. დედოფალი კი არად აგდებდა ბორკილებს, წყლულზე დახვეულ მატლებს, ტილებსა და რწყილებს, რადგან სწამდა, რომ ჭირის წილ ქრისტე სიხარულს მოჰმადლიდა, განსვენებასა და დიდებას;

ადამიანი ტანჯვით უნდა გამოიცადოს, რათა განელოს სასუფეველის კარი.

ჰაბო ტფილელი მხიარული პირითა და დუმლით მიითვლიდა მახვილთა ცემას;

ევსტათი მცხეთელი თავად ეუბნება ჯალათებს, რომ ბრძანება აღასრულონ, უთვლის სტეფანეს, რომ მისი გვამი წაიღონ მცხეთას და იქ დამარხონ, სადაც ნათელი იღო.

იგი რეჟისორივით განაგებს თავის აღსასრულს, ცრემლისა და გოდების გარეშე;

85 წლის კოსტანტი კახი არჩევს, რომ დაითხოვოს სისხლი მისი, ვიდრე განუდგეს ქრისტეს. ამას რომ ამბობს, „ნაკადული ცრემლთან“ გადმოსდის თვალთაგან;

დავით გარეჯელის ოფლისა და ცრემლის ნაკადულით ირწყვება უდაბნო, როცა ლოცულობს წმინდა ბერი;

ასევე იქცევა იოანე ზედაზნელი;

გობრონმა თავისი სისხლით შუბლზე ჯვარი გამოისახა და ქრისტეს მაღლი შესწირა;

მარადი ძილის წინ მოხუც ბერს ხუედიოსს შიში იპყრობს: „მივალ დღეს ბანაკსა უცხოსა და ღმერთისა საყდართა საშინელსა“.

„უცხო ბანაკი“ ანგელოსთა კრებულია, „საშინელი საყდარი“ – ქრისტეს ზეციური ტახტი;

ნეტარი გრიგოლი სხვებთან ერთად დასტიროდა მოკლულ აშოტის ცხედარს, სერაპიონი – გიორგი ჩორჩანელს.

სიხარულის ცრემლები, როგორც მდინარე, ისე დასდიოდა გრიგოლს, როცა ლოცავდა შატბერდის სამონასტრო ადგილს და ჯვარს დასწერდა. ასევე ცრემლთა მდინარე დასდით საისტორიო პროზაშიც. მაგ., მეფეს, მთავრებს, მთელს ერს როცა ზეციდან ჩამოდის ცეცხლის სვეტი („მოქცევაჲ ქართლისაჲ“).

ცრემლი ახლავს ტანჯვას, წამებას, ლოცვას, აღშენებას, ხორცთაგან განსვლას, სიხარულსა და წუხილს და იგი ისევე წმინდაა, როგორც საკმეველთა სურნელი, ანგელოსთაგან მონაბერი.

## ყოფითი რეალიები

ზეცისკენ მზერას, უფლის დიდებას, სულის ზეობას თითქოს არ სჭირდებოდა ყოფითი რეალიები. მაგრამ ვიდრე ცად ამალეობოდეს მოწამე, გაივლის ნარ-ეკლიან ცხოვრების გზას.

ზოგი ერიდება მის დეტალიზებას, ზოგიც ჭარბად იშველიებს, მაგ., ბასილ ზარზმელი, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ავტორი.

დავით კლდიაშვილის სტილს მოგვაგონებს ბასილის თბრობა, თუ როგორ ააშენეს ტყეში მცირე ტალავერი, როგორ გაეცნენ მთავარ გიორგის.

გიორგიმ ბერებს მისცა სამონასტრო ადგილი. მაგრამ უკეთური კაცები არ აძლევენ გარშემოწერის უფლებას.

გოდერძის ხევთან გაიცინეს ერთი კაცი, სახელად ია, რომელიც აცნობს ადგილობრივ სანახებს. შემდეგ, ეტყობა, ამ კაცს მობეზრდა ტყიან მთაში მეგზურობა, უკვე ღამდებაო. მაგრამ სერაპიონი არ უშვებს, ამ მთის იქეთ რა არისო.

აქაც გადაეყარნენ უკეთურ მოსახლეებს. შემდეგ იამ გარბანელს გადააბარა ბერები, კეთილსა და სახელოვან კაცს, და თავი დაიხსნა.

ამ მხრივაც დასახსომებელი პასაჟებია „შუშანიკის წამებაში“.

ყოფითი რეალიების შემოტანა თხრობას აძლევს დამაჯერებლობას, რათა ბიბლიური თუ მოწამეთა ცხოვრების პარალელებით, ციტატებითა და სასწაულებით გადატვირთულ ტექსტში (მაგ., „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“) გადანაწილდეს ჰაგიოგრაფის ხედვა.

აქ დოკუმენტური თხრობის დაცვა არც იყო აუცილებელი, თუმცა არც მთლიანად გამონაგონი იქნებოდა.

საინტერესოდ არის ნაჩვენები თუ როგორ უჭირს ლუკიანეს ასკეტურ ცხოვრებასთან შეგუება, შიში „ხორცთა უბედურებისა“, მიმშილისა, უდაბნოს განსაცდელისა.

„მოთმინებითა თქუენითა მოიპოვეთ სულნი თქუენნი“, – ბრძანებს მაცხოვარი.

ადამიანი დღემარად ებრძვის ცოდვას, რაც არის ხორცთა და თვალთა გულისთქმა ანუ საწუთრის მოთხოვნილება, სისხლის და მიწის ძახილი.

ჰაგიოგრაფის მიზანი იყო არა ბიოგრაფიის სრული აღწერა, არამედ – მისი ცხოვრების ჩარჩოში მოქცეული სულის ხსნის გზის ჩვენება. ამიტომ ყოფითი დეტალები, ნიუანსები, ყოველდღიური წვრილმანები ყურადღებას იპყრობდა მხოლოდ ამ უმთავრესთან მიმართებით, რათა წმინდანისა და მოწამის ღვთით განსაზღვრული უჩვეულო ბუნება ეჩვენებინა.

## მიწიერი ვნებანი

ჰაგიოგრაფები გაურბიან მიწიერ ვნებათა ჩვენებას, მათგან აღძრულ კონფლიქტებს. განსაკუთრებით ერიდებიან ეროტიკულ ფაქტებს, თითქოს ისინი არც არსებულან. მაგრამ ცხოვრების სურათები მაინც ირეკლება ტექსტებში.

ამ მხრივ ყველაზე მეტ მაგალითს გვაძლევს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (აშოტ კურაპალატი და დედაკაცი სიძვისაჲ, ზენონი, ადარნერსე, „მეძვის ქალი“ და ბევრელ-ანასტასია).

სიძვის ქალი გრიგოლმა წაჰგვარა აშოტს და მერეს დედათა მონასტერს ჩააბარა. ხოლო ადარნერსეს ბოროტად შემასმენელი დედაკაცი, ვისი დაბეზღებითაც ადარნერსემ „უბრალო ჭაბუკის“ სისხლი დასთხია და ცოლი ფერსათის მონასტერში გაუშვა, ჯერ ეშმაკეულმა განაცოფა. შემდეგ თავად მივიდა ფებრონიასთან, ყველაფერი აღიარა და მოინანია.

იგი სიკვდილამდე დარჩა მერეს მონასტერში.

როცა გარდაიცვალა, ფებრონიამ ბრძანა, რომ მონაზონთა ახლო დაემარხათ. მაგრამ აკლდამამ არ მიიღო მისი ნეშტი. მაშინ ფებრონიამ წერილით მიმართა გრიგოლს, რათა შეენდო ცოდვილისათვის.

გრიგოლმაც წერილობით უპასუხა, რომ შენდობა მიეცათ ბრალის გამო და ამ ქალის ძვლებიც სხვათა ძვლებთან ერთად განესვენებინათ.

მაშინ მიიღო აკლდამამ შემცოდის ნეშტი.

მიწიერი ვნებანი უნდა ყოფილიყო მოქცეული საეკლესიო კანონის ჩარჩოში. ასკეტიზმს უნდა გაემარჯვა ცთუნებებზე, ეშმაკეულზე.

აშოტის ისტორია ცნობილია და ყველას კარგად გვახსოვს. ამ თემაზე თერთმეტი საუკუნის შემდეგ დაიწერა ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებული“ (ზ. ალექსიდის აზრით, რომანული ეპიზოდები შემდეგ ჩაურთავთ ტექსტის განმაახლებლებს).

სექსის გარდა ასევე იკრძალებოდა ომის სურათების გადმოცემა, რადგან ესეც გამოიწვევდა საერო ცხოვრების მონატრებას, სისხლის ამღვრევას, შფოთსა და ფორიაქს.

თორნიკე ერისთავმა, ვინც დიდი განძი გადასცა თავის ძმას იოანეს მონასტრის ასაშენებლად, თავი ვერ დაიოკა და ბერებთან სალაშქრო საქმეებს ჰყვებოდა.

იოანემ ურჩია, თუ დადუმება არ შეგიძლია, მხოლოდ გაბრიელ ხუცესს მოუყევი, იგი არავის ეტყვისო. თორნიკე ფეხებში ჩაუვარდა და ცრემლებით მოინანია.

მიწიერ ვნებათა ჩვენება, მათზე მითითება ჰაგიოგრაფს შეცდომად და შეცოდებად მიაჩნია, რომელთაგან განრიდება, რომელთა უკუგდება აუცილებელია.

ამ მხრივაც „შუმანიკის წამება“ გაცილებით ზომიერია და ცხოვრებისეულ დეტალებს, ფაქტებს, ნიუანსებს დამაჯერებლად წარმოგვიდგენს (მაგ., დამფრთხალი დიაკონის გაწყვეტილი სიტყვა „მტკი...“, როცა თვალი ჰკიდა პიტიახშმა). თავად შუმანიკისა და ვარსქენის კონფლიქტის საწყისია არა მხოლოდ რელიგია, არამედ ისიც, რომ პიტიახშმა მეორე ცოლის მოყვანა განიზრახა.

ასკეტიზმის გარსში მოქცეული ტექსტი ცხოვრებისაგან იზოლირებული მაინც არ იყო და ცალკეული ფაქტები უნებურად ვლინდებოდა, რასაც ეშმაკეულის ახსნა ეძლეოდა.

## პერსონაჟის სიკვდილი

ჰაგიოგრაფიულ წამებათა ტექსტებში ყველაფერი ფოკუსირებულია პერსონაჟის დაღუპვის სცენაში, საითკენაც მიემართება მისი ცხოვრების გზა.

ათანასე დიდის სიტყვით, ყოველი დღე სიკვდილისათვის მზადდება.

ცხოვრებათა ტექსტებში მოღვაწის განსვლას ამ ქვეყნიდან და მის სასუფეველში დამკვიდრებას არ ახლავს ასეთი დრამატიზმი. აქ მთავარია ის, რაც მან დატოვა ხილულ სამყაროში, რომლის შუქი მიჰყვება მიღმა მხარეში. ისინი მაღლს მიაგებენ უფალს.

პერსონაჟთა სიკვდილიც ისევე ინდივიდუალური და განსხვავებულია, როგორც მათი ცხოვრების გზა.

სერაპიონ ზარზმელმა სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, წინამძღვრად განაწესა მღვდელი გიორგი. შემდეგ მცირედ დასწეულდა და „მიწვა ცხედრად“. მეხუთე დღეს ჭაბუკივით მხნედ იგრძნო თავი, საკურთხეველთან მივიდა, ქრისტეს ხატს ემთხვია, ზიარება მიიღო, დაწვა და რამდენიმე საათში გარდაიცვალა, მშვიდად და წყნარად;

ექვთიმე ათონელი ფიცხმა ჯორმა გადმოაგდო – დაფრთხა, როცა მონძით მოსილ გლახაკს „დახედნა“.

გიორგი ათონელმა, როგორც „მენავეთმოდღვარმა“ ანუ კაპიტანმა ყოველივე განაწესა – ძმანი და თავისი წიგნი. შემდეგ სწორად დაწვა, ხელები გულზე დაიჯვარედინა, მცირედ ოფლი დაეტყო სახეზე, ჯვარს ემთხვია და სული ანგელოსებს მიაბარა;

გრიგოლ ხანძთელიც ასევე მშვიდად შეერთო ანგელოსთა კრებულს. მანაც იგრძნო ხორცთაგან განსვლის ჟამი, ყველა მონასტერში წარსცა კერეონები, დაუთქვა დღე, როცა აღენთოთ და ლოცვა ეყოთ მისთვის, ჯვარი დასწერა მონასტერსა და ძმებს.

ბერ მონაზონთა გარდავლენას გლოვობენ ძმები. მაგრამ თავად მშვიდად ეთხოვებიან მოწესებებს, როგორც შორ გზაზე დამდგარი მგზავრი, რადგან, როგორც იტყვის დიდი პახომი, ყოველწამს უნდა გვახსოვდეს სიკვდილი და გვახსოვდეს საშინელი ჯოჯოხეთი.

მათ სიკვდილს არ ახლავს ტკივილი, ტანჯვა, ხანგრძლივი სწელება, გონების დაბინდვა, სინანული. მხოლოდ აქ დარჩენილთ სწყდებათ გული, რომ ვედარ იხილავენ სულიერ მამას და ამად დასდით ცრემლი.

შესაბამისად აღარც დრამატული სიტუაცია წარმოიქმნება, აღარც ტრაგიკული გრძნობა.

მათ ცვლის ეპიკური თხრობა, რომელიც იტვირთება ბიბლიურ-თეოლოგიური წიაღსვლებით, ასოციაციური პარალელებით, სასწაულებით, სიუჟეტური შენაკადებით, ხილვებით.

პერსონაჟის დაღუპვა წარმოსახულია არა როგორც ბედისწერა ან ჰეროიკული დასასრული, არამედ როგორც ფანატიკური მორჩილებითი აქტი.

ეს მორჩილება ეხება ხორციელ არსებობას, რომლის დათმობითა და გვემით სული ზეიმობს.

იოანე დამასკელის სიტყვით, წმინდანის სიკვდილი გლოვა კი არა – დღესასწაულია. მაგრამ გიორგი ათონელის სიკვდილს მაინც მოჰყვოლია დიდი გნისი, ძმათა „უწესო ტყემა“.

წამებათა ტექსტებში გრძელდება სახეცვლილი ანტიკური ტრადიცია:

ქრისტიანული რწმენისათვის დაუნანებლად იღუპებიან უმწეო და დაუცველი შუშანიკ დედოფალი, ევსტათი მცხეთელი, აბიბოს ნეკრესელი, ჰაზო ტფილელი, კოლაელი ყრმები, მიქელ-გობრონი, კოსტანტი, როგორც განმოსილი 40 მოწამე სიხარულით შევიდა გაყინულ ტბაში.

სხვადასხვაა დრო, სიტუაცია, დამსჯელი. მაგრამ ურყევია თავგამეტების სურვილი, ქრისტესათვის შეწირვის სიხარული.

შუშანიკი მოთმინებით იტანს ტანჯვა-ურვას და ელოდება განკითხვის დღეს, სადაც ქრისტეს წინაშე სწორ სიტყვას იტყვიან იგი და ვარსქენი.

სიკვდილის წინ შუშანიკი კურთხევას უთვლის ყველას და ჰმადლობს უფალს;

ევსტათიმ ჯალათებს სთხოვა, რომ ლოცვის ნება მიეცათ. იგი ითხოვს, რომ მისი გვამი მცხეთას დაიმარხოვს, სადაც ილო ქრისტეს ნათელი, რადგან მან, როგორც ამბობს, ქრისტე არჩია მამას, დედას, ძმებსა და ნათესაებს.

ჯალათებმა სცეს მახვილები და თავი წარკვეთეს;

არაბი ჰაზო სიხარულით ეგებება სიკვდილს, რადგან მიდის თავის უფალთან. იგი არათუ შეწყალებას სთხოვს მსაჯულს, არამედ ურჩევს, რომ ისიც მოიქცეს ქრისტეს რჯულზე.



სარკინოზ ჭაბუკს სამჯერ ჩასცეს მახვილი, რადგან ეგონათ, რომ სიკვდილის შიშით განაშორებდნენ ქრისტეს. შემდეგ ცხედარი დაწვეს. გადარჩენილი ძვლები ცხვრის ტყავში გაახვიეს და მტკვარში გადაყარეს;

ამირას უნდა, რომ მიქელ-გობრონმა უარყოს ქრისტიანობა. შესაშინებლად აჩვენეს თანამომძმეთა სიკვდილით დასჯა. გობრონი მაინც არ გატყდა. მაშინ ორგზის ჩასცეს მახვილი. მომაკვდავმა ხელი გამოიღო და თავისი სისხლით შუბლზე ჯვარი გამოისახა, თან ქრისტეს მადლს მიაგებდა.

ამირა დაჰპირდა, რომ განკურნავდნენ თუ მორჩილი იქნებოდა. გობრონი არ დანებდა და მაშინ თავი მოკვეთეს.

მოწამეთა დასჯას არ ითხოვენ მოძალადენი თუ ისინი უარყოფენ ქრისტეს, ეკამათებიან კიდეც, დარწმუნებასაც ცდილობენ. ასევე იქცეოდა ვარსკენი.

მაგრამ მოწამენი იცავენ რწმენას, მადლს მიაგებენ უფალს და სიხარულით სწირავენ თავს.

ასეთი რადიკალიზმით მოიპოვებენ ზენა სოფელს. მათი სიცოცხლე მთავრდება მახვილითა და სისხლით.

ისინი არ სწევენ წინააღმდეგობას, არ ცდილობენ გაქცევას, შებრძოლებას. მოთმინებითა და დაუნანებლად ღებულობენ სასჯელს.

სადღეისოდ ასეთი საქციელი და მოთმენა მაზოხიზმად აღიქმება, ისევე როგორც განდეგილობა, მესვეტეობა, დუმილის აღთქმა. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ რწმენის სიძლიერე, რომლითაც შთანთქმულია მათი არსება. ეს აძლევთ ძალას, რომ წამება სიხარულით მიიღონ და ტანჯვით სიკვდილში ჰპოვონ ნეტარება, რადგან გრიგოლ ნაზიანზელის თქმით, სიცოცხლე სიზმარია და მოჩვენება, ჩიტის გაფრენა.

ჰაგიოგრაფიული ტექსტი მთავრდება სიკვდილით, როცა წმინდანისა და წამებულის სული სტოვებს სხეულს, სტოვებს მიწას და ცად უერთდება ანგელოსთა კრებულს.

ადამიანს შიშმა წარმოუსახა ფანტასტიკური არსებები, მტერთა სიმრავლე. მათ წინააღმდეგ ამხედრებული მედგარი სული კი კეთილ არსებებად გაიშალა.

ასე რომ – კეთილისა და ბოროტის ბრძოლა არის შინაგანი დრამა, ფსიქიკური დუელი, რა დროსაც ქრისტიანი მოკავშირედ უფალს იგულვებდა.

ქრისტეს რწმენამ მორწმუნეს ეს შიში დააძლევინა, ძრწოლა ზეიმად შეუცვალა.

## მეტაფრასტიკა

ღვთისმეტყველები ქმნიდნენ რთულ მისტიკურ სააზროვნო სისტემას, რაც თანდათან სცილდებოდა დაბალი ფენების ინტერესებს და შეესაბამებოდა ელიტარულ კულტურას.

გამარჯვებული ქრისტიანობა ანტიკისკენაც იხრებოდა, არისტოტელეს, პლატონსა და ნეოპლატონიკოსებს სწავლობდა, უფარდებდა წარმოდგენათა განვითარებას, რათა თეოლოგია ფილოსოფიურად კიდევ უფრო გაემყარებინა.

ამას მოჰყვა ფილოსოფიური რენესანსი ბიზანტიაში, ფილოსოფიური მსჯელობის ენისა და სტილის შემუშავება საქართველოში.

მონოფიზიტური ასკეტიზმი დაძლეულ იქნა, რაც ხატთმებრძოლობითაც გამოვლინდა და მხარს უჭერდა ისავრიელთა სომხური დინასტია. ეკლესიებში აღდგა ხატები და ფრესკები.

ტაძართმშენებლობამ ახალი ძალით იფეთქა, რათა მთელი საქრისტიანო გრანდიოზულ ეკლესია-მონასტრებს დაეფარა.

განვითარდა და გართულდა ჰიმნოგრაფია. გალობათა საწელიწდო ტექსტები და მუსიკა არ აღმოჩნდა საკმარისი, ისევე როგორც კონტაკიონები. დაიწყო მათი გადაკაზმვა და მორთვა.

ქრისტიანული დემოკრატიზმი წარსულს ჩაბარდა.

ჩაგრულთა და უპოვართა, ტანჯულთა და დევნილთა რელიგია მმართველი ელიტის, არისტოკრატის ძალაუფლების საყრდენი და ინტელექტუალური ინტერესების გამომხატველი გახდა.

ეგზეგეტიკა სახე-სიმბოლოთა ახალ სახეებს იგონებდა, გამოჰყავდა მათი ნაირგვარი ვარიაცია ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან.

ჯერი მიდგა ჰაგიოგრაფიაზე და აქაც დაიწყო გართულება, პირველადი, კიმენური ტექსტებისა და საკითხავების გადაკაზმვა.

„ლიტონი“ სიტყვა ნაკლად ჩაითვალა. იგი შეცვალა სიმბოლურ-ალეგორიულმა აზროვნებამ და რიტორულ-ფილოსოფიურმა თუ ეგზეგეტიკურმა სტილმა. ეს იყო იდეოლოგიური რევიზიაც. ეგრემ მცირის სიტყვით, ბიბლიურ წიგნებს ვერ შეეხებოდა მეტაფრასირება.

იგი დაიწყო სიმეონ ლოდოთეტმა (X ს.) და გააგრძელა იოანე ქსივილინოსმა (XI ს.).

მათ გადაამეტაფრასეს 12-ვე თვის წმინდანთა საკითხავები. მეტაფრასის მიხედვით თხრობა გახდა სასწაულებით დატვირთული, მაღალფარდოვანი, პათეტიკური და ღვარჭნილი წინადადებით გამართული, რათა მდაბიური სტილი შეეცვალა მაღალი საზოგადოების გემოვნებას.

ეს იყო თავისებური კლასიციზმი ბიზანტიურ კულტურაში, რაც გადმოწვდა საქართველოსაც.

ქართველებმაც მყისვე დაიწყეს მეტაფრასირებული ტექსტების თარგმნა და ორიგინალურის გადაკაზმვა (მაგ., ექვთიმე ათონელი, ეგრემ მცირე, დავით ტბელი, სტეფანე სანანოძესძე).

პირველი მეტაფრასირებული ტექსტის თარგმანი იყო „წმ. გიორგის წამება“, რომელიც ექვთიმე ათონელს შეუსრულებია (990 წ.). შემდეგ ხელი მოჰკიდეს ქართულ ტექსტებსაც.

მეტაფრასტიკა ნიშნავდა ჰაგიოგრაფიის სფეროში სააზროვნო კულტურის ამაღლებას და მისტიკური ესთეტიზმის გაძლიერებას.

## „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი

XI საუკუნიდან ჰაგიოგრაფიულ პროზას გამოეყო, როგორც დამოუკიდებელი ჟანრი, საისტორიო პროზა (ლეონტი მროველი, ჯუანშერი), რომელსაც შემდგომ ეწოდა „ქართლის ცხოვრება“.

იგი უფრო პოპულარული იყო, ვიდრე ჰაგიოგრაფიული ტექსტები და ისეთივე ინტერესით იკითხებოდა, როგორც ბიბლია, „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“.

წამებათა და ცხოვრებათა ტექსტების ტრადიცია მემატიაანებმაც შემოინახეს. მაგ., ლეონტი მროველს „ქართველ მეფეთა ცხოვრებაში“ ჩართული აქვს, როგორც დამოუკიდებელი ტექსტები, „ფარნავაზის ცხოვრება“ და „ნინოს ცხოვრება“, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მემატიაანეს – „ნინოს ცხოვრება“, ჯუანშერს დაუწერია „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება და მოქალაქობა“.

ამ ტექსტებს ფუნქცია სხვა აქვთ და შესაბამისად თხრობაში წამყვანია ქრონიკის სტილი, ისტორიული სახელები და რეალიები, მათი სიმრავლე. მაგრამ რადგან მემატიაანე ჰყვება ამბავს, ბუნებრივად ახლავს თხრობას მხატვრული ელემენტები, როგორც ამას აკეთებდნენ ბერძენი ისტორიკოსები (ჰეროდოტე, თუკიდიდე, ქსენოფონტე), როცა ზღვარი არც არსებობდა მხატვრულ პროზასა და საისტორიო პროზას შორის.

ლიტერატურას განმასხვავებელ სახეს აძლევდა ლექსის ფორმა, ტრაგედია და კომედია, როგორც ტექსტის სცენისათვის გამიზვნა.

ბიბლიაც ასეთივე სტილითაა დაწერილი, რომელიც ცალკეულ წიგნებში ავლენს ძლიერ პოეტურ ნაკადს (მაგ., ფსალმუნები, სოლომონის ქებათა-ქება, ეკლეზიასტე, წიგნი იობისა).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ არ შედის „ქართლის ცხოვრებაში“. მაგრამ ისიც საისტორიო ტექსტია, რომელიც გადადის ჰაგიოგრაფიაში, როცა ნინოს ცხოვრებას გადმოსცემენ სალომე უჟარმელი, სიდონია, აბიათარი, იაკობი.

როგორც ვთქვით, ახლა არის ტენდენცია, რომ „ნინოს ცხოვრება“ მიჩნეულ იქნეს პირველ ნაწარმოებად ქართულ მწერლობაში, ნაცვლად „შუშანიკის წამებისა“. მაგრამ მაშინ დგება ანბანის პრობლემა.

თუ ქართული ანბანი შეიქმნა V საუკუნის დასაწყისში, როგორ დაიწერებოდა ქართულ ენაზე IV საუკუნეში „ნინოს ცხოვრება“ ან მირიან მეფის ანდერძი.

ისევ უნდა გავიმეოროთ, რომ როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, ანბანის შექმნას უნდა მოჰყოლოდა სახარებისა და ფსალმუნების თარგმნა, რაც სჭირდებოდა ღვთისმსახურებას.

„ქართლის ცხოვრება“, ასევე ჰაგიოგრაფიული ტექსტები, ქართველთა ბრძოლისა და ტანჯვის მატთანა, სადაც განუყოფელია ქრისტე და ერი.

## 2. ძველ-ქართული ენის რიტმი

ძველქართული ენა, როგორც ვთქვით, პათეტიკური და რიტმულია. ეს ეხება საეკლესიო-სამწერლო ენას, რომელმაც საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა კონსერვატიზმი, ბიბლიური წიგნების თარგმანებსა და ჰაგიოგრაფიულ ტექსტებს.

განყოფა ადრეულ საუკუნეებშივე მოხდებოდა: მდაბიური, ყოფითი მეტყველება ვერ იგუებდა სტილიზებას – ჭარბ პათეტიკასა და რიტმიკას. მაგრამ ალბათ ეს თვისება ჰქონდა ძველქართულ მეტყველებას, რომელსაც მწიგნობარმა ღვთისმეტყველებმა შეჰმატეს ზეციური დრამატიზმი, ამაღლებული განცდა.

ასეთივე პათეტიკურ-რიტმიკული იქნებოდა ქურუმების ენა, რომელიც სიმბოლოებით იყო დაშიფრული.

სადმართო მეტყველების მღელვარება სიტყვას სტიქიურად სძენდა რიტმიკას, მამა – ღმერთი, ძე – ღმერთი, მოციქულები, წმინდანები და წამებულები. მათი ხსენება იწვევდა კრძალვას, სულს ავსებდა ზეციური ნათელით და მიწიერ, ბიწიერ ვნებებს განაშორებდა. ასევე გავითვალისწინოთ ტაძარი და ქადაგი, ხმის ტემბრი და ვიბრაცია, ტაძრის

აკუსტიკა, ასევე ისიც, რომ დაწერილი ტექსტი გამიზნული იყო არა თვალთ წაკითხვისა, არამედ გახმოვანებისათვის, ხმამაღლა საკითხავად და წარმოსათქმელად, რადგან სიტყვა ლამპარი და სინათლეა (შდრ. „მეტყველების საღვთო პათეტიკა“).

საგანი განსაზღვრავდა სიტყვის პათეტიკას, ხოლო პათეტიკა ბგერათნაკადს რიტმული მონაცვლეობით განაღებდა.

ძველქართული მეტყველების რიტმიკას ქმნის ძლიერი მახვილი, წინადადებათა ინვერსიული წყობა, ემფატიკური ა, და კავშირით წინადადების დაწყება და სიტყვების განყოფა, ბრუნვის ნიშნების გავრცობა და დაბოლოებათა პერიოდული მონაცვლეობა, როგორც რითმის ჩანასახი.

ასეთი რიტმიკით აჟღერებილი ფრაზები დგას სალექსო მეტრის და რითმის ზღვართან. საკმარისია ოდნავი სტილიზება, რომ პროზის სტრიქონები იქცეს სალექსო ტაეპებად, სიტყვათ დაბოლოებანი – რითმებად:

„და უკეთურობისა მის სახისა ქმრისა მისამა მარადის გულს ეტყვიან და ევედრებინ ყოველივე ლოცვის ყოფად მისთვის“ („შუშანიკის წამება“);

ამ ერთ ინვერსიულ წინადადებაში რვა სიტყვის დაბოლოებაა – ის და ისა, ორი სიტყვისა – – ინ;

„მერმე მიავლინა ჯოჯიკ, ძმად თვისი, და ცოლი ჯოჯიკისი, ძმის ცოლი თვისი, და ეპისკოპოსი სახლისად თვისისად“ („შუშანიკის წამება“);

„და მოვიდა კაცი იგი მცხეთად და ისწავეს და ხელსა მეხამლობისასა და მსახურებასა ქრისტესსა და წმიდისა ჯვარისა ძალისა ჩინებისა“ („ევესტათი მცხეთელის წამება“);

„ხოლო შესმენითა ბოროტთა კაცთაჲთა საპყრობილესა შეაგდომან ნერსე“ („ჰაბო ტფილელის წამება“);

„აწც აკურთხე ადგილი ესე წმიდისა შენისა ეკლესიისა სამკვიდრებელი მადლითა შენითა და წმიდათა შენთა ოხითა“ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“).

ფსალმუნისებური ინტონაცია ზოგჯერ სტიქიურად გამოკვეთს სალექსო სტრიქონებს, რომლებიც ესწრაფვიან მეტრად ქცევას:

„წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი,  
დაწერტილნი და დამქნარნი  
და დამღიერებულნი“

*(„შუშანიკის წამება“);*

„მე სოფლისა სპარსეთისა ვიყავ,  
ხევისა არშაკეთისად,  
ქალაქისა განძაკისა ვიყავ,  
მამაჩემი მოგვი იყო“

*(„ევსტათი მცხეთელის წამება“);*

„რომელნიმე მძლავრებით,  
რომელნიმე შეტყუვილით,  
რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით,  
რომელნიმე მზაკუვარებით“

*(„ჰაბო ტფილელის წამება“).*

ქართული ენის პათეტიკა და რიტმიკა მთარგმნელებს, ჰაგიოგრაფებსა და ჰიმნოგრაფებს, ჰომილიებისა და ენკომიების ავტორებს დახვდათ როგორც ბაზისი. იგი არ ეკუთვნოდა რომელიმე ერთ ავტორს. მაგრამ ინდივიდუალური განცდა და ხედვა მას აძლევდა სალექსო მეტყველების მსგავს მოდელირებას, ავლენდა მეტრისა და რითმის ჩანასახს.

ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ბიბლიის ცალკეული წიგნების, განსაკუთრებით – ფსალმუნების თარგმანებში, რომლის პოეტურობა გადადის გალობაში.

შეიძლება ძველ დროში ასე მკვეთრად არც იგრძნობოდა პათეტიკა და რიტმიკა. მაგრამ ენის სწორედ ამ თვისებამ მოამზადა საფუძველი, რათა საეკლესიო მწერლობაშიც შემოეღწია სალექსო ფორმებს (იხ. „ქართული ლექსის ფორმირება“).

ძველქართული ენის რიტმი ფსალმუნებში, ბიბლიის ცალკეულ წიგნებში (მაგ., ქებათა-ქება, ეკლეზიასტე, იერემიას გოდება, წიგნი

იობისა, სახარება) მეტყველებას აქცევს თავისუფალ ლექსად, პ. ინგო-  
როყვას ტერმინით – „წყობილ სიტყვად“, როცა აზრობრივ-გრძნობადი  
სიტყვათნაკადი ავითარებს ურთიერთსაპირისპირო, პარალელურ  
მდინარებას.

მათი პარალელიზმი, განსხვავება, განმეორება და ინვერსია, ასევე  
სტიქიურად ესწრაფვის გალობით წართქმას:

„უფალო, არა ამდღა გული ჩემი, არცა განსცხრებოდეს თუაღნი  
ჩემნი; არა ვიდოდე მე მდიდართა თანა, არცა უსაკვრველესთა ჩემთა  
თანა, არამედ დავიმდაბლე თავი ჩემი, ხოლო აღვიმაღლე სული ჩემი;  
ვიქმენ მე, ვითარცა ყრმაჲ, განყენებული სძისაგან დედისა თვისა,  
რადთამცა მოაგე ესე სულსა ჩემსა“.

„რამეთუ მშობდა და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა და მასუთ მე;  
უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე; შიშუელ ვიყავ და შემოსეთ მე;  
სნეულ ვიყავ და მომხედეთ მე, საპყრობილესა ვიყავ და მოხუედით  
ჩემდა“ (მათე, 25, 35-36);

„ჰოდ, სულო ჩემო, ნეტარ თუმცა ყოვლაღვე არა  
დაბადებულ ვიყავ ქუეყანასა ზედა,  
ჰოდ, სულო ჩემო, ნეტარ თუმცა ჰაერთა შინა  
მფრინვალედ დავებადე ღმერთსა“

*(ეფრემ ასური, ექვთიმე ათონელის თარგმანი).*

მეტაფორა, შედარება, ეპითეტი, სიმბოლო, ალეგორია, საერთოდ  
ტროპები და ფიგურები მხატვრულ ტექსტში სტიქიურად წარმოიშო-  
ბა, რასაც აღძრავს ემოციური ნაკადის მოძალეობა. მისი კონსტრუირე-  
ბა, სტილიზება, შემცირება ან გამრავლება ესთეტიკური პოზიციის,  
გემოვნებისა და ოსტატობის საკითხია.

ასეა ჰაგიოგრაფიულ პროზაშიც, ბიბლიური წიგნების თუ ჰაგიო-  
გრაფიული ტექსტების თარგმანებში.

\* \* \*



საეკლესიო-სალიტერატუროს წინ უსწრებს მითებისა და ბარბაროსი მასების „ლიტონი“ ენა, რაც კოლექტიურად ხორციელდებოდა ანიმისტურ რიტუალებში.

კულტურის ენის ფორმირებაც ხდებოდა ქურუმების წრეში, შემდეგ – ქრისტიანული კულტურის ცენტრებში – ეკლესიებსა და მონასტრებში, სადაც მღვდელმსახურები იძლეოდნენ განათლებას.

საეკლესიო ძველ-ქართული შექმნეს ბიბლიის მთარგმნელებმა და კომენტატორებმა, რაც იქცა სამწერლო ენად, ხოლო ხალხის ტომობრივი მეტყველება – დიალექტებად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სახარებისა და ფსალმუნების თარგმანები.

საეკლესიო-სამწერლობო ენა გახდა სახელმწიფო, სამხედრო-ადმინისტრაციული ანუ ელიტის მეტყველება. იგი უხვად ივსებოდა სხვადასხვა ენათა ნაკადებით. მაგრამ ემორჩილებოდა ქართულ კონსტრუქციას, რომელიც იმდენად კონსერვატიული აღმოჩნდა, რომ ძველი ტექსტების გაგება დღესაც იოლია, განსხვავებით ბერძნულისა ან სომხურისაგან.

ამ კონსერვატიზმს ქმნიდა ხალხის ანთროპოლოგიური უცვლელობა და საეკლესიო ნორმების სიმყარე.

### **3. ჰიმნოგრაფიული პოეზია და მუსიკა**

როგორც აღნიშნავს პავლე ინგოროყვა, პოეტის აღმნიშვნელი ტერმინი ძველქართულ მწერლობაში იყო „სიტყვისმოქმედი“, „გამომთქმელი“, „გამომეტყველი“, „სიმღერის მწერალი“, მგოსანი, მელექსე, მოშიარე.

ლექსი ბერძნულიდან მომდინარეობს, შაირი – არაბულ-სპარსულიდან, ისევე როგორც მგოსანი.

მას უკავშირდება გალობა.

ბერძნული პოეტი (poietes) ქართულად უთარგმნიათ როგორც „სიტყვისმოქმედი“.

უცნაურია, ძველქართული ენა სავსეა ბერძნიზმებით და რაღა ამ სიტყვის მიმართ იჩენდნენ პურიტანიზმს.

შეიძლება იმიტომ, რომ პოეტი წარმართი ელინელების ასოციაციას იწვევდა.

ძველ დროში ლექსი იმდერებოდა ან რეჩიტატივით წარმოითქმოდა. ამიტომ დაერქვა პოეტს სიმღერის მწერალი. მაგრამ სიმღერასაც წარმართული ძირი ჰქონდა – იგი რიტუალების, სახიობისა და თამაშის ნაწილი იყო.

ბერძნული ლექსი (lexis) ნიშნავდა როგორც სიტყვას, ისე გამოთქმას, რაც განსხვავდებოდა ყოფითი ან პროზის ენისაგან.

ლიტურგიაში გამოყენებული ტექსტები ჰიმნებად იწოდებოდა, რომელთაც ქართულში შეესატყვისება საგალობელნი, გალობანი, დასდებელნი (პ. ინგოროყვა).

სიმღერა, ისევე როგორც ცეკვა-თამაში, ხუმრობა და სიცილი, საერო პირთა ჩვეულება იყო.

ეკლესია სიმღერას გალობით ცვლიდა, რომელსაც ჰქონდა მკაცრად ინტელექტუალიზებული, თეოლოგიური რეპერტუარი, განრიგი, კალენდარი, ხმა და ჰანგი, ჰყავდა შემსრულებელთა საეკლესიო გუნდი.

ერთი იყო პოეტური ტექსტის დაწერა, მასზე მუსიკალური ჰანგის მორგება, მეორე – შესრულება, რომელსაც სჭირდებოდა გამორჩეული ხმა, ღვთისმსახურების პროცესში ჩართვა, ტაძრის აკუსტიკასთან მორგება.

ამიტომ ვწერთ ხშირად, რომ ღვთისმსახურების პროცესი იყო ასკეტიკურ-მისტიკური სპექტაკლი, სულიერების ზეიმი, უფლის დიდებით მიწიერ ვნებათა და ტკივილთაგან განთავისუფლება, სიმშვიდის მოპოვება.

ჰიმნოგრაფიულ ტექსტებს ჰქონდა ეკლესიის მიერ კანონიზებული, ლიტურგიისათვის განკუთვნილი ფორმები, სიტყვიერ-მეტრული და მელოდიკურ-მუსიკალური სტრუქტურა.

ხელოვნება პირობითობაზეა აგებული, რელიგია არ სცნობს პირობითობას – იგი რეალობად ღებულობს მისტიკურ ფანტაზირებას.

## ფსალმუნური ტრადიცია

ჰიმნოგრაფია კიდევ უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული ღვთისმსახურებასთან, საეკლესიო პრაქტიკასთან, ვიდრე ჰაგიოგრაფია.

ქრისტიანობამ იგი გადმოიტანა ებრაული სინაგოგიდან, ებრაული მღვდელმსახურებიდან.

ეკლესიებში თავიდან გალობდნენ ფსალმუნებს. სხვა ჰიმნების შესრულება 365 წლიდან აკრძალულიც კი იყო. მაგრამ იზრდებოდა წმინდანების რიცხვი, ძლიერდებოდა უფლის დიდება, გამარჯვებული ეკლესია პატივს მიაგებდა ქრისტეს, წმ. მარიამს, მოციქულებს, მათ, ვინც სიცოცხლე გასწირეს მაცხოვრისათვის, საწყისსა და პარალელებს ეძებდა ძველ აღთქმაში.

ძველი აღთქმის რეპერტუარი, ფსალმუნები, წინასწარმეტყველთა გალობანი ვეღარ ასახავდა რეალობას. რთულდებოდა თავად ღვთისმსახურების პროცესი. იგი ივსებოდა ახალი სიმბოლოებითაც, რასაც წარმოქმნიდა დეტალიზება, ნიუანსობრივი დაყოფა, ჰომილიები და ლოცვები.

ეკლესიამ არათუ დაუშვა ახალი ჰიმნების გალობა, არამედ – ისინი განალაგა საწელიწდო კალენდრის მიხედვით, მიუსადაგა კონკრეტულ დღესასწაულს, წმინდანთა და მოწამეთა ხსენებას.

ამის მიხედვით შეითხზა საგალობელთა ტექსტები.

იგი აერთიანებდა ხელოვნების ორ დარგს – პოეზიასა და მუსიკას, თუმცა დღევანდელი გაგებით არც სრული პოეზია იყო, არც სრული მუსიკა, რადგან ავტორი და დამკვეთი საეკლესიო პრაქტიკისათვის იყენებდნენ ტექსტს, რომელიც უნდა ეგალობათ.

აქ მთავარი იყო დიდება, ხოტბის ჰათოსი, რომელიც ივსებოდა სპეციფიკური ტერმინებით, ბიბლიური სახეებით, სახარების ალუზიებით.

ჰიმნოგრაფისათვის საფუძველი იყო დავით წინასწარმეტყველის 150 ფსალმუნი.

ფსალმუნები ეკლესიისათვის სახარების შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ტექსტია, რომლის სიტყვა და ჰანგი ჟღერდა წირვა-ლოცვის დროს, ჟღერდა ეკლესიის თაღებში და დღემუდამ ახლდა მოწესისა და მორწმუნის ცნობიერებას.

ჰაგიოგრაფი სიუჟეტებს ამუშავებდა, პერსონაჟებს წარმოგვიდგენდა, მათ ცხოვრებას აღწერდა. ამიტომ სურდა თუ არა მაინც გადიოდა საეკლესიო მოთხოვნათა ფარგლებიდან და ცხოვრების სურათები შემოჰქონდა.

ჰიმნოგრაფი ასკეტიკურ-მისტიკურ განცდებს გადმოსცემდა და უფალს, ანგელოსებს, ქრისტეს, მოციქულებს, წმინდანებსა და წამებულებს განადიდებდა, მიმართავდა და ევედრებოდა უფალს.

ამის მიხედვით, დანიშნულების თვალსაზრისით, კ. კეკელიძე გამოყოფდა ლიტურგიკულ პოეზიას, რომელსაც ღვთისმსახურებაში იყენებდნენ, და სამომღვრო-მოთხრობით პოეზიას.

ზოგ ჰიმნს კითხულობდნენ. გალობით შესასრულებელს კი ერქვა მეხური ჰიმნები. კითხულობდნენ წამღერებით, ღიღინით, რაც არ იყო ჩვეულებრივი დეკლამაცია.

დავითის ფსალმუნები არც მეტრს შეიცავს, არც რითმას. რითმა საერთოდ უცნობია ძველი სამყაროსათვის, შესაბამისად არც სტროფია გამოყოფილი.

ფსალმუნებს, ისევე როგორც ძველ შუამდინარულ პოეზიას, ახლავს მღელვარე სიტყვათნაკადი, პათეტიკა, განმეორებანი, სიტყვიერი ინვერსია, რეფრენი, აზრობრივი პარალელიზმი, რითაც განსხვავდება პროზისაგან.

იგი არის ის პოეტური ბაზისი, რომლისგანაც ფორმალური დიფერენცირებათა და დეტალიზებით გამოიყო სტროფი, მეტრი და სულ ბოლოს – რითმა ანუ პოეტური მეტყველება იქცა ლექსად:

„უფალმან მძწყსო მე და მე არაა მაკლდეს. ადგილსა მწუანვილსა მუნ დამამკვიდრა მე: წყალთა ზედა განსასუენებელთასა გამომზარდა მე. მოაქცია სული ჩემი და მიძლოდა მე გზათა სიმართლისათა სახელისა მისისათვის. ვიდოდი ღათუ შორის აჩრდილთა სიკუდილისათა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ ჩემ თანა ხარ; კუერთხმან შენმან და არგანმან შენმა – ამათ ნუგეშინის – მცეს მე. განაპოხე ზეთითა თავი ჩემი და სასუმელმან შენმან დამათრო მე ვითარცა ურწყულმან, წყალობად შენი, უფალო, თანამავალ მეყავნ მე ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩემისათა, დამკვიდრებად ჩემდა სახლსა უფლისასა განგრძობასა დღეთსა“ (ფსალმუნი 22).

შეიძლება ამ სტრიქონების თავისუფალი ლექსის ტაეპებად დალაგება, რასაც ახდენდა კიდევ გალობის მოდულაცია, საეკლესიო გალობის ნიშნები.

150 ფსალმუნი იყოფა 20 კანონად.

ფსალმუნების განშტოებად შეიძლება მივიჩინოთ ჰომილიები და ლოცვები, რომელთაც ახლავს ალილუია და მეტანია.

ზოგჯერ „უფალო შეგვიწყალენ“ 40-ჯერ უნდა თქმულიყო.

საეკლესიო კონსერვატიზმის გამო ღვთისმსახურების პროცესი დღესაც ისეთივეა, როგორც იყო 10 და 15 საუკუნის წინათ.

ასევე დარჩა ძველქართული ენა და ძველქართული კანონიზებული ტექსტები.

X-XI საუკუნეებში დასრულდა ქართული საგალობლებით და ბერძნული ჰიმნებით საწელიწდო კალენდრის ფორმირება, ძველი და ახალი საგალობლების კრებულთა – იადგარების შედგენა.

## საეკლესიო ფორმები

V-VI საუკუნიდან ბიზანტიურ მწერლობაში დაიწყეს საგალო-ბელთა თხზვა და მათი ლიტურგიაში გამოყენება.

გამოჩენილი ჰიმნოგრაფები იყვნენ რომანოზ მელიოდოსი, ანდრია კრეტელი, იოანე დამასკელი, კოზმა იერუსალიმელი.

ეკლესიაში კანონიზებული იყო იოანე დამასკელის (VIII ს.) ჰიმნები.

შემდეგ ბიზანტიური კანონები თარგმნეს ქართველმა ჰიმნოგრაფებმა, თარგმნეს უმთავრესი საგალობლები (მაგ., ანდრია კრეტელის „დიდი კანონი“ სამჯერ უთარგმნიათ – ექვთიმე ათონელს, გიორგი ათონელსა და არსენ ბერს თუ არსენ იყალთოელს), დაუმატეს ორიგინალურიც, რომელიც იმეორებდა ბიზანტიურ სტრუქტურას.

როგორც შენიშნავს „ნეემირებული ძლისპირის“ გამომცემელი გ. კიკნაძე, „ქართული ძლისპირი რიტმულ-მელიოდოკური კალკია ბერძნული ირმოსისა“, „რიტმული სტრუქტურითაც ქართული ძლისპირი ბერძნულის იდენტურია“.

ეს ყველაზე ნათლად ჩანს ლიტურგიკული კანონის – დიდი ფორმის გალობათა სქემაში.

ჰიმნოგრაფიული კანონი 9 ოდისაგან შედგებოდა, რომელთა საწყისი იყო ძველი აღთქმა, რაც პარალელიზმის პრინციპით ივსებოდა ახალი აღთქმის სახე-სიმბოლოებით, იშლებოდა და იცვლებოდა ქრისტიანული რწმენისა და თავდადების მაგალითებით.

ფაქტიურად იგი არის რთული კონსტრუქციის სიმბოლურ-ალეგორიული პოემა, მისტიკური ხოტბა-საგალობელი.

მისი ყოველი ოდა შეიცავს 3-4 სტროფს და ამოდის ბიბლიური არქეტიპებიდან:

I ოდა „უგალობდითსა“ არის მოსეს სამადლობელი უფლისადმი, როცა ზღვა გააპო უზენაესმა, ებრაელები გაატარა, ხოლო მდევარი ფარაონი და მისი ეტლები წყალმა შთანთქა.

II ოდა – „მოიხილეს“, მოსეს გაფრთხილებისა და მონანიების გალობა, უფლის ბრძანებით შექმნილა: „შეუწველი მაყვლის“ სახე სიმბოლური ღვთისმშობლისა და ქრისტეს ალუზიაა (ერთი პერიოდი II ოდა ამოაგდეს კანონიდან).

III ოდა – „განძლიერდასა“, ამოდის ანა წინასწარმეტყველის ღმერთის დიდებიდან, როცა მას, უშვილოს, ხანგრძლივი ლოცვა-ვედრების შემდეგ ძე გაუჩნდა;

IV ოდა – „უფალო მესმასა“. მისი საწყისია ამბაკუმ წინასწარმეტყველის დიდება უფლისადმი, ბაბილონელთა სასჯელის გამო;

V ოდა – „ღამითგანსა“ ისაია წინასწარმეტყველის საგალობლის გარდასახვაა, როცა იგი ადიდებს უფალს იერუსალიმის გადარჩენის გამო;

VI ოდა – „ღაღატყავსა“ იონას სადიდებელია უფლისადმი, როცა იგი სამი დღის შემდეგ გამოვიდა ვეშაპის მუცლიდან, როგორც ქრისტე სამი დღის დაფლვის შემდეგ აღდგა;

VII და VIII ოდები – „კურთხეულ არსა“ და „აკურთხევდითსა“ დანიელ წინასწარმეტყველის საგალობელთა გარდასახვაა, რომელსაც სამი ყრმა აღავლენს უფლისადმი გადარჩენის გამო.

IX ოდა – „ადიდებდითსა“ ღვთისმშობლის საგალობელია, რომელიც იმეორებს ანა წინასწარმეტყველის სიტყვებს.

ამდენად საგალობლებში წამყვანია თეოლოგიური აზროვნება, მისი მისტიკური რაციონალიზმი და არა მხატვრულ სახეთა ემოციურობა და ესთეტიზმი, მთავარია ამ არქექტიპთა ახალი პროექცირება (ს. ცაიშვილი, ნ. ნაკუდაშვილი).

კანონის ფორმით მრავალი ტექსტია თარგმნილი და დაწერილი, მათ შორის – წმ. გიორგის საგალობლები, რომელთაგან 9 უთარგმნიათ VIII-XI საუკუნეებში (მაგ., იოანე დამასკელისა, კოზმა იერუსალიმელისა), სამი კი ქართულია – გრიგოლ ხანძთელისა (პ. ინგოროყვას აზრით), იოანე მინჩხისა და მიქაელ მოდრეკილისა.

პ. ინგოროყვას გალობათა შემომღებად ქართულ ჰიმნოგრაფიაში მიაჩნია გრიგოლ ხანძთელი.

ზეცაში ლიტურგიას ანგელოსები ასრულებდნენ, ტაძარში – მღვდელმთავრები. ამ პროცესს დამზერდნენ ფრესკებად გამოცხადებული ძე ღვთისა და წმინდანები.

საკმეველთა სურნელს ერწყმოდა ხატი, სიტყვა და გალობა, რათა შექმნილიყო ცად აყვანების ილუზია, წმინდა სულის ზეობა.

სულხან–საბას განმარტებით, გალობა იგივე ღვთისმეტყველებაა.

საგალობლებს წინ უძღვის სტროფი, რომელიც განსაზღვრავს კანონის მელოდიას და იწყება შესაბამისი ბიბლიური სიტყვით.

მათ კრებულს ბიზანტიურად ერქვა ირმოლოგიონი, ქართულად – ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი (გამოსცა ელ. მეტრეველმა).

ისინი უძღოდა იადგარებსა და პარაკლიტონებს.

კანონებამდე ბიზანტიურ ღვთისმსახურებაში გავრცელებული იყო კონტაკიონები (მაგ., რომანოზ მელოდოსისა).

ღვთისმსახურების პრაქტიკაში გამომუშავდა სპეციფიკური ტერმინები, რომლებიც აღნიშნავდნენ ჰიმნების ფუნქციასა და შესრულების გრაფიკს.

მაგ., საგალობლები შვიდეულისათვის იყო ოკტოიხოსი. ბერძნულად სადა დღეების ჰიმნებს ერქვა პარაკლიტონი.

დიდმარხვის პერიოდის საგალობლებს ეწოდება მარხუანი და ზატიკნი, ადრეული ტერმინით – „ხუედრნი“ (კ. კეკელიძე).

დასდებელი ნიშნავდა ფსალმუნების მიმატებას, როცა ლოცვებს, ადგილებს ბიბლიიდან დაერთო ახალი საგალობლები.

თთუენი იყო საწელწდო კალენდრის მიხედვით შეთხზული და შეკრებილი საგალობლები (მაგ., გიორგი ათონელისა).

ჰიმნოგრაფიული თთუენი იყო საგალობლები წმინდანებსა და საუფლო დღესასწაულებზე, ხოლო ჰაგიოგრაფიული თთუენი – საკითხავები.

თთუენიდან გამოკრებილ საგალობლებს სტიქარონი ეწოდებოდა (მცირე ფორმისა).

ჰიმნები შედგებოდა ირმოსისა (ძლისპირნი) და ტროპარისაგან (დასდებელი).



ძირითადი იდეა მოქცეული იყო ირმოსის სტროფში, რომლის გაშლა და გავრცობა ტროპარის სტროფები (პ. ინგოროყვას ტერმინით – ანტი სტროფი).

ცალკეულ ჰიმნებს ჰქონდა აკროსტიქი (კიდურწერილობა), რაც ასევე ბერძნულიდან გადმოიტანეს.

აკროსტიქი გვაუწყებდა როგორც ავტორის სახელს, ისე გადმოგვცემდა ვრცელ და რთულ წინადადებას, რომელშიც საგალობლის იდეა იყო მოცემული. იგი ტექსტის გამაერთიანებელი იყო. მაგ., იოანე მინჩხის „გალობანი წმიდისა გეორგისნის“ კიდურწერილობა ასეთია: „წმიდავო გეორგი, შეეწიე გეორგი მეფესა წინაშე მეუფეთა მეუფისა და ადიდე“.

X საუკუნიდან, ჰაგიოგრაფიის მსგავსად, ჰიმნოგრაფიაშიც დაიწყეს ტექსტების გადაკეთება ანუ მელოდიის თვალსაზრისით მორთვა, როცა სიტყვას აღმატა საეკლესიო მუსიკა.

ზოგი ჰიმნის გალობის დროს ყველანი – მღვდელმთავრებიც და მლოცველნიც ფეხზე უნდა მდგარიყვნენ. ეს იყო სამადლობელი ღვთისმშობლისადმი და ეხებოდა ქრისტეს დაბადების სიხარულს.

მას აკათისტო ერქვა, ქართულად – დაუჯდომელი, რუსულად – *неседален*.

ამჟამად აკათისტოს ავტორად ითვლება რომანოზ მელოდოსი (მგალობელი, VI ს.). ამ ვრცელი ტექსტის თითქმის ყოველი ტაეპი იწყება ცნობილი რეფრენული მიმართვით – „გიხაროდენ“.

როგორც ვთქვით, ქართული საგალობლები იმეორებდნენ ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ფორმებს. არსებით განსხვავებას ქმნიდა ენის ფაქტორი.

საეკლესიო წესები მკაცრად იყო დაცული.

როგორც ქართული, ისე ბიზანტიური ღვთისმსახურების პრაქტიკაში საგალობელთა ფორმებს ჰქონდა კონკრეტული ფუნქცია და მტკიცე რეგლამენტი. მაგ.: მარხვანის საგალობლებში უნდა აესახათ „დიდმარხვის თითოეული დღის ლიტურგიკული განგება-კალენდარი და ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები; შესაბამისი შვიდეუ-

ლების ძირითადი ხსენებები: დიდმარხვის დღეთა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე „სწორების“ (მსგეფსის) ხსენებები; შესაბამისი ფსალმუნდასდებლები; შვიდეულის დღეების უცვლელი ხსენებები. ამას გარდა, მარხვანისათვის განკუთვნილ საგალობლებში აისახება მარხვის პერიოდისათვის დამახასიათებელი მოტივები, განწყობილებები, ტრადიციული სახეები და ხსენებები; საეკლესიო კრებების დადგენილებები, იმდროინდელ დოგმატიკურ აზროვნებაში მიმდინარე ცვლილებები, შესაბამისი ძლისპირ-ღმრთისშობლისანები“ (ლელა ხაჩიძე).

მიღწეულია მცირე ფორმის საგალობელთა – ძლისპირთა კრებულების 60-მდე ხელნაწერი (გ. კიკნაძე). მათ პ. ინგოროყვა ჰყოფდა სამ რედაქციად.

სახარების მიხედვით, უფლის სიტყვა იყო თესლი, უფალი – მთესვარი, რომელმაც კაცთა გულში სიტყვა ჩააგდო და იგი გალობით გაღვივდებოდა მსმენელის მეხსიერებაში და მას ერთი გრძნობადი, მისტიკურ-ასკეტიკური აზრით განმსჭვალავდა.

## მეტრულ-სტროფული სტრუქტურა

ჰიმნოგრაფიული ტექსტები, ისევე როგორც ფსალმუნები და ბიბლიური საგალობლები, პროზის ფორმით იწერებოდა, მათ შორის – ხშირად იამბიკონიც. მაგრამ ტაქტები გამოიყოფოდა წერტილებით.

ბიზანტიურ მწერლობაში, საგალობელთა ტექსტებში მეტრული სისტემა აღმოაჩინეს XIX საუკუნეში ბენედიქტელთა ორდენის ბერმა პიტრამ, კონსტანტინე იკონომისმა და მონემ.

პიტრამ წაიკითხა გრამატიკოს თეოდოსი ალექსანდრიელის მინაწერი, რომელიც იუწყებოდა, რომ ვისაც სურს კანონი (საგალობელი) შეთხზას, ჯერ ირმოსის მელოდია უნდა დაადგინოს, შემდეგ ტროპარები შეუდგინოს, რომელთაც იმდენივე მარცვლები ექნება, რამდენიც – ირმოსს და მახვილებიც იმავე ადგილებზე მოუვაო.

ბიზანტიური საგალობლების რიტმიკა ემყარებოდა ორ პრინციპს – მარცვალთა ოდენობას (მეტრს) და მახვილთა განლაგებას ანუ სილაბურობასა და ტონურობას (ს. ყაუხჩიშვილი), რაც არსებითად განსხვავდებოდა ანტიკური ლექსთწყობისაგან, კვანტიტეტისა (ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე) და დაქტილური ჰეზამეტრისაგან.

მისაღები აღმოჩნდა იამბური ტრიმეტრი, რომლისგანაც გამოიყვანეს 12-მარცვლიანი ტაეპი, აქედან კი – ძველქართული იამბიკო, რომელიც ცეზურით ორად იყოფოდა (5+7 და 7+5).

პიტრას მსგავსად პავლე ინგოროყვამ ქართულ საგალობლებშიც, როგორც თარგმნილში, ისე ორიგინალურში, იგივე სისტემა აღმოაჩინა.

ამის მიხედვით, გამომდინარე მეტრულ-სტროფული სტრუქტურიდან, გამოჰყო სამი სახეობის ლექსი:

1. სილაბური მუხლედოვანი ლექსი ანუ ძველ-ქართული კლასიკური ლექსი;
2. სილაბური უკვეთელი ლექსი, საგალობელთა მარცვლელი ანუ ძველქართული თავისუფალი ლექსი;
3. წყობილი სიტყუა რიცხუედი, თავისუფალი უმარცვლედო ლექსი შინაარსობლივ-ტაეპობრივი რიტმიკით.

პ. ინგოროყვამ უამრავი მაგალითი, ცხრილები და სქემები მოიტანა თავისი დებულებების დასამტკიცებლად, თუმცა მათი გაზიარება შეუძლებლად ცნეს კ. კეკელიძემ, აკ. გაწერელიამ, ვ. გვახარიამ, გ. იმედაშვილმა, ნ. ნაკუდაშვილმა, აპ. სილაგაძემ.

ამ თეორიას მომხრეებიც საკმაოდ ჰყავს – ალ. ბარამიძე, მ. თარხანიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ელ. მეტრეველი, ლ. ჯღამაია, ნ. კვირიკაშვილი, გ. კიკნაძე, ლ. ხაჩიძე, რ. ჩხეიძე.

ასეთი პრინციპით დაწერილ საგალობლებს რიტმულ პოეზიას უწოდებენ, როგორც ბიზანტიურში, ისე ქართულში.

მაგრამ ტერმინი მართლაც არასწორია დღევანდელი თვალსაზრისით. გამოკვეთილი რიტმი არათუ საგალობლებს, როგორც ვნახეთ, ჰქონდა ძველ-ქართულ ენასა და პროზასაც კი.

რიტმი აღრეულ იქნა მეტრთან ძველსავე დროში, როცა მათი მნიშვნელობანი არ იყო გარჩეული.

პ. ინგოროყვას თეორიაში სადავო იყო „საგალობელთა მარცვლედის“ ფანტასტიკური პოლიმეტრია, რომ თითქოს გალობათათვის X საუკუნის დასასრულისათვის არსებულა 893 „სტროფულ-ტაეპობრივი საზომი“, ხოლო – სტიქარონთათვის – 324!

აკ. გაწერელის სიტყვით, „ამდენი საზომი არ იცის მსოფლიო პოეზიამ“.

აპ. სილაგამე მათ თვლის არა მეტრულ ლექსად, არამედ – „რიტმულად ორგანიზებულ სტრუქტურად“.

აი ერთი ნიმუში ასეთი პოლიმეტრიისა მიქაელ მოდრეკილის „აღვსების გალობანიდან“, გალობა VI:

„მხედრისა მიერ რაჟამს განელო – 10

სადმართო გუერდი შენი, ქრისტე – 8

გარდამოსწუთეს წუეთნი – 6

სისხლისა და წყლისანი – 7

და შეწუეს ჯოჯობხეთი – 7

საფუძველითურთ. – 5

ხოლო რაჟამს გიხილა შენ ქუესკნელმან – 11

სამარესა დადებული, – 8

შემრწუნდა და ზარ-განხდილმან განუტევნა – 12

სულნი საუკუნითგანნი – 8

შემრწუნდა და ზარ-განხდიკმან განუტევნა – 12

სულნი საუკუნითგანნი – 8

მძინარენი, – 4

ადამისა ურჩებითა მომწყდარნი“ – 11.

ამ სტროფის საზომებს ტაეპობრივი თანმიმდევრობით იმეორებს მომდევნო სტროფი:

„და ელვისა მსგავსი ანგელოზი – 10

რაჟამს იხილეს მცველთა მათ – 8

მცხონვარებისაგან – 6

დაცუეს ქუეყანასა – 7

ზარ–განხდილნი შიშითა; – 7

ხოლო დედათა, – 5

გლოვისა წილ, სიხარული აუწყა – 11

ღაღადებით ეტყოდა მათ: – 8

„გიხაროდენ, ქრისტე აღდგა, ვითარცა თქუა,“ – 12

ღირსნო! არამედ წარვედით – 8

და ახარეთ – 4

მოწაფეთა მისთა აღდგომად ღმრთისად“. – 11

როგორც ვხედავთ, სტროფები შედგება 12-12 სტრიქონისაგან, არათანაზომიერი ტაეპებისაგან. ისინი მეორდება დიდი ინტერვალებით, რა დროსაც ქრება რიტმის აღქმა და განცდა.

აქ სტროფი რეალურად არის პროზის აზხაცი, რომლის უთვალავ ვარიაციას გვაცნობს მკვლევარი.

როგორც შენიშნავს ნ. ნაკუდაშვილი, ფსიქოლოგთა მონაცემებისა და დაკვირვების გათვალისწინებით, სხვადასხვა სიშორისა და სიგრძის საზომები ფსიქო-ფიზოლოგიურად აღარ აღიქმება.

მოკლე ინტერვალი უნდა იყოს 0,5 წამი, ოპტიმალური – 1 წამამდე, ხანგრძლივი – 2 წამამდე.

ამის შემდეგ რიტმის აღქმა შეუძლებელია.

საგალობელთა პოლიმეტრიულ სტროფებში კი დასაშვებ ნორმას ზღვარი სამჯერ და ხანაც 13-14-ჯერ აღემატება.

ამიტომ ვერსიფიკაციული თვალსაზრისით ასეთი სტროფი, ასეთი პოლიმეტრია არის მკვდარი ექსპერიმენტი.

რიტმს ისინი იძენენ გალობის პროცესში (ა.ვ. გაწერელია).

კ. კეკელიძე აღწუსხავდა ცალკეულ გადაცდომებს, მიმატება-გამოკლებებს და მიიჩნევდა, რომ აქ არავითარი საზომი არ შეინიშნება.

მაგრამ თუნდაც ავტორს ან გადამწერს მოსვლოდა ცალკეული უზრუსტობანი, ასეთი მეტრული სქემა ნამდვილად არსებობს, ოღონდ მას საერთო არაფერი აქვს პოეტურ მგრძნობელობასთან და ვერსიფიკაციასთან.

მისი ნამდვილობის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ მომდევნო სტროფი ანალოგიური თანმიმდევრობით იმეორებს მეტრულ სქემას, როგორც შენიშნავდა პ. ინგოროყვა.

დარღვევა კი გამოწვეული იქნებოდა ფსიქოლოგიური ფაქტორით – ვერც ავტორი, ვერც გადამწერი რეალურად ვერ შესძლებდა რიტმის აღქმასა და მეტრის დაცვას.

პოეტი ამოდის ენის პროსოდიული პოტენციიდან. იგი კი არ ქმნის მეტრულ სქემებს, არამედ – ავლენს მათ და ავითარებს.

რის საშუალებასაც ენა არ იძლევა, პოეტი ვერ შექმნის, ვერ გამოიგონებს – არადა – ხელთ შეგვრჩება ისევ მკვდარი ექსპერიმენტი, როგორც ფუტურისტული ზაუმი.

პოეტი ინსტინქტურად გრძნობს მეტრის რიტმიკას – ის არ ითვლის მარცვლებსა და ტაეპებს.

ქართულ ვერსიფიკაციაში უკიდურესი ზღვარია 16 და 20-მარცვლოვანი საზომები. ისინიც რეალურად ცეზურით ორად იყოფა (8+8, 10+10).

ამის შემდეგ ხელოვნურ კონსტრუქციასთან გვაქვს საქმე. იგივე ითქმის 17, 18 და 19 მარცვლოვან საზომებზე.

მათი გამოყენება შეიძლება მომენტალურად, მაგრამ არა ხანგრძლივად.

ქართულმა ენამ იამბიკოც კი ვერ მიიღო, რომლის ცეზურით 5 და 7(7 და 5) მარცვლად გაყოფილი ტაეპი გამოხატავდა არა ქართული, არამედ – ბერძნული ენის სტიქიასა და ფარულ რიტმიკას.

ქართული ენისათვის ასევე უცხოა და არაბუნებრივი, შესაბამისად – არაპოეტური 8, 10 თუ 12 ტაეპიანი სტროფები (მაგ., აკათისტოს გრძელი სტროფები 17 ტაეპიანია).

იდეალურია ორტაეპედი და კატრენული სტროფი.

ხელოვნური, მწიგნობრული სალექსო სქემა, მისი დაცვის აუცილებლობა ხელს უშლიდა ჰიმნოგრაფს. იგი ვერც მისტიკურ, ღვთაებრივობის განცდას გამოავლენდა. საამისოდ შემოჰქონდა თეოლო-

გიური აბსტრაქციები, ბიბლიური სახე-სიმბოლოები, ალუზიები და პარალელები, საღვთისმეტყველო სქოლასტიკა.

რწმენის ფაქტორსა და ფაქტურას უნდა შეევესო პოეტური განცდის სინაკლებე, ხელოვნური კონსტრუქციები.

მაგრამ გაცილებით ბუნებრივი იყო „წყობილი სიტყვა“, თავისუფალი ლექსი, როგორც ბიბლიურ საგალობელთა და ფსალმუნთა გაგრძელება.

აქ უფლის დიდება, გრძნობათნაკადი არ იზღუდებოდა სქემებით.

ფსალმუნები, ეკლესიასტე, ქებათა ქება, წიგნი იობისა, სხვა ცალკეული წიგნები, ცალკეული ეპიზოდები, ტირადები და მონოლოგები დღესაც დიდ პოეტურ ძალასა და სიბრძნეს ასხივებენ.

კიდევ უფრო მეტად მოქმედებენ ისინი მოწესესა და მორწმუნეზე.

ახლა წარმოვიდგინოთ როგორი მნიშვნელობა ექნებოდა ბიბლიური სიტყვების პათეტიკას:

„გარე მომადგეს მე სალმობანი სიკუდილისანი  
და ღუართა უშჯულობისათა შემადრწუნეს მე“.

ძველ ქართული წყობილი სიტყვა, პათეტიკა, რიტმიკა, ემოცია ყველაზე სრულად ვლინდებოდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნების თარგმანებში, რაც გადადიოდა მეტყველებაში, ელიტარულ წრეში, ჰაგიოგრაფიულ და საისტორიო ტექსტებში.

ეს იყო ბაზისი, რომლისგანაც დაიწყო სალექსო ფორმების გამოკვეთა, შემდგომი სტილიზება, რაც „მექანიკურ სქემებად“ (აპ. სილაგაძე) იქცა ე. წ. რიტმულ პოეზიაში.

ამ მიმართულებით ვერ წავიდოდა ქართული ლექსი.

მეორე მიმართულება იყო იამბიკო და კლასიკური ლექსის პრაფორმები, რაც გულდასმით აქვთ აღწუსებული პ. ინგოროყვას, ს. ყაუხჩიშვილს, აკ. გაწერელიას, აპ. სილაგაძეს.

როგორც ვთქვით, იამბიკოც არ იყო ქართული პროსოდის შესატყვისი (მაგ., მეტრი და სტროფიკა). მაგრამ ჰქონდა ზუსტი, უცვლელი სტრუქტურა – 60 შეტყუება, სტროფში 5 ტაეპი, ტაეპში 12 მარცვალი, ზოგჯერ – რითმაც (მაგ., დემეტრესა და ბორენასთან).

იგი ისეთივე მათემატიკური სიზუსტის ფორმაა, როგორც სპარსული მუხამბაზი და მუსტაზადი, როგორც ევროპული სონეტი და ტრიოლეტი.

მაგრამ ქართულისათვის არაბუნებრივი და მძიმე აღმოჩნდა ხუთტაეპედი და არათანაზომიერი ცეზურით გაყოფილი 12 – მარცვლელი.

წყობილი სიტყვა იყო არქაული რიტუალებისა და ქურუმთა მსხვერპლშეწირვისა და იდუმალმეტყველების ენა, რომლის ფუნქციური მოდელირება მოახდინა ეკლესიამ, ქრისტიანულმა მწერლობამ (იხ. „ქართული ლექსის ფორმირება“).

## ტექსტის მუსიკალური განკვეთა

საღექსო ფორმა ისევე სჭირდებოდა ლიტურგიას, როგორც სცენარი-კინოფილმს, პიესა-თეატრს.

ამიტომ საგალობელთა ხელოვნური და დახლართული საზომების გამართლება იყო გალობის პროცესი, მათი გახმოვანება, ჰანგების მიხედვით გაწყობა, რომელთაც ავსებდა ტაძრის აკუსტიკა.

მართალია, ეკლესიისათვის მთავარი იყო ლოგოსი ანუ აზრი და არა მელოსი-მუსიკა. მაგრამ ჰიმნი აზრს ისედაც შეიცავდა, ოღონდ ეს არ იყო დამუშავებული ენის პროსოდიიდან გამომდინარე ვერსიფიკაციული ნორმებით.

აქ წამყვანი იყო მუსიკა, ჰანგზე მითითება, კილოების ნევმური ფიქსაცია. ნევმირებულ ტექსტებს ერქვა მეხური ანუ გალობით შესასრულებელი, ხოლო მეხელი იყო მგალობელი მუსიკოსი, ვინც საწელიწდო რეპერტუარს კილოებს შეუწყობდა (ც. ჯღამაია, ელ. მეტრეველი).

ის წითელი და შავი წერტილები, რაც პროზაულად დაწერილ საგალობლებს ახლდა, იყო მუსიკალური განკვეთის ნიშნები, სანოტო სისტემა და არა მეტრის აღმნიშვნელი. მაგრამ რადგან ტექსტი ემორ-



ჩილებოდა ჰანგს, ამავე დროს განკვეთის ნიშნები სტრიქონთა გამყოფიც ხდებოდა.

ჯერ დგებოდა ირმოსი – საწყისი სტროფი, მისი მელოდია, რაც ემყარებოდა სიტყვიერად მარცვალთოდენობას. შემდეგ ტროპარები იმეორებდნენ ფიქსირებულ მელოდიას, მახვილებს, საზომთა კომბინაციას.

დღესაც ბევრია პოპულარული სიმღერა, რომლის ტექსტი უმნიშვნელოა და პირიქით – არაერთი შედეგრი, მუსიკალობით გამორჩეული ლექსი ესტრადაზე ვერ აჟღერდა ან – ხალხმა ვერ მიიღო.

მაგ., მ. ფოცხიშვილის ტექსტებზე დაწერილი სიმღერები უფრო ცნობილია და გავრცელებული, ვიდრე გალაკტიონისაზე.

ასე რომ – ყოველ დროში ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა პოეზია და მუსიკა. ძველ დროში კი, როცა მთავარი იყო ტექსტის აჟღერება და არა თვალით წაკითხვა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სიმღერას (გალობას), წამღერებით დეკლამაციას, ზეპირმეტყველებას.

ჰანგი ჰფარავდა ტექსტის როგორც ნაკლს, ისე ღირსებას, როცა ფუნქცია, შესრულების დრო და ადგილი, შემსრულებელთა დასი განსაზღვრული იყო.

მაგ., მიქაელ მოდრეკილის იადგარში მითითებულია ჰანგი და მისი ცვალებადობა, ლიტურგიკული წესის თანმიმდევრობა, ჰანგის ხმა, საგალობლის ხასიათი (ვ. გვახარია).

ჰანგების რაოდენობა შეზღუდული იყო და მათ ეკლესია მრავალი საუკუნე უცვლელად იმეორებდა.

ასეთი კონსერვატიზმი იძლევა საფუძველს კილოთა პირველსახის წარმოსადგენად.

ამ იადგარის საგალობელთა პარალელური ტექსტები ფიქსირებული ჰქონია ხმათა მითითებით ლოტბარ ფილიმონ ქორიმეს, როგორც წარმოგვიდგინა ვ. გვახარიამ.

არც მას, არც პ. კარბელაშვილს არ ახსენებს პ. ინგოროყვა.

მან თავისივე თეორიით სცადა ძველქართული რელიგიური მუსიკის ამოხსნა (იხ. „ანტიკური ხანისა და საშუალ-საუკუნეთა ქართუ-

ლი მუსიკალური დამწერლობის ამოხსნა და ძველი ქართული მუსიკის აღდგენა“), რადგან საამისო გასაღებს ტექსტების ნევემირებული სტრუქტურა იძლეოდა.

არსებითად მან ამოხსნა არა ძველქართული მუსიკა, არამედ – აღადგინა რელიგიურ-მუსიკალური აზროვნების პროცესი, რაც თავისთავად დიდად მნიშვნელოვანია, თუმცა არასაკმარისი თეორიული ბაზისის გამო პოეტიკასა (აკ. გაწერელია, აპ. სილაგამე) და მუსიკისმცოდნეობაში (ვ. გვახარია) არაერთი გაუგებრობა აღძრა.

როცა იკვლევდა მუსიკის ფორმებს, იგი მიჰყვებოდა განკვეთის ნიშნებს და მათ მიხედვით ალაგებდა ტაეპებს, რამაც მოგვცა საზომების ფანტასტიკური სიმრავლე. არსებითად ეს იყო ჰანგების ვარიაცია, სიტყვიერ ტექსტში მარცვალთოდენობით ფიქსირებული.

როცა არსენ იყალთოელმა (პ. ინგოროყვა) თუ არსენ ბერმა (კ. კეკელიძე) დავით აღმაშენებლის ბრძანებით მესამედ თარგმნა ანდრია კრეტელის დიდი კანონი „გალობანი სინანულისანი“, მუსიკა შეცვალა, როგორც ქართულისათვის უცხო:

ბერძნული ერთხმოვანია, ქართული – სამხმოვანი, რაც იოანე პეტრიწის მიხედვით ასე ნაწილდება:

1. მზახრი – მოძახილი,
2. ჟირი (ორი) – მაღალი ბანი,
3. ბამი – საკუთრივ ბანი, რაც ქმნის სიმთა და ხმათა ჰარმონიას.

სამხმიანობის პრინციპს იოანე მიიჩნევდა ქრისტიანული ტრინიტეტის გამოვლენად.

პ. ინგოროყვამ მელნის ფერისა, შავი და წითელი წერტილების განლაგების მიხედვით ამოხსნა ძველი ტექსტების მუსიკალური ანბანი და შეუფარდა იგი თანამედროვე ტერმინოლოგიას.

ასე მიიღო ოქტავის რვასაფეხურიანი მწკრივი, აღადგინა საგალობელთა რვახმიანი სისტემა, 4 ძირითადი და 4 გვერდითი.

ეს იყო რვა ძირითადი სამუსიკო ნიშანი, რომელთა კომბინაცია იძლევა რთულ ბგერით სისტემას, ხმათა მონაცვლეობას, რეგისტრის

ცვალებადობას, ტონებისა და ნახევართონების შერწყმას, ბგერათა გრძლივობას.

წინამძღვარი იყო ძლისპირი, რომელიც გადმოსცემდა წამყვან მელოდიას სამხმიანი გალობისა.

ბერძნულში ირმოსი ასევე აერთიანებს საზომსა და გალობას.

ბერძნულში უპირატესია ლექსი, ქართულში – გალობა.

საერთოდ კი ჰიმნებში რიტმიკას არეგულირებდა გალობის კანონები. ამიტომ ბგერათა აქტივობის გაზრდით კომპენსირდებოდა საზომების დარღვევა (გ. იმედაშვილი).

პ. ინგოროყვა ძლისპირს ასე შლის – ძალის (ხმა, საკრავის სიმი) და პირი (პირველი, წინამძღვარი), როგორც ადრევე მიიჩნეოდა ივ. ჯავახიშვილი.

მკვლევარის აზრით, ქართულ მუსიკალურ დამწერლობას უძველესი დროიდან კავშირი ჰქონდა ბერძნულ მუსიკასთან, რომელიც მცირეაზიური წარმოშობისა ყოფილა (აპოლონური მუსიკა – დორიულიდან, დიონისური – ფრიგიულიდან. შუალედურია ლიდიური).

ამ სივრცეშიც ერთმანეთს ხვდებოდნენ ელინური და ქართველური ტომები.

ამრიგად, საგალობელთა მარცვლედის მკვდარი ექსპერიმენტი, ხელოვნური მეტრულ-რიტმული სტრუქტურა გააცოცხლა მუსიკამ და განსაზღვრა მისი ფუნქცია კულტურის სისტემაში.

## კრებულები და ავტორები

ქართულად არსებობდა არაერთი ჰიმნების კრებული – „უძველესი იადგარი“ (VI-IX საუკუნეთა ბიზანტიური საგალობლების თარგმანები), გრიგოლ ხანძთელის „საწელიწდო იადგარი“, მიქაელ მოდრეკილის იადგარი, პალესტინური სკოლის იადგარი, გოლგოთური და ერუშენული კრებულები, ნევმირებული (მეხური) სძლისპირნი, გიორგი ათონელის 12 წიგნისაგან შემდგარი „თთუენი ათორმეტნი“...

სულხან-საბას სიტყვით, იადგარს ქართულად სახსენებელი ჰქვია.

იადგარი იყო საერთო სადღესასწაულო ჰიმნების კრებული, საგალობელი თთუენი წმინდანებსა და დღესასწაულებზე.

ნ. მარის სიტყვით, იადგარი ფალაური სიტყვაა და ეწოდებოდა მანიქეველთა ჰიმნების კრებულს.

როგორც გიორგი მერჩულე გადმოგვცემს, გრიგოლ ხანძთელს დაუწერია „საწელიწდო იადგარი“.

X საუკუნისათვის იგი დაცული ყოფილა ხანძთის მონასტერში, სადაც მოღვაწეობდა გიორგი მერჩულე, გრიგოლის გარდაცვალებიდან თითქმის მთელი საუკუნის შემდეგ.

ალბათ ეს იადგარი შედგებოდა როგორც ბიზანტიური, ისე ორიგინალური, თავათ გრიგოლის მიერ დაწერილი ტექსტებისაგან.

მერჩულის სიტყვით, მათი „სიტყუანი ფრიად კეთილ არიან“.

ეს იადგარი დაკარგულად მიიჩნეოდა. მაგრამ პავლე ინგოროყვას აზრით, იგი საფუძვლად დასდებია მიქაელ მოდრეკილის იადგარს (978-988 წ. წ.), რომელიც შატბერდში გადაუწერია ექვს მოწესეს (ვ. გვახარია).

იგი შეიცავდა 1264 გვერდს. მათგან მოღწეულია მხოლოდ 544 გვერდი.

ამ იადგარის დამკვეთი ყოფილა იოანე-თორნიკე ერისთავი, ყოფილი სარდალი, ექვთიმე ათონელის ძმა.

მიქაელ მოდრეკილს ქართულ ენაზე არსებული ყველა საგალობელი შეუკრებია. მასში შედის 193 გალობანი და 754 სტიქარონნი (გამოსცა ვაჟა გვახარიამ სამ ტომად 1978 წელს, კრებულის შედგენიდან ათასი წლის შემდეგ).

პ. ინგოროყვას აზრით, იგი არის გრიგოლის იადგარის გავრცობილი რედაქცია და ის ჰიმნები, რომელთა მთქმელი აღნიშნული არ არის, მიიჩნია გრიგოლ ხანძთელის შეთხზულად ან თარგმნილად.

ეს არის 71 გალობანი და 103 სტიქარონნი.

მათ დაუმატა ანონიმური ჰიმნები ერუშენული, გოლგოთური და პალესტინური კრებულებიდან, რაც მთლიანად არის 156 გალობანი და 238 სტიქარონნი.

კ. კეკელიძემ ასეთი მტკიცება არადამაჯერებლად ჩათვალა.

მოდრეკილის დაზიანებული, ნაკლული ტექსტის შევსება შესაძლებელი გახდა სხვა ხელნაწერებით.

პ. ინგოროყვას აზრით, დანარჩენი იადგარებიც მომდინარეობდა გრიგოლის კრებულიდან და ამიტომ იგი მიიჩნია ქართული ჰიმნოგრაფიის ფუძემდებლად, კანონთა სისტემის დამამკვიდრებლად ქართულში.

პ. ინგოროყვამ მოგვცა ჰიმნოგრაფიული კრებულების პირველი „რედაქციული და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია“ (გ. კიკნაძე), რაც სადღეისოდ გაზიარებულია, გამოყო ჰიმნოგრაფები, შეისწავლა მათი უამრავი ტექსტი და დაბეჭდა.

X-XI საუკუნეთა ქართულ ჰიმნოგრაფიას არაერთი საინტერესო ავტორი ჰყავდა, რომელთაც სცადეს ბიზანტიური ტრადიციების გადმოტანისა და ათვისების შემდეგ ორიგინალური სიტყვაც ეთქვათ. მაგ., სპადუქნი (მორთულნი) შემოუღია იოანე მინჩხს (X ს.).

იოანე მინჩხი ნაკლებად არის წარმოდგენილი მიქაელ მოდრეკილის იადგარში. ივ. ჯავახიშვილისა და პ. ინგოროყვას პუბლიკაციებით ცნობილი იყო მისი 6 კანონი და 41 მცირე ფორმის საგალობელი.

ლ. ხაჩიძემ ძველ ხელნაწერებში გამოავლინა მინჩხის 77 უცნობი საგალობელი, რომლებიც აგრძელებენ იერუსალიმური მარხვანების ტრადიციას.

პ. ინგოროყვამ გამოჰყო „მერჩულიულნი უცხონი“. მათი ავტორია გიორგი მერჩულე, რომელმაც ჰიმნოგრაფიულ ტექსტებს შეჰმატა ალიტერაციული წყობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი გალობის სტროფული ერთეული (ტროპარი, დასდებელი) იმავე ზგერით იწყება, რომლითაც – ძლისპირი.

გიორგი მერჩულეს დაუწერია საგალობელნი სამარადისონი რვახმანი (48 გალობანი, მოღწეულია 10) და საგალობელნი აღვსებისანი რვახმანი (21 გალობანი და 46 სტიქარონი).

ასევე ცნობილი ჰიმნოგრაფები იყვნენ მაკარი ლეთეთელი (IX ს.), იოვანე მტბევარი (X ს.), ეზრა (X ს.), სტეფანე სანანოძსძე – ჭყონ-

დიდელი (X ს.), იოანე ზოსიმე (X ს.), ექვთიმე ათონელი (X ს.), დავით აღმაშენებელი („გალობანი სინანულისანი“, ანდრია კრეტელის ლიტურგიკული კანონის „გალობანი სინანულისანის“ მიხედვით).

განსაკუთრებით დიდია ლიტურგიკული პოეზიის დარგში გიორგი ათონელის ღვაწლი (XI ს.), რომელსაც ეკუთვნის თარგმნილი და ორიგინალური ჰიმნების 19 წიგნი („თთუენი ათორმეტნივე სრულიად“ – 12 წიგნი, „დიდი პარაკლიტონი“ – 2 წიგნი, „დიდი მარხვანი“, „ზატყკნი“), სულ – დიდი ფორმის 1000-ზე მეტი საგალობელი!

## უფალი და სასუფეველი

ჰიმნოგრაფიაში ხოტბის ტრიადული სისტემაა წარმოდგენილი: ღმერთი – წმინდანი – მწირი (გლახაკი). იგი შეესაბამება თეოლოგიურ იერარქიას – ღმერთი – ლოგოსი (ქრისტე) – ადამიანი.

ჰიმნოგრაფი განადიდებს და უგალობს ქრისტიანულ სამებას, სასუფეველს, წმინდანთა მხედრობას.

წმინდანი ღვთაებას ზიარებული ადამიანია, ვინც დატოვა მიწიერი სარბიელი და ანგელოსთა დასს შეერთო.

თუ იესო მიწად ჩამოვიდა და განკაცდა, რათა შვება მოეტანა ადამის ძეთათვის, წმინდანი მიწიერისა და ბიწიერისაგან განწმენდილი.

მორწმუნისათვის მიცვალება არის საბოლოო მიზანი.

განდიდებით, გაზვიადებით, ჰიპერბოლიზებით, განცვიფრებით ჰიმნოგრაფია უახლოვდება ჰომილეტიკას, რომელიც ეფრემ მცირის განმარტებით „არს ზეპირად პირისპირ თქუმა“.

შინაარსობრივად ქადაგებანი ასე ჯგუფდება:

- ა) სადღესასწაულო ქადაგებანი;
- ბ) „პანეგერიკები ან ხოტბა-შესხმანი, ეგრეთწოდებული ენკომიები, მოწამეთა და წმიდათა სახელობისა, რომელთაც აგიოგრაფიული საფუძველი აქვთ“ (კ. კეკელიძე);
- გ) ეპიტაფიები ან მიცვალებულთან თქმული სიტყვები;
- დ) საკუთრივ ქადაგება ანუ ჰომილია.

პანეგერიკი ჰიმნოგრაფიული ტექსტების თვისებაა. ქება არის ხილვა-წარმოსახვა და არა მოქმედების ჩვენება, როგორც ჰაგიოგრაფიაში.

ჰომილეტიკისა და ჰიმნოგრაფისათვის მთავარია ფაქტის განდიდება, მისტიკური ეპითეტებით შემკობა.

ჰიმნოგრაფი მისტიკურსა და ირრეალურს წარმოგვიდგენს როგორც არსებულს. ხოლო რეალური გადაჰყავს საღმრთო ნისლში.

ეკლესია ებრძოდა პოეტურ სამკაულებს. მაგრამ ხოტბას ახლავს ეპითეტების სიმრავლე, სახე-სიმბოლოები, განსაკუთრებული შარავანდედი.

ამქვეყნიური წარმავლობა თითქოს სევდას არ უნდა იწვევდეს. მაგრამ მას მოსდევს განკითხვა, რაც აღძრავს უფლისადმი ვედრებას:

„ჟამი რად წულილთა და ხმელთა აღმოფშვნივათაჲ წარმოდგეს,  
ზარი მეფობისაჲ წარხდეს და დიდებაჲ დაშრტეს,  
შუებანი უქმ იქმნენ,  
ყუავილოვნებაჲ დაჰნეს,  
სხუამან მიიღოს სკიპტრაჲ,  
სხუასა შეუდგენ სპანი,  
მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო“

(დავით აღმაშენებელი, გალობანი სინანულისანი, გალობა VIII)!

ჰიმნოგრაფიული ტექსტების საუკეთესო ადგილები არა ხოტბა-პანეგერიკი, არამედ – ფაქტის გააზრება, შინაგანი ღელვის, განცდისა და ტკივილის გამოვლენაა, რასაც ზღუდავდა ეკლესია:

„ეკუეთნეს ქარნი იგი  
საშინელნი განსაცდელთანი –  
გოდოლსა სულისა  
წმიდისა აღშენებულსა,  
წმიდასა მას მოწამესა  
და ზღუდესა მორწმუნეთასა,  
ხოლო ვერ შეარყიეს სიმტკიცე მისი,  
რამეთუ დამყარებულ იყო

არა ქვიშასა ზედა, არამედ  
კლდესა ზედა ქრისტეს მცნებათასა“

(იოანე მინჩხი, გალობანი გიორგისნი, გალობა V).

„ნუ მტირ მე, დედაო, რაჟამს მიხილო მე ძე შენი საფლავსა დადებული“ (გიორგი მერჩულე).

როგორც შენიშნავს გ. იმედაშვილი, საგალობელი მოიცავს სამ შაბლონურ ასპექტს:

ა) ქებად მოწოდება;

ბ) სიტყვის თხოვნა ღვთებისადმი;

გ) ქების უძღურების აღიარება, რაც შენიშნულია „ვეფხისტყაოსანშიც“.

ჰიმნოგრაფები საგალობელს იწყებენ თხოვნით, რომ ღმერთმა შეაძლებინოს მათ შესაფერისი სიტყვის წარმოთქმა, და ამთავრებენ მობოდიშებით, თავიანთი უძღურების აღიარებით, თუმცა იმედი აქვთ, რომ იქნებიან ხსენების ღირსნი და არდავიწყებას ივედრებიან (მაგ., ეზრა: „ნუ დამივიწყებ ჩუენ, მადიდებელთა შენთა, მამაო“, ზოსიმე ათონელი: „ნუ დამივიწყებ, მამაო ნეტარო ილარიონ“).

ჰიმნოგრაფიაშიც ბოროტისა და კეთილის ბრძოლა მთავრდება სიკეთის გამარჯვებით, სინათლის ტრიუმფით:

„დაემხო ძალი, პირველ სისხლდამთვრალი“ (ბორენა დედოფალი).

ჰიმნოგრაფები კიდევ უფრო ჭარბად იშველიებენ ბიბლიურ სახესიმბოლოებს, ვიდრე ჰაგიოგრაფები და მათი მოზაიკით აფორმებენ ხოტბასა და პანეგერიკს, ჭვრეტენ უფლის ნათელ ძალას.

#### 4. ქართული ლექსის ფორმირება

ვაჟა გვახარიას სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე, რომელსაც მეც ვესწრებოდი, აკაკი გაწერელია აცხადებდა, რომ კ. კეკელიძის, პ. ინგოროყვას, ს. ყაუხჩიშვილის მსგავსად ისიც შეცდომით ხედავდა



რითმებს ფილიპე ბეთლემელის (X ს.) საგალობელში, აბუკურაში, ცალკეული სტრიქონების თარგმანებში, ფრაგმენტულ ტაეპებში (მაგ., ეფრემ მცირესთან, ლეონტი მროველთან).

ამტკიცებდა, რომ რითმას არ სცნობს ჰიმნოგრაფია. ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტებიდან ნაწყვეტებს ტაეპებად ალაგებდა – პ. ინგოროყვას რომ დაეუჯეროთ, ეს ყველაფერი ლექსად ყოფილა დაწერილიო!

იგივე გაიმეორა დაბეჭდილ რეცენზიაში („მნათობი“, 1969, №1), რომელიც ტომეულეებში შეიტანა.

რატომღაც ანგარიშს არ უწევდა ლექსის, მისი კომპონენტების ფორმირების ხანგრძლივ პროცესს.

ცხადია, ჰიმნოგრაფებს არ ჰქონდათ კლასიციისტური ან სიმბოლი-სტური სრულყოფილი ფორმა. მაგრამ როგორც ბიზანტიაში, ისე საქართველოში ყალიბდებოდა ლექსი, რომლის პოეტური მგრძნობელობა, შინაგანი ღელვა იკვეთებოდა საზომებად, სტროფებად, რითმებად.

ანტიკური თეთრი ლექსი მეტრული იყო, არ იცნობდა სტროფსა და რითმას – სტროფს განაცალკევებს რითმა.

მხოლოდ XI საუკუნიდან შედის მეტრულ იამბიკოში რითმა (ბორენა დედოფალი, დემეტრე პირველი).

რითმა საერთოდ გვიანდელი მოვლენაა.

ქართულში მის გაჩენას ხან არაბულს უკავშირებდნენ, ხან სპარსულს. მაგრამ ეს არარეალურია, რადგან ჰიმნოგრაფია ბიზანტიურ მოდელზე იგი აგებული.

რითმის პირველ ნიმუშად ს. ავერინცევი მიიჩნევდა აკათისტოს („დაუჯდომელს“), VI თუ VII საუკუნის ტექსტს, რომლის ავტორია რომანოზ მელიოდოსი (ქართული ტრადიციითაც).

ბიზანტიურის, განსაკუთრებით იოანე დამასკელის შემდეგ შესაძლებელი იყო ქართულ საგალობლებსაც გასჩენოდა რითმები, რომელთა ფორმირებას დრო სჭირდებოდა. ამის საფუძველს იძლეოდა ძველ-ქართული ენის რიტმიკა.

შეიძლება მნიშვნელობა ჰქონოდა იმისაც, რომ ყურანი გართმული პროზით არის დაწერილი (საჯი).

მაგრამ ძირითადი რიტმული ერთეული არის ტაეპი (აჰ. გაწერელია) – სალექსო სტრიქონი.

ჰიმნოგრაფია არ ღებულობდა ხალხურ ფორმებს, როგორც წარმართულს, არც მეტრსა და არც რითმებს, რაც ალბათ ჰქონდა როგორც ანდაზებს, კავიებს, სიმღერებს, ისე ლეგენდურ ამბებს, კარნავალურ პროცესებს.

ფორმაც შინაარსის ნაწილად წარმოედგინათ და მათ ერთმანეთისაგან არ აცალკევებდნენ.

სტროფი უნდა გაჩენილიყო ჰიმნოგრაფიის წიაღში, რაც იყო ელიტარული კულტურა. ამას ხელს უწყობდა გალობათა ირმოსი და ტროპარი, რაც იქცა სტროფიკის პირველსახედ, და იამბიკოს ხუთტაეპედი.

ხალხურ ლექსში კი არა, ვაჟა-ფშაველასთანაც კი ხშირად არც არის გამოყოფილი სტროფი: მეტრის მდინარებას აკავშირებს გამყოლი რითმა, რომელიც არ ამთავრებს ტაეპებს.

ამიტომ სტროფის წარმოშობა უნდა მომხდარიყო საგალობელთა კანონიკიდან.

სალექსო სტრიქონი იყო იამბიკოს 12-მარცვლოვანი ტაეპი. დანარჩენი ის ურიცხვი საზომი, რაც მოაქვს პ. ინგოროყვას, თუმცა რეალურად არსებობს, მაგრამ არ არის სალექსო მეტრი და ემორჩილება გალობის კანონებს (იხ. „მეტრულ-რიტმული სტრუქტურა“).

მაგრამ გალობის მუსიკა და ძველქართული ენის რიტმიკა სულიერ ღელვას, უფლის დიდებას, ასკეტურ გრძნობათა მოძალებას თანდათან მაინც მეტრის ყალიბში აქცევდა, რიტმი რითმებსაც აჩენდა.

მაგ., გიორგი ათონელის გლოვა გიორგი მცირესთან:

„დადაცათუმცა ქვისაჲ ვის აქვნდა გული

და ანდამატისა მოეგო სული,

გარეგან საზღვართა ბუნებისათა განსრული,

ვითარცა არა იხილვა ყოვლითურთ დაწყლული,

მოულოდებელისა ამის სმენისგან აღძრული და ბუნებითისა ტკივილისაგან სიღრმე მწუხართა შთასრული!“ აქ არის რითმა, მაგრამ არ არის მეტრი, რადგან ეს ტექსტი პროზაულია.

რიტმას წინ უსწრებდა რეფრენი, რაც აწესრიგებდა ხოტბის კადენციას. გარდა ამისა, ხელს უწყობდა აზრის აქცენტირებას და ტექსტის მელოდიურ აჟღერებას (მაგ., აკათისტოს „გიხაროდენ“ და „ალილუია“).

იგი პერიოდულად მეორდებოდა, როგორც მისამღერი ხალხურ სიმღერაში.

ჰანგი ახდენდა მარცვალთნაკლებობის თუ მეტობის კომპენსირებას, ხმოვანთა შემოკლება-დაგრძელებას.

ლექსის კომპონენტების ფორმირება ცალ-ცალკე ხდებოდა, რადგან საჭირო იყო როგორც გამოცდილების დაგროვება, ისე შეგუება საეკლესიო კანონიკასთან.

იგი უნდა განვითარებულიყო ბიზანტიური ლექსის პარალელურად. თავიდან იამბიკოც პროზის სახით იწერებოდა.

საგალობელთა ხელოვნური ტაეპები ლექსისათვის მეტრად არ გამოდგებოდა. ან უნდა შემოემავათ ხალხური ლექსის საზომები ან ისევ იამბიკოს ბიზანტიურ-მწიგნობრულ წრეში დარჩენილიყვნენ, რაც ჩიხში მოქცევას ნიშნავდა.

იოანე-ზოსიმეს „გუნდნი იგი ზეცისანი“ გვიჩვენებს, რომ არსებობს მაღალი შაირი, მისი ტერფები. მაგრამ ჯერ არაა კრისტალიზებული არც 16-მარცვლიან მეტრად, არც სტროფად, ხოლო რითმა არც გააჩნია.

ფილიპეს ჰიმნი რითმიანია და 16 მარცვლოვანი, მაგრამ მეტრი არ არის გამართული, რითმებიც ნაკლებია, რომანტიკოსთა რითმების მსგავსად და აღიქმება როგორც პროზის რიტმის შემდგომი მოწესრიგება, რომელიც გადადის სალექსო მეტყველებაში და სალექსო კომპონენტებს ახლა იძენს.

მას მთლიანობას ანიჭებს აკროსტიხი.

არსენ იყალთოელს, დოგმატიკონისა და სჯულისკანონის მთარგმნელს, ეკუთვნის დაბალი შაირის სტროფი, რომელიც ცხადყოფს, რომ დასრულდა თექვსმეტმარცვლოვანი მიჯრითი ტაეპების ერთიანი გართმვა და კატრენული სტროფის ფორმირება.

ეს არის დავით აღმაშენებლის ეპიტაფია:

„ვის ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად დამესხნეს,  
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვარსა გარე გამესხნეს,  
თევზნი ამერთა წყალთანი იმერთა წყალთა შთამესხნეს,  
აწლა ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედან დამესხნეს“.

ეს სტროფი თითქმის ერთი საუკუნით უსწრებს „ვეფხისტყაოსანს“.

ამ ფორმის სათავეს ხედავენ ხალხურ პოეზიაში, წარმართული ხანის ტექსტებში, რის გამოც ეკლესია უარყოფდა ქართულ არქაიკას და ემყარებოდა ბიზანტიურ კულტურას, მშობლიურს ცვლიდა უცხოურით რელიგიური მრწამსის გამო.

„ოქროს კვეთი“, რომელზეც მსჯელობს გ. წერეთელი, არის შაირის თვისება და არა რომელიმე ავტორისა.

არქაიკა ყველაზე უფრო შემორჩა მთაში, სადაც გაუჭირდა ქრისტიანობას შეღწევა და ვერ მოსპო წარმართული რიტუალები.

ხევსურული ლექსისა და სიმღერის არქაულობას აღნიშნავენ შ. ასლანიშვილი, დ. არაყიშვილი, გრ. ჩხიკვაძე, ვ. ბარდაველიძე, ვ. კოტეტიშვილი, მ. ჩიქოვანი.

ისინი გამოიყენებოდა წარმართულ როკვა-გალობით და მსხვერპლშეწირვით რიტუალებში (სადიდებელნი, ქადაგობანი, ხატობანი, ხუცობანი, სულთანობანი, დატირებანი).

აქ ერთმანეთშია არეული ლექსი და პროზა.

აკ. შანიძემ ცალკე გამოყო მთიბლური სიმღერები, მისი ცხრამარცვლედია.

იგი ასევე გამოიყენებოდა ფშავში, მთიულეთში, გუდამაყარში, ხევში.

ქადაგი ღვთაების ნება-სურვილს ეგზალტირებულად წარმოთქვამდა, რომლის სიტყვათნაკადი მთიბლურის სქემას იმეორებდა (დ. გოგოჭური).

ქადაგი ექსპრომტულად მეტყველებდა, ხოლო რიტუალები ტრადიციულად იყენებდა გავრცელებულ ლექს-სიმღერებს.

პ. ბერამე ამ სტიქიურ ტაეუს აორმაგებდა, როგორც 16 მარცვლოვან შაირს და ღებულობდა 18 მარცვალს, რათა ასე დაეახლოებინა დაქტილურ ჰეგზამეტრთან.

შეიძლება ასეც ყოფილიყო უძველეს დროში, როცა რითმა არ არსებობს, ხოლო მეტრი ყალიბდება, რომელიც თანდათან აწესრიგებს მღელვარე, ბუნდოვან, სიმღერის მსგავს სიტყვათნაკადს. მაგ., ნატირლებში, ქადაგთა ბოდვის მაგვარ მეტყველებაში (შდრ – „მველქართული ენის რიტმი“).

ეს არის ენობრივი სტიქიის გაუცნობიერებელი აღმოთქმა, რომლის შემდგომი მელოდიკური ჰარმონიზებაა ლექსი 16 მარცვლოვანი. ამიტომ არის ცალკეული სიმღერები ფიქსირებული როგორც მთიბლურის, ისე შაირის მეტრით.

მთიბლურის საზომი აღმოჩნდა ლაზურ სარიტუალო ტექსტებშიც (ზ. თანდილავა).

მწერლობაში იგი ვერ შემოაღწევდა, რადგან ეკლესია სდევნიდა როგორც ეროვნულ, ისე ანტიკურ საზომებს, პოეტურ სამკაულებს, როგორც წარმართულ და ამქვეყნიური განცდების აღმძვრელს.

პირველ ხანებში გალობასაც კი ერეტიკულად მიიჩნევდნენ, როგორც მოგვიანებით ხატებს.

უფლის დიდებასა და ლოცვას გალამაზება არ სჭირდებოდა.

შემდეგ აკათისტოს ერთმარცვლიანი რითმები გადმოვიდა ქართულ საგალობლებშიც (მაგ., იოანე საბანისძესთან, იოანე მინჩხთან, მიქაელ მოდრეკილთან), რაც შეესაბამებოდა ქართულ ინვერსიულ, პათეტიკურ და რიტმულ მეტყველებას.

X-XI საუკუნეებში ფორმირდება ქართული რითმიანი სტროფი და მეტრი, რომლის საფუძველი აღმოჩნდა ხალხური შაირი, წარმართუ-

ლი 9-მარცვლიანი მთიბლურის გაგრძელება, როგორც მიაჩნდა აკ. შანიძეს.

ლექსი გამოეყო ჰიმნოგრაფიას და ცალკე განვითარდა, თუმცა კავშირი არ გაუწყვეტია სიმღერასთან, დეკლამაციასთან, მუსიკასთან, მაგრამ გადაინაცვლა სიცოცხლისაკენ, მიწიერი გრძნობებისაკენ.

აკ. გაწერელია ამტკიცებდა, რომ „ქართული ენა დაქტილურია და ეს პრინციპი წარმოადგენს ჩვენი მეტყველების ხერხემალს“.

შემდეგ კ. ბერაძემ შეისწავლა მთიბლურის სამი დაქტილისაგან შემდგარი მეტრი, მისი რიტმიკა დაუკავშირა ცეკვის რიტმს, სააკომპანიმენტო ინსტრუმენტული ცეკვის რიტმს და დაქტილურად მიიჩნია არა მხოლოდ ქართული ენის პროსოდია, არამედ – საერთოდ ქართველური აღქმა და შეგრძნება რიტმისა.

ეს თვალსაზრისი შეუფარდა ჰომეროსის ჰეზამეტრს, რომლის შორეულ სათავედ დასახა მთიბლური.

შაირის მეტრით არის შეთხზული თითქმის ყველა ხალხური ლექსი, რაც გვეუბნება, რომ მისი სათავეა წარმართული არქაიკა და ქართველური მოვლენაა. ხოლო მთიბლურის პირველი ან მეორე დაქტილი მეორე პეონად აქცია ძველქართულში არსებულმა ძლიერმა მახვილმა, ზეპირმეტყველებამ და სიმღერის ჰანგმა, რომელიც ავრცობს და ამოკლებს ხმოვნებს (შდრ – მეკარე – მეკრე).

გ. წერეთელი აღნიშნავდა, რომ ჩახრუხაულის იდენტური ფორმის ლექსი არსებობდა არაბულ პოეზიაში:

„იდენტურია ზომა, შინაგანი რითმა, რითმების განაწილება ტერფებში“.

შეიძლება ჩახრუხაულის სტრუქტურის სათავე ყოფილიყო არაბულში, როგორც იამბიკოსი და ე. წ. რიტმული პოეზიისა – ბიზანტიურში.

ხალხურმა ლექსმა არ იცის არც 10 და არც 20 მარცვლოვანი ლექსი, თუმცა ბუნებრივია ქართული პროსოდიისათვის, ისევე როგორც სხვა მრავალი, პოეტების ელიტურ წრეში გაჩენილი საზომი. ამიტომ ჰომეროსის ტაეპები გადმოჰქონდათ ფისტიკაურით (5+5+5+5). მაგ.,

ეფრემ მცირესა და „პროკოპის მარტვილობის“ მთარგმნელს (პ. ინგო-როყვა).

ფისტიკაურის რითმებით გართულებული ფორმა არის ჩახრუხა-ული და შავთელური.

ჰიმნოგრაფიული ლექსი, ისევე როგორც თემატიკა და მისი გაშლა, დარჩა დოგმატიკურ, თეოლოგიურ-ეკლესიურად შემოზღუდულ რკალში, რასაც მოჰყვა მისი რეგრესი. მაგრამ ორბიტზე გაიყვანა ქართული ნაციონალური ლექსის ფორმები, რომელთაც მალე მოჰყვა „თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“, ოცმარცვლოვანი და თექვსმეტ-მარცვლოვანი საზომები, რითმის ზეიმი და მკაცრი სტროფიკა.

როგორც ვთქვით, საგალობლები წარმართულ ფორმებს არ მიი-ღებდნენ. მაგრამ მათ, როგორც მდაბიურსა და ვულგარულს, არც არისტოკრატია სწყალობდა, რაც შეუსაბამო იყო მაღალი ფენის საერო პირთა გემოვნებისა და ესთეტიკისათვის.

ხალხური ლექსი ანუ „მესამე ლექსი“ კარგი იყო „სანადიმოდ, სამღერეულად“, „ამხანაგთა სათრეველად“ ანუ დროსტარება-გართო-ბისათვის, როგორც კომედია ელადაში.

მაგრამ იგი არ იყო სიტყვა „საღმრთოდ გასაგონი“, რომელსაც უნ-და ჰქონოდა მოწესრიგებული ფორმა, პათეტიკა და არისტოკრატიუ-ლი ესთეტიზმი.

ამიტომ რუსთაველს სალექსო ფორმა უნდა მიეღო მწიგნობრული, კერძოდ – ჰიმნოგრაფიული ტრადიციიდან, როგორც უფლის დიდება ბიბლიიდან და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრებიდან, ისე-ვე როგორც პირველივე სიტყვა „რომელმან“ – ღმერთის ნაცვალსახე-ლობითი შიფრი („რომელმან შექმნა სამყარო“).

## 5. სახე-სიმბოლოების სარკვე

სიკვდილი, საფლავი, საიქიო, წყვდიადი ადამიანს შავ ფერად აქვს წარმოდგენილი, რაც იგივე არყოფნაა, მარადი უკუნი – „შავეთი“ და

„სულეთი“. მაგრამ ქრისტიანული თეოლოგია მას სინათლით ავსებდა, როგორც სიცოცხლის გარდასახვით გაგრძელებას, სულთა ზეიმსა და შვებას, რომლის ნათელი ჩანდა სახე-სიმბოლოების სარკეში.

ეს იყო ზეციური შუქი, ვარსკვლავთ ციმციმი და მზის ბრწყინვალეობა, სულთა საუფლოდან რომ ჩამოჰქონდათ უსხეულო ანგელოსებს.

ტამარი იყო ის სადგური, სადაც ეშვებოდა ანგელოსთა გუნდი, „გუნდნი იგი ზეცისანი“, სადაც იყო დავანებული უფალი ჩვენი იესო ქრისტე, სული და სახელი, ძალა და დიდება მისი.

როგორც ვთქვით, ტამარში ერთიანდებოდა სურნელი, სიტყვა, გალობა და ფრესკა, როგორც სახე-სიმბოლოთა სარკიდან გამომკრთალი მარადი მხარე.

სიტყვა იყო ზეპირი ქადაგება და წიგნში მოქცეული უფლის დიდება;

მგალობელთა გუნდის ჰანგი ამ სიტყვას შეიტანდა მრევლის გულში და აბამდა სიმებს უფალთან, ზეცასთან, საითკენაც აღევლინებოდა გალობა;

ფრესკებიდან ანათებდნენ შარავანდმოსილი ქრისტე, ანგელოსები, მოციქულები, წმინდანები;

ჯვარით მოხატული ტამარი სანთელ-კანდელებით ციმციმებდა, საკმევლის სურნელით ივსებოდა, რათა უფლის დიდებას სული ნეტარებით აღევსო, დავიწყნოდათ კედელს მიღმა მბორგავი სასტიკი და დუხჭირი, წარმავალი, მაგრამ მწარე სინამდვილე, გამქრალიყო სიკვდილის შიში.

წირვა-ლოცვის პროცესით სული ჰპოვებდა სიმშვიდეს, ფსიქიკურ ძალას, რწმენასა და იმედს, ცისა და მიწის ერთობას, ღვთაების შეგრძნებას.

ამიტომ ყოველ სიტყვას, ტამრის ყოველ დეტალს, ჯვარს, ფრესკასა და ხატს ჰქონდა სიმბოლური მნიშვნელობა, რაც ღვთაებრივი სინათლის ათინათი იყო.



ამას ადგენდნენ ღვთისმეტყველნი და გადასცემდნენ ეკლესიებს, გადასცემდნენ რაციონალური სიზუსტით. ეს იყო არა რეალობის, არამედ – მისტიკური ხილვებისა და მირაჟების, სასწაულებისა და მიღმური წარმოსახვების სისტემა.

სახე-სიმბოლო უკვდავი აზრით ავსებდა სიცოცხლეს.

თეოლოგები და ეგზეტიკოსები ძველი და ახალი აღთქმის სტრიქონებს სიმბოლური აზრით განმარტავდნენ, ეძებდნენ მათ შორის კავშირებს, ეძებდნენ სულთა საუფლოდან გამომკრთალ სინათლეს.

ჰაგიოგრაფებსა და ჰიმნოგრაფებს სიმბოლოები თავიანთ ტექსტებში გადაჰქონდათ, აკონკრეტებდნენ და ავსებდნენ, ურთავდნენ ისტორიულ ფაქტებს.

ცენტრში იდგა იესო ქრისტე, მისი უჩვეულო მოვლენა, რაც იწინასწარმეტყველა, რომლის სახელიც გამოჩნდა ძველ აღთქმაში (მაგ., ეზრასთან).

ქრისტე ბერძნულად ცხებულს ნიშნავს, იესო ებრაულად იეშუაა. იგი მხსნელია, მესიაა, როგორც იწოდებოდა მეფე მესოპოტამიის ხალხებში.

ღმერთი უნდა განსხეულებულიყო, რათა დაახლოვებოდა ადამიანებს და ისინი ეზიარებინა საღვთო ჭეშმარიტებისათვის. ამიტომ უნდა შესულიყო წმინდა ქალწულის სხეულში, ხორცი შეესხა და განკაცებულიყო, ღმრთეება ხორციით რომ არა დაეფარა, ვერცერთი სულიერი ვერ მიეახლებოდა, როგორც ამბობს „ევსტათი **მცხეთელის მარტვილობის**“ ავტორი, რადგან ქრისტე არის მზე ბრწყინვალე, ელვა, ნაკვერცხალი, დაუსაბამო, დაუსრულებელი, დაუღამებელი ნათელი.

მაგრამ ქრისტე ზეცის კიბეც არის და ზეცის ეტლიც, კლდე, რომელსაც დაეფუძნა ეკლესია, მარცვალი და მდინარე, ლომი და ლოდი, მწყემსი, მტრედი და გვრიტი, პასექის კრავი, ვაზი და ვენახი, ახალი ადამი და სიმართლის მნათობი, ვარსკვლავი, გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება, უჟამო ჟამი, წვიმა და ცისკარი (ტიტე მოსია)...

იოანე საბანისძეს ტექსტში ჩართული აქვს ეპიფანე კვიპრელის „თვალთაფდან“ 16 სახე – სიმბოლო, რომელთაც განმარტავს:

კარი, გზა, ტარიგი, მწყემსი, ლოდი, მარგალიტი, მარილი, ყვავილი, ანგელოსი, კაცი, ღმერთი, ნათელი, ქვეყანა, მარცვალი, მატლი, მზე სიმართლისა.

ასეთივე ნაირგვარი ეპითეტებითა და სიმბოლოებით ამკობდნენ ღვთისმშობელს. მათი საფუძველია რომანოზ მელოდოსის „აკათისტო“. ჰიმნოგრაფების სახოტბო საგალობლები დაუღეველი სიმბოლოების კრებულია. მაგ., იოანე მინჩხისათვის წმ. მარიამი არის დაუთესველი ყანა, ეტლი ზეცისა, ქერობინი ქუეყნისა, უსხეულო საყდრის ცეცხლი, დამბადებლის დედა, ვენახი, გონიერი, ტამარი პირმეტყველი, სულიერი ტაკუკი, ნათლით სავსე ღრუბელი, საღმრთო ზღუდე, სოფლის მცველი, ვინც „მიზეზსა მას მიზეზთსა მიზეზ ექმნა“, ცისა და ქვეყნის დედოფალი, სულიერი სამოთხე...

რასაკვირველია, ეს არის მცირე ნაწილი იმ სახე-სიმბოლოებისა, რომლებიც სხვადასხვა ასპექტით, სხვადასხვა რაკურსით გვიჩვენებენ ქრისტესა და მარიამის უჩვეულო ბუნებასა და მისიას.

ისინი გადადიან ტექსტიდან ტექსტში, ერთი ქვეყნიდან მეორეში, ეპოქიდან ეპოქაში. სათავე კი ბიბლია და ბიზანტიაა.

ასე იქმნება ერთიანი რეპერტუარი, რაც მორწმუნისათვის არის არა ეპითეტი ან სადიდებელი სიტყვა, არამედ ღვთაებრივი იდუმალეზის გამოხსნა, საოცრებისა და სასწაულის სიტყვაში მოქცევა. მას, ხალხური პოეზიის მსგავსად, არ ჰყავს ერთი ავტორი და ეკუთვნის მას, ვისაც რწმენა გააჩნია.

იგი ყველა მოწესისა და მორწმუნის მიერ არის შექმნილი ყველა მოწესისა და მორწმუნის გულის გასათბობად.

ქრისტესა და ღვთისმშობლის ნათელში ექცევიან მოციქულები, ძალნი ზეცისანი – ანგელოსები და მოწამენი. მათი სახე-სიმბოლოებიც ამოდიან ძველი აღთქმის წიაღიდან და ქვეყანას აჩვენებენ უფლის სასუფევლის, სამოთხისა და ჯოჯოხეთის სასწაულს.

## VIII. ბიზანტინიზმის დასასრული: იბერიულ-კავკასიური სახელმწიფო

იმ დროს, როცა საქართველოს მეფე ბაგრატ IV ებრძოდა განმდგარ კუთხეებსა და თავგასულ ფეოდალს ლიპარიტ ბაღვაშს, ეძებდა ბიზანტიასთან ურთიერთობის მოწესრიგების გზას და უმკლავდებოდა წინააზიასა და ანატოლიაში შემოჭრილ ახალ მომთაბარეთა ტალღას – თურქ-სელჯუკებს, ლეონტი – რუისის ეპისკოპოსი, ადგენდა იბერიულ-კავკასიელთა გენეტიკური წარმომავლობის სქემას, ბიბლიის მოდელზე ალაგებდა ეთნარქებს.

ძირითადად ეს ის თვალსაზრისია, რომელსაც სცნობს იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება ანუ მაშინაც არსებული გადმოცემა თუ წერილობითი წყარო ამ ხალხების ნათესაობის შესახებ.

ეს იყო, ერთი მხრივ, წარსულის სურათების აღდგენა, მეორე მხრივ – იდეოლოგიური იარაღი კავკასიელ ხალხთა, არათუ ქართველურ ტომთა, ერთიანობის წარმოსადგენად.

ამიტომ ლეონტი მროველის ცალკეული გამონაგონიც მიმართულია მომავლისაკენ თუ როგორი სახელმწიფო უნდა შექმნილიყო კავკასიის ტერიტორიაზე.

მაგრამ იდეას სჭირდება აღმსრულებელი, რომელიც შეაკავშირებს ელიტასა და მასას.

სიტყვა უნდა ქცეულიყო მესიად, სისხლად და მახვილად.

### ლიდერი და სიტუაცია

როცა ქვეყანას მართავს არა კოლექტიური აზრი (მაგ., პარლამენტი და მთავრობა), არამედ – ერთი ხელისუფალი, რომელსაც ძალაუფლება გადაეცემა მემკვიდრეობით ისე, რომ არ შეიძლება ეჭვის შეტანა მის უნარსა და ღირსებაში – მაშინ დიდი მნიშვნელობა აქვს ხელისუფალის პიროვნულ მონაცემებს.

ძველ დროში, მოგეხსენებათ, მეფე ერთპიროვნული მმართველი იყო, რომლის ძალაუფლება, ქვეყნის სიძლიერიდან გამომდინარე, ან სრული იყო, ან შეკვეცილი.

იგი ღმერთებს უკავშირდებოდა და ამიტომ მოითხოვდა ქვეშევრდომთაგან ერთგულებასა და თავდადებას.

„ვინცა მოკვდეს მეფეთათვის სულნი მათნი ზეცას რბიან“, – ამბობს რუსთაველი.

ქართველ მეფეთა მხედრული შემართება, პატრიოტიკა და პატიოსნება, რწმენა და ჰუმანურობა არ კმაროდა ქვეყნის გასაერთიანებლად და მტერთა დასათრგუნად.

მათ ჰქონდათ ლიდერის თვისებანი. მაგრამ სიტუაცია, განსაკუთრებით – საგარეო ვითარება თუ ხელს არ შეუწყობდათ, წარმატებას ვერ მიაღწევდნენ. ამიტომ პიროვნული სიმამაცე უნდა შერწყმოდა სიბრძნეს, გონიერებას, რაც სათქმელად ადვილია, მაგრამ რეალურ სიტუაციაში ორიენტირება მოითხოვს მართვის განსაკუთრებულ უნარს.

ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი II იწოდებიან გაერთიანებული საქართველოს მეფეებად. მაგრამ ისინი მუდმივ შინაქაოსში იყვნენ გახვეული, უწევდათ სეპარატისტების შემორიგება, დათრგუნვა, მათთან შეთანხმება, ამავე დროს – ბიზანტიური ფაქტორის გათვალისწინება, რომელიც მხარს უჭერდა სეპარატისტებს.

ბიზანტიის პოლიტიკა ისეთივე იყო საქართველოს მიმართ, როგორც დღეს არის რუსეთისა.

ბიზანტია მხარს უჭერდა აფხაზთა სამეფოს, ტაოელ ბაგრატიონებს, სანამ ისინი ერთიანობისაკენ არ იყვნენ მიმართული, სანამ მათი მოქმედება ზიანს მოუტანდა მუსულმან არაბებს.

აქ ერთი უცნაური და საბედისწერო ფაქტიც მოხდა: დალატში ბრალდებულმა დავით III კურაპალატმა, რომელსაც რატომღაც „დიდს“ უწოდებენ, თავი რომ გადაერჩინა, მთელი თავისი სამფლო-

ბელო ბიზანტიას გადასცა. ოღონდ ეს უნდა მომხდარიყო მისი სიკვდილის შემდეგ.

იმპერატორმა ბასილი მეორემ ანდერძის განაღდება მოითხოვა, რასაც მოჰყვა ომი ბიზანტიასთან, ქართველთა მარცხი და ტაოს დაკარგვა.

ტაო-კლარჯეთში სამეფო მმართველობაც უცნაური იყო. ფაქტიურად მას ჰყავდა არა ერთი მბრძანებელი, არამედ – ბაგრატიონების მთელი ოჯახი, რომლის წევრები მეფეებად იწოდებოდნენ და ჰქონდათ თავიანთი საბრძანისი.

მათგან გამოირჩა დავით III, ბიზანტიისადმი დახმარების წყალობით, როცა მისი თანადგომით და ლაშქრით დაამარცხეს მეამბოხე ბარდა სკლიაროსი.

ათი წლის შემდეგ, როცა ამჯერად მეამბოხე ბარდა ფოკას გვერდით აღმოჩნდა, და მეამბოხე დამარცხდა, იმიერ-ტაოს მეფესაც საფრთხე დაემუქრა.

როგორც ვთქვით, ბიზანტიელთაგან მეფემ თითქოს თავი გადაიჩინა ქართველთა ღალატის ფასად. მაგრამ 1001 წელს მაინც მოაკვლევინეს.

მაგრამ აქ იყო ერთი დადებითი ფაქტორი – მას შვილი არ ჰყავდა და იშვილა ანუ მემკვიდრედ გამოაცხადა გურგენ მეფის ვაჟი ბაგრატი, რომელიც აფხაზთა მეფის გიორგი მეორის შვილიშვილი იყო.

მიუხედავად ბიზანტიის მძლავრობისა, ქართველთა სამეფოები ერთიანობას ესწრაფოდნენ. ჯერ ხაზართა, შემდეგ – ბიზანტიის მიერ ხელდასხმული აფხაზეთის სამეფო უკვე მთელს დასავლეთ საქართველოს აერთიანებდა და ქართლის ერისთავის იოანე მარუშიძის დახმარებით ეს კუთხეც შეიერთა.

აფხაზეთს მეფედ ჰყავდა უსინათლო თეოდოსი, ტაოს – უშვილო დავით III. მათ სამეფოებს კი აერთიანებდა ახალგაზრდა და ენერგიული ბაგრატი.

ამიტომ შინა სიტუაცია მომზადდა ქვეყნის ერთიანობისათვის. ამას დაერთო საგარეო ფაქტორიც – არაბები დასუსტდნენ და ტფილისის ამირა ფიქრობდა მხოლოდ თავისი მცირე საბრძანისის შენარჩუნებაზე.

განმდგარი იყო კახეთ-ჰერეთი, რომელთანაც გრძელდებოდა ბრძოლები. მაგრამ ქვემო ქართლში არსებობდა სომეხთა ტაშირ-ძორაკერტის სამეფო, რომლის მმართველები ხან ერთ კუთხეს ემხრობოდნენ, ხან – მეორეს.

ადამიანთა მოქმედებას ყოველ დროს ფანატიზმი განაგებს, რაც აიძულებთ სისხლი დასთხიონ, თავი არ დაზოგონ, ოღონდ მიზანს ეწიონ.

ეს ზოგჯერ გაცნობიერებულია, ზოგჯერ – არა.

ქართველთა რელიგიური ფანატიზმი გადაიზარდა პოლიტიკურ ფანატიზმში, რომლის მიზანი იყო ქვეყნის კუთხეთა გაერთიანება.

მთელი საუკუნე ქართველთა ერთიანობის იდეას გზას უკეტავდა ბაღვაშების სახლი. ლიპარიტის ღალატის გამო ტფილისის შემოერთების ყველა ცდა მარცხით დასრულდა – ბაგრატ IV-მ ქალაქი ვერ შეინარჩუნა. მაგრამ სხვა დიდაზნაურებიც ასევე საღალატოდ იყვნენ განმზადებული და სიტუაციის მიხედვით მოქმედებდნენ:

როცა სულა კალმახელმა შეიპყრო ლიპარიტი და მეფეს გადასცა, თავად გახდა ახალი „კლდეკარის“ შემქმნელი.

მოღალატეები კი არ ილევდნენ (მაგ., ხუთი ძმა აბაზასძე). არ შველოდა საქმეს არც მეფის მიერ თავისი ნათესავების ამოხოცვა.

დასავლეთში აქტიურობდა დემეტრე, ბაგრატის ნახევარძმა, რომლის შთამომავალია დავით სოსლანი, თამარის მეუღლე. მან ანაკოფია გადასცა ბიზანტიას. თავად ბაგრატ IV ძალაუფლების შესანარჩუნებლად კონსტანტინეპოლში ჩავიდა და იქ დაყოვნდა სამი წელი!

ამიტომ დასცდება დავით IV-ის მემკვიდრეს: „ორგულ არს ბუნება ქართველთა“.

ბაღვაშების სეპარატისტული ხაზი გააგრძელეს ჯაყელებმა, რომელთაც დაშალეს საქართველო, ქვეყანას მოსწყვიტეს სამცხე-საათაბაგო და იგი აქციეს ოსმალეთის საფაშოდ.

ჯერ კი XI საუკუნეა და ოსმალთა წინაპრები, რომლებიც წარმოვიდნენ შუააზიიდან, მხოლოდ ფეხს იკიდებენ ანატოლიაში, მაგრამ უკვე აოხრებენ საქართველოს (ალფ-არსლანი, მალიქ-შაჰი) – „შეიღება წყალი ახალქალაქისა სისხლითა“.

1071 წელს მანასკერტის ბრძოლაში სელჯუკებთან ბიზანტია დამარცხდა და იმპერატორი რომან დიოგენი ტყვედ ჩავარდა.

ბიზანტიამ თითქმის მთელი ანატოლია დაკარგა, არათუ საქართველოს პროვინციები.

თურქ-სელჯუკებმა ბაღდადიც აიღეს და ქართველები არა ქრისტიანული ბიზანტიის, არამედ – ბარბაროსული ძალების პირისპირ თითქმის მარტონი აღმოჩნდნენ.

თურქებმა ეკლესიები თავლებად აქციეს, მინდვრები – სამოვრებად, ეკლესიის მსახურები დახოცეს, ხალხი ამოწყვიტეს ან გააქციეს, მათი ადგილი თავად დაიკავეს, დიდებულებს მონობის ნიშნად ყურზე ცხენის ნალი დაკიდეს.

1083 წელს გიორგი მეორე ეახლა ისპაჰანში სულთან მალიქშაჰს, რომელსაც ცოლად ჰყავდა მისი მამიდაშვილი და ხარკის გადახდას დათანხმდა, რათა მშვიდობა მოეპოვებინა.

1089 წელს ტახტზე ადის 16 წლის დავით IV, რომლის სახელსაც დაუკავშირდა ქვეყნის გაერთიანება, სეპარატისტთა დათრგუნვა, თურქთა დამარცხება და იბერიულ-კავკასიური სახელმწიფოს შექმნა.

დავითმა, რომელსაც მხოლოდ XV საუკუნიდან ეწოდა აღმაშენებელი, გაატარა შიდარეფორმები, განამტკიცა მხედრობა, ეკლესია და ქართული მწიგნობრობა, კარგად გამოიყენა ახალი საერთაშორისო სიტუაცია.

ბიზანტიას ძალა არ ჰქონდა თურქ-სელჯუკებთან ბრძოლისა. კონსტანტინეპოლი თანდათან ფერს ჰკარგავდა ქართველთა თვალშიც.

ცხადია, იგი ისევ მიიჩნეოდა საქრისტიანოს ბურჯად, მაგრამ ძლიერდებოდა რომის პაპი, რომელმაც ევროპას მოუწოდა, რომ ურჯულოთაგან გამოეხსნათ ქრისტეს საფლავი.

დაიწყო 200-წლოვანი ჯვაროსნული ლაშქრობანი, დაიწყო თავდაპირველად წარმატებითა და იერუსალიმის გამოხსნით. ეს იყო დიდი სტიმული ყოველი ქრისტიანისათვის.

წმინდა მიწაზე ჩამოდიოდა ჯვაროსანთა ახალ-ახალი ნაკადები და თურქები დიდი მსხვერპლის ფასად აკავებდნენ მათ.

ცხადია, ქართველებისათვის არ ეცალათ.

ძლიერ ქვეყანას ახალი იდეალები გამოუჩნდა, რაც მოჰყვა მუსულმანური სამყაროს უკეთ გაცნობას, მისი კულტურის ათვისებას. დრო ანელებდა ქრისტიანული სქოლასტიკის ძალმოსილებას.

მთავრდებოდა ბიზანტიზმი ქართულ კულტურაში.

ქრისტიანულ-ეთნიკური მითოსი და კრიტიციზმი გააწონასწორა ხელისუფლებამ, მეფის მახვილმა.

დამარცხებული ბიზანტიის ადგილი უნდა დაეკავებინა კავკასიას. ეს იდეა უფრო განამტკიცა 1121 წელს დიდგორთან დიდი მუსულმანური კოალიციის განადგურებამ და 400 წლის წინათ დაკარგული ტფილისის დაბრუნებამ.

თურქთა წინააღმდეგ მეომარი მეფე ღრმად ქრისტიანულ გრძნობებს ატარებდა. მისი მამიდა ბიზანტიის დედოფალი იყო, ქალიშვილიც იქ ჰყავდა გათხოვილი. თავადაც წერდა ჰიმნებს („გალობანი სინანულისანი“). იწოდებოდა „მესიის მახვილად“.

სამოციქულო 24-ჯერ წაუკითხავს, მაგრამ მაინც შენიშნავდა, მე მხედარი ვარ, შორს ვარ სწავლულებისა და მეცნიერებისგანო.

ამავე დროს ტოლერანტულად იყო განწყობილი წარმართი ყივჩაღებისა და მუსულმანებისადმი, რომელთაც მთელი სიცოცხლე ეომებოდა.

ალბათ ამიტომაც გააყოლა თავისი ასული თამარი შარვანის მმართველს, ჩამოიყვანა თურქ-სელჯუკთა ნათესავი ყივჩაღები.



მეორე ცოლად შეირთო სწორედ ყივჩაღი, წარმართი, რასაც კრძალავდა რუს-ურბნისის ძეგლისწერის XIII კანონი:

დავითისათვის მთავარი იყო სახელმწიფო და ქართული ცნობიერება.

ამიტომ ჩამოდიან ბიზანტიიდან ელინოფილები – იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი. ხოლო სახელმწიფოს მეორე პირი ხდება მწიგნობართუხუცესი – ჭყონდიდელი, მეფის გამზრდელი გიორგი. შენდება გელათის მონასტერი და აკადემია, ძლიერდება იყალთოს აკადემია და მუდმივად ომის ქარ-ცეცხლში გახვეული, თავის მიერ მოყვანილ ყივჩაღთა მიერაც არაერთგზის სასიკვდილოდ განწირული დავითი იღვწის ქართული სულიერების განსამტკიცებლად.

## რუს-ურბნისის კრება

ეკლესია ყოველთვის ქადაგებდა ზნეობრივ სიწმინდეს და ებრძოდა მანკიერებას, რათა ადამიანი ყოფილიყო ფიზიკურად და სულიერად სრულყოფილი, მართლაც ღვთის ხატი.

ასეთ ჰარმონიას აღწევდნენ ცალკეული პიროვნებანი.

ბერ-მონაზონთა მასაში კი უამრავი ნაკლი იჩენდა თავს, რაც მაღალ ფენებშიც იკვალავდა გზას.

ასეთი დეგრადაცია შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

ფეოდალური არისტოკრატია თავისი წრიდან გამოსული პირებით ავსებდა მონასტრებსა და სასულიერო იერარქიას, რომელთაც არ ჰქონდათ ძველებური ასკეტური იდეალები. მათ ეწადათ მდიდრული ცხოვრება, ქონების შენარჩუნება და სოფლის სიამეთა განცდაც.

ასეთი ეკლესია აღარც პატრიოტული იდეალებისათვის იბრძობდა და აღარც ძლიერი ხელისუფლების მხარდამჭერი იქნებოდა.

ფეოდალურ სეპარატიზმს დაერთო საეკლესიო სეპარატიზმი, რაც ღვთისმსახურებითა და უფლის ნებით ინიღბებოდა, ბიზანტიური ბრწყინვალეობით იმოსებოდა.

ჯერ კიდევ გიორგი ათონელი ცდილობდა ეკლესიის რეფორმირებას, გვაროვანთა სანაცვლოდ ღირსეულთა წამოწევას. დრო იყო განსაცდელებითა და ფათერაკებით სავსე – „მღელთაგან გამოვიდოდა ყოველი უსჯულოება და ცოდვა“ („ქართლის ცხოვრება“).

ბაგრატ IV-ს მშვიდობიანი ცხოვრება არ ეღირსა. იგი დღემუდამ ხმალს იქნევდა გარეშე და შინაურ მტერთა წინააღმდეგ.

მხოლოდ დავით IV-მ შეძლო ეკლესიის მამების, ერთი მხრივ – თავგასულობის აღკვეთა და ალაგმვა, მეორე მხრივ – ბიწიერებისაგან განწმენდა.

1104 წელს დავით მეფემ მოიწვია რუის-ურბნისის კრება, განკვეთა უღირსნი – „ქუაბა ავაზაკნი“ და მიიღო შესაბამისი ძეგლისწერა.

დავითის მომხრენი იყვნენ გიორგი ჭყონდიდელი, კათალიკოსი იოვანე საფარელი, არსენ იყალთოელი. დავითის შემდეგ ისევ მოიშალა წესრიგი და თამარ მეფე იძულებული გახდა ახალი კრება მოეწვია.

მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობების გაერთიანებით მეფემ კონტროლქვეშ მოაქცია ეკლესია, რომელსაც იდეალად ვეღარ ექნებოდა კონსტანტინეპოლი, სეპარატისტების წამქეზებელი და დამფინანსებელი.

ოფიციალური ეტიკეტის მიხედვით მეფის მარჯვნივ ჯდებოდა კათალიკოსი, მარცხნივ – ჭყონდიდელი, ორივე ნატითა (მოქნილბალნიანი ტყავი) და ბალიშით.

მეფე აღარც ფეოდალურ არისტოკრატias ენდობოდა და ამიტომ გადმოასახლა 40.000 ყივჩაღის ოჯახი.

თითო ოჯახს თითო მეომრის გამოყვანა ევალებოდა.

სახელმწიფო ინსტიტუტის განმტკიცება, სამხედრო რეფორმები, ქვეყნის ეკონომიკურ-კულტურული გაძლიერება, ტერიტორიის გავრცობა, ასევე ამორებდა ქართულ კულტურას ბიზანტიისაგან, რომელსაც ჯვაროსნებმა ლიდერის ფუნქცია წაართვეს და შემდეგ სულაც დაიპყრეს.

დავით მეფემ უარყო სევასტოსის ტიტულიც, რათა ფორმალური ვასალობიდან გამოსულიყო.

ქრისტეს სიყვარულიც აძლევდა მეფეს ძალას, რომ უღმობელი და სასტიკი ყოფილიყო მუსულმანთა მიმართ (მაგ., ანისის ადების დროს გაჟლიტა 20.000 მეომარი. ასევე მოექცა ტფილისის მოსახლეობას, დიდგორში კოალიციის მეომრებს).

დავითის ძლევამოსილ ლაშქრობებს წინ ქრისტეს ჯვარი უძღოდა და ამიტომ ყველგან გრძელდებოდა ეკლესია – მონასტრების მშენებლობა.

მათგან უმთავრესი იყო გელათი – სახელმწიფოსა და კულტურის ახალი სიმბოლო.

## გელათი – ტაძარი და აკადემია

გელათი (მეგრ. გენათი – განათდი) შენდებოდა „მეორე იერუსალიმად“ და „სხუად ათინად“.

იგი უნდა ყოფილიყო ბაგრატიონ მეფეთა საძვალე (დავით IV – „სამარხავი ჩემი და საძვალე შვილთა ჩემთა უსრულად“).

აქ არიან დაკრძალული დავით IV, დემეტრე I, გიორგი III, თამარი, ლაშა-გიორგი, რუსუდანი. აქ დაიმარხა დავით IX-ც (1360 წ.).

ბაგრატ IV დაუსაფლავებიათ მარტვილის მონასტერში, ბაგრატ III – ბედიაში, გიორგი I – ქუთაისში ანუ ბაგრატიონები, ერთიანი საქართველოს მეფენი, უპირატესობას ანიჭებდნენ დასავლეთ საქართველოს.

ეს ტრადიცია წამოვიდა ბაგრატ III-დან, რომელმაც ქუთაისი აქცია მთავარ ქალაქად, არა ბანა, არტანუჯი ან მცხეთა.

ტაოელი ბაგრატიონები იქვე იკრძალებოდნენ (მაგ., დავით III კურაპალატი – ბანაში, აშოტი – არტანუჯში, მისი ძე გუარამი – ოპიზაში).

ბაგრატ III გურგენისძე კლარჯელი იყო, მაგრამ დედის მიხედვით დაამკვიდრა დასავლური, აფხაზური პრიმატი. მაგ., XIII საუკუნემდე მეფეს გვირგვინს ადგამდა ქუთათელი მთავარეპისკოპოსი.

ასეთი ტენდენცია გააგრძელა დავით აღმაშენებელმაც, მაგ., ჭყონდიდელის ფუნქციის გავრცობა და გელათის აშენება.

დავითს გელათის მშენებლობა 1106 წელს დაუწყია, მაგრამ დასრულება ვერ მოუხწრია, ე. ი. მშენებლობა გაგრძელდა მთელი ოცი წელი.

გელათის ღვთისმშობლის ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა. გუმბათს აქვს 16 სარკმელი. გუმბათი დგას ორ დიდ ბურჯსა და საკურთხეველის კედლის ორ შვერილზე (შ. ამირანაშვილი).

კარი აქვს სამი მხრიდან. საკურთხევლის მოზაიკაზე გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით და ორი მთავარი ანგელოსით.

გელათს ბიჭვინთის ტაძარს ადარებენ. მას აქვს ისეთივე კონსტრუქცია, როგორც იყო მიღებული ქართულ არქიტექტურაში.

გელათი, გარდა იმისა, რომ იყო საძვალე, ეკლესია და მონასტერი, იწოდებოდა აკადემიად ანუ სწავლა-განათლების ცენტრად.

ცალკე აუგიათ აკადემიის ერთსართულიანი შენობა.

მეფემ აქ მოიწვია ცნობილი ელინოფილი მოღვაწეები. სასწავლებლის ხელმძღვანელს (რექტორს) ერქვა „მოდვართმოდვარი“, რაც დიდად საპატიო თანამდებობა ყოფილა.

აქაც მიღებული უნდა ყოფილიყო ბიზანტიური სწავლების სისტემა, 7 სავალდებულო საგანი – გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია (ტრივიუმი და კვადრიუმი).

ბრუნდება შერისხული ანტიკური ღმერთებისა და მოაზროვნეთა სახელები.

ვარაუდობენ, რომ ისწავლებოდა მედიცინაც, რადგან მონასტერს ჰქონდა ქსენონი (საავადმყოფო).

აკადემიის მიზანი იყო უცხოეთში გაფანტულ სწავლულთა შემოკრება, იქაური გამოცდილების გადმოტანა და ამ ცოდნით აღზრდა ქართველთა ახალი თაობისა.

გამარჯვებულ ქვეყანას კულტურის კერები თავის სახელმწიფოში უნდა ჰქონოდა და არა მუსულმანურ სამყაროსა და დასუსტებულ ბიზანტიაში.

აკადემიის მოძღვართმოდღვარი იყო იოანე პეტრიწი, რაც გელათს აქცევდა ფილოსოფიური აზროვნების ცენტრადაც. ეს კი ნიშნავდა ანტიკური და არაბული ტრადიციების გააზრებას.

### იყალთოს აკადემია

ასევე არსებულა იყალთოს აკადემია, სადაც მთავარი ფიგურა იყო ეფრემ მცირის მოწაფე არსენ იყალთოელი.

იყალთოს მონასტერი დაუარსებია ზენონს, ერთ-ერთ ასურელ მამას. აქ მთავარი, ფერისცვალების ეკლესია აუგიათ VIII-IX ს.ს.-ში.

იგი განსაკუთრებით გაძლიერებულა XII საუკუნეში, როცა გელათიდან აქ გადმოვიდა არსენ იყალთოელი.

გელათის აკადემიის მიხედვით აუგიათ სასწავლო შენობა, რომელიც ორსართულიანი ყოფილა.

ისწავლებოდა იგივე საგნები და გრძელდებოდა როგორც მთარგმნელობითი, ისე ფილოსოფიურ-თეოლოგიური მუშაობა.

აკადემიის პირველი რექტორი იყო არსენ იყალთოელი.

იგი კონსტანტინეპოლიდან საქართველოში ჩამოსულა თეოფილე ხუცესმონაზონთან და იოანე ტარიჭისძესთან ერთად.

როგორც ვთქვით, მან თარგმნა „დოგმატიკონი“ და „დიდი სჯულისკანონი“. ყოფილა დიდად განათლებული და მოაზროვნე პიროვნება, შ. ნუცუბიძის აზრით, სქოლასტი და დოგმატიკოსი.

საბოლოოდ გადავიდა შიომღვიმეში და იქ აღესრულა.

ორი აკადემიის არსებობა ქართული ელიტის კულტურულ ინტერესებზე მეტყველებს. მაგრამ ეს იმასაც ნიშნავს, რომ მართლაც უნდა

არსებულიყო ორი განსხვავებული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხედვა, სულერთია, მათ დავარქმევთ პროგრესულს თუ რეაქციულ-დოგმატიკურს.

არსენ იყალთოელს ბევრი მონასტერი გამოუცვლია, ალბათ იმიტომ, რომ ყოფილა პრინციპული და შეურიგებელი.

მაგრამ ყოველთვის მხარს უჭერდა დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივ და საეკლესიო პოლიტიკას.

ამიტომაც დაუწერია მისი ეპიტაფია.

### მითის რეალიზება

დავითმა დაიკავა მუსულმანური რანი და შარვანი, მუსულმანთაგან გაათავისუფლა მონოფიზიტური სომხეთის ნაწილი და ანისი, გორში ჩაასახლა სომეხი ვაჭრები.

ტფილისიც მუსულმანური ქალაქი იყო, რომლის აღებას საკმაო მსხვერპლი ახლდა. მაგრამ შემდეგ არცერთი მეჩეთი არ დაუნგრევიათ და ზოგი ცნობით თურმე მეფეც კი დადიოდა მუსულმანთა სალოცავში.

რელიგიურ-ეთნიკური ტოლერანტობა აუცილებელი იყო, აუცილებელი იყო სხვა ერის შვილთა და მათი რწმენის შემწყნარებლობა.

როგორც ვთქვით, დავითის მეორე მეუღლე ყივჩაღი იყო, ერთი სიძე მუსულმანი, მეორე – ბიზანტიელი. მუდმივი ჯარი კი წარმართი ყივჩაღებისაგან შედგებოდა.

მაგრამ ასეთ ტოლერანტიზმს თან სდევს საკუთარი რწმენის შესუსტება, ფანატიკოსთა რიცხვის შემცირება.

ქრისტიანობა უკვე ყოვლისმომცველი ვერ იქნებოდა. მას უნდა დაეთმო პოზიცია და თავადაც შესძლებოდა მტრული რელიგიის გვერდით თანაარსებობა ანუ მცირდებოდა ზეგავლენის არეალი.

დავითმა დაიწყო იმ ქრისტიანულ-ეთნიკური მითის რეალიზება, რომელიც ქართველთა ბუნების წამოწევა და ბიზანტიასთან გათანაბრებაზე ფიქრი იყო.

ეს იმ ოცნების რეალიზებაც იყო, რომლის მიხედვით თხზავდა ეთნარქების ლეგენდას ლეონტი მროველი და მთელ კავკასიას ისტორიულ-გენეტიკურად ერთიან და ნათესავ ხალხებად მიიჩნევდა.

ამიტომ ადარებდა სუმბატ დავითის ძე დავით IV-ს ალექსანდრე მაკედონელს და ქართველ გმირებს ბერძნებზე აღმატებულად მიიჩნევდა.

ასე რომ – სიტუაციამ ისევ წამოსწია ბიზანტიელებთან მეტოქეობის იდეა და ააღორძინა კრიტიციზმით ფრთაშეკვეცილი ქრისტიანულ-ეთნიკური მითოსი, რომლის რეალიზებაც ყველა ხედავდა.

დავითმა დაუტოვა შთამომავლებს ქვეყანა „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოსეთიდან არეგაწამდე“. ხოლო ჩრდილო კავკასიელები ყმადნაფიცობის პირობით შემოიმტკიცა (რ. მეტრეველი).

ახლა სახელმწიფოს უნდა დაეძლია კავკასიაში საუკუნეების მანძილზე წარმოქმნილი როგორც ეთნიკური, ისე რელიგიური გათიშულობა, ისევ შეეკრიბა თარგამოსიანთა შთამომავალნი მახვილითა და ტოლერანტობით.

ასეთი ტენდენცია და პათოსი წარმოშობდა კულტურას, რომელიც აღარ იქნებოდა ქრისტიანული დოგმებით განსაზღვრული, უფრო სწორად – ქრისტიანულ-რელიგიური ხედვის პარალელურად აღმოცენდა მიწიერი და ცხოვრებისეული ანუ რენესანსული მოტივები და იდეალები, რაც ნიშნავდა ბიზანტიური პერიოდის დასრულებას, ახალ პერსპექტივას.

2016 წელი,  
იანვარი – აგვისტო  
თბილისი – მუხათწყარო

## მეორე წიგნში გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. დამბაშიძე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1991.
2. ზ. აბაშიძე, ვ. ვაშაკიძე, ნ. მირიანაშვილი, გ. ჭიეშვილი, ყოველი საქართველო (ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2014.
3. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.
4. ი. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა X-XI ს.ს. თბ., 1944.
5. ადიშის ოთხთავი, თბ., 2003.
6. ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, თბ., 1968.
7. გ. ალიბეგაშვილი, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და პატრისტიკული ეგზეგეტიკა, თბ., 2001.
8. ალ-ჰასან იბნ ტალალი, ქრისტიანობა არაბულ სამყაროში, თბ., 2009.
9. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971.
10. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966.
11. ბ. არველაძე, ქართული ეკლესიები საქართველოსა და სომხეთში, თბ., 2016.
12. ვ. ასათიანი. ბიზანტიური ცივილიზაცია. თბ., 2015.
13. ატენის სიონის მოხატულობა, თბ., 1968.
14. ჯ. აფციაური, გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“, თბ., 1980.
15. რ. ბარამიძე, ქართული პროზის საკითხები, თბ., 1996.
16. რ. ბარამიძე, ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, თბ., 1966.
17. რ. ბარამიძე, ლიტერატურული შტუდიები, თბ., 2008.
18. თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957.
19. ლ. ბაშალეიშვილი, მონასტრული ცხოვრების პრინციპები



- ქართულ ჰაგიოგრაფიაში, თბ., 2001.
20. ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974.
  21. თ. ბერიძე, ქართული აგიოგრაფიის პერსონაჟთა ბიბლიური პირველსახეები. ავტორეფერატი, თბ., 2001.
  22. ბერძნულ-ქართული დოკუმენტური ლექსიკონი, I, 2002.
  23. ბიბლია, თბ., 2013.
  24. თ. ბოლქვაძე, იდეოლოგიზებული ღირებულებები, თბ., 2005.
  25. ზ. გამსახურდია, წერილები, ესსეები, თბ., 1991.
  26. ზ. გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისსია, თბ., 1990.
  27. თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველქართული დამწერლობა, თბ., 1989.
  28. აკ. გაწერელია, რჩეული ნაწერები, I-III<sup>2</sup>, 1977–1981.
  29. გელათი. არქიტექტურა, მოზაიკა, ფრესკები, თბ., 1982.
  30. ვ. გვახარია, მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, I-III, თბ., 1978.
  31. ვ. გვახარია, ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება, თბ., 1962.
  32. კ. გრიგოლია, რას მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება, თბ., 1971.
  33. დ. გოგოჭური, ქართული ლექსის სათავეებთან, „ცისკარი“, 1987, №1.
  34. კ. დანელია, პავლეს ეპისტოლეთა ქართული რედაქციები, თბ., 1976.
  35. კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის საკითხები, თბ., 1982.
  36. ბ. დარჩია, ბაგრატ ბატონიშვილი, თბ., 2011.
  37. დიდი ქართველი მეცნიერი აკად. კორნელი კეკელიძე, თბ., 1965.
  38. კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 2001.
  39. გ. ელიავა, ჭყონდიდი – მარტვილი, თბ., 1969.
  40. ე. ვარდომვილი, მ. ქურდიანი, წმინდა ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა ნინოს სახისმეტყველების პარადიგმატული და სინტაგმატური ასპექტები, თბ., 2009.
  41. ნ. ვასილიადისი, სიკვდილის საიდუმლოება, თბ., 2003.
  42. რ. თოფჩიშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა, თბ., 2007.

43. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995.
44. მ. თარხნიშვილი, წერილები, თბ., 1994.
45. აკ. თოფურია, ქართული მეთოდოლოგიური აზროვნების ისტორია, I, თბ., 1969.
46. გ. იმედაშვილი, ქართული კლასიკური საგალობლის პოეტიკის საკითხები, „ლიტერატურული ძიებანი“, XI, 1961.
47. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
48. პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, III-V, თბ., 1965-2012.
49. იოანე მოსხი, ლიმონარი, თბ., 1960.
50. ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1986.
51. ნ. კანდელაკი, ქართული მჭევრმეტყველება, თბ., 1968.
52. მ. კარბელაშვილი, ბაგრატიონთა დინასტია და ქართული პოლიტიკური თეოლოგია, „ლიტ. ძიებანი“, XX, 1999.
53. დ. კაციტაძე, ირანის ისტორია. III-XVII ს.ს. თბ., 2009.
54. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980.
55. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I-XIV., 1945-1986.
56. ნ. კეჭაღმაძე, იოანე იტალოსის შემოქმედება, თბ., 1970.
57. ბ. კილანავა, რჩეული შრომები, III, თბ., 2009.
58. მ. კობიაშვილი, მიმოსვლა ანდრია მოციქულისა, თბ., 2008.
59. პ. ლებედვეი, მსოფლიო საეკლესიო კრებების ისტორია, თბ., 2012.
60. ი. ლოლაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, თბ., 1982.
61. ი. ლოლაშვილი არეოპაგეტიკის პრობლემები, თბ., 1972.
62. მ. ლორთქიფანიძე, მეფე ბაგრატ მესამე, თბ., 2002.
63. ლოცვანი, თბ., 2001
64. გ. ლორთქიფანიძე, ნ. ჩიქოვანი, ქართული კულტურის ისტორია, თბ., 1997.
65. მამათა სწავლანი, თბ., 1955.

66. ე. მამისთვალიშვილი, იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, თბ., 2016.
67. კ. მაჩაბელი, ქართული ისტორიული კოსტიუმი, თბ., 2013.
68. ე. მაჭავარიანი, ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, თბ., 1982.
69. ს. მახარაშვილი, თეოფილე ხუცესმონაზონი, თბ., 2002.
70. მ. მახარაძე, არეოპაგტიკის ფილოსოფიური პრობლემები, თბ., 1986.
71. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, თბ., 1962, II, თბ., 1980.
72. ლ. მენაბდე, ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, თბ., 2005.
73. დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975.
74. ლ. მელიქიშვილი, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941.
75. დ. მერკვილაძე, ასურელი მამები, თბ., 2006.
76. რ. მეტრეველი, ბაგრატიონები, თბ., 1993.
77. რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990.
78. ს. მეტრეველი, ქართული აგიოგრაფიის იკონოგრაფიული სახის-მეტყველება, თბ., 2008.
79. ა. მინდიაშვილი, საუფლო დღესასწაულები, თბ., 1998.
80. ტ. მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.
81. ტ. მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1995.
82. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, თბ., 1984.
83. დ. მუსხელიშვილი, მ. სამსონაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 2012.
84. მცხეთური ხელნაწერი. I-V, თბ., 1981–1986.
85. ე. ნადირაძე, მემორიალურ ძეგლთა სიმბოლიკა, თბ., 1998.
86. ე. ნადირაძე, თ. ნადირაძე, უდაბნო საღვთო შემოკრებულთა, თბ., 2001.

87. ნ. ნაკუდაშვილი, ჰიმნოგრაფიული ტექსტის სტრუქტურა, თბ., 1996.
88. შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, თბ., 1956, II, თბ., 1959.
89. ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.
90. პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, თბ., 1974.
91. რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980.
92. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბ., 1961.
93. პირველდაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე, XIV გამოცემა, ქუთ. 1915.
94. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, III, თბ., 1973-1979.
95. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1990, 1991.
96. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
97. ს. სიგუა, „ევსტათი მცხეთელის მარტილობის“ ავტორობის საკითხისათვის, „ცისკარი“, 1973, №11.
98. ს. სიგუა, მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა, თბ., 2007.
99. ს. სიგუა კულტუროლოგიის საფუძვლები, I-III, თბ., 2010-2013.
100. აპ. სილაგაძე, ძველი ქართული ლექსი და ქართული პოეზიის უძველესი საფეხურის პრობლემა, თბ., 1997.
101. რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, თბ., 1978.
102. რ. სირაძე, ქართული კულტურის საფუძვლები, თბ., 2000.
103. რ. სირაძე, სახისმეტყველება, თბ., 1982.
104. რ. სირაძე ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975.
105. ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართველი ჰიმნოგრაფები, თბ., 2003.
106. ა. სურგულაძე, ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1989.
107. უძველესი იადგარი, თბ., 1980.

108. გრ. ფარულავა, ასკეზი – მხედრობა, „ცისკარი“, 1996, №№3-4, 5, 6, 7-8, 9-10.
109. გრ. ფარულავა. მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში, თბ., 1982.
110. ქართლის ცხოვრება, I, II, IV, თბ., 1955-1973.
111. ქართლის ცხოვრება, თბ., 1996.
112. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I-XI, თბ., 1975-1989.
113. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I, ნაწ. I, თბ., 1970, ნაწ. II, თბ., 1972.
114. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I-IV, თბ., 1964-1968.
115. ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი, ტ. I, ნაწ. I, თბ., 1987.
116. ქართული ლიტერატურის მცოდნეობითი მცირე ანთოლოგია, I, თბ., 1997.
117. ქართული პოეზია, I, ძველი ქართული პოეზია. V-XII ს. ს., თბ., 1979.
118. ქართული ჭედური და ფერწერული ხატები, თბ., 1980.
119. ქართული პროზა, I, მეხუთე-მეთერთმეტე საუკუნეების მწერლობა, თბ., 1982.
120. ქართველები, თბ., 2016.
121. ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1963.
122. აკ. შანიძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თხზ. 12 ტომად, ტ. II, 1981.
123. აკ. შანიძე ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თხზ. ტ. IX, თბ., 1986.
124. მზ. შანიძე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები. თბ., 1979.
125. შატბერდის კრებული, თბ., 1979.
126. ალ. შამეანი, მართლმადიდებლობის ისტორიული გზა, თბ., 2014.
127. ვ. ჩაჩანიძე, პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, თბ., 1974.

128. გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბ., 1936.
129. თ. ჩხეიძე, ნარკვევები ირანული ომონასტიკონიდან, 1984.
130. რ. ჩხეიძე, ბედი პავლე ინგოროყვასი, თბ., 1994.
131. თ. ჩხენკელი, მშვენიერი მძლევარი, თბ. 1989.
132. ირ. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ., 1955.
133. ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი, თბ., 1971.
134. გ. წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის. თსუ სამეცნიერო სესია. მოხსენებათა კრებული, 1947.
135. წიგნი ძუელისა აღთქმისანი, I, თბ., 1989.
136. წმინდა გიორგი ძველქართულ მწერლობაში, თბ., 1991.
137. ე. ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, I, 1996.
138. ზ. ჭუმბურიძე, ძველი ქართული ხელნაწერების თავგადასავალი, თბ., 1975.
139. ლ. ხაჩიძე, იოანე მინჩხის პოეზია, თბ., 1987.
140. ხახულის კარედი, თბ., 1988.
141. ე. ხინთიბიძე, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1982.
142. ლ. ხუსკივაძე, შუა საუკუნეების ტიხრული მინანქარი, თბ., 1984.
143. თ. ჯაგოდნიშვილი, ხანძთა – ძველი, ახალი, თბ., 2015.
144. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, I-XII, თბ., 1977–1998.
145. ი. ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2002.
146. ე. ჯაველიძე, ფუთუვეთი - სულიერ-რაინდული ძმობა, თბ., 2010.
147. ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, I, თბ., 1996, II თბ., 2012.
148. М. Абемян, История древнеармянской литературы, 1948.
149. С. Аверинцев, Традиция греческой «диалектики» и возникновение рифмы, წიგნი: «Контекст - 1976», М., 1977.
150. С. Аверинцев, Поэтика ранневизантийской литературы, М., 1977.
151. Античность и Византия, М., 1975.

152. Ш. Амиранашвили, История грузинский монументальной живописи, 1, Тб. 1948.
153. Библейская энциклопедия, М., 1990.
154. В. Бычков, Византийская эстетика, М., 1977.
155. Византийская литература, М., 1974.
156. А. Гарнак, Монашество, его идеалы и его история, СПб, 1908.
157. Гегель, философия религии, I-II, М., 1976-1977.
158. Р. Голцева, Зап. культурфилософия, 1991.
159. О. Дробницкий, Понятие морали, М., 1974.
160. Коран, М., 1991.
161. Р. Максуд, Ислам, М., 1999.
162. И. Панцхава, Петрици, М., 1982.
163. М. Поснов, История христианской церкви, Киев, 1991.
164. Г. Севак, Месроп Маштоц, Ер. 1962.
165. В. Тэрнер, Символ и ритуал, 1983.
166. А. Уваров, Христианская символика, М., 1908.
167. Г. Церетели, Армазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита, „Епиграфика Востока“, II, III, 1948-1949.
168. Г. Чубинашвили, Грузинское чаканное искусство, I-II, Тб., 1959.
169. Р. Якобсон, Язык и бессознательное, М., 1996.

# შ ი ნ ა ა რ ს ი

<b>I. მონოთეისტური კულტურა: ბიზანტინიზმი</b> .....	7
1. უცხოური სტიმულები .....	7
ოთხი საწყისი .....	9
წამება და კონცეფცია .....	13
ორგანიზაციულ-იერარქიული წესრიგი .....	16
სამწერლობო დარგები .....	17
ღვთისმსახურება და ეკლესია .....	19
2. რწმენა და ერესი .....	23
ანტიკურობის დამხობა .....	23
დოგმატების ფორმირება .....	27
<b>II. ატრომანი და ქრისტეს ჯვარი: ქრისტიანობის დამკვიდრება იბერიასა და ლაზიკაში (IV-VI ს. ს.)</b> .....	33
1. პოლიტიკურ-კულტურული სიტუაცია .....	33
2. პოლიტიკა და აღმსარებლობა .....	36
რელიგიური რყევა .....	36
ჰენოტიკონი .....	39
კათალიკოსობის დაწესება და ავტოკეფალია .....	40
მაზდეანური ცეცხლი .....	43
წარმართების სისასტიკე – ველურობის გახსენება .....	49
ონომასტიკა, როგორც პაროლი .....	52
3. ცხოვრების ახალი წესი .....	54
4. ასურელი მამები და ქვაბ-მონასტრები .....	65
5. იბერია-ლაზიკის პოლიტიკური კრაზი (VI ს.) .....	71
6. სპარსული ლექსიკა ქართულში .....	72
<b>III. ქრისტიანობა და დამწერლობა: უფლის ნების ფიქსირება</b> .....	77
1. ქართული მწერლობის დასაწყისი .....	78
მოთხოვნილება და სიტუაცია .....	78
ბერძნული ანბანი – ასომთავრულის პროტოტიპი .....	80
ანბანი და კომისია .....	84
საგდუხტ დედოფალი და სახარება .....	86
პირველი ავტორები და თარგმანები .....	89
ენა და დამწერლობა .....	90



მეტყველების საღვთო პათეტიკა . . . . .	92
<b>2. ქართველები ბიზანტიურ კულტურაში . . . . .</b>	<b>94</b>
კაბადოკიელი მამები . . . . .	96
პეტრე იბერი – ფსევდო – დიონისე . . . . .	98
„ლიმონარი“ და „ბალავარიანი“ . . . . .	102
<b>3. ეთნიკურ-კულტურული თვითდადგენის პროცესი . . . . .</b>	<b>105</b>
ქართული ღვთისმსახურება . . . . .	106
ქართული და სომხური ეკლესიების განყოფა . . . . .	109
კირიონ კათალიკოსი – კიროს ალექსანდრიელი . . . . .	112
<b>IV. მტრისა და მხსნელის ხატებიდან: ეროვნული იდეოლოგია . . . . .</b>	<b>116</b>
<b>1. ჯვარი და ნახევარმთვარე . . . . .</b>	<b>116</b>
მეოთხე აგრესორი . . . . .	116
მაჰმადი და ისლამი . . . . .	117
არაბები კავკასიაში . . . . .	122
არაბული ლექსიკა ქართულში . . . . .	126
არაბობა და მეოთხე მიგრაცია (VIII ს.) . . . . .	127
<b>2. ქრისტიანულ-ეთნიკური მითოსი . . . . .</b>	<b>132</b>
კირიონ კათალიკოსის შემდეგ . . . . .	134
იძულებითი სტაბილობა . . . . .	135
ანტიმუსულმანური პათოსი . . . . .	137
ბაგრატოვანთა ღვთაებრივი დინასტია . . . . .	140
კაბადოკიელი წმ. გიორგი . . . . .	146
კაბადოკიელი წმ. ნინო . . . . .	150
ღვთისმშობლის კულტი . . . . .	152
მესიანისტური ოცნება და „ქება“ . . . . .	153
ანტისომხური ტენდენცია . . . . .	154
კავკასიის ერთიანობის იდეა . . . . .	156
<b>V. კულტურის ცენტრები: მონასტერი და მწიგნობრობა . . . . .</b>	<b>158</b>
<b>1. ასკეტიზმის ტრიუმფი . . . . .</b>	<b>159</b>
ცოდნა და აღზრდა . . . . .	160
წიგნი და ხელნაწერი . . . . .	165
სამონასტრო კომუნა . . . . .	167
სამონასტრო ადგილები . . . . .	173
კულტურშემოქმედი – ასკეტის ტიპი . . . . .	176
საიქიო ცხოვრების მითი . . . . .	187

სახელების მოზაიკა და გვარი . . . . .	191
<b>2. წმინდა მიწის მადლი . . . . .</b>	<b>194</b>
საბაწმინდა . . . . .	195
პალავრა . . . . .	198
სინას მთა . . . . .	199
ჯვარის მონასტერი . . . . .	201
შავი მთა და ეფრემ მცირე . . . . .	205
<b>3. აია სოფიას ნათელი . . . . .</b>	<b>208</b>
ათონის სავანე . . . . .	209
ულუმბო და ჰრომანა . . . . .	217
მანგანის აკადემია და პეტრიწონი . . . . .	219
<b>4. გრიგოლ ხანძთელის კლარჯეთი . . . . .</b>	<b>226</b>
<b>5. თარგმანი, როგორც ორიგინალი . . . . .</b>	<b>232</b>
<b>6. მითოსიდან კრიტიციზმისაკენ . . . . .</b>	<b>232</b>
რწმენა და ფანატიზმი . . . . .	237
ელინოფილური კრიტიციზმი . . . . .	238
სეკუტიციზმი . . . . .	241
<b>7. ღმერთი – შემოქმედი . . . . .</b>	<b>243</b>
<b>VI. სივრცული კონსტრუქცია: არტეფაქტები და სიმბოლიკა . . . . .</b>	<b>245</b>
<b>1. ტამარი – უფლის ტახტი . . . . .</b>	<b>246</b>
ქტიტორი და კირითხურო . . . . .	248
პირველი ეკლესია-ბაზილიკები . . . . .	252
ჯვარ-გუმბათიანი ტაძრები . . . . .	255
<b>2. საეკლესიო მხატვრობის ფიგურები . . . . .</b>	<b>258</b>
ხატომებრძოლობა . . . . .	258
კედლის მხატვრობა . . . . .	259
ლითონის პლასტიკა . . . . .	270
ეტრატის მინიატურა . . . . .	272
<b>VII. სიტყვა და გალობა: იდეალები და პერსონაჟები . . . . .</b>	<b>274</b>
<b>1. ჰაგიოგრაფიული პროზა და ისტორია . . . . .</b>	<b>274</b>
რედაქციები . . . . .	275
ჟანრობრივი დაყოფა . . . . .	277
საისტორიო წყარო . . . . .	278
დამკვეთი და ავტორი . . . . .	280
ფაქტის ლიტერატურურობა . . . . .	281

ერთი გმირი – წმინდანი და მოწამე . . . . .	282
ბიოგრაფია, როგორც სიუჟეტი . . . . .	284
უფლის ზვარაკი . . . . .	287
პარალელები და ციტატები . . . . .	290
სასწაულები და ხილვა . . . . .	292
კონფლიქტები . . . . .	295
ტანჯვა და ცრემლი . . . . .	297
ყოფითი რეალიები . . . . .	298
მიწიერი ვნებანი . . . . .	300
პერსონაჟის სიკვდილი . . . . .	301
მეტაფრასტიკა . . . . .	305
„ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი . . . . .	307
<b>2. ძველ-ქართული ენის რიტმი . . . . .</b>	<b>308</b>
<b>3. ჰიმნოგრაფიული პოეზია და მუსიკა . . . . .</b>	<b>312</b>
ფსალმუნური ტრადიცია . . . . .	314
საეკლესიო ფორმები . . . . .	317
მეტრულ-სტროფული სტრუქტურა . . . . .	321
ტექსტის მუსიკალური განკვეთა . . . . .	327
კრებულები და ავტორები . . . . .	330
უფალი და სასუფეველი . . . . .	333
<b>4. ქართული ლექსის ფორმირება . . . . .</b>	<b>335</b>
<b>5. სახე-სიმბოლოების სარკე . . . . .</b>	<b>342</b>
<b>VIII. ბიზანტინიზმის დასასრული: იბერიულ-კავკასიური</b>	
<b>სახელმწიფო . . . . .</b>	<b>346</b>
ლიდერი და სიტუაცია . . . . .	346
რუის-ურბნისის კრება . . . . .	352
გელათი – ტამარი და აკადემია . . . . .	354
იყალთოს აკადემია . . . . .	356
მითის რეალიზება . . . . .	357
<b>გამოყენებული ლიტერატურა . . . . .</b>	<b>359</b>

# და ნ ა რ თ ი

## „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ და აბიზოს ნეკრესელი

წიგნს ვურთავთ 1968-1971 წლებში დაწერილ ამ მონოგრაფიას, რომელშიც განხილულია VI საუკუნის ქართული მწერლობის, ეკლესიისა და თეოლოგიის საკითხები.



# შ ი ნ ა ა რ ს ი

## თავი პირველი

### არეოპაგიტიკა და „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ ..... 3

1. ზოგადი მიმოხილვა
2. ღვთაების ატრიბუტები. ა) აპოფატიკა. ბ) კატაფატიკა.
3. უხეშთაესი სიკეთის გაშლა. ა) ბიბლია. ბ) „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“
4. იერარქიული კიბე ღმერთსა და ადამიანს შორის
5. აღმსარებლობის საკითხი ა) ფსევდო-დიონისე და პეტრე იბერი. ბ) „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“.

## თავი მეორე

### არეოპაგიტიკა და ასურელი მოღვაწენი ..... 18

1. ასურელ მოღვაწეთა გარშემო. ა) ქართლში მოსვლა. ბ) ეროვნული წარმომავლობა. გ) სარწმუნოებრივი აღმსარებლობა.
2. ასურელ მამათა სალიტერატურო მემკვიდრეობა. ა) ასურელი მამები, როგორც ავტორები. ბ) მსოფლმხედველობრივი საკითხები.
3. არეოპაგიტიკის შემოსვლა საქართველოში. ა) არეოპაგიტიკა და ქართული მწერლობა ეფრემ მცირემდე. ბ) სირიული გზა.

## თავი მესამე

### „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ლიტერატურული წყაროები ..... 33


1. შესწავლის ისტორიიდან
2. „დიდაქე“
3. „დიატესარონი“
4. „აპოლოგია“
5. „თარგუმები“

## თავი მეოთხე

### აზიზის ნეკრესელი და „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ ..... 39

1. წინასწარი შენიშვნები: ა) ავტორობის შესახებ. ბ) ხელნაწერები. გ) ტექსტის ცვლილებანი. დ) ტექსტის ავტორი.
2. „აზიზის ნეკრესელის მარტვილობის“ ტექსტის საკითხები. ა) ავტორები, რედაქცია, ქრონოლოგია. ბ) ანტიმაზდეანური პოლემიკის ჩანართობის საკითხი. გ) ანტიმაზდეანური პოლემიკა ევსტათი მცხეთელისა და აზიზის ნეკრესელის მარტვილობათა ტექსტებში.
3. დამატებითი საკითხები. ა) ფაბულური პარალელები. ბ) მარტვილობის დაწერის დრო. გ) მარტვილობის დაწერის ადგილი.

### შენიშვნები ..... 54



სოსო სიგუა – საქართველოს ტექნიკური და გორის სასწავლო უნივერსიტეტების პროფესორი, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე და „მწერლის გაზეთის“ მთავარი რედაქტორი.

სხვადასხვა დროს – საქართველოს პარლამენტის წევრი, საქტელერადიოს მთავარი რედაქტორი, გაზეთების – „ლიტერატურული საქართველო“, „გრაალი“, „კოლხური კოშკი“, „XXI საუკუნე“ მთავარი რედაქტორი, გამომცემლობა „დიდოსტატის“ დირექტორი, კ. გამსახურდიას საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ჟურნალისტიკის განყოფილების გამგე და მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და კ. გამსახურდიას კაბინეტის ხელმძღვანელი.

გამოცემული აქვს 35 წიგნი ქართულ და რუსულ ენებზე.

978-9941-0-9602-0



9 789941 096020